

ზ. ნადირაშვილი

პიროვნების
სოციალური
ფსიქოლოგია



წიგნში განხილულია პიროვნების სწავლურ-ფსიქიკური აქტიობის საკითხები განწყობის თეორიის თვალსაზრისით. მოცემულია განწყობის ცნების გამოყენების ცდა სოციალურ ფსიქოლოგიაში.

ავტორი ადამიანის ფსიქიკური საქმიანობის კლასიფიკაციას ახდენს აქტიობის დონეების მიხედვით. განხილულია ადამიანის პრაქტიკული, თეორიული და სოციალური ქცევების ბუნება განწყობის შესატყვისი ფორმების საფუძველზე.

წიგნი განკუთვნილია ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. იგი დაბმარებას გაუწევს სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

რედაქტორი პროფ. ვ. ქ ვ ა ჩ ა ხ ი ა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975

ა ბ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

სეროზული კვლევა-ძიება სოციალური ფსიქოლოგიის დარგში 40-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად ამ სფეროში ინტენსიური მუშაობა წარმოებს და უკვე იმდენი ცოდნა დაგროვდა, რომ შესაძლებელი ხდება მისი პრაქტიკულად გამოყენება. მაგრამ სოციალური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, მისი ძირითადი ცნებების სისტემა ჯეროვნად არაა დამუშავებული; ბოლომდე არაა გარკვეული მისი ურთიერთობა ფსიქოლოგიის სხვა დარგებთან და ადამიანის შემსწავლელ სხვა მეცნიერებებთან.

სოციალურ ფსიქოლოგიას უფრო ხშირად ფსიქოლოგიის დარგად თვლიან, მაგრამ არიან მკვლევრები, რომლებიც მას სოციოლოგიის ნაწილად მიიჩნევენ. სოციალური ფსიქოლოგიის ზოგი წარმომადგენელი მას ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიისაგან დამოუკიდებელ მეცნიერებადაც კი თვლის. გარკვეული დროა საჭირო, რათა სოციალურმა ფსიქოლოგიამ მეცნიერებათა სისტემაში თავისი კუთვნილი ადგილი მოიპოვოს და განიმტკიცოს.

ჩვენში ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ოფიციალური კვალიფიკაციის მიხედვით სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დარგად არის წარმოდგენილი (ფსიქოლოგიის ათ დარგს შორის). საკითხის ამგვარ გადაქრას ისიც ამართლებს, რომ სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები ძირითადად ფსიქოლოგიის ზოგად ცნებათა სისტემის საფუძველზე სრულდება.

წიგნში გადმოცემული საკითხის მიხედვით სოციალური ფსიქოლოგია უფრო ფსიქოლოგიაა, ვიდრე სოციოლოგია. ჩვენ იგი ამ წიგნში ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგის სახით წარმოვადგინეთ. მისი ამოცანაა ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ იმ კანონზომიერებათა შესწავლა, რომლებიც პიროვნებას ადამიანთა ჯგუფში, სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება.

აღნიშნულ კანონზომიერებათა შემეცნება შესაძლებლობას მოგვცემს ჩავწვდეთ პიროვნების, როგორც სოციალური არსების, სპეციფიკურ თავისებურებებს.

ადამიანის პიროვნებას შეესაბამება სოციალურ-ფსიქოლოგიური გა-

მოკლევების შედეგთა გაერთიანება ერთიანი ცოდნის სახით გარკვეული თეორიის გამოყენებას მოითხოვს. ასეთ საფუძვლად ჩვენ უზნადის განწყობის თეორია გვაქვს აღებული. ამგვარი ორიენტაციის გამო ეს წიგნი მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალური ფსიქოლოგიის სხვა კურსებისაგან. მაგრამ ასეთ ცდას სხვა შედეგიც მოჰყვა. ამის გამო მხოლოდ სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებმა როდი მიიღო სპეციფიკური იერი; თვითონ განწყობის თეორიამაც განიცადა გარკვეული მეტამორფოზა. სოციალურ ფსიქოლოგიაში განწყობის თეორიის გამოყენების დროს საჭირო გახდა წინ წამოგვეწია ამ თეორიის ისეთი ასპექტები, რომლებიც მასში იმპლიციტურად იყო მოცემული.

სოციალური ფსიქოლოგიისათვის განწყობის თეორია ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და ნაყოფიერ თეორიად უნდა ჩაითვალოს. იგი არა მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ გაგებულ და ახსნილ იქნეს მრავალი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, არამედ თავის მხრივ აყენებს კიდევაც მრავალ ახალ საკითხს და პრობლემას სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელთა შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ეს წიგნი წარმოადგენს სოციალური ფსიქოლოგიის კურსის ერთ ნაწილს, რომელსაც ჩვენ სტუდენტებს ვუკითხავთ. აქ მხოლოდ „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგიის“ საკითხებია წარმოდგენილი. მეორე წიგნში უმთავრესად ჩვეულების ფსიქოლოგიის საკითხები იქნება განხილული. სოციალური ფსიქოლოგიის ამ ნაწილების ურთიერთისაგან გამოყოფას თავისი მიზეზები აქვს. ჩვეულების ფსიქოლოგიის საკითხების განხილვა ისეთ ზოგად ცნებათა სისტემის ფონზე უნდა მოხდეს, რომლის წარმოდგენა მოცემულ წიგნში შეუძლებელი აღმოჩნდა. ცნებათა ასეთი. სისტემის წინასწარი კონსტრუირება აუცილებელი არ იყო პიროვნების სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების განხილვისათვის. იგივე არ შეიძლება ითქვას ჩვეულების ფსიქოლოგიის საკითხების შესახებ. ამიტომ ჩვეულების ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი წიგნი თავის კატეგორიულ ცნებათა სისტემით დამოუკიდებელი სახით იქნება წარმოდგენილი.

წიგნზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწია თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგემ პროფ. ვ. ქვაჩახიამ, ამავე კათედრის ასპირანტმა დ. ეგუტამ, აგრეთვე სსსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომის ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა და ასპირანტებმა: ნ. თომეიშვილმა, დ. ძიძიგურმა, ა. ნებიერიძემ და თ. ნონიაშვილმა. მათ ყველას დიდ მადლობას ვუხდით.

ეს ნაშრომი სოციალურ ფსიქოლოგიაში სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს. ავტორი სიამოვნებით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ შემდგომ მუშაობაში.

1. სოციალური ფსიქოლოგიის საგნის დადგენისათვის საზიარო საკითხთა განხილვა

მეცნიერული დისციპლინის საზღვრების ზუსტი შემოფარგვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მეცნიერებათა სფეროები ხშირად კვეთენ ერთმანეთს, იჭრებიან ერთიმეორეში და ძნელი ხდება მათი ერთმანეთისაგან დიფერენცირება. მაგრამ მეცნიერების სფეროს ამა თუ იმ დონის ზუსტად შემოფარგვლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ მეცნიერებაში ნაყოფიერი კვლევა-ძიების წარმოება.

სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრა სპეციფიკურ, დამატებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მისი საკვლევი საგანი ამ უკანასკნელ ხანს ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სფეროებიდან გამოკვეთა და ამ მეცნიერებებთან მისი მიმართების საკითხი, მრავალი მკვლევრის აზრით, ჯერ კიდევ ნათლად და ბოლომდე არაა გარკვეული. დღეისათვის უფრო გავრცელებულად და მიღებულად ითვლება აზრი, რომლის მიხედვითაც სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს.

სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ზუსტი დარგის, ისტორია მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. ამ სფეროში ბოლო დროს ინტენსიური ექსპერიმენტული მუშაობა წარმოებს, მაგრამ მისი ისეთი პრინციპული პრობლემები, როგორცაა სოციალური ფსიქოლოგიის საგნის, მეთოდების, მეზობელ მეცნიერებებთან მიმართებისა და სხვანი, ჯერ კიდევ საკმარისად არაა დამუშავებული. ცხადია, რომ სოციალური ფსიქოლოგიის განვითარებისათვის, მისი ექსპერიმენტული საკითხების შესწავლასთან ერთად, საჭიროა თეორიული პრობლემების დამუშავებაც.

სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრის დროს, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: 1. საზოგადოდ ფსიქოლოგიის საკვლევი საგნის თავისებურებანი; 2. ფაქტიური სოციალურ-ფსიქოლოგიური, ექსპერიმენტული გამოკვლევების სფერო და 3. ის ზოგადი მეთოდოლოგიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ხდება მეცნიერების საგანთა კლასიფიკაცია.

1. 1. ფსიქოლოგიის საბანი

ფსიქოლოგიის შესასწავლ საგნად, ჩვეულებრივ, ფსიქიკა ითვლება. ფსიქოლოგიის ამოცანას, როგორც ცნობილია, ფსიქიკური სფეროს კანონზომიერებათა აღმოჩენა და ახსნა წარმოადგენს. მაგრამ, ცხადია, ამგვარ განსაზღვრაში ჭერ კიდევ მითითებული არაა სინამდვილის ის მონაკვეთი, სადაც არსებობს და ბორციელდება ფსიქიკური კანონზომიერება. ფსიქიკა რეალობას წარმოადგენს, ის სინამდვილის სახით არსებობს და ფსიქოლოგიაც სწორედ რეალობის ამ გარკვეული მონაკვეთის შემსწავლელი მეცნიერებაა. ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების ნაყოფიერი წარმოებისათვის საჭირო ხდება სინამდვილის იმ სფეროს შემოსაზღვრა, რაც ფსიქიკად და, მაშასადამე, ფსიქოლოგიის საგნად უნდა ჩაითვალოს.

ფსიქიკაზე მითითების მიზნით, ჩვეულებრივ, ისეთი მოვლენების შესახებ ლაპარაკობენ, როგორცაა: შეგრძნება, წარმოდგენა, აზროვნება, ემოცია და სხვ. მაგრამ, ცხადია, ფსიქიკურის განსაზღვრისათვის საკმარისი არაა ცალკეული ფსიქიკური მოვლენების ჩამოთვლა. ფსიქიკურის განსაზღვრისათვის საჭირო ხდება იმ ზოგადი ნიშნების მივჩენა, რაც ამ ცალკეულ ფსიქიკურ მოვლენებს აქვთ, რაც საერთოდ ფსიქიკური სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი.

როგორც ცნობილია, ფსიქიკა ადამიანისა და საზოგადოდ ცოცხალი ორგანიზმის აქტიობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფსიქიკური მოვლენები შეუძლებელია დახასიათებულ იქნეს არსებობის ისეთივე დროულ-ერცხული კავშირებით, რითაც ფიზიკური მოვლენების განსაზღვრება ხდება.

ფსიქიკური ფენომენი აქტუალურ-პროცესუალური წარმონაქმნია. ის სინამდვილესთან ცოცხალი ინდივიდის დამოკიდებულების თავისებურ ფორმას წარმოადგენს. მაგრამ პროცესების დახასიათებისათვის გამოყენებული ყოველგვარი ცნებით შეუძლებელი ხდება ფსიქიკის შესწავლა, რადგან ყველა პროცესი არაა ფსიქიკური. ცოცხალი ორგანიზმის მიერ განხორციელებული ყოველგვარი სასიცოცხლო პროცესიც არაა ფსიქიკური ფენომენი. იმისათვის, რომ შევძლოთ ფსიქიკური მოვლენების შემეცნების ობიექტად გადაქცევა, საჭირო ხდება ცოცხალი ინდივიდის აქტიობის უფრო დეტალური გარჩევა. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს მოვლენათა ურთიერთობის ზოგიერთი ძირითადი ფორმის წინასწარ განხილვას.

1. 1. 1. სინამდვილის მოვლენების ურთიერთობის ფორმები

სინამდვილის საგნები და მოვლენები გარკვეული სახის ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ამავე დროს ისინი სხვადასხვაგვარ გავლენას

ახდენენ ერთიმეორეზე. სინამდვილის მოვლენების ურთიერთობათა ზოგიერთი ფორმის დახასიათების შემდეგ ადვილი გახდება მითითება ფსიქიკური პროცესების სპეციფიკურ ბუნებაზე. ამ მიზნით შევეცდებით დავახასიათოთ მოვლენათა კავშირურთიერთობის ზოგიერთი ძირითადი ფორმა.

1. 1. 2. ზოგადი ფიზიკური ურთიერთობის ფორმა

სინამდვილის საგნები და მოვლენები, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად მოქმედებს ურთიერთზე. მოვლენათა ფიზიკური ურთიერთმოქმედების შინაარსი სხვადასხვა სახის ფიზიკურ კანონებშია წარმოდგენილი. ყოველგვარ ასეთ კანონში ფიზიკური მოვლენების გარკვეული ზოგადი სახის კავშირია ასახული. სათანადო ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოდ ყოველი ფიზიკური კანონი მოვლენათა ისეთი ზოგადი ფორმის კავშირს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ ფიზიკური სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი. სინამდვილის მოვლენათა კავშირურთიერთობის ამ ზოგად ფორმას მიზეზშედეგობრივი კავშირის კატეგორიის სახით განიხილავენ.

მიზეზშედეგობრივი კავშირის კატეგორიაში საერთოდ მიღებულ განსაზღვრებათა მიხედვით მოვლენათა ფიზიკური ურთიერთშემოქმედების უზოგადესი ფორმაა ასახული. მისი შინაარსის დახასიათების დროს გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორიცაა სივრცე, დრო, იმპულსი, მოძრაობა, ძალა და სხვანი, რომელთა მწყობრი სისტემის სახით გაერთიანება, ისე რომ ეს სისტემა ამავე დროს ასახავდეს სინამდვილის მოვლენათა რეალურ კავშირურთიერთობას, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგრამ ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საგანთა ფიზიკური ურთიერთშემოქმედება, რომელიც საბოლოოდ შათი მიზეზშედეგობრივი კავშირის კატეგორიით შეიძლება გამოიხატოს, მოვლენათა კავშირის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს და სინამდვილის მოვლენათა ურთიერთობის სხვა ფორმების გვერდით თავისი სპეციფიკური შინაარსი აქვს.

იმისათვის, რომ ზოგადად ვსაგები იყოს კავშირის ამ ფორმის სპეციფიკური შინაარსი, ჩვენ მას გარკვეული მაგალითის საფუძველზე დავახასიათებთ.

წარმოვიდგინოთ ბილიარდის მაგიდა, რომელზეც ბილიარდის ორი ბურთი დევს. მოთამაშეებს ხელში უჭირავთ ჭოხები და რეზრივობით ცდილობენ ჭოხით ერთი ბურთი ისე მოაჩუყან მეორეს, რომ ეს უკანასკნელი ბილიარდის რომელიმე ლუზაში ჩავარდეს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ბილიარდის ამ ბურთების ურთიერთობა, როდესაც ისინი ერთმანეთს ეჯახებიან და შემდგომში გარკვეული მიმარ-

თულებით მიგორავენ, შესაძლებელია დახასიათდეს ფიზიკური კანონების საშუალებით. თუ ჩვენ ზუსტად აღვრიცხავთ აღნიშნული სიტუაციის ფიზიკურ მონაცემებს, იმ მდგომარეობას, რომელსაც ადგილი აქვს ბილიარდის ბურთების ურთიერთთან შეჯახების მომენტში, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება დროის ყოველი შემდგომი მომენტისათვის განვსაზღვროთ, სად იქნება ის ბურთი, რომლის ჩაგდებაც ბილიარდის მოთამაშემ განიზრახა. ამისათვის დაგვჭირდებოდა იმის დადგენა, თუ რა წონისა და მასისანი არიან ბილიარდის ბურთები, რა ძალით დაეჯახა ერთი ბურთი მეორეს, რომელი მხრიდან და რა ადგილზე მოხვდა ის მეორე ბურთს, როგორია ხახუნი ბილიარდის ბურთსა და მაგიდას შორის, როგორი სიმკვრივისაა ბილიარდის მაგიდის გვერდები, რომელზეც დაჯახების შემდეგ აირეკლება ბურთი და სხვ.

პრაქტიკულად ჩვენ შესაძლოა ვერ მოვახერხოთ ყველა ამ მომენტის ზუსტი აღნუსხვა, მაგრამ შეიძლება ითქვას. რომ ყოველი მათგანი თავისთავად პრინციპულად აღრიცხვადია. გარდა ამისა, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ზუსტი კანონზომიერი დამოკიდებულება რომ არ ყოფილიყო ბილიარდის ბურთებსა და იმ გარემოს შორის, სადაც ისინი მოძრაობენ, ბილიარდის მოთამაშეები ვერც მოახერხებდნენ დროთა განმავლობაში დახელოვნებულიყვენენ ბილიარდის თამაშში. დახელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშე სწავლობს, თუ როგორი ფიზიკური მდგომარეობა უნდა შექმნას მან ბურთების ურთიერთშეჯახებით, რასაც, როგორც შედეგი, უნდა მოჰყვეს ბურთის ჩაგდება. ბილიარდის ბურთის გარკვეულ ლუზაში ჩაგდება ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული ამ ბურთზე ზემოქმედი ძალების სიდიდით და იმ კანონებით, რომლებითაც ხდება ამ ძალების ეფექტების განაწილება დროსა და სივრცეში.

საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური სინამდვილის საგნების მომავალი მდგომარეობა სივრცეში, მათი „ქცევა“ ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული მასზე მოქმედი ძალებით, რომლებიც სხვა საგანთა ზემოქმედებით აღიძვრებიან. საგანთა ურთიერთზემოქმედების ამ მთლიან პროცესში ჩვენ ზოგიერთი A საგნის მოქმედებას მივიჩნევთ B საგნის მოქმედების ან მდგომარეობის მიზეზად, ხოლო B საგნის მოქმედებასა და მდგომარეობას განვიხილავთ როგორც A საგნის ზემოქმედების შედეგს.

საგანთა ამ მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებაში მხოლოდ იმას როდი ვგულისხმობთ, რომ მიზეზი რეალურად წინ უსწრებს შედეგს, არამედ იმასაც, რომ საგანთა მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებაში აუცილებლად რაიმე სახის ფიზიკური კანონზომიერება ხორციელდება. ამ დროს, მაგალითად, აუცილებლად ხორციელდება ენერჯისა და მასის მუდმივობის კანონი. ენერჯისა და მასის ის რაოდენობა, რომე-

ლიც საგანთა მიზეზშედგებრივი ურთიერთობის პროცესში გვაქვს, მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. როდესაც საგანთა ფიზიკური, მიზეზ-შედგებრივი პროცესების აღწერის დროს მეცნიერები ისეთ მონაცემებს იღებენ, რომლებიც ამ კანონთა დარღვევაზე მიუთითებს, ამას ისინი თითქმის ყოველთვის აღწერის უზუსტობას მიაწერენ. ეს ცხადყოფს, რომ ფიზიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებულია მტკიცე რწმენა: საგანთა მიზეზშედგებრივ ურთიერთობასა და ფიზიკურ კანონებს შორის არსებობს შინაგანი აუცილებელი კავშირი. ასეთი რწმენისათვის ფიზიკის ისტორია მრავალ საბუთს აქლევს. ამგვარი რწმენის არსებობას უკავშირდება ბევრი საინტერესო აღმოჩენა ფიზიკაში. ასეთ რწმენაში ასახულია ის რეალური ფაქტი, რომ სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ურთიერთშემოქმედებაში არსებობს კავშირის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა — ფიზიკური მიზეზშედგებრივი დამოკიდებულება, რომელიც სხვადასხვაგვარი ფიზიკური კანონების სახით ვლინდება.

საგანთა ფიზიკური ურთიერთშემოქმედების პროცესში, რომელსაც სინამდვილეში რეალურად აქვს ადგილი, იგულისხმება, რომ საგნები „გარედან“ სხვადასხვა ძალების შემოქმედებას განიცდიან.

იმის გამო, რომ ეს ძალები თავისი ხასიათით ჰომოგენური ბუნების აგენტებს წარმოადგენენ, მეცნიერებს სრულიად სამართლიანობა ტენდენცია უჩნდებათ მოახდინონ მათი ინტეგრაცია ერთიან დროულ ვერცხულ ფიზიკურ ველში. საგანთა ფიზიკური ურთიერთქმედება მათი კავშირის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ სინამდვილეში არსებობს მოვლენათა ურთიერთობის ფორმები, რომლებიც განსხვავდებიან ფიზიკური ურთიერთქმედებისაგან. მაგალითად, კავშირის ამ ფორმისაგან თვისებრივად განსხვავდება ურთიერთქმედების ბიოლოგიური ფორმა.

1. 1. 3. ცოცხალი ინფორმაცია და სინამდვილის ურთიერთობა, როგორც ბიოლოგიური ურთიერთობის ფორმა

ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ცნობილია, ფიზიკური ობიექტებისაგან განსხვავებით, სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებაში იმყოფება თავის ფიზიკურ გარემოსთან. ცოცხალი ორგანიზმის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სპეციფიკურ სასიცოცხლო პროცესებს ახორციელებს. ცოცხალი ინდივიდის ეს აქტიობა ასიმპლიციადისიმილაციის პროცესების სახით ხორციელდება, რომლის დროსაც ორგანიზმი სინამდვილესთან გარკვეულ წონასწორობას ამყარებს და ინარჩუნებს. სინამდვილისა და ინდივიდის ურთიერთობაში, მართალია, არ ირღვევა მოვლენათა მიზეზშედგებრივი დამოკიდებულების

მთლიანი ჯაჭვი, მაგრამ მის საფუძველზე სასიცოცხლო პროცესების სპეციფიკურობა გაუგებარი და აუხსნელი რჩება.

ცოცხალი ინდივიდის თავისებურება და მისი სპეციფიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი იქიდან მომდინარეობს, რომ იგი მთლიანად ბიოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს. ცოცხალი ორგანიზმის ნაწილები გარკვეულ ფიზიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან გარემოს საგნებთან, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ერთიანი და მთლიანი სისტემა, სპეციფიკურადაა დაკავშირებული სინამდვილესთან.

ყოველი ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ სისტემას წარმოადგენს და ის ცოცხალ ინდივიდად რჩება მანამ, სანამ თავის სპეციფიკურ სტრუქტურას ინარჩუნებს. თავისი სტრუქტურის შენარჩუნებას ცოცხალი ორგანიზმი გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ახერხებს, მაგრამ გარემო ამავე დროს ყოველ წუთს ემუქრება მის მთლიანობას, დამანგრეველ გავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე. მთლიანობის შენარჩუნების ტენდენცია ცოცხალი ორგანიზმის ერთ-ერთ ძირითად შინაგან თვისებას წარმოადგენს. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ ცოცხალი ორგანიზმის დაბადებისთანავე იწყებს მოქმედებას და მისი მომწიფებისა და განვითარების გარკვეულ პროგრამას სახავს. ამ ტენდენციისა და რეალური სინამდვილის ურთიერთობაში ისახება ცოცხალი ორგანიზმის ის პროსპექტული მთლიანობა, რომელიც შესატყვის გარემო პირობებში ზრდადასრულებული ინდივიდის სახეს იღებს. მომწიფებულ განვითარების შემდეგაც ცოცხალი ორგანიზმის აქტივობა მიმართულია თავისი სტრუქტურის შენახვისა და მსგავსი ცოცხალი ინდივიდების რეპროდუქციისაკენ.

ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების თავისებურებათა შესწავლას ბიოლოგიაში ბოლო დროს „წონასწორობის მოდელის“ საფუძველზე ცდილობენ. ამ თეორიის მიხედვით, ცოცხალი ინდივიდი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მთლიანობითი სისტემა, რომელიც ჩვეულებრივ, წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება.

გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ადგილი აქვს ცოცხალი ორგანიზმის წონასწორობის მუდმივ დარღვევას და აღდგენას. წონასწორობის დარღვევამ თუ ზღვრულ სიდიდეს მიაღწია, ეს შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმი ვეღარ ახერხებს თავისი ბუნებრივი წონასწორობის აღდგენას და იგი ილუპება. წონასწორობის ეს მუდმივი დარღვევა-აღდგენის პროცესი ცოცხალი ინდივიდისა და გარემოს ურთიერთშემოქმედების პირობებში მიმდინარეობს. ამ პროცესში ადგილი აქვს „მატერიალურ გაცვლას“ ცოცხალ ინდივიდსა და გარემოს შორის. ორგანიზმი გარემოსაგან ითვისებს ისეთ საგნებს, რომლებიც მისი წონასწორობის აღდგენას ემსახურება.

ამგვარი მატერიალური ათვისების დროს ორგანიზმს ობიექტები შეაქვს თავის შემადგენლობაში, ახდენს მათ ასიმილაციას, ჩართავს თავის სტრუქტურაში. ცოცხალი ინდივიდისა და გარემოს ამგვარი მატერიალური გაცვლის პროცესში ყოველგვარი საგანი არ ემორჩილება ასიმილაციას. არსებობს საგანთა გარკვეული კლასი, რომელიც შესაძლებელია ჩაირთოს ინდივიდისა და გარემოს მატერიალური გაცვლის პროცესში.

ცოცხალი ორგანიზმისა და მისი სასიცოცხლო პროცესებისათვის გამოსადეგი საგნების ურთიერთობა პრინციპულად განსხვავდება საგანთა იმ ფიზიკური ურთიერთქმედებისაგან, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. გარკვეული საგნის ზემოქმედების შედეგი ცოცხალ ორგანიზმზე ერთმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული იმ ფიზიკური კანონზომიერებით, რომლებითაც საგანთა ფიზიკური ურთიერთქმედება ხასიათდება. ამ დროს ფიზიკური პირობების გარდა მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის წონასწორობის მდგომარეობას, მის მოთხოვნილებებს გარკვეულ ნივთიერებაზე.

ცოცხალი ორგანიზმისა და გარემოს საგნებს შორის ამგვარი სპეციფიკური ურთიერთქმედება, რასაკვირველია, საგანთა მიზეზშედეგობრივ-ფიზიკური ურთიერთობის დარღვევის ხარჯზე არ ხორციელდება. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთქმედების პროცესში მოვლენათა მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი გარკვეულ მიმართულებას იძენს, რაც ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის, ისტორიით და მოცემულ ვითარებაში მისი მდგომარეობით არის განპირობებული. ამიტომ გარესაგნების ზემოქმედებამ იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ცოცხალი ორგანიზმი, როგორც სტრუქტურული სისტემა, შესაძლებელია მისი სხვადასხვაგვარი აქტიობა გამოიწვიოს.

ამ ფაქტიური მდგომარეობის გაგებისა და ახსნის დროს ვიტალისტური ბიოლოგია გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, რადგან ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკური აქტიობის გაგებას იგი ფიზიკური სინამდვილისაგან სუბსტანციურად განსხვავებული სინამდვილის ზემოქმედების საფუძველზე ცდილობს. ამ მიზნით აღნიშნული თვალსაზრისის წარმომადგენლებს ბიოლოგიაში შემოაქვთ ვიტალური ენერჯის ცნება, როგორც ცოცხალ ორგანიზმებში არსებული, ფიზიკური სუბსტანციისაგან განსხვავებული, მეორე სუბსტანცია, მაგრამ შემდგომში სხვადასხვა სუბსტანციური ბუნების, ფიზიკური და ვიტალური ენერჯიების ურთიერთობის საკითხი პრინციპულად გაურკვეველი რჩება, რაც ამ თვალსაზრისის უმართებულობაზე მიუთითებს. ცოცხალი ორგანიზმისა და ფიზიკური გარემოს ურთიერთობის არამექანი-

ცისტური ბუნების გარკვევისათვის ბიოლოგიაში გაჩნდა ე. წ. ორგანიზმული თეორია, რომელიც ცოცხალი ინდივიდის განვითარებისა და აქტიობის საკითხების გარკვევის დროს მიზეზშედევლობრივი პრინციპის გვერდით მიზანშეწონილებების ცნების შემოტანას ცდილობს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი ბიოლოგის — ბერტალამფის გამოკვლევა¹, რომელშიც ავტორი ცხადყოფს, რომ ორგანიზმი მთლიანობით დინამიკურ სისტემას წარმოადგენს. ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით, ცოცხალი სისტემისათვის მარგანიზებული სტრუქტურული პრინციპი იმანენტურ ნიშანს წარმოადგენს. ვიტალისტური შეხედულებებისაგან განსხვავებით, ცოცხალი ინდივიდის განვითარებაში, მის სასიცოცხლო პროცესებში გარკვეული მიმართულების არსებობას ბერტალამფი ცოცხალი სისტემის მთლიანობის თვისებად მიიჩნევს. ეს შეხედულება აღმოცენებულია იმ უტყუარი ფაქტის საფუძველზე, რომ ცოცხალი ინდივიდისა და სინამდვილის ურთიერთობა თვისებრივად განსხვავდება სინამდვილის საგნების ფიზიკური ურთიერთზემოქმედებისაგან. ურთიერთობის ამ ფორმების ფიზიკურ დამოკიდებულებამდე დაყვანის ყოველგვარი ცდა სინამდვილის დამახინჯებად უნდა ჩაითვალოს.

მოვლენათა ამგვარი ურთიერთზემოქმედება ბიოლოგიური ურთიერთობის ფორმას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი ორგანიზმისა და სინამდვილის საგანთა ურთიერთობის ეს ფორმა, რომელიც საგანთა ასიმილაციით მთავრდება, ცოცხალი ორგანიზმისა და საგნების უშუალო კონტაქტის პირობებში ხორციელდება. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთობა სინამდვილის საგნებთან ურთიერთობის ამგვარი ბიოლოგიური ფორმით არ ამოიწურება.

განვითარების შედარებით დაბალ საფეხურებზე ცოცხალი ორგანიზმები, როგორც ცნობილია, მხოლოდ ისეთ საგნებთან ამყარებენ ურთიერთობას, რომლებიც მასთან უშუალო კონტაქტშია.

მათი აქტიობა კონტაქტში მყოფ საგნებზე მანიპულაციებით ამოიწურება, რასაც მათი ასიმილაცია მოსდევს. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმების განვითარების გარკვეული დონიდან თანდათან ფართოვდება მათი აქტიობის სფერო. ცოცხალი ორგანიზმები იწყებენ ურთიერთობის დამყარებას სინამდვილის ისეთ საგნებთან, რომლებიც მათგან მოშორებით, გარკვეულ დისტანციაზე იმყოფებიან. ინდივიდისა და სინამდვილის საგნის ურთიერთობის ამ ფორმას მრავალი მკვლევარი მოვლენათა ურთიერთობის ფსიქიკურ ფორმას უწოდებს.

¹ L. Von Bertalamffy. Problems of Life, N. Y., 1952.

განვითარების გარკვეული საფეხურიდან ინდივიდები იწყებენ მაკ-
გან მოშორებით არსებულ საგნებთან ურთიერთობის დამყარებას. მაგ-
რამ დისტანციაზე არსებული საგნებიდან ინდივიდი მხოლოდ ისეთებ-
თან დამყარებს ურთიერთობას, რომლებიც გარკვეულ კავშირში არიან
მის მოთხოვნილებებთან. ამის მიხედვით, ინდივიდი ზოგიერთი საგნე-
ბისაკენ ისწრაფვის, ზოგიერთს კი—გაურბის.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულ საგნებთან მიახლოება ან მათგან გან-
რიდება ისეთივე უშუალო სახის ბიოლოგიური აქტიობა არაა, რო-
მელსაც ცოცხალი ორგანიზმი საგნებთან კონტაქტის პროცესში ას-
რულებს. დისტანციურად დაშორებული საგნების მიმართ განხორციე-
ლებული აქტიობა ინდივიდის უშუალო სასიცოცხლო მოთხოვნილე-
ბების დაკმაყოფილებას არ ემსახურება.

ამგვარი აქტიობის პროცესში ინდივიდი შორს არსებულ საგნებთან
დამყარებს ურთიერთობას და ამავე დროს ისეთ აქტიობას ახორციე-
ლებს, რომელსაც მომავალში ინდივიდისათვის სასიცოცხლო მნიშვნე-
ლობა ექნება. მოთხოვნილებების საგნების მიმართ დროულ-ვრცელ
დისტანციაზე შესრულებული აქტიობა თავისებურებით ხასიათდება
და თვისებრივად განსხვავდება ცოცხალ ორგანიზმსა და საგნობრივ
სინამდვილეს შორის არსებული მატერიალური გაცვლის პროცესისა-
გან. განვითარების ამ დონეზე ინდივიდსა და გარემოს შორის მატე-
რიალური გაცვლა უკვე მას შემდეგ ხდება, რაც ინდივიდი დროულ-
ვრცელ დისტანციაზე შეამჩნევს შესატყვის საგანს, მიუახლოვდება
და უშუალო კონტაქტს დაამყარებს მასთან. საგნებთან უშუალო
კონტაქტის დამყარებამდე განხორციელებული ინდივიდის აქტიობის
პროცესი მოვლენათა ურთიერთობის სრულიად სპეციფიკურ ფორმას
გამოხატავს და მისი დაყვანა არ შეიძლება მოვლენათა ურთიერთობის
ჩვენ მიერ აქამდე განხილულ ფორმებზე. ინდივიდი ამგვარ ურთიერ-
ობას საგნებთან ძირითადად სმენისა და მხედველობის საშუალებით
დამყარებს და იგი სინამდვილესთან ძირითადად გაუცნობიერებელი
ფსიქიკური ურთიერთობის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ სახლის ზემოქმედების შედეგად მიღებული მხედ-
ველობითი ან სმენითი შთაბეჭდილებანი თვითონ ვერ გამოდგებიან
ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფი-
ლებლად. საკმელის ან წყლის მხედველობით ხატს, ასევე ამ საგნები-
საგან მომდინარე ბგერებს არ შეუძლიათ ჰამისა და სმის მოთხოვნი-
ლებათა დაკმაყოფილება, მაგრამ შორი მანძილიდან მიღებულ ამ
შთაბეჭდილებებს ინდივიდისათვის მაინც გარკვეული ღირებულება

აქვთ. ისინი მოთხოვნილებს საგნებთან მისვლის ორიენტირებს წარმოადგენენ. მათში ინდივიდის მოთხოვნილებებთან დაკავშირებული საგნებია ასახული. ამ გზით სინამდვილესთან უშუალო ბიოლოგიური დამოკიდებულების გარდა, ინდივიდს, როგორც ვხედავთ, მნიშვნელობითი, ასახვითი დამოკიდებულება უვითარდება. ამ დამოკიდებულების დახასიათება, როგორც ცნობილია, შეუძლებელია ნდება წმინდა ფიზიკურ და ბიოლოგიურ ურთიერთობათა გამომხატველი ცნების საშუალებით. სინამდვილისადმი ამგვარი სპეციფიკური დამოკიდებულება, ასახვითი აქტიობა, მკვლევართა დიდი რაოდენობის აზრით, სწორედ ფსიქიკურ პროცესად უნდა ჩაითვალოს. ამ სახის ფსიქიკური პროცესები, მართალია, არსებითად არიან დაკავშირებული სასიცოცხლო პროცესებთან, მათ უზრუნველყოფას ემსახურებიან, მაგრამ საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებანი აქვთ და მათი დაყვანა ფიზიკურ და ბიოლოგიურ კანონზომიერებამდე შეუძლებელია.

ინდივიდისა და გარემოს ფსიქიკური დამოკიდებულების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკურ ზემოქმედებაზე იგი მხოლოდ ფიზიკური უკუზემოქმედებით არ პასუხობს. მას სელექციური დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან და ასახვითი დამოკიდებულება უჩნდება მხოლოდ ისეთი გარეზემოქმედების შიშარტ, რომელსაც გარკვეული კავშირი აქვს მის მოთხოვნილებათა სისტემასთან. ინდივიდის მოთხოვნილებათა სისტემასთან დაკავშირებული საგნების ზემოქმედებათა მიღებისა და მათზე სათანადო რეაქციების გაცემის სპეციფიკური აქტიობა, რომელსაც ახორციელებს ინდივიდი, როგორც მთლიანი სისტემა, ფსიქიკურ პროცესად უნდა ჩაითვალოს.

დ. უზნაძე არის ერთ-ერთი პირველთაგანი იმ ფსიქოლოგებს შორის, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ინდივიდისა და სინამდვილის ამ სპეციფიკურ ურთიერთობას. მან სისტემატური შესწავლის საგნად აქცია გარემოსადმი ინდივიდის არაცნობიერი, სელექციურ-ასახვითი დამოკიდებულება, რომლისთვისაც მან ორიგინალური მეთოდიც შეიმუშავა. ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე მან ნათელყო, რომ ინდივიდს თავისი მოთხოვნილებებისა და შესატყვისის გარემოს ერთდროული ზემოქმედების დროს ექმნება გარკვეული მთლიანი მდგომარეობა, განწყობა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მის შემდგომ აქტივობას. ინდივიდის ამ მთლიან, ფსიქოფიზიკურ მდგომარეობაში, განწყობაში ასახულია როგორც ინდივიდის მოთხოვნილებანი, ისე მისი შესატყვისის გარემო. ამის გამო განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ინდივიდის მოთხოვნილებებსაც და გარემოსაც ითვისისწინებს. ამიტომ განწყობა მის საფუძველზე განხორციელებულ ქცევას მიზეზობრივადაც აპირობებს და ამავე დროს მას მიზანშეწონილ ხასიათსაც ანიჭებს. ამ შეხედულებ-

ბის მიხედვით არაცნობიერი მიზანშეწონილი ქცევის გაგებისა და ახსნისათვის საჭირო არაა რაიმე ზებუნებრივი და მისტიკური ძალების დაშვება. ასეთი ქცევის საფუძველს ინდივიდის რეალური ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, განწყობა წარმოადგენს. განწყობისეული მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო ინფორმაციას მოთხოვნილებების, გარესინამდვილისა და საკუთარი მოქმედების შესახებ ინდივიდი ე. წ. ექსტეროცეპტული, ინტეროცეპტული და პროპრიოცეპტული მონაცემების სახით იღებს. ეს გრძნობადი მონაცემები განწყობის თეორიის მიხედვით ერთმანეთისაგან მოწყვეტილად, იზოლირებულად არ მიიღება. ისინი ერთიანი განწყობისეული მოქმედების მექანიზმებში არიან ორგანიზებული და ინდივიდის აქტიობას განსაზღვრავენ როგორც ერთიანი სტრუქტურული იმპულსი. განწყობის მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე აღნიშნული ინფორმაციების მიღება-დამუშავებისა და მათ საფუძველზე მიზანშეწონილი ქცევის აგების კანონზომიერების გაგება. განწყობისეული, ასახვითი დამოკიდებულების საფუძველზე ინდივიდი ახდენს სინამდვილის კლასიფიკაციას მისთვის საჭირო ან მავნე მოვლენების სახით. სწორედ ამაში გამოიხატება მისი სელექციური, შერჩევითი დამოკიდებულება გარემოსადმი. სინამდვილის ეს კლასიფიკაცია, მართალია, დასაწყისში რელატივისტურია, ინდივიდის მოთხოვნილების მიხედვით ხდება და არა რაიმე ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე, მაგრამ ამ პირველადი, პრაგმატისტური კატეგორიზაციის საშუალებით ინდივიდი გარკვეული დონით მაინც ასახავს გარემოს.

ადამიანის ურთიერთობა სინამდვილის მიმართ ამ პრაგმატისტური დამოკიდებულებით არ ამოიწურება, მაგრამ ამ ურთიერთობის გათვალისწინების საფუძველზე ადამიანური აქტიობის მრავალი თავისებურება ხდება შესაძლებელი. ადამიანს სინამდვილის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება გააჩნია, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელია ადამიანის სპეციფიკის დახასიათება.

ამრიგად, ინდივიდისა და სინამდვილის კავშირურთიერთობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც წმინდა ბიოლოგიური დამოკიდებულებისაგან განსხვავებული ურთიერთობა, რომლის აღსანიშნავადაც ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება გამოიყენება. ინდივიდისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობის ამ სპეციფიკური ფორმის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, მატერიალური გაცვლისაგან განსხვავებით, ამასთანავე, ე. წ. ფუნქციონალურ გაცვლასაც გულისხმობს, რაც სელექციური, შერჩევითი ასახვის ცნებით უნდა დახასიათდეს. ეს ურთიერთობა ყოველთვის არ ხორციელდება ინდივიდსა და საგნობრივ სინამდვილეს შორის, როდესაც:

მათ შორის ფიზიკურ და ბიოლოგიურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი. ამგვარი ურთიერთობა სინამდვილესა და ინდივიდს შორის მაშინ აღმოცენდება, როდესაც ადგილი აქვს შინაარსეულ შესატყვისობას, თავსებადობას ინდივიდის მოთხოვნილებასა და გარემოს საგნებს შორის. ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობის ამ ფორმის საფუძველზე ახერხებს გაუცნობიერებელი მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას. დამოკიდებულების ეს ფორმა არაა ცნობიერი, პრაგმატიკული ფსიქიკური ურთიერთობის სახით შეიძლება დახასიათდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ურთიერთობის ეს ფორმა ფსიქიკურად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამგვარ დავას, რადგან ის, ვინც მხოლოდ ცნობიერ პროცესებს მიიჩნევს ფსიქიკურად, ამით არ უარყოფს ინდივიდისა და საგნის ურთიერთობის სპეციფიკურობას.

ადამიანის ურთიერთობა სინამდვილესთან არც ამ არაა ცნობიერი პრაგმატიკულ-ასახვითი დამოკიდებულებით ამოიწურება, მაგრამ ადამიანური აქტიობის მრავალი თავისებურება ამგვარი ურთიერთობის პროცესში ყალიბდება.

ადამიანს გაუცნობიერებელი ფსიქიკური ურთიერთობის გარდა სინამდვილისადმი ცნობიერი დამოკიდებულებაც გააჩნია, რომლის ვათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ადამიანის სპეციფიკის დახასიათება.

1. 1. 8. ადამიანის ცნობიერი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, როგორც ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა

სინამდვილის უფრო ობიექტური და ორგანიზებული ასახვის საჭიროება ადამიანთა სოციალური ცხოვრების პირობებში ჩნდება. სოციალური ურთიერთობის პროცესში, როდესაც ინდივიდი იძულებული ხდება, რომ თავისი და სხვისი ფსიქიკური აქტიობა კოლექტიური საქმიანობის ობიექტისადმი მიმართოს, ჩნდება პირობები ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დიფერენცირებისა და გართულებისა. კოლექტიური საქმიანობა ადამიანებს სინამდვილის უფრო სრული ასახვისა და აზრების ურთიერთშორის გაზიარების საჭიროების წინაშე აყენებს. ფსიქიკური სინამდვილის ეს შემდგომი დიფერენციაციის პროცესი ე. წ. ობიექტივაციის უნარსა და ცნობიერების ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. სინამდვილის ობიექტივაცია და გაცნობიერება მისი განწყობისეული ასახვის უკმარისობის პირობებში ხდება საჭირო¹. რო-

¹ ე. წ. ნ. ა. მ. ყურადღების არსის პრობლემებისათვის, „ფსიქოლოგია“, ტ. 4, 1947.

დესაც განწყობისეული აქტიობის დროს, სინამდვილის არასაკმარისი ასახვის გამო, ადამიანები დაბრკოლებას აწყდებიან და შეუძლებელი ხდება პრაქტიკული საქმიანობის შემდგომი ნაყოფიერი გაგრძელება, ისინი წყვეტენ პრაქტიკულ საქმიანობას. ამ დროს ადამიანები ქცევის დამაბრკოლებელი საგნების ობიექტივაციას ახდენენ. მათ უჩნდებათ კითხვა — „რა არის ეს?“, ეს კი ხელს უშლის ქცევას. ის ფსიქიკური აქტი, რომელიც პასუხს სცემს ამ კითხვას, არის ადამიანის ცნობიერი, თეორეტიკული აქტიობა. ამ დროს ადამიანი სინამდვილესთან „შემეცნებით დამოკიდებულებას“ ამყარებს. სინამდვილის შემეცნების, გააზრების შემდეგ ადამიანი გაცნობიერებულ მიზანშეწონილ ქცევას მიმართავს. მისი უუზუმოქმედება სინამდვილის მიმართ გაცნობიერებული ხასიათისა ხდება.

ადამიანის ცნობიერი ფსიქიკური აქტიობა შეზღვევი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება:

ა) განსხვავებით ადამიანის გაუცნობიერებელი ფსიქიკური დამოკიდებულებისაგან. ცნობიერი ურთიერთობის საფუძველზე ადამიანი სინამდვილიდან გამოყოფს საგნებს, მოვლენებს და თავისი შემეცნების ობიექტებად აქცევს.

ბ) ფსიქიკური აქტიობის ამ დონეზე მთლიანი პრაქტიკული ქცვიდან ხდება არა მხოლოდ შემეცნების ობიექტების გამოყოფა, არამედ იქმნება პირობები იმისთვისაც, რომ ინდივიდმა თავისი თავიც გამოყოფს გარემო სინამდვილიდან. ინდივიდი ამ დროს თავისთავს განიცდის როგორც სუბიექტს და უკალიბდება წარმოდგენა „მე“-ს შესახებ.

გ) ფსიქიკური აქტიობის ამ დონეზე ხდება არა მხოლოდ სუბიექტივაცია-ობიექტივაციის პროცესი, ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობისაგან დიფერენცირება, არამედ ამავე დროს ადგილი აქვს სუბიექტისა და ობიექტის კავშირურთიერთობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებას, რაც „შემეცნებითი დამოკიდებულების“ სახეს იღებს. ამ ურთიერთობის დახასიათება ხდება ცნობიერების ცნებით და მისი დაყვანა ურთიერთობის სხვა ფორმებზე შეუძლებელია.

სინამდვილისადმი ცნობიერი დამოკიდებულება ადამიანის ერთი სპეციფიკური თავისებურებაა. სინამდვილისადმი ამგვარი ურთიერთობა ადამიანს, როგორც სუბიექტს. საშუალებას აძლევს სინამდვილე წარმოიდგინოს, როგორც არა მხოლოდ უშუალოდ და რეალურად მოცემული სიტუაცია, არამედ როგორც ამჟამად მოცემული, კონკრეტულ სიტუაციასთან ერთიანობაში მყოფა შესაძლებლობების მთლიანი სისტემა. ცნობიერების მქონე სუბიექტის აქტივობაზე რეალურად ზემოქმედი ობიექტების გარდა შესაძლებელი და მოსალოდნელი მოვლენებიც ახდენენ რეალურ გავლენას. რომელთა მოცემულობა, როგორც მოსალოდნელი ობიექტებისა. ცნობიერების აქტიო-

ბის საფუძველზე ხდება შესაძლებელი. რეალური ობიექტები შესაძლებლობათა მთელი სისტემის საფუძველზე სუბიექტის მიერ განიცდება, როგორც მისდამი დაპირისპირებული ობიექტური სინამდვილე. სინამდვილისადმი ცნობიერი ორიენტაციის გამო შესაძლებელი მოვლენები და წარმოსახული ობიექტები სუბიექტის აქტიობაზე ისეთსავე რეალურ ზემოქმედებას ახდენენ, როგორც რეალურად მოცემული გრძობადი საგნები.

სინამდვილის გაცნობიერება ობიექტისადმი სუბიექტის დამოკიდებულების სპეციფიკური ფორმაა. ცნობიერების ბუნების გარკვევის შემდეგ ნათელი ეფინება ადამიანური აქტიობის მრავალ სპეციფიკურ მხარეს, მაგრამ სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის სპეციფიკა დამოკიდებულების არც ამ ფორმით ამოიწურება. სინამდვილე, რომელსაც ადამიანი, როგორც სუბიექტი, უპირისპირდება, მხოლოდ ობიექტების ერთობლიობა არაა. სუბიექტისათვის სინამდვილე, რომელსაც იგი უპირისპირდება, საგნობრივი ობიექტების გარდა სხვა ადამიანებისგანაც შედგება. სუბიექტის მიერ სხვა ადამიანები ფიზიკური ობიექტებისაგან განსხვავებული სტიმულების სახით განიცდება. სპეციალური ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ თვით ინდივიდის გაუცნობიერებელ ფსიქიკურ აქტიობაზე სხვა ინდივიდები, ფიზიკური საგნებისაგან განსხვავებით, სპეციფიკურ ზემოქმედებას ახდენენ. ინდივიდის ქცევის სიტუაციაში სხვა ინდივიდის არსებობა, „დასწრება“ სპეციფიკურ ეფექტებს გვაძლევს. ეს მოვლენები სოციალურ ფსიქოლოგიაში „თანაარსებობისა“ და „თანააქტიობის“ ეფექტების სახელით არის ცნობილი. ადამიანს სოციალური ურთიერთობების პროცესში კიდევ უფრო სპეციფიკური ურთიერთობა უმუშავდება სხვა ადამიანების მიმართ, რომელიც ვერ გაიგივდება სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობასთან. ამ ურთიერთობას სოციალურ ფსიქოლოგიაში ხშირად „პიროვნულ ურთიერთქმედებას“ უწოდებენ.

1. 1. 6. პიროვნული ურთიერთობების, როგორც ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ფორმა

ადამიანთა როგორც პიროვნებების ურთიერთობა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. პიროვნული ურთიერთქმედების თავისებურებანი შეუძლებელია დაყვანილ იქნეს ჩვენ მიერ აქამდე განხილულ მოვლენათა ურთიერთობის რომელიმე ფორმაზე. ურთიერთქმედების ამ ფორმას საკუთარი შინაარსი გააჩნია და მისი ბუნების დახასიათება სათანადო ცნებათა გამოყენებით არის შესაძლებელი.

ადამიანის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით განხილვის დროს სშ-

რად მისი ისეთი აქტიობა აქვთ მხედველობაში. რაც სინამდვილის მართ მის მხოლოდ ასახვით და შემეცნებით დამოკიდებულებებს გულისხმობს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადამიანი სოციალური არსებაა და ამიტომ მისი ბუნების განსაზღვრის დროს ეს მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ადამიანის სოციალური ქცევის ბუნების გაგებისათვის საჭირო ხდება ე. წ. სოციალური გარემოსა და სოციალური „მოლოდინების“ ცნებათა დახასიათება.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ინდივიდის გარკვეული ქცევის დროს გამოიყენება ქცევის „აგების“ რთული ფსიქოლოგიური მექანიზმები. უზნაძის განწყობის თეორიაში ექსპერიმენტულად სწორედ ეს ფსიქოლოგიური მექანიზმი იქნა შესწავლილი. სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მიზანშეწონილი ქცევის „აგების“ პროცესში, აქტიობის განწყობისეული მექანიზმის გამოყენების დროს, ხდება არა მხოლოდ ინდივიდის მოთხოვნილებათა და მასთან დაკავშირებული ობიექტების ამყარებლად მოცემულ მდგომარეობათა გათვალისწინება, არამედ სიტუაციის ის შესაძლო გარდაქმნებიც, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში დიდი ალბათობით არის მოსალოდნელი. სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ინდივიდს ექმნება შესაძლო მდგომარეობათა მოლოდინები, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში ხდება ხოლმე. მაგალითად, ყინულზე სიარულის დროს ინდივიდს აქვს მოლოდინი, რომ მას შეიძლება ფეხი დაუცურდეს და ამის გამო ისე მოძრაობს, რომ წინასწარ აცილოს მოსალოდნელი მარცხი. მაგალითად, ცხოველისათვის წინასწარ არსებობს განწყობისეული მოლოდინი იმისა, რომ საგანი, როდესაც არაფერს ეყრდნობა, ძირს ვარდება. ამიტომ გარკვეულ მანძილზე გადახტომისათვის ის აბდენს მიზიდულობის ძალისა და ნახტომისათვის საჭირო ძალის ურთიერთთან შეფარდებას. ასევე ჩვენ, მაგალითად, გვაქვს გარკვეული მოლოდინი, თუ რა სიმძიმისა უნდა იყოს ის საგანი, რომლის აწევასაც ვაპირებთ. ამის გამო ამ საგნის აწევის დროს გარკვეული ძალის იმპულსს ვიყენებთ.

ადამიანს, როგორც წესი, გაცნობიერებული არცა აქვს ამგვარი მოლოდინები, მაგრამ მათი არსებობა სრულიად ნათელი ხდება, როდესაც ეს მოლოდინები არ მართლდება, ყალბი აღმოჩნდება. ამ მდგომარეობის ნათელ დადასტურებას ე. წ. შარპანტიეს ილუზია წარმოადგენს. შარპანტიეს ილუზიას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში. როდესაც ადამიანი მადლა სწევს ისეთ საგანს, რომლის ზომა სრულიად არ შეესაბამება მის მოსალოდნელ სიმძიმეს. მაგალითად, რკინის დიდი მასის აწევისას, რომელსაც თურმე შეგნით დიდი ღრუ ჰქონია და ფაქტიურად ძალიან მსუბუქი ყოფილა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ადამიანი გრძობს, რომ ეს ტვირთი თითქოს თავისი მიუღიანავს

ზევით“, ირკვევა, რომ ადამიანს ამ შემთხვევაში ასაწევი ობიექტი მის ფაქტიურ წონასთან შედარებით უფრო მსუბუქად ეჩვენება. საწინააღმდეგო შემთხვევაშიც იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე; მაგალითად, ხის პატარა ნაპრის აწევის დროს, რომლის შიგნით ტყვიის მასაა მოთავსებული და თავის ზომასთან შედარებით უჩვეულოდ მძიმეა. ჩადამიანს ეს ობიექტი მის ფაქტიურ წონაზე უფრო მძიმედ ეჩვენება. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე უზნაძემ ცხადყო, რომ ამგვარი მოლოდინები ობიექტების მიმართ ინდივიდის განწყობებს წარმოადგენენ და მათი ზემოქმედება ინდივიდის ქცევაზე ცნობიერების გარეშე, ცნობიერების საფუძველად მდებარე განწყობისეული მექანიზმების საშუალებით ხდება.

ასეთი მოლოდინები — განწყობები, სუბიექტს, როგორც წესი, გაცნობიერებული არა აქვს, ამიტომ მას შეიძლება განწყობისეული პროგნოზირება ეწოდოს. განწყობის ამ თავისებურებას, უზნაძის განწყობის თეორიის გავლენით, ფეინბერგმა მიაქცია საგანგებო ყურადღება და მას ტვინის „ალბათობითი პროგნოზირების“ უნარი უწოდა¹. განწყობისეული პროგნოზირების ეს ფენომენი, როგორც „მოლოდინის პრიმიტიული ფორმა“, ინდივიდის სინამდვილისადმი ასახვითი დამოკიდებულების ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს. განწყობისეული პროგნოზირება სინამდვილისადმი ასახვითი დამოკიდებულების ერთ-ერთი არსებითი მომენტია. ის სინამდვილის დინამიკურ მომენტს ასახავს. ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევაში ამგვარი მოლოდინებიცაა გათვალისწინებული.

აქტიობის სპეციფიკურ ადამიანურ დონეზე მოლოდინის ფენომენი სპეციფიკურ ხასიათს იღებს და ადამიანის სოციალური ქცევის კანონზომიერებათა არსებით მხარეს გამოხატავს. სინამდვილის საგნებასა და მოვლენების მიმართ ასახვით და შემეცნებით დამოკიდებულებაში მოლოდინები ცალმხრიობით, ერთმიმართულებიანობით ხასიათდება. ცნობიერების აქტიობის დონეზე ადამიანები, მართალია, უკვე ხშირად აცნობიერებენ თავიანთ დამოკიდებულებას გარემოსთან. მათ უკვე შემეცნებითი დამოკიდებულება უმუშავდებათ სინამდვილის ობიექტების მიმართ, მაგრამ მათი მოლოდინები ისევე ცალმხრივი, ერთი მიმართულებისაა. ეს მოლოდინები სუბიექტიდან ობიექტისკენაა მიმართული; სუბიექტი თავისი ქცევის განხორციელების დროს ითვალისწინებს იმას, რაც ობიექტისაგან არის მოსალოდნელი. მაგრამ ამ სახის მოლოდინების გარდა არსებობს სპეციფიკური სახის სოციალური მოლოდინები, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობის პრო-

¹ Фейгенберг И. М., Вероятностное прогнозирование в деятельности человека, ж. «Вопросы психологии», 1963, № 2, стр. 59—68.


ცესში ყალიბდებიან. სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანებს უმუშავდებათ გარკვეული სახის მოლოდინები ერთმანეთის მიმართ. ადამიანები ერთმანეთზე, ცხადია, უშუალო ზემოქმედებას ახდენენ, მაგრამ ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენს ის მოლოდინებიც, რომლებიც მას სხვა ადამიანების მიმართ აქვს. როდესაც პიროვნებას მეორე ადამიანისაგან, გარკვეულ სიტუაციებში, არამორალური ქცევის მოლოდინი აქვს. ასეთ შემთხვევაში იგი სრულიად სხვაგვარად იქცევა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მას მეორე ადამიანისაგან მაღალი მორალური ქცევის მოლოდინი აქვს.

სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, სუბიექტ-სუბიექტის დამოკიდებულებაში ორმხრივი მოლოდინი აღმოცენდება. ინდივიდის მოლოდინები საგნების მიმართ ცალმხრივი. ხოლო სუბიექტის მოლოდინები სხვა სუბიექტის მიმართ ორმხრივი მიმართულებით ხასიათდება. სუბიექტის მოლოდინები საგნის მოქმედების მიმართ, როგორც ცალმხრივი მიმართულებას ნქონე მოვლენა. შეიძლება შემდეგნაირად გამოცხადოს:

$$S \text{-----} O$$

მოლოდინები სუბიექტ-ობიექტის ასახვით დამოკიდებულებებში

უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება სუბიექტის მოლოდინები მეორე სუბიექტის მიმართ:




მოლოდინები სუბიექტ-სუბიექტის სოციალურ დამოკიდებულებაში

სოციალური დამოკიდებულების დროს ერთი სუბიექტისათვის (S_1) მეორე სუბიექტი ობიექტს წარმოადგენს და როგორც ყოველი ობიექტის მიმართ (მაგალითად O -სადმი) მას გარკვეული მოლოდინები უმუშავდება. მაგრამ მეორე (S_2) სუბიექტი, თავის მხრივ ისეთსავე დამოკიდებულებას ამჟღავნებს პირველი სუბიექტის (S_1) მიმართ.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა სოციალურ ურთიერთობაში მოლოდინების ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული კონფიგურაციით არ ამოწურება. მათ

ურთიერთობის შემდგომი სირთულე იმითაა გაპირობებული, რომ სოციალურ ქცევაში ხდება არა მხოლოდ იმ მოლოდინების გათვალისწინება, რომელიც სუბიექტს აქვს სხვის მიმართ, არამედ იმათიც, რაც მის მიმართ აქვს მეორე სუბიექტს. ამის გამო მოლოდინების სტრუქტურა ფაქტიურად უფრო რთულ სახეს იღებს, ვიდრე ის წინა სქემაში იყო გამოხატული. ადამიანთა სოციალურ დაპოკიდებულებაში მოლოდინების რეალურ-სტრუქტურა შემდეგი ფორმით ხასიათდება:



ადამიანთა მოლოდინების სისტემა

ამ სქემაში წარმოდგენილი ისრები შემდეგ მოლოდინებს გამოხატავს: I S_1 -ის მოლოდინები S_2 -ის მიმართ; II S_2 -ის მოლოდინები S_1 -ის მიმართ, III მოლოდინები, რომლებიც S_1 -მა იცის, რომ S_2 -ს აქვს S_1 -ის მიმართ და IV მოლოდინები, რომლებიც S_2 -მ იცის, რომ S_1 -ს აქვს S_2 -ის მიმართ.

მოლოდინების ყველა ამ კომპონენტს გარკვეული როლი ენიჭება ადამიანის სოციალური ქცევის „აგების“ დროს. უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით შესაძლებელია ერთმანეთში აირიოს. გაიგივდეს ის მოლოდინები, რომლებიც S_2 -ს აქვს S_1 -ის მიმართ (II) და მოლოდინები, რომლებიც S_1 -მა იცის, რომ S_2 -ს აქვს S_1 -ის მიმართ (III). ასევე შეიძლება გაიგივებულ იქნეს I და IV შემთხვევაში. მაგრამ, ცხადია, ეს შეცდომა იქნებოდა. შესაძლებელია სრულიად განსხვავდებოდნენ ის მოლოდინები, რომლებიც S_1 -ს აქვს S_2 -ის მიმართ იმ მოლოდინებისაგან, რომლებიც S_2 -ს ჰგონია, რომ S_1 -ს აქვს მის მიმართ. თუ S_1 -ს S_2 -ის მიმართ აქვს, ვთქვათ, A სახის მოლოდინი, მაგრამ S_2 -ს ჰგონია, რომ S_1 -ს მის მიმართ გააჩნია B სახის მოლოდინი. ამ შემთხვევაში S_2 -ის ქცევის განმსაზღვრელი იქნება არა ის ფაქტიური A მოლოდინი, რომელიც მის მიმართ S_1 -ს აქვს, არამედ ის B სახის მოლოდინი, რომელიც S_2 -ს ჰგონია, რომ მის მიმართ S_1 -ს აქვს.

ამრიგად, ირკვევა. რომ ადამიანის ქცევის მიმდინარეობაზე ობიექტებისა და ადამიანების უშუალო ზემოქმედების გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის მოლოდინები, რომლებიც ადამიანებს მათ

მიმართ ვააჩნიათ. ობიექტების მიმართ ცალმხრივი მიმართულების მქონე მოლოდინები, როგორც აღნიშნული იყო, ინდივიდმა შეიძლება გაუცნობიერებლად შეიძინოს და არაცნობიერად ჰქონდეს, მაგრამ ორმხრივი სოციალური მოლოდინები შეუძლებელია ადამიანს გაუცნობიერებლად ჩამოუყალიბდეს. ცნობიერების გარეშე შეუძლებელია ისეთი მოლოდინის შემუშავება, როგორცაა „მოლოდინები, რომლებიც S₁-ს ჰგონია, რომ S₂-ს აქვს მის მიმართ“, რადგანაც მასში ისეთი აბსტრაქტულ-მიმართებითი მომენტია ნაგულისხმევი, რომელიც პერცეპტული გრძნობადი სახით არ შეიძლება იყოს მოცემული, მისი გაგება ამ არათვალსაჩინო მიმართებითი მომენტის გაცნობიერებას მოითხოვს. ორმხრივი სოციალური მოლოდინების გამომუშავება ხდება ინდივიდის განწყობისეული ქცევიდან ობიექტის, სხვა ადამიანისა და თავისთავის გამოდიფერენცირების შემდეგ. კიდევ მეტიც, სოციალური მოლოდინების ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არაა არც მხოლოდ ობიექტივაციის უნარის არსებობა. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ სოციალური მოლოდინების ჩამოყალიბება გარდამავალ ასაკში იწყება. სოციალური მოლოდინები ადამიანის სოციალიზაციის მხოლოდ ბოლო სტადიაზე იქცევა ქცევის დეტერმინანტად, რაც მისი საბოლოო ფორმირების გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული¹. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური მოლოდინების ჩამოყალიბება ფსიქიკური აქტიობის მხოლოდ უმაღლეს დონეზეა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალური მოლოდინების ფორმირებისათვის აუცილებელია ობიექტივაციისა და ცნობიერების მოშველიება, მაგრამ ჩამოყალიბების შემდეგ მისი მოქმედებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი არაა ამ მოლოდინების გაცნობიერება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებათა ურთიერთქმედება წარმოადგენს მოვლენათა ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც თავისი საკუთარი სპეციალური შინაარსით ხასიათდება; მისი ბუნების გაგებისა და დახასიათებისათვის ცნებათა გარკვეული სისტემა უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.

მოვლენათა ურთიერთობის ფორმათა ჩვენთვის საკმარისი, მაგრამ თავისთავად ამ არასრული სიის წარმოდგენის შემდეგ, ჩვენ წინაშე დგება ამოცანა გავარკვიოთ, მოვლენათა ურთიერთობის რა ფორმებს სწავლობს ფსიქოლოგია და რა ზოგადი კატეგორიები უნდა იქნეს გამოყენებული მის მიერ თავისი საგნის შესწავლის დროს.

თავისთავად ცხადია, რომ მოვლენათა ფიზიკური და წმინდა ბიო-

¹ მ. გ. მ. ე. ლ. უ. რ. ი., სოციალური მოლოდინების მოტივაციური მნიშვნელობის საკითხები, თბილისი, 1968.

ლოგიური ურთიერთობის ფორმები ფსიქოლოგიის შესწავლის საგანს არ წარმოადგენენ. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ინდივიდის ასახვითი დამოკიდებულება (პრაქტიკული ურთიერთობა გარემოსადმი, სუბიექტის შემეცნებითი დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილის მიმართ), ასევე პიროვნებათა ურთიერთქმედება მთლიანად ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს წარმოადგენს. ადამიანური აქტიობის პროცესში რეალიზებული ყოველგვარი კანონზომიერება ფსიქოლოგიის შესასწავლ ობიექტს არ წარმოადგენს. ყველა ეს კანონზომიერება ფსიქოლოგიის შესასწავლი საგანი რომ იყოს, მაშინ ისეთი მეცნიერებანი, როგორებიცაა უმაღლესი ნერვული სისტემის ფიზიოლოგია, ლოგიკა, ესთეტიკა, ეთიკა, სოციოლოგია, შემეცნების თეორია, ანთროპოლოგია და სხვა ფსიქოლოგიის დარგებად უნდა ჩაგვეთვალა. მეცნიერების ისტორიაში ზოგჯერ აქვს კიდევ ადგილი ფსიქოლოგიის საზღვრების ასეთ გაფართოებას, რაც ფილოსოფიაში ფსიქოლოგიზმის სახელწოდებით არის ცნობილი. ზოგჯერ ნაწილობრივი ფსიქოლოგიზმის შემთხვევებიც გვხვდება, რომლის დროსაც, მაგალითად, მხოლოდ ესთეტიკის, ლოგიკის ან რომელიმე მეცნიერების შემოტანა ხდება ფსიქოლოგიის შესასწავლი საგნის ფარგლებში. როგორც ნაწილობრივი, ისე აბსოლუტური ფსიქოლოგიზმი უარყოფით გავლენას ახდენს ფსიქოლოგიისა და იმ მეცნიერების განვითარებაზე. რომელზეც ვრცელდება ფსიქოლოგიის კომპეტენცია.

ფსიქოლოგიის შესასწავლი კანონზომიერებანი არსებობს ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის სფეროში, მაგრამ მასში რეალიზებული ყოველგვარი კანონზომიერება არაა ფსიქოლოგიის შესასწავლი საგანი. სინამდვილისა და ადამიანის (ინდივიდის, სუბიექტის, პიროვნების) ურთიერთობაში არსებობს კანონზომიერებათა გარკვეული კლასი. რომელიც თავისთავად, მეცნიერების ერთი მთლიანი ობიექტის ფსიქიკის სახით შეიძლება იქნეს განხილული: რით ხასიათდება ფსიქიკა, როგორც რეალობა, რომელშიც რეალიზებული კანონზომიერების შემეცნება ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს?

ა) ფსიქიკა ადამიანისა და საზოგადოდ ცოცხალი ინდივიდის აქტუალური მდგომარეობაა, რომელიც აღმოცენდება სინამდვილესთან მისი ურთიერთობის პროცესში. ეს მდგომარეობა რიგი ნიშნებით ხასიათდება, რომელთა გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია მისი ბუნების გარკვევა. ფსიქიკა, როგორც ადამიანის აქტუალური მდგომარეობა, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს ადამიანის სპეციფიკურ ასახვით დამოკიდებულებას სინამდვილის მიმართ. ფსიქიკურის ამ თავისებურების გამო, მისი ანალიზის დროს ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩინებ ხოლმე იმ საგნობრივ შინაარსებს, რომელთა შემოქმედების შედეგად ხდება ფსიქიკურ პროცესთა აღმოცენება.

ბ) ფსიქიკის, როგორც სინამდვილისადმი ასახვითი დამოკიდებულების, გამომხატველი აქტუალური მდგომარეობის მეორე სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იგი სინამდვილეს სელექციურად, ინდივიდის გარკვეული ზოგადი მდგომარეობის მიხედვით ასახავს. როგორც ცნობილია, სინამდვილის ყოველგვარი ზემოქმედება არ ასახება ინდივიდის მიერ. ინდივიდს სინამდვილის ისეთი ზემოქმედების საპასუხოდ უჩნდება ფსიქიკური აქტიობა, რომელიც მის სასიცოცხლო პროცესებთან არის დაკავშირებული. ფსიქიკა სინამდვილის მიმართ პრაგმატისტურ ასახვით დამოკიდებულებაში იმყოფება და ამიტომ ფსიქიკური შესაძლებელია ყოველთვის არ ჩქლეოდეს სინამდვილის ქვეშარტას ასახვას. ფსიქოლოგიის მიერ ერთნაირი ინტერესით შეისწავლება ფსიქიკური პროცესების აღმოცენებისა და რეალიზაციის კანონზომიერებანი იმის მიუხედავად, მათში ქვეშარტად არის ასახული სინამდვილის ზემოქმედება თუ ყალბად. ქვეშარტების პირობებისა და კრიტერიუმების დადგენა, ფსიქოლოგიისაგან განსხვავებით, შემეცნების თეორიის საგანს შეადგენს და ფსიქოლოგია მისგან დამოუკიდებელ მეცნიერებას წარმოადგენს.

გ) ფსიქიკის მესამე არსებით ნიშანს ის წარმოადგენს. რომ, თუმცა იგი სინამდვილის ასახვის სახით არსებობს, იგი ეპიტენომენალური მოვლენა მაინც არაა. ფსიქიკა ნამდვილობით ხასიათდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ქცევაზე მის რეალურ გავლენაში მკლავნდება. სულ ერთია, ფსიქიკური აქტიობა სხვა ადამიანის ქცევაში ჩანს. თუ თვითდაკვირვების გზით სუბიექტის ცნობიერი აქტიობის სახით განიცდება, იგი გარკვეულ რეალურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე. ფსიქიკა არა ეპიტენომენალურია. არამედ ქმედითი ღენომენალური მოვლენაა. ფსიქიკური ისეთი ასახვითი აქტიობაა, რომელიც თავის მხრივ გარკვეულ რეალურ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე.

დ) ფსიქიკის შემდგომი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ამსახველობისა და რეალობის ნიშნების ერთღროულად მქონე მოვლენა, ორგვარ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. ეგი, ერთი მხრივ, რეალურ მიზეზობრივ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე და, მეორე მხრივ, ქცევას მიზანსწრაფულ ხასიათს აძლევს. უზნაქემ საგანგებო ყურადღება მიაქცია ფსიქიკის ამ თავისებურებას. მან განწყობა, როგორც ინდივიდის მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობა, დაახასიათა ქცევის მიზეზშედგობრივ ჯაჭვში ჩართულ რეალურ მოვლენად, რომელიც ამავე დროს ქცევას მიზანშეწონილი მიმდინარეობის თვისებას ანიჭებს. რადგან ფსიქიკა ინდივიდის გარემოსა და შინაგანი მდგომარეობის თავისებურების ასახვა და იგი ამავე დროს ინდივიდის ქცევაზე რეალურად ზემოქმედებს. ამიტომ ინდივიდი ახერხებს გარემოსადმი ადაპტირებული ქცევის შესრულებას. ფსიქიკის

აღნიშნული თვისებების გამო ახერხებს ადამიანი სინამდვილისადმი შეგუებას.

ე) ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური აქტიობა ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის პროცესში ყალიბდება და სპეციფიკურ-ადამიანური ქცევის რეგულაციას ემსახურება. მაგრამ მისი კანონზომიერებანი, რომლის შესწავლასაც ფსიქოლოგია ცდილობს, ისეთივე ობიექტურობითა და რეალურობით ხასიათდება, როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერების კანონები.

ფსიქიკის ამ ზოგადი დაბასიათების შემდეგ ჩვენ ისევ გვინდა მიუთითოთ იმაზე, რომ, როგორც დავინახეთ, ადამიანის ურთიერთობა სინამდვილისადმი და მისი აქტიობა რთული იერარქიული ფენებისა გან შედგება. ზოგადად, ფსიქიკა ადამიანის (და საზოგადოდ მოქმედის) ისეთი ასახვითი სახის აქტიობას წარმოადგენს, რომელიც საფუძვლად ედება მისი ქცევის მიზანშეწონილობას, მაგრამ ფსიქიკის ამ ძირითადი ფენის საფუძველზე ვითარდება და ყალიბდება უფრო განვითარებული და შემდგომში დიფერენცირებული სპეციფიკურ-ადამიანური ფსიქიკა. სპეციფიკურ-ადამიანური ფსიქიკა ადამიანის ისეთ აქტიობას წარმოადგენს, რომლითაც სინამდვილესთან მყარდება ცნობიერი და სოციალური დამოკიდებულება; მის საფუძველზე ადამიანს საშუალება ეძლევა მიზანშეწონილი, სოციალური სინამდვილისადმი ადაპტირებული ქცევის განხორციელებისა.

ადამიანის ფსიქიკის ამგვარი გაგება, ჩვენი აზრით, კარგად ეთანხმება უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის ძირითად პრინციპებს. სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრისა და მისი ცალკეული საკითხების გარჩევის დროს ჩვენ ყოველთვის სწორედ ამ პოზიციიდან გამოვალთ.

1. 2 სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების საკითხთა სფერო

სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე საკითხთა იმ წრის შემოფარგვლას, რომელსაც სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ემპირიულად იკვლევენ.

ცხადია, წმინდა ემპირიული გზით მეცნიერების საგნის გარკვევა შეუძლებელია. მხოლოდ არსებული მდგომარეობიდან გამოსვლით არ შეიძლება მეცნიერების საგნის განსაზღვრა. დღეს, ვინც თავს სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლად თვლის, ამ საგნის ზუსტი განსაზღვრების შემდეგ შესაძლებელია სოციალური ან ანთროპოლოგიის წარმომადგენელი აღმოჩნდეს. მაგრამ სოციალური ფსიქოლოგიის

რუბრიკაში გაერთიანებულ გამოკვლევათა სფეროს გარკვევას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ფსიქოლოგიის დაახლოებითი შემოფარგვლისათვის. სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები საბჭოურ ფსიქოლოგიაში, სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდამდე არ შეისწავლებოდა. სოციალური ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები ისტორიული მატერიალიზმის პრობლემებად ითვლებოდა, ხოლო მისი ემპირიული და ექსპერიმენტული შესასწავლი თემები არააქტუალურ საკითხებად იყო მიჩნეული. ზოგიერთი გამოჩენილი საბჭოთა ფსიქოლოგი აქტიურად ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ შეუძლებელია სოციალური ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის ცალკე დარგის, არსებობა. მაგალითად, რუბენშტეინი აქტიურად იცავდა იმ აზრს. რომ, რადგან ფსიქიკა, თავისთავად, სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, ამიტომ ზოგადი ფსიქოლოგიის გვერდით, რომელიც თითქოს სწორედ სოციალურ ფსიქიკას სწავლობს, საჭირო აღარ არის სოციალური ფსიქოლოგიის არსებობა¹.

ამის შედეგად ჩვენში შეუსწავლელი დარჩა სოციალურ ერთეულობათა და, საზოგადოდ, სოციალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად აღმოცენებული და ფორმირებული პიროვნული ფსიქიკური თავისებურებანი.

საზღვარგარეთულ სოციალურ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად ძირითადად ორი სფეროს საკითხები შეისწავლება. ესენია: ა) ერთი ინდივიდის ქცევის გავლენა მეორის ქცევაზე და ბ) ინდივიდთა ჯგუფში გავლენა ადამიანის ქცევაზე.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ არსებულ სოციალურ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში შეისწავლება ადამიანის ქცევაზე სოციალურ ფაქტორთა ზემოქმედების კანონზომიერებანი. ასეთ გამოკვლევებში, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ადამიანის ქცევაზეა ლაპარაკი და არაა ნათლად განხილული, თუ მკვლევარი ამ ქცევაში მოცემულ რომელ ფსიქიკურ პროცესს გულისხმობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევების მონაცემთა გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელი ხდება უფრო ღრმად იქნეს გაგებული ადამიანის ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებანი. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთული სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები თავისი გამოკვლევების შედეგთა მნიშვნელობას საკუთარი ფსიქოლოგიური თეორიების პოზიციიდან განიხილავენ. ამიტომ იძულებული ვიქნებით მათი მონაცემები ჩვენს პოზიციის, უზნაძისეული განწყობის თეორიის თვალსაზრისით დავალაგოთ და განვიხილოთ.

¹ Рубинштейн С. А., Бытие и сознание. М., 1957.

1. 3. მაცნიერების საგნის განსაზღვრის ზოგადმეთოდოლოგ. პიური პრინციპები

ამა თუ იმ მეცნიერების საგნის განსაზღვრის დროს, ჩვეულებრივ, ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო ზოგადმეთოდოლოგიური თვალსაზრისი იჩენს თავს, რომელთა შორის უკომპრომისო ბრძოლა ჩაღდება. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, მეცნიერების საგანთა დიფერენციაციის დროს თვით შესასწავლ საგნებს შორის არსებულ ობიექტურ სხვაობას უნდა დავეყრდნოთ. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, შეუძლებელია მეცნიერების საგნებს შორის არსებული სხვაობების შესახებ ასე აბსტრაქტულად ვილაპარაკოთ. ამ მეორე შეხედულების მიხედვით სხვადასხვა მეცნიერება ერთმანეთისაგან განსხვავდება იმ პოზიციით, რომელი თვალსაზრისიდანაც ისინი იკვლევენ სინამდვილეს. ამ განსხვავებულ მიდგომათა საფუძველზე ხდება არა მხოლოდ ცალკეულ მეცნიერებათა დიფერენცირება, არამედ მეცნიერების დარგების დაყოფაც. მრავალი უცხოელი სოციალური ფსიქოლოგის აზრით, სოციალური ფსიქოლოგიის, ისე როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის, შესასწავლი საგანი ადამიანის ქცევაა, მაგრამ ისინი ამ ქცევას სხვადასხვა თვალსაზრისით სწავლობენ. ეს პოზიცია კარგად არის გამოხატული ზეიონკის¹ ექსპერიმენტულ სოციალურ ფსიქოლოგიაში. მისი აზრით, ფსიქოლოგიის ყოველი დარგი ინდივიდის ქცევის ანალიზისა და მისი კანონზომიერების შესწავლას ემსახურება. მათ ერთი და იგივე შესასწავლი საგანი აქვთ, მაგრამ, მისი აზრით, ქცევა შეიძლება შესწავლილ იქნეს, როგორც სწავლის პროდუქტი ან მოტივაციით განსაზღვრული აქტიობა. სწავლის თვალსაზრისით ქცევის შესწავლის დროს მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად განიცდის ქცევა წარსული გამოცდილების გავლენას და რა კანონზომიერების საფუძველზე ხდება განმტკიცება და შენახვა, რათა შემდგომში საჭირო შემთხვევაში შესაბამისად იქნეს გამოყენებული. ქცევის ასეთი თვალსაზრისით შესწავლის შემთხვევაში საქმე გვაქვს სწავლის ფსიქოლოგიასთან და მისი სტრუქტურა. მისი შესწავლის მეთოდები, საერთო ორიენტაცია გაპირობებული იქნება კვლევის აღნიშნული თვალსაზრისით. იგივე ქცევა, მის მიხედვით, შესაძლებელია შევისწავლოთ მოტივების თვალსაზრისით. თუ ფსიქოლოგია ქცევას მოტივების თვალსაზრისით შეისწავლის. ის იძულებული იქნება გააანალიზოს სუბიექტის ქცევა. საპასუხო რეაქციები იმ ფსიქოლოგიური ცნებების საფუძველზე, რომლითაც შესაძლებელია ამ ქცევის აღმზრუნველ ან შემჯავებელ ფსიქიკურ მდგომარეობათა დახასიათება. ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგებად

¹ Zajonc R. B. Social Psychology. An Experimental Approach, Belmont, 1965.

დიფერენცირება. მისი აზრით, იმას არ ნიშნავს, რომ ეს დარგები სხვადასხვაგვარ ქცევას სწავლობენ. ინდივიდის ქცევას ისინი სხვადასხვა თვალსაზრისით იკვლევენ. მისი აზრით, ვირთხის რეაქცია, მაგალითად „T-ს მსგავს ლაბირინთში მარცხნივ შეხვევა“ შეიძლება გაანალიზდეს, როგორც გარკვეულ განმეორებათა ფუნქცია. ამისათვის გამოყენებული იქნება სწავლის ფსიქოლოგიის შესატყვისი ცნებათა სისტემა და მივიღებთ სწავლის ფსიქოლოგიას. ცხოველის იგივე ქცევა, „T-ს მსგავს ლაბირინთში მარცხნივ შეხვევის რეაქცია“ შეიძლება შევისწავლოთ, როგორც ცხოველის შინაგანი მდგომარეობის ინტენსიობის გამომხატველი. რამდენადაც ინტენსიურად შია ცხოველს, იმდენად ადვილად სწავლობს ლაბირინთში მარცხნივ მიხვევით საკვების მოძებნას. ამ ქცევის აღნიშნული თვალსაზრისით შესწავლის დროს გამოყენებული იქნება ცნებათა ის სისტემა, რომელიც მოტივაციის ფსიქოლოგიისათვის არის შესატყვისი და დამახასიათებელი. აღებული ქცევის ამ თვალსაზრისით შესწავლის დროს მივიღებთ მოტივაციის ფსიქოლოგიას.

აპრიგად. სხვადასხვა თვალსაზრისისათვის დამახასიათებელ ცნებათა სისტემის გამოყენებით შეგვიძლია ერთი და იგივე საკვლევი საგანი, ობიექტი შევისწავლოთ, როგორც ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა. თუ ვირთხის იმავე ქცევას, „T მსგავს ლაბირინთში მარცხნივ შეხვევას“, შევისწავლით იმ პირობებში, როდესაც ლაბირინთში მეორე ვირთხაც ზის. მაშინ ამ ქცევას სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით შევისწავლით და ჩვენ სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებად ვიქცევით.

მეცნიერებათა დარგების დიფერენციაციის ჩვენ მიერ გადმოცემული მეთოდი, რომელსაც სოციალური ფსიქოლოგიის გამოჩენილ მკვლევარი ზეიონკი იცავს, კარგად გამოხატავს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მეცნიერების დარგთა დიფერენციაცია შესწავლილი ობიექტების დიფერენცირების საფუძველზე კი არ უნდა მოხდეს. არამედ თვალსაზრისების შეცვლის მიხედვით. ასეთი შეხედულება საკმაოდ გავრცელებულია ფსიქოლოგიაში და მას ბევრი მიმდევარიც ჰყავს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ უცხოურ ფსიქოლოგიაშიც მრავალი მკვლევარი იცავს ფსიქოლოგიის დარგთა დიფერენციაციის იდეას თვით საკვლევ საგანში, ფსიქიკაში არსებული განსხვავებულობის საფუძველზე.

ჩვენი აზრითაც ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგთა დიფერენციაცია და ნაოგან სოციალური ფსიქოლოგიის გამოყოფა შესასწავლო საგნის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ფსიქიკაზე, როგორც შესასწავლ საგანზე, შეუძლებელია თვალსაზრისის შეცვლა და მის შესახებ ახალი დარგის შექმნა. აუ ასეთი დიფერენციაციის საფუძველი თვით შესასწავლ საგანში, ფსიქიკაში არაა მოცემული.

უზნაძემ ნებისყოფის საკითხის შესწავლისას¹ მოგვცა ფსიქიკური ქცევის ანალიზი. მან ცხადყო, რომ გარეგნულად ერთი და იგივე ფიზიკური ქცევა — „თეატრში წასვლა“, სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური ქცევა იყოს. აღმოჩნდა, რომ, მაგალითად, „თეატრში წასვლა“ სპექტაკლის ნახვის მიზნით სულ სხვა ფსიქოლოგიური ქცევაა, ვიდრე იგივე ფიზიკური მოქმედება, „თეატრში წასვლა“ — მეგობრებთან შეხვედრის მიზნით. შესაძლებელია ადამიანმა „თეატრში წასვლაზე“, როგორც სპექტაკლის ნახვაზე და ასევე იქ მეგობართან შეხვედრის ფსიქიკურ ქცევაზეც, უარი თქვას, მაგრამ „თეატრში წავიდეს“, თუ გაიგო, რომ იმ დღეს სპექტაკლში მისთვის საინტერესო მსახიობი თამაშობს. ამ შემთხვევაშიც ის სულ სხვაგვარ ფსიქიკურ ქცევას ახორციელებს, თუმცა გარეგნულად, ფიზიკურად ისიც „თეატრში წასვლით“ გამოიხატება.

აღნიშნული სხვადასხვა ფსიქიკური ქცევა ერთიმეორისაგან განსხვავდება არა იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა თვალსაზრისითაა განხილული, არამედ იმიტომ, რომ თავისთავადაც განსხვავებული ფსიქოლოგიური შინაარსებითა და სტრუქტურით ხასიათდებიან.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ფსიქოლოგიის საგანიც. სოციალური ფსიქიკური აქტიობა თავისთავად ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით, რომელიც უნდა შეისწავლოს სოციალურმა ფსიქოლოგიამ. ფსიქიკაში თავისთავად ამ მომენტის არსებობის გამო, შესაძლებელი ხდება მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა.

ჩვენ აქამდე განვიხილეთ ადამიანის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებანი, ვილაპარაკეთ იმ ძირითადი საკითხების შესახებ, რომლებსაც სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები შეისწავლიან, და, ბოლოს. შევეხეთ მეცნიერების იმ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისებს. რომლითაც უნდა მოხდეს მეცნიერების დარგთა დიფერენციაკია. ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება იმ საგნის განსაზღვრა, რაც უნდა შეისწავლოს სოციალურმა ფსიქოლოგიამ.

1. 4. სოციალური ფსიქოლოგიის საგანი

სოციალური ფსიქოლოგიის საგანს სოციალფსიქიკური აქტიობა წარმოადგენს, იგი ფსიქიკური აქტიობის სპეციფიკური სახეა და განსაკუთრებული, შინაარსობრივი და სტრუქტურული თავისებურებებით ხასიათდება. სოციალფსიქიკურ აქტიობის სპეციფიკა, რაც სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის ამოცანას წარმოადგენს, ადამიანის ფსი-

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 166—173.

ქიკას რეალურად, თავისთავად ახასიათებს და მისი კანონზომიერების რეალიზაცია ადამიანის სოციალური ქცევის პროცესში ხორციელდება. ამიტომ სოციალფსიქიკური აქტიობის ბუნების გარკვევისათვის საჭირო ხდება სოციალური ქცევის ანალიზი.

ადამიანის სოციალური ქცევის თავისებურებათა განსაზღვრისათვის ხშირად მისი საფუძვლებისა და წყაროს თავისებურებათა გარკვევას ცდილობენ. ამ დროს, სამწუხაროდ, როგორც წესი, ისეთი სტანდარტული და ჩვეული ფრაზები გამოიყენება, რომლებიც ფაქტიურად არაფერს იძლევა სოციალური ქცევის ბუნების დახასიათებისათვის. სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული ერთ-ერთი ასეთი შაბლონური ფრაზის მიხედვით ადამიანი სოციალურ ქცევას იმიტომ მიმართავს, რომ ის „სოციალურ ცხოველს წარმოადგენს“. ადამიანის სოციალობის ფსიქოლოგიური შინაარსის ანალიზის დროს, ჩვეულებრივ, იმის ნაცვლად, რომ სოციალობის ცნება გაირკვეს, თვითონ ეს ტერმინი გამოიყენება ხოლმე, როგორც ადამიანის სოციალობის საკითხთა ამხსნელი საშუალება. ჩვეულებრივ, უბრალოდ ამ სახელის მიწერის გზით ხდება ბევრი ადამიანური სოციალურ-ფსიქიკური საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად, ხშირად უბრალოდ აღნიშვნა, რომ ადამიანი არის „სოციალური ცხოველი“, ითვლება იმის ახსნად, თუ რატომ ქმნიან ადამიანები საზოგადოებას, თუ რა განსაზღვრავს ადამიანთა ჩგუფების, ამხანაგობებისა და სხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. ნამდვილად კი ფრაზა, რომ ადამიანი არის „სოციალური ცხოველი“, მეტს არაფერს ნიშნავს, რასაც ის, რომ იგი სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრობს ჩგუფში, საზოგადოებაში და სხვ. ამგვარი ტავტოლოგიური ფრაზები არავითარ დამატებით ცნობას არ იძლევა ადამიანის სოციალური ქცევის შესახებ. ადამიანის „სოციალური ცხოველის“ სახით დახასიათებას, რასაც ასე ხშირად მიმართავენ სოციალურ ფსიქოლოგიაში, ის ნაკლიც აქვს, რომ ხშირად მის მიხედვით სოციალობა ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიურ თვისებებთან დაკავშირებულ მოვლენად ვანიცდება. ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით, სოციალური ფსიქოლოგიის ზოგი წარმომადგენელი ადამიანის სოციალობის საფუძველს თანდაყოლილ ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ სტრუქტურაში ეძებს. მართალია, რომინზონები მარტობაშიც ადამიანური სოციალურ-ფსიქიკური აქტიობით ხასიათდებიან, მაგრამ მათ ეს თვისება ადამიანების საზოგადოებაში, გასოციალების პროცესში აქვთ შექმნილი და საეჭვოა, რომ დაბადებიდანვე ადამიანთა საზოგადოებისაგან იზოლირებული ინდივიდი სოციალურ-ფსიქიკური აქტიობით ხასიათდებოდეს.

ადამიანის სოციალური ქცევის თავისებურებათა გაგებას ხელს ვერ უწყობს ისეთი საკითხების განხილვაც, როგორცაა ის, თუ საიდან იღებს წყაროს ადამიანის სოციალური ქცევა, რას ეყრდნობა ადამიანი

ნის სოციალობა და სხვ. ეს პრობლემები იმ საკითხებზე უფრო რთული და ძნელია, რომლებზეც სოციალურ ფსიქოლოგიას შეუძლია პასუხის გაცემა. აღნიშნული პრობლემები არც წარმოადგენენ სოციალური ფსიქოლოგიის საკვლევ საკითხებს.

სოციალური ფსიქოლოგია, როგორც რეალურობის შესახებ არსებული მეცნიერება, გამოდის რეალობიდან და ცდილობს შეისწავლოს ადამიანის სოციალ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებანი, რომლებიც სოციალური ქცევის პროცესშია რეალიზებული. ფაქტია, რომ ადამიანი სოციალურ გარემოში ცხოვრობს, მას საზოგადოებაში უხდება ყოფნა და მოქმედება. საზოგადოებაში ცხოვრების გამო, ის იძულებული ხდება საკუთარი მოთხოვნილებებისა და საგნობრივი გარემოს მოთხოვნიების გარდა, ანგარიში გაუწიოს საზოგადოებას, სხვა ინდივიდებსაც. ადამიანი სოციალური ურთიერთობის პროცესში ქცევის განხორციელების დროს ამ მოთხოვნებს ითვალისწინებს და ემორჩილება. ადამიანის სოციალურ ქცევას განსაზღვრავს ფაქტორებისა და ცვლადების მთელი სისტემა. რომლის სტრუქტურული სახით ზემოქმედებას ის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში განიცდის. ამ ფაქტორთა და ცვლილებათა შინაარსისა და სტრუქტურის დახასიათების საფუძველზე შეიძლება საბოლოოდ გასაგები გაეხადოთ სოციალური ქცევის ბუნება, ის კანონზომიერებანი, რომლის საფუძველზეც იგი ხორციელდება.

სოციალური ქცევა ადამიანთა დამოკიდებულებებში ვლინდება. ამიტომ სოციალური ქცევის შესწავლა იმ მიმართულებათა გარკვევას გულისხმობს, რომლებიც ადამიანთა შორის არსებობს. ერთი ადამიანის ქცევა გარკვეულ გავლენას ახდენს მეორის ქცევაზე. მაგრამ ამ პროცესში ის ამავე დროს უკუგავლენასაც განიცდის. ამიტომ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება ფაქტიურად ისე უნდა გავიგოთ, როგორც -ქცევითი ურთიერთქმედება“.

ქცევათა ურთიერთდამოკიდებულებების კანონთა საფუძველზე შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ადამიანთა სოციალ-ფსიქიკური კანონზომიერებანი. რადგან სწორედ ამ კანონზომიერებათა საფუძველზე ხდება ადამიანთა სოციალური ქცევა და ქცევათა ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზირება. ადამიანების ქცევით ურთიერთდამოკიდებულებათა კოორდინაცია უცბათ, მეყსეულად არ ხორციელდება. ინდივიდის ქცევის კოორდინაცია სხვა ინდივიდების აქტიობასთან თანდათანობით მიიღწევა. ეს პროცესი ადამიანის სოციალიზაციას წარმოადგენს, მისი კანონზომიერების შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად ითვლება. სხვა ადამიანების აქტიობასთან საკუთარი ქცევის კოორდინირებას ინდივიდი, ცხადია, იმეტომ ცდილობს, რომ ის მათთან ერთად კოლექტიურ საქმიანობაში ერთიანდ-

ბა, როდესაც ის, როგორც სოციალური ჯგუფის წევრი, ერთი გარკვეული საზოგადოებრივი მიზნის მიღწევას ცდილობს. საერთო მიზნის მქონე კოლექტიური საქმიანობა კი ფუნქციათა განაწილებას და ქცევათა ურთიერთშეთანხმებას, კოორდინაციას მოითხოვს. სწორედ ასეთი ობიექტური მოთხოვნისა (რომელიც ინდივიდს გარედან სხვა ადამიანის სოციალური ზემოქმედების სახით ეძლევა) და შინაგანი საკუთარი მოთხოვნილებების საფუძველზე ხდება ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის სოციალიზაცია, სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის ჩამოყალიბება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანის სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებას, რომელიც მას სოციალურ გარემოში, ადამიანთა ჯგუფში „სოციალური დამოკიდებულების“ საფუძველზე უყალიბდება. ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობის კანონზომიერება ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში ფორმირდება და რეალიზდება. ამიტომ მათი გამოვლინება და შესწავლა ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში უნდა მოხდეს.

2. სოციალური ფსიქოლოგიის უმსახურავლი მეთოდები

სოციალური ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის დარგი, იმავე მეთოდებს იყენებს, რაც ზოგად ფსიქოლოგიაში ეყო ჩამოყალიბებული. მაგრამ მისი სპეციფიურობის გამო ზოგიერთ მეთოდს სოციალურ ფსიქოლოგიაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ზოგს კი ნაკლები.

2. 1. თვითდაკვირვება

როგორც ცნობილია, თვითდაკვირვება, გარესინამდვილე ადამიანის ქცევაზე, მის ფსიქიკურ კანონზომიერებაზე ზემოქმედების გზით ახდენს გავლენას. საგნები და მოვლენები ადამიანის ფსიქიკურ ორგანიზაციაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად ცვლის მას და ანგვარად შეცვლილი ადამიანი აწარმოებს ქცევასა და მოქმედებას. ამიტომ, რომ ადამიანის ქცევა გარესინამდვილის თავისებურებებთან ერთად იმ კანონზომიერებებითაც არის გაპირობებული, რითაც მისი ფსიქიკური აქტიობა ხასიათდება.

ადამიანის ფსიქიკური აქტიობა სუბიექტის დონეზე ცნობიერებით ხასიათდება. ადამიანი აცნობიერებს სინამდვილის ზოგიერთ საგანსა და მოვლენას, ზოგიერთ მოთხოვნილებას, მიზნებსა და ღირებულებებს. ცნობიერების ეს ფენომენები სათანადო გავლენას ახდენენ მის მოქმედებაზე. ადამიანები მოქმედებენ იმის მიხედვით, თუ რას ხედავენ, რას განიცდიან, რა სწამთ. ცნობიერების მოვლენების ღირებულება ქცევისათვის განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც ადამიანები შეცდომაში ვარდებიან, როდესაც ისინი ილუზიების საფუძველზე მოქმედებენ. მცდარი, ილუზიური ცნობიერების მოვლენები ისევე ეფექტურად იწვევენ ადამიანის აქტიობას, როგორც შესატყვისი, ვერიდიკალური ფსიქიკური მოვლენები. ცნობიერების ფენომენთა მცდარობის თუ სისწორის შესახებ მსჯელობა ობიექტური, ფიზიკური ევალსაზრისის საფუძველზე ხდება. ზოლო ფსიქიკური ევალსაზრისით ორივე სახის ფენომენი, ილუზორული და ვერიდიკალური განცდები კანონზომიერ და რეალურ მოვლენებს წარმოადგენს. მეტიც. ცნო-

ბიერების ილუზორულ ფენომენებში კიდევ უფრო კარგად ჩანს ფსიქიკურ კანონზომიერებათა თავისებურებანი. მაგალითად, მოკლე დისტანციაზე მორბენალ სპორტსმენს სტარტზე რაღაც ხმაური ხშირად მესტარტის ნიშანი ჰგონია და ამიტომ მცდარ სტარტს იღებს. მისი აღქმა გაპირობებულია შესატყვისი განწყობის მეტისმეტი აღგზნებით, რის გამოც ხდება მსგავსი გამლიზიანებლების ასიმილაცია. რასაც გამლიზიანებლის ილუზორული აღქმა მოსდევს. აღნიშნული ილუზორული აღქმა მოცემულ შემთხვევაში ხშირად განწყობის აგზნებისა და მსგავსების ზღურბლის დაწვევის კანონებით არის გაპირობებული, ხოლო სპორტსმენის ქცევა—მცდარი სტარტი მოცემული ილუზორული ვანცდის საფუძველზე ბორციელდება. ამ შემთხვევაში ილუზორული ცნობიერების ფენომენი ისევე იწვევს სუბიექტის ქცევით აქტიობას, როგორც სწორად ასახული გამლიზიანებელი, მესტარტის ნიშანი. ეს მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანის ქცევის გაგებისათვის საჭირო ხდება მისი ცნობიერების ფენომენთა გაგება. ცნობიერების ფენომენთა წვდომა თვითდაკვირვებას მოითხოვს.

თვითდაკვირვების საფუძველზე ადამიანს საშუალება ეძლევა აკვირდეს თავისი ცნობიერების ფენომენები, რომლებიც მას ამა თუ იმ აქტიობის დროს უჩნდება.

სანამ თვითდაკვირვების თავისებურებათა განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა იმ დებულებას გავუსვათ ჩაზი, რომ ადამიანთა ქცევის გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ შინაგან, უშუალო გამოცდილებას, ფენომენოლოგიურ განცდებს, რომლებიც ადამიანს ცნობიერების შინაარსთა სახით ეძლევა. მაგალითად, ესა თუ ის მოქმედება, რომელიც გარკვეული მიზნით იყო განხორციელებული, გარეგნულად შეიძლება წარმატების მქონე მოქმედებად ჩავთვალოთ. მაშინ როდესაც სუბიექტი მას მარცხად განიცდის და, პირიქით, სუბიექტი შესაძლებელია თავის მოქმედებას წარმატებად მიიჩნევს, მაშინ როცა ეს გარეგნულად მარცხად შეიძლება ფასდებოდეს. სუბიექტის მოქმედების წარმატება-მარცხის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შემოწმება ხდება სუბიექტის „პრეტენზიის დონით“, რომელიც მას გააჩნია. ადამიანი საკუთარი მოქმედების წარმატება-მარცხის შეფასებას ახდენს „პრეტენზიის დონის“ მიხედვით, რომელიც მას ფორმირების პროცესში შეუქმნავდა. თავისი მოქმედების ინტერპრეტაციას (წარმატებას ან მარცხს) ის იმის მიხედვით ახდენს, თუ რას მოელოდა თავისთავისაგან. ამიტომ სუბიექტმა რაღაცნაირად თუ არ გვიოხრა თავისი „პრეტენზიის დონის“ და წარმატება-წარუმატებლობის განცდის შესახებ, რომელიც მას მხოლოდ როგორც ცნობიერ სუბიექტს გააჩნია, ვერ მოვახერხებდით ობიექტური ვზით მისი ქცევის ამომწურავ დახასიათებას.

ცნობიერების შინაარსთა, განცდით ფენომენოლოგიურ მონაცემთა გარეშე შეუძლებელი ხდება ადამიანური აქტიობის, ქცევის შესწავლა. შესაძლებელია გარეგნულად ერთი და იგივე მოქმედება გაპირობებულ იყოს მეგობრობის ან მტრობის განცდათ. ამიტომ გარკვეული ფსიქოლოგიური ქცევის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ხდება ამ ფენომენოლოგიური განცდის გათვალისწინება, რომელიც თანსდევს ამ ქცევას. ისეთი ქცევების შესწავლა, როგორცაა: გმირობა, კეთილშობილება, დანაშაული და სხვა შეუძლებელია შესატყვისი ფენომენოლოგიური განცდების გათვალისწინების გარეშე. გარეგნული მოქმედებით, როგორც წესი, შეუძლებელია ამ ქცევათა იდენტიფიცირება. ფსიქიკური აქტიობის რაობის დადგენისათვის საჭირო ხდება იმ ფენომენოლოგიური განცდების გათვალისწინება, რომლებიც ადამიანის ქცევაშია ჩართული.

მაგალითად, ფლოიდ ოლპორტის ექსპერიმენტებით ადამიანთა ჯგუფზე გამოიკვია, რომ, ადამიანების ინდივიდუალური მოქმედებისაგან განსხვავებით, მათი ერთად მოქმედების დროს, თითოეული ინდივიდის მოქმედება გაადვილებულია და მეტი წარმატებით ხორციელდება. ადამიანები, საზოგადოდ, ურთიერთზე დადებით ზემოქმედებას ახდენენ ერთად მოქმედების დროს. ასეთ ვითარებაში მათი ქცევა მეტი ეფექტურობით ხორციელდება; მაგრამ არიან ცდისპირები, რომლებზეც სხვა ადამიანებთან არსებობა უარყოფით გავლენას ახდენს. ასეთ მცირერიცხოვან ცდისპირთა ქცევის ნაყოფიერებაზე სხვა ადამიანებთან თანაარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს. ირკვევა, რომ ერთი და იგივე ფიზიკური პირობები სხვადასხვა ადამიანზე საწინააღმდეგოდ მოქმედებს. როგორც ფ. ოლპორტი აღნიშნავს, ერთსა და იმავე ფიზიკურ გარემოს სხვადასხვა ტიპის ცდისპირები განსხვავებული მნიშვნელობის მქონე მოკრძობლობად აღიქვამენ. ამის გაგება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ ამ ფაქტს უშუალო გამოცდილების, ფენომენოლოგიური განცდის თვალსაზრისით არ განვიხილავდით. ეს ფაქტი მხოლოდ ფიზიკური თვალსაზრისით განხილვის დროს გაუგებარა ხდება. ადამიანის მოქმედება, ცხადია, ფიზიკური სინამდვილის ნაწილია და მისი დახასიათება ფიზიკური სინამდვილის დამახასიათებელი ცნებებით უნდა მოხდეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ადამიანის ქცევის გაგება ცნობიერების შინაარსთა ფენომენოლოგიურ განცდათა გათვალისწინებასაც მოითხოვს.

ფენომენოლოგიური განცდები. ცნობიერების შინაარსები ძნელია ბუნებისმეტყველური ცნებებით აღიწეროს, რადგან ცნობიერების ფენომენების ღირებულებითი მნიშვნელობა, რომელიც მათ აქვთ ქცევისათვის, არ გამოიხატება იმ ფიზიკური ცნებებით, რომლებითაც მათი გამომწვევი საგნები და მოვლენები შეიძლება იქნეს დახასიათებული. ამას-

თანავე, დებულებაში ფიზიკური თვალსაზრისით არაეცნობა ნათქვამი, რომ სასურველი ქცევა არის ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის მიერ მიზნისუფლად და ცნობიერად ხორციელდება. ადამიანის ქცევის ფიზიკური მხარისა და ფენომენოლოგიური განცდების ურთიერთობის შესახებ მრავალი თეორია არსებობს და ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით წყვეტენ თავის ამოცანას. ის, რისი აღნიშვნაც ჩვენ ამჟამად გვინდა. საყოველთაოდ ცნობილია და იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის გარკვეული სახის კავშირი არსებობს; საჭიროა ამ ფაქტიური კავშირის თავისებურების გათვალისწინება ადამიანის ფსიქიკური კანონზომიერების დახასიათების დროს. მათ შორის ფაქტიურად, ემპირიულად არსებული კავშირი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ქცევის განხორციელებისას თვითონ იღებს გარკვეულ ცნობას საკუთარი ქცევის მიმდინარეობის შესახებ.

ადამიანის ქცევაში მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რასაც ადამიანი ობიექტურად აკეთებს, შეუძლებელი ხდება მისი რეალური აქტიობის შესწავლა. ამ დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმას. თუ რა იცის სუბიექტმა საკუთარი ქცევის შესახებ. ამ ფენომენალური თვითანგარიშის გარეშე შეუძლებელი ხდება სუბიექტის რეალური აქტიობის გაგება. სუბიექტის ემოციური განცდები, შეფასება, დარწმუნებულობა და სხვა ჩართულია მის მოქმედებაში და ისინი გარკვეულ გავლენას ახდენენ ამ მოქმედების მიმართულებაზე. ფენომენოლოგიური განცდები ისეთი ეპოფენომენები არაა, რომლებიც მხოლოდ ასახავენ იმას, რაც ფაქტიურად მოხდა. ისინი ქმედითი ფენომენები არიან და შემასწორებელ გავლენას ახდენენ ქცევის მიმართულებაზე, სათანადო ბიძგს აძლევენ მის მიმდინარეობას. ამიტომ მათი რეგისტრირება, აღწერა და გათვალისწინება აუცილებელი ხდება ადამიანის ფსიქიკური აქტიობის შესწავლის პროცესში.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ფსიქიკური აქტიობის მიზეზების, ფუნქციონალური კავშირების, მნიშვნელობისა და სხვა საკითხების გარკვევამდე საჭიროა თვითონ ფსიქიკური აქტიობის იდენტიფიკაცია, იმის გარკვევა, თუ რასთან გვაქვს საქმე, რის შესწავლას ვცდილობთ. ფსიქიკური აქტიობის რაობის გარკვევა, მისი იდენტიფიკაცია კი როგორც დავინახეთ, ფენომენოლოგიური განცდების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ სოციალური ფსიქოლოგიისთვისაც აუცილებელი ხდება ადამიანის ცნობიერების ფენომენთა შესწავლა.

ცნობიერების ფენომენები, როგორც ცნობილია. უშუალოდ მხოლოდ იმ სუბიექტისთვისაა მოცემული, რომელსაც აქვს ეს ფენომენი. ამიტომ მასზე უშუალო დაკვირვება, მის შესახებ ანგარიშის მოცემა მხოლოდ თვითონ სუბიექტს შეუძლია. ფსიქოლოგიისათვის, როგორც პეცნიერებისათვის, განცდების შესახებ შემთხვევითი პონაცემთა მოპო-

გება საქმარისი არაა. საჯირო ხდება მათზე სისტემატური და საგანგებო გეგმის მიხედვით დაკვირვება. საკუთარი ცნობიერების ფენომენებზე საგანგებო გეგმის მიხედვით დაკვირვების პროცესს თვითდაკვირვება ეწოდება და ის ფსიქიკური აქტიობის შესასწავლ ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს.

უზნაძე თავის „ზოგად ფსიქოლოგიაში“ საგანგებოდ განიხილავს თვითდაკვირვების მეთოდის ღირებულების საკითხს¹. როგორც ამ განხილვიდან ირკვევა, თვითდაკვირვების მეთოდის გამოყენება ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული, რაც საგანგებოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი გამოყენების დროს. მთავარი სიძნელე თვითდაკვირვების მეთოდის გამოყენებისას, როგორც ირკვევა, იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერების ფენომენები და მათზე დაკვირვება ორი ურთიერთისაგან განსხვავებული ფსიქიკური აქტიობაა, რომლებიც სუბიექტმა თვითდაკვირვების პროცესში ერთდროულად უნდა აწარმოოს. თუ რაიმე მოვლენის განცდის დროს ყურადღება ამ მოვლენისადმი უნდა იქნეს მიმართული, თვითდაკვირვების პროცესში ყურადღება თვით დასაკვირვებელი განცდისაკენ უნდა წარიმართოს. აქტიობის ამგვარი გაორმაგების გამო, ერთი მხრივ, ძნელდება თვითდაკვირვების პროცესის წარმოება, ხოლო მეორე მხრივ, იცვლება ის განცდა, რომელზეც წარმოებს დაკვირვება.

ძირითადი ნაკლი, რომელიც ამ მეთოდს გააჩნია. იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით მოცემული მასალა საჯაროობას მოკლებულია და მისი საშუალებით მიღებულ შედეგთა შემოწმების საშუალება არ არსებობს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ, რაოდენ ნაკლოვანიც არ უნდა იყოს ეს მეთოდი, მასზე უარის თქმა მაინც არ იქნებოდა გამართლებული. რადგან ადამიანის განცდებზე უშუალოდ დაკვირვების სხვა საშუალება არ არსებობს. ამიტომ სხვა მეთოდებით მოპოვებულ მასალასთან ერთად, თვითდაკვირვების მონაცემები გამოყენებულ უნდა იქნეს ფსიქიკური აქტიობის შესწავლის დროს. აქ ისევე უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ მრავალი სახის ფსიქიკური აქტიობის რომელობის დადგენა, იდენტიფიცირება მხოლოდ უშუალო გამოცდილებით, განცდების საფუძველზეა შესაძლებელი, ხოლო მათ შესახებ პირდაპირი ცნობის მიღება მხოლოდ თვითდაკვირვების გზით ხორციელდება.

თვითდაკვირვების მეთოდი სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აუცილებელ მეთოდს წარმოადგენს და მისი სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი მასალა მივიღოთ სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებათა შესასწავლად.

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია: ვ. :2—17.

მაგრამ ამავე დროს ისიც ცხადია, რომ მხოლოდ თვიდაკვირვების მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია სოციოფსიქიკური აქტიობისა და, საერთოდ, ფსიქიკის კანონზომიერებათა შესწავლა. ჯერ ერთი, ცხადია, მხოლოდ ცნობიერების ფენომენებზე დაკვირვების გზით შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებათა გაგება. თვით ფენომენოლოგიური პროცესები უდიდეს გავლენას განიცდიან ადამიანის არაცნობიერი და ფსიქოლოგიური აქტიობისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც ფსიქიკური აქტიობის გაგებას მხოლოდ ცნობიერების ფენომენთა საფუძველზე ვცდილობთ, უგულებელყოფთ ფსიქიკაზე ზემოქმედების სფეროს დიდ ნაწილს. ყველა შინაგანი, ფსიქიკური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკურ ქცევას, ცნობიერებისეული ხასიათისა არაა. ფსიქიკაში ბევრი რამ იცვლება არაცნობიერი მიზეზებით, რომლებიც ამავე დროს შეუძლებელია ფიზიკურ ფაქტორებად ჩაითვალოს. ასეთი ცვლილებები ხდება მეხსიერებაში, ინტერესებში, მოტივაციაში, განწყობებში. ფსიქიკურ აქტიობაში ხდება ბევრი ისეთი რამ, რომელსაც არ ერთვის ცნობიერება და მისი გარკვევისთვის ფსიქიკური მდგომარეობის ანალიზი, ინტერპრეტაციაა საჭირო. ადამიანს აქვს კოორდინატებისა და შკალების სისტემები, რომლებშიც ხდება გამლიზიანებელთა მოთავესება და კატეგორიზებული განცდა. მაგრამ მთელი ეს პროცესი არაა ცნობიერებაში მოცემული, რეპრეზენტირებული. ამ გაუცნობიერებელ ფსიქიკურ აქტიობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის მრავალი მხარის გაგება. ერთია გაუცნობიერებელ ფსიქიკურ ფაქტორთა მოქმედება ადამიანის აქტივობაზე და მეორე—ცოდნა იმ როლის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებენ ადამიანის აქტიობაში. ფსიქიკური აქტიობის ბევრად უფრო ფართო სფეროს დახასიათებას ვახდენთ, მაშინ როდესაც ვცდილობთ გავარკვიოთ ის ფუნქციონალური კავშირები, რომლებიც არსებობს ცნობიერების მონაცემებსა და იმ ფსიქიკურ პირობებს შორის, რაშიც ისინი ხნდებიან. ფსიქიკური აქტიობის უფრო ვიწრო სფეროსთან გვაქვს საქმე, როდესაც ცნობიერების მონაცემებს განვიხილავთ როგორც ფენომენოლოგიურ ნაკადს და ვცდილობთ დავადგინოთ კავშირუროთიერთობანი ცალკეულ განცდებს შორის.

უზნადის განწყობის თეორიის ერთ-ერთ ძირითად მონაცემს წარმოადგენს ის დებულება, რომ ცნობიერების, როგორც ფენომენოლოგიური ნაკადის, კანონზომიერებათა გაგება შესაძლებელი ხდება ფსიქიკის ფართო სფეროს კონტექსტში განხილვისას. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს გარკვეული კანონზომიერი კავშირუროთიერთობა ფსიქიკურ აქტიობასა და ცნობიერების ფენომენოლოგიური ნაკადის ფუნქციონალურ კავშირებს შორის. ამიტომ, თვითდაკვირვების

მეთოდის გვერდით, ფსიქოლოგიაში საჭირო ხდება ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ფუნქციონალური და მიზნობრივი კავშირები. მათი საშუალებით უნდა მოხდეს ფსიქიკური აქტიობის ისეთ კავშირურთიერთობათა აღმოჩენა, რომელიც ცნობიერების ფენომენოლოგიური პროცესისათვის დაფარულია და მიუწვდომელი. ამისათვის საჭირო ხდება ცნობიერების ფენომენოლოგიური ნაყადის მიღმა გასვლა და იმ კანონზომიერების გარკვევა, რომელიც თურმე განსაზღვრავს მის და, საერთოდ, ფსიქიკური ქცევის მიმდინარეობას. ფსიქიკური აქტიობის ამ თავისებურებათა შესწავლა შესაძლებელი ხდება ობიექტური დაკვირვების მეთოდის, სხვათა დაკვირვების მეთოდის გამოყენებით.

2. 2. სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების მეთოდი

სოციალური ცხოვრება გვიდასტურებს, რომ სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების გზით შესაძლებელი ხდება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების თავისებურებათა გაგება. როგორც ცნობილია, სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანები ხშირად კარგად განსაზღვრავენ მათთან კონტაქტში მყოფი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებას. ამიტომაც, რომ ფსიქოლოგიაში ფართოდაა გამოყენებული სხვათა დაკვირვების მეთოდი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი პრაქტიკულად გამოიყენება, მაინც ჭერჭერობით გაურკვეველია, თუ ფაქტიურად როგორ ხდება სხვა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებათა წვდომა. ფსიქოლოგიაში გავრცელებულია ერთი შეხედვლება, რომლის მიხედვითაც სხვისი სულიერი ცხოვრების წვდომა ანალოგიის საფუძველზე ხორციელდება. ანალოგიის თეორიის მიხედვით, ცნობიერების ფენომენები უშუალოდ, პირდაპირ, მხოლოდ იმ სუბიექტს ეძლევა, რომელსაც აქვს ეს ფსიქიკური პროცესები. სხვისი ცნობიერების ფენომენებზე უშუალო, პირდაპირი დაკვირვება შეუძლებელია. მაგრამ თუ მაინც ვახერხებთ სხვისი სულიერი მდგომარეობის გაგებას, ეს იმიტომ ხდება, რომ სხვის ფსიქიკას შემოვლითი გზით, არაპირდაპირი საშუალებებით ვწვდებით.

ადამიანს საკუთარი განცდის მოცემულობასთან ერთად თვითაღქმის საშუალებით ეძლევა ის სხეულებრივი ცვლილებები და მდგომარეობანი, რომლებიც გარკვეულ განცდებთანაა დაკავშირებული. გამოცდილების საფუძველზე ადამიანი სწავლობს, რომ გარკვეულ განცდებთან გარკვეული სხეულებრივი აქტიობაა დაკავშირებული. მაგალითად, ცრემლისდენა, ჩვეულებრივ, ტირილსა და მწუხარებას უკავშირდება; ადამიანმა ისიც იცის, რომ სიხარულით გამოწვეული ცრემლის დენა განსხვავებული სხეულებრივი აქტიობის კონტექსტში ხდე-

ბა; ისე რომ ადამიანებმა ისიც იციან, თუ რა სახის ცრემლის დენაა დაკავშირებული სიხარულთან. ადამიანებმა ასევე კარგად იციან, თუ რა სხეულბრივი აქტიობაა დაკავშირებული მრისხანებასთან, სასოწარკვეთილებასა და სხვა სულიერ პროცესებთან. ერთი სიტყვით, ისინი სწავლობენ იმ კავშირთა თვითობებს, რომლებიც მათ სულიერ მდგომარეობებსა და სხეულბრივ გამოხატულებებს შორის არსებობს. მას შემდეგ, რაც ადამიანი სხვისი სხეულბრივი მდგომარეობების გარკვეულ ცვლილებებს აღიქვამს, ის ასკვნის, რომ ამ ადამიანებსაც მოცემულ მომენტში ის სულიერი პროცესები ექმნებათ, რაც მას თვითონ ჰქონდა ამგვარი სხეულბრივი მდგომარეობების დროს. ამ დროს ადამიანი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გულისხმობს, რომ ანალოგიური კავშირი არსებობს სხვის სულიერ მდგომარეობებსა და სხეულბრივ ცვლილებებს შორის. ამიტომ სხვისი ფსიქიკური პროცესების წვდომა დასკვნის საფუძველზე ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვის ფსიქიკაზე, ფაქტიურად, არაერთად დაკვირვებას, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არა აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში, დაკვირვების ობიექტს სხეულბრივი ცვლილებები წარმოადგენს, ხოლო სულიერი პროცესების შესახებ კეთდება დასკვნა. ყოველივე ამის გამო გამოდის, რომ ადამიანს სხვის ფსიქიკაში არ შეუძლია პრინციპულად იმაზე მეტი დაინახოს. რაც თავის ფსიქიკაში უშუალოდ თვითაღქმისა და თვითდაკვირვების გზით არ შეუნიშნავს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოვა, რომ სხვათა დაკვირვება, როგორც მეთოდი, პრინციპულად ახალს ვერაფერს მისცემს ფსიქოლოგიას თავისი საკვლევი საგნის შესახებ და მის გამოყენებას მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ადამიანთა ურთიერთობის პროცესში. როგორც ფაქტიური გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა. ანალოგიის თეორიის ძირითადი დებულებებიც არ შეესატყვისება სინამდვილეს. ანალოგიის თეორიის მიხედვით, სხვის ფსიქიკაზე დაკვირვება მეორადი პროცესია. მას წინ უნდა უსწრებდეს თვითდაკვირვება. ადამიანი სხვაში მხოლოდ ისეთ ფსიქიკურ მოვლენებს ხედავს. რაც თავისთავში ადრე ჰქონდა შემჩნეული. მაგრამ, როგორც გამოიკვება. ეს ფაქტიურად ასე არ არის. როგორც უზნაძე აღნიშნავს, „ბავშვის ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უეჭველ მონაპოვრად ის დებულებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სხვისი გაგების (დედის, ახლობელი პირების) უნარი გაცილებით უფრო ადრე უჩნდება ბავშვს, ვიდრე თვითდაკვირვების უნარი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ანალოგიის თეორიის მიხედვით სხვისი გაგებისათვის არა მარტო საკუთარი განცდების დაკვირვებაა საჭირო. არამედ პარალელურად საკუთარი სხეულის ცვლილებებისაც, რომლებიც ამ განცდებს ახლავენ თან, მაშინ კიდევ

უფრო უღაო შეიქმნება, რომ შეუძლებელია ადამიანს მანამ აკლდეს უნარი თავის მსგავსებთან სოციალური კონტაქტის დამყარებისა, სანამ იგი ამ რთული თვითდაკვირვების უნარს შეიძენდეს. სინამდვილეს საწინააღმდეგო დებულება უფრო შეეფერება: ადამიანი უფრო ადვილად სხვას აქცევს ყურადღებას, ვიდრე საკუთარ განცდებს; იგი უფრო ადვილად სხვას სცნობს, ვიდრე თავის თავს: თვითდაკვირვება კი არ უსწრებს წინ სხვის დაკვირვებას, არამედ, პირიქით, სხვისი დაკვირვება თვითდაკვირვებას¹.

როგორც ვხედავთ, სხვათა დაკვირვების ფაქტი შეუძლებელია გაგებულ იქნეს ანალოგიის თეორიის (ე. ი. თვითდაკვირვების პირველადობის აღიარების) საფუძველზე. სოციალური ურთიერთობის პროცესში სხვის ფსიქიკაზე დაკვირვება ფაქტიურად ხორციელდება. ადამიანები, ჩვეულებრივ, ახერხებენ სხვის ფსიქიკური პროცესების წვდომას და გაგებას. ცნობილია, რომ ხშირად ადამიანი სხვაში ამჩნევს ისეთ ფსიქიკურ თვისებებს, რასაც თავის ფსიქიკაში ვერ ხედავს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სხვისი სულიერი პროცესების თავისებურებათა შესახებ დასკვნისათვის ადამიანს სათანადო საფუძველი არ გააჩნია. ჩვენ, მაგალითად, ვხედავთ სხვა ადამიანის გაფითრებას, ფერის დაკარგვას ან გაწითლებას, მაშინ როდესაც ჩვენს გაფითრებას ან გაწითლებას ვგრძნობთ და არა ვხედავთ. ამრიგად, ფაქტიურად არ გაგვაჩნია საერთო საფუძველი, ე. წ. საშუალო ტერმინი, რომლის საფუძველზე შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ სხვასაც ამ დროს შიშის ან სირცხვილის განცდა აქვს. ამიტომ საჭირო ხდება იმის გარკვევა, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები სხვის ფსიქიკაზე დაკვირვებას. დაკვირვების ქცევის მექანიზმთა გარკვევის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ მოქმედების მეთოდის სახით ფორმულირება.

საბჭოთა ფსიქოლოგია იმ წინამძღვარებიდან გამოდის, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური აქტიობის დაყოფა წმინდა სუბიექტურ განცდებად და წმინდა ობიექტურ პროცესებად, მოძრაობებად შეუძლებელია. ფსიქიკური აქტიობა სუბიექტური და ობიექტური პროცესების ერთიანობას წარმოადგენს. სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესში აღნიშნული კომპონენტები შესაძლებელია სხვადასხვა დოზით იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ის წმინდა ცნობიერებისეული ან წმინდა ფიზიკური პროცესის სახით არასოდეს არსებობს. ადამიანის მეტყველების პროცესში არა მხოლოდ ფიზიკურ მოვლენების თანმიმდევრობაა მოცემული, არამედ მისი აზროვნების სტრუქტურაც, აზროვნების მიმდინარეობაც. ამ თვალსაზრისით, ფსიქიკური ორგანულად არის ჩაქსოვილი ადამიანის ფიზიკურ აქტიობაში და გარკვეული ობიექტური მოცემულობით ხასიათდება.

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 21.

პრობლემის ამგვარი გადაწყვეტის შემდეგ, ცხადია, მაინც რჩება საკითხი ადამიანის ობიექტურ აქტიობასთან ერთიანობაში მოცემული ფსიქიკურის დაკვირვებისა და წვდომის გზების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ჭერჭერობით ზოლომდე არაა გადაწყვეტილი, მაგრამ არსებობს გარკვეული მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმ გზებზე, რომელი მიმართულებითაც უნდა გადაწყდეს იგი.

სხვათა დაკვირვების მეთოდის მექანიზმის საკითხი, საზოგადოდ, მნიშვნელობის აღქმას, მოვლენათა საზრისის წვდომას უკავშირდება. უახლესი ფსიქოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ აღქმის ერთ-ერთ ძირითად თვისებურებას კატეგორიალობა წარმოადგენს და მისი ეს თვისება აღქმაში აზროვნების მონაწილეობის რეზულტატი როდია, როგორც ეს აღრე ეგონათ. პოსტმენის, ბრუნესის და ე. წ. „ნიუ-ლუკის“ სხვა წარმომადგენლების მიერ ნაჩვენები იქნა, რომ არ არსებობს რაიმე „მონაცემის“ აღქმა და, საერთოდ, განცდა მისი გარკვეულ კატეგორიაში შეტანის გარეშე. ამ სკოლის წარმომადგენელთა გამოკვლევებში ნათლადაა ნაჩვენები, რომ კატეგორიალობა აღქმის ერთ-ერთ პირველად და ძირითად თვისებას წარმოადგენს¹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღქმაში იმთავითვე გარკვეული ზოგადი მომენტია მოცემული. სუბიექტი კონკრეტულ საგნობრივ ვითარებასთან ერთად საგნის ზოგად მომენტსაც აღიქვამს. ამ თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს ადამიანის ერთიანი ფსიქოფიზიკური მოქმედების, აღქმის საკითხი, ადამიანის ფსიქიკაზე დაკვირვების შესაძლებლობის პრობლემა. თუ აღქმაში, მართლაც, შესაძლებელი ხდება საგანთა და მოვლენათა გარკვეული ზოგადი მომენტის დაქვრა. კატეგორიალობის თვისების მიწვდომა, მაშინ სხვათა დაკვირვების პროცესში. რომელიც მიზანდასახულ და ორგანიზებულ აღქმას წარმოადგენს. შესაძლებელი უნდა იქნეს წვდომა სხვისი ფსიქიკისა, რომელიც სხვის მოქმედებასთან ერთიანობაშია მოცემული და მისი აქტიობის ზოგადობის მომენტს, საზრისისეულ ელემენტს წარმოადგენს. აღქმაში ზოგადობის მოცემულობის მომენტს უიყვამაც მიაქცია საგანგებო ყურადღება. გარკვეული ექსპერიმენტული მონაცემების საგანგებო ანალიზის საფუძველზე მან უჩვენა, რომ, აზროვნებისეული აქტიობისაგან განსხვავებით, პერსპექტული აქტიობის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება საგანთა კატეგორიალური მომენტების წვდომა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვათა დაკვირვების მეთოდში აღქმის სწორედ ეს მომენტია გამოყენებული. სხვათა მოქმედების აღქმის დროს ადამიანს სხვისი აქტიობის არა მხოლოდ გარეგანი, მოძრაობითი მხარე ეძლე-

¹ Bruner J. On perceptual readiness. Psychological Review. vol. 64, № 2, 1957, p. 123—152.

ვა, არამედ მისი ზოგად-კატეგორიული საზრისის მომენტიც. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ პიაჟეს¹ სამართლიანი მითითება იმის შესახებ, რომ აღქმაში კატეგორიალობისა და ზოგადობის მინიმალური ელემენტია მოცემული, რომლისგანაც თვისებრივად განსხვავდება აზროვნებისეული ზოგადობა. აღქმა კატეგორიალობით ხასიათდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს თვისება საკუთრივ აღქმითი აქტიობის სპეციფიკაა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მოვლენათა კლასი, როგორც აღმქმელი სუბიექტისათვის მოცემული ზოგადობა, აღქმითი აქტიობის რესურსებით იქმნება. ადამიანს არ შეუძლია მოვლენათა კლასის, როგორც ასეთის, აღქმა; მას არ ძალუძს მოვლენის კლასისადმი კუთვნილების, კლასში ჩართულობის აღქმა. მოვლენათა კლასებს სუბიექტი აღქმის დონეზე არ აყალიბებს, რადგან კლასების სისტემათა ფორმირება, აბსტრაქციისა და განზოგადების გარდა, კულისხმობს კლასთა სისტემურ განხილვას და კლასების ურთიერთჩართვის შეთანხმებას. აღქმის პროცესში კი ხდება მოვლენათა სქემატური მიკუთვნება ურთიერთთან ისე, რომ მოვლენათა კლასების მოცულობასა და შინაარსებს შორის არავითარი ლოგიკური შეთანხმება არ ხდება. იგი მხოლოდ აზროვნებისეული კლასიფიკაციის დონეზე მიიღწევა.

სხვათა დაკვირვება, როგორც ფსიქოლოგიის მეთოდი. აღქმისა და აზროვნების გეგმაზომიერ გამოყენებას გულისხმობს.

ანალოგიის თეორიის მიხედვით, სხვათა დაკვირვების მეთოდის გამოყენების დროს, აღქმა და დაკვირვება მხოლოდ ფიზიკურ მოძრაობებისკენა მიმართული; ეს პროცესები არავითარ უშუალო კავშირში არ იმყოფებიან ფსიქიკურ პროცესებთან. ფსიქიკური პროცესების წვდომა მხოლოდ აზროვნების გზით, ანალოგიით, დასკვნის საფუძველზე ხდება.

ცნობიერი და ფიზიკური მოქმედების ერთიანობის თეორიისა და აღქმის ზემოთმოტანილი თვალსაზრისის საფუძველზე, სხვათა დაკვირვების მეთოდის ბუნება სრულიად სხვაგვარად უნდა იქნეს გაგებული.

სხვის აქტიობაზე დაკვირვების დროს აღქმის კატეგორიული თვისების გამო. ადამიანი სხვის მოქმედებაში ამ აქტიობის ზოგად ფსიქიკურ მნიშვნელობასაც აღიქვამს, მასში საზრისის ელემენტსაც სწვდება. სხვა ადამიანის აქტიობის ზოგად-კატეგორიულ შინაარსს მისი ფსიქიკური პროცესი წარმოადგენს. ხოლო თუ აღქმაში საგანთა და მოვლენათა ზოგადკატეგორიული მხარის წვდომა ხდება. მაშინ ხელს არაფერი გვიშლის ვიფიქროთ, რომ სხვათა დაკვირვების დროს, ასევე სხვათა ფიზიკურ აქტიობასთან ერთად, მისი ფსიქიკური აქტიობის

¹ Пиаже Ж.. Избранные психологические труды. Психология интеллекта. Москва, 1969.

თავისებურებასაც აღვიქვამთ. თუ აქვე იმასაც დავუმატებთ, რომ სხვა-
თა დაკვირვების დროს ადამიანი თავისი აზროვნების შესაძლებლობა-
თა რესურსების გამოყენებასაც ახდენს, მაშინ გასაგები ხდება, რომ
დაკვირვებისათვის ობიექტურად მოცემული სხვა ადამიანის აქტიობა-
ში შესაძლებელი უნდა იყოს ფსიქიკური აქტივობის თავისებურებათა
შემჩნევა და წვდომა.

სხვათა დაკვირვების მეთოდის შინაარსის დახასიათებისას ჩვენ
სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების პრინციპული შესაძლებლობის საკითხი
გვაქვს მხედველობაში. სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების შესაძლებლობის
დადებითად გადაწყვეტის დროს, ანალოგიის მეთოდისაგან განსხვავე-
ბით, ვგულისხმობთ, რომ ამგვარ დაკვირვებას, თვითდაკვირვებისაგან
დამოუკიდებლადაც, შეუძლია გარკვეული არსებითი ხასიათის ელემენ-
ტების მოწოდება სხვისი ფსიქიკური აქტიობის შესახებ. მაგრამ, რასაკ-
ვირველია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ
რეალურად თვითდაკვირვება და სხვათა დაკვირვება ერთმანეთისაგან
იზოლირებულად და დამოუკიდებლად არ ხორციელდება. ისინი, ჩვეუ-
ლებრივ, ერთმანეთთან არიან დაკავშირებული და გადაჭაჭვული, რის
გამოც ბევრად ადვილდება თითოეული მათგანის განხორციელება. ფსი-
ქიკურ აქტიობათა შესწავლის რეალური საქმიანობის დროს ამ მეთო-
დების კომპლექსური გამოყენება იმიტომ იძლევა დადებით ეფექტს,
რომ ორივე ეს მეთოდი პრინციპულად ურთიერთისაგან დამოუკიდებ-
ლადაც ფსიქიკური აქტიობის გარკვეულ მხარეებზე უშუალო დაკვირ-
ვების შესაძლებლობის საშუალებას იძლევა. მაგრამ აქვე უნდა აღ-
ნიშნოს, რომ ამ მეთოდების ურთიერთშეთანხმების, მათი მონაცემე-
ბის ურთიერთშეჭერების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სათანადო მა-
სალის მოპოვება, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ადამიანის
ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებათა შესწავლა.

2. 8. ექსპერიმენტი

ფსიქოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა
დაკვირვების ერთ-ერთ სახეს, რომელსაც ექსპერიმენტი ეწოდება.

ექსპერიმენტი დაკვირვების ორგანიზების ერთ-ერთ სახეს წარმო-
ადგენს. სხვათა დაკვირვების ან თვითდაკვირვების მეთოდის გამოყენე-
ბის დროს თუ რა ფსიქიკური მოვლენა იქცევა დაკვირვების საგნად,
ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახის ფსიქიკური აქტიობა რეალი-
ზდება მოცემულ მომენტში. ამის გამო, როგორც წესი, ასეთ შემთხვე-
ვებში დაკვირვება შემთხვევით მასალას იძლევა. ფსიქოლოგის მეც-
ნიერული საქმიანობა ფრიად არაეკონომიური იქნებოდა, ჩვენ რომ
იძულებული ვყოფილიყავით დაგვეცადა, თუ თავისთავად როდის აღ-

მოცუნდება ის ფსიქიკური ფენომენები, რომელთა შესწავლითაც ვართ დაინტერესებული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიაში წარმატებით არის შესაძლებელი ექსპერიმენტის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიწვიოთ და წარვმართოთ ის ფსიქიკური აქტიობანი. რომელთა შესწავლაც გვინდა. ფეხნერისა და ვუნდტის გამოკვლევების შემდეგ ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ფსიქოლოგიაში და ფსიქოლოგია ექსპერიმენტულ მეცნიერებად აქცია. ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტული სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ამერიკელ ფსიქოლოგს ტრიპლეტს ეკუთვნის, რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა¹.

ექსპერიმენტული დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა შესასწავლი მოვლენა გარკვეული მეთოდური გეგმის საფუძველზე შევისწავლოთ. ეს კი შესაძლებლობას იძლევა დეტალურად იქნეს განხილული და აღწერილი დასაკვირვებელი მოვლენა. გარდა ამისა, შესაძლებელი ზდება დადგინდეს ის ფუნქციონალური კავშირები, რომლებიც ჩვენს შესასწავლ ფსიქიკურ აქტიობასა და მის გამომწვევ მიზეზებს შორის არსებობს.

ფსიქოლოგიაში დიდხანს იყო კამათი ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების კანონიერების შესახებ. მაგრამ მეცნიერულმა პრაქტიკამ თვითონ გადაწყვიტა ეს საკითხი ექსპერიმენტული დაკვირვების სასარგებლოდ. დღეს ფსიქოლოგიაში აღარავის ეპარება ეჭვი ექსპერიმენტის სარგებლიანობისა და აუცილებლობის საქმეში. ექსპერიმენტული დაკვირვების დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის შესაძლებლობას იძლევა საკვლევი ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს ემპირიული და ლოგიკური წესების მთელი სისტემა. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს საკვლევი ობიექტის სტრუქტურა, მის ერთეულებს შორის არსებული კავშირთა ერთობის ფორმები და სახეები.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული დაკვირვების საფუძველზე მკვლევარს შესაძლებლობა ეძლევა:

1) ხელოვნურად გამოიწვიოს ადამიანში გარკვეული ფსიქიკური პროცესი, რომელზეც ცდისპირს შეუძლია მოახდინოს თვითდაკვირვება და ცდის ხელმძღვანელმა — დაკვირვება.

2) ექსპერიმენტატორს საშუალება ეძლევა ხელმეორედ გამოიწვიოს დასაკვირვებელი ფსიქიკური აქტიობა და მისი სხვადასხვა მომენტი აქციოს ინტენსიური დაკვირვების საგნად.

3) ექსპერიმენტში შესაძლებელი ხდება აქცენტირებულ იქნეს და-

¹ Triplett N. The dynamogenic factors in pace-making and competition. Amer. J. Psychol. 1897. 9. p. 507—533.

საკვირვებელი ფსიქიკური პროცესი სხვა თანმხლებ პროცესთა შესუსტებით. ამ გზით შესაძლებელი ხდება შესასწავლი ფენომენის სრული ან ნაწილობრივი იზოლაცია. ეს საშუალებას იძლევა გარკვეულ პირობებში აიხსნას შესასწავლი ფენომენის კავშირურთიერთობა სხვა ფსიქიკურ ფენომენტთან.

4) ექსპერიმენტული დაკვირვება მკვლევარს საშუალებას აძლევს ამა თუ იმ დონის სიზუსტით შეისწავლოს ის კავშირურთიერთობა, რომელიც შესასწავლ ფსიქიკურ მოვლენასა და მის გამომწვევ პირობებს შორის არსებობს. ობიექტური საზომებით გარეპირობების მდგომარეობათა აღრიცხვით და მათ სიდიდეთა ვარიაციის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გამოკვლეულ იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს.

5) ერთი მხრივ, ფსიქიკურ მოვლენებს შორის არსებული ურთიერთგავლენის, ხოლო მეორე მხრივ, ფსიქიკურ მოვლენებსა და გარემო პირობებს შორის ურთიერთგავლენის დადასტურების გზით შესაძლებელი ხდება დადგინდეს ის ფუნქციონალური კავშირურთიერთობანი, რომლებიც ფსიქიკაში ხორციელდება.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების დროს მხედველობაშია მისაღები ის სიძნელებები, რომლებიც ფსიქიკის მკვლევარს ელობება წინ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვით ექსპერიმენტის ზემოქმედება, როგორც დამატებითი ფაქტორისა ცპ-ის ფსიქიკაზე. ფსიქიკური პროცესები დაკვირვებისა და შესწავლის პროცესში ამ ზემოქმედების გამო ცვლილებას განიცდიან. ექსპერიმენტის ეს უარყოფითი ეფექტი ადრე ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის სპეციფიკურ ნაკლად ითვლებოდა, მაგრამ ბოლო დროს მიკრონაწილაკების ფიზიკის განვითარებამ ნათელი გახადა, რომ აღნიშნული ეფექტი ექსპერიმენტის ზოგად სპეციფიკურ ხიშნას წარმოადგენს, რომელიც მეტნაკლებად ელინდება ამა თუ იმ პირობებში.

ამ ეფექტის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას ფსიქოლოგიაში სხვადასხვა გზით ცდილობენ. ერთი მხრივ, ცნობილია ე. წ. „ბუნებრივი ექსპერიმენტის“ მეთოდი, რომლის გამოყენების დროს ექსპერიმენტული სიტუაცია ცპ-ებისათვის ისეთივე ბუნებრივი რჩება, როგორც მათი რეალური გარემო. ამგვარი ექსპერიმენტის ფსიქოლოგიაში გამოყენების ცდები ლაზურსკის სახელთან არის დაკავშირებული. ამ დროს ცპ-ებმა არ იციან, რომ მათზე დაკვირვება და ექსპერიმენტები წარმოებს. პირობები, რომლებშიც ამ დროს ცპ-ები ხვდებიან. ცდის ზელმძღვანელის მიერ ხელოვნურად იქმნება და იცვლება ისე, რომ ეს ცპ-ებისათვის შეუმჩნეველი ხდება. მაგრამ, ცხადია, ექსპერიმენტის ამ სახის არე საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა კინოსა და ბგერის ჩამწერ საშუალებათა განვითარებამ ბოლო დროს საკმაოდ გააფართოვა ამ

სფეროს ფარგლები. ექსპერიმენტის ზემოაღნიშნული ეფექტის ნაკლი მნიშვნელოვნად შესუსტებულია ადამიანის ურთიერთქმედებათა საკითხების შესწავლის დროს, რაც სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენს. ექსპერიმენტულ სიტუაციებში ძალიან ხშირად, როგორც ამას შემდგომშიც დავინახავთ, შესაძლებელი ხდება სოციალური ურთიერთქმედების სიტუაციის ხელოვნური შექმნა, რომლის პირობებში გამოვლენილ სოციალურ-ფსიქიკურ კანონზომიერებათა შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს აქვს ერთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ექსპერიმენტატორ-ფსიქოლოგმა. ამ თავისებურების შესახებ კარგად მიუთითებს პროფ. რ. ნათაძე. „...ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში ორგვარ პირობებთან გვაქვს საქმე: ერთის მხრივ, საკვლევი მოვლენის ობიექტურ პირობებთან — მაგალითად, მეხსიერების კვლევისას იმ მასალასთან, რომლის დამახსოვრება მოეთხოვება ცპ-ს, და მეორეს მხრივ სუბიექტურ პირობებთან — იმ პირის შინაგან მდგომარეობასთან, რომელზედაც ვაყენებთ ცდას (მაგალითად, როგორია მისი დამოკიდებულება იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას ევალება, როგორია იგი განწყობილი, რამდენადაა დაინტერესებული შესასრულებელი ამოცანით, ეხალისება თუ ეზარება დავალების შესრულება, რა გუნებაზუა ცდის დროს, დაღლილია თუ არა, რამდენად აქტიურადაა ჩართული ექსპერიმენტული ამოცანის გადაწყვეტაში და ა. შ.). ცხადია, რომ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ჩატარების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ცდის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი პირობების ვარიაციას“¹.

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, რომლებიც ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება. ფსიქოლოგიის გადაქცევა ზუსტ და ნაყოფიერ მეცნიერულ დისციპლინად (განსაკუთრებით ეს ითქმის სოციალურ ფსიქოლოგიაზე) მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული მეთოდი ვაბატონდა.

უკანასკნელ ხანებში ნათელი გახდა, რომ ექსპერიმენტის გამოყენების ხასიათი ფსიქოლოგიაში იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის გაგებული ფსიქიკური აქტიობა.

ექსპერიმენტის გამოყენებას ფსიქოლოგიაში დიდი ბიძგი მისცა ე. წ. ბიპევიორისტულმა ფსიქოლოგიამ, რომლის მიხედვითაც ფსიქიკური აქტიობა გაგებულ იქნა, როგორც გამლიზიანებლების ზემოქმედების შედეგად ინდივიდის ობიექტური, გარეგამოვლინებული რეაქცია; ამ

¹ რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია. თბ.-ლისი. 1956. გვ. 25

თვალსაზრისით, ფსიქოლოგიურ ფაქტს ინდივიდის ქცევა წარმოადგენს. ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ფსიქიკური აქტიობის სტრუქტურის დახასიათებას სტიმულ-რეაქციის ($S \rightarrow R$) მოდელით ცდილობენ. ამიტომ ექსპერიმენტული კვლევა, რომელსაც ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები აწარმოებდნენ, მიმართული იყო კავშირის იმ ფორმების დასადგენად, რომელიც სტიმულსა და ქცევას შორის არსებობს. მაგრამ ამ მიმართულებით ჩატარებული ინტენსიური კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სტიმული არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდის ქცევის ერთადერთ განსაზღვრელ ფაქტორად. ამიტომ თვითონ ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის ფარგლებში გაჩნდა მოთხოვნა ქცევის აღნიშნული სქემის გართულებისა. ცნობილია, რომ ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ვულფორსტმა წამოაყენა ქცევის უფრო გართულებული სქემა, რომელიც საშუალებას იძლევა ინდივიდის ქცევის დახასიათების დროს გათვალისწინებულ იქნეს ორგანიზმის ფაქტორი. მისი სქემის მიხედვით, ინდივიდის ქცევა (R), სტიმულის (S), გარდა ორგანიზმის (O) თავისებურებითაც არის გაპირობებული. ვულფორსტის სქემის მიხედვით, ინდივიდის ქცევა არის სტიმულისა და ორგანიზმის ფუნქცია $R = f(S, O)$, მაგრამ მხედველობაში იღებდა რა სტიმულისა და ორგანიზმის ურთიერთზემოქმედების დროში თანმიმდევრობას, ვულფორსტმა თავის სქემას შემდეგი სახე მისცა: სტიმული განსაზღვრავს ორგანიზმის თავისებურებას და გარკვეულად მოდიფიცირებული ორგანიზმი იძლევა რეაქციას ($S \rightarrow O \rightarrow R$). შემდეგში მხედველობაში იქნა მიღებული ბიპვეორისტული ფსიქოლოგიის ბიოლოგისტური ბუნება, რის გამოც ორგანიზმის ცნებაში ფსიქოლოგიური სუბიექტი, პიროვნება არ იგულისხმებოდა; ამიტომ ლევინისა და სხვა ფსიქოლოგების მიერ ქცევის ეს სქემა ოდნავ შეიცვალა $S \rightarrow P \rightarrow R$ -ის სახით, სადაც ორგანიზმის მაგიერ ფსიქოლოგიური პიროვნება იქნა ნაგულისხმევი¹.


ცხადია, ამ სქემაში ორგანიზმის შეცვლა პიროვნებით მხოლოდ აღნიშვნების შეცვლით არ ამოიწურება: პიროვნება, როგორც ამას შემდგომში კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, უფრო რთულ იერარქიულ სისტემას წარმოადგენს. ვიდრე ორგანიზმი. გარდა ამისა, ამ სქემის გამოაყენების დროს, როდესაც მის შუა წევრს პიროვნება (P) წარმოადგენს. შესაძლებელია პიროვნების აქტიობის სხვადასხვა დონე იგულისხმებოდეს, რაც ყოველთვის სათანადოდ უნდა გაცნობიერდეს. მაგრამ ჩვენთვის ჭარჭერობით აუცილებელი არაა პიროვნების იერარქიული დონეების დიფერენცირება. ეს საკითხები ჩვენ მიერ შემდგომში იქნება

¹ Фресс П., Пиаже Ж., Экспериментальная психология, Москва, 1966, стр. 102.

გარჩეული და დავინახავთ იმას, რომ ქცევის ეს ზოგადი სქემა პიროვნების აქტიობის სხვადასხვა დონეზე საკმაოდ განსხვავებულ სახეს იღებს.

აღნიშნული ზოგადი სქემით ($S \rightarrow P \rightarrow R$) ფსიქიკური აქტიობის ექსპერიმენტული შესწავლის დროს, როგორც ფრესი და პიაჟე გვიჩვენებენ, სამი ძირითადი სახის მიდგომა გამოიყენება:

I. ერთ-ერთი ძირითადი სახის ექსპერიმენტული პროცედურა იმაში მდგომარეობს, რომ შესწავლილ იქნეს, თუ რა გავლენას ახდენს სიტუაციის სისტემური ცვლებადობა ადამიანის ქცევაზე. ცპ-ს ეძლევა სტიმულები, რომლებიც რაოდენობრივად ან თვისებრივად გარკვეული წესის მიხედვით განიცდიან ცვლებადობას. ამ დროს ექსპერიმენტში შეისწავლება გარკვეული წესით ცვლებადი სტიმულების (S, S', S'') და მათთან დაკავშირებული რეაქციების (R, R', R'') ურთიერთობა. ამ სახის ექსპერიმენტში ქცევის ზემოაღნიშნული სქემა ($S \rightarrow P \rightarrow R$) შემდეგ სახეს იღებს:




სადაც S, S', S'' , გარკვეული წესით შეცვლილ სიტუაციებს აღნიშნავს. სოლო R, R', R'' , — ამ სიტუაციების ზემოქმედების შედეგად მიღებულ რეაქციებს.

ამგვარი ექსპერიმენტის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ გამოიწიანებელთა ინტენსიობის ან რომელიაობის როგორი ხარისხი განსაზღვრავს ადამიანის ამა თუ იმ სახის აქტიობას.

მავალითად, მესხიერების თავისებურებათა შესწავლის დროს ცპ-ებს გარკვეული წესით ეძლევათ დასამახსოვრებელი მასალა. ამ ექსპერიმენტით შესაძლებელი ხდება დადგინდეს მასალის განმეორების რაოდენობის გავლენა (S) დამახსოვრების ეფექტზე (R), განმეორებათა რიგშეგანმეორების ადგილმდებარეობის როლი დამახსოვრებაში და სხვ. ასეთ ექსპერიმენტებში აქცენტი გადატანილია სტიმულის იმ თავისებურებათა შესწავლაზე, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის აქტიობის სპეციფიკას.

II. მეორე სახის მიდგომით, რომელიც გამოიყენება ფსიქოლოგიურ

ექსპერიმენტში, ხდება პიროვნების სტრუქტურულ თავისებურებათა შესწავლა. ასეთ ვითარებაში ექსპერიმენტატორი სწავლობს იმ მიმართებას, რომელიც არსებობს ადამიანის სხვადასხვა ქცევაში (R, R', R'') და სხვადასხვა სიტუაციაში (S, S', S'') მიიღება. ამ შემთხვევაშიც იმავე სახის სქემა გვაქვს. მაგრამ ექსპერიმენტატორის ყურადღება პიროვნების რეაქციების ურთიერთობებზეა გადატანილი. საიდანაც მას შეუძლია დაასკვნას პიროვნების იმ სტრუქტურული თავისებურებების შესახებ, რომელიც ამ რეაქციებში ვლინდება.



მაგალითად, ვთქვათ, ექსპერიმენტატორს სურს გამოარკვიოს, თუ როგორი იქნება ადამიანის რეაქციის დრო სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის აღმძვრელ სიტუაციაში. მას შეუძლია ამ მიზნით შეისწავლოს რეაქციის დრო (R) ემოციურად ნეიტრალურ მდგომარეობაში (S), სუსტი ემოციის აღმძვრელ სიტუაციაში (S') და ძლიერ ემოციურ (საშიში ვითარება) სიტუაციაში (S''); ამ სხვადასხვა სიტუაციაში მიღებული რეაქციების (R, R', R'') ურთიერთთან შედარების საფუძველზე შესაძლებელი ხდება გარკვეული ცნობების მიღება პიროვნების სტრუქტურული თავისებურების შესახებ, მისი ემოციური მდგომარეობისა და რეაქციულობის ურთიერთობის შესახებ. ასეთ ექსპერიმენტში მკვლევარის ყურადღება ძირითადად გადატანილია არა სტიმულის თავისებურებაზე დამოკიდებული რეაქციების შესწავლაზე, არამედ პიროვნების იმ სტრუქტურულ თავისებურებებზე (P, P', P''). რომლებიც განსაზღვრვენ მისი ქცევის თავისებურებას.

III. შემდეგი ტიპის მიდგომა ექსპერიმენტული გამოკვლევების პროცესში ექსპერიმენტატორს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლოს ადამიანის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობის კანონზომიერებანი. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი სხვადასხვა ცპ-ს ერთსა და იმავე გამლიზიანებლებს აწვდის. ის განსხვავება, რომელიც მათ რეაქციებში მიიღება (R, R', R''), მათი პიროვნული განსხვავების (P, P', P'') შედეგად არის მიჩნეული. ქცევის ზოგადი სქემა ამგვარი ექსპერიმენტული მიდგომის შემთხვევაში შემდეგ სახეს იღებს:

ამგვარი ექსპერიმენტები შესაძლებელია ჩატარდეს არა მხოლოდ სხვადასხვა პიროვნებაზე, არამედ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებზეც. ამ გზით შესაძლებელი ხდება შესწავლილ იქნეს გარკვეული ასაკის, სქესის, ეთნიკური ჯგუფისა და სხვა ჯგუფის ადამიანების ფსიქიკური თავისებურებანი.

ფსიქიკური აქტიობის შესწავლის დროს განსხვავებული სახის ექსპერიმენტული მიდგომის შედეგად მოპოვებული მონაცემები გაერთიანებული უნდა იყოს ერთი მთლიანი ცოდნის სისტემის სახით¹. იმის გარკვევისათვის, თუ რა სახის ექსპერიმენტი უნდა იქნეს ჩატარებული გარკვეული საკითხის შესასწავლად, ამ საკითხის თავისებურების გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ჰიპოთეზები, რომელთა დამტკიცების ან უარყოფისთვისაც ხდება ექსპერიმენტის ჩატარება. ამ საკითხთა უფრო არსებითი დახასიათებისათვის საჭირო ხდება ექსპერიმენტის დაგეგმვის განხილვა.

ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, ექსპერიმენტის დაყენება მაშინ ხდება საჭირო, როდესაც მკვლევარს გააჩნია რაიმე ჰიპოთეზა გარკვეული მოვლენების ურთიერთობის შესახებ და მის ხელთ არსებული მასალა საკმარისი არაა ჰიპოთეზის საბოლოოდ მისაღებად ან უარსაყოფად. მაგრამ სანამ შევეხებით იმ ზოგადი წესების დახასიათებას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება გარკვეული ჰიპოთეზის შემოწმება ექსპერიმენტის საშუალებით, საჭიროა გაირკვეს, როგორ უჩნდება მკვლევარს გარკვეული ჰიპოთეზა.

ცნობილია, რომ არსებობს ჰიპოთეზის წარმოშობის ორი გზა, რომლის გამოც ორი სახის ჰიპოთეზის შესახებ ლაპარაკობენ. ესენია: ინდუქციური და დედუქციური ჰიპოთეზები. ინდუქციური ჰიპოთეზა ფაქტიური სინამდვილის დაკვირვებიდან ჩნდება, დედუქციური კი მოვლენათა შესახებ არსებული ცოდნის ახალ, სხვადასხვაგვარ მიმართებაში მოყვანით, ახლებურად გააზრების შემდეგ.

ინდუქციური ჰიპოთეზა. რომელიმე მოვლენის შესწავლისას მკვლევარი ხშირად იწყებს იმ ობიექტზე დაკვირვებას, რომელიც წინ უსწრებს მისთვის საინტერესო მოვლენას. მოვლენათა შორის არსებული კავშირის შესახებ ხშირად მკვლევარს შეიძლება შემთხვევით შეექმნას და გაუჩნდეს აზრი ისე, რომ მათზე ის საგანგებო, წინასწარ მოფიქრებულ დაკვირვებას არ აწარმოებდეს. მაგალითად, ცნობილია, გერმანელი ფსიქოლოგის — მოიმანის მიერ ექსპერიმენტულად დადგენილი კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, სხვა ადამიანის თანდასწრების გამო, ცპ-ის კუნთური მუშაობის ძალა უფრო ინტენსიური ხდება. აზრი, ჰიპო-

¹ Ф р е с с Л., П н а ж е Ж., Экспериментальная психология, Москва, 1966
стр. 106.

თეზა ამ დებულების შესახებ მოიმაწა შემთხვევითი დაკვირვების საფუძველზე გაუჩნდა. მოიმაწა თავის სტუდენტს დავალება მისცა შეესწავლა ხელის კუნთის მუშაობა ერგოგრაფზე. სტუდენტს ხელის თითზე გამობმული ჰქონდა გარკვეული ტვირთი, რომელიც ეტრონომის ხმაზე რიტმულად უნდა ემოძრაებინა. თითის კუნთის მუშაობა აღირიცხებოდა ერგოგრაფზე. სტუდენტი ხალამოებით. მართო მუშაობის დროს, თითის კუნთის მუშაობის ერთნაირ მაჩვენებლებს იძლეოდა, მაგრამ შემდგომში სისტემატურად აღიღებდა ნაყოფიერებას. მოიმაწა შეამჩნია, რომ კუნთის მუშაობის ნაყოფიერების გაზრდა ლაბორატორიაში მისი მოსვლის დროს ხდებოდა. მას გაუჩნდა ჰიპოთეზა, რომ კუნთის მუშაობის ნაყოფიერების ზრდა შეიძლება სხვა ადამიანის თანდასწრებით იყო გაპირობებული. ეს ჰიპოთეზა დადასტურდა სათანადო ექსპერიმენტების საფუძველზე: სხვა ადამიანის დასწრება ზრდის კუნთური მუშაობის ნაყოფიერებას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ადამიანს სინამდვილეზე დაკვირვების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს ჰიპოთეზა გარკვეული მოვლენების ურთიერთობაზე. აზრი გარკვეული მოვლენების ურთიერთობის შესახებ, რომელიც ადამიანს ჰიპოთეზის სახით უჩნდება, არის დასკვნა, რომელიც მას გამოაქვს ამ მოვლენების კავშირის შესახებ. ეს დასკვნა დაკვირვებას ეყრდნობა. მაგრამ იგი, როგორც ყოველგვარი ინდუქციური დასკვნა, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, რადგან ის აუცილებლობით არ გამოდინარეობს იმ სიტუაციიდან, სადაც ეს დასკვნა გაკეთდა. ამიტომ მას შემოწმება სჭირდება. ექსპერიმენტული მუშაობა სწორედ ამ დასკვნის. ჰიპოთეზის ქვეშარტება-მცდარობის დადასტურებას ემსახურება.

დედუქციური ჰიპოთეზა. ჰიპოთეზა გარკვეული მოვლენების ურთიერთობის შესახებ უკვე არსებული ცოდნის სხვადასხვა დებულებათა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე შეიძლება გაჩნდეს. დედუქციური ჰიპოთეზის აღმოცენების ნათელი მაგალითი მოაქვს ფრეს¹. აღქმაში განწყობის როლის საკითხთა შესწავლის პროცესში მის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ორი კანონი:

1) სიტყვის ცნობის ზღურბლი მით უფრო დაბალია, რაც უფრო სწორად იხმარება ეს სიტყვა ენაში (ე. ი. რაც უფრო ხშირად იხმარება რომელიმე სიტყვა ენაში, მით უფრო ადვილად ხდება მისი ცნობა, აღქმა).

2) ყოველგვარი სტიმულის აღქმის ზღურბლი მით უფრო დაბალია, რაც უფრო ადექვატური განწყობა აქვს ცპ-ს ამ სტიმულის აღქმისადმი. რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვს ცპ-ს მოსალოდნელი სტიმულის შესახებ, მით უფრო ადვილად ხდება მისი აღქმა, მით უფრო დაბალია ამ სტიმულის აღქმის ზღურბლი.

¹ Фресс П., Пиаже Ж., Экспериментальная психология, стр. 117.

ამ კანონთა შეპირისპირების საფუძველზე ფრესი აყენებს დებულებას, რომ თუ რომელიმე ორი სიტყვის ხმარების სიხშირე ენაში თანაბარია, მაშინ რომელიმე მათგანის ცნობის ზღურბლის დაწევა შესაძლებელია ცპ-ისათვის შესატყვისი განწყობის წინასწარ შემუშავებით. ეს იმას ნიშნავს. რომ სიტყვის ხმარების სიხშირის ეფექტს შეიძლება დაემატოთ განწყობის ეფექტი.

ეს უკანასკნელი ჰიპოთეზა, როგორც ვხედავთ, არსებული დებულებების ურთიერთშეთანხმების საფუძველზეა მიღებული. ეს ჰიპოთეზა აგებულია უკვე არსებული ცოდნის და არა სინამდვილეზე უშუალოდ დაკვირვების საფუძველზე.

სხვათა შორის, ორი დებულების საფუძველზე, რომლებიდანაც ფრესს აღნიშნული დედუქციური ჰიპოთეზა აქვს მიღებული, შესაძლებელია სხვა დედუქციური ჰიპოთეზებიც აიგოს. შესაძლებელია ასეთი ჰიპოთეზის ფორმულირებაც: ადექვატური განწყობის საფუძველზე სტიმულის ცნობის ზღურბლის დაწევა დადასტურებული ფაქტია; ენაში სიტყვის ხშირი ხმარების გამო, ამ სიტყვის ცნობის ზღურბლიც დაბლა იწევეს; შესაძლებელია ეს უკანასკნელი ფაქტი იმის გამო ხდებდეს, რომ, ენაში სიტყვის ხშირი ხმარების გამო, ადამიანს ამ სიტყვის მიმართ უფიქსირდება სათანადო, ადექვატური განწყობა; ე. ი. ეს ორი დებულება შესაძლებელია ერთი და იმავე კანონის გამოხატულება იყოს. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ცნობის ზღურბლის დაწევა განწყობის წინასწარი ფორმირებისა და ფიქსაციის გამო ხდებოდეს.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ეს ჰიპოთეზაც აღქმისა და განწყობის შესახებ არსებული ცოდნის საფუძველზეა დადგენილი. ესეც, მსგავსად ფრესის დედუქციური ჰიპოთეზისა, არსებული ცოდნის სისტემიდან და არა სინამდვილეზე უშუალო დაკვირვების გზით არის მიღებული. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰიპოთეზები, როგორც დედუქციური დასკვნები, არსებული სარწმუნო ცოდნის სისტემებიდან არის მიღებული, მაინც არ იძლევიან საკმარის გარანტიას საიმისოდ, რომ ისინი აუცილებლად ჭეშმარიტ დებულებებად მივიჩნიოთ. დედუქციური ჰიპოთეზებიც მოითხოვენ შემოწმებას, რაც ექსპერიმენტული მუშაობის გზით არის შესაძლებელი.

ექსპერიმენტული შემოწმების შემდეგ დედუქციური ჰიპოთეზა შესაძლებელია ჭეშმარიტი არ აღმოჩნდეს. მისი სიყალბე შეიძლება წანამძღვრების სიყალბით ან ლოგიკური შეცდომით იყოს გაპირობებული. გარდა ამისა, არსებული ჭეშმარიტი დებულებების პირობათა გაერთიანების შემთხვევაში შესაძლებელია ისეთი წინასწარ გაუთვალისწინებელი პირობების წარმოქმნა, სადაც დედუქციური ჰიპოთეზები, შესაძლებელია, ჭეშმარიტი არ აღმოჩნდეს.

2. 4. ექსპერიმენტული სიტუაციის ორგანიზაცია

ექსპერიმენტი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შემოწმდეს პიპოთეზაში გამოთქმული ვარაუდი მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამისათვის საჭიროა ორგანიზებული ცვლილებების შეტანა ექსპერიმენტულ სიტუაციაში. ექსპერიმენტატორმა უნდა შეძლოს ექსპერიმენტის სიტუაციაში მონაწილე მოვლენების, ცვლადების კონტროლირება. ძირითადი პრინციპი, რომელიც ექსპერიმენტში გამოიყენება, იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტების გარკვეულ რიგში ცვლილებათა შეტანის შემდეგ ექსპერიმენტატორი აკვირდება, რა ემართება ფაქტების სხვა რიგს. ექსპერიმენტატორ-ფსიქოლოგი ფაქტორების გარკვეულ რიგზე ზემოქმედების შემდეგ აკვირდება იმას, თუ რა გავლენას ახდენს ეს ზემოქმედება ცპ-ის ფსიქიკურ აქტიობაზე. იმ ფაქტორებს, რომლებიც ექსპერიმენტატორის კონტროლირებულ ზემოქმედების შედეგად იცვლება, დამოუკიდებელ ცვლადებს უწოდებენ. დამოუკიდებელი ცვლადი არის წინამძღვარი, წინაპირობა, საფუძველი ან მიზეზი ცპ-ის ფსიქიკურ აქტიობისა. იმ ფაქტორებს (ცპ-ის ფსიქიკური აქტიობის კონტროლირებულ კომპონენტს), რომლებიც იცვლებიან დამოუკიდებელი ცვლადების ზემოქმედების შედეგად, დამოკიდებულ ცვლადებს უწოდებენ. ცდის სიტუაციისა და შედეგების აღწერა, ჩვეულებრივ, ამ ცნებებით ხდება. თუ ქცევის იმ სქემას გავიხსენებთ, რომელიც უკანასკნელ ხანებში გამოიყენება ფსიქოლოგების მიერ ექსპერიმენტული მუშაობის დროს ($S \rightarrow P \rightarrow R$), ნათელი გახდება, რომ ცპ-ის რეაქცია, რომელიც ვლინდება ფსიქიკური აქტიობის სახით, არის დამოკიდებული ცვლადი. ხოლო ყველა ის სიტუაციური და პიროვნული ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ აქტიობას, შეიძლება იყვნენ დამოუკიდებელი ცვლადები.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების სიძნელე, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ცვლადების აღრიცხვის სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

იმისათვის, რომ გამოკვლევულ იქნეს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის განსაზღვრელი ფაქტორები, საჭირო ხდება დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების აღრიცხვა. სიტუაციური ფაქტორებიდან საჭირო ხდება ფიზიკური და სოციალური გარემოს ცვლადების გათვალისწინება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაციური ფაქტორების ფუნქციური ღირებულება ძალიან ხშირად პიროვნული ფაქტორებით არის განსაზღვრული. მაგალითად, ინსტრუქცია, რომელიც ცპ-ს ექსპერიმენტში მოქმედების ამოცანას უსახავს, სიტუაციის შემოსაზღვრას ახდენს, სიტუაციურ ცვლადს წარმოადგენს; მაგრამ ის ამავე დროს პიროვნული ცვლადიცაა, რადგან ინსტრუქცია პიროვნების გარკ-

ვეული სახის მოდიფიცირებას ახდენს. დამოუკიდებელ ცვლადებად შეიძლება პიროვნული ფაქტორებიც იქნეს გამოყენებული, დაწყებული ბიოლოგიური ზემოქმედებიდან წმინდა ფსიქიკურ ზემოქმედებამდე. პიროვნული ფაქტორების ცვალებადობა შესაძლებელია ადამიანზე ფარმაკოლოგიის ზემოქმედებით, აგრეთვე მის მოთხოვნილებებზე, განწყობებზე, მოტივაციასა და სხვა სფეროებზე ზემოქმედების გზით.

ყველა აღნიშნული სახის დამოუკიდებელი ცვლადების ვარიაციის საფუძველზე, ექსპერიმენტატორს საშუალება ეძლევა ამა თუ იმ დონის დარწმუნებულობით დაადგინოს მათი კავშირი დამოკიდებულ ცვლადებთან, ცპ-ის ქცევასთან. ამ გზით შესაძლებელი ხდება შესწავლილ იქნეს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის განმსაზღვრელი სიტუაციური და პიროვნული ფაქტორები.

მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ამგვარი ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ექსპერიმენტატორი ყოველთვის ერთნაირად ვერ იქნება დარწმუნებული დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის აღმოჩენილი კავშირის სიმტკიცით. არსებობს წესების მთელი რიგი, რომელთა საფუძველზეც ექსპერიმენტატორს შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს სანდოობის ის დონე, რომლითაც მის მიერ მოპოვებული ზოგადი დებულება, კანონი ხასიათდება. აქ ფსიქოლოგი-ექსპერიმენტატორი იყენებს ექსპერიმენტის შედეგების სტატისტიკური დამუშავების ყველა იმ წესს, რაც საერთოდ ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენების დროს იხმარება.

მ. სოციალური უსიომლოგიის, როგორც უსიომლოგიის დარგის, განვითარება

საზოგადოდ, ფსიქოლოგიის ისტორიის შესახებ მეტისმეტად განსხვავებული შეხედულებები არსებობს და ეს ძირითადად თვით ფსიქოლოგიაზე არსებულ შეხედულებათა სხვადასხვა გაგებიდან მომდინარეობს. მეცნიერული ფსიქოლოგიის ისტორიას, ჩვეულებრივ, ფეხნერისა და ვუნდტის ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან იწყებენ. ამ გაგებით ფსიქოლოგიას დაახლოებით 100 წლის ისტორია აქვს. მაგრამ, რასაკვირველია, ძნელია იმის მტკიცება, რომ მანამდე არ არსებობდა მეცნიერული ცოდნა ფსიქიკის შესახებ. ჯერ კიდევ არისტოტელეს გამოკვლევაში სულის შესახებ, ხოლო შემდგომში დეკარტეს, ლაიბნიცის, ლოკის, ჯემს მილის, ჯონ სტუარტ მილის, პერბარტის, ლოტცეს და ფსიქიკის სხვა გამოჩენილი მკვლევარების შეხედულებებში საკმაოდ დიდი მეცნიერული ცოდნაა მოცემული ფსიქიკის შესახებ. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფეხნერისა და ვუნდტის ექსპერიმენტული გამოკვლევების შემდეგ მიეცა ფსიქოლოგიაში მოპოვებულ ცოდნას განსაკუთრებით ზუსტი მეცნიერული სახე. ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებამ ფსიქოლოგიას მკაცრი მეცნიერული სახე მისცა და ის ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა რიგში ჩააყენა.

ბევრი ფსიქოლოგის აზრით, ეს ნაკლიცაა — ფსიქოლოგიაში ბუნებისმეტყველური მეთოდების შემოტანის გამო მოხდა ფსიქოლოგიის ე. წ. „ფიზიკალიზაცია“, რის შედეგადაც ფსიქოლოგია თითქოს სულ უფრო დაშორდა თავის ძირითად მიზანს — შეისწავლოს სპეციფიკურადამიანური ფსიქიკური სინამდვილე, რისი მიღწევაც თითქოს შეუძლებელი ხდება ბუნებისმეტყველური მეთოდების გამოყენებით. გარკვეული გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ფსიქიკის შესწავლის პროცესში შეიძლება დიდი ეფექტურობით გამოვიყენოთ ფსიქიკური ფენომენების მნიშვნელობათა ანალიზისა და ინტერპრეტაციის არაბუნებისმეტყველური მეთოდები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია უარყოფილ იქნეს ის უდიდესი როლი, რომელიც შეასრულა ექსპერიმენტის მეთოდის შემოტანამ ფსიქოლოგიაში. სწორედ

ამიტომ ფსიქოლოგების უმრავლესობის მიერ მიჩნეულია, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის ისტორიას ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ისტორია წარმოადგენს.

ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგია ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაზე უფრო ახალგაზრდაა. სოციალურ ფსიქოლოგიაში პირველ ექსპერიმენტულ გამოკვლევად ტრიპლეტის შრომა ითვლება, რომელიც 1897 წელს იყო გამოქვეყნებული¹. ტრიპლეტმა ექსპერიმენტულად სცადა შეენსავლა ადამიანის ქცევაზე მეორე ადამიანის გავლენის ფაქტი. ამისათვის ის თავის ცპ-ებს ავალებდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაეხვიათ კოჭზე ანკესის ძუა. ერთ შემთხვევაში ცპ-ები ინდივიდუალურად, ცალ-ცალკე ასრულებდნენ ამოცანას: მეორეში კი ამოცანას ორორად დაწყვილებული ცპ-ები ასრულებდნენ. ამ დროს ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ ეჯობნათ ერთმანეთისათვის. ცპ-თა ერთ ნაწილს პირველად ამოცანის ინდივიდუალურად შესრულება ევალებოდა და შემდეგ იმავე ამოცანას დაწყვილებულად, შეჯიბრების პროცესში ასრულებდნენ. ცპ-ების მეორე ნაწილი, პირიქით, ამოცანას ჯერ დაწყვილებულად, შეჯიბრების პროცესში ასრულებდნენ და შემდეგ ინდივიდუალურად, სხვა ცპ-ებისაგან იზოლირებულად.

ტრიპლეტი მიღებული ექსპერიმენტული შედეგების საფუძველზე უჩვენებს, რომ ადამიანები დაწყვილებული მოქმედების დროს, შეჯიბრის პროცესში, ბევრად უფრო კარგად და სწრაფად ასრულებენ ამ ექსპერიმენტულ დავალებას, ვიდრე მაშინ, როდესაც იმავე საქმეს იზოლირებულად, ინდივიდუალურად აკეთებენ. აღმოჩნდა, რომ მეორე ინდივიდის ქცევა, როდესაც ის ეჯიბრება სხვა ინდივიდს, დადებით გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, ზრდის მისი აქტიობის ნაყოფიერებას.

ტრიპლეტის შრომა არის პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევა სოციალურ ფსიქოლოგიაში, რომელმაც ბიძგი მისცა შემდგომ ექსპერიმენტულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მუშაობას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ინტენსიური ექსპერიმენტული კვლევა სოციალურ ფსიქოლოგიაში XX საუკ. 40-იანი წლებიდან იწყება. საბჭოთა კავშირში ექსპერიმენტული გამოკვლევები სოციალურ ფსიქოლოგიაში 60-იანი წლებიდან დაიწყო და ამჟამად ფართო ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

ჩვენში ერთ-ერთ პირველ სოციალურ-ფსიქოლოგიურ შრომას პროფ. ა. ფრანგიშვილის გამოკვლევა წარმოადგენს, რომელშიც პანიკის ფსიქოლოგიური საკითხებია დამუშავებული².

¹ Triplett N. The dynamogenic factors in pacemaking and competition. Amer. J. Psychol., 1897, 9, p. 507—513.

² ა. ფრანგიშვილი, პანიკის ფსიქოლოგიისათვის, „ფსიქოლოგია“, ტ. 11, 1943. გვ. 81-128.

სოციალური ფსიქოლოგია ამჟამად ინტენსიურად ვითარდება. საზღვარგარეთული სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც არიან აში, ფლოიდ ოლპორტი, შერიფი, ფესტინჯერი, აბელსონი, ბ. რაინი და სხვანი, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინეს ფსიქოლოგიის ამ დარგის განვითარებაზე, ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. სოციალური ფსიქოლოგიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი ვილიამ მაკდუგალი მხოლოდ 1938 წელს გარდაიცვალა. სოციალური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი ზეონკი აღნიშნავს, რომ სოციალური ფსიქოლოგიის გამოკვლევათა 90% 40-იანი წლების შემდეგ არის დაწერილი.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ამიტომ, ცხადია, მისი ზოგადი თეორიული პრობლემები ჯერ კიდევ დაუმუშავებელია.

იმის გამო, რომ სოციალური ფსიქოლოგია მეცნიერების ძალზე ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ არა გვაქვს სპეციალური სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიები და მიმართულებები. ძირითადი თეორიები, რომელთა საფუძველზეც ხდება სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავება, ზოგად-ფსიქოლოგიური თეორიებია. ესენია: ბიპევიორისტული ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი, გეშტალტფსიქოლოგია და ლევინის ველის თეორია.

უნდა აღინიშნოს, რომ უზნაძის განწყობის თეორია დიდ შესაძლებლობებს იძლევა სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების კვლევისათვის.

აზრი სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავების საჭიროებისა პრაქტიკული მოთხოვნების საფუძველზე გაჩნდა. გართულებული სოციალური ურთიერთობის პირობებში სულ უფრო საჭირო ხდება კოლექტიური მოქმედების სწორი ორგანიზაცია. ასეთი ორგანიზაცია კი შეუძლებელია ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის შესახებ მეცნიერული ცოდნის გარეშე.

ადამიანთა ურთიერთობის ორგანიზაცია და კონტროლი, ცხადია, ყოველთვის სჭირდებოდა საზოგადოებას. ეს მოთხოვნა, ცხადია, მხოლოდ ჩვენს საუკუნეში არ გაჩენილა. ადამიანთა ურთიერთობის კონტროლი ჩვენს საუკუნემდე, სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხების მეცნიერული ცოდნის გარეშე, სოციალურ ურთიერთობათა ამა თუ იმ ფორმაციისათვის შესატყვისი შეხედულებების სისტემის საშუალებით ხორციელდებოდა. რელიგიური დოგმები და მორალური შეხედულებები ადამიანთა ურთიერთობის რეგულაციას ემსახურებოდა, თუმცა მათში ყოველთვის არ იყო გათვალისწინებული ქცევითი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის კანონზომიერებანი. ძველი შეხედულებებისა და სოციალური ინსტიტუტების ნგრევისა და ცვლილებების გამო, გაძნელდა ადამიანების ქცევით ურთიერთდამოკიდებულებათა რე-

გულაცია. ძველმა მორალურმა ნორმებმა, რელიგიურმა შეხედულებებმა და სოციალურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს ადამიანის ქცევის „მექანიზმის“ ფუნქცია. მათი საშუალებით შეუძლებელი ხდება ადამიანთა ქცევის პროგნოზირება, ქცევის ახალი სოციალური „მექანიზმების“ ფორმირება. ცნობიერების ახალი ფორმების ჩამოყალიბებისათვის საჭირო ხდება იმ კანონზომიერების მეცნიერული შესწავლა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური აქტიობა, ადამიანთა ქცევითი ურთიერთგავლენა.

ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებს თავისი ობიექტური კანონები გააჩნია. ის მხოლოდ ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს არ წარმოადგენს, რადგან შორს სცილდება ფსიქიკური კანონზომიერების მოქმედების არეს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებათა გათვალისწინებას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სოციალურ ურთიერთობათა რეგულაციის პროცესში, რადგან ეს კანონზომიერება, როგორც ერთ-ერთი მომენტი, ჩართულია საზოგადოებრივი ურთიერთობის მთლიან პროცესში და შესაბამის გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების რთული პროცესის მიმდინარეობაზე. ამ მდგომარეობის გაცნობიერების გამო, ნათელი გახდა სოციალური ფსიქოლოგიის საკითხთა კვლევის საჭიროება.

ასევე გამოიჩევა, რომ ადამიანის შრომით საქმიანობაზე არსებით გავლენას ახდენს არა მარტო შრომის ფიზიკური, არამედ ფსიქო-სოციალური გარემოც. მაგალითად, ადამიანის შრომით საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენს ის, თუ როგორ არის ორგანიზებული შრომითი ჯგუფი, რომელშიც ინდივიდს უხდება ყოფნა შრომის პროცესში. შრომითი ჯგუფის სიდიდე, მის წევრებს შორის არსებული დამოკიდებულების სტრუქტურა. კომუნიკაციისა და გავლენის სხვა ფორმები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადამიანის შრომით და შემოქმედებით აქტიობაზე.

აღნიშნულ საკითხთა შესწავლას მნიშვნელოვანი უშუალო პრაქტიკული ღირებულება აქვს საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის; მაგრამ მათი მნიშვნელობა ასევე ძალიან დიდია თეორიული თვალსაზრისითაც, რადგან სწორედ ამ ურთიერთობებში ხორციელდება ადამიანის სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქიკურ კანონზომიერებათა გამოვლენა და რეალიზაცია, რომლის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება მისი ფსიქიკურ თავისებურებათა კიდევ უფრო ღრმა შემეცნება. ამგვარი შემეცნების საფუძველზე შესაძლებელი იქნება ადამიანის სოციალური ქცევის, მისი სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის წინასწარმეტყველება და ახსნა. ამ ვითარების გაცნობიერების საფუძველზე გაძლიერდა სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა კვლევის საჭიროება.

4. გარემო და ფსიქიკური აქტიობის ორგანიზაცია

როგორც აღნიშნული იყო, ადამიანი საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში სოციალურ ქცევას ახორციელებს. ადამიანის სოციალური ქცევის სტრუქტურა მისი სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებით არის გაპირობებული. მაგრამ სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერება, თავის შხრივ, ადამიანისა და მისი სოციალური გარემოს ურთიერთობას ასახავს თავისთავში, მას ეყრდნობა და მის საფუძველზე ფორმირდება. ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური კანონზომიერების სტრუქტურულ თავისებურებათა შემეცნება ადამიანისა და მისი გარემოს კავშირურთიერთობათა ანალიზის საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

დ. უზნაძის აზრით, ადამიანის ფსიქიკის შესწავლა მხოლოდ ისტორიზმის პრინციპის საფუძველზეა შესაძლებელი¹. ადამიანის ფსიქიკა განვითარების სხვადასხვა დონის აქტიობათა შრეებისაგან შედგება. იმის მიხედვით, თუ ადამიანს რაოდენი სირთულის ამოცანის შესრულება უხდება, ის თავის ქცევაში ამა თუ იმ დონის ფსიქიკურ აქტიობას ჩართავს. ადამიანის სპეციფიკური სოციალურ-ფსიქიკური აქტიობა ობიექტივაციის უმაღლესი დონის ფსიქიკური კანონზომიერების მონაწილეობით ხორციელდება. ამიტომ მის თავისებურებათა შესწავლა ფსიქიკური აქტიობის ყოველი დონის კანონზომიერებათა გათვალისწინებას მოითხოვს. გარემოსთან ურთიერთობაში ადამიანი თავისი ფსიქიკური ორგანიზაციის სირთულის მიხედვით შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს, როგორც: ა) ინდივიდი, ბ) სუბიექტი და გ) პიროვნება.

ამ თვალსაზრისით ადამიანის განვითარების პროცესი შეიძლება აგრეთვე დახასიათდეს როგორც მისი სოციალური ჩამოყალიბების პროცესი, მისი სოციალიზაცია.

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველზე. „ფსიქოლოგია“, ტ. 6, თბილისი, 1949.

4. 1. ადამიანი, როგორც ცოცხალი ინდივიდი

რეალობის ის ნაწილი, რომელიც ფსიქიკური აქტიობით ხასიათდება და რომელზეც დაკვირვება შეიძლება, ორგანიზმის სახით არის მოცემული. გარედან დაკვირვების მიხედვით, ორგანიზმი სინამდვილის ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ის სინამდვილისაგან მაინც გამოყოფილი, გარკვეული მთლიანობის მქონე ნაწილია. ორგანიზმისათვის სპეციფიკურია ის გარემოება, რომ იგი იღებს სინამდვილის ზემოქმედებას, როგორც მთლიანი ერთეული და ამ მთლიანობის შენარჩუნების ტენდენციით ხასიათდება.

ინდივიდი, როგორც ორგანიზმი, გარესინამდვილესთან ბიოლოგიური მოთხოვნილებებით არის დაკავშირებული და მისი ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ახორციელებს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო აქტიობას, როგორც ერთი მთლიანი სისტემა.

უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის მოქმედების საფუძველს ორგანიზმის ერთიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა — განწყობა წარმოადგენს. განწყობა არის ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ინდივიდში გარკვეული მოთხოვნილებებისა და მისთვის შესატყვისი გარემოს ერთდროული ზემოქმედების შედეგად აღმოცენდება¹.

ცოცხალი ორგანიზმი გარკვეულ ფუნქციონალურ სისტემას წარმოადგენს. ეს ორგანიზაცია, ისევე როგორც ყოველივე ფიზიკური სისტემა, გარემოს ზემოქმედების შედეგად რღვევას განიცდის. გარესობის ზემოქმედება იწვევს მისი ორგანიზაციის დაშლას. მაგრამ ინდივიდი მანამ წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს, ვიდრე მისი ნაწილები გარკვეულ წონასწორობაში იმყოფება ერთმანეთთან. ინდივიდის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ თავისი წონასწორობის დარღვევას ის განიცდის როგორც გარკვეულ ბიოლოგიურ მოთხოვნილებას. ბიოლოგიურ-ვიტალური მოთხოვნილებები. უპირველეს ყოვლისა, არის რაიმე მიმართულებით დანაკლისის განცდა და მიუთითებს ორგანიზმის წონასწორობის დარღვევის იმ დონეზე, რომელიც საშიშროებას უქმნის ინდივიდის მთლიანობას. მაგალითად. აუ ცოცხალმა ორგანიზმმა დიდი რაოდენობით დაკარგა სითხე, მას წყურვილის მოთხოვნილება უჩნდება და თუ მან ვერ მოახერხა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, დანაკლისის შევსება, — დაიღუპება. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, წონ-

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტომი 6. თბილისი, 1949, გვ. 49.

ნასწორობის აღდგენისათვის საჭირო საგნები და მოვლენები გარესი-
ნამდვილეში არსებობს და ამისათვის ორგანიზმი გარკვეულ ურთიერ-
ობას ამყარებს გარემოსთან. შესატყვისი საგნების მოძებნისა და მო-
თხოვნილებათა დაკმაყოფილების აქტიობა შეიძლება განხილულ იქნეს
როგორც მიზანშეწონილი ქცევა, რომლის საფუძველზეც ხდება ორ-
განიზმის დარღვეული წონასწორობის აღდგენა, სისტემის გაწონასწო-
რება¹.

გარკვეული მოთხოვნილებების საფუძველზე შესატყვისი მოვლენათა
მოძებნისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აქტიობის მექანიზ-
მების დახასიათებისათვის ფსიქოლოგიაში სხვადასხვა თეორია იყო წა-
მოყენებული. ამ თეორიების ერთ ჯგუფს საფუძველად უდევს პოსტულა-
ტი, რომელსაც „გაპირობებით დაკავშირების“ ან „პირობითი კავში-
რებით გათლიანების“ პოსტულატი შეიძლება ეწოდოს. მიზანშეწონი-
ლი ქცევის ამხსნელი თეორიების მეორე ჯგუფი კი აგებულია საწინა-
აღმდეგო პოსტულატის საფუძველზე, რომელსაც „მთლიანობისა და
ერთიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატს ვუწოდებთ.

4. 1. 1. პირობითი კავშირებით გათლიანების პოსტულატი

თვალსაზრისი, რომელიც ამ პოსტულატში არის გატარებული, გუ-
ლისხმობს, რომ ფსიქიკური პროცესები, რომლებიც ინდივიდს სინამდ-
ვილის საგნების ზემოქმედების შედეგად უჩნდება, თავიდან ერთმანე-
თისაგან იზოლირებულ ფენომენებს წარმოადგენენ, ხოლო გამოცდილე-
ბის პროცესში ისინი თანდათან უკავშირდებიან ერთმანეთს და ხდება
მათი ორგანიზირება — გათლიანება. მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილე-
ბები, როგორიცაა სიყვითლე, სიმრგვალე, სიმკვავე და სხვა განცდები
გამოცდილების პროცესში ერთმანეთს უკავშირდება და იქმნება მთლი-
ანი საგნის — „ფორთოხლის“ განცდა. იგივე ითქმის გარკვეული სახის
მოქმედების სწავლის შესახებ. ამ პოსტულატის მიხედვით, ხელების,
ფეხებისა და მთლიანად ტანის გარკვეული, ცალკეული მოძრაობების
დაკავშირება გაერთიანების საფუძველზე შეიძლება, მაგალითად, „ვე-
ლოსიპედის ტარების“ მოქმედების სწავლა.

ფსიქიკური აქტიობის მთლიანობა ფსიქიკური ელემენტების გარ-
კვეულ პირობებში დაკავშირების საფუძველზე იქმნება. ამ თვალსაზრი-
სით. მიზანშეწონილი ქცევაც იმავე მოდელის მიხედვით ყალიბდება.
ინდივიდისათვის სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ამსახველი
შთაბეჭდილებანი პრინციპულად არავითარ კავშირში არ იმყოფება მის
მოთხოვნილებებთან, რომლებიც მას უჩნდება. მხოლოდ შემდეგში.

¹ ი. ბ. ე. ა. ე. კიბერნეტიკა და ფსიქოლოგია. თბილისი. 1961. გვ. 45.

გარკვეული მოთხოვნების საფუძველზე მოქმედების დროს, ხდება ამ მოთხოვნებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგი საგნებისაგან მიღებული ფსიქიკური შთაბეჭდილებების ურთიერთთან დაკავშირება. „პირობითი კავშირებით გამთლიანების პოსტულატი“ საფუძველზე აგებულ სხვადასხვა თეორიაში აღნიშნულ სინამდვილეთა (მოთხოვნების მდგომარეობისა და მისი დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგი საგნებისაგან მიღებული შთაბეჭდილების) დაკავშირების საფუძველად სხვადასხვა პირობაა აღიარებული. ზოგჯერ მათი დაკავშირების საფუძველად მათი შეხვედრის სიხშირეა მიჩნეული, ზოგჯერ ის ემოციური მდგომარეობა, რომელიც მათი შეხვედრის დროს პქონდა ინდივიდს და სხვ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ თვალსაზრისით, აღნიშნული მოვლენები პრინციპულად ჰეტეროგენულნი არიან ერთმანეთისადმი და მათი დაკავშირება შემდგომში ინდივიდის აქტიობის საფუძველზე ხდება.

ამ პოსტულატის მიხედვით, რომელიც მიზანშეწონილი ქცევის ამხსნელ თეორიებშია გამოყენებული, ქცევის ორგანიზმულ და საგნობრივ ფაქტორთა¹ კავშირი გარეგნულ, გამოცდილების საფუძველზე დამყარებულ დაკავშირების პროდუქტად არის გამოცხადებული.

გაპირობებით დაკავშირების პოსტულატი, ჩვეულებრივ, ფსიქიკის გაგების „ატომისტურ“ და „ელემენტარისტულ“ თეორიებთან არის დაკავშირებული: ამ ფსიქოლოგიურ თეორიებში, სადაც ფსიქიკური აქტიობა ფსიქიკის ცალკეული ელემენტების გაერთიანების პროდუქტად არის მიჩნეული, ყოველთვისაა გამოყენებული „გაპირობებით დაკავშირების“ პოსტულატი. მაგრამ არსებობს მიზანშეწონილი ქცევის ამხსნელი ისეთი თეორიები, რომლებიც ცნობიერების პროცესებისა და ქცევითი აქტიობის შესწავლის დროს „ელემენტარისტულ, ატომისტურ“ თვალსაზრისს ებრძვიან, მაგრამ მოთხოვნილებათა და საგნობრივი მონაცემების ურთიერთობის გაგებაში მაინც „პირობითი კავშირებით გამთლიანების“ პოსტულატზე დგანან.

¹ ფსიქიკური აქტიობის ამ დონეზე ქცევის ორგანიზმულ და საგნობრივ ფაქტორებს ხშირად ქცევის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს უწოდებენ, რაც, ჩვენი აზრით, არასწორად უნდა ჩაითვალოს. ფსიქიკური აქტიობის ამ დონეზე სუბიექტობიექტის დამარსპირებას ჯერ არა აქვს ადგილი. აქტიობის ამ პროცესში ორგანიზმს არ მოუხდენია თავისი თავის გამოყოფა ქცევიდან და სინამდვილეს არ ჭანიცდის ობიექტის სახით. ფსიქიკური აქტივობის ამ დონეზე ინდივიდს არც თავისი ორგანიზმის მდგომარეობის შესახებ და არც ობიექტის შემოქმედების შესახებ არა აქვს რაიმე სუბიექტური მოცემულობა. ცნობიერი დამოკიდებულება. მათი განხილვა მხოლოდ გარედან ობიექტური დაკვირვების სახით მეორე დამკვირვებელს შეუძლია. ამიტომ აქ კონტექსტში აღნიშნული ფაქტორების მიმართ სუბიექტურისა და ობიექტურის ხმაურება ამ ტერმინების უზუსტო გამოყენების შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული პოსტულატის საფუძველზე აგებული თეორიების მიხედვით, საზოგადოდ ინდივიდის ფსიქიკური განვითარება გაგებულ უნდა იქნეს როგორც სწავლა, რის საფუძველზეც ცალკეული ფსიქიკური ელემენტების ან პროცესთა გაერთიანება და გარემოს შესახებ ერთიანი სურათის შექმნა, ცოცხალი ინდივიდის აქტიობის მთლიანობა და ერთიანობა ასეთივე დაკავშირების, გამთლიანების გზით არის მოპოვებული.

ამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისისათვის კიდევ ერთი თავისებურებაა დამახასიათებელი. მის მიხედვით პრინციპულად სრულიად უკულებელყოფილია ინდივიდისა და საერთოდ ადამიანის სპეციფიკური როლი სინამდვილის გაგების საქმეში. ეს თვალსაზრისი მემკვიდრეა იმ შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც ინდივიდი სუფთა დაფას წარმოადგენს. სინამდვილე მასზე გარკვეულ ტექსტს წერს, რომლის შინაარსი მხოლოდ ობიექტური გარემოს თავისებურებით არის განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით, სწავლის პროცესში ხდება სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კლასიფიცირება და კატეგორიზება. ამ დროს ადგილი აქვს ინდივიდის ფსიქიკური აქტიობისა და უნარის ჩამოყალიბება-ორგანიზებას.

ამ თვალსაზრისით, ძირითად ფსიქიკურ აქტიობას სწავლის პროცესი წარმოადგენს; ფსიქიკური აქტიობის ძირითადი მეთოდი კი ე. წ. „ცდისა და შეცდომის“ მეთოდია. ამ პრინციპის მიხედვით, ყოველგვარი სწავლა და საერთოდ ფსიქიკური განვითარება „მცდელობებისა და შეცდომების“ გზით ხორციელდება. ეს პრინციპი, როგორც სწავლისა და საზოგადოდ მიზანშეწონილი ქცევის ორგანიზების ძირითადი მეთოდი, ამერიკელი ფსიქოლოგის — თორნდაიკის მიერ იყო ფორმულირებული¹. თორნდაიკი მშვიერ კატას გალიაში სვამდა. მის გარეთ კი საკვებს დებდა. კატას უნდა ესწავლა სპეციალურ სახელურზე თათის დაჭერა და გალიიდან გარეთ გამოსვლა. სახელურზე თათის დაჭერის შემთხვევაში გალიის კარი იღებოდა და კატას შეეძლო გალიიდან გამოსვლა. ამ ექსპერიმენტის მრავალჯერ გამეორების შედეგად, კატამ ისწავლა კარის გაღება და გალიიდან გარეთ გამოსვლა. დასაწყისში კატას მრავალი მცდარი მოქმედების რაოდენობამ თანდათან იკლო, ვიდრე კატამ არ ისწავლა უშეცდომოდ სახელურზე თათის დაჭერა. თორნდაიკის აზრით, ყოველგვარი სწავლა, მათ შორის ადამიანურიც, ამგვარი „მცდელობებისა და შეცდომების“ მეთოდის გამოყენების საფუძველზე ხორციელდება. პრობლემურ სიტუაციაში შემთხვევითი სწორი მოძრაობა, დაკავშირებით ხდება მიზანშეწონილი ქცევის სწავლა. „პირობითი დაკავშირებით გამთლიანების“ პოსტულატი, როგორც ვხედავთ, ინდი-

¹ Торндайк, Пряшпы обучения, основанные на психологии, М., 1936.

ვიდისა და გარემოს შემთხვევითი შეხვედრის იდეას ეყრდნობა. ამ პოსტულატის საფუძველზე აგებულ თეორიებში ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების ფსიქიკური აქტიობის სპეციფიკა სრულიად იგნორირებულია, ფსიქიკის თავისებურებათა გაგება ფიზიკური კანონზომიერების საფუძველზეა ნაცადი.

„პირობითი კავშირებით გამთლიანების“ პოსტულატს ფსიქოლოგიაში „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატი უპირისპირდება.

4. 1. 2. „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატი

ამ პოსტულატის მიხედვით, ორგანიზმი და გარემო ერთიან და მთლიან სისტემას წარმოადგენს; ისინი შემთხვევით, გარეგნულად, პირობითად არ არიან დაკავშირებული. მათი კავშირი შინაგანი და ორგანიზულია; თვით ეს კავშირია ის ფუნდამენტი, რომლის საფუძველზეც ჩნდება სასიცოცხლო პროცესები და ინდივიდის ყოველგვარი ფსიქიკური აქტიობა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ჩასახვის შემდეგ მისი განვითარება ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესების გართულებისა და დიფერენციაციის გზით ხდება.

როგორც აღნიშნული გვეჩვენა, ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესები, განვითარების დაბალ დონეზე, სინამდვილესთან უშუალო მატერიალური გაცვლის პროცესებით ამოიწურება. განვითარების პროცესში ინდივიდსა და მის გარემოს შორის ჩნდება ერთგვარი დისტანცია. უშუალო მატერიალური გაცვლის გვერდით ისახება თვისებრივად ახალი დამოკიდებულება ორგანიზმსა და მის გარემოს შორის. ინდივიდი ახალი ფორმის დამოკიდებულებას ამყარებს თავის გარემოსთან მას შენდევ. რაც მისი უფრო მეტად გამოდიფერენცირება ხდება გარემოსაგან. მაგრამ, დროითი და სივრცითი დისტანციის გაჩენის მიუხედავად, ინდივიდი არსებით კავშირს ინარჩუნებს თავის გარემოსთან. განვითარების ამ პროცესში დროითი და ვრცელუნი განზომილებების მიხედვით, როდესაც ის სცილდება, შორდება საჭირო საგნებს, მაინც ინარჩუნებს მათთან კავშირის გარკვეულ სპეციფიკურ ფორმას. საჭიროება. დანაკლისი მათ მიმართ მოთხოვნილების სახით ყალიბდება. დროითი დისტანციის პირობებში ინდივიდი მათთან კავშირს გრძნობადი მონაცემების საფუძველზე აგრძელებს. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდისა და გარემოს კავშირურთიერთობის უშუალო ფორმები, მათ შორის დროითი და ვრცელუნი დისტანციის პირობებში, კავშირურთიერთობის ახალი ფორმების სახით ყალიბდება.

ამ თვალსაზრისით, კავშირი ინდივიდის მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის შემთხვევითი, გარეგნული არაა. არსებული მოთხოვნი-

ლებებისა და შესატყვისი საგნებისაგან მიღებულ მონაცემებს შორის შინაგანი, ორგანული კავშირი არსებობს; ის ინდივიდისა და გარემოს უშუალო მატერიალური გაცვლის პროცესში არსებულ კავშირთა დიფერენცირებისა და განვითარების საფუძველზე ფორმირდება. მოცემულ შემთხვევაში, ცხადია, ლაპარაკია აღნიშნულ მოვლენებს შორის არსებული პრინციპული კავშირის შესახებ და მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყოველთვის ხდება ამ კავშირების ფორმათა ტრანსფორმაცია, გადასტრუქტურება ინდივიდისა და გარემოს რეალური ურთიერთობის პროცესში. ამ დროს, რასაკვირველია, დიდ როლს ასრულებს პირობითი დაკავშირების ის მექანიზმები, რომელთა მოქმედების პრინციპი აბსოლუტიზებულია „პირობითი დაკავშირების“ პოსტულატში.

მიზანშეწონილი ქცევის ახსნის დროს „პირობითი დაკავშირების“ პოსტულატს ეყრდნობა ისეთი ფართოდ გავრცელებული ფსიქოლოგიური თეორიები, როგორებიცაა კლასიკური ბიჰევიორიზმი. ძველი და თანამედროვე ასოციაციონიზმი.

„მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატს ეყრდნობა ისეთი ფსიქოლოგიური თეორიები, როგორებიცაა გეშტალტფსიქოლოგია, პერსონალისტური ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი, ანოხინის „მოქმედების აქტეპტირისა და წინმსწრები ასახვის“ თეორია და სხვ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაც „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატის საფუძველზეა აგებული.

განწყობის თეორიის მიხედვით, ინდივიდის ქცევა ინდივიდის განწყობის საფუძველზე ჩნდება და მიმდინარეობს. განწყობა, უზნაძის მიხედვით, ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც ინდივიდის მოთხოვნილებებისა და შესატყვისი საგნის ზემოქმედების შეხვედრის შედეგად იქმნება.

როგორც აღრე იყო აღნიშნული, ინდივიდმა გარემოსთან უშუალო მატერიალური გაცვლის, ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესებიდან გამოყოფის შემდეგაც შეინარჩუნა თავისი „ასახვითი დამოკიდებულება“ სინამდვილის მიმართ. განწყობა, როგორც ინდივიდის კონკრეტული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სინამდვილისადმი ფსიქიკურ — „ასახვით დამოკიდებულებას“ წარმოადგენს. მასში ასახულია თვით ინდივიდის მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნილებებისადმი შესატყვისი გარემო. ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილობით ხასიათდება.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ განწყობა, როგორც ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა, უზნაძის მიერ ორი თვალსაზრისით იქნა დახასიათებული. განწყობა მას, ერთი მხრივ, დახასიათებული აქვს როგორც ინდივიდის ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა. რომელშიც გარკვეული

ვითარება ასახული (ის სინამდვილისადმი ინდივიდის ასახვითი დამოკიდებულების ფორმა), ხოლო მეორე მხრივ, ის ინდივიდის მოქმედების საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში უზნაძეს. როდესაც ინდივიდის ქცევის სტიმულ-რეაქციის (S—R) მოდელის საწინააღმდეგოდ ქცევის სამწევროვანი ფორმულა სტიმული — განწყობა (ინდივიდი) — რეაქცია (S—O—R) წამოაყენა. სტიმულ-რეაქციის (S—R) მოდელის მიხედვით, ინდივიდის რეაქცია, ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ იმ სტიმულებით არის განსაზღვრული, რომელიც ინდივიდზე მოქმედებს. განწყობის თეორიის სამწევროვანი მოდელის მიხედვით კი სუბიექტის რეაქცია, სტიმულს გარდა, გაპირობებულია ინდივიდის იმ მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობის—განწყობის მიხედვითაც. რომელიც სუბიექტს სინამდვილის ზემოქმედების შემდეგ უყალიბდება.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ განწყობა, როგორც ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა სინამდვილის მიმართ, წმინდა შემეცნებით დამოკიდებულებას არ წარმოადგენს. ის სინამდვილისადმი აქტიური უკუზემოქმედების განმსაზღვრელი ასახვითი დამოკიდებულებაა. განწყობაში სინამდვილე შეზღუდული თვალსაზრისით, ინდივიდის მოთხოვნილებათა პოზიციიდან აისახება. განწყობისეული ასახვა სინამდვილის ობიექტური შემეცნების უშუალო ამოცანას არ ემსახურება. ამიტომ მისი სპეციფიკის გარკვევის დროს უზნაძე საგანგებოდ უსვამს ხაზს მის ქმედით ღირებულებას, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევის განმსაზღვრელობას. აღამიანს სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში უჩნდება წმინდა შემეცნებითი და სხვაგვარი დამოკიდებულების ფორმები.

განწყობის თეორიის თვალსაზრისით, სინამდვილისადმი განწყობისეული ასახვითი დამოკიდებულება არის ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის საფუძველი. ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებანი განწყობის კანონზომიერებით არის გაპირობებული.

ინდივიდის ფსიქიკურ აქტიობას აქამდე ძირითადად ფუნქციონალური თვალსაზრისით განვიხილავდით. მისი ბუნების ღრმა გაგებისათვის კი აუცილებელი ხდება შინაარსობრივი დახასიათებაც. მაგრამ ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის შინაარსობრივი გარჩევა მეტისმეტად ძნელ ამოცანას წარმოადგენს. ეს სიძნელე იმითაც არის გამოწვეული, რომ ინდივიდი თავის ფსიქიკურ აქტიობას, ჩვეულებრივ, ვერ აცნობიერებს. ამიტომ მისი დახასიათება გაძნელებულია, თუმცა ის სრულიად შეუძლებელ ამოცანად არაა მიჩნეული. ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დახასიათებას, როგორც ადრე ფსიქიკური სინამდვილის შესასწავლი მეთოდების დახასიათების დროს იქნა აღნიშნული, ორი გზით ცდილობენ. ერთ-ერთ ვხას ინდივიდის ქცევაზე დაკვირვება წარმოადგენს,

საიდანაც შეიძლება გაირკვეს მისი საფუძვლადმდებარე ფსიქიკური სინამდვილე. მეორე მხრივ, საკუთარ ცნობიერ ფსიქიკურ მოვლენებზე დაკვირვებისა და ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, რაც გაუცნობიერებელი ფსიქიკური აქტიობის შედეგს წარმოადგენს. ზოგჯერ ექსპერიმენტულ გამოკვლევათა დროს სდება ამ მეთოდების კომბინირებული გამოყენება. ამ დროს ცპ-ს ექსპერიმენტატორი სთხოვს ანგარიშს მისი ცნობიერების მუშაობის შესახებ და, სათანადო ანალიზის საფუძველზე, ექსპერიმენტატორი აკეთებს დასკვნებს ცპ-ის ცნობიერების საფუძვლად მდებარე არაცნობიერი ფსიქიკური აქტიობის შესახებ.

ასლა შეეცდებით ამ მეთოდების საფუძველზე მოპოვებული ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის შინაარსთა დახასიათებას.

4. 1. 8. სინამდვილისთან ინდივიდის ურთიერთობის პროცესში აღმოცენებული საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებანი

ყოცხალი ინდივიდი პრაქტიკული საქმიანობის დროს ვრძნობსადად მოცემულ გარემოში ცხოვრობს. მისი ქცევა ამ ვრძნობადად მოცემული სინამდვილისადმი შესატყვისი, მიზანშეწონილი. ინდივიდის ფსიკიკური აქტიობის ძირითად შინაარსს გრძნობადად მოცემული სინამდვილის აღქმა, გრძნობადად მოცემული სინამდვილისადმი მიღება-უკუგდების აფექტური დამოკიდებულება და წარსული გამოცდილების ორგანიზებული შენახვა წარმოადგენს. ფსიკიკური აქტიობის ეს კომპონენტები ინდივიდის მთლიანი განწყობისეული აქტიობის ცალკეულ ასპექტს წარმოადგენს.

ცხოველებსა და ბავშვებზე ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე კარგად ჩანს, რომ ინდივიდის მიერ განხორციელებული არაობიექტივირებული აღქმის პროცესები ისეთი თვისებებით ხასიათდება, როგორიცაა კონსტანტობა. ფიგურა-ფონი, მთლიანობა. კატეგორიულობა და ს.წ. იგივე შედეგები დასტურდება მოზრდილ სუბიექტებზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში, სადაც ობიექტივირებული ცნობიერების პროცესების საფუძვლად მდებარე ფსიკიკური აქტიობის კანონზომიერებათა შესწავლა ხდება. ექსპერიმენტულად დამტკიცდა, რომ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ინდივიდის უმუშავდება ე. წ. პერცეპტული სქემები და კატეგორიულობის სისტემები, რომელთა საფუძველზეც ინდივიდი სინამდვილის შემოქმედების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს საგნობრივი კატეგორიის ობიექტად აღიქვამს. სინამდვილის ობიექტების ურთიერთისაგან დიფერენცირებას აღქმის ამ სისტემების საფუძველზე ხდენს.


ყველაზე უმარტივესი ასახვითი ფსიკიკური აქტიობა, რომელსაც ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ახდენს, ეს სი-

ნამდვილიდან აღქმის საგნის გამოყოფაა. აღქმის ეს უმარტივესი თავისებურება იმაში მქლავნდება, რომ აღქმის დროს სინამდვილის ფიგურა-ფონად ღიფერენცირება ხდება. აღქმის ამ თვისების საფუძველზე აღქმის საგანი. რომელზეც ხდება ინდივიდიდან აქტიობის წარმართვა, თითქოს თავისთავად გამოიყოფა სინამდვილის სხვა საგნებისაგან და ინდივიდის მიერ ის აღიქმება, როგორც საერთო ფონიდან გამოყოფილი, ოდნავ გამოღიფერენცირებული ფიგურა. აღქმის ეს თავისებურება ინდივიდის განწყობისეული მოქმედების კანონზომიერებით არის გაპირობებული. როგორც აღრე აღვნიშნეთ, ინდივიდი გარესინამდვილეს განურჩევლად. ინდიფერენტულად არ უდგება. ინდივიდისათვის სინამდვილის ის საგნებია მეტი ღირებულებისა და მნიშვნელობის მქონე, რომლებიც მრ. მოთხოვნილებებთან გარკვეულ ურთიერთობაშია. ინდივიდის აქტუალურ განწყობასთან ურთიერთობაში მყოფი საგნები უფრო გამოყოფილად და გამოცალკეებულად აღიქმება, სხვა საგნები კი მხოლოდ ფონს წარმოადგენს. მშეირი თავვი საქმელს, მაგალითად კარაქიანი პურის ნატეხს, სინამდვილიდან გამოყოფილ და გამოკვეთილ საგნად აღიქვამს. დანარჩენ საგნებს კი. როგორც ფონს. ნაკლებ ყურადღებას აქცევს, რის გამოც მშეირი თავვი უფრო ადვილად ხვდება ხაფანგში. ვიდრე მაძლარი. ინდივიდი თავისი აქტუალური განწყობის საფუძველზე სინამდვილეს ღიფერენცირებულად, ფიგურა-ფონად აღიქვამს.

ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ეს ელემენტარული და ძირითადი თვისება აღქმის პროცესის ისეთ კონსტიტუციურ და შინაგან კომპონენტად იქცა. რომ ადამიანი გრძნობადი მონაცემების ღიფერენცირებას ფიგურა-ფონის სახით უკვე მაშინაც ახდენს. როდესაც გრძნობადი მონაცემების ასეთი გამოცალკეებისათვის არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს. ამ ვითარების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს რუბინის პროფილებისა და ვაზის სურათი (ნახ. 1) და ნეკერის კუბი (ნახ. 2).



ნახ. 1. პროფილები და ვაზა
(რუბინის ფიგურა)



ნახ. 2. ნეკერის კუბი

როდესაც რუბინის ფიგურაში ადამიანი ვაზას აღიქვამს, მაშინ პროფილები თითქოს სიღრმეში მიდიან, ფიგურის თვისებას კარგავენ და ფონად იქცევიან, ხოლო როცა ადამიანი ამ სურათში პროფილებს აღიქვამს, მაშინ ვაზა, როგორც აღქმის საგანი, სიღრმეში მიდის, ფონად იქცევა და იკარგება. ამ ე. წ. შექცევად სურათში ფიგურა-ფონის მონაცვლეობა აღმქმელის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად ხდება, ადამიანის განზრახვას არ ემორჩილება. იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ნეკერის კუბის აღქმის დროსაც. ამ სურათის შიგნითა, მცირე ზომის კვადრატს ადამიანი ზოგჯერ გარე დიდ კვადრატთან შედარებით უფრო ახლო. აქეთ გამოწეულად აღიქვამს, ზოგჯერ კი, პირიქით, უფრო შორს, ვიდრე გარეთა დიდ კვადრატს. ამის გამო, სუბიექტის მიერ ეს სურათი განიცდება როგორც წაკვეთილი პირამიდა, რომელსაც მცირე გვერდი ხან აქეთ აღმქმელისაკენ აქვს მობრუნებული და ხან კი, პირიქით, ისე, თითქოს მცირე გვერდი აღმქმელისაგან შორს, სიღრმისაკენ აქვს მიქცეული.

აღნიშნულ სურათთა აღქმის დროს ფიგურა-ფონის მონაცვლეობა ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის შედეგს წარმოადგენს. აღქმის ჩვეულებრივი პროცესის დროს, ამ ფსიქიკური აქტიობის შედეგად, აღქმის საგანი აქცენტირებული ხდება, ის გამოეყოფა გარემოს სხვა საგნებს და მათ ფონზე ფიგურად განიცდება.

მაგრამ ინდივიდის აღქმითი აქტიობის თავისებურებანი სინამდვილის საგნების ფიგურა-ფონად დიფერენცირებით არ ამოიწურება. მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სინამდვილის საგნებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გარკვეულ საგნებად აღქმისათვის საპირო ხდება კატეგორიებისა და ორგანიზირების მრავალი სხვა პერცეპტული სქემის გამოყენება. ინდივიდი ამ პერცეპტული სქემების საფუძველზე ახდენს სინამდვილის საგნების დიფერენცირებულ აღქმას.

ამ მიმართულებით საინტერესო მონაცემებს იძლევა ბრუნერის ექსპერიმენტული გამოკვლევები¹, რომლებიც, მართალია, ცნობიერებაჩამოყალიბებულ ადამიანებზე, სუბიექტებზეა ჩატარებული, მაგრამ მიანცნათელ წარმოდგენას იძლევა ცნობიერების საფუძველად მდებარე გაუცნობიერებელი ფსიქიკური აქტიობის შინაარსის შესახებ. ბრუნერის გამოკვლევათა საფუძველზე დასტურდება, რომ აღქმის პროცესი, გარდა იმისა, რომ გრძნობადი მონაცემების ორგანიზაციას გულისხმობს, თავისთავში კატეგორიზაციის აქტსაც შეიცავს. ინდივიდს გარესინამდვილიდან ეძლევა არა მხოლოდ სიმრგვალის, სიყვითლის. გარკვეული სი-

¹ Bruner J. On perceptual readiness. Psychol. Review., vol. 64, № 2, 1957, p. 123—152.

დიდისა და სიმძიმის ცალკეული განცდები, არამედ მათ ეპყრობა, როგორც გარკვეული ღირებულების მქონე საგანს, ის მათ აღიქვამს როგორც „ფორთოხალს“. აღნიშნულ გრძნობად მონაცემთა ფორთოხლის სახით აღქმა იმის გამო ხდება, რომ ინდივიდს ეს მონაცემები ფორთოხლის კატეგორიაში შეაქვს. ამ მონაცემების კატეგორიაში შეტანა, კატეგორიული აღქმა, ჩვეულებრივ, ისე ხდება, რომ ამ პროცესს ადამიანი არ აცნობიერებს. ამ პროცესში გარკვეულ სიძნელეთა გაჩენის დროს ადამიანი ახდენს მის საგანგებო გაცნობიერებას და მაშინ ის უკვე უბრალო ცოცხალი ინდივიდის სახით აღარც მოქმედებს. ამ შემთხვევაში უკვე სუბიექტის გაცნობიერებულ აქტიობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ამგვარი აქტიობის შინაარსის აღწერას შემდგომში სუბიექტის ფსიქიკური დახასიათების დროს მოვახდენთ.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ბრუნერი უჩვენებს, რომ არა მხოლოდ ცნობიერი აქტიობის ადამიანურ დონეზე, არამედ ინდივიდის ფსიქიკური მოქმედების დროსაც არ ხდება რაიმე პერსპექტულ პროცესთა ჩამოყალიბება გრძნობადი მონაცემების გარკვეულ კატეგორიაში შეტანის გარეშე. გრძნობადი მონაცემების გარკვეულ კატეგორიაში შეტანა — ე. ი. მათი კატეგორიულ-საგნობრივი აღქმა ინდივიდის ისეთ ფსიქიკურ აქტიობას მოითხოვს, რაც ფუნქციონალურად იდენტიფიკაციისა და დასკვნის ცნობიერი პროცესის ანალოგიურია. ფორთოხლის აღქმის დროს აღქმის გრძნობად მონაცემთა ფორთოხლის კატეგორიაში შეტანით მიიღწევა კატეგორიზებული აღქმის ისეთი ეფექტი, თითქოს ამ გრძნობად მონაცემთა საფუძველზე ადამიანს გაეკეთებინოს დასკვნა, რომ ეს გრძნობადი მონაცემები, მაშასადამე, ფორთოხალი ყოფილა. აღქმის პროცესში ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დროს, რასაკვირველია, არავითარი დასკვნის პროცესს არა აქვს ადგილი; მაგრამ საგნის კატეგორიული აღქმა, რაც ინდივიდის ფსიქიკურ აქტიობას წარმოადგენს, დასკვნის პროცესის მსგავსია, მისი ფუნქციონალური ექვივალენტია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადამიანი საგანგებოდ აცნობიერებს ფორთოხალს, დაკვირვებით აღიქვამს მას მისი უჩვეულო თვისების, მეტისმეტი სიდიდის ან თავისებური ფორმის გამო, აღქმის ამ პროცესში ცნობიერება აღქმის საგანს ეფინება და არა იმას, თუ როგორ ხდება ამ საგნის აღქმა, როგორ ხორციელდება მისგან მომდინარე გრძნობად შინაარსთა შეტანა და გაერთიანება ფორთოხლის კატეგორიაში და სხვ.

სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, როდესაც ადამიანი მოქმედებს როგორც ინდივიდი, ის მაშინ გამოდიფერენცირებული არაა თავისი ქცევიდან. იგი არ ახდენს სინამდვილისა და საკუთარი თავის დაპირისპირებას. ამის გამო მას ამ დროს არ შეუძლია ანგარიშის მოცემა თავისი ფსიქიკური აქტიობის შესახებ; მისი ფსიქიკური აქტიობა საგანგებო ცნობიერების შუქით შეიძლება არ იყოს მოფენილი, მაგრამ სათანა-

დოდ ეპყრობა ყოველ საგანს, როგორც გარკვეული კატეგორიის მქონეს. მის მოთხოვნილებებთან დაკავშირებული ყოველი კატეგორიის საგანს ის განწყობისეულად, მიზანშეწონილად ეპყრობა კატეგორიზაციის იმ სისტემის გამოყენებით, რომელიც მას შემუშავებული აქვს სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში.

ცნობიერების მოხმარების გარეშე საგნობრივი სინამდვილის კატეგორიზაციის სისტემის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინდივიდისათვის, სიტუაციაში ორიენტირების თვალსაზრისით. გარკვეულ საგანთა აღქმის შემდეგ ინდივიდს უჩნდება გარკვეული მოლოდინები ამ საგნების შემდგომი მდგომარეობისა და, საერთოდ, შემდგომი სიტუაციების მიმართ. როდესაც, მაგალითად, ადამიანი აღიქვამს ფორთოხალს, მას უჩნდება გარკვეული მოლოდინები, გაუცნობიერებელი განწყობისეული დამოკიდებულებები ამ საგნის მიმართ. თავისთავად, გაუცნობიერების გარეშე, მისთვის გამოიკვეთება ის მრავალფეროვანი აღქმისა და განცდის სფერო, რომელიც შეიძლება რეალიზდეს ახლო მომავალში. ადამიანს აქვს ისეთი საერთო გაუცნობიერებელი განწყობისეული „მოლოდინები“, როგორცაა ფორთოხლის სიმძიმე მისი ხელში აღებისას, გემო და სხვა. ეს „პროგნოზირებული მოლოდინები“ ცნობიერად შეიძლება არც იყოს მოცემული და არც ცნობიერდებოდეს, თუ საგანგებო მოულოდნელმა შეუსატყვისობამ არ იჩინა თავი და არ დაირღვა ინდივიდის განწყობისეული ფსიქიკური აქტიობის მიზანმიმართულებითი მიმდინარეობა. მაგრამ ეს შემთხვევები ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ბუნებრივი მიმდინარეობის ჩვეულებრივ მდგომარეობას არ წარმოადგენს. ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ჩვეულებრივი განწყობისეული „მოლოდინები“, ხანგრძლივი პრაქტიკის გამო, ხშირად დიდი ალბათობით მართლდება კიდევ. ეს გარემოება ადვილებს ინდივიდის დამოკიდებულებას სინამდვილის საგნებთან; ამის გამო მათი გამოყენება, მათთან ურთიერთობა გაადვილებულია.

ის ფაქტი, რომ რომელიმე საგნის აღქმის შემდეგ ინდივიდს ექმნება მზაობა ამ საგანთან დაკავშირებული გარკვეული საგნების აღქმისა. იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში სწავლობს არა მხოლოდ რომელიმე საგნის გრძნობადი მონაცემების გარკვეულ საგნად აღქმას, არამედ საგანთა მთელი სისტემისა. ინდივიდს სინამდვილის საგნებთან ურთიერთობის პროცესში უმუშავდება გარკვეული ალბათობითი მოდელი, რომლის საფუძველზეც ის აწყობს ასახვით დამოკიდებულებას სინამდვილესთან. როდესაც ადამიანი აღიქვამს ფორთოხლის ხეს, მას უჩნდება მზაობა იმისა, რომ აღიქვას ფორთოხალიც და, როდესაც ხის ტოტებში ის თვალს მოჰკრავს მრგვალ. ყვითელ საგანს. მას უჩნდება განწყობა, რომ ეს არის ფორთოხალი და არა ყვითელი. პატარა რეზინის ბურთი, რომელიც შეიძლე-

ბა თოკით იყოს ხეზე ჩამოკიდებული მართლაც, ექსპერიმენტულად იყო დადასტურებული, რომ გარკვეული საგნის აღქმის დროს ადამიანი ახდენს არა მხოლოდ ამ საგნის აღქმისათვის საჭირო ცალკეულ კატეგორიას, არამედ კატეგორიათა მთელი სისტემის მომზადებას. აღქმის კატეგორიების ეს სისტემური გამოყენების მექანიზმი ადამიანის მაღალ ფსიქიკურ აქტიობისათვისაც არის დამახასიათებელი და ის ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებით განისაზღვრება.

ბრუნერმა შესწავლა უაზრო სიტყვების აღქმის პროცესი. ის თავის ცბ-ებს სხვადასხვა ცდაში ორი სხვადასხვა სიტყვის აღქმას ავალბედა. ერთ-ერთი სიტყვა, ინგლისური ენის წესების მიხედვით, ინგლისურ ენასთან ნული რანგის მიახლოებით იყო აგებული (შენონის წესების მიხედვით). მეორე სიტყვა ინგლისურ ენასთან 4 რანგის მიახლოებით იყო კონსტრუირებული. ცბ-ებს ეს სიტყვები ტახისტოპკოპის საშუალებით 500 მილისეკუნდის განმავლობაში ეძლეოდათ და სიტყვების სწორი წაკითხვა ევალბოდათ. ექსპერიმენტებმა უჩვენეს, რომ ინგლისურ ენასთან 0 რანგის მიახლოებულ სიტყვას ცდისპირების მხოლოდ 48% აღიქვამდა სწორად, ხოლო 4 რანგით მიახლოებულ სიტყვას ცდისპირების 93% აღიქვამდა. მიწოდებული სიტყვების განსხვავებული აღქვადრობით აღქმა იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ცბ-მა ინგლისური ენის სწავლასთან ერთად ისწავლეს ინგლისური ენის ზოგადი მოდელი. ისინი დაეუფლნენ „ენის შინაფორმას“. მათ ისწავლეს ის ზოგადი მოდელი, რომლის მიხედვითაც არის განლაგებული ცალკეული ფონემები ინგლისურ ენაში. ამის გამო ის სიტყვა, რომელიც ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი მოდელით იყო აგებული, ამ ენის მცოდნეების მიერ უფრო ადვილად აღიქმებოდა.

ექსპერიმენტულად იქნა შესწავლილი აღქმის კატეგორიათა სისტემების მოხმარების კანონზომიერებანი. აღმოჩნდა, რომ საგნის გრძნობად-სენსორული მონაცემები თუ რომელ კატეგორიაში იქნება შეტანილი, ეს ხშირად ინდივიდის მოთხოვნილებებზეც არის დამოკიდებული. დადგინდა, რომ ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილების ზემოქმედების შედეგად. ადგილი აქვს აღქმის კატეგორიების ზღურბლის აწევას ან დაწევას. ორაზროვანი გაურკვეველი გრძნობადი მონაცემების აღქმის დროს, როდესაც ადამიანი რომელიმე ჰიპოთეზის სასარგებლოდ განეწყობა, შესატყვისი კატეგორიის ზღურბლი დაბლა იწევს. ასევე, პირიქით, მიუღებელი კატეგორიის გამოყენების ზღურბლი, ჩვეულებრივ მაღლა იწევს. პოსტმენისა და რაკიფილდის გამოკვლევების საფუძველზე გამოირკვა, რომ ცბ-ებს ტაბუ სიტყვების მიმართ აღქმის

ზღუდობლი ნეიტრალურ სიტყვებთან შედარებით მაღლა აქვთ აწეული, რის გამოც ტაბუ სიტყვების აღქმა მეტისმეტად გაძნელებულია¹.

ჭ. ყვავილაშვილმა² და შ. ჩხარტიშვილმა³ ექსპერიმენტულად უჩვენეს განწყობისა და მოთხოვნილების ძლიერი გავლენა ორატორიული სურათების აღქმაში.

როგორც ვხედავთ, სინამდვილის საგანთა გარკვეულ ობიექტად აღქმას ადამიანი იმ საგნობრივ კატეგორიათა სისტემის საფუძველზე ახერხებს, რომელიც მას სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში განწყობისეული აქტიობის პირველ დონეზე ჩამოუყალიბდა. საგნობრივ კატეგორიათა სისტემა სინამდვილის საგნების ზემოქმედების გარკვეულ ობიექტად აღქმის საშუალებას იძლევა. თვით ინდივიდიც ამგვარ საგნობრივ კატეგორიათა სისტემის ფორმირებისა და განწყობისეული გამოყენების საფუძველზე ახერხებს სინამდვილის შერჩევით აღქმას და მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას.

შეშორის გამოკვლევათა საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ადამიანს შეუძლია საგანთა არა მარტო კატეგორიული, არამედ საგანთა შორის არსებული გარკვეული კატეგორიის მიმართებების აღქმაც⁴.

მატივი ექსპერიმენტული ტექნიკის საშუალებით მიშოტმა უჩვენა, რომ ადამიანი საგნებს შორის არსებულ ზოგიერთი მოძრაობითი ხასიათის მიმართებას ისე აღიქვამს, როგორც მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების გამოხატვას, ზოგიერთი კი არა. ის თავის ცბებს ეკრანზე უჩვენებდა ორ ან რამდენიმე ოთხკუთხედს. მათ შორის დისტანციის ცვალებადობის, მოძრაობის სიჩქარისა და მიმართულების ყოველგვარი ცვლილებების პირობებში ცბებს ევალებოდათ მოეცათ ჩვენებანი, თუ როგორ აღიქმებოდა ამ საგნების დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ საგნების მოძრაობათა გარკვეული თანმიმდევრობის შემთხვევებში, ადამიანს უჩნდება საგანთა შორის „ფუნქციონალური კავშირის“ აღქმა. ცბებს მხოლოდ გარკვეულ პირობებში უჩნდებათ საგნებს შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების აღქმა. ან დროს ისინი უშუალოდ აღიქვამენ, „პირდაპირ ხედავენ“, რომ ერთი საგნის მოძრაობა იწვევს მეორის ამოძრავებას. მიშოტმა დაადგინა პირობათა მთელი რიგი, რომლებიც იწვევს საგანთა მოძრაობებს.

¹ Postman L., Grutchfield R. S. The Interaction of need, set and stimulus structure in a cognitive task. Amer. J. Psychol., 1952. 65, p. 190—217.

² К в а н и л а ш в и л и Д. Ш., Теория информации и психология установок. Автореферат, 1967.

³ Ч х а р т и ш в и л ი შ. ნ., Влияние потребности на восприятие и установку. Журн. «Вопросы психологии», № 1, 1971.

⁴ Michotte A. La perception de la causalité. (2 nd. ed.), Louvain, 1964.

შორის მიზეზშედევობრივი მიმართების უშუალო აღქმას. ეს პირობები შემდეგია: ა) თუ A სხეული მოძრაობდა მანამ, სანამ შეეხებოდა B-ს, ხოლო შემდეგ ჩერდებოდა და B იწყებდა მოძრაობას, ცპ-ები აღიქვამენ, რომ A საგანმა მოიყვანა მოძრაობაში B. იმ შემთხვევაში, როდესაც A და B საგნების კონტაქტი გახანგრძლივებულია, A-ს დაჯახებისთანავე B არ იწყებს მოძრაობას, მაშინ მიზეზობრიობის განცდა ქრება. ბ) თუ A სხეული მოძრაობს B-საკენ. შეეხება მას და შემდეგ ორივე იწყებს მოძრაობას იმავე მიმართულებით, ცპ-ების მიერ აღიქმება, რომ A-ს მიჰყავს B. გ) თუ A მოძრაობს B-საკენ, ეხება მას და ჩერდება. ხოლო B იწყებს მოძრაობას იმავე მიმართულებით, დამკვირვებელი აღიქვამს, რომ B-მ დაიწყო მოძრაობა A-ს დაჯახების გამო. საქმარისია, მაგალითად, ამ შემთხვევაში. რომ B-მ დაიწყო მოძრაობა ოდნავ ადრე, სანამ მას A საგანი შეეხებოდეს, რომ მიზეზობრივი აღქმის ეს ეფექტი გაქრეს. მიზეზობრივი განცდის ეფექტი. მიზეზობრიობის აღქმა მკაცრად დამოკიდებული აღმოჩნდა A და B სხეულის მოძრაობათა სისწრაფეზე. მიმართულებაზე, A და B სხეულების კონტაქტის ხანგრძლიობასა და მათ შორის აღქმულ დისტანციაზე.

მიშოტის აღნიშნული გამოკვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ აღქმის ორგანიზაციაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს მიზეზობრიობის კატეგორია ასრულებს. გამოირკვა, რომ მარტივი მიზეზ-შედევობრივი მიმართება აღქმის ისეთივე უშუალო თვისებაა, როგორც საგნის ფორმის აღქმა. როდესაც საგანი მოძრაობს სუბიექტის აღქმის ველში და სხვა სხეულები მის მიმართ გარკვეულ მოძრაობით დამოკიდებულუბაში იმყოფება, ინდივიდი განიცდის მათ შორის მიზეზშედევობრივ კავშირს, ადამიანი აღიქვამს საგნის მოძრაობათა შორის მიზეზშედევობრივ დამოკიდებულებას. ეს ეფექტი არაა დასკვნისეული ბუნებისა. ინდივიდი საგნების ამ მიზეზშედევობრივ დამოკიდებულებას საგანთა ისეთივე აღქმად თვისებად განიცდის, როგორც, მაგალითად, ფიგურაფონის თვისებას, ამ საგნის ფორმას, სიმძიმეს და სხვ.

აქვე გვინდა იმის აღნიშვნა, რომ ადამიანი კატეგორიზაციის გარკვეულ სისტემას იყენებს არა მხოლოდ თვისებრივად განსხვავებული საგნების კლასიფიცირებისათვის. ის საგანთა გარკვეული თვისებების ინტენსიობათა შეფასებასაც ასეთივე სისტემებისა და სკალების საფუძველზე ახდენს. ადამიანს გააჩნია გარკვეული სახით სისტემატიზებული სკალები საგანთა ისეთი თვისებების შეფასებისათვის, როგორცაა სიმძიმე, სიღიღე, ფერი, სინათლის ხარისხი, საგნის მიერ გამოცემული ბგერის ინტენსიობა, სიმაღლე და სხვა. სუბიექტი საგანთა კატეგორიზაციის სისტემებისა და სკალების საფუძველზე ახდენს სინამდვილის საგანთა ობიექტად აღქმას. ყოველ საგანს, რომლის აღქმა და გარკვევაც მას სჭირდება, იგი მიუყენებს ამ მრავალრიცხოვან სქემებს ან. როგორც

დღეს ფსიქოლოგიაში აღნიშნავენ, კოორდინატთა სისტემებს (frame of reference). ეს საქმიანობა ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დონეზე არა ცნობიერი ფსიქიკური მოქმედების, განწყობისეული აქტიობის სახით ხორციელდება. ეს ვითარება დადასტურდა განწყობის თეორიის საფუძველზე წარმოებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში, რომლებსაც შემდგომში უფრო დაწვრილებით დავახასიათებთ. ახლა კი მივუთითებთ, იმ შედეგებზე, რომლებიც ამ საკითხების შესახებ იქნა მოპოვებული ჰელსონის ექსპერიმენტულ გამოკვლევებში¹. ჰელსონმა სცადა შეესწავლა საგანთა რაოდენობრივი თვისებების აღქმის თავისებურებანი. მისი აზრით, ადრე ფსიქოფიზიკურ ცდებში სიდიდეთა აღქმის საკითხები მხოლოდ სტიმულების სიდიდეთა ცვლილებებთან კავშირში შეისწავლებოდა და მხედველობაში არ იყო მიღებული ინდივიდის მდგომარეობა. ცდის პირობების მკაცრი შეზღუდვის გამო, ცპებს მხოლოდ გარკვეული სტანდარტული პასუხები მოეთხოვებოდათ. ამიტომ მათი პასუხები სტიმულისა და რეაქციების ურთიერთობის თითქმის მხოლოდ ფიზიოლოგიური დონის კანონზომიერებას გამოხატავდნენ. მაგრამ, ჰელსონის აზრით, საგანთა სიდიდეების სხვადასხვა ასპექტში შეფასების დროს გვაქვს ფაქტები, რომლებიც ასე მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად არ არიან დაკავშირებული სტიმულის ზომებთან. შეიძლება, მაგალითად, დავაყენოთ ასეთი საკითხი: რა წონას უნდა მიაღწიოს საგანმა, რომ მასზე სუბიექტმა თქვას — ეს საგანი მძიმეა. ირკვევა, რომ სხვადასხვა სუბიექტი სხვადასხვა წონის საგანს აფასებს მძიმედ. გარდა ამისა, ერთ და იმავე წონის საგანს სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად აფასებს; ასევე ერთსა და იმავე წონას ადამიანი სხვადასხვაგვარად აფასებს იმის მიხედვით, თუ რა საგნის სიმძიმეს ეხება საქმე. ირკვევა, რომ არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სიმძიმის შეფასებაზე; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰელსონი უჩვენებს, რომ სამართლიანი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სიმძიმეების შეფასების დროს ინდივიდი არ იყენებს გარკვეულ სკალას, კოორდინატთა გარკვეულ სისტემას. მისი აზრით, არსებობს კატეგორიათა სისტემების, პერსპექტული სკემების გამოყენების გარკვეული კანონზომიერება, რომელთა გათვალისწინების შემდეგ შეიძლება გასაგები გახდეს, ერთი შეხედვით, ინდივიდი ეს ურთიერთშეუთანხმებელი პასუხები.

ჰელსონის აზრით, ინდივიდი სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში იმუშავეს შეფასების გარკვეულ სკალებს, რომლის საფუძველზეც ახდენს საგნის ზომით მხარეთა შეფასებას. ამ სკალების საფუძველზე ის აფასებს დისტანციებს საგანთა შორის, საგნის სიდიდეს, წონას და მის სხვა მხარეებს, რომელთა დახასიათებაც ინტენსიობის ცნებებშია

¹ Helson: H. Adaptation Level Theory. N. Y., 1934.

შესაძლებელი. ასევე, მაგალითად, შესაძლებელია საგანთა დახასიათება სილამაზის ხარისხის მიხედვით.

ამ სკალების გამომუშავება სიდიდეების შესახებ მონაცემების უხეში დიფერენცირებით იწყება. პირველად გამოიყოფა ისეთი ზომები, როგორცაა საშუალო, დიდი და პატარა. სხვადასხვა კატეგორიის სტიმულებისათვის „საშუალო“ ზომის სტიმული სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, ექსპერიმენტულად დადგინდა რომ 200-დან 400 გრამამდე სიმძიმეებისათვის „საშუალო“ სიმძიმედ, ჩვეულებრივ, 250 გრამი განიცილება, ხოლო 400-დან 600 გრამამდე სიმძიმეებისათვის 475 გრამი. ცპებისათვის საშუალოდ განცილებილი სიდიდე ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება სიმძიმეთა სერიის არითმეტიკული საშუალოებისაგან. მონაცემების გარკვეული სერიის ამ „ფსიქოლოგიურ საშუალოს“ ჰელსონი ინდივიდის „ადაპტაციის დონეს“ უწოდებს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოვლენათა სერიის აღქმის პროცესში. მის ზევით არსებული ყველა სტიმული, მაგალითად, სიმძიმეების აღქმის სფეროში, მძიმედ განიცილება, ხოლო მის ქვევით მოთავსებული სტიმულები — მსუბუქად. ის სტიმულების სერიაში ინდივიდისათვის „ცენტრირებულ პუნქტს“ წარმოადგენს, შეფასებათა სისტემაში ფუნქციობს როგორც ათვლის საწყისი წერტილი — „ნული“ სტიმულების სერიაში მის ლოკალიზაციაზე, ე. ი. ინდივიდის ადაპტაციის დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტიმულების სერიის სტრუქტურირება.

ჰელსონის „ადაპტაციის დონის“ ცნება არ უნდა აფუროთ ადაპტაციის ჩვეულებრივ ცნებაში. რომელიც რომელიმე სტანდარტული სტიმულისადმი შეგუებაში მდგომარეობს. ადაპტაციის დონე, ჰელსონის აზრით, ინდივიდის შეფასების სისტემის ათვლის პუნქტია. რომლის მიხედვითაც იგი აღიქვამს სტიმულებს. ადაპტაციის დონე სხვადასხვა მომენტში, შესაძლებელია. სრულიად სხვადასხვა აბსოლუტური მაჩვენებლით იყოს გამოხატული. ის შეიძლება მოძრაობდეს ზევით ან ქვევით იმის მიხედვით. თუ რა გარემოში იმყოფება ინდივიდი, რას აკეთებს ის, რა მოქმედებს მასზე.

ჰელსონის აზრით, ადაპტაციის დონის ფორმირება ხდება ზემოქმედი სტიმულების „გასაშუალების“ საფუძველზე. რადგან რეალურად ინდივიდს ყოველთვის უკვე აქვს გამომუშავებული ადაპტაციის დონე, ამიტომ საკითხი, ჩვეულებრივ, ეხება ადაპტაციის დონის შეცვლას. იკვება, რომ ყოველ მოცემულ მომენტში ადაპტაციის დონის ფორმირება ხდება ადრე არსებული ადაპტაციის დონისა და ამჟამად მოცემული სტიმულების სიდიდეთა გასაშუალების საფუძველზე. ამის გამო ინდივიდს ყოველთვის გააჩნია თავისი სპეციფიკური ინდივიდუალური ადაპტაციის დონე. რომლის საფუძველზეც ის ახდენს მოვლენათა შე-

ფსევდას. ამის გამო მისი აღქმები და პასუხები გარკვეულ მოვლენათა შესახებ სტანდარტული და იგივეობრივი არაა.

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ადაპტაციის დონის ფორმირების პროცესი, ჩვეულებრივ, ცნობიერი პროცესი არაა. ადაპტაციის დონის ცვლილებასა და ფორმირებაზე გავლენას ახდენს ზღურბლქვევით არსებული გამლიზიანებლებიც. ამის გამო მისი აღქმები და პასუხები გარკვეულ მოვლენათა შესახებ სტანდარტული და იგივეობრივი არაა.

ჰელსონი თვლის, რომ ადაპტაციის ფორმირების აქტიობა შეიძლება მიხნეულ იქნეს როგორც ფიზიოლოგიურ არაცნობიერ, ისე ფსიქოლოგიურ პროცესად.

ჰელსონის მიერ სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტების საფუძველზე შესწავლილ იქნა ადაპტაციის დონის ცვლილების კანონზომიერება. ერთ-ერთი ტიპის სერიის ცდებში, როდესაც ცუ-ებს ევალუბოდათ წესიერად დალაგებული სტიმულების საშუალო სიდიდის დადგენა, მათ წინასწარ ეძლეოდათ ამ სერიის გამლიზიანებლებიდან მკვეთრად განსხვავებული სტიმული. მაგალითად, 400-დან 600 გრამამდე სიმძიმეების მიწოდებამდე სუბიექტს ეძლეოდა 900-გრამიანი სიმძიმე და შემდეგ ხდებოდა „საშუალო სიმძიმის“ დადგენა. ასეთ ცდებში ადაპტაციის დონემ 475 გრამიდან 550 გრამამდე აიწია, ე. ი. ცუ-ები ამ შემთხვევაში. 900 გრამიანი სიმძიმის ზემოქმედების გამო, საშუალო სიმძიმედ უკვე 550 გრამს განიცდიდნენ.

ჰელსონის გამოკვლევების მიხედვითაც ირკვევა, რომ სინამდვილის საგნების აღქმას განსაზღვრავს როგორც ის პერცეპტული სქემები (კატეგორიებისა და კოორდინატთა სისტემები, სკალები და სხვ.), რომლებიც ინდივიდს სინამდვილესთან ურთიერთობაში უყალიბდება, ასევე ინდივიდის ის კონკრეტული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, პოზიცია, ადაპტაციის დონე, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული სქემების მოხმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური აქტიობის ჩვენ მიერ აქამდე განხილული სქემები და სისტემები ძირითადად ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დონეზე იქმნება. მათი გამოყენებით ადამიანი აღიქვამს გრძობადად მოცემულ სინამდვილეს და თავისი აქტიობის მთლიან სქემაში სვამს. განწყობის თეორია საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ინდივიდის აქტიობის მთლიანი სქემა, რომელშიც შესაძლებელი ხდება ჩვენ მიერ განხილული ცალკეული აღქმის სქემების ჩართვა-გაერთიანება.

4. 1. 4. ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის უზაადი სქემა


ცოცხალი ორგანიზმი ფსიქიკურ ინდივიდად მაშინ გადაიქცა, როდესაც გამოეყო მატერიალურ გარემოს, როგორც გარკვეული ფუნქციონ-

ნალური სისტემა და როცა მათ შორის, მატერიალური გაცვლისაგან განსხვავებით. ფუნქციონალური გაცვლაც დაიწყო. ფსიქიკურ ინდივიდსა და სინამდვილეს შორის მატერიალური გაცვლის გარდა ჩამოყალიბდა სპეციფიკური ურთიერთობა, ასახვითი დამოკიდებულება, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის აქტიობას. სინამდვილე მასზე, როგორც მთლიან სისტემაზე, ახდენს ზემოქმედებას და იგი მასზე, როგორც მთლიანი სისტემა, ისე პასუხობს. იმის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნილებები გააჩნია ინდივიდს, მოცემულ მომენტში სინამდვილის ზემოქმედების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იჩენს თავს. სინამდვილის ზოგიერთი საგნის ზემოქმედების მიმართ ინდივიდი აბსოლუტურად ინდიფერენტული რჩება. სინამდვილის იმ საგნის ზემოქმედებისადმი, რომელიც გარკვეულ კავშირში იმყოფებინა მის მოთხოვნილებებთან. ის სპეციფიკური სახის ურთიერთობას ამყარებს. ინდივიდი გაურბის საგნის ზემოქმედებას ან მიისწრაფის მისკენ, როდესაც ინდივიდს გარკვეული სახის მოთხოვნილებანი გააჩნია. განწყობა ინდივიდის ფსიქოფიზიკური ძალების მთლიან მორდიფიკაციას წარმოადგენს, რომელიც შემდგომში განსაზღვრავს ინდივიდის ქცევის მიმდინარეობას.

უზნადის განწყობის თეორიაში კარგად არის ასახული ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ფაქტიური ვითარება. ინდივიდის ფსიქიკური ქცევა განსაზღვრულია არა მხოლოდ სიტუაციის ზემოქმედებით, ან მხოლოდ შინაგანი იმპულსების იმპულსების მოქმედებით, არამედ ინდივიდის მთლიანი მდგომარეობით, განწყობით, რომელიც სიტუაციისა და მოთხოვნილების იმპულსების ერთდროული ზემოქმედების შედეგად აღმოცენდება. არც სიტუაციის ზემოქმედებით მიღებულ იმპულსს და არც მოთხოვნილების იმპულსს ცალ-ცალკე არ გააჩნია არც ძალა და არც მიმართულება, რომელსაც შეეძლება ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის, ქცევის აღძვრა. ქცევას, როგორც ფსიქიკურ აქტიობას, მამოძრავებელ იმპულსსა და მიმართულებას მხოლოდ განწყობა აძლევს. როდესაც ინდივიდს ჩამოუყალიბდება გარკვეული ქცევის განწყობა, მას უკვე ქცევისათვის საჭირო იმპულსიც გააჩნია. რომელიც შეიცავს რეალიზაციის ტენდენციას და ქცევისათვის საჭირო მიმართულებას, რაც ქცევას მიზანშეწონილ ხასიათს აძლევს.

ინდივიდს გარკვეული განწყობის ჩამოყალიბების შემდეგ უჩნდება გარკვეული მიმართულებით მოქმედების ტენდენცია და მისი ქცევა ამ განწყობის საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნული მიმართულებით ქცევის ტენდენცია ინდივიდს მანამდე არ გაუქრება. ვიდრე არ მოხდება ფორმირებული განწყობის რეალიზაცია.

ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის პირველი დონე გარკვეული სტრუქტურით ხასიათდება, რაც წარმოდგენილ სქემაშია გამოხატული.



ფსიქიკური აქტიობის ბირველი დონის სქემა

ამ სქემაში ვაღმოცემულია განწყობის აეორიის ძირითადი აზრი, რომლის მიხედვითაც ქცევის განწყობა ინდივიდს გარკვეული მოთხოვნებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის გაერთიანების საფუძველზე უყალიბდება. ინდივიდის ქცევის სიტუაციას, როგორც ცნობილია, მთელი ის სინამდვილე არ წარმოადგენს, რომელშიც ინდივიდი იყოფება. მისი ქცევი სიტუაცია არის სინამდვილის ნაწილი, რომელიც გარკვეულ ურთიერთობაში მოდის მის მოთხოვნილებათა სისტემასთან. რადგან განწყობაში, რომლის საფუძველზეც ინდივიდი მოქმედებს, ასახულია როგორც ინდივიდის მოთხოვნილებები, ისე ამ მოთხოვნილებათა სიტუაცია, ამიტომ ამ განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა მიზანშეწონილებით ხასიათდება. ასეთი ქცევა ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება და ანგარიშს უწყევს იმ სიტუაციის თავისებურებებს, სადაც ეს ქცევა სრულდება. მაგრამ ადამიანისათვის მხოლოდ ამგვარ განწყობისეულ დონეზე აქტიობა არაა დამახასიათებელი.

სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ხდება ინდივიდის შემდგომი გამოდიფერენცირება სინამდვილისაგან. ამის შედეგად ადამიანის ფსიქიკური აქტიობა კიდევ უფრო სპეციფიკური ხდება.

სინამდვილესთან ფსიქიკური აქტიობის შემდგომ მაღალ დონეზე ადამიანის ურთიერთობა მასთან სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულების სახეს იღებს; ამ დროს სინამდვილე ადამიანისათვის შემეცნების ობიექტად იქცევა. თვითონ კი სუბიექტი ხდება.

4. 2. ადამიანი როგორც სუბიექტი

ადამიანი, ვარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდია, ამავე დროს სუბიექტიც არის. ადამიანი, როგორც სუბიექტი, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უფრო მეტად არის დიფერენცირებული სინამდვილისაგან.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ცოცხალი ინდივიდი აქტიობის დროს მთლიანად არის ჩართული თავის ქცევაში. ის ფაქტიური დროულ-ვრცეული დისტანცია, რომელიც არსებობს მასა და გარემოს შორის.

რომლის დაძლევისა და ინდივიდი თავისი ფსიქოფიზიკური აქტიობის საფუძველზე ახდენს, სრულიადაც არ ცნობიერდება ინდივიდის მიერ.

ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას, როგორც უზნაძე აღნიშნავს, წარმოადგენს ის, რომ ადამიანს შეუძლია შეწყვიტოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, გამოეყოს, დაუპირისპირდეს სინამდვილეს და მასთან თეორიული, შემეცნებითი ურთიერთობა დაამყაროს. ადამიანის ამ სპეციფიკურ აქტიობას უზნაძე ობიექტივაციის აქტს უწოდებს. ამ აქტს ადამიანი მაშინ მიმართავს, როდესაც იგი განწყობისეული აქტიობის საფუძველზე ვეღარ ახერხებს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როდესაც მისი განწყობისეული ასახვა საკმარისი აღარაა მიზანშეწონილი პრაქტიკული ქცევისათვის. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე ირღვევა ინდივიდისა და გარემოს ერთიანობა. ამ დროს მთლიანი ქცევითი აქტიობიდან გამოიყოფა ინდივიდი, უპირისპირდება გარემოს და აქტიობის მწარმოებელ სუბიექტად იქცევა. სუბიექტი იწყებს სინამდვილის, როგორც ობიექტის, განხილვას, შემეცნებას. ამის საფუძველზე იქმნება დამოკიდებულების სპეციფიკური ფორმა, რომლის დახასიათებასაც ცნობიერების ცნებებით ცდილობენ.

ობიექტივაციის საგნად, ჩვეულებრივ, ქცევის ისეთი დამაბრკოლებელი საგანი იქცევა, რომელიც სათანადოდ არაა ასახული. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქცევის დამაბრკოლებელი საგანი ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის ობიექტივაციის აქტის გამოშვებზე მიზეზი არ ხდება. იმისათვის, რომ ინდივიდმა ობიექტივაციის აქტს მიმართოს, მას ამისათვის გარკვეული ფსიქიკური შესაძლებლობები უნდა გააჩნდეს. ობიექტივაციის უნარი და მასთან დაკავშირებული ფსიქიკური აქტიობანი ადამიანს სოციალური ურთიერთობის პროცესში უყალიბდება. ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს კომუნიკაციის საშუალებას, მეტყველების უნარს, ხოლო ობიექტივაციის ერთ-ერთ ძირითად იარაღს, დაბრკოლების საგანზე შეჩერების საშუალებას, სწორედ სიტყვა წარმოადგენს¹. ფსიქიკის ონტოგენეტიკური განვითარების მონაცემებიდანაც კარგად არის ცნობილი, რომ ობიექტივაციის უნარის განვითარება სოციალიზაციისა და მეტყველების ფორმირებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზაციის პროცესში ადამიანი იძენს ობიექტივაციის უნარს, რომლის საფუძველზეც ის თეორიულ, შემეცნებით დამოკიდებულებას ამყარებს სინამდვილესთან. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე ადამიანი, როგორც ცოცხალი ინდივიდი, რო-

¹ დ. უზნაძე, ურადლების არსის პრობლემისათვის, „ფსიქოლოგია“, ტომი 4, 1947.

მელიც მანამდე ჩართული და გათქვეფილი იყო ქცევის მდინარებაში, გამოეყოფა თავის ქცევას, მთელ სინამდვილეს და სუბიექტად იქცევა.

ფსიქიკური აქტიობის ამ უფრო მაღალ დონეზე სუბიექტს უყალიბდება ობიექტივირებული საგნის გააზრებისათვის საჭირო აქტიობის სქემები.

ადამიანის, როგორც სუბიექტის, სპეციფიკის გაგებისათვის საჭირო ხდება იმ სქემების თავისებურებათა დახასიათება, რომლის საფუძველზეც ახდენს სუბიექტი სინამდვილის, როგორც ობიექტის, განხილვას. გააზრებას და თავისი ფსიქიკური აქტიობის განხორციელებას. ქცევის დამაბრკოლებელ საგნებთან შეჭახების შემთხვევაში ინდივიდს ეცვლება დამოკიდებულება სინამდვილესთან. მის წინაშე დგება თეორიული საკითხი — „რა არის ეს“, „რამაა საქმე“?. ამგვარი კითხვების გაჩენის დროს ის სუბიექტად იქცევა და სინამდვილეს განიხილავს, როგორც განსჯის საგანს.

ასეთ ვითარებაში სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს მოახდინოს ქცევის დამაბრკოლებელი საგნის ხელახალი კატეგორიზაცია, ობიექტივიაცია. ის ცდილობს გაერკვეს შექმნილ ვითარებაში, მოახდინოს დაბრკოლების საგნის სწორი კატეგორიზაცია, გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება ქცევისადმი, აღმოფხვრას ქცევაში კონფლიქტის მიზეზები. ყოველივე ამის გარკვევა, ცხადია, მოცემული კონკრეტულ სიტუაციის გაცნობიერებასა და გააზრებას მოითხოვს. ამიტომ მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი შემეცნებითი ინტერესებით განისაზღვრება. სინამდვილის საგნების აღქმა ახლა უკვე ხორციელდება იმ შემეცნებითი სქემებისა და სტრუქტურების გამოყენებით, რომლებიც მას, როგორც სოციალურ შემეცნებელ სუბიექტს, აქვს შემუშავებული¹.

პაიეს, ბრუნერის, დუნკერისა და სხვათა შრომებში გამოკვლეულ იქნა აზროვნებითი აქტიობის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებსაც სუბიექტი სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ახორციელებს.

ამავე თვალსაზრისით შევისწავლეთ აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ოპერაციის—განზოგადებითი აქტიობის სტრუქტურული თავისებურებანი და მისი გამოყენების კანონზომიერებანი აზროვნებითი ამოცანის გადაწყვეტისას². აღმოჩნდა, რომ განზოგადების ფსიქიკური აქტიობის განვითარების პროცესი ორ თავისებრივად განსხვავებულ საფე-

¹ შ. ნაღორაშვილი, აღქმის სოციალური ბუნებისათვის, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. III, 1956, გვ. 63—80.

² შ. ნაღორაშვილი, განზოგადების განვითარება სისკოლო ასაკის ბავშვებში, თბილისი, 1963.

ზურს გაივლის. განზოგადების განვითარების პირველ საფეხურზე (A საფეხური) სუბიექტი საგნების გარკვეული კლასის საერთო ნიშნების განზოგადებას ახერხებს, ხოლო მეორე საფეხურზე (B საფეხური), რომელსაც „სისტემატური განზოგადების“ საფეხურიც შეიძლება ეწოდოს, საგანთა გარკვეული კლასის არსებითი ნიშნების განზოგადება ხდება. დადგინდა, რომ A და B დონის განზოგადებითი აქტიობანი სხვადასხვაგვარი სტრუქტურით ხასიათდება. ისინი მათემატიკური ლოგიკის ერთ შეიძლება დახასიათდნენ. განზოგადების A საფეხურის აქტიობა „კლასთა კლასის“ ცნების სტრუქტურით გამოიხატება. განზოგადების B საფეხურზე სუბიექტის აქტიობის თავისებურება „წინადადებათა აღრიცხვის სრულყოფილი ნორმალური დისუნქციური ფორმის“ სტრუქტურის სახით წარმოგვიდგება.

შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის ის საფეხური, როდესაც ადამიანი სინამდვილის გრძობად-საგნობრივ მოცემულობას აღიქვამს, ამ პერცეპტულ აქტიობაში გამოყენებული კოორდინატთა სისტემები, პერცეპტული სქემები, ძირითადად განზოგადების პირველი დონის (A საფეხურის) საფუძველზეა აგებული. განზოგადების მეორე დონეზე (B საფეხური) გამოყენებული აქტიობის სტრუქტურები სუბიექტს საშუალებას აძლევს შეიმეცნოს სინამდვილის არსებითი და აუცილებელი მხარეები. ამგვარი განზოგადებული შემეცნება სუბიექტს შესაძლებლობას აძლევს გაერკვეს სინამდვილის მრავალფეროვნებაში, შეამჩნიოს მასში იგივეობრივი საგნები და მიზანშეწონილად მოიხმაროს ისინი თავის ქცევაში; ადამიანი რომ ვერ ახერხებდეს საგნობრივი სინამდვილის გრძობადი მოცემულობის მიღმა წასვლას და მისი ზოგადის წვდომას, მას გაუჭირდებოდა თავისი სასიცოცხლო და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ვერ შეეგუებოდა გარემოს. სინამდვილის განზოგადებული შემეცნება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გრძობადად მოცემულ ურიცხვეროვან გამლიზიანებლებში შეამჩნიოს ზოგადი. ამით, ერთი მხრივ, ხდება სინამდვილის მრავალფეროვნების რედუქცია გარკვეულ სასრულ ზოგად კატეგორიებად და, მეორე მხრივ, მიიღწევა სინამდვილის უფრო ღრმა ასახვა, მისი არსებითი მხარეების შემეცნება. ფსიქიკური აქტიობის ჩვენ მიერ აღნიშნულ სტრუქტურები სუბიექტს სინამდვილის განზოგადებულ ასახვაში ეხმარება, რადგან ისინი თვითონ წარმოადგენენ როგორც საგანთა ურთიერთშემოქმედების, ისე სუბიექტისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობის ზოგადი კანონზომიერების ასახვას.

სუბიექტი სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში არა მხოლოდ აქ და ამჟამად მოცემულ საგნობრივ სინამდვილეს ასახავს, არამედ თვითონაც იცვლება იმგვარად, რომ მისი შემეცნებითი სტრუქტურები სულ უფრო მოქნილი და შესატყვისი ხდება სინამდვილის ასახვისათვის. მ-

შესადამე, სუბიექტი არა მარტო ასახავს მოცემულ ობიექტურ ვითარებას, არამედ „სწავლობს“ კიდევ უფრო ეფექტურ შესატყვის შემეცნებას. სწორედ ამაში მდგომარეობს სუბიექტის შემეცნების ფსიქიკური უნართა განვითარება.

როგორც აღრე აღვნიშნეთ, ადამიანი ინდივიდ-გარემოს ურთიერთობიდან სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაზე მაშინ გადადის, როდესაც სინამდვილესთან განწყობისეული ურთიერთობის საფუძველზე სათანადოდ ვერ ასახავს გარემოს და სინამდვილეს უფრო ადეკვატური გათვალისწინება ესაქიროება. სინამდვილის არასაკმარისი ასახვის საფუძველზე განხორციელებული ქცევა სინამდვილისადმი მიზანშეწონილი არაა და ინდივიდი ვერ იკმაყოფილებს თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. ასეთ ვითარებაში წონასწორობა ინდივიდსა და გარემოს შორის დარღვეულია. სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა ინდივიდისა და გარემოს ამგვარად დარღვეული წონასწორობის ვითარებაში აღმოცენდება. სუბიექტი აცნობიერებს და არკვევს საქმის ვითარებას, რათა შექმნას პირობები ქცევის ნორმალური გაგრძელებისათვის.

ფსიქიკური პროცესების ღირებულებისა და დანიშნულების ამ თვალსაზრისით განხილვას ფსიქოლოგიაში წონასწორობის იდეის გამოყენებამდე მივყავართ. ეს შეხედულება ბოლო დროს ფსიქოლოგიაში გაბატონებულ თვალსაზრისად ითვლება და ჩვენში მისი განმტკიცება განწყობის თეორიის საფუძველზე მოხდა. ირკვევა, რომ ობიექტივაციის დონეზე აღმოცენებული ცნობიერი ფსიქიკური პროცესები სინამდვილეს უფრო სწორად, ადეკვატურად ასახავს. ისინი სუბიექტს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და ცვალებად სინამდვილესთან შეგუებაში ეხმარება. ამიტომ სუბიექტის ფსიქიკური აქტიობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ადამიანისა და გარემოს წონასწორობის დაცვის საშუალება.

წონასწორობის ეს იდეა ფსიქოლოგიაში პირველად პიაჟეს მიერ იყო გამოყენებული¹. პიაჟეს წონასწორობის ფსიქოლოგიური თეორია გარკვეული ინტერპრეტაციით სრულიად მისაღებია ჩვენთვის, რადგან ის შინაგანად იგულისხმება განწყობის თეორიაში და ამავე დროს ინდივიდისა და სუბიექტის რეალური მდგომარეობების აღწერისა და შესწავლის საშუალებას იძლევა.

წონასწორობის ფაქტს ადგილი აქვს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ სინამდვილეში. ფიზიკურ სისტემაში წონასწორობის მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ისევ შეიძლება აღდგეს წონასწორობა, თუ მისი ნაწილების, რგოლების დამოკიდებულებებს შორის ყველა შესაძ-

¹ Inhelder B, Piaget J. The Growth of Logical Thinking from Childhood to Adolescence, N. Y., 1958.

ლებელი ცვლილება კომპენსირებული იქნება საპირისპირო მოქმედებით. ფიზიკური სისტემებისათვის წონასწორობაში ყოფნა შინაგანი უძრავობის, მშვიდ მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავს. ფსიქიკური სისტემისათვის კი გაწონასწორებულ მდგომარეობაში ყოფნა დაძაბული ფსიქიკური აქტიობის საფუძველზე შეიძლება იქნეს შენარჩუნებული. მოთხოვნილებების ზრდისა და გარემოს ცვლილებათა პირობებში ადამიანს უხდება რთული საკომპენსაციო მოქმედებების შესრულება, მიზანშეწონილი აქტიობის განხორციელება რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ინდივიდისა და სინამდვილის ურთიერთობის ნორმალური მდგომარეობის, წონასწორობის აღდგენა-შენარჩუნება.

წონასწორობის ფსიქოლოგიური აზრის გაგებისათვის, ე. ი. ადამიანის, როგორც ფსიქოლოგიური სისტემის, წონასწორობის შინაარსის დადგენისათვის, საჭირო ხდება ე. წ. შესაძლებლობის კატეგორიის ზოგიერთი მომენტის დახასიათება. შესაძლებლობის რეალიზაცია სხვადასხვაგვარი შინაარსით ხასიათდება ფიზიკურ და ფსიქიკურ სისტემაში. ფიზიკური სისტემა, მაგალითად სასწორი, მაშინაა წონასწორობის მდგომარეობაში, როდესაც მის სხვადასხვა თეფშზე ზემოქმედი სიმძიმეები აკომპენსირებს ურთიერთს. როდესაც სასწორი გადაიხრება რომელიმე მხარეს, იმისათვის, რომ ისევ აღდგეს წონასწორობა, საჭიროა მოქმედებაში შემოვიდეს საწინააღმდეგოდ მოქმედი მეორე ძალა, რომელიც მოახდენს წონასწორობის დამრღვევი ძალის მოქმედების კომპენსირებას. ამ გზით ხდება წონასწორობის აღდგენა. ასეთი მაკომპენსირებელი ძალის რეალურად გაჩენის გარეშე ფიზიკური წონასწორობის აღდგენა შეუძლებელია. ადამიანმა წინასწარ შეიძლება გაითვალისწინოს ის შესაძლებელი მოქმედებანი, რომელთა რეალურ მოქმედებას მოჰყვება წონასწორობის აღდგენა. მიზეზობრივად მხოლოდ რეალური ძალები მოქმედებენ; „შესაძლებელი“ ასეთი რეალური ძალის მქონე არაა, სანამ ის რეალურად არ ქცეულა. „შესაძლებლობანი“ წმინდა ფიზიკური გაგებით, სანამ ისინი მხოლოდ შესაძლებლობებად რჩებიან. არ არიან რაიმე რეალური ღირებულების მქონე ფენომენები, ისინი ფიზიკურ სისტემაზე გამასწორებლად არ მოქმედებენ.

სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის პირობებში აღმოცენებული ცნობიერების ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას „შესაძლებლობები“ შეუძლია განიხილოს როგორც სისტემის რეალურად გამაწონასწორებელი ძალები. გარდა ამისა, შესაძლებელის ცნობიერება სუბიექტისათვის, როგორც ფსიქიკური სისტემისათვის, ისეთივე რეალური გამაწონასწორებელი ფაქტორია, როგორც რეალობა.

ადამიანი, როგორც ფსიქიკური სისტემა, წონასწორობაში მაშინ არის, როდესაც მის მიერ გაგებულია წონასწორობის აღდგენისათვის საჭირო შესაძლებელი საკომპენსაციო აქტიობანი. მაგალითად, აზროვ-

ნების ამოცანა იმ შემთხვევაში აღმოცენდება, როდესაც სუბიექტისათვის სიტუაცია პრობლემურია, როცა მონაცემები სიტუაციის შესახებ ურთიერთ კონფლიქტურია. ამოცანის გადაწყვეტა მონაცემების ტრანსფორმაციების ისეთი შესაძლებლობების აღმოჩენას გულისხმობს, რომლებიც შეუთანხმებლობასა და კონფლიქტს მოხსნის სიტუაციის მონაცემებს შორის. ამის გამო ადამიანს შეუძლია განასხვავოს რეალური სისტემის წონასწორობა (რომლის წონასწორობაში მოყვანა გამაწონასწორებელი ძალების რეალური ზემოქმედებით მიიღწევა) შესაძლებელი წონასწორობისაგან. იგი გულისხმობს წონასწორობის ზოგადი პრინციპების გაგებას, რომლის დახმარებითაც ხერხდება შესაძლებელ მოქმედებათა გარკვეული ვარიანტების ურთიერთ საკომპენსაციო ძალებად განხილვა. მაგალითად, ადამიანს შეუძლია აღიქვას სასწორის ცალკეული წონასწორობის რეალური შემთხვევები. მაგრამ, გარდა ამისა, მას ძალუძს გაიგოს, რომ სასწორის ერთ-ერთ მხარეზე 2 კგ სიმძიმე საყრდენიდან 10 სმ მანძილზე აკომპენსირებს 1 კგ სიმძიმეს, რომელიც სასწორის მეორე მხარეს საყრდენიდან 20 სმ სიშორეზეა მოთავსებული. ამ მიმართების წვდომის საფუძველზე სუბიექტს შეუძლია დაუშვას, რომ 2 კგ სიმძიმე საყრდენიდან 5 სმ-ზე გააწონასწორებს 1 კგ სიმძიმეს, რომელიც მეორე მხარეს 10 სმ მანძილზეა მოთავსებული. ასეთ სისტემაში წონასწორობის დამყარებისათვის მანძილისა და სიმძიმის უკუპროპორციული დამოკიდებულების მნიშვნელობის გაგების შემდეგ სუბიექტს შეუძლია გაითვალისწინოს ის შესაძლებელი ოპერაციები, რომლებითაც შეიძლება წონასწორობის დამყარება სისტემაში.

შესაძლებლობა რეალურად არ მოქმედებს ფიზიკურ სისტემაში, ფსიქიკურ სფეროში ცნობიერების მქონე სუბიექტისათვის კი შესაძლებლობას რეალურის მსგავსი მოქმედება შეუძლია. შესაძლებელის იმ ქმედითი როლის აღნიშვნისათვის ფსიქოლოგიაში ინსტრუმენტული შესაძლებლობის ცნებაა გამოყენებული. ფსიქოლოგიაში ინსტრუმენტულ შესაძლებლობებს უწოდებენ ოპერაციების იმ წყებას, რომელიც სუბიექტს დასრულებული დედუქტიური სისტემის სახით აქვს მოცემული. შესაძლებლობათა იმ სისტემას თავისი ლოგია აქვს და მასზე დაყრდნობით სუბიექტი ახორციელებს თავის ცნობიერ მიზანშეწონილ კიპოთეტურ ქცევებს.

როგორც ვხედავთ, „ინსტრუმენტული შესაძლებლობანი“ ფაქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ფსიქიკის აქტიობაზე, ისინი ადამიანის მიზანშეწონილ აქტიობაზე რეალურად ზემოქმედ ფაქტორებს წარმოადგენენ. „ინსტრუმენტულ შესაძლებლობებს“ ფსიქიკურ სინამდვილეში, როგორც რეალური ძალის მქონე ფენომენებს, არაფერი შეესიტყვება ფიზიკურ სინამდვილეში. შეიძლება ხატოვანად ითქვას, რომ „ინსტრუმენტული შესაძლებლობანი“ არის რალაც საშუალო წმინდა ფი-

ზიკურ და წმინდა აბსტრაქტულ, იდეალურ შესაძლებლობებს შორის, ის რეალურია და ამავე დროს შესაძლებელიც. ცნობიერების როგორც ფსიქიკურის შემდგომი ანალიზი ამ თვალსაზრისით უნდა მოხდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტი, როგორც ფსიქიკური სისტემა, ყველა შესაძლებლობის გათვალისწინებას არ ახდენს, ყველა შესაძლო მოქმედებას ვერ აცნობიერებს. ამიტომ ასეთი შესაძლებლობები თავისთავად ვერ გამოდის ზემოქმედ ფაქტორთა როლში. ფსიქიკური სისტემისათვის, ისევე როგორც ფიზიკურისათვის, ამგვარი შესაძლებლობები უნდა ჩაგვეთვალო ფორმალურ არაეფექტურ აბსტრაქციებად. ფსიქიკურ სისტემაში ასეთი შესაძლებლობები „სტრუქტურული შესაძლებლობების“ ცნებით აღინიშნება. ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაში ორგვარი პროცესი შეიძლება განვასხვაოთ: ერთია ის ოპერაციები, რომელთაც სუბიექტი, როგორც შესაძლებელ მოქმედებას, გათვალისწინების საფუძველზე ცნობიერად ახორციელებს, მეორეა გარკვეული სტრუქტურული ხასიათის ფსიქიკური აქტიობა, რომელიც სუბიექტის მიერ ცნობიერად არ სრულდება. ეს მოქმედება არაა წინასწარ გათვალისწინებული შესაძლებლობის რეალიზაციის პროცესით. „სტრუქტურული შესაძლებლობანი“ გაცნობიერების გარეშე რეალიზირდება სუბიექტის ატიობაში, ისინი მხოლოდ გარედან დამკვირვებლის მიერ შეიძლება იქნეს დანახული და აღწერილი. მათი ანალიზი ობიექტური მიდევნის საფუძველზეა შესაძლებელი და სხვა პირის მიერ უნდა განხორციელდეს. ფსიქიკური სისტემის „სტრუქტურული შესაძლებლობანი“ ისევე ობიექტურად უნდა იქნეს შესწავლილი, როგორც ფიზიკოსი სწავლობს ფიზიკური სისტემის შესაძლებელი ტრანსფორმაციების, შესაძლებლობების სისტემას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ფსიქოლოგი და მათ შორის პიაჟეც იმ აზრისაა, რომ ადამიანის ფსიქიკური ქცევის მიზეზობრივად განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის დასახელებული უნდა იყოს „ინსტრუმენტული შესაძლებლობებიც“ და „სტრუქტურული შესაძლებლობებიც“.

ანსტრუმენტული შესაძლებლობების მიმართ ამ დებულების ქეშმარიტება ცხადია. ინსტრუმენტული შესაძლებლობების მიზეზობრივი მოქმედება ნათლად ჩანს ადამიანის ჰიპოთეტურ-ინტელექტუალური მოქმედების პროცესში. როდესაც სუბიექტი ცდილობს დაადგინოს გარკვეული კლასის მოვლენათა აუცილებელი ზოგადი ნიშნები ან გარკვეულ მოვლენათა შორის არსებული აუცილებელი კავშირი, მათი კავშირების ყველა შესაძლებელი ფორმის წინასწარი გათვალისწინების შემდეგ იგი გამორიცხავს იმ კავშირების მნიშვნელობას. რომლებიც არ რეალიზდება და მიდის აუცილებელი ზოგადის ან აუცილებელი კავშირების დადგენამდე. შესაძლებლობათა სისტემა, „ინსტრუმენტული შე-

საძლებლობანი“ სუბიექტის ინტელექტუალურ ფსიქიკურ აქტიობას გარკვეულ მიმართულებას აძლევენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ სუბიექტს აზროვნების საშუალებით შეუძლია გაითვალისწინოს შესაძლებელი მოვლენები და კავშირები, თანმიმდევრულად შეამოწმოს, თუ რა სახის ვითარებასთან გვაქვს საქმე მის მიერ განხილულ პრობლემურ სიტუაციაში.

საკითხის უფრო ღრმა ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ სტრუქტურული შესაძლებლობებიც თამაშობენ გარკვეულ მიზნობრივ როლს სუბიექტის ქცევაში. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ სტრუქტურული შესაძლებლობები სუბიექტისათვის აქტუალურად არაა მოცემული, სუბიექტი მათ ვერც აცნობიერებს. ისინი მოქმედებენ როგორც არაცნობიერი მექანიზმები. მაგალითად, ჩვენს გამოკვლევებში განზოგადების უნარის განვითარების შესახებ აღმოჩნდა, რომ ჩვენს ცპ-ებს ერთსა და იმავე დროს უყალიბდებათ განსხვავებული სტრუქტურის მქონე ცნებათა ზოგადის წვდომისა და ამ ზოგადის ფორმირების უნარი. ცპ-ები თვითონ ვერ ხედავენ იმ, ბოლოსდაბოლოს, უნივერსალურ საერთო სისტემას, როლმის საფუძველზეც შეიძლება ამ სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ცნებათა (კონიუნქციური, დისუნქციური და სხვადასხვა რელიციური ფორმის მქონე ზოგადი ცნებების) ზოგადის წვდომა. თუმცა ჩვენი ცპ-ები ვერ სწვდებიან მეორე დონის განზოგადების სტრუქტურას, ამ თვალსაზრისით ანალოგიურ ამოცანებს (მათი ანალოგიურობის გაუცნობიერებლობის მიუხედავად) მაინც ერთნაირად წყვეტენ.

როგორც ვხედავთ, შესაძლებლობები (გარკვეული დონით სტრუქტურული შესაძლებლობები) აქტიურ როლს ასრულებენ ფსიქოლოგიური სისტემის წონასწორობის დამყარებაში, მიზანშეწონილი ქცევების აგება-განხორციელებაში. შესაძლებლობების გათვალისწინება და მიზანშეწონილი გამოყენება მათი სტრუქტურული გაერთიანების ბაზაზე ხდება. ფსიქიკური აქტიობის ყოველგვარი სტრუქტურა მისი დაუფლების შემდეგ, მიუხედავად იმისა, გაცნობიერებული იქნება ის თუ არა, სუბიექტის მიერ მიზანშეწონილად გამოიყენება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტის დამოკიდებულება სინამდვილესთან ცნობიერი ურთიერთობით არ ამოიწურება. სუბიექტის ცნობიერი მოქმედება ჩართულია ინდივიდის უფრო ფართო ფსიქიკურ აქტიობაში და მისი თავისებურებების გათვალისწინება ფსიქიკური აქტიობის უფრო ფართო სტრუქტურების ფონზე უნდა მოხდეს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტის ცნობიერი ფსიქიკური აქტიობა ბევრად უფრო რთული სტრუქტურული კანონზომიერებით ხასიათდება, ვიდრე ინდივიდის გაუცნობიერებელი, წმინდა განწყობისეული აქტიობა, მაგრამ, მათი ფსიქოლოგიური შინაარსის დეტალური

შესწავლის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ სუბიექტის ცნობიერი ფსიქიკური აქტიობა ყალიბდება ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის შემდგომი დიფერენციაციისა და განვითარების გზით. ამიტომ სუბიექტობიექტის ურთიერთობის საფუძველზე გაშლილი ცნობიერი ფსიქიკური აქტიობის რთული სტრუქტურული თავისებურებანი გაგებულნი უნდა იქნეს იმ პირველადი მთლიანობის, განწყობისეულ კანონზომიერებათა ფონზე, რომლიდანაც გართულებისა და შემდგომი დიფერენცირების გზით მოხდა მისი ფორმირება, ჩამოყალიბება.

ადამიანის, როგორც სუბიექტის, ფსიქოლოგიურ თავისებურებათა დახასიათება ობიექტთან დაპირისპირებაში იყო ნაცადი. ობიექტის ცნებაში კი ის საგნობრივი სინამდვილე იყო ნაგულისხმევი, რომელსაც სუბიექტი უპირისპირდებოდა. მაგრამ, ცხადია, საგნობრივი სინამდვილე, რომელთან კავშირშიც სუბიექტის აქტიობის შესწავლა ხდება, მხოლოდ ფიზიკური ობიექტებისაგან არ შედგება. გარემო, რომელშიც სუბიექტი მოქმედებს და ცხოვრობს, ადამიანებსაც გულისხმობს, რომლებიც შეუძლებელია მხოლოდ ფიზიკურ საგნებად იქნეს გაგებულნი. ჩვეულებრივ, სამწუხაროდ, ფსიქოლოგია სუბიექტს ისე განიხილავდა, როგორც საგნობრივ გარემოში მოქმედ არსებას. სუბიექტის აქტიობასა და ფსიქიკურ ორგანიზაციაზე კი ადამიანთა გარემო, რომელშიც ის ცხოვრობს, უდიდეს გავლენას ახდენს. სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ადამიანთა სოციალურ გარემოში მოქმედი სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის შესწავლა შეადგენს. სოციალურ გარემოში იგულისხმება როგორც ადამიანები და ადამიანური ურთიერთობანი, რომლებშიც სუბიექტია ჩართული, ისე ადამიანების მიერ შექმნილი ან მათი აქტიობით ტრანსფორმირებული გარემო. ირკვევა, რომ ადამიანისათვის გარემო უდიდეს თვისებრივ ცვლილებას განიცდის მაშინ, როდესაც მის შემადგენელ ნაწილად სხვა ადამიანები იქცევიან. სოციალური გარემო უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ქცევასა და მისი ფსიქიკის ორგანიზაციაზე. შემდგომ განხილული იქნება ამ დებულების დამადასტურებელი მონაცემები. მაგრამ ჩვენ აქ იმ ზოგადი დებულების გამოხატვა გვინდა, რომ ადამიანის ფსიქოლოგიური შინაარსის დახასიათება საკმარისი არაა სუბიექტობიექტის ურთიერთობით. სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულება სუბიექტობიექტისა და სხვა ადამიანთან ურთიერთობებს გულისხმობს. ჩვენ მიერ აქამდე ჩამოთვლილი ფსიქიკური აქტიობის სისტემები, რომელთა გამოყენებითაც ხდებოდა სინამდვილესთან ურთიერთობის დამყარება, ადამიანს მხოლოდ საგნობრივ სისტემებთან კავშირის პროცესში არ უყალიბდება. ადამიანთა ფსიქიკურ განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენს სხვა ადამიანი.

როგორც ცნობილია, ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩვეულებრივი აღზრდის პროცესში მიმდინარეობს, რომელიც ორგანიზირებულ-

ლი, სოციალური ზემოქმედების სახით ზორციელდება. შემდგომ, სოციალური ურთიერთობის პროცესშიც, ადამიანები ახდენენ ერთმანეთზე გავლენას, კორექტივები შეაქვთ ერთმანეთის შეხედულებებში, აზრებში, მსოფლმხედველობაში; სუბიექტს შეუძლია თავისი აქტიობის ობიექტივაცია, გარკვეული აზრის შემუშავება თავისი ქცევის შესახებ. მაგრამ, გარდა ამისა, მას ძალუძს საკუთარი ქცევის შესახებ ჰქონდეს არა მარტო „მე“, არამედ „სხვისი“ აზრიც. სოციალური ურთიერთობის პროცესში სუბიექტს ექმნება ორი თვალსაზრისი საკუთარი ქცევის შესახებ: „მე“-სი და „სხვისი“. „სხვისი“ აზრი თავისი ქცევის შესახებ სუბიექტს ისეთივე შინაგანი გამოცდილების სახით აქვს მოცემული, როგორც „მე“-ს აზრი. სუბიექტის ცნობიერებაში „მე“-სა და „სხვისი“ თვალსაზრისების ერთიან გამოცდილების სახით მოცემულობის გამო, ადამიანის დამოკიდებულება თავისი ქცევის მიმართ სათანადო ზემოქმედებას განიცდის. ყოველი ცალკეული სუბიექტის გამოცდილებაში „მე“-სა და „სხვისი“ თვალსაზრისების ურთიერთობის ბაზაზე იქმნება ერთიანი სოციალურ-ფსიქიკური სინამდვილე, რომელიც თავის მხრივ, მოქმედებს ადამიანთა სოციალურ ურთიერთობაზე და საბოლოო თვალსაზრისით ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ასახვასაც წარმოადგენს.

საგნობრივი სინამდვილისაგან განსხვავებით, ადამიანთა გარემო სპეციფიკურად მოქმედებს სუბიექტზე და სპეციფიკურად განიცდება ადამიანის მიერ; უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ, საგნებისაგან განსხვავებით, სუბიექტს მხოლოდ სხვა ადამიანი პასუხობს. სინამდვილის საგნებს არა აქვთ სუბიექტთან თანხმობა-უთანხმობა, ისინი არ იჩენენ სუბიექტის მიმართ სიყვარულს ან სიძულვილს. სუბიექტმა იცის, რომ საგნები არ აცნობიერებენ მის არსებობას. მხოლოდ „სხვას“, მეორე სუბიექტს შეუძლია უპასუხოს ადამიანს ემოციური და ინტელექტუალური გავებით, აღფრთოვანებით და აღშფოთებით, თანამშრომლობით ან შეჭიბრით და სხვ. საგნები კი სუბიექტის მხოლოდ ფიზიკურ მოქმედებას პასუხობენ; მათთვის სუბიექტი არ წარმოადგენს რაიმე რეალობას. ადამიანი მათთან კონტაქტში იმყოფება, როგორც ფიზიკური საგანი. მხოლოდ ადამიანთა, „სუბიექტისა“ და „სხვის“ ურთიერთობაში იქმნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სოციალურ-ფსიქიკური სივრცე“, რომელშიც ადამიანები ურთიერთგაგების საფუძველზე ერთიან, მთლიან რეალობას ქმნიან. სუბიექტისა და საგნის ურთიერთობის პროცესი ცალმხრივია; ამ ურთიერთობის პროცესში, ურთიერთზე ფიზიკური ზემოქმედების გარდა, სუბიექტის მხრიდან მონაწილეობს ფსიქიკური ასახვისა და მოლოდინების გარკვეული სისტემა, რომლის მიმართ ფიზიკური საგნები პასიურ თანაარსებობაში არიან. ადამიანების ურთიერთობაში კი, ფიზიკური ურთიერთზემოქ-

მედების გარდა, არსებობს ურთიერთგათვალისწინებულისა და მოლოდინების გარკვეული სისტემა, რომლებიც სპეციფიკურ გავლენას ახდენენ მათ ქცევაზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური აქტივობის მეორე დონეზე ინდივიდი — გარემოს ურთიერთობის ფსიქოლოგიურად ჭერ კიდევ დაუნაწევრებელი მთლიანობა სუბიექტის, ობიექტის და სხვა ადამიანის კომპონენტებად დიფერენცირდება. ამ კომპონენტებს შორის იქმნება სრულიად ახლებური, რთული ურთიერთდამოკიდებულება. სუბიექტის ფსიქიკური აქტივობის თავისებურება უკვე დამოკიდებული ხდება საგნობრივ სინამდვილესა და სხვა ადამიანებზე. ამ ურთიერთდამოკიდებულების პროცესში იქმნება სოციოფსიქოლოგიური ველის ძირითადი კონტურები, რომლებშიც სუბიექტი იწყებს აქტივობას. სუბიექტი ამ სოციოფსიქოლოგიურ ველში განხორციელებული ქცევის მხოლოდ გამოუდიფერენცირებული მონაწილე აღარაა, როგორც ეს ინდივიდი — სინამდვილის ურთიერთობის პროცესში იყო. მას შეუძლია შეაჩეროს თავისი განწყობისეული, იმპულსიური ქცევა და მასში დიფერენცირებულად განიხილოს თავისი თავი, როგორც ქცევის სუბიექტი, საგანი, როგორც ობიექტი და სხვა ადამიანი. ინდივიდი თუ ქცევის გამოუდიფერენცირებელი მონაწილე იყო, სუბიექტი ქცევიდან გამოუდიფერენცირებელი დამკვირვებელი ხდება — ინდივიდი — „ქცევის მონაწილეა“, სუბიექტი „ქცევის დამკვირვებელი“¹. სუბიექტს შეუძლია

¹ „ქცევის მონაწილისა“ და „ქცევის დამკვირვებლის“ ტერმინები ჰეიდბრედერის მიერ აზროვნების აქტიური და პასიური პროცესების დახასიათებისათვის იყო გამოყენებული. ჰეიდბრედერის აზრით, აზროვნების პროცესში, რომელიც ცდისა და „შეცდომის“ პრინციპით ხორციელდება, სუბიექტი „ქცევის დამკვირვებელია“, აზროვნების აქტიურ პროცესში, რომელიც თავიდანვე გარკვეული გეგმით ხორციელდება, სუბიექტი „ქცევის მონაწილეა“. ჩვენ აზროვნების პროცესების ამგვარი დიფერენცირების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ტერმინები უფრო კარგად გამოხატავენ ინდივიდისა და სუბიექტის ფსიქოლოგიური აქტიობის თავისებურებას. ამ ტერმინებით სუბიექტის სხვადასხვაგვარი ქცევის დახასიათება გვინდა, რომელიც ჭერ არაა სუბიექტი, ჩართულია ქცევის პროცესში და თავისთავს ვერ გამოყოფს ამ პროცესიდან. „ქცევის დამკვირვებლის“ ტერმინით გვინდა სუბიექტის დახასიათება, რომელიც უკვე გამოყოფს ქცევას და შეუძლია მოახდინოს როგორც თავისთავის, ისე იმ საგნის ობიექტივირება, რომლებიც ქცევაში იყვნენ ჩართული. ჰეიდბრედერის ინტერპრეტაციისაგან განსხვავებით, ჩვენ „ქცევის მონაწილე“ ინდივიდი ფსიქოლოგიურად უფრო პასიურია, ვიდრე „ქცევის დამკვირვებელი“ სუბიექტი. ქცევაში მონაწილეობა ჭერ კიდევ არ ნიშნავს მონაწილის აქტიობას. ინდივიდი მართლაც პასიურად და ჩართულია ქცევის მიმდინარეობაში და ქცევის ნაკადიდან თავის დაღწევა არ შეუძლია. სუბიექტი უფრო აქტიურ ფსიქიკურ ქცევებს ახორციელებს; მას შეუძლია ქცევიდან ამორთვა, ქცევის შეჩერება და ქცევის ამა თუ იმ რგოლის განხილვა. სუბიექტს შეუძლია თავისი ფსიქიკური აქტიობის დამკვირვებელი იყოს, რაც ფსიქოლოგიურად გარკვეულ აქტიობას მოითხოვს. კიდევ უფრო მაღალი დონის აქტიობის დასახასიათებლად ჩვენ „ქცევის წარმმართველის“ ტერმინს გამოვიყენებთ, რომლითაც

თავის ქცევაში ისეთ მომენტებზე მოახდინოს დაკვირვება, რომლებიც სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული განწყობისეული აქტიობის დროს. ინდივიდის დამოკიდებულება სინამდვილისადმი ძირითადად პრაქტიკული და გამოყენებითია. ინდივიდი ახორციელებს სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ქცევას, რომელშიც იგი სრულად არის ჩართული. მისი საქმიანობა უშუალოდ ამ ამოცანებით ამოიწურება. სუბიექტს, ინდივიდისაგან განსხვავებით, შეუძლია თავისი ქცევის ამა თუ იმ მონაკვეთზე შეჩერება. მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი ძირითადად თეორიულია. სუბიექტი შეფერხებული ქცევის მიზეზების ვარკვევას ესწრაფვის. მისი დამოკიდებულება თავისი ქცევისა და საერთოდ სინამდვილისადმი შემეცნებითი ამოცანებით არის განსაზღვრული. იგი ქცევის გაგრძელების შესაძლებელი გზების გამონახვას ცდილობს. ამ საკითხების ვარკვევის დროს სუბიექტი ანალიზით, აზროვნებით და საერთოდ შემეცნებითი საქმიანობით არის დაკავებული. ის, რაც სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული ინდივიდი — სინამდვილის ურთიერთობის პროცესში, სუბიექტის შემეცნებითი აქტიობის ობიექტი ხდება. სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის საფუძველზე შესაძლებელია ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება, რომლებიც საჭიროა ადამიანისათვის მიზანშეწონილი სოციალური ქცევების განსაზღვრისთვის. მაგრამ ადამიანის დახასიათებისათვის არც ამ ასპექტების შესწავლა კმარა. ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალ ინდივიდსა და სუბიექტს წარმოადგენს, ამავე დროს პიროვნებაცაა. ადამიანი, როგორც პიროვნება, არის არა მხოლოდ ფსიქოლოგიური „ქცევის მონაწილე“ და „ქცევის დამკვირვებელი“, არამედ ამავე დროს „ქცევის წარმმართველიცაა“. სუბიექტი განვითარების ვარკვეულ დონეზე იქცევა პიროვნებად და ადამიანი შედის სხვა ადამიანთა სოციალური ურთიერთობის პროცესში, როგორც ამ ურთიერთობის რეალური მონაწილე და წარმმართველი. ის ვარკვეულ როლს ასრულებს ამ ურთიერთობის პროცესში და ამ როლის შესრულების მიხედვით ხდება მისი, როგორც სოციალური ერთეულის, თავისებურებათა დახასიათება.

მაგრამ ვიდრე პიროვნების ფსიქოლოგიის თავისებურებათა დახასიათებაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის კიდევ ერთი თავისებურების განხილვა.

როგორც ვიცით, ინდივიდი—გარემოს ურთიერთობის პროცესში განწყობისეული ქცევის შეწყვეტას და მასში სუბიექტის ჩარევას მაშინა აქვს ადგილი, როდესაც განწყობისეულ ქცევას გაუთვალისწინ-

უკვე პიროვნების ფსიქიკური აქტიობის თავისებურებათა დახასიათებას ვეცდებით: ამ საკითხებს ჰეიდბრედერი, რასაკვირველია, უკვე აღარ ეხება და ცხადია, ეს ტერმინი მის მიერ არ ყოფილა გამოყენებულ.

ნებელი საგნები და გარემოებანი აბრკოლებენ, როდესაც მდგომარეობის უფრო დეტალური და არსებითი გაცნობა-შეყენების გარეშე შეუძლებელი ხდება ქცევის გაგრძელება. როგორც აღნიშნული იყო. ასეთ შემთხვევაში სუბიექტი წყვეტს პრაქტიკულ საქმიანობას, რეალიზაციის გარეშე ტოვებს არსებულ განწყობას და ახალ თეორიულ საქმიანობას იწყებს. ობიექტივაციის საფუძველზე განხორციელებული შემეცნებითი აქტიობა, მართალია, შეწყვეტილი ქცევის დასრულებისათვის საჭირო გზების გამონახვას ემსახურება, მაგრამ თავისი ბუნებით მისგან სრულიად განსხვავებული ქცევაა. ობიექტივაციის საფუძველზე აღმოცენებული თეორიული ქცევა სულ სხვაგვარი სტრუქტურისაა, სხვა საშუალებებს იყენებს და სხვა მიზნებს ემსახურება, ვიდრე თვით პრაქტიკული ქცევა. თეორიული ქცევის საფუძველზე შემეცნებითი ამოცანების გადაწყვეტის შემდეგ ადამიანი ამ ქცევის შედეგებს იყენებს თავისი პრაქტიკული საქმიანობის წარმატებით გაგრძელებისათვის.

ამ ვითარების გათვალისწინების შემდეგ ჩვენ წინაშე მაშინვე დგება საკითხი თეორიული ქცევის საფუძვლების შესახებ: რითია განსაზღვრული ადამიანის თეორიული ქცევის, შემეცნებითი აქტიობის მიზანშეწონილი მიმდინარეობა? რადგან ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის მიზანშეწონილი აქტიობა ყოველთვის გარკვეული განწყობით არის განსაზღვრული, ამიტომ აღნიშნული საკითხი ასეთ სახეს იღებს: რომელი განწყობით არის განსაზღვრული ადამიანის თეორიული აქტიობა? იმ განწყობით, რომლის მოქმედება შეწყვეტილ იქნა გარემოსადმი თავისი შეუსატყვისობის გამო, თუ ახალი განწყობით, რომელიც ასეთ ვითარებაში ახლად შეიქმნა?

ობიექტივაციის თეორია, რომელიც უზნაძის მიერ იყო ჩამოყალიბებული, ჩვენი აზრით, ამ საკითხზე სრულიად ნათელი პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა.

ამ თეორიის მიხედვით, როდესაც ადამიანი რაიმე ჩვეულ საქმიანობას ახორციელებს და იგი რაღაც მიზეზის გამო ვეღარ სრულდება, ინდივიდი წყვეტს ამ პრაქტიკულ საქმიანობას და იწყებს იმის გარკვევას, თუ რაშია საქმე, რა უშლის ხელს ქცევის გაგრძელებას. საქმის ამ ვითარების გარკვევას უზნაძე კონკრეტული მარტივი მაგალითის საფუძველზე ახდენს. ვთქვათ, ადამიანი მიდის გარკვეულ საქმეზე, იცვამს პალტოს, იხურავს ქუდს და გადის სახლიდან, ის ხურავს კარებს და ცდილობს კარის დაკეტვას გასაღებით, მაგრამ კარი არ იკეტება. რამდენიმე წარუმატებელი მოძრაობის შემდეგ იგი წყვეტს ამ საქმიანობას და იწყებს იმის გარკვევას, თუ რაშია საქმე, რატომ არ იკეტება კარი?! საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ, ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ ინდივიდი სხვა გასაღებით ცდილობდა კარის დაკეტვას. სათანადო გო-

საღების მოძებნის შემდეგ ადამიანი ახერხებს კარის დაკეტვას და განაგრძობს თავისი საქმიანობის ჩვეული მანერით შესრულებას. ამ მაგალითის სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ადამიანი პირველად ქცევას შესატყვისი პრაქტიკული საქმიანობის განწყობის საფუძველზე ახორციელებდა, მაგრამ სიტუაციის ასახვის უკმარისობის გამო, მან ვერ მოახერხა შესატყვისი გასაღების იდენტიფიკაცია. ვერ გამოარჩია ის სხვა გასაღებებიდან. ქცევის საჭირო მიმართულებით გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ობიექტივაციის აქტის შემდეგ მან მოახდინა თავისი პრაქტიკული საქმიანობის შეჩერება, გასაღების სათანადო შემოწმება და აღმოაჩინა, რომ ეს არაა გასაღები, რომლითაც შესაძლებელია კარის დაკეტვა. მან სიტუაცია უფრო დეტალურად განიხილა, გამოარჩია ერთიმეორისაგან გასაღებები და დაამყარა შესატყვისი ურთიერთობები გასაღებებსა და კარებს შორის. ამის საფუძველზე მან მონახა ამოცანის გადაწყვეტის საშუალება, მოახებნა სათანადო გასაღები, რომლითაც შესაძლებელია კარის დაკეტვა. ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ის მიუბრუნდა შეწყვეტილ ქცევას და განაგრძო პრაქტიკული საქმიანობა, განწყობისეული ქცევა. ობიექტივაციის აქტამდე, როდესაც ინდივიდის განწყობისეულ ქცევაში დეტალურად არ იყო გათვალისწინებული გარემო, ამგვარი დიფუზური განწყობის საფუძველზე შეუძლებელი აღმოჩნდა მიზანშეწონილი ქცევის განხორციელება. ობიექტივაციის აქტის შემდეგ უფრო დეტალურად ასახულ გარემოსა და სათანადო მოთხოვნილებათა საფუძველზე ინდივიდმა შეძლო უფრო დიფერენცირებული, ადეკვატური განწყობის შემუშავება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელება. პირველად განწყობაში თუ სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული და ასახული გარემო, ობიექტივაციის შემდეგ სუბიექტმა გამოიყენა თავისი შემეცნებითი ძალები; რათა გაერკვია მდგომარეობა, დეტალურად მოეხდინა სიტუაციის შემეცნება, ამგვარი აქტიობის საფუძველზე აღმოცენებულ განწყობაში უფრო მრავალმხრივად და სრულად იქნა ასახული გარემო. პირველად აღმოცენებულ განწყობაში ინფორმაცია სინამდვილის შესახებ გრძნობის ორგანოებიდან, გრძნობადი მასალის სახით იყო მოცემული; მეორე შემთხვევაში, ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შექმნილ განწყობაში კი ინფორმაცია სინამდვილის შესახებ გამდიდრდა ინტელექტუალური აქტიობის საფუძველზე, რომლის დროსაც მოხდა პირველადი ინფორმაციის გადამუშავება.

შემეცნებითი აქტიობის საფუძველზე ინფორმაციის გადამუშავების პროცესში სუბიექტის მიერ გრძნობად მონაცემებში აღმოჩნდა მიმართებათა მთელი რიგი, რომლებიც ინდივიდის მიერ პირველად აღმოცენებულ განწყობაში გათვალისწინებული და დაქვრილი არ იყო.

ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე აღმოცენებული განწყობა სრულად ასახავს გარემოს, რის გამოც მის საფუძველზე შესრულებული ქცევა მიზანშეწონილების უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება. ქცევის მიზანშეწონილების ეს შემდგომი ამალგება ფსიქიკური პროცესების თვისებრივად ახალი ფორმების, შემეცნებითი აქტიობის საფუძველზე ხდება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფსიქიკური აქტიობის როგორც პირველ, ისე მეორე დონეზე შემუშავებული განწყობა ფუნქციონალურად ერთი ძირითადი ღირებულებით ხასიათდება. ის საფუძვლად ედება ინდივიდის შეგუებით ქცევას და მის მიზანშეწონილ მიმდინარეობას განსაზღვრავს. ფსიქიკური აქტიობის როგორც პირველ, ისე მეორე დონეზე შემუშავებულ განწყობა სუბიექტის პრაქტიკული ქცევების მიმდინარეობას ედება საფუძვლად და ჩვენთვის ისევ გაუჩვენებელი რჩება თეორიული ქცევის, შემეცნებითი აქტიობის მიზანშეწონილი მიმდინარეობის განსაზღვრელი ფსიქოლოგიური მექანიზმი.

აზროვნების ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მონაცემებიდან ცნობილია, რომ აზროვნების მიმდინარეობას გარკვეული მიმართულება ახასიათებს, რომლის ახსნას ფსიქოლოგიაში „დეტერმინაციის ტენდენციის“, „განწყობის“, „სქემის“ და სხვა ცნებებით ცდილობდნენ.

თუ განწყობის თეორიის თვალსაზრისით ვეცდებით შემეცნებითი აქტიობის მიმდინარეობისა და მიზანშეწონილი მიმართულების ახსნას, ჩვენ წინაშე ასეთი საკითხი დადგება; რომელი განწყობის საფუძველზე უნდა იქნეს განხილული აზროვნების ფსიქიკური პროცესი?

ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობას ახასიათებს თვისებათა მთელი რიგი, რომელთა გაგება და ახსნა ძნელი ხდება ცნებათა ისეთი სისტემის გამოყენებით, რომლებიც ძირითადად მხოლოდ მიზნულ-შედეგობრივი ან საფუძველშედეგობრივ დამოკიდებულებებს ითვალისწინებს. აზროვნების ასეთი სპეციფიკური თვისებებიდან შეიძლება შემდეგი ცნობილი ძირითადი თვისებები გამოგვეყვო:

ა) სააზროვნო ამოცანის პასუხი, რომელიც სუბიექტმა აზროვნების პროცესის შედეგად უნდა მოიპოვოს, ცხადია, მისთვის წინასწარ არაა ცნობილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აზროვნებრივ განხორციელება არც დასჭირდებოდა, მაგრამ სუბიექტმა „რალაცნაირად მაინც იცის“. თუ როგორია ის შედეგი, რასაც ეძებს. აზროვნების შედეგების ეს თავისებურებანი — „არ ცოდნა და რალაცნაირი ცოდნა“ სათანადო ცნებებს გამოყენებით უნდა იქნეს აღწერილი და ახსნილი.

ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დადგენილად ითვლება, რომ სააზროვნო ამოცანის აღმოცენების შემდეგ სუბიექტის ცნობიერებისათვის უცნობი საშუალებების საფუძველზე, თითქოს თავის-

თავად ხდება სინამდვილის იმ სფეროს შემოსაზღვრა და აქტივაცია, სადაც შესაძლებელია ამოცანის პასუხის მოძებნა¹.

ბ) სააზროვნო ამოცანის აღმოცენების შემდეგ სინამდვილის მიმართ სუბიექტის ინტენციის რეორგანიზაცია ხდება. ასეთ ვითარებაში სუბიექტს ცნობიერებაში შემთხვევით ასოციალურად დაკავშირებული შინაარსები არ უჩნდება. მის ცნობიერებაში ისეთი შინაარსების აღმოცენება ხდება, რომელიც აზრისეულად გარკვეულ კავშირშია ამოცანის გადაწყვეტასთან. სუბიექტის ცნობიერებაში ამ დროს, როგორც ვურცბურგის სკოლის წარმომადგენლები მიუთითებენ, აზროვნების სათანადო მიმართულებით წარმმართველი „მადეტერმინებული ტენდენცია“ მოქმედებს.

გ) სააზროვნო ამოცანის აღმოცენების დროს ხდება ადამიანის საერთოდ ფსიქიკური — როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი ძალების სტრუქტურული ორგანიზაცია. სუბიექტი ამ დროს აზროვნების ისეთი სტრუქტურების გამოყენებას იწყებს, რომლებიც სწორედ გადასაწყვეტ ამოცანას შეეფერება. სუბიექტის ცნობიერება აზროვნების პროცესში ამოცანის შინაარსისაკენ არის მიმართული და აზროვნების შესატყვისი სისტემების შერჩევა-გამოყენება გაუცნობიერებლად, მაგრამ მიზანშეწონილად ხორციელდება.

დ) აზროვნების პროცესში, ამოცანის გადაწყვეტის დროს ხშირად ადგილი აქვს ისეთ ნახტომებს, საძიებელი შინაარსების უცვარ წვდომას, რომელიც გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით არ ხასიათდება, მაგრამ სააზროვნო ამოცანას კარგად პასუხობს. ამგვარი უცვარი წვდომის აქტებს ხშირად არაერთი ცნობიერი წინამძღვრები არ გააჩნია, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მათი აღმოცენების გაგება.

აზროვნების ეს თავისებურებანი, სხვა მსგავს თვისებებთან ერთად. ცხადია, შეუძლებელია აიხსნას იმ პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლადმდებარე განწყობით, რომლის მოქმედება გარემოსადმი შეუსაბამობის გამო წყდება და რომლის შემდეგაც სუბიექტი იწყებს აზროვნებას. ჩვენ საერთოდ შეუძლებლად გვეჩვენება პრაქტიკული საქმიანობის საფუძვლად მდებარე განწყობით აზროვნებისა და საერთოდ შემეცნების პროცესების კანონზომიერებათა გაგება. როგორც ადრე დავინახეთ, ადამიანი აზროვნებს და საგანგებოდ შემეცნებით აქტიობას მაშინ მიმართავს, როდესაც სინამდვილესთან პრაქტიკული ურთიერთობის საფუძვლად მდებარე განწყობა ველარ უზრუნველყოფს მისი ქცევის შემდგომ მიზანშეწონილ მიმდინარეობას. ასეთი მდგომარეობანი მაშინ იქმნება, როდესაც ინდივიდის განწყობაში სიტუაცია

¹ Вудворст Р., Экспериментальная психология, Москва, 1950, стр. 457.

ამდენად სრულად არაა ასახული, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი გახდეს ადეკვატური ქცევის განხორციელება. რადგან აზროვნების საშუალებით სინამდვილის ის თავისებურება უნდა იქნეს შემეცნებული, რაც განწყობაში არაა ასახული, ამიტომ, ცხადია, ასეთი განწყობა ვერაფრით დაეხმარება აზროვნებას სინამდვილის აქამდე გაუთვალისწინებელი მხარეების შემეცნებაში. აზროვნების საშუალებით სინამდვილის ისეთი მიმართებების ასახვა უნდა მოხდეს, რაც ადამიანის მიერ აქამდე განწყობისეულადაც კი არ იყო ასახული.

ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე აზროვნების დეტერმინირებული და მიზანდასახული მიმდინარეობის დახასიათების დროს ხშირად აღნიშნავენ, რომ სუბიექტმა თითქოს არაცნობიერად იცის მოსაძებნი პასუხი. მას თითქოს განწყობისეულად გადაწყვეტილი იქვს ამოცანა და აზროვნების პროცესში მის გაცნობიერებას ახდენს.

აზროვნების აღმოცენების პირობათა ანალიზის შემდეგ ჩვენთვის სრულიად ნათელი ხდება, რომ აზროვნების პროცესის მიმდინარეობის განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ საფუძველად პრაქტიკული ქცევის განწყობა არ გამოდგება. ასეთ განწყობაში ხომ სწორედ ის არაა ასახული, რისი გათვალისწინებაც აზროვნებით უნდა მოხდეს? ასეთ განწყობაში წინასწარ არაცნობიერად გადაწყვეტილი რომ იყოს სააზროვნო ამოცანა, მაშინ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილი იქნებოდა, წინააღმდეგობაში არ მოვიდოდა სიტუაციასთან. ამრიგად, ქცევის ზოგადი განწყობისეული თეორიის მიხედვით აზროვნების კანონზომიერებათა განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ საფუძველად პრაქტიკული ქცევის პირველადი განწყობა არ შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენი აზრით, იგივე შეიძლება ითქვას სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შექმნილი განწყობის მიმართაც. ობიექტივაციის აქტის შემდეგ აზროვნების დახმარებით სუბიექტი ახდენს გარესსინამდვილის უფრო სრულ ასახვას. ქცევის ხელისშემშლელ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ სუბიექტს უმუშავდება სიტუაციისადმი უფრო შესატყვისი ქცვის განწყობა, რის საფუძველზეც ის შლის თავისი შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობას. ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შემუშავებულ განწყობას ლოგიკურადაც და რეალურადაც წინ უსწრებს აზროვნების პროცესი, ამიტომ, ცხადია, შეუძლებელია აზროვნებისა და საერთოდ შემეცნების პროცესების თავისებურებათა განმსაზღვრელად ასეთი განწყობა ჩაითვალოს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აზროვნებისა და შემეცნების ფსიკიკურ აქტიობათა სპეციფიკური კანონზომიერების გაგება შეუძლე-

ბელია როგორც პირველადი, ისე ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შემუშავებული განწყობის საფუძველზე, რომელიც შემეცნების პროცესების მონაპოვარს ეყრდნობა და უფრო ადეკვატურ, მაგრამ მაინც საბოლოო ჯამში პრაქტიკული ქცევის განხორციელებას უზრუნველყოფს.

უზნაძის ობიექტივაციის თეორიის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ ნაოელი ხდება, რომ იმ განწყობის გარდა, რომელიც ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას ედება საფუძვლად (სულ ერთია ფსიქიკური აქტიობის პირველ თუ მეორე დონეზე იქნება ის ფორმირებული), არსებობს თეორიული საქმიანობის განწყობა, რომელიც ადამიანის თეორიულ აქტიობას, შემეცნების პროცესებს განსაზღვრავს. იგი სინამდვილესთან ადამიანის თეორიული დამოკიდებულების განმსაზღვრელ ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ობიექტივაციის აქტამდე ინდივიდი პრაქტიკულ, რეალურ-სასიცოცხლო ურთიერთობაში იმყოფება სინამდვილესთან. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე სუბიექტი არკვევს ქცევის დამაბრკოლებელ გარემოებებს, შეიმეცნებებს სინამდვილეს და შემდეგ ამგვარი შემეცნების საფუძველზე ისევ პრაქტიკულ სასიცოცხლო რეალურ ურთიერთობას ამყარებს სინამდვილესთან, ასახვითი აქტიობის საფუძველზე მოპოვებულ დამატებით ინფორმაციას სინამდვილის შესახებ იყენებს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ობიექტივაციის საფუძველზე ფორმირებულ განწყობის საფუძველზე ადამიანი უკეთესად ეგუება და იგუებს გარემოს, რადგან ეს დამოკიდებულება გამდიდრებულია სინამდვილის შესახებ დამატებითი მონაცემებით. მაგრამ თვით შემეცნებით აქტიობას, აზროვნების პროცესს განსაკუთრებული სახის განწყობა, სუბიექტის მთლიანობითი სახის მომართვა ედება საფუძვლად და სუბიექტის ამ ფსიქიკურ მდგომარეობას უზნაძე თეორიულ განწყობას უწოდებს.

ადამიანის აზროვნება თეორიული განწყობის საფუძველზე აღმოცენდება და რეალიზდება. თეორიულ განწყობად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ის განწყობა, რის საფუძველზეც ადამიანი მოქმედებდა ობიექტივაციის აქტამდე და არც ის, რაც ობიექტივაციისა და აზროვნების შემდეგ იქნა შემუშავებული, რომლის საფუძველზეც ადამიანი აგრძელებს შეწყვეტილ ქცევას, უფრო მიზანშეწონილ შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობას.

თეორიული განწყობა აქტიობისადმი აზროვნების განწყობაა და ის აღმოცენდება არა უშუალო პრაქტიკული მოთხოვნილების, არამედ თეორიული მოთხოვნილების საფუძველზე. თეორიული მოთხოვნილება სუბიექტს უჩნდება მაშინ, როდესაც ის ვერ ართმევს თავს პრაქტიკულ საქმიანობას, როცა დგება ისეთი გაურკვევლობის წინაშე, რომლის გააზრების გარეშე შეუძლებელი ხდება ქცევის გაგრძელება. თეო-

რიული განწყობის სუბიექტურ ფაქტორს თუ თეორიული მოთხოვნილება წარმოადგენს, მის ობიექტურ ფაქტორად პრობლემური სიტუაცია გამოდის. შემეცნების მოთხოვნილებისა და გაურკვეველი სიტუაციის შეხვედრის საფუძველზე სუბიექტს უჩნდება თეორიული აქტიობის მზაობა. სუბიექტის შემეცნებითი აქტიობა ამ განწყობის საფუძველზე ხორციელდება. თეორიული განწყობის კანონზომიერებათა შესწავლის შემდეგ შესაძლებელი ხდება სუბიექტის აზროვნების პროცესის მრავალი თავისებურების გარკვევა. შემეცნების განწყობა თეორიული მოთხოვნილებისა და გაურკვეველი სიტუაციის შეხვედრის საფუძველზე ჩნდება და თავისთავში ამ ფაქტორებს ასახავს. ამიტომ აზროვნების პროცესს, რომელიც მის საფუძველზე მიმდინარეობს, ეს განწყობა აწვდის სააზროვნო მასალას, სინამდვილის სფეროს, რომელშიც მონახული უნდა იქნეს საძიებელი პასუხი; კონკრეტულად თუ რა შეიძლება იყოს სააზროვნო ამოცანის პასუხი, ამის გარკვევა უნდა მოხდეს შესაძლებლობათა გარკვეული სისტემის გათვალისწინების საფუძველზე, რომლის გამოყენებას, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სუბიექტი ახდენს აზროვნების პროცესში. აზროვნების ამა თუ იმ სისტემის შერჩევისა და გამოყენების პროცესი, როგორც ადრე დავინახეთ, სუბიექტისათვის გაუცნობიერებელი რჩება. ეს სისტემები სუბიექტის მიერ განწყობისეულად მოიხმარება. შესატყვისი ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თეორიული განწყობის ფორმირება, პრაქტიკული განწყობის ჩამოყალიბებისაგან განსხვავებით, სამი ფაქტორის საფუძველზე ხდება. შემეცნების მოთხოვნილება, პრობლემური სიტუაცია და შემეცნების სტრუქტურები ის ფაქტორებია, რომელთა გაერთიანების საფუძველზე იქმნება სუბიექტის შემეცნებითი განწყობა; ამ განწყობის საფუძველზე სუბიექტი აწარმოებს აზროვნების პროცესს, ცნობიერების აქტიობას. პრობლემურ სიტუაციაში აზროვნების ამოცანა შესაძლებელია გადაწყდეს მაშინ, თუ სუბიექტი შეძლებს ამ სიტუაციის ისეთ რეკონსტრუქციას, რომ აღმოჩენილ იქნეს ის პრინციპი, მიმართება, რომლის გათვალისწინების შემდეგ მოიხსნება პრობლემატურობა, გადაწყდება ამოცანა. აზროვნების განვითარების პროცესში სუბიექტს უყალიბდება საძიებელი მიმართების აღმოჩენისათვის საჭირო ოპერაციული მოქმედების წესების სხვადასხვა სისტემა. ისინი ინტელექტუალური მოქმედების საფუძველზე საგანთა ურთიერთობის ასახვის საფუძველზე ყალიბდებიან. ეს წესები სუბიექტის მიერ გაუცნობიერებლად გამოიყენებიან, მაგრამ სწორედ მათი გამოყენების საფუძველზე ხდება საგანთა საძიებელი მიმართებითი მხარეების გაცნობიერება. თუ რა სპეციფიკური სახისა იქნება სუბიექტის შემეცნებითი განწყობა, ის თეორიული განწყობა, რომლის საფუძველზეც სუბიექტი ამა თუ იმ

კონკრეტულ შემთხვევაში შლის თავისი აზროვნების პროცესს, ეს არსებითად დამოკიდებულია შემეცნების მოთხოვნილებების, პრობლემური სიტუაციისა და აზროვნების იმ სისტემის სტრუქტურულ თავისებურებაზე, რომელთა გაერთიანებითაც ხდება თეორიული განწყობის ჩამოყალიბება¹.

უზნაძე საგანგებოდ მიუთითებდა თეორიული განწყობის ამ სპეციფიკური ფაქტორების მნიშვნელობაზე, როდესაც ობიექტივაციის დონეზე აზროვნების პროცესის მიმდინარეობის თავისებურებას განიხილავდა. თეორიული მოთხოვნილებისა და პრობლემური სიტუაციის გარდა, უზნაძე მიუთითებს ინტელექტუალური აქტიობის იმ აქსიომატიური კანონზომიერების შესახებ, რომლებიც ლოგიკური კანონების სახით ხორციელდება აზროვნების პროცესში, მაგრამ რომელთა გაცნობიერებას ინდივიდი ვერც ახდენს. ეს დებულება დადასტურდა აზროვნების შესახებ გამოსულ შემდგომ გამოკვლევებში. განზოგადების პროცესების კვლევის დროს ჩვენ მიერ დადასტურებულ იქნა განზოგადებითი აქტიობის გარკვეული სტრუქტურები, რომლებიც ცდისპირების თეორიული განწყობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ.

თეორიული განწყობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება აზროვნების მიზანშეწონილად და მიზნისეულად წარმართვა. თეორიული განწყობა აზროვნების მიმდინარეობაზე სათანადო გავლენას იმის გამოკიდებით ახდენს, რომ მასში უკვე წინასწარ არის გადაწყვეტილი სააზროვნებო ამოცანა; სააზროვნო ამოცანა ინდივიდს განწყობისეულად რომ ჰქონდეს გადაწყვეტილი, მას სრულიად წარმატებით გამოიყენებდა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. თეორიული განწყობა აზროვნების პროცესს იმით ეხმარება, რომ მასში მოცემულია ყველა პირობა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტა. მაგრამ სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა ამ პირობების გამოყენება, შესაძლებლობათა რეალიზაცია, იმ მიმართებათა წედობა, რომლის გათვალისწინების შემდეგ სიტუაციაში პრობლემური აღარაფერი იქნება, სინამდვილე გასაგები გახდება. ამის მიღწევა მოვლენათა დამოკიდებულების შესაძლებლობათა ცნობიერი გათვალისწინებით და სიტუაციაში რეალიზებული მიმართების გაცნობიერებით არის შესაძლებელი. თეორიულ განწყობაში ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობები, პირობებია მოცემული. აზროვნების პროცესში, რომელიც ამ თეორიულ განწყობას ეყრდნობა, ხდება ამ შესაძლებლობათა რეალიზირება, ამოცანის გადაწყვეტა.

სუბიექტ-ობიექტის დონეზე განხორციელებული შემეცნების ფსი-

¹ შ. ნ. დ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., განზოგადების განვითარება სისკოლო ასაკის ბავშვებში, თბილისი, 1963, გვ. 274—279.

ქი.ური აქტიობა სუბიექტის თეორიული განწყობის საფუძველზე ხორციელდება და ამ განწყობის კანონზომიერებათა გათვალისწინებით შეიძლება გასაგები გახდეს და აიხსნას სუბიექტის ცნობიერი ფსიქიკური აქტიობის ბევრი თავისებურება.

პრაქტიკულ და თეორიულ განწყობათა ბუნებისა და ურთიერთმომართების საკითხი ბოლო დროს ფსიქოლოგთა საგანგებო ინტერესის საგანი გახდა. მაგრამ ეს ცნებები ფსიქოლოგიაში ხშირად „საწყისი პოზიციის“ (anchoring) და „გონებრივი განწყობის“ (mental set) ტერმინებით აღინიშნება. ამ საკითხებს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ტრესელტმა¹. მისი აზრით, ორივე ეს ფენომენი, პრაქტიკული და თეორიული განწყობები ფსიქიკურ აქტიობაში ადამიანურ ფაქტორზე მიუთითებენ. მაგრამ „საწყისი პოზიციის“, პრაქტიკული განწყობის ცნებაში, მისი აზრით, წარსული გამოცდილების საფუძველზე შენუშავებული პოზიცია იგულისხმება, რომელიც ადამიანის ყოველდღიურ გაუცნობიერებელ აქტიობასაც განსაზღვრავს. ბოლო დროს ლაჩინის გაეღენით, სამწუხაროდ, პრაქტიკული და თეორიული განწყობის გაგებაში არასწორად იქნა შემოტანილი განსოშილება. რომლითაც ახდენენ მათ ვარჩევას, მაგრამ რომელიც საქმის ნამდვილ ელემენტებს სრულიადაც არ ასახავს². ლაჩინის აზრით, გონებრივი განწყობა (ლაჩინის მას ადრე Einshtelung-ს უწოდებდა) წარსული გამოცდილების შედეგად აღმოცენებული ისეთ ცნებათა მდგომარეობაა, რამელიც ფიქსირებულობისა და პერსევერაციულობის გამო ხელს უშლის აზროვნებას. ამოცანის გადაწყვეტაში ის მიზანშეწონილი ფსიქიკური აქტიობის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ლაჩინს ფაქტურად თეორიული განწყობა კი არა აქვს მხედველობაში, არამედ ფიქსირებული თეორიული განწყობა. რომელიც ვარჩეული მიზეზების გამო, ხელმეტი ფიქსირებულობისა და ავტონომულობის გამო, ზოგჯერ, მართლაც, ხელს უშლის სუბიექტებს აღქვავთური თეორიული განწყობის გამოშუშავებასა და მიზანშეწონილი აზროვნების პროცესის განხორციელებაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჰიპოთეზისაჲს შემთხვევაში პრაქტიკული განწყობაც შეიძლება გახდეს მიზანშეწონილი აქტიობის დამაბრკოლებელი მიზეზი. მაშინ ნათელი გახდება. რომ ეს თვისება მხოლოდ გონებრივი განწყობის სპეციფიკად არ შეიძლება ჩაითვალოს. ძირითადად როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული განწყობა მიზანშეწონილი ფსიქიკური აქტიობის განმსაზღვრელ საფუძველს წარმოადგენს.

¹ Tresselt M. E. Anchoring and Mental set. Psychonomic Monog. Supplements. vol. 1. 14, p. 147.

² Luchins A. A. Mechanization in problem-solving of Einshtelung. Psychol. Monograph, 1942. 56, 6.

სუბიექტის ფსიქიკური აქტობა, მისი თეორიული საქმიანობა, მარალია, გარკვეული განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, მაგრამ მისი მოქმედების ზოგადი სქემა არსებითად განსხვავდება ინდივიდის აქტიობის სქემისაგან. ამ სქემის ძირითად კონტურთა შემოფარგვლის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი ხდება ადამიანის შემეცნებითი აქტიობის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

4. 2. 1. სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის სქემა

სუბიექტის ფსიქიკური აქტიობა ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე ხორციელდება. როგორც უკვე აღნიშნული იყო, როდესაც ადამიანის განწყობისეული ქცევა გარემოსადმი შეუსაბამო აღმოჩნდება და ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება, ადამიანი შეაჩერებს ქცევას. ე. წ. ობიექტივაციის აქტს მიმართავს და შექმნილი ვითარების გაცნობიერებას იწყებს. ამ დროს ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება გარკვევის თავისი ქცევის წარუმატებლობის მიზეზები, გაითვალისწინოს ობიექტური ვითარების ის თავისებურებანი, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო მის ქცევაში. ამ დროს ადამიანი ღვება ამოცანის წინაშე, რომ გააცნობიეროს და გარკვევის ქცევის დამაბრკოლებელი ის გარემოებანი, რაც მის განწყობაში არ იყო ასახული. ფსიქიკური აქტიობის ამ ახალ, უფრო მაღალ დონეზე ადამიანი უპირისპირდება თავის ქცევას და იმ გარემოს, სადაც მისი ქცევა ხორციელდება. ადამიანი იმ დროს სინამდვილეს და თავის ქცევას განიხილავს როგორც ობიექტს, რომელიც უფრო სრულად უნდა აისახოს და თვითონ, როგორც სინამდვილესთან დაპირისპირებული არსება, სუბიექტად იქცევა. ამგვარ მეორე დონის ფსიქიკური აქტიობას გულისხმობს ყოველგვარი აზროვნებისა და შემეცნების პროცესი, რომელიც კონფლიქტურ, შრობლემურ სიტუაციაში ჩნდება. ამ დროს ადამიანი თავს ანებებს პირველი დონის განწყობისეულ პრაქტიკულ საქმიანობას და შემეცნებით, თეორიულ საქმიანობას იწყებს. როგორც უზნაძე აღნიშნავს, ობიექტივაციის საფუძველზე სუბიექტს უჩნდება თეორიული მოთხოვნილება, „რაშია საქმე?“, „რა არის ეს?“ და სხვა მსგავსი კითხვები, რომლებიც მას ქცევის დამაბრკოლებელი ვითარების გარკვევის საკენ უბიძგებს.

ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე, ობიექტივაციის აქტის შემდეგ სუბიექტზე მოქმედებს თეორიული განწყობის აღმოცენებისათვის საჭირო აუცილებელი და საკმარისი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორები: თეორიული მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილებისათვის გამოსადეგი კონფლიქტური სიტუაცია. ამ ორი ფაქტორის შეხვედრის, მათი ერთდროული შემოქმედების საფუძველზე სუბიექტს უჩნდება

კონფლიქტური, პრობლემური სიტუაციის გარკვევის განწყობა. ამ შემეცნების განწყობის საფუძველზე სუბიექტი იწყებს თეორიული ქცევის განხორციელებას, რომლის პროცესში ხდება სუბიექტის წინაშე წამოჭრილი საკითხის გარკვევა. ეს თეორიული განწყობა სუბიექტის ინტელექტუალურ აქტიობას როგორც იმპულსს, ისეთ მიმართულებას აძლევს. ისევე როგორც ფსიქიკური აქტიობის პირველი დონის პრაქტიკული ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობა გაპირობებულია წინასწარ ფორმირებული განწყობით, ასევე მეორე დონის თეორიულ-შემეცნებითი აქტიობის მიზანშეწონილება გაპირობებულია ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შემუშავებული თეორიული განწყობით.

თეორიული განწყობის საფუძველზე აღმოცენებული შემეცნებითი პროცესები სიტუაციის უფრო ღრმა შემეცნებას ემსახურება. ამ პროცესში ხდება ობიექტის ისეთი მიმართებითი მხარეების შემეცნება, რომლებიც შეუძლებელია აისახოს პირველი დონის ფსიქიკური აქტიობის საფუძველზე. მეორე დონის ფსიქიკური აქტიობა ცნობიერების მონაწილეობას გულისხმობს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ დროს მთელი შემეცნებითი პროცესის გაცნობიერება არ ხდება, ცნობიერი ასახვის საგანს ამ პროცესში ქცევის დამაბრკოლებელი გარემოებანი შეადგენენ. ამიტომ შემეცნების პროცესთა ამოცანა უკვე მაშინ ითვლება გადაწყვეტილად, როდესაც სუბიექტი გაარკვევს პრობლემურ სიტუაციას, გაცნობიერებს ქცევის დამაბრკოლებელ მიზეზებს. მაგრამ თეორიული მოთხოვნაობების დაკმაყოფილების შემდეგ, როდესაც სუბიექტი გადაწყვეტს ინტელექტუალურ ამოცანას, ადამიანის აქტიობა, პრაქტიკული ქცევა ჯერ კიდევ არ შეიძლება დამთავრებულად ჩითვალოს. იმის გარკვევის შემდეგ, თუ რატომ ვერ კვტავდა ადამიანი გასაღებით კარებს, თავის ძირითად პრაქტიკულ ამოცანას ის გადაწყვეტილად ვერ ჩავთლის. შექმნილი ვითარების თეორიული გარჩევა და გადაწყვეტა მას იმისათვის დასჭირდა, რომ ფსიქიკური აქტიობის პირველ დონეზე შეწყვეტილი ქცევა გააგრძელოს და დაასრულოს. — კარები დაკეტოს. საქმის ვითარების გარკვევის შემდეგ ადამიანს უშუშავდება ადექვატური განწყობა და შესატყვის, მიზანშეწონილ ქცევას ახერხებს. მართლაც, როგორც ცნობილია, თეორიული საკითხების გადაწყვეტა ადამიანს ბოლოსდაბოლოს პრაქტიკული ამოცანების განხორციელებისათვის სჭირდება. პირველი და მეორე დონის ფსიქიკური აქტიობის ამგვარი ერთობლივი სურათი ქვემოთნაწილ სქემაშია წარმოდგენილი. ამ სქემაში კარგად არის გამოხატული ფსიქიკური აქტიობის მეორე დონის მნიშვნელობა ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის აგებაში. როდესაც სინამდვილის უკმარისი ასახვის გამო ინდივიდის განწყობა არ შეესატყვისება სინამდვილეს და მის საფუძველზე სინამდვილი-

სადმი ადაპტირებული ქცევა ვერ ხორციელდება, არარეალიზებული განწყობის საფუძველზე ხდება ფსიქიკური აქტიობის მეორე დონის ამუშავება. სინამდვილის ადექვატური ასახვის, შემეცნების ამოცანების წარმატებით გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი ხდება სინამდვილისადმი ადექვატური განწყობის შემუშავება და მიზანშეწონილი ადაპტირებული ქცევის განხორციელება.

მაგრამ, ცხადია, ადამიანის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებანი მხოლოდ ამ ორი დონის აქტიობით არ ამოიწურება. როგორც ცნობილია, ადამიანი, გარდა იმისა, რომ ცოცხალი ინდივიდი და შემეცნებული სუბიექტია, აგრეთვე პიროვნებასაც წარმოადგენს, რომელიც სოციალურ გარემოში ცხოვრობს. ადამიანს, როგორც სოციალურ პიროვნებას, გააჩნია მორალური შეხედულებებისა და სოციალური მოლოდინების სისტემები. ის იმყოფება სხვა ადამიანებთან სოციალურ ურთიერთქმედებაში და ფსიქიკური აქტიობის პროცესში საკუთარ მოთხოვნილებათა გარდა ანგარიშს უწევს სოციალურ მოთხოვნილებასაც. სოციალური პიროვნების ფსიქიკური აქტიობა უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება, ვიდრე სუბიექტისა. პიროვნების სოციალური ქცევა ფსიქიკური აქტიობის უფრო რთული, მესამე დონის მონაწილეობით ხორციელდება.

4. შ. ადამიანი როგორც პიროვნება

ადამიანი, როგორც ცნობილია, მხოლოდ იმპულსურ არსება არ წარმოადგენს. მისი მოქმედება ხშირად უშუალო მოთხოვნილებია იმპულსებით არაა გაპირობებული. ადამიანს შეუძლია თავი დააღწიოს აქტიურად ზემოქმედ მოთხოვნილებებსა და საგნობრივ იმპულსებს. ის ხშირად ისეთ ქცევებს მიმართავს. რომელთა საფუძველიც შეუძლებელია უშუალოდ მოცემულ სიტუაციაში მოიძებნოს. ასეთი ქცევის ღირებულება სცილდება მოცემული სიტუაციის ფარგლებს. ადამიანის ამგვარი აქტიობა მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ მას, როგორც სუბიექტს, შეუძლია შეწყვიტოს თავისი იმპულსური ქცევა. მოახდინოს მასზე დაკვირვება, ქცევაში მონაწილე ინდივიდის მაგიერ ქცევის დამკვირვებელ სუბიექტად იქცეს. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ის პიროვნებას წარმოადგენს, მას შეუძლია ისეთი ქცევის განხორციელება, რომელიც მის უშუალო მოთხოვნილებებს არ ემსახურება. ასეთ შემთხვევაში პიროვნება სპეციფიკურ აქტიობას ახორციელებს, თვითონ ახდენს თავისი ქცევის ორგანიზაციას და რეალიზაციას. პიროვნების ნებით განხორციელებული ამგვარი ქცევა ხშირად უშუალო მოთხოვნილებებისა და საგნობრივი იმპულსების მოქმედების საწინააღმდეგოდ არის მიმართული და თავის

ენერგეტიკულ წყაროდ მათგან განსხვავებულ პიროვნულ ძალებს იყენებს. ამგვარი ქცევა ხშირად ადამიანის ისეთ მოთხოვნილებებს ემსახურება, რომლებიც მას შეიძლება მომავალში გაუჩნდეს. ასეთი ქცევა შესაძლებელია ხშირად სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდეს. მისთვის საზოგადოდ ისაა დამახასიათებელი, რომ ის ობიექტური ღირებულებისადმია ორიენტირებული, რომელიც შესაძლებელია საზოგადოდ ვინმეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის იქნეს გამოყენებული. ამგვარი ქცევის თავისებურებათა გაგებისათვის საჭირო ხდება ადამიანის ღირებულებათა ორიენტაციების სისტემისა და ნებისყოფის თავისებურებათა გათვალისწინება. მათი გათვალისწინება კი საერთოდ პიროვნების გაგებასა და დახასიათებას ვულისხმობს.

პიროვნების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს ნებელობა წარმოადგენს. ამ ნიშანს პიროვნება ნებელობითი ქცევის განხორციელების დროს ამჟღავნებს. ვთქვათ, მაგალითად, ადამიანმა ვარკვეული მოსაზრების გამო უარი თქვა თამბაქოს მოწევაზე. ის ასეა: შემთხვევაში ებრძვის თამბაქოს მოწევის მოთხოვნილებას და არ ეწევა. ან, მაგალითად, ადამიანმა გადაწყვიტა თავი არ დაანებოს მუშაობას, სანამ მის წინაშე დასულ კონკრეტულ ამოცანას არ გადაწყვეტს. სხვა უფრო საინტერესო იმპულსები, დაღლილობა და სხვა უბიძგებს თავი დაანებოს ამოცანის გადაწყვეტას, მაგრამ ის ნებისყოფის დაძაბვით აგრძელებს მუშაობას სანამ, ვიდრე არ გადაწყვეტს ამოცანას. ამგვარი ნებელობით ქცევების ანალიზის დროს უზნაძე საბართლიანად მიუთითებს, რომ ამ ქცევისათვის დამახასიათებელია სუბიექტისა და ქცევის დიფერენცირების ნიშანი. ადამიანი ასეთ ქცევაში თავისი „მე“-სა და „ქცევის“ დიფერენცირებას, ობიექტივაციას ახდენს. ნებელობის ყველა შემთხვევისათვის „მე“-სა და „ქცევის“ ობიექტივაციაა დამახასიათებელი¹. ნებელობითი ქცევის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ქცევა, რომელიც პიროვნებამ უნდა განხორციელოს, აწმყოს არ ეკუთვნის, მომავალში უნდა მოხდეს. ნებელობითი ქცევის თავისებურებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ძალებისა და პირობების ორგანიზაცია, რომლის საფუძველზეც ქცევა მომავალში უნდა განხორციელდეს. ნებელობითი აქტიობის მესამე თავისებურება „მე“-ს განცდაში მდგომარეობს. თუ ინდივიდი ჩართულია იმპულსურ ქცევაში და მისი ქცევის წყაროს მოთხოვნილება წარმოადგენს, ნებისმიერი მოქმედების დროს სუბიექტი გამოყოფილია ქცევისაგან და თავის „მე“-ს განიცდის აქტიობის წყაროდ. როგორც ვხედავთ, ისევე როგორც შექცნებითი ამოცანის აღმოცენებისას აზროვნების დაწყების დროს, ნე-

¹ დ. უ. ნ. ა. ძ. ე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1940, გვ. 143.

ბისმიერი ქცევის განხორციელების დროსაც ხდება ინდივიდი — გარემოს მთლიანობის დაშლა, დიფერენციაცია. ნებელობით აქტიობას წინ უძღვის ობიექტივაციის აქტი, რომლის საფუძველზე სუბიექტი გამოეყოფა სინამდვილეს და უპირისპირდება მას. მაგრამ თუ აზროვნების პროცესში აქცენტი სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირებაზეა გადატანილი, ნებელობითი აქტიობის დროს ხდება იმპულსური ქცევის შეჩერება და საჭირო ქცევის გამოძებნა, რომელიც უნდა განახორციელოს ადამიანი. საჭირო ქცევის გამოძებნა და მისი მისაღებლობა-მიუღებლობის გარკვევა გარკვეულ ინტელექტუალურ აქტიობას მოითხოვს. ნებელობით პროცესებში ჩართულია ინტელექტური პროცესები, მაგრამ მის სპეციფიკას ეს არ შეადგენს. სასურველი ქცევის მონახვა და მისი სასურველობის დადასტურება ჯერ კიდევ არაა ნებისმიერი ქცევის განხორციელების გარანტია. საჭირო ხდება სასურველად და მისაღებად მიჩნეული ქცევისათვის ცხოველყოფელი ძალების მინიჭება, მისი ქცევით რეალობად გადაქცევა. სწორედ ამ პუნქტში იჩენს თავს პიროვნება. პიროვნება სპეციფიკური ფსიქიკური აქტიობის საფუძველზე მისაღებ ქცევას რეალობად აქცევს. ნებელობითი ქცევა ხორციელდება პიროვნების მიერ, მაგრამ მისი სპეციფიკურობა ქცევის ფიზიკურ შესრულებაში არ მდგომარეობს. ნებელობითი ქცევის რეალიზება ფაქტიურად მაშინ ხდება, როდესაც პიროვნება ახდენს ფსიქიკური ძალების ორგანიზებას და სტრუქტურირებას, როდესაც ის გადაწყვეტს ამა თუ იმ მიმართულებით მოქმედებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ქცევის შემდგომი ფიზიკური რეალიზაცია. ნებელობითი პროცესების სპეციფიკურობის გათვალისწინება შესაძლებელი ხდება ნებელობის პერიოდთა უფრო დეტალური განხილვის საფუძველზე.

ნებელობის პროცესში ძირითადად ოთხ პერიოდს არჩევენ. ესენია: I. იმპულსური, ჩვეული ქცევისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აღმოცენება და სხვაგვარი, ნებელობითი ქცევის საჭიროების განცდა. II. განსჯის პროცესი, რომლის დროსაც ხდება საჭირო ქცევისა და მისი მოტივის გამოძებნა. ამ პერიოდს ხშირად მოტივთა ბრძოლის პერიოდსაც უწოდებენ. III. გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროსაც სპეციფიკური ფსიქიკური აქტიობის საფუძველზე პიროვნება სანქციას აძლევს რომელიმე ქცევას, რომელიც უსათუოდ უნდა შესრულდეს. IV. მიღებული ქცევის შესრულება.

ნებელობის ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ნებელობის სპეციფიკურობა გადაწყვეტილების მიღების აქტში მდგომარეობს და ამ პერიოდის კანონზომიერების დადგენის საფუძველზეა შესაძლებელი ნებისყოფის პროცესის თავისებურების გაგება¹.

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 166—170.

ნებელობის აქტიობა იმპულსური ქცევის შეკავებით იწყება. იმპულსური ქცევის შეფერხება იმის გამო არ ხდება, რომ მის რეალიზაციას გარესინამდვილის საგნები უშლის ხელს. იმპულსური ქცევის დამაბრკოლებელი მოვლენები თვითონ პიროვნებაშია მოცემული. იმპულსური ქცევა ხშირად კონფლიქტში მოდის იმ სოციალურ და მორალურ შეხედულებებთან, რომლებიც პიროვნებას საზოგადოებრივ ურთიერთობას შეუშუშავდა და რომელთა საფუძველზეც აგებს ის თავის სოციალურ ქცევას. იმპულსურ ქცევასა და პიროვნების მორალურ შეხედულებებს შორის კონფლიქტის აღმოცენების დროს ადამიანი ხშირად წყვეტს იმპულსურ ქცევას და ობიექტივაციის აქტს მიმართავს. ასეთ ვითარებაში აღმოცენებული ობიექტივაციის აქტი საფუძვლად ედება აზროვნების ისეთ პროცესს, რომელიც გარესინამდვილის საგანთა და მოვლენათა თავისებურებების შემეცნებისადმი არაა ორიენტირებული. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ინტელექტუალური აქტიობა „შიგნით“ არის მიმართული. თავისი პიროვნული ძალების, სოციალურ-ღირებულებითი ორიენტაციების გათვალისწინებით პიროვნება ცდილობს გამონახოს ისეთი ქცევა, რომელიც მიუღებელი იმპულსური ქცევის მაგიერ უნდა განხორციელდეს.

ამ დროს ადამიანი წყვეტს იმპულსურ ქცევას, ის აღარ მოქმედებს იმპულსური ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობით. იმპულსური ქცევის საფუძვლადმდებარე პრაქტიკული განწყობა არარეალიზებული რჩება. ადამიანს უჩნდება ახალი თეორიული განწყობა, რომ გააკვიოს შექმნილი კონფლიქტური მდგომარეობა. მის წინაშე დგება საკითხი: „რაშია საქმე?, რატომ არ უნდა განხორციელდეს ეს იმპულსური ქცევა? როგორი ქცევა უნდა განხორციელოს მან?“ ადამიანს უჩნდება შინაგანი მდგომარეობის შემეცნების მოთხოვნილება, რომლის გარკვევის შემდეგ მან უნდა მონახოს ახალი მიზანშეწონილი და მისაღები ქცევა. ასეთი სპეციფიკური სახის მოთხოვნილებასთან ერთად ადამიანს მოცემული აქვს სიტუაცია, სადაც შესაძლებელია აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთ სიტუაციას შინაგანი კომპლექსური სიტუაცია წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იმპულსური ქცევის შეფერხების დროს პიროვნული ორიენტაციებისა და შეხედულებების თვალსაზრისით მათი მიუღებლობის გამო, ადგილი აქვს ადამიანის პრაქტიკული აქტიობის შეჩერებას. ადამიანი მიმართავს ობიექტივაციის აქტს და საგანგებოდ აცნობიერებს შექმნილ ვითარებას. ამ ვითარების გაცნობიერებისა და გააზრების მთელი ინტელექტუალური პროცესი ორგანიზებულად და მიზანშეწონილად მიმდინარეობს, რაც გაპირობებულა იმ თეორიული განწყობით, რომელიც ამ დროს ადამიანს უჩნდება. ეს განწყობა აღმოცენებულია, ერთი მხრივ, თეორიული მოთხოვ-

ნიღების საფუძველზე, რომელსაც ადამიანი განიცდის ტენდენციის, მისწრაფების სახით, რომ გაერკვეს თავის შინაგან კონფლიქტურ ვითარებაში. ამ განწყობის შემდგომ ფაქტორს თვითონ კონფლიქტური სიტუაცია წარმოადგენს, რომელიც რეალურად ეძლევა ადამიანს. ნებელობის პროცესებში ჩართული ინტელექტუალური აქტიობა სწორედ ამ თეორიული განწყობის საფუძველზე ხორციელდება. მისი მიზანშეწონილი მიმდინარეობა ამ განწყობით არის გაპირობებული. ინტელექტუალური ამოცანის სწორად გადაწყვეტის შემდეგ, როდესაც მონახული იქნება მიზანშეწონილი და მისაღები ქცევა, ნებელობის მთლიანი პროცესის ინტელექტუალური ამოცანა შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. სუბიექტმა უკვე იცის, თუ რა სახის ქცევის გამოწვევით ხდება აღნიშნული თეორიული განწყობის რეალიზება.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნებელობის პროცესი, როგორც ამას უზნაძეც მიუთითებს, მხოლოდ ინტელექტუალური ამოცანის გადაწყვეტით არ ამოიწურება: „ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნებელობასა და აზროვნებას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა, მაშინ საკითხის ინტელექტუალურად გადაჭრისა და ვოლიტურად გადაწყვეტის აქტი ერთმანეთს უნდა დამთხვეოდნენ, მაგრამ სულ მარტივი დაკვირვებაც საკმარისია, რომ მიხვდეს კაცი, რომ ეს ასე არაა. წარმოიდგინეთ, რომ იულიოს კეისარი სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო. ეს გარემოება, შესაძლოა მას ხელს არ შეუშლიდა მიმხვდარიყო, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლის დაწყება სწორედ ეს იყო მიზანშეწონილი, მაგრამ განა იგი ასე ადვილად შესძლებდა გადაეწყვიტა თავისი ლეგიონისათვის ბრძანება გაეცა, რუბიკონი გადაელახათ და რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრებულიყვნენ! რასაკვირველია, არა! ამისათვის მას კიდევ დასჭირდებოდა რაღაც, რაც აზროვნებას, როგორც ასეთს, არ ეხება. ამისათვის მას დამატებითი ნებელობის აქტის მოხდენა დასჭირდებოდა“¹. მართლაც, საჭირო ხდება რაღაც დამატებითი აქტიობა, რომ აზროვნების მიერ გამონახული და შერჩეული ქცევა შესრულდეს. საჭირო ხდება ამ ქცევისათვის შესატყვისი განწყობის ფორმირება, რომ მან მოახდინოს შესატყვისი ქცევის აღძვრა.

ვცადოთ იმის გაგება, თუ როგორ ახერხებს პიროვნება რომელიმე ქცევის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანას, თუ რას მოჰყავს სათანადო ქცევის განწყობა ისეთ აქტუალურ მდგომარეობაში, რომ მის საფუძველზე პიროვნება ახერხებს ქცევის განხორციელებას.

სანამ ნებელობის აქტიობის მექანიზმის შესახებ ვილაპარაკებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ ამ ფსიქიკური აქტიობის თავისებურებას. როგორც ვხედავთ, ნებელობითი აქტიობის

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 171

პროცესში პიროვნება აჩერებს მისთვის მიუღებელ იმპულსურ ქცევას, რომელიც არ შეესატყვისება მის ღირებულებით ორიენტაციებს, მორალურ მოთხოვნებს. შემდეგ პიროვნება თვითონ ქმნის პირობებს ამ ქცევის შესატყვისის განწყობის აღმოცენებისათვის, რომლის საფუძველზეც შესაძლებლობა იქმნება განხორციელდეს პიროვნებისათვის მისაღები, შეწყნარებული ქცევა.

რასაკვირველია, აქვე საჭირო ხდება იმის გარკვევა, თუ როგორი ქცევა უნდა ჩაითვალოს პიროვნებისათვის მისაღებ ქცევად, ან რატომ არაა მისაღები ის იმპულსური ქცევა, რომლის განხორციელებას წინ აღუდგა პიროვნება.

უზნაძის აზრით, პიროვნებისათვის მიუღებელ ქცევად ისეთი იმპულსური ქცევა შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის მაღალ მოთხოვნილებებს. მისი აზრით, ადამიანს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, გააჩნია ვიტალური მოთხოვნილებები, მაგრამ მას აქვს მაღალი მოთხოვნილებებიც, რომლებსაც უზნაძე „მე“-ს მოთხოვნილებებს უწოდებს; ვიტალური მოთხოვნილებები სიტუაციური და მარად ცვალებადია, ის კონკრეტული სიტუაციურობით ხასიათდება; მათი დაკმაყოფილებით წყდება ცოცხალი ინდივიდის სასიცოცხლო ამოცანები. „მე“-ს მოთხოვნილებები ობიექტივაციის, იდენტიფიკაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული მოთხოვნილებებია. მათში განსაკუთრებულ ადგილი უკავიათ ინტელექტუალურ, მორალურ და ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ადამიანი როგორც მე „თავის ვიტალურ მოთხოვნილებას დღეს ისე ეპყრობა, როგორც მოთხოვნილებას, რომელიც მისი „მე“-ს მოთხოვნილებაა საზოგადოდ და ამიტომ შეიძლება მომავალშიც იჩინოს თავი... ადამიანი თავისი ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროსაც არა მომენტის იმპულსით, არამედ თავისი „მე“-ს საერთო მოთხოვნილებებით ხელმძღვანელობს“¹.

იმპულსური ქცევა, რომელიც, ჩვეულებრივ, ვიტალურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს „მე“-ს მოთხოვნილებებთან. ასეთი იმპულსური ქცევები პიროვნებისათვის მიუღებელია. მათ აღკვეთას და „მე“-ს მოთხოვნილებების შესატყვისი ქცევის განხორციელებას ახდენს ნებელობითი აქტიობა, რომელსაც პიროვნება ახორციელებს. წარსული გამოცდილების საფუძველზე ადამიანს სხვადასხვა სახის „მე“-ს მოთხოვნილებები უჩნდება. „მე“-ს ეს მოთხოვნილებები ადამიანს, უზნაძის აზრით, ფიქსირებული განწყობების სახით აქვს შენახული: „ადამიანის პიროვნებას, სხვათა შორის, განასკუთრებით ეს განწყობები ქმნიან: ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგიერთისათვის მოთხოვნილებათა ერთი სისტემა ენერ-

¹ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, გვ 171.

გვის მთავარი წყარო და ზოგიერთისათვის მეორე¹. უზნაძის აზრით, ნებისყოფის პროცესის მოსამზადებელ პერიოდში ადამიანი იმპულსური ქცევის შეწყვეტის შემდეგ ისეთ ქცევას ეძებს, „რომელიც პიროვნების ძირითად, ცხოვრებაში განმტკიცებულ განწყობას შეეფერება“². როდესაც ადამიანი ასეთ ქცევას მიაგნებს, ის ამ ქცევის შესრულებით სათვის გარკვეულ მზაობას განიცდის. მას ამ შემთხვევაში უჩნდება განცდა, რომ მას ნამდვილად უნდა ამ ქცევის შესრულება. ამ დროს ხდება გადაწყვეტილების აქტი და მისი შესრულება უკვე აღარ წარმოადგენს რაიმე სიმძნელს. ამგვარი განწყობის სუბიექტურ ფაქტორს „მე“-ს მოთხოვნილება წარმოადგენს, ხოლო ობიექტურ ფაქტორს — წარმოსახული სიტუაცია, რომელშიც უნდა შესრულდეს ნებელობითი ქცევა.

ასეთია, უზნაძის აზრით, პიროვნების მიერ შექმნილი განწყობის აღმოცენების გზა, რომელიც ნებისყოფის გამოყენებით ხორციელდება. ამ ქცევის შინაარსობლივი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის „მე“-ს მოთხოვნილებებს ემსახურება. „მე“-ს მოთხოვნილებები თვისებრივად განსხვავდება ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებებისაგან. „მე“-ს მოთხოვნილებები საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროცესში ჩამოყალიბდა. ისინი წარმოადგენენ „მე“-ს ტენდენციებს, რომ მოემსახურონ სხვა ადამიანთა მიზნებს და მისწრაფებებს, — შექმნან საზოგადოებრივი ღირებულებანი, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოდ ადამიანთა მოთხოვნილებებისა და მისწრაფებათა დაკმაყოფილება. „მე“-ს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აღმოცენებული მოქმედება სოციალური ქცევას წარმოადგენს. ის ანგარიშს უწყევს სოციალურ გარემოს, სხვა ადამიანებს, საზოგადოების მოთხოვნებს და პიროვნების, როგორც სოციალური არსების აქტიობის შედეგს წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნება, როგორც საზოგადოებრივი არსება, ხშირად თვითონ, საკუთარი ფსიქიკური ძალების გამოყენებით, რომლებიც მას სოციალური ურთიერთობის პროცესში ჩამოყალიბდა, ქმნის სავანგებო პირობებს გარკვეული მოქმედების განწყობის ფორმირებისათვის. ასეთი განწყობის ჩამოყალიბება გაპირობებული არაა არც უშუალო ვიტალური მოთხოვნილების იმპულსით და არც უშუალო სიტუაციის ზემოქმედებით. პირიქით, აღნიშნული სახის განწყობის შექმნის დროს პიროვნება ცდილობს გათავისუფლდეს ასეთი უშუალო იმპულსური ზემოქმედებისაგან. სოციალური ქცევით სათვის საჭირო განწყობის შექმნისათვის, როგორც უზნაძე გვიჩვენებს

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 172.

² იქვე.

ნებს, ადამიანი იყენებს თავის პიროვნულ, სოციალურ მოთხოვნილებებს და წარმოდგენა-აზროვნების უნარებს, რომელთა დახმარებითაც ის წარმოსახავს იმ სიტუაციას, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ასეთი სოციალური ქცევა. პიროვნება თავისი ფსიქიკური რესურსების, ინტელექტუალური და ნებელობითი პროცესების გამოყენებით ქმნის სოციალური განწყობების აღმოცენების პირობებს. ასეთ განწყობათა საფუძველზე ის სოციალურ ქცევას ახორციელებს.

სოციალური ქცევის განხორციელება პიროვნებას შეუძლია. პიროვნებას აქვს სათანადო ფსიქიკური ძალები და საშუალებანი, რათა საჭიროების მიხედვით თვითონ შექმნას, გამოიწვიოს სოციალური განწყობა და თვითონ წარმართოს სოციალური ქცევა. ყოველი სუბიექტი როდია პიროვნება, ამ სიტყვის ზუსტი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით. ადამიანს, როგორც სუბიექტს, შესაძლებელია გააზრებული და მონახული ჰქონდეს ის სოციალური ქცევა, რომელსაც ის საჭიროდ თვლის, რომ განხორციელებინა გარკვეულ ვითარებაში; მაგრამ მისი შესრულებისათვის მას შეიძლება არ ჰქონდეს საჭირო პიროვნული ძალები. ადამიანი, როგორც პიროვნება, სოციალური ცხოვრების პროცესში ყალიბდება. სოციალური ურთიერთობის პროცესში მას უყალიბდება და უვითარდება სპეციფიკური ფსიქიკური უნარები, რომლებიც მას საშუალებას აძლევს ჩაერთოს საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალურ ურთიერთობებში ჩარევა სუბიექტისათვის ნიშნავს იმ მოთხოვნების მიღებას, რასაც მას საზოგადოება უყენებს. პიროვნების ფორმირება ხდება სოციალური მოთხოვნების მიღებისა და მათთან პირადი მოთხოვნილებების შეჯერება-ინტეგრაციის პროცესში. პირადი მოთხოვნილებებისა და სოციალური მოთხოვნების ორგანიზების პროცესში ხდება სუბიექტის ნებელობითი აქტიობის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენს მათ ორგანიზაციაზე.

პიროვნების ფორმირებისა და ნებელობითი ქცევის ჩამოყალიბების პროცესში ადამიანი ხშირად მიმართავს ქცევის ისეთ სახეებს, რომლებიც იმპულსური და ნებელობითი აქტიობის შუალედურ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს. ქცევის ასეთ შუალედურ სახეებად უზნაძე შთავაზნებით და ბრძანებით გამოწვეულ აქტიობებს ასახელებს.

სხვა ადამიანის შთავაზნებით ან იძულებით გამოწვეული ქცევა ერთგვარად გარდამავალი სახის ქცევას წარმოადგენს იმპულსური მოქმედებიდან ნებელობით აქტიობამდე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანს ჩამოუყალიბდა სოციალური ღირებულებითი ორიენტაციები. მორალური შეხედულებები და ნებელობითი აქტუალობისათვის საჭირო სხვა ფსიქიკური აქტიობანი, ის შეიძლება თვითაქტიობის საფუძველზე სოციალურად ორიენტირებული განწყობის შექმნას, სოციალური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას. ამის შემდეგ

ადამიანი გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ჩართული არსება, პიროვნება ხდება; იგი, საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარდა, სოციალურ მოთხოვნებსაც ასრულებს. ამიტომ ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება განხილულ უნდა იქნეს როგორც სუბიექტის სოციალიზაციის პროცესი.

საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ნებისმიერი ქცევის ის კონცეფცია, რომელიც უზნადის მიერ იყო ჩამოყალიბებული და რომლის კონტექსტშიც ვცადეთ პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა დახასიათება, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, გარკვეულ სიძნელეებს აწყდება და მათი დაძლევისათვის შემდგომი კვლევა-ძიებაა საჭირო.

პროფ. რ. ნათაძე ნათლად ვიუთითებს ყველა იმ უპირატესობაზე, რაც ნებისყოფის განწყობისეულ თეორიას გააჩნია და ამავე დროს აღნიშნავს იმ სიძნელეებსაც, რომლებიც ამ კონცეფციის წინაშე ჩნდება¹. ამ სიძნელეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

I. განწყობის თეორიის მიხედვით, როგორც აღნიშნული იყო, ნებისმიერი მოქმედების განხორციელება ხდება ადამიანის თვითაქტივობით შექმნილი განწყობის საფუძველზე, ამ განწყობის შექმნა კი ხდება ნებისმიერი ქცევისათვის საჭირო სიტუაციის წარმოსახვისა და „მე“-ს მოთხოვნილების საფუძველზე. რადგან ამ კონცეფციაში „მე“-ს მოთხოვნილებები, განსხვავებით იმპულსურ-ვიტალური მოთხოვნილებებისაგან, არააქტუალურ მოთხოვნილებებად არის გაგებული, ამიტომ „მე“-ს მალალი მოთხოვნილებების ინტენსიობის დონე არ გამოდგება ნებისყოფის სიმტკიცის საფუძველად. ამის გამო ამ კონცეფციაში ნებელობითი ქცევის საფუძველადმდებარე განწყობის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოსახულ სიტუაციას ენიჭება. ეს გარემოება კი ნებისყოფის პროცესში ინტელექტუალურ ფაქტორთა წინ წამოწევას და აფექტური მხარის დაჩრდილვის იწვევს.

II. „მე“-ს მოთხოვნილებები ანუ ე. წ. „ზოგადი“, „მალალი“ მოთხოვნილებები, მართალია, ისეთი ბუნების მოვლენები არაა, როგორც ვიტალური მოთხოვნილებები, მაგრამ ისინი, როგორც ყოველგვარი მოთხოვნილებები, შეიცავენ ტენდენციას, რომელიც ადამიანს მათი დაკმაყოფილებისაკენ უბიძგებს. მაგალითად, როდესაც მოზრდილი მოსწავლე უკვე დამოუკიდებლად ახერხებს ბურთის თამაშის მიმზიდველი უშუალო იმპულსის უკუგდებას და გაკვეთილების მომზადებას იწყებს, რადგან ამას აუცილებელ მოვალეობად თვლის, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ეს მოვალეობის განცდა, მალალი მოთხოვნილება არავითარი აფექტური ბუნებით არ ხასიათდება. როგორც პროფ. რ. ნათაძე წერს: „ჩვენ მაინც განვიცდით მისწრაფებას

¹ რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 480—485.

შეეასრულოთ მოვალეობა, განვიცდით მოვალეობის შესრულების მოთხოვნილებას, სურვილს და დიდ კმაყოფილებას ამ მოქმედების შესრულების შემდეგ, ე. ი. მოვალეობის ზოგადი მორალური მოთხოვნილება მაინც შეიცავს სწრაფვას მისი დაკმაყოფილებისაკენ¹.

მართლაც, შეუძლებელი ჩანს „მე“-ს „მალაღი“ „ზოგადი მოთხოვნილებები“ აფექტურ-ქმედითი მომენტისაგან გაწმენდილ ისეთ მდგომარეობად ჩაითვალოს, რომელსაც სრულიად წარამებული აქვს ადამიანის ქცევაზე ზემოქმედების უნარი.

III. მაგრამ თუ მალაღ მოთხოვნილებებს ვიტალურ მოთხოვნილებათა მსგავსად აფექტური ბუნების მოვლენად მივიჩნევთ და მხოლოდ მის საფუძველზე შევეცდებით ნებისმიერი ქცევის გაგებას, მაშინ ძალიან გაგვიჭირდებოდა ნებისმიერი და იმპულსური ქცევის ურთიერთისაგან დიფერენცირება.

იმპულსური მოქმედების დონეზე ცოცხალ ინდივიდს შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნილება ჰქონდეს, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რომელი მოთხოვნილებაა უფრო ძლიერი, მოცემულ მომენტში იგი ძლევს, აბშობს სხვა მოთხოვნილებას და ინდივიდი მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევას ასრულებს, ეს დებულება სრულიად ნათლად დასტურდება მილერის ექსპერიმენტში, რომელიც სხვა საკითხების, სახელდობრ, კონფლიქტის ბუნების შესწავლისათვის იყო ჩატარებული. მიღერი ვირთხას კონფლიქტურ ექსპერიმენტულ სიტუაციაში აყენებდა, სადაც ერთი და იგივე გამლიზიანებელი—წყალი, ორი სხვადასხვა ქცევის ტენდენციას აღძრავდა². წყლის დანახვა, ერთი მხრივ, ვირთხაში წყლის დაღვევის ქცევას აღძრავდა და, მეორე მხრივ, მისგან გარიდების ქცევას, რადგან ადრე მასთან მიახლოების დროს ვირთხას მიღებული ჰქონდა შოკი დენის დარტყმის გამო. წყალზე მოთხოვნილებისა და მისგან განზიდვის იმპულსების ინტენსიობათა ვარიაციების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ძლიერი იმპულსი აბშობს სუსტს და ინდივიდი ძლიერი იმპულსის შესატყვის ქცევას ახორციელებს.

ნებისმიერი ქცევის დახასიათების დროს, თუ ნებისმიერი ქცევის მამოძრავებელ ძალად მალაღი მოთხოვნილების იმპულსს ჩავფვლით, მაშინ გამოვა, რომ ის ისევე, როგორც სხვა დაბალი მოთხოვნილებები, თავისი ინტენსიობით აბშობს სხვა მოთხოვნილებებს და ნებელობითი ქცევა არავითარ თავისებურ სპეციფიკურ აქტიობას არ წარმოადგენს. მაგრამ ნებელობითი ქცევის ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება ამ დებულების უმართებულობა. ცნობილია, რომ სპეციფიკური ნებელო-

¹ რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 484.

² Miller N Experimental study of conflict. N. Y., 1944, p. 210—215.

ბითი აქტიობის ანუ გადაწყვეტილების მიღების გარეშე, მხოლოდ მაღალი მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის გაცნობიერება-წარმოსახვის საფუძველზე შეუძლებელი ხდება ნებელობითი ქცევის განხორციელება.

ნებელობითი საკითხების სპეციალური ანალიზის საფუძველზე პროფ. შ. ჩხარტიშვილმა სცადა დაეძლია ის სიძნელები, რომლებიც ნებელობის განწყობისეული თეორიის წინაშე ჩნდება¹. მისი აზრით, იმპულსური ქცევის ენერგეტიკული საფუძველი მოთხოვნილების იმპულსში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ნებისმიერი ქცევის გაგება მოთხოვნილების საფუძველზე შეუძლებელი ხდება. „მაღალი“, „ზოგადი“ მოთხოვნილებების ცნების ანალიზის საფუძველზე იგი ამტკიცებს, რომ ზოგადი მოთხოვნილებები სხვა არაფერია, თუ არა აზრი, იდეა მაღალი ღირსებების შესახებ, ხოლო ღირებულებათა იდეის საფუძველზე, მისი შეხედულებით, შეუძლებელია ნებისმიერი ქცევის გაგება. პროფ. შ. ჩხარტიშვილი ნებისმიერი ქცევის საფუძველად ნებისყოფას თვლის. ნებისყოფა, მისი აზრით, ნებელობითი ქცევის დისპოზიციას წარმოადგენს, რომელიც ადამიანს სოციალური ცხოვრების პროცესში უყალიბდება და საფუძველად ედება ნებისყოფის პროცესს. ამ შეხედულების თანახმად, იმპულსური ქცევისაგან განსხვავებით, ნებისმიერ ქცევას სხვა, მისგან დამოუკიდებელი საფუძველი გააჩნია, მის საფუძველს ნებისყოფა წარმოადგენს.

პროფ. ჩხარტიშვილის აზრით, ნებისყოფა თვისებრივად განსხვავდება არა მარტო აფექტური ბუნების იმპულსური ქცევითი აქტიობისაგან, არამედ შემეცნებითი ფსიქიკური აქტიობისგანაც. მას თავი-თავად დამოუკიდებელი გენეტიკური ფესვი აქვს და ბისი ახსნა პირველადი მთლიანობის დიფერენციაციის საფუძველზე არ შეიძლება.

ამგვარი დაშვების საფუძველზე, მართლაც, შესაძლებელი ხდება მრავალი სიძნელის დაძლევა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ამგვარი დაშვების გამო განწყობის თეორია შეიძლება უფრო სერიოზული სიძნელებების წინაშე აღმოჩნდეს. ამ თვალსაზრისის გაზიარებით ჩვენ იძულებული ვიქნებოდით მიგვეღო დებულება, რომ ნებისყოფა მოთხოვნილებისა და სიტუაციის მსგავსად განწყობისაგან დამოუკიდებლად, მის გარეთ არსებობს და თვითონ წარმოადგენს პირობას განწყობის შექმნისათვის. მართალია, ჩვენ ვიცით მრავალი ფსიქიკური პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს განწყობაზე, მაგრამ ეს ფსიქიკური პროცესები თვითონ გარკვეული განწყობის საფუძველზეა აღმოცენებული. მაგალითად, პროფ. რ. ნათაძის ექსპერიმენტული გამოკვლევებით ცნობილია,

¹ შ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1956, გვ. 283—311.

რომ წარმოსახვის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული განწყობის ფიქსაცია, მაგრამ, ცხადია, ეს წარმოსახული ობიექტები გარკვეულ განწყობის საფუძველზეა აღმოცენებული და მრავალჯნისი აქტივაციის გამო ხდება ცნობიერების უკუზეგავლენა მის საფუძველად მდებარე განწყობაზე. მაგრამ ძნელია იგივე ითქვას ნებისყოფის იმ დისპოზიციის შესახებ, რომელიც, პროფ. შ. ჩხარტიშვილის შეხედულებით, წარმოადგენს ნებისმიერი ქცევის საფუძველად მდებარე განწყობის შექმნის ერთ-ერთ პირობას, ფაქტორს. ამ გაგებით. ნებისყოფა არ მომდინარეობს განწყობიდან, ის განწყობის არავითარ გავლენას არ განიცდის. განწყობა მის მიმართ მეორად ფაქტს წარმოადგენს და ჰას, პროფ. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ნებისყოფაზე ზემოქმედების არავითარი საშუალება არ გააჩნია.

უზნადის განწყობის ზოგადი თეორიის მიხედვით ნებელობითი ფსიქიკური აქტიობა, ისევე როგორც ყოველგვარი ფსიქიკური აქტიობა, განწყობის მოქმედების საფუძველზე უნდა იქნეს გაგებულ. ნებელობის თავისებურება, ჩვენი აზრით, ადამიანის მთლიანი პიროვნული სტრუქტურის შემდგომი დიფერენციაციის საფუძველზე ხდება. რომელიც არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი და დაშლილი.

პროფ. შ. ჩხარტიშვილის შეხედულებათა გავლენით, ამ საკითხის მეტად საინტერესო გადაწყვეტის ცდას იძლევა რ. ქვარცხავა¹. იგი შეგნების ცნების შემოტანით ცდილობს ნებისყოფის საკითხების გადაწყვეტას. მისი აზრით, შეგნება არის ღირებულებათა მორალურ და საზოგადოებრივ შეხედულებათა სუბიექტური სისტემა — სკალა, რომელიც ადამიანს დალაგებული აქვს ღირებულების ინტენსიობის მიხედვით. ამ სკალის სუბიექტურობა ძირითადად ღირებულებათა დალაგების წესში მდგომარეობს. ყოველ საზოგადოებაში, მართალია, არსებობს ასე თუ ისე შეთანხმებული ძირითადი წესები, რომლებითაც ხდება ღირებულებათა შეფასება, მაგრამ თითოეულ ადამიანს აქვს თავისი თვალსაზრისი, რომლის გამოც ადამიანთა შეგნება სტანდარტულს არაა. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, პიროვნება ყოველ მოვლენას ამ სისტემის თვალსაზრისით უდგება და აფასებს. ამ სისტემაში ვატარების შემდეგ გადაიქცევა სინამდვილის საგნები და მოვლენები პიროვნების ქცევის აღმძვრელ სტიმულებად.

პიროვნების აქტიობის დონეზე ადამიანის ქცევას იზოლირებულ მოთხოვნილებათა სტიმულები არ განსაზღვრავენ. ქცევის განსაზღვრელი აფექტური სტიმულების ძალა, რომელიც პიროვნებას ყოველ ცალკეულ სიტუაციაში უჩნდება, განსაზღვრულია ღირებულების იმ

¹ Кварцхавა Р., К проблеме выдержки в психологии, Автореферат кандидатской диссертации, 1968.

რანგით, რომელიც მას პიროვნების ღირებულებათა სისტემაში, შეგნებაში უკავია. ნებისყოფის მქონე სოციალური პიროვნება ახერხებს თავი დააღწიოს უშუალო იზოლირებული სტიმულების მოქმედებას და ეს სტიმულები ღირებულებათა სისტემაში ჩასვას. ქცევის სტიმულების ოპერციანალური ძალა, პიროვნების აქტიობის დონეზე, ღირებულების იმ რანგით არის განსაზღვრული, რომელსაც ესა თუ ის სტიმული იკავებს პიროვნების ღირებულებათა სისტემაში. ნებელობითი ქცევა არის შეგნების მთლიანი სისტემის მქონე პიროვნების რეაქცია, პასუხი გარემოზე, რომელშიც ის იმყოფება.

უზნაძის განწყობის თეორიის თვალსაზრისით, შეგნების ცნების შემდგომი დამუშავების საფუძველზე, როგორც ამას რ. ქვარცხავა გვპირდება, მართლაც შესაძლებელი ჩანს ნებისყოფის კანონზომიერებათა შემდგომი ექსპერიმენტული შესწავლა. შეგნების როგორც სპეციფიკურად აგებული ფსიქოლოგიური სისტემის საფუძველზე, რომელიც როგორც შემეცნებითი, ისე აფექტური ბუნებით ხასიათდება, შეიძლება შესწავლილ იქნეს პიროვნების ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებანი, თუმცა ამ თვალსაზრისის მართებულობის საბოლოო დადასტურებისათვის ჯერ კიდევ დიდი ექსპერიმენტული მუშაობაა საჭირო. ეს თვალსაზრისი არსებითად უზნაძისეული ნებისყოფის განწყობისეული თეორიის ძირითად დებულებებს ეყრდნობა. ამავე დროს იგი შესაძლებლობას იძლევა დაძლეულ იქნეს რიგი სიძნელეები, რომლებიც, როგორც შ. ჩხარტიშვილი გვიჩვენებს, ნებისყოფის განწყობის თეორიის წინაშე დგება¹.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ნებელობითი აქტიობის ძირითადი დებულების გაგების საკითხები განწყობის ფსიქოლოგიაში, ერთი რამ მაინც ნათლად ჩანს: ადამიანის მიერ სოციალური ქცევის განხორციელება, ქცევისა, რომელშიც საკუთარს გარდა სხვისი მოთხოვნალებებიც არის გათვალისწინებული, იმპულსური ქცევიდან ამაღლებას მოითხოვს. სოციალური ქცევა სხვა ადამიანების გათვალისწინების მათი მოთხოვნალებებისა და მოთხოვნების მხედველობაში მიღებით ფორმირდება. ამიტომ სოციალური ქცევის ბუნების გაგებისათვის საჭირო ხდება ადამიანთა ურთიერთზემოქმედების თავისებურებათა გარკვევა. სოციალური ქცევის განმსაზღვრელი განწყობა, რომელიც მის ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, სოციალური განწყობაა, რადგან მის ფორმირებაში, განწყობის სხვა ფაქტორების გარდა, მონაწილეობენ სოციალური ფაქტორებიც. სოციალური განწყობა პი-

¹ ამ საკითხების შემდგომი განხილვა მოცემულ კონტექსტში მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან ის წმინდა ზოგადფსიქოლოგიურ საკითხს წარმოადგენს. ჩვენ მას ცალკე სპეციალურად შევხებით.

როვნების ფსიქიკური აქტიობის მესამე დონეზე იქმნება და მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა პიროვნებას საშუალებას აძლევს სოციალურ გარემოში ისე იმოქმედოს, როგორც სოციალური ურთიერთობების წევრმა.

4. 2. 1. პიროვნების ფსიქიკური აქტიობის სტრუქტურა

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი იმპულსური ქცევის შეწყვეტას მხოლოდ მაშინ არ ახდენს, როდესაც მისი მოქმედება მიზანშეუწონელი ხდება და კონფლიქტში მოდის საგნობრივ სინამდვილესთან. ადამიანი მაშინაც ახდენს თავისი იმპულსური აქტიობის შეჩერებას, როდესაც მისი ქცევა კონფლიქტში მოდის მისივე საკუთარ შებღულეებთან, ფიქსირებულ ატიტუდებსა და ღირებულებით ორიენტაციებთან, ე. ო. საკუთარ პიროვნულ სინამდვილესთან.

ადამიანი სოციალურ ურთიერთმოქმედებათა სისტემაში ცხოვრობს. საზოგადოება ადამიანთა გარკვეული კლასების, ინსტიტუტების, ჯგუფების და სხვა სოციალური ორგანიზაციებისაგან შედგება. ამ სოციალურ ურთიერთქმედებათა სისტემაში ყოველი ადამიანი გარკვეულ სოციალურ როლს (როლების გარკვეული სისტემა) ასრულებს. ამიტომ მასთან ურთიერთობაში მყოფ სხვა ადამიანებს მის მიმართ გარკვეული სოციალური მოლოდინები უმუშავდებათ, მათ გარკვეული ქცევათა სისტემა მოეთხოვებათ. როგორც ცნობილია, არსებობს შესატყვისი მოლოდინები ისეთი როლის შემსრულებლების მიმართ, როგორებიცაა დედის, მამის, თანამშრომლის, ღირეპქორის, ჯარისკაცის და სხვ. როლის შემსრულებელი ადამიანი თავისი სოციალური აქტიობის პროცესში ითვალისწინებს მის მიმართ არსებულ მოლოდინებს. მას ასევე უმუშავდება სხვა ადამიანთა მიმართ გარკვეული სოციალური მოლოდინები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის სოციალურ ქცევაზე.

პიროვნების, როგორც სოციალური არსების ქცევაზე გავლენას ახდენს არა მარტო ისეთი განწყობის იმპულსები, რომლებიც მის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან, არამედ ისეთი განწყობებიც, რომლებიც სოციალური წარმოშობისანი არიან. სოციალური ურთიერთქმედების პროცესში ადამიანი იწყებს სოციალურად მისაღები ქცევის სისტემის შესრულებას, რაც არსებითად ადამიანის სოციალიზაციის პროცესია. სოციალიზებული პიროვნება ასრულებს ქცევათა მთელ რიგს, რომლებიც, ბიოლოგიურ ღირებულებების გარდა, სოციალურ ღირებულებებს ემსახურებიან. სწორედ ამ პროცესში უყალიბდება ადამიანს სოციალურ და მორალურ-ესთეტიკურ ღირებულებათა სისტემები და მათზე მოთხოვნილებები, რომლებიც

ბიჯ, თავის მხრივ, არსებით გავლენას ახდენენ პიროვნების ფსიქიკურ აქტიობაზე.

პიროვნების მიერ განხორციელებული სოციალური ქცევა უფრო რთული სტრუქტურული ბუნებით ხასიათდება, ვიდრე პრაქტიკული ან თეორიული ქცევა. სოციალური ქცევის განხორციელებისათვის საჭირო სოციალური განწყობის ფორმირება მეორე დონის ფსიქიკური აქტიობის გარდა, ისეთ დამატებით ფაქტორებს საჭიროებს, რომლებიც მხოლოდ სოციალური პირობების დონეზე ჩნდებიან. სოციალური განწყობა, რომელიც ადამიანის სოციალურ ქცევას ედგმა საფუძვლად, მხოლოდ ღირებულებისადმი ორიენტირებულ პიროვნებას ექმნება. ფსიქიკური აქტიობის მესამე დონის პიროვნების სოციალური ქცევის სქემა ქვემოთაა წარმოდგენილი. ამ სქემაში, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულია ის, რომ სოციალური განწყობის ფორმირებისათვის საკმარისი არაა ცოდნა სოციალური ღირებულებითი სისტემების შესახებ, რომელიც შესაძლებელია სუბიექტს ჰქონდეს და აყენებდეს კიდევ სოციალური ქცევების საკითხის თეორიული განსჯის დროს. როგორც სამართლიანად მიუთითებდა უზნაძე, ამისათვის საჭიროა პიროვნებას ჰქონდეს ორიენტაცია ამ ღირებულებათა მიმართ. ფსიქიკური აქტიობის მესამე დონის სოციალურად მისაღები, სასურველი ქცევის წარმოსახვა საკმარისი არაა სოციალური განწყობისა და, მიშასადაძე, სოციალური ქცევის რეალიზაციისათვის. ამისათვის საჭირო ხდება სოციალური ღირებულებებისადმი მისწრაფებებიც, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სოციალური განწყობის ფორმირება. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ეს სქემა რამდენადმე სრული არ იქნება, თუ ჩვენ მას იმ კონფლიქტური სიტუაციის დასახასიათებლად გამოვიყენებდით. რომელშიც ხშირად ხდება ადამიანი, როდესაც ის ცდილობს იმპულსური ქცევის განწყობისაგან თავის დაღწევას და სოციალური აქტიობის განხორციელებას. ამ დროს საჭირო ხდება იმ აქტიობის ჩვენებაც, რომელსაც პიროვნება არარეალიზებული განწყობის იმპულსის წინააღმდეგ ახორციელებს. არარეალიზებული პრაქტიკული განწყობის იმპულსი, მთელი ამ აქტიობის დროს, სოციალური განწყობის შექმნისა და მისი რეალიზაციის წინააღმდეგ არაა მიმართული. ამიტომ ასეთ კონფლიქტურ ვითარებაში ნებელობითი სოციალური ქცევის განხორციელება გაძნელებულია. ნებელობითი პროცესი, რომელიც ხშირად სოციალური ქცევის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პიროვნებისათვის, უსიამოვნო, მძიმე საქმიანობად განიცდება. ასეთ ვითარებაში, პიროვნების მიერ საკუთარი ფსიქიკური ბიოლოგიური მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი საგნები გრძნობად-კონკრეტული მოცემულობისაა, თეორიული მოთხოვნის დამაკმაყოფილებელი საგნების ზოგადი ობიექტების სახით არ-

სებობს და შემეცნების ობიექტს წარმოადგენს; ღირებულებისადმი ორიენტირებული, სოციალურ ურთიერთმოქმედებაში აღმოცენებულ მოთხოვნალებების ობიექტები სინამდვილეში რეალიზებული იდეალური ობიექტების სახით არსებობენ, რომელთა წვდომაც სოციალურ-ინტელექტუალური ძალისხმევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პირველი დონის ფსიქიკური აქტიობა სინამდვილის კონკრეტულ-გრძნობადად მოცემული საგნების კავშირში რეალიზდება. მეორე დონის ფსიქიკური აქტიობა სინამდვილის ზოგად ობიექტთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, აზროვნების ფსიქიკური პროცესები სინამდვილის ზოგადი, მიმართებითი მომენტების შემეცნებისადმია ორიენტირებული, ხოლო მესამე დონის ნებელობით-სოციალური აქტიობა, რომელიც ესთეტიკური, მორალური და სოციალური ღირებულების შექმნისადმია ორიენტირებული, იდეალურ-ღირებულებით ობიექტს უკავშირდება, რაც პიროვნება — საზოგადოების მიმართების სფეროშია რეალიზებული.

ადამიანის ფსიქიკური აქტიობის დონეთა დიფერენცირებული განხილვის შემდეგ საგანგებოდ გვინდა ხაზის გასმა იმ გარემოებისათვის, რომ ფსიქიკური აქტიობის ეს დონეები ურთიერთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ადამიანი, თავისი აქტიობის ამა თუ იმ მომენტში, საჭიროების მიხედვით, ფსიქიკური აქტიობის შესატყვის დონეზე მოქმედებს. თავისი აქტუალური ამოცანების თავისებურებათა და სირთულის მიხედვით, ადამიანი ქცევაში რთავს ფსიქიკური აქტიობის სულ უფრო რთულ და მძლავრ საშუალებებს. ადამიანის ცხოვრებაში ამ დონეების ხვედრითი წონის მიხედვით შესაძლებელი ხდება ლაპარაკი მისი უნიკალური პიროვნული თავისებურების შესახებ.

5. ადამიანთა ურთიერთქმედება

სოციალური გარემო, რომელიც ადამიანის სოციალურ-ფსიქიკურ აქტიობას განსაზღვრავს, ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში იქმნება. ადამიანის ქცევა სოციალური ხდება ადამიანების სოციალური ურთიერთობის ზემოქმედების გამო. ადამიანების სოციალური ურთიერთქმედება რთული სტრუქტურით ხასიათდება.

სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები, სადაც შესწავლილია ადამიანთა ურთიერთქმედების კანონზომიერებანი, პირობითად შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად გაიყოს. შრომების ერთ ჯგუფში განხილულია ის კანონზომიერებანი, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაში მეორე პიროვნების გავლენის საფუძველზე ყალიბდება; გამოკვლევათა მეორე ნაწილი შეისწავლის ადამიანის ფსიქიკურ კანონზომიერებებს, რომლის მოქმედება ადამიანთა ჯგუფში, სოციალურ სისტემაში ყალიბდება და რეალიზდება. ადამიანთა ეს სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთქმედება სხვადასხვა ფორმებით ვლინდება. ურთიერთქმედებათა ამ ფორმების დახასიათებით შესაძლებელი ხდება პიროვნების ფსიქიკურ თავისებურებათა გაგება.

ადამიანთა ურთიერთზე მოქმედების შედეგად აღძრული ფსიქიკური პროცესები შესაძლებელია დალაგდეს იერარქიულად, ურთიერთგავლენის უმარტივესი ფორმებიდან ურთულესამდე, რომლებშიც ურთიერთგავლენა რთულდება და ძლიერდება. მაგრამ ყველა ეს ფორმა შესაძლებელია გაიყოს გავლენის თვისებრივად განსხვავებულ ორ კლასად. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს სოციალური გავლენისა და სოციალური ურთიერთქმედების შემთხვევები.

~~უქსპერიმენტული გამოკვლევების~~ საფუძველზე დადგინდა, რომ ადამიანისათვის, როგორც ინდივიდისათვის, ქცევის სიტუაციაში არსებული სხვა ადამიანი უბრალო ფიზიკურ გამლზიანებელს არ წარმოადგენს. ინდივიდის ფსიქიკურ აქტიობაზე იგი სპეციფიკურ გავლენას ახდენს. ასეთი გავლენა ხშირად ცალმხრივ ხასიათს ატარებს და თვისებრივად განსხვავდება ადამიანთა იმ ორმხრივ სოციალურ ურთიერთგავლენისაგან, რაც სოციალურ ფსიქოლოგიაში ურთიერთქმედების ტერმინით აღინიშნება. ცალმხრივი სოციალური გავლენები უფ-

რო სტატისტიკური ერთმნიშვნელოვანი ეფექტებით ხასიათდება, მაშინ როდესაც სოციალური ურთიერთგავლენები უფრო დინამიკურ და სისტემატურ ხასიათს ატარებს. სოციალური ურთიერთქმედების ამა თუ იმ ფორმის რეალიზების დროს, გავლენა, რომელსაც A ადამიანი B ადამიანისაგან განიცდის, არსებითად იმაზეცაა დამოკიდებული. თუ რა გავლენას ახდენს თვითონ A პიროვნება B-ზე; ადამიანის სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობა სოციალური ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება და ვლინდება. ამიტომ ჩვენ თავდაპირველად განვიხილავთ იმ გამოკვლევებს, რომლებშიც ადამიანის ცალმხრივი სოციალური გავლენებია შესწავლილი. ცალმხრივი სოციალური გავლენების კანონზომიერებათა განხილვის შემდეგ ჩვენ შევვებით ადამიანთა აქტიობის სპეციფიკურ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, რომლებიც მათი სოციალური ურთიერთქმედების პროცესში ყალიბდება და რეალიზდება.

5. 1. ცალმხრივი სოციალური გავლენების ფორმები და მათი ფსიქოლოგიური გუნება

ჩვენ მიერ გადმოცემული იქნება იმ გამოკვლევების შედეგები, რომლებშიც შესწავლილია ადამიანთა ურთიერთქმედება მისი უმარტივესი ფორმიდან ურთულესამდე, ცალკეულ ადამიანთა ურთიერთქმედებიდან სოციალურ ჯგუფში შემავალ პიროვნებათა ურთიერთქმედებამდე.

მინიმალური დონის ურთიერთქმედება ადამიანთა შორის მაშინ გვაქვს, როდესაც ერთი ადამიანი უბრალოდ არსებობს მეორის ქცევის სიტუაციაში, როგორც პასიური დამკვირვებელი. ადამიანთა ურთიერთქმედება უფრო აქტიურ ხასიათს იღებს მაშინ, როდესაც ისინი ორივენი თანასაქმიანობენ. ურთიერთქმედების გაძლიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ეჭიბრებიან ან ებრძვიან ერთმანეთს და სხვა. არსებობს ექსპერიმენტული გამოკვლევების მთელი რიგი, რომლებიც მიუთითებენ ადამიანთა ურთიერთქმედების საფუძველზე აღმოცენებული ქცევის თავისებურებებზე.

5. 1. 1. ადამიანთა თანასაქმიანობა და თანამშრომლობა გავლენა მათ შვიკაზე

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ადამიანის ქცევის სიტუაციაში სხვისი არსებობის ფაქტი გარკვეულ გავლენას ახდენს მის ქცევაზე.

როგორც აღვნიშნეთ, მოიმაზმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში

ყისში შეამჩნია, რომ სხვა ადამიანის დისწრების შემთხვევაში ცდისპირის მუშაობის ეფექტურობა მკვეთრად იცვლება.

მოიმაინი ერგოგრაფის საშუალებით სწავლობდა თითის კუნთების მუშაობას. ამ ცდაში ცდისპირებს იდაყვი უმაგრდებათ ერგოგრაფის საყრდენ ფიცარზე, რომელიც მაგიდაზე დევს. მათ თითზე წამოცმული აქვთ მარყუქი, რომელზეც გამობმულია გარკვეული სიძიმის ტვირთი. იგი თავისუფლად ჰკიდია და შესაძლებელია თითის მოძრაობით მისი როგორც მაღლა აწევა, ისე დაბლა დაშვება. ამ მოძრაობის დროს ტვირთი იატაკს ვერ სწვდება, ამიტომ მთელი ცდის მანძილზე ცდისპირს ჰკიდია თითზე. ერგოგრაფს აქვს ჩამწერი ხელსაწყო, რომელიც იწერს თითის მოძრაობის ამპლიტუდას. ამ ჩანაწერის საშუალებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა ინტენსიობით მუშაობდნენ თითის კუნთები ყოველ ცალკეულ მომენტში. ცდისპირს ევალება მეტრონომის კაკუნს აყოლოს თითის მოძრაობა, ტვირთი ასწიოს და დასწიოს რაც შეიძლება დიდი ამპლიტუდით, რამდენ ხანსაც შეუძლია.

მოიმაინმა ერთ-ერთ თავის სტუდენტს დაავალა ამ ცდების ჩატარება. ეს სტუდენტი მათ თავისთავზე ატარებდა. ცდების შედეგების განხილვისას მოიმაინმა შეამჩნია, რომ ცდისპირის თითის კუნთების მუშაობის მონაცემები დაახლოებით თანაბარი იყო, მაგრამ სადამო-ობით ეს მონაცემები მკვეთრად იზრდებოდა. მოიმაინმა დაადგინა, რომ კუნთური მუშაობის ეფექტის მკვეთრი გაზრდა ლაბორატორიაში მისი მიხედვით დროს ხდებოდა. მისი მისვლის შემდეგ ცდისპირი უფრო ენერგიულად, დიდი ინტენსიობით იწყებდა ტვირთის აწევას, რის შედეგადაც ირღვევოდა დაღლილობის მრუდის ჩვეულებრივი მაჩვენებელი.

ამ ფაქტის აღმოჩენის შემდეგ მოიმაინმა ჩაატარა მრავალი ექსპერიმენტი, რომელთა საფუძველზეც მან დაადგინა, რომ ცდისპირები სხვათა დისწრების შემთხვევაში უფრო ენერგიულად მუშაობენ, ვიდრე მარტო, და დაღლილობის უარყოფითი გავლენა მათ მუშაობაზე ამ შემთხვევაში საგრძობლად მცირდება.

იმდროისათვის ცნელი იყო ამ ფაქტისათვის რაიმე სერიოზული მნიშვნელობის მინიჭება, რადგან ძალიან ჩვეულებრივი ფაქტია ის, რომ სხვისი თანდასწრებით ადამიანები ცდილობენ თავისი კუნთური მუშაობის მეტი მაჩვენებლები მოგვცენ. მაგრამ უფრო გვიან ადამიანის აქტიობის სხვა სფეროებშიც დადგინდა ანალოგიური ფაქტები. ასეთი მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ადამიანის სოციალური ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კანონზომიერების აღმოჩენა.

¹ Zajonc R. Social Psychology. An Experimental Approach. Belmont, California, 1980, P. 10.

ტრავისის მიერ ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე ნაჩვენებები იქნა, რომ სხვა ადამიანის დასწრების შემთხვევაში ადამიანის ასეთი აქტიობა, რომელიც თვალისა და ხელის კოორდინაციას მოითხოვს, მნიშვნელოვნად იცვლება.

ტრავისის ცდისპირებს ევალუბათ მოძრავი სამიზნეს მქონე აპარატზე მუშაობა¹. ამ აპარატზე წრიულად მოძრავი სამიზნე ობიექტისათვის ცდისპირებს უნდა მიედევნებინათ რკინის ჯოხი ისე, რომ ეს ჯოხი ყოველთვის გარკვეულ მანძილზე ყოფილიყო მისგან. მისადევნებელი ჯოხი შეერთებული იყო გარკვეულ აპარატთან და ამ ამოცანის დარღვევის ყოველი შემთხვევის რეგისტრირებას ახდენდა. როდესაც ცდისპირი ჯოხს უშეცდომოდ გააყოლებდა, სამიზნე ობიექტის ერთი წრის შემოვლის დროს ის იღებდა 10 ქულას. ცდისპირის მიერ შესრულებული მოქმედების შეფასება ქულების შეჯამების გზით ხდებოდა, რასაც თვითონ აპარატი აწარმოებდა. ცდის თითოეულ სერიაში სამიზნე ობიექტი 20-ჯერ შემობრუნდებოდა. დისკი, რომელზეც სამიზნე იყო დამაგრებული, ბრუნავდა 60-ჯერ წუთში. თითოეულ შემობრუნებას ერთი წამი სჭირდებოდა, ამიტომ ცდის თითო სერია 20 წამს გრძელდებოდა. ყოველ ცდისპირს დღეში უტარდებოდა ცდის 20 სერია.

პირველი დღეების განმავლობაში ცდისპირები დღეში ცდის 20-ვე სერიაში დაახლოებით 150 ქულას იღებდნენ. შემდეგ იწყებოდა სწრაფი დაოსტატება, რასაც თან სდევდა გაკარჯიშების ტემპის შენელება და შედეგების სტაბილიზაცია. შედეგების სტაბილიზაციის შემდეგ ხდებოდა ცდისპირის ოსტატობის გაზომვა. ამ შემთხვევაში ცდისპირებს ევალუბოდათ რაც შეიძლება კარგი შედეგების მიღება. მიღებული ქულების მიხედვით იზომებოდა მათი დაოსტატების დონე.

ამის შემდეგ ცდისპირებს ეუბნებოდნენ, რომ გარკვეული ადამიანები დაინტერესებული არიან მათი მუშაობით და უნდათ დაესწრონ მათ მუშაობას. ასეთ ცდას ოთხიდან რვა კაცამდე ესწრებოდა. დამსწრეები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ცდისპირების მუშაობას, მაგრამ არ გამოხატავდნენ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას ცდისპირების მოქმედების მიმართ. ისინი იყვნენ ყურადღებიანი, მაგრამ ნეიტრალური დამკვირვებელი. ამგვარ ვითარებაში ყოველ ცდისპირს ჩაუტარდა ათი ცდა.

ექსპერიმენტული შედეგების დამუშავების დროს ერთმანეთს შეუდარდა ცდისპირების მიერ „მარტო“ და „აუდიენციის“ პირობებში შესრულებული მოქმედების შედეგები. ტრავისმა ურთიერთს შეადარა ცდისპირების მიერ ერთიმეორის მიყოლებით შესრულებული ათი სე-

¹ Travis L. E. The effect of a small audience upon eye-hand coordination. *Y. abnorm. Soc. Psychol.* 1926, 20, p. 547-558.

რის ცდის შედეგები, რომლებიც მოპოვებულ იქნა „მარტო“ მუშაობისა და სხვების დასწრების დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრავისის მიერ „მარტო“ მუშაობის შედეგების მაჩვენებლად აღებული იყო ყველაზე კარგ მაჩვენებლიანი ათი თანმიმდევარი ცდის შედეგები, რომლებიც ნაჩვენები ჰქონდათ ცდისპირებს მარტო მუშაობის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების მიერ „მარტო“ მუშაობის დროს მიღებული ყველაზე კარგი ათი თანმიყოლებული ცდის შედეგების საშუალო უდრიდა 172,26 ქულას, მაშინ როდესაც „აუდიენციის“ შემთხვევაში ჩატარებული ათივე ცდის შედეგების საშუალო 177,42 ქულას შეადგენდა.

გარდა ამისა, ტრავისმა გამოთვალა ყოველი ცდისპირის მიერ „მარტო“ და „სხვათა თანდასწრებით“ ნაჩვენები საუკეთესო მონაცემების საშუალო. აღმოჩნდა, რომ ყველა ცდისპირის თითო საუკეთესო მაჩვენებლის საშუალო, როდესაც ის „მარტო“ მუშაობდა, 184,68 ქულას უდრიდა, ხოლო „სხვათა თანდასწრებით“ მოქმედების დროს მიღებულ საუკეთესო მაჩვენებელთა საშუალო 188,68 ქულას შეადგენდა.

როგორც ვხედავთ, ამ მონაცემების მიხედვითაც ადამიანის აქტიობა, რომელიც კუნთური ძალისხმევისაგან განსხვავებით კოორდინაციასა და სიზუსტეს მოითხოვს, უკეთესი ეფექტურობით ხასიათდება მაშინ, როდესაც სხვისი თანდასწრებით სრულდება. იმავე მოქმედებას, როდესაც იგი მარტო ყოფნის დროს ხორციელდება, ნაკლები ეფექტურობა გააჩნია.

აღნიშნული კანონზომიერება შემდგომში ხშირად იყო დადასტურებული. ბერგუმის და ლეჰრის გამოკვლევაშიც დადასტურებული იყო თანაარსებობის იგივე ეფექტი, დამკვირვებელი ადამიანის გავლენის ფაქტი ადამიანის მოქმედებაზე. მართალია, ბერგუმი და ლეჰრი ასეთ ეფექტს ძირითადად დამსწრე ადამიანის ავტორიტეტს უკავშირებენ, მაგრამ მალე დავრწმუნდებით, რომ ასეთი ეფექტური ძირითადად მაინც სხვა ადამიანის დასწრებით არის განსაზღვრული.

ბერგუმი და ლეჰრი¹ თავის ცდისპირებს ოპერატორებად სვამდნენ დაფის წინ, რომელზეც წრიულად განლაგებული იყო ოცი წითელი ნათურა. ეს ნათურები ინთებოდნენ თანმიმდევრობით. ნათურების ანთება-ჩაქრობის თანმიმდევრობის საშუალებით იქმნებოდა შთაბეჭდილება სინათლის წრიული ბრუნვისა. ოცივე ნათურას სინათლე 5 წამის განმავლობაში შემოუბრუნდა, ესე. აგი. წუთში 12-ჯერ. მაგრამ წინასწარი პროგრამის მიხედვით, ერთსაათიანი მუშაობის დროს ამ ხელსაწყოში 24-ჯერ ირღვევოდა მუშაობის რეჟიმი. სინათლეები ზოგჯერ

¹ Bergum B. O. Lehr D. J. Effects of authoritarianism on vigilant performance. J. Appl. Psychol., 1968, 47, p. 76-77.

თანმიმდევრობით არ ინთებოდა. ამ დროს, ინსტრუქციის თანახმად, ცდისპირებს თითო უნდა დაეჭირათ მათ წინ არსებულ ღილაკზე, რომელიც აღმოფხვრიდა ამ დეფექტს და ხელსაწყო განაგრძობდა მუშაობას.

ცდისპირი ამ ამოცანას პატარა ჯიხურში ასრულებდა, სადაც მარტო იჯდა. ცდა იწყებოდა 20-წუთიანი წვრთნით, რომლის დროსაც ცდისპირები ეჩვეოდნენ ხელსაწყოზე მუშაობას. 10-წუთიანი შესვენების შემდეგ იწყებოდა ძირითადი ცდა, რომელიც 2 საათსა და 15 წუთს გრძელდებოდა. ცდები ჩატარებული იყო წვევამდებზე, რომლებიც ასეთ მძიმე ექსპერიმენტულ დავალებას დასაშვებ, ბუნებრივ ამოცანად იღებდნენ.


ცდებში გამოყენებული იყო ცდისპირების ორი ჯგუფი, თითოეულში 20 კაცი. ერთი ჯგუფის ცდისპირებს ევალებოდათ ამ ამოცანის მარტო შესრულება. ცდისპირები ვალდებული იყვნენ ყურადღებით ემუშავათ და რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაეშვათ, არ გამოჰპარვოდათ ხელსაწყოს გასწორება მისი მუშაობის გრაფიკის დარღვევის დროს. ცდისპირებმა იცოდნენ, რომ შეცდომების აღრიცხვა ზღვირად ავტომატურად.

მეორე ჯგუფის ცდისპირებს ეუბნებოდნენ, რომ ამ მუშაობის პროცესში უფროსი მათ რამდენჯერმე დაესწრებოდა მუშაობაზე თვალყურის სადევნებლად. ამ ცდისპირების მუშაობას მართლაც ესწრებოდა დამკვირვებელი, რომელიც არ ერეოდა მის მუშაობაში. ამ ცდისპირებსაც ევალებოდათ სინათლის არათანმიმდევრულად ანთების შემთხვევაში თითო დაეჭირათ ღილაკისათვის. ამ ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევებში ცდისპირებმა იცოდნენ, რომ მათი შეცდომები აღირიცხებოდა ავტომატურად.

აღნიშნული ცდის შედეგები შედარებულ იქნა ერთმანეთთან. ბერგუმმა და ლეჰრმა 2 საათი და 15 წუთიანი ცდის დრო დაყვეს 27-წუთიან 5 ინტერვალად. მათ გამოიანგარიშეს, იმ შეცდომების საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც ცდისპირებმა დაუშვეს თითოეულ ინტერვალში. მარტო და სხვისი თანდასწრებით მომუშავე ცდისპირების შესატყვის ინტერვალებში მიღებული შედეგების შედარება შესაძლებლობას იძლევა გაირკვეს დამსწრის გაელენა ადამიანის აქტიობაზე.

ამ გრაფიკში მოცემულია ექსპერიმენტის შედეგები, რომლებიც უჩვენებენ, რომ უფროსების დასწრება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ცდისპირების შრომის ნაყოფიერებას. დადლილობის გამო, როგორც ვხედავთ, ორივე ჯგუფში ამოცანის შესრულების ეფექტი მცირდება, მაგრამ დადლილობის უარყოფითი ეფექტი მარტო მომუშავე ცდისპირებთან უფრო მეტია, ვიდრე მეორე ჯგუფის ცდისპირებთან. როგორც ვხედავთ, ცდისპირები, რომლებიც სხვისი თანდასწრებით მუშაობდნენ,

34 %-ით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან, ვიდრე ისინი, რომლებიც განმარტოებულნი მუშაობდნენ. ხოლო თუ ცდისპირების მუშაობის მთელი დროის მეორე ნახევრის შედეგებს შევადარებთ ერთმანეთს,



გრაფიკი L

აღმოჩნდება, რომ სხვისი თანდასწრება ორჯერ და მეტადაც აღმოჩნდება ადამიანის მუშაობის ეფექტურობას.

ამრიგად, ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანის ქცევის სიტუაციაში სხვა პირის ყოფნის გამო იზრდება ქცევის ეფექტურობა.

ეს ფაქტი სოციალური ფსიქოლოგიის წინაშე აყენებს მოთხოვნას, რათა გამოკვლევულ და დახასიათებულ იქნეს ამ მოვლენის ამხსნელი ფსიქოლოგიური მექანიზმი. მაგრამ ამ ამოცანის შესრულებამდე ჯერ კიდევ საჭიროდ გვეჩვენება ამ ფაქტის შემდგომი დაზუსტება. დასადგენია, თუ რა პირობებში ხდება სხვისი თანდასწრების გავლენა ადამიანის ქცევაზე: „დამსწრე“ გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე უბრალოდ თავისი ყოფნის გამო, თუ ის, როგორც შეთვალეურე, დამკვირვებელი, მოქმედებს მის ქცევაზე? შესაძლებელია, რომ როდესაც პიროვნების ქცევას თვალყურს ადევნებს სხვა ადამიანი, ამ პიროვნების უჩინდებოდეს ტენდენცია უკეთესად შეასრულოს თავისი ქცევა?! გამორიცხული არაა, რომ როდესაც ადამიანი იცის, რომ მას სხვები იკვირდებიან, მას უჩინდებოდეს ტენდენცია უკეთესად შეასრულოს თავისი ქცევა.

ვისი ქცევა. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ პიროვნებას ასეთი განზრახული ორიენტაციის გარეშეც, მისი ქცევის სიტუაციაში სხვა ადამიანის უბრალოდ ყოფნა იწვევდეს ქცევის ეფექტურობის გაზრდას. მართალია, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა პირდაპირ, უშუალოდ ამ საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ ფლოიდ ოლპორტის გამოკვლევების საფუძველზე ადამიანთა თანაქტივობის შესახებ რამდენადმე შესაძლებელი ხდება ამ საკითხის გადაწყვეტა.

ფ. ოლპორტს ზუსტად ის საკითხი არ უკვლევია, რომელიც ჩვენი განვიხილეთ. მან შეისწავლა თანაქტივობის პროცესში მყოფი ადამიანების ურთიერთზე გავლენის საკითხები¹. მისი ცდისპირების ერთ-ჯგუფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განმარტოებულად მუშაობდნენ. მეორე ჯგუფი კი ერთ ოთახში, დიდ საერთო მაგიდასთან მუშაობდა. თითოეულ ცდისპირს თავისი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი. ჯგუფურად მომუშავე ცდისპირები ერთმანეთის საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ, მათ არავითარი თანამშრომლობა არ ჰქონიათ, მაგრამ, იზოლირებულად მომუშავე ცდისპირებისაგან განსხვავებით, ერთ მთლიან დროულ-ვრცელ სიტუაციაში იმყოფებოდნენ. როგორც ცალკე, ისე თანაქტივობით გაერთიანებულ ცდისპირებს მოეთხოვებოდათ, რაც შეიძლება სწრაფად და უშეცდომოდ შეესრულებინათ თავისი ამოცანები. ცდისპირებს ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა, რომ ეს ექსპერიმენტი შეჭიბრს არ წარმოადგენდა. მათ შედეგი არ უნდა ეჩვენებინათ ერთმანეთისათვის. მათი შედეგები არ გამოცხადდებოდა საჯაროდ და ექსპერიმენტატორსაც არ აინტერესებდა მათი შედეგების ურთიერთთან შედარება. ცდები ჩატარდა რამდენიმე ასეულ ადამიანზე.

სულ შესასრულებელი იყო ექვსი ტიპის ამოცანა: I. ჯაჭვური ასოციაციის ამოცანა; II. ტექსტში ხმოვნების წაშლა; III. შექცევითი ფიგურების შენაცვლებული აღქმა; IV. გამრავლების ოპერაციების შესრულება; V. მცდარი სილოგიზმური დასკვნის აღმოჩენა; VI. განსხვავებული სიმძიმის წონების ურთიერთთან შედარება და გარკვეული რაოდენობით დალაგება.

ჯაჭვური ასოციაციის ამოცანაში ცდისპირებს ეძლეოდათ ფურცელი, რომელზეც დასაწყისში გარკვეული სიტყვა იყო დაწერილი. ცდისპირებს ეძლეოდათ ინსტრუქცია, რომ ამ სიტყვის წაკითხვის შემდეგ მისთვის ქვეშ მიეწერათ ის სიტყვა, რომელიც მათ პირველად თავისთავად, ასოციაციურად გაუჩნდებოდათ გონებაში. ამ სიტყვის დაწერისთანავე მის ქვეშ კიდევ უნდა მიეწეროთ ახალი სიტყვა, რომელიც უკვე შემდგომში დაწერილ სიტყვასთან დაკავშირებით გაუჩნდათ ცნო-


¹ Allport F. H. Social psychology, Boston, 1924, p. 68.

ბიერებაში და ასე შემდეგ. ცდისპირს ევალეზოდა ასე ასოციაციური ჯაქვის სახით ეწერა ცნობიერებაში სიტყვები ცდისათვის განკუთვნილი დროის განმავლობაში. მათ ევალეზოდათ, რაც შეიძლება სწრაფად შეესრულებინათ ეს სამუშაო და რაც შეიძლება ბევრი ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვები დაეწერათ ქალაღზე.

ცდის მეორე ვარიანტში ცდისპირებს ევალეზოდათ მოცემულ ტექსტში ხმოვანი ასოების წაშლა. ცდის მასალად გამოყენებული იყო გაზეთის ტექსტი.

ცდის მესამე ვარიანტში ცდისპირებს უჩვენებდნენ ხაზებისაგან შედგენილ კუბს.

ეს კუბი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც „შექცევითი ფიგურა“. შესაძლებელია მისი „დანახვა ზევიდან“; ამ დროს ამ კუბის A წვერო უფრო აქეთაა, ვიდრე B წვერო. როდესაც „კუბი აღიქმება ქვევიდან“, მაშინ მისი A წვერო აქეთ გამოიწევა და B წვერო სიღრმეში მიდის. ცდისპირს ევალეზოდა რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინა კუბის სხვადასხვაგვარად აღქმა. ის ერთი პოზიციიდან აღქმის შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადასულიყო საწინააღმდეგო პოზიციით აღქმაზე.



ნახ. 3

ცდის მეოთხე სესიაში ცდისპირებს ევალეზოდათ გარკვეულ რიცხვებზე გამრავლების ოპერაციების შესრულება. მათ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეესრულებინათ ეს ამოცანა.

შემდგომი ვარიანტის ცდებში ცდისპირებს სააზროვნო ამოცანებზე ეძლეოდათ. მათ ევალეზოდათ აღმოეჩინათ და ეჩვენებინათ ლოგიკური შეცდომები, რომლებიც სილოგისტურ დასკვნებში იყო მოცემული.

შემდგომ ამოცანაში ცდისპირები ახდენდნენ სხვადასხვა წონის ობიექტების შეფასებას და გარკვეული რიგის მიხედვით დალაგებას. მათ ევალეზოდათ ამ ამოცანის სწორად და სწრაფად შესრულება.

ყველა ეს ამოცანა ჩატარებული იყო იზოლირებულ და ერთად მყოფ ცდისპირებზე. ჭკუფში მომუშავე ცდისპირები ერთ მაგიდაზე თავთავისთვის, დამოუკიდებლად მუშაობდნენ. მათი ჭკუფური მუშაობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ერთად ისხდნენ, საქმიანობის დროს ისინი არ თანამშრომლობდნენ და არავითარი საკითხის განხილვას არ ახდენდნენ კოლექტიურად. ასეთ ჭკუფს თვით ფ. ოლპორტი თანააქტიობაში მყოფ ადამიანთა ჭკუფს უწოდებს. თანააქტიობის ურთიერთობაში მყოფი ადამიანები ერთმანეთის თანდასწრებით ასრულებენ დაეალებას. ყველა თავისი ამოცანით არის დაკავ

ვებული. არც ერთი ცდისპირი არ წარმოადგენს დამკვირვებელს, ყველა თავისი ამოცანის შესრულებისათვის მუშაობს. თანაქტიობის ჩგუფში მყოფი ცდისპირები, როგორც ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, ყოველ ვარიანტში ყოველთვის უკეთესად, კარგი მაჩვენებლებით ასრულებდნენ დაკლებას, ვიდრე მარტო, იზოლირებულად მომუშავე ცდისპირები. როგორც ფ. ოლპორტი აღნიშნავს თანაქტიობის (Coaction) სიტუაციაში, რომელიც მარტივი სახის სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს წარმოადგებს, ხდება ადამიანის „ფსიქიკური აქტიობის გაადვილება“.

ფ. ოლპორტის მონაცემები განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ საკითხის გარკვეული სახით გადაწყვეტა, რომელიც ზემოთ იყო დაყენებული. სხვა ადამიანის გველენა, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ არ იჩენს თავს პიროვნების მოქმედებაში, როდესაც სხვა ადამიანი დამკვირვებელს წარმოადგენს. ადამიანის ქცევის ნაყოფიერების გაზრდა, გაადვილება¹ მაშინაც ხდება, როდესაც მისი ქცევის სიტუაციაში თავისი საქმით დაკავებული სხვა ადამიანი არსებობს.

სანამ ამ დებულების საბოლოო განზოგადებას მოვახდენდეთ, უნდა განვიხილოთ სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებული ცნობილი მონაცემები, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ეწინააღმდეგებიან იმ დებულებას, რის მიხედვითაც თანაარსებობისა და თანაქტიობის პირობებში ხდება ადამიანის ქცევის ნაყოფიერების გაზრდა, გაადვილება.

უამრავი ექსპერიმენტული გამოკვლევის გვერდით, რომლებიც უტყუარად უჩვენებენ თანაქტიობის სოციალურ-ფსიქიკური ფაქტორის დადებით გავლენას ადამიანის ქცევაზე, არსებობს გამოკვლევებიც, რომლებიც მიუთითებენ ამ ფაქტორის უარყოფით როლზე ქცევის გარკვეული ფორმის მიმართ.

ჯერ კიდევ პაზენდმა 1931 წელს ცხადყო¹, რომ ადამიანები ნახატი ლაბირინტიდან გამოსვლის გზების სწავლის პროცესში ბევრად უფრო კარგად ეუფლებიან ლაბირინტიდან გამოსვლის გზას მარტო მუშაობის დროს, ვიდრე დამსწრეთა გვერდით, რომლებიც თვალს იდევნებდნენ მის მუშაობას.

დაახლოებით ასეთივე შედეგები მიიღო პესინმა უაზრო ძარცვლების დასწავლის ექსპერიმენტში². პესინი თავის ცდისპირებს უაზ-

¹ Husband R. H. Analysis of methods in human maze learning. J. Genet. Psychol., 1931, 89, p. 158—177.

² Pessin Y. The comparative effect of social and mechanical stimulation on memorizing. Amer. J. Psychol., 1933, 45, p. 263—270.

რო მარცვლების დასწავლას ავალებდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ სიტუაციებში. ცდისპირების ერთ ჯგუფს ამ მასალის დასწავლა სხვათა თანდასწრებით უხდებოდა, მეორე ჯგუფის ცდისპირები მასალას განმარტოებით იზეპირებდნენ.

სხვების თანდასწრებით ცდისპირები უაზრო შეიღმარცვლიანი სინის დაზეპირებას საშუალოდ 11,27 გამეორებას ანდომებდნენ, ხოლო მარტო მუშაობის დროს ასეთივე მასალის დასწავლას — საშუალოდ 9,85 გამეორებას. პესინი აღრიცხავდა იმ შეცდომებსაც, რომლებსაც ცდისპირები უშვებდნენ მასალის აღდგენის პროცესში. აღმოჩნდა, რომ ცდისპირები მარტო მუშაობის დროს საშუალოდ 36.58 შეცდომას უშვებდნენ, ხოლო სხვების თანდასწრებით — საშუალოდ 41,10-ს. ამ მონაცემების მიხედვითაც ცდისპირები მარტო სწავლის დროს უფრო მეტ მარცვლებს იძლევიან, ვიდრე სხვათა დასწრებისას მარტო სწავლის ეფექტურობა მკლავდება, როგორც შეცდომების სიმცირის ისე ნაკლები განმეორების საჭიროების მიმართულებით.

შემდგომი ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ქცევის სხვადასხვა ფორმებიდან სხვათა დასწრება მხოლოდ სწავლის ქვეყანაში მოქმედებს უარყოფითად. აღმოჩნდა, რომ ადამიანი მარტო უფრო ეფექტურად სწავლობს, ვიდრე სხვათა დასწრებისას. აღსანიშნავია, რომ ადამიანი პესინისა და მემორიზაციის ფაქტი და სრულიად განსხვავებული შედეგები მიიღო, როდესაც ცდისპირებზე ხელახლა სწავლის ექსპერიმენტები ჩატარა. პესინმა ცდისპირებს დაასწავლა უაზრო მარცვლების სია. აღნიშნული მასალის დასწავლიდან რამდენიმე დღის შემდეგ პესინი თავის ცდისპირებს ისევ სთხოვდა გაეხსენებინათ დასწავლილი უაზრო მარცვლები. როდესაც ცდისპირები ვერ ახდენდნენ მასალის ბოლომდე აღდგენას, მათ ხელმეორედ ეძლეოდათ მასალა დასასწავლად. ეს ექსპერიმენტებიც ორი ვარიანტიდ ტარდებოდა: სხვათა დასწრების პირობებში და მარტო. ამ ექსპერიმენტების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სხვების დასწრების შემთხვევაში ადამიანები ადვილად იგონებენ ადრე შესწავლილ მასალას და ხელახლა დასწავლისათვის მათ ბევრად უფრო მცირე აქტიუობა სჭირდებათ, ვიდრე იმათ, ვინც მარტო ახდენს გახსენებას, დასწავლილი მასალის აღდგენას და ხელახლა დასწავლას.

შემდგომ გამოკვლევათა საფუძველზე ყოველთვის დასტურდებოდა, რომ სხვისი დასწრების შემთხვევაში სწავლის ეფექტი მცირდება, ხოლო ყოველგვარი სხვა სახის ქცევა, სხვათა დასწრების პირობებში, უფრო მეტი ნაყოფიერებით სრულდება, ვიდრე მარტო ყოფნის დროს.

სოციალურ ფსიქოლოგიაში მტკიცედ დადგენილ ემპირიულ კანონად შეიძლება ჩაითვალოს დებულება, რომ სხვისი თანდასწრებით ბევ-

ზოდ უფრო ნაყოფიერი ხდება უკვე დასწავლილ, მტკიცედ დაუფლებულ მოქმედებათა შესრულება, მაგრამ უარესდება სწავლის ეფექტი, ძნელდება ახლის შეფვისება, ახალი მოქმედების დაუფლება.

ეს დებულება ემპირიულად მოქმედ ზოგად კანონზომიერებას გამოხატავს. ეს კანონი მრავალგზის იქნა შემოწმებული და დადასტურებული. მაგრამ მისი მართებულობის დადასტურების შემდეგ საჭირო ხდება ამ უცნაური ზოგადი კანონის ახსნა და გაგება. გაურკვეველი რჩება. თუ რატომ უნდა უშლიდეს ხელს სხვისი დასწრება ადამიანს სწავლის პროცესში და რატომ უნდა უადვილდებოდეს მას იმავე პირობებში უკვე შეძენილი მოქმედების გამოვლენა-შესრულება? ამ ვითარების გაგებისათვის საინტერესო შეხედულებას აყალიბებს ზეიონკი¹.

მისი აზრით, ეს დებულება სხვაგვარად უნდა იქნეს ფორმულირებული. ამისათვის საჭიროა სწავლის პროცესის ანალიზი.

როგორც ცნობილია, სწავლის პროცესში ადამიანი ისეთ-მოქმედებას ეუფლება, რომელიც მან შემდგომში, საჭიროების დროს უნდა გამოიყენოს. ზეიონკის აზრით, ის რეაქციები, რომლებსაც ადამიანი სწავლის პროცესში ეუფლება, გარკვეული სიტუაციებისათვის დომინირებულ რეაქციებად იქცევიან. ამ მოქმედების დაუფლებამდე სწავლის პროცესში ეს პასუხები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ დომინირებულ რეაქციებს. ამდროისათვის დომინირებულ მდგომარეობაში სხვა პასუხებია რასაც ჩვენ მცდარ პასუხად ვთვლით.

თუ ჩვენ მიერ განხილულ ემპირიულ კანონზომიერებას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: სხვა ადამიანის არსებობა სამოქმედო სიტუაციაში აძლიერებს დომინირებული რეაქციების შესრულების ტენდენციას, აადვილებს მათ განხორციელებას. თუ ადამიანს სიტუაციისადმი შესატყვისი რეაქციები, სწორი პასუხები აქვს დომინირებული, ასეთ შემთხვევაში სხვა ადამიანის დასწრება ხელს უწყობს მათ რეალიზაციას, აადვილებს გამოვლინებას. ხოლო როდესაც ადამიანს მოცემული სიტუაციისადმი არა აქვს შემუშავებული სწორი პასუხები და დომინირებული აქვს მცდარი რეაქციები, ამ შემთხვევაში სხვა ადამიანების დასწრება აძლიერებს დომინირებულ მცდარ რეაქციებს. ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე სწავლის პროცესში. სხვა ადამიანების დასწრების დროს დომინირებული მცდარი პასუხების აქტივაციის გამო ძნელდება სწორი პასუხების განმტკიცება, დიფერენცირება, რასაც შედეგად მოსდევს სწავლის ეფექტის დაცემა.

ზეიონკის აზრით, სხვა ადამიანის არსებობა სამოქმედო სიტუაციაში მინიმალურ სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს და ის ამავე დროს ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტიობის ზოგად მოტივაციურ ფაქტორად

¹ Zajonc R. B. Social Psychology, Belmont, 1938, p. 18—15.

უნდა ჩაითვალოს. მისი მოქმედების საფუძველზე იზრდება ადამიანის აქტიობის დონე, რის შედეგადაც ხდება სიტუაციისადმი შესატყვისი დომინირებული რეაქციების ინტენსიური, ზუსტი და სწრაფი შესრულება. ამ ზოგადი კანონის მიხედვით, ადამიანის აქტიობა სხვა ადამიანის დასწრების დროს უფრო ინტენსიური და ნაყოფიერი ხდება. მაგრამ სწავლის ეფექტი იმის გამო ეცემა, რომ სწავლის პროცესში აღნიშნული ფაქტორი ადამიანის აქტიობას არასასურველი, მცდარი მიმართულებით აძლიერებს.

ზეიონკის ამ შეხედულებას ეთანხმება ბევრი ექსპერიმენტული მონაცემი. ირკვევა, რომ ადამიანის ქცევაზე სხვა ადამიანის გულწრფელად დიფერენცირებული ეფექტი ერთი და იმავე ფსიქოლოგიური მექანიზმის საფუძველზე უნდა იქნეს გაგებული. ამ მონაცემთა განხილვამდე ჩვენ ადამიანების თანაარსებობისა და თანააქტიობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის გარკვევას შევეცდებით.

როგორც დავინახეთ, სხვა ადამიანის არსებობა პიროვნების ქცევის სიტუაციაში, ან სხვა ადამიანთან თანააქტიობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების ქცევაზე. მაგრამ თვით თანაარსებობა და თანააქტიობა იმდენად მინიმალურ ფსიქიკურ აქტიობას გულისხმობს, რომ შესაძლებელია ის არც წარმოადგენდეს ადამიანთა ურთიერთქმედების სპეციფიკურ თავისებურებას. შესაძლებელია თანაარსებობა და თანააქტიობა საერთოდ ცოცხალი სინამდვილისათვის დამახასიათებელი ურთიერთქმედების ფორმა იყოს და ამიტომ მას ანალოგიური ეფექტები ჰქონდეს სხვა ცოცხალი ინდივიდების ურთიერთობაშიც.

ამ მიმართულებით მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა იქნა ჩატარებული და სრულიად გარკვეული მნიშვნელობის შედეგებია მიღებული.

საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევები აქვს ჩატარებული ჩენს ჰიანჰველებზე, რომლებიც ექსპერიმენტულ სიტუაციაში მართა ან ჩვეულებრივად ბუდის თხრაზე მუშაობდნენ. თანააქტიობის ურთიერთობით გაერთიანებული ჯგუფი ორი და სამი ჰიანჰველისაგან შედგებოდა¹.

ცდის პირველ სერიაში ყოველი ჰიანჰველა განმარტობულად მოთავსებული იყო ბოთლში, რომელშიც ნახევრამდე ეყარა შშრალი ახვიერი მიწა. მიწა მაგრად იყო დატყეპნილი. ჰიანჰველები ბოთლებში ოცნენ 6 საათის განმავლობაში. ექსპერიმენტატორის მიერ აღირიცხებოდა, თუ ბოთლში ჩასმიდან რამდენი ხნის შემდეგ იწყებდნენ ჰიანჰ-

¹ Ch en S. C. Social modification of the activity of ants in nest-building, *Physiol. Zool.*, 1937, 10, p. 165—165.

ველები ბუდის თხრას. ცდის დამთავრების შემდეგ გამოთხრილი მიწა იწონებოდა. მიწის წონა მიჩნეული იყო მუშაობის ეფექტის ერთ-ერთ მაჩვენებლად.

ცდის მეორე ვარიანტში, რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ჰიანჰველებს ისევ ათავსებდნენ ბოთლში, რომელშიც ჩაყრილი იყო ისეთივე მიწა. ცდის ამ ვარიანტში ყოველ ბოთლში ორ-ორი ჰიანჰველა ჩასვეს. ისევე როგორც წინა ექსპერიმენტში, ხდებოდა ჰიანჰველების მუშაობის დროის აღრიცხვა, იწონებოდა გამოთხრილი მიწა. ცდის ამ ვარიანტშიც ჰიანჰველები 6 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ ექსპერიმენტულ სიტუაციაში.

რამდენიმე დღის შემდეგ ცდის მესამე ვარიანტი ამავე წესებით ტარდება, მაგრამ ახლა თითოეულ ბოთლში სამ-სამი ჰიანჰველა ჩასვეს. ამ ექსპერიმენტის შედეგები იმავე წესით იყო აღრიცხული.

ბოლოს, ცდის მეოთხე ვარიანტში იმავე ჰიანჰველებზე ტარდებოდა პირველი ვარიანტის ცდები. ხელშეორედ იქნა შესწავლილი განმარტოებული ჰიანჰველების მუშაობა.

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების საფუძველზე ჩენი უჩვენებს, რომ ჰიანჰველების მუშაობის ნაყოფიერება თანააქტიობის პირობებში მეტისმეტად მკვეთრად გაიზარდა. ამ ექსპერიმენტების შედეგები წარმოდგენილია ქვემოთაჩნილ ცხრილში. როგორც ექს-

ცდის ვარიანტები	1	2	3	4
მუშაობის დაწყების დრო და ამოთხრილი მიწის რაოდენობა	იზოლორებული მუშაობის პირველი ცდა	ორი წვერის განშედგენილი ჯაფუფი	ს.მი წვერისაგან შედგენილი ჯგუფი	იზოლორებული მუშაობის მეორე ცდა
თითოეული ჰიანჰველის მიერ ბუდის თხრის დაწყების საშუალო დრო (წუთებში)	192	28	35	100
თითოეული ჰიანჰველის მიერ ამოთხრილი მიწის წონა გრაამებში, 6 საათის განმავლობაში	232	765	725	182

პერიმენტული მონაცემებიდან ირკვევა, თანააქტიობის პირობებში ჰიანჰველებმა ბევრად უფრო სწრაფად დაიწყეს მუშაობა. ამ პირობებში, ბოთლში ჩასმის შემდეგ, ისინი 6-ჯერ უფრო ადრე შეუდგნენ მუშაობას, ბოლო სამუშაოს რაოდენობა, რომელიც მათ შეასრულეს, იმავე დროის მანძილზე 3-ჯერ გაიზარდა. როგორც ვხედავთ, შრომის ნაყოფიერებამ თანააქტიობის სიტუაციაში მეტისმეტად იმატა. როგორც მეოთხე ვარიანტის ცდებიდან ირკვევა, ხელახლა მართო მუშაობის

დროს ქიანველები დაახლოებით ისეთივე მონაცემებს უჩვენებენ, როგორც პირველი ვარიანტის ცდებში. ეს იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ მეორე და მესამე ვარიანტში ჩვეულებრივ მოქმედების დროს მუშაობის ეფექტურობის მკვეთრი მატება სწორედ თანაქტიობის შედეგს წარმოადგენს და არა გავარჯიშების ან სხვა მსგავსი ფაქტორებისა.

გარდა ამისა, მოცემულ შედეგთა საფუძველზე ისიც ნათელი ხდება, რომ ჩვეულების გაზრდას არ მოჰყვება შრომის ნაყოფიერების შესატყვისი გადიდება. მუშაობის ეფექტურობის მიხედვით, სულ ერთია, თანაქტიობის პროცესში ორჯო ქიანველა იმყოფება თუ სამი.

ამ გამოკვლევის საფუძველზე ჩანს, რომ თანაქტიობა დადებით ეწველენას ახდენს სხვა ცოცხალი ორგანიზმების აქტიობაზეც. ეს ფენომენი, როგორც ჩანს, მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობაში არ ჩნდება, ის უნივერსალური ფაქტი უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმებისათვის.


როგორც უკვე ვნახეთ, ადამიანთა თანაარსებობა და თანაქტიობა სხვადასხვაგვარ, საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა ჩვეულებრივ მოქმედებასა და სწავლაში. ამ პირობებში ხდება მოქმედების გაადვილება და სწავლის შეფერხება დასტურდება თუ არა იგივე მდგომარეობა სხვა ცოცხალ ორგანიზმებში? ამ საკითხზე გარკვეული პასუხის გაცემა შეიძლება გეტესისა და ოლის გამოკვლევის საფუძველზე¹.

გეტესმა და ოლიმ ცდები ჩაატარეს ტარაკანებზე. ისინი ტარაკანებს ასწავლიდნენ ლაბირინტში გასვლას მარტო და ჩვეულებრივ მოქმედებით შედგენილი იყო ორი და სამი წვერისაგან. ლაბირინთი შემდეგნაირად იყო მოწყობილი: წყლიან ტაშტში, წყლის ზედაპირზე გაკეთებული იყო სამი გადასარბენი ბილიკი. ეს ბილიკები შეერთებული იყო ერთმანეთთან ისე, რომ ქმნიდნენ ლათინური ასო E-ს მსგავს ფიგურას. ტარაკანებს სვამდნენ ამ ფიგურის კიდურა წვერებზე, ხოლო საბოლოო პუნქტი, საითაც უნდა გაქცეულიყვნენ ტარაკანები, იყო შუაგზის ბოლო პუნქტი. ტარაკანები, როგორც ცნობილია, ე. წ. ფორტოფობიური მწერები არიან, სინათლე სძულთ და გაურბიან მას. ლაბირინთის შუაგზის კიდურე შეერთებული იყო ბნელი ბოთლი, რომელშიც შეედლოთ ტარაკანებს თავის შეფარება სინათლის უსიამოვნო გავლენისაგან.

ექსპერიმენტატორები ცდისპირ ტარაკანებს სვამდნენ ლაბირინთის კიდურა წვერებზე და აღრიცხავდნენ იმ დროს, რომლებიც სჭირდებ-

¹ Gates M. C., Allee W. C. Conditioned behavior of isolated and grouped cockroaches in a simple maze. Y. Comp. Psychol., 1933, 18, p. 361-368.

ბოდათ ტარაკანებს იმისათვის, რომ თავი შეეფარებინათ სიბნელეში. ცდის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენი მცდელობა დასჭირდებოდათ ტარაკანებს იმისათვის, რომ ესწავლათ ლაბირინთში გზა, მიზნის მიღწევა მარტო და ჭგუფური მოქმედების დროს. გრაფიკში წარმოდგენილია ტარაკანების სწავლის მაჩვენებლები.



გრაფიკი 2

გრაფიკში ნაჩვენებია ვარკვეული რაოდენობის მცდელობის შემდეგ საშუალო დრო, რომელიც დასჭირდათ ტარაკანებს ლაბირინთიდან გამოსვლისათვის; როგორც გრაფიკიდან ჩანს, თანაკტივების პირობებში ტარაკანები ნაკლები წარმატებით სწავლობენ ლაბირინთიდან გამოსვლას. ჭგუფური სწავლა არ ხასიათდება დიდი ეფექტურობით. ჭგუფური სწავლის შემდეგ ტარაკანები მეტ დროს უნდობდნენ ლაბირინთიდან გამოსვლას, ხოლო ისინი, რომლებიც მარტო სწავლობდნენ, ლაბირინთიდან უფრო სწრაფად გადიოდნენ. მაგალითად, პირველი ხუთი მცდელობის შემდეგ ტარაკანებს, რომლებიც სამწევრიან ჭგუფში სწავლობდნენ, თითოეულს საშუალოდ 18 წუთი დასჭირდა:

იმისათვის, რომ ამოცანა წარმატებით გადაეწყვიტა. წყვილად დაჯგუფებული ტარაკანებიდან თითოეულს საშუალოდ 12 წუთი დასჭირდა ლაბირინტიდან გასასვლელად. მათი სწავლის ეფექტი გაცილებით დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე იზოლირებულად მოსწავლე ტარაკანებისა. განპარტოებული ვარჯიშის შემდეგ ტარაკანებს ამავე ამოცანის შესრულებისათვის საშუალოდ მხოლოდ 5 წუთი სჭირდებოდათ.

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მწერებშიც, ადამიანების მსგავსად, თანააქტიობის პირობებში მკვეთრად უარესდება სწავლის ეფექტი.

ავსტრალიურ გრძელკუდა თუთიყუშებზე ანალოგიური ექსპერიმენტები ჩაატარეს ოლმა და მასურმა¹. ექსპერიმენტატორები ამ ფრინველებსაც ლაბირინტიდან გამოსვლას ასწავლიდნენ. თუთიყუშებს ლაბირინტიდან გამოსვლის სწავლა დაწყვილებულად და ცალ-ცალკე უხდებოდათ. დაწყვილებული ჯგუფები სხვადასხვაგვარი წესით იყო შედგენილი. ზოგი წყვილი ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებსაგან იყო შედგენილი, ზოგი კი სხვადასხვა სქესისაგან. სქესის მიხედვით სხვადასხვაგვარად შედგენილ ჯგუფებს შორის სწავლის ეფექტის თვალსაზრისით არსებითი განსხვავება არ დადასტურდა. ამ ჯგუფების წარმომადგენლები დაახლოებით ერთნაირი წარმატებით სწავლობდნენ ლაბირინტიდან გასვლას, მაგრამ მნიშვნელოვანმა განსხვავებამ იჩინა თავი იმ თუთიყუშთა სწავლის ეფექტებს შორის, რომლებიც მარტო და დაწყვილებულად სწავლობდნენ. ამ ექსპერიმენტშიც დადასტურდა სხვა ცდებში მიღებული შედეგები. წყვილის თითოეულმა წევრმა უფრო გვიან ისწავლა ლაბირინტიდან გასვლა და უფრო მეტი შეცდომები დაუშვა ამ მოქმედების შემდგომი შესრულებისას, ვიდრე მარტო მყოფმა თუთიყუშებმა.

ამრიგად, ადამიანების გარდა, სხვა ცოცხალ ორგანიზმებთანაც დასტურდება თანაარსებობისა და თანააქტიობის ეფექტი. ასეთ პირობებში სხვა ცოცხალ ორგანიზმებთანაც ხდება მოქმედების ეფექტურობის გაზრდა და სწავლის შეფერხება.

ადამიანების გარდა, ამ ეფექტის სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან დადასტურება იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ის სპეციფიკურ-ადამიანური სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების ფენომენი არაა. ბიჰევიორისტულ მკვლევართათვის, რომელთათვისაც არსებითი განსხვავება არ არსებობს მაღალი და დაბალი ფსიქიკური დონის პროცესებს შორის, თანაარსებობისა და თანააქტიობის ზემოდახასიათებუ-

¹ Allec W. C., Masure R. H. A comparison of maze behavior in paired and isolated shell p. rackets. (*Melopsittacus Undulatus*, *Shawo-Physiol. Zool*, 1936, 22, p. 131—156.

ლი ეფექტი წმინდა სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ ადამიანისათვის დამახასიათებელ სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა განხილვის საფუძველზე შემდგომში ნათელი ხდება, რომ ადამიანთა ურთიერთქმედების სპეციფიკური ფორმები და კანონზომიერებანი ადამიანების სოციალურ ურთიერთობათა პროცესში ყალიბდება და რეალიზდება.

თანაარსებობისა და თანააქტიობის ეფექტები, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, მხოლოდ „ბიოსოციალურ“ ფენომენებად უნდა ჩაითვალოს, რომლებიც ადამიანთა სოციალური ცხოვრების მხოლოდ ბიოლოგიურ, ფილოგენეტურ ფაქტორებს წარმოადგენენ. მაგრამ საერთოდ ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს „ბიოსოციალური“ ფენომენები ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედების ჩამოყალიბებისათვის არც არსებით და არც საკმარის პირობებს არ წარმოადგენს. ფ. ოლპორტის, ჩენის, ზეიონკისა და სხვათა შეხედულების საწინააღმდეგოდ, ადამიანთა და საერთოდ ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ეს ფენომენები ცოცხალი ინდივიდთა ჯგუფური ცხოვრების კანონზომიერების ერთ-ერთი გამოვლინებაა და ადამიანის სოციალური ცხოვრების ბუნების დახასიათებისათვის არ გამოდგება. ეს ფენომენები ადამიანის, როგორც ცოცხალი ინდივიდის, დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. ისინი ადამიანის, როგორც სოციალური პიროვნების, ბუნების დახასიათებისათვის არ გამოდგება, რადგან, განსხვავებით სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენებისაგან, ადამიანთა სოციალური ურთიერთობის პროცესში არ ყალიბდება. ისინი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის პირველი დონის კანონზომიერებათა რიგის მოვლენებს წარმოადგენენ. მაგრამ მათ აქ მაინც იმიტომ განვიხილავთ, რომ ისინი ერთგვარი მოსამზადებელი ფსიქიკური მოვლენებია, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად საფუძველად ედება სოციალური განწყობების აღმოცენებასა და ფორმირებას.

თანაარსებობისა და თანააქტიობის ექსპერიმენტულად დადგენილი ეფექტი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის პირველი დონის წიაღში ჩნდება და ამ სფეროს კანონზომიერების მოქმედებას ექვემდებარება. მათი ბუნება ადამიანის აქტიობის პირველ დონეზე შემუშავებული განწყობის კანონზომიერებათა საფუძველზე უნდა იქნეს გაგებული. ამ ამოცანის შესრულებისათვის კი საჭირო ხდება პირველი დონის განწყობის ზოგიერთ სტრუქტურულ თავისებურებათა შემდგომი დეტალური დახასიათება.

როგორც ცნობილია, უზნაძის აზრით, ყოველი სახის ქცევის და, მაშასადამე, მისდამი განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობის არსებობა; ესენია: მოთხოვნისა და სიტუაცია.

ყოველგვარი აქტიობის დროს ცოცხალ ინდივიდს რაიმე მოთხოვნილება გააჩნია, რომლის დაკმაყოფილებისათვისაც ის ისწრაფვის. მაგრამ, გარდა ამისა, ინდივიდს უნდა მოცემული ჰქონდეს გარკვეული სიტუაცია, რომელშიც შესაძლებელი იქნება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გარკვეული მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისის სიტუაციის შეხვედრისას ინდივიდში ჩნდება გარკვეული სახის მოქმედების ტენდენცია, განწყობა, რომლის საფუძველზე განხორციელებული ქცევა შეესატყვისება როგორც ინდივიდის მოთხოვნილებას, ასევე სიტუაციას, რის გამოც განწყობის საფუძველზე განხორციელებული აქტიობა მიზანშეწონილებით ხასიათდება.

განწყობის ერთ-ერთი ფაქტორის — მოთხოვნილების ბუნების და ხასიათებისას უზნაძე გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სახის კონკრეტული მოთხოვნილებანი ორ დიდ კლასად უნდა გაიყოს¹. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს სუბსტანციური და ფუნქციონალური მოთხოვნილებები.

სუბსტანციური მოთხოვნილება ცოცხალი ორგანიზმის ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიც იგულისხმება სუბსტანციური ხასიათის მოვლენებისადმი ორგანიზმის დანაკლისი. მისი დაკმაყოფილებისათვის „სუბსტანციური რამ არის საჭირო — საჭიროა საგნობრივი რამ, რაც მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა“². მაგალითად, შიმშილი ან წყურვილი სუბსტანციურ მოთხოვნილებათა მაგალითებს წარმოადგენენ. შიმშილის დასაკმაყოფილებლად საჭიროა საჭირო, წყურვილის მოსაკლავად კი წყალი. სუბსტანციურ მოთხოვნილებათა საგანს რეალურად არსებული ობიექტი წარმოადგენს, რომლის მოპოვების შედეგად შესაძლებელი ხდება შესატყვისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მაგრამ სუბსტანციურ მოთხოვნილებათა გარდა, ცოცხალ ორგანიზმს სხვა ხასიათის მოთხოვნილებებიც აქვს. ინდივიდს გარკვეულ საგნებზე მოთხოვნილებასთან ერთად აქვს აქტიობის ტენდენციაც, მასში ხშირად თავს იჩენს მისწრაფება აქტიობისაკენ. ცოცხალი ორგანიზმის ჩვეულებრივ და ნორმალურ მდგომარეობას აქტიობა წარმოადგენს. პასიურობა და უმოძრაობა მისი ცხოვრების მხოლოდ შემთხვევითი, დროებითი მომენტია, დასვენებისა და ძილის დროსაც კი ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესები განაგრძობენ არსებობას.

ორგანიზმის აქტიობის შეწყვეტა მის სიკვდილსა და განადგურებას მოასწავებს. აქტიობა და ფუნქციობა ორგანიზმისათვის ბუნებრივი ტენდენციაა, რომლის შეზღუდვასაც იგი მტკიცებულად და უსიამოვნოდ

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. 6, თბილისი, 1949, გვ: 44—47.

² იქვე, გვ. 44.

განიცდის. ამიტომ, რომ ადამიანის დასჯის ერთ-ერთ ძირითად ფორმად, ჩვეულებრივ, მისი მოქმედების, აქტივობის შეზღუდვა ითვლება. მაგალითად, დასჯის მიზნით ხშირად ადამიანს გაასახლებდნენ ხოლმე შორს მისი საცხოვრებელი ადგილიდან და უზღუდავდნენ სასიცოცხლო სივრცეს. ადამიანისათვის კიდევ უფრო მძიმე სასჯელად განიცდება, თუ გადასახლებათან ერთად კიდევ უფრო შეუზღუდავდნენ მის სასიცოცხლო სივრცეს. სატუსალოში ჩასმა კიდევ უფრო ზღუდავს ადამიანის აქტივობის ზონას. პატიმრის მდგომარეობის სიმძიმეს სხვა ფაქტორებთან ერთად ისიც განსაზღვრავს, თუ როგორია მისი სამოქმედო სივრცის სიდიდე. მცირე ზომის კარცერში გამხოლოებული ჯდომა იმის გამოც განიცდება მძიმედ, რომ ამ შემთხვევაში მკვეთრად არის შემცირებული პატიმრის აქტივობის დიაპაზონი. კომუნისტური წესის შესაძლებლობათა აღკვეთა და ფიზიკური აქტივობის მკვეთრად შეზღუდვა იმიტომ განიცდება მძიმედ, რომ ისინი სხვა შედეგებთან ერთად ადამიანის ფუნქციონალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წინააღმდეგაა მიმართული. სწორედ ამის გამო იღებს კიდევ უფრო მძიმე ფსიქოლოგიურ ეფექტს პატიმრისათვის ბორკილების დადება. საზოგადოება დამნაშავეის დასჯის დროს, ცხადია, ძირითადად დანაშაულის აღკვეთაზე ზრუნავს და მისი განმეორების თავიდან აცილებას ცდილობს. მაგრამ დასჯის ამა თუ იმ ფორმის შერჩევისას იგი, იმის მიხედვით, თუ როგორია შეფასებული დანაშაული, ადამიანის სუბსტანციურ მოთხოვნილებათა შეზღუდვასთან ერთად მისი ფუნქციონალური მოთხოვნილებების შეკვეცასაც ახდენს რის გამოც დასჯა საკმაოდ მძიმე ხდება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ, საზოგადოდ, ცოცხალი ინდივიდისა და კერძოდ ადამიანის ბუნების დახსიათებისას სუბსტანციურ მოთხოვნილებათა გარდა ფუნქციონალური მოთხოვნილებებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ადამიანმა შეუძლია ბედნიერად იგრძნოს თავი ისეთ საცხოვრებელ სიტუაციებში, სადაც ის განცხრომაში, უმოქმედობაში იქნებოდა და ისე დაკმაყოფილებდა თავის სუბსტანციურ მოთხოვნილებებს. აქტიობა, შრომა და შემოქმედება, რომლებშიც ადამიანის ფუნქციების ტენდენციათა დაკმაყოფილება ხდება. არის ადამიანის ბუნებრივი და ნორმალური ცხოვრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

სუბსტანციურ და ფუნქციონალურ მოთხოვნილებათა ბუნების ზოგადი განხილვის შემდეგ შესაძლებელი ხდება თანააქტივობისა და თანაარსებობის ეფექტების შემდგომი ზოგადფსიქოლოგიური დახასიათება.

თანამშრომლობისა და თანააქტივობის ეფექტები სუბსტანციურ მოთხოვნილებებთან არაა დაკავშირებული. ინდივიდის ქცევის სიტუაციაში დამსწრეს ან თანამოაქტივის არსებობა მის ფუნქციონალურ მოთ-

~~ხოვნილებებზეც ახდენს გაგონებს.~~ აღნიშნული ფაქტორები ინდივიდის ფუნქციონალური მოთხოვნილებების ინტენსიფიკაციას იწვევს, რის გამოც ინდივიდის ზოგადი ფსიქოფიზიკურ აქტიობა უფრო ინტენსიური, უფრო ენერგიული ხდება. ამიტომ აქტიობის ისეთი სახეებისათვის, რომლებზეც ინდივიდის ზოგადი ფუნქციონალური ტონუსის აწევა დადებითად მოქმედებს, თანაარსებობა და თანააქტიობა ხელისშემწყობი ფაქტორი ხდება. ექსპერიმენტული მონაცემები თანაარსებობისა და თანააქტიობის შესახებ სწორედ იმაზე მიგვითითებენ, რომ ამ ფაქტორთა შემოქმედების შედეგად ხდება ისეთი მოქმედების ეფექტურობის გაზრდა. რომელიც უკვე ორგანიზებული და ჩამოყალიბებულია. მაგრამ სწავლის პროცესზე, რომელიც ძირითადად გამოუსადეგარი რეაქციებისაგან თავის შეკავებას და სწორი პასუხების გამოყოფა-ინტეგრაციას იწვევს, აქტიობის ზოგადი ტონუსის აწევა უარყოფითად მოქმედებს. ამ დროს ხდება შეუსატყვისი რეაქციების შესრულების ტენდენციის გაძლიერებაც, რაც ხელს უშლის სწავლის ნაყოფიერ განხორციელებას.

ჩვენ მიერ განხილულ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლის ნაყოფიერება საგრძნობლად დაბალია ისეთ „შემსწავლელ ჯგუფებში“, სადაც ადამიანები ერთ სანსწავლო სიტუაციაში იმყოფებიან და ყველა თავისთვის, იზოლირებულად სწავლობს. თანაარსებობა და თანააქტიობა აქვეითებს სწავლის ეფექტს. მაგრამ თანაარსებობისა და თანააქტიობის მთავარი შედეგი ისაა, რომ დაუფლებულ მოქმედებათა საფუძველზე განხორციელებული ქცევა, რაც ადამიანთა აქტიობის უდიდეს ნაწილს შეადგენს, უფრო ნაყოფიერი და ეფექტური ხდება. ამიტომ ადამიანთა ჩვეული საქმიანობა, შრომითი-მოქმედება და ცოდნის შემოწმება-სოციალურ გარემოში, სხვა ადამიანთა თანდასწრებით უნდა განხორციელდეს.

თანაარსებობა და თანააქტიობა ადამიანის საერთო ფუნქციონალური აქტიობის გაძლიერებას იწვევს, მაგრამ ამის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმის გარკვევას, თუ როგორ უნდა იქნეს კვალიფიცირებული ეს ეფექტი. აღნიშნული ეფექტი საერთოდ დადებითად მოქმედებს ადამიანზე თუ უარყოფითად, როგორც მიზანშეწონილი ქცევის განმახორციელებელი არსების აქტიობაზე? ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას სინამდვილესთან მისი სელექციური დამოკიდებულება წარმოადგენს. ამის საფუძველზე ის ახდენს ისეთი გარკვეული სისტემის შერჩევას, რაც შესატყვისობაში მოდის მისი მოთხოვნილებისა და გარემოს თავისებურებებთან. თანაარსებობისა და თანააქტიობის აღნიშნული ეფექტი სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს განხორციელებული. მიზანშეწონილი ქცევის განხორციელების დროს ადამიანი ახდენს არა მხოლოდ საკუთარ მოქმედებათა ინტეგრაც-

ციას და მიზნისაკენ მიმართულ მოქმედებათა განხორციელებას, არამედ ხელისშემშლელი ვითარებისაგან განრიღებას, მავნე ზემოქმედებათა დაძლევის, გაჭირვების გადატანას, რაც ხშირად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მიზნისეული ქცევის შესრულებისათვის. გასარკვევი ხდება, თუ როგორ მოქმედებს თანაარსებობა და თანააქტიობა გაჭირვების, სიძნელის, ტკივილისა და საერთოდ დისკონფორტული მდგომარეობის ატანაზე.

სხვა ადამიანთან თანაარსებობა, მაგალითად, უადვილებს ადამიანს ტკივილის ატანას? გაადვილებულია გაჭირვების ატანა მძიმე სიტუაციაში სხვა ადამიანების თანამონაწილეობის დროს, როდესაც ისინი განიცდიან უსიამოვნებას და დაძაბულობას?

ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ადამიანები უფრო ადვილად იტანენ გაჭირვებას სხვა ადამიანების გვერდით. ისიც ცნობილია, რომ სხვისი გაჭირვების ფონზე ადამიანი უფრო ადვილად იტანს თავის მძიმე მდგომარეობას.

სეიდმანის, ბენსენის, მილერისა და შეილენდის ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე ნათელი ხდება ამ დაკვირვების მართებულობა¹. ფსიქოლოგთა ეს ჩვეუი სწავლობდა ადამიანთა მიერ ელექტროშოკის ამტანუნარიანობას, როდესაც ცდისპირები ელექტროშოკს უძლებდნენ მარტო და სხვასთან ერთად. ცდისპირებად მათ გამოყენებული ჰყავდათ წვევამდელები. ცდა ჩატარდა 133 კაცზე. ერთ შემთხვევაში ცდისპირები ელექტროშოკს იღებდნენ მარტო. ცდას მხოლოდ ცდის ხელმძღვანელი ესწრებოდა. ექსპერიმენტატორი აძლიერებდა ღენს მანამ, სანამ ცდისპირს შეეძლო მისი გაძლება. სხვა დროს ცდებში ორორი ცდისპირი მონაწილეობდა. მეორე ცდისპირი ექსპერიმენტატორთან იყო შეთანხმებული. მათ ეუბნებოდნენ, რომ ელექტროდენისათვის უნდა გაეძლოთ მანამ, სანამ შეეძლოთ მისი ატანა. მეორე ცდისპირს სინამდვილეში არავითარი ელექტროდენი არ ეძლეოდა. ექსპერიმენტების შედეგებიდან ირკვევა, რომ თანააქტიობის პირობებში, როდესაც ცდისპირმა იცოდა, რომ მეორე ადამიანიც იტანდა ელექტროშოკს, ის ბევრად დიდი ელექტროდენის ზემოქმედებას უძლებდა, ვიდრე მაშინ, როდესაც ის მარტო მონაწილეობდა ცდაში. მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორები უჩვენებენ: ცოდნა იმის შესახებ, რომ სხვა ადამიანიც გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება, მნიშვნელოვნად ზრდის ელექტროშოკისადმი გაძლები უნარს. ექსპერიმენტულ გამოკვლევებში დადასტურდა ის დაკვირვება, რომ როდესაც ადამიანი ხედავს სხვის გა-

¹ Seidman D., Bensen S. B., Miller I. and Meeland T. Influence of a partner on tolerance for self-administered electric shock. J. Abnorm. Soc. Psychol., 1957, 54, p. 210-212.

პირველს, უფრო ადვილად იტანს საკუთარს. ომში ჯარისკაცთა მოქმედებინა ფართოდ არის ცნობილი თანააქტიობის შემამსუბუქებელი ეფექტი. სხვა ძირითად ფსიქიკურ და მაღალმორალურ ფაქტორთა გვერდით თანააქტიობის ეფექტი არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ჯარისკაცს საშუალებას აძლევს დაძლიოს მეტი სიძნელე, რომლის ატანა მარტოს ბეგრად უფრო-გაუძნელდებოდა. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ თანააქტიობის ეს ეფექტი არაა ჯარისკაცის გმირობისა და სიმამაცის ძირითადი წყარო. გმირობისა და სიმამაცის საფუძვლები მაღალ მორალურ და მსოფლმხედველობით ორიენტაციებშია, რომელთა შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი. თანააქტიობის ეფექტი კი, როგორც ირკვევა, საერთოდ ცოცხალი ორგანიზმისათვის დაძვინდებულ სფეროს წარმოადგენს და სპეციფიკური არაა ადამიანისათვის.

ამ დებულებას ასაბუთებს რასმუსენის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები¹. რასმუსენმა ექსპერიმენტები ჩატარა თეთრ თავგებზე. ის თავგებს 48 საათის განმავლობაში არ აძლევდა წყალს. შემდეგ ეს თავგები დაანაწილა იზოლირებულად და ჯგუფებად. ჯგუფებში სამ-სამი თავგი იყო. საკანში, რომლებშიც ეს თავგები იყვნენ მოთავსებული, იდგა რკინის თეფში წყლით. საკნის იატაკზე მიმაგრებული იყო დენის ერთი ფაზა, წყალთან კი მეორე ფაზა იყო დაკავშირებული. საკმარისი იყო რომელიმე თავგს წყლის დაღვევა დაეწყო, რომ მას მაშინვე არტყამდა დენი. თეფში, საიდანაც თავგებს შეეძლოთ წყლის დაღვევა, 5 წამის განმავლობაში იყო ღია ამ დროის გასვლის შემდეგ მას მექანიკურად ეხურებოდა ხუფი და შეუძლებელი ხდებოდა თეფშიდან წყლის დაღვევა. გარკვეული ხნის შემდეგ ხუფი ისევ იღებოდა და თავგს შეეძლო გაემეორებინა წყლის დაღვევის მცდელობა.

ცდები ჩატარდა 30 თავგზე. ექსპერიმენტატორი აღრიცხავდა, თუ რამდენჯერ ახორციელებდნენ წყლის დაღვევის მცდელობას საკანში მარტო და ჯგუფურად მყოფი თავგები. ექსპერიმენტებში სრულიად ნათელი შედეგები იქნა მიღებული. საკანში ჯგუფურად მყოფი თავგებიდან თითოეული ორჯერ უფრო მეტჯერ სვამდა წყალს, ვიდრე მარტო, იზოლირებულად მყოფი თავგი. ჯგუფში მყოფი თავგები უფრო ადვილად იტანდნენ დენის დარტყმას და უფრო ხშირად სვამდნენ წყალს. მარტო მყოფი თავგები კი უფრო იშვიათად ბედავდნენ წყლის დაღვევას, თუმცა მათაც არანაკლებ სწყუროდათ წყალი.

რასმუსენს აღრიცხული აქვს თავგების არა მარტო იმ მცდელობათა რაოდენობა, რომლის დროსაც ისინი სვამდნენ წყალს; ამას გარდა თავგებს ჰქონდათ წყლიან თეფშებთან მიახლოების ცდები, რომელთა დრო-


¹ Rasmussen E. W. Social facilitation in albinorats. Acta Psychol., 1968, 4, p. 275—294.

საც ისინი, მიიღებდნენ რა ელექტროშოკს, უკან ბრუნდებოდნენ წყლის დაუღვევლად. 50 წუთის განმავლობაში ჯგუფში მყოფი თავგებიდან თითოეული საშუალოდ 25-ჯერ მიუახლოვდა წყლიან თევზს ისე, რომ ელექტროშოკის მიღების გამო აღარ დაუღვევია, უკან დაბრუნდა. მარტო მყოფი თავგებიდან ელექტროშოკის მიღების გამო წყლიან თევზთან უნაყოფო მისვლის საშუალოდ 11,8 რაოდენობა განახორციელეს. ეს შედეგებიც იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ თანააქტიობაში მყოფი თავგები, გარდა იმისა, რომ უფრო ხშირად სვამდნენ წყალს ელექტროშოკის მიღებით, საერთოდ უფრო ინტენსიურ აქტიობასაც იჩენდნენ წყლის დაღვევის მცდელობისას და, ამავე დროს, ძალიან გვიან ისწავლეს ტყუილუბრალოდ ელექტროშოკის მიღების თავიდან აცილება.

რასმუსენს მოტანილი აქვს გრაფიკი, სადაც აღრიცხულია ექსპერიმენტის პირველი 50 წუთის განმავლობაში იზოლირებულად და ჯგუფურად მოქმედი თავგების რეაქციები. როგორც გრაფიკიდან ჩანს, თანააქტიობაში მყოფი თავგებიდან თითოეული, საკნის სიტუაციის გაცნობის შემდეგ, 47-ჯერ მიუახლოვდა წყლიან თევზს, მიიღო ელექტროშოკი და უკან დაბრუნდა ისე, რომ არ დაუღვევია წყალი. მათ საშუალოდ მხოლოდ 48-ე მისვლის შემდეგ შეძლეს პირველად წყლის დაღვევა. წყლის მეორედ დაღვევამდე ისინი საშუალოდ 50-ჯერ მივიდნენ თევზთან დასაღვევად, მაგრამ უკან დაბრუნდნენ ელექტროშოკის მიღების გამო და ა. შ. როგორც გრაფიკიდან ჩანს, უნაყოფოდ ელექტროშოკის მიღების შემთხვევები, ე. ი. წყლიან თევზთან მისვლის ცდები ისე, რომ წყალი არ დაუღვევიათ, თანააქტიობის ჯგუფში მყოფ თავგებს ბევრჯერ უფრო მეტად ჰქონდათ, ვიდრე მარტო მყოფ თავგებს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯგუფში მყოფი თავგების უნაყოფო და მავნე მოქმედებათა შემთხვევები ბოლოს და ბოლოს მცირდება და დაახლოებით უთანაბრდება მარტო მყოფი თავგების მცდელობათა რიცხვს.

ამ ექსპერიმენტის შედეგებში, თუ კარგად დავუკვირდებით, ის ორივე შედეგია ერთდროულად მოცემული, რომელზეც უკვე დაწვრილებით ვილაპარაკეთ. თანააქტიობაში მყოფი თავგები ჯგუფის სხვა წევრებთან ყოფნის გამო უფრო აქტიურები ხდებიან. ისინი ორჯერ უფრო ხშირად სვამენ წყალს და საერთოდაც უფრო მეტ აქტიობას იჩენენ. მაგრამ ამავე დროს უფრო გვიან ისწავლობენ უაზრო, მავნე მოქმედების თავიდან აცილებას. ისინი ბევრად უფრო ხშირად იღებენ ელექტროშოკს ისე, რომ ამას წყლის დაღვევა არ მოსდევს და გვიან ისწავლობენ ელექტროშოკის თავიდან აცილებას. მაგრამ ამ ექსპერიმენტის მთავარი შედეგი მაინც ისაა, რომ თანააქტიობის პროცესში მყოფი თავგები ბევრად უფრო ადვილად ძლევენ ელექტროშოკის მიღების შიშს და ფაქტიურადაც ბევრად უფრო დიდხანს იტანენ ელექტროშოკს, ვიდრე მარტოდ მყოფი.

თავები. რასაკვირველია, შეუძლებელია იმის შესახებ ლაპარაკი, რომ თავებს სხვებთან ყოფნის გამო ექმნებათ გვირობისა და სიმამაცის გამოჩენის მოთხოვნილება. სხვა ინდივიდებთან თანააქტიობის პროცესში ისინი უბრალოდ უფრო აქტიური ხდებიან. მათ უძლიერდებათ აქტი-



გრაფიკი 3

ობის ტენდენციაც და მავნე ზემოქმედების ატანის უნარიც. ასეთ ვითარებაში ინდივიდი საზოგადოოდ, როგორც ფსიქოფიზიკური ერთეული, უფრო აქტიური ხდება.

ამ ეფექტს ადგილი აქვს ფსიქიკური აქტიობის ყოველ დონეზე, როგორც დაბალი განვითარების ცხოველებთან, ისე ადამიანებთან.

ამ მონაცემების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანის ბიოფსიქიკური და სოციალურ-ფსიქიკური ტენდენციები ხშირად სულაც არ წარმოადგენს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს, რის დამტკიცებასაც ასე ხშირად ცდილობენ. თანაარსებობისა და თანააქტიობის ეს ეფექტები, მართალია, არააარსებითი, მაგრამ ერთ-ერთი დამხმარე ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის სოციალური ურთიერთობის ფორმირება-ჩამოყალიბებას. ეს ეფექ-

ტები, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა წმინდა სოციალურ-ფსიქოლოგიური, არამედ ბიოფსიქიკური ბუნების მოვლენებია. ეს ეფექტები ეხმარება ადამიანებს უკეთესად შეეგუონ გარემოს, უკეთ მოახდინონ შინაგანი ძალებისა და შესაძლებლობების ორგანიზება გარკვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში. ამავე დროს ისანი გარკვეულ როლს ასრულებენ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის განმტკიცებაში და ამიტომ მათ თავისებურებათა შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა გაგებისათვის.

5. 1. 2. სწავლა და სოციალური გაგებები

როგორც დავინახეთ, სხვა ადამიანის გავლენა ინდივიდის სწავლის პროცესზე უარყოფით ხასიათს ატარებს. სწავლა უფრო ნაყოფიერად როდესაც იგი ინდივიდუალურად, სხვა ადამიანებისაგან იზოლირებულად მიმდინარეობს. მაგრამ სოციალური გარემოს ზემოქმედება სწავლის პროცესზე ნათლად არ იქნებოდა გათვალისწინებული, თუ არ განვიხილავდით თვითონ სოციალიზებული სწავლის პროცესს. როგორც ცნობილია, სწავლის პროცესი ხშირად თვითონ არის სოციალიზებული. სწავლის პროცესს ადამიანები ზოგჯერ ერთად ახორციელებენ. სწავლის პროცესი ხშირად არა თანაარსებობის, არამედ თანამშრომლობის სახით ხორციელდება. სწავლის ასეთ პროცესში ადამიანები იყენებენ სხვისი წარმატების ან წარუმატებლობის მავალით, მხედველობაში იღებენ ახვის შეცდომებს და მიღწევებს, რის საფუძველზეც მათი სწავლის პროცესი ბევრად უფრო მეტი ნაყოფიერებით ხასიათდება. თუ აქ იმასაც გავიხსენებთ, რომ სწავლის პროცესი ხშირად სწავლების გზით ხორციელდება, რომლის დროსაც სხვა ადამიანი სპეციალურად ცდილობს დიდებითი გავლენა მოახდინოს, ორგანიზებული და ნაყოფიერი გახადოს ადამიანის სწავლის პროცესი, მაშინ ნათელი გახდება, რომ ადამიანთა ურთიერთქმედება საზოგადოდ დადებით გავლენას უნდა ახდენდეს არა მარტო მათი მოქმედების განხორციელებაზე, არამედ სწავლის ზოგიერთ პროცესებზეც.

ცოცხალი ინდივიდის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, როგორც ცნობილია. იმაში მდგომარეობს, რომ ის სარგებლობს წარსული გამოცდილებით. ინდივიდი აგროვებს გამოცდილებას და სათანადოდ იყენებს საქმიანობის პროცესში. მაგრამ ისიც ცნობილია და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე ნათლად დასტურდება, რომ ცოცხალი ინდივიდს შეუძლია სარგებლობის მიღება არა მხოლოდ თავისი წარსული, არამედ სხვისი გამოცდილებიდანაც. ამიტომ სწავლის პროცესის ისეთი სახით ორგანიზება, სადაც სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ წვლ-

ლის შეტანა, საერთო სწავლის პროცესში, საფიქრებელია, დადებით გავლენას მოახდენს სწავლაზე. თანამშრომლობის სახით ორგანიზირებულ სწავლის პროცესში სხვისი აქტიობის დადებითი გავლენის ფაქტები ნაჩვენებია იქნა გურნის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში. მან შეისწავლა ინდივიდუალური და კოლექტიური სწავლის პროცესი¹. გურნი თავის ცდისპირებს ავალებდა ლაბირინთის კონსტრუირების სწავლას. ლაბირინთი, რომლის სწორი გავლა მის სწორ კონსტრუირებასაც გულისხმობდა, ოცი წყვილი რკინის ღეროსაგან შედგებოდა. ყოველ რკინის ღეროს თავზე ჰქონდა მოძრავი საკეტი, რომელიც შესაძლებელი იყო ცდისპირს მომდევნო წყვილის რომელიმე ღეროსთან შეეერთებინა ლაბირინთს ჰქონდა „სასიგნალო“ სინათლე. თუ ცდისპირი წინა რკინის ღეროს „სწორად“ შეაერთებდა ერთ-ერთ მომდევნოსთან, აინთებოდა სასიგნალო სინათლე. თუ შეერთება არასწორად მოხდებოდა, არ ინთებოდა. ყოველი საფეხურის შემდეგ გარკვეული რკინის ღეროსთან დაკავშირება სწორ გზად ითვლებოდა. სუბიექტის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ესწავლა საფეხურის ყოველი გავლის შემდეგ მარჯვნივ წასულიყო, თუ მარცხნივ (მარჯვენა მხარეს აგებულ რკინის ჯოხთან უნდა დაეკავებინა წინა ჯოხი, თუ მარცხენასთან).

გურნის მიერ ამავე წესით შედგენილი იყო ე. წ. რიცხვების ლაბირინთი. ის ცდისპირებს გარკვეული რიცხვის შემდეგ აძლევდა ორნიშნა რიცხვების წყვილს. ცდისპირს მოცემული წყვილიდან უნდა შეერჩია „სწორი რიცხვი“. არჩევანი სწორი იყო თუ არა, ამას ცდისპირს ცდის ხელმძღვანელი ეუბნებოდა. ცდისპირს ამ ცდებშიც, მსგავსად წინა ცდისა, ყოველ საფეხურზე უნდა მოენახა მოცემული წყვილიდან „სწორი რიცხვი“ და ასე გასულიყო ბოლომდე ოცი წყვილი რიცხვების გასწვრივ.

გურნის ცდისპირები ამ ამოცანებს ცალ-ცალკე და ჯგუფურად სწავლობდნენ. ჯგუფური მუშაობის დროს ჯგუფში ცხრიდან თითხმეტ კაცამდე იყო გაერთიანებული. მუშაობის დროს თითოეული ცდისპირი გამოთქვამდა თავის აზრს ხმამაღლა და შემდეგ ჩაწერდა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ლაბირინთის გავლა. ამის შემდეგ ხდებოდა მათი მცდელობის შემოწმება, მცდარობის ან სისწორის დადასტურება. რაკი თანააქტიობის ჯგუფში ყველა ხმამაღლა გამოთქვამდა სავარაუდო აზრს, ამიტომ ყველა ინფორმირებული იყო, თუ რას ფიქრობდა სხვ. სწორი პასუხის შესახებ. ლაბირინთში ექვსჯერ გავლის შემდეგ ცდისპირებს ევალებოდათ მეშვიდედ ხმამაღლა არ გამოეთქვათ თავისი აზრი; მათ მხოლოდ უნდა ჩაეწერათ თუ საით გადაეხვიათ — მარჯვნივ თუ

¹ Gurnee H. The effect of collective learning upon the individual participants. I. Abnorm. Soc Psychol., 1968, 84, p. 5-9-582.

მარცხნივ. მეშვიდე სერიის ცდის დროს თითოეული ცდისპირი ისევე დამოუკიდებლად წყვეტდა მთელ ლაბირინთში გასვლის ამოცანას, როგორც მარტო, იზოლირებულად მომუშავე ცდისპირები. ჭკუფურად და მარტო ექსპერიმენტის მეშვიდე სერიის ცდის მონაცემთა შედარების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ჭკუფურად მომუშავე ცდისპირებიდან თითოეულმა ლაბირინტის ბოლომდე გასვლის დროს საშუალოდ 5,21 შეცდომა დაუშვა, ხოლო მარტოდ მომუშავე ცდისპირებიდან თითოეული საშუალოდ 6,05-ჯერ შეცდა. აზრის კოლექტიურად, ერთმანეთის გასაგონად გამოთქმის დროს ცდისპირებმა ნაკლები შეცდომა დაუშვეს, ვიდრე იზოლირებულად მომუშავე ცდისპირებმა. რიცხვის ლაბირინთზე მუშაობის დროსაც ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული: თანაქტივობის პროცესში მყოფი ცდისპირების მიერ ლაბირინტის გასვლებში თითოეულ ცდისპირზე საშუალოდ დაშვებულ იქნა 3,19 შეცდომა, ხოლო მარტო მომუშავე ცდისპირების მიერ — საშუალოდ 5,02.

გურნის აზრით, ჭკუფურად მომუშავე ცდისპირები გარკვეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე თავისი პასუხის შერჩევის დროს. ისინი ითვალისწინებენ სხვათა პასუხებს და მათი მხედველობაში მიღება დადებით გავლენას ახდენდა სწორი პასუხის გამონახვის პროცესზე. გურნის აზრით, ჭკუფის უფრო ნაყოფიერ მოქმედებას ისიც უნდა განსაზღვრავდეს, რომ ის ცდისპირი, რომელიც უფრო დარწმუნებულია თავის სისწორეში და, მართლაც, უფრო კარგად ფლობს შესაძლო სწორ პასუხებს, უფრო სწრაფად იძლევა პასუხს და შემდგომში დადებით გავლენას ახდენს სხვების პასუხებზეც. ვინც უფრო ცუდად არის დაუფლებული ლაბირინტის სტრუქტურას, უფრო დაკვივებულია თავის ცოდნაში, ყოყმანობს და გვიან გამოთქვამს აზრს, რის გამოც ნაკლებ გავლენას ახდენს ჭკუფის პასუხებზე. ასეთი ცდისპირები, პირიქით, თვითონ განიცდიან მეტ გავლენას სხვა ცდისპირებისაგან და მოპყვებიან მათ, როგორც ლიდერს.

შემდგომში მრავალი ექსპერიმენტული შრომით დადასტურდა, რომ რაიმე მოქმედების კოლექტიური სწავლის პროცესში, როდესაც თითოეული ინდივიდი სწავლობს არა იზოლირებულად, არამედ სხვის სწავლის გათვალისწინებით, სწავლა ბევრად უფრო ნაყოფიერად ხორციელდება.

სწორედ ასეთ პირობებში ველტმა ჩაატარა ექსპერიმენტები თევზებზე¹. ცდებში გამოყენებული იყო აქვარიუმი-ლაბირინტი. აქვარიუმიში ჩაგდებული იყო ტიხრები, რომლებსაც ცენტრში ხერულები ჰქონდა

¹ Welty Y. C. Experimental explorations into group behavior of fishes: a study of the influence of the group on individual behavior. *Physiol. Zool.*, 1934. 7, 55, 128.

გაკეთებული. ხერელების გავლით შეიძლებაოდა აქვარიუმის ერთი კორიდორიდან მეორეში გასვლა. ხერელები, ჩვეულებრივ დაკეტილი იყო კარებით, რომელთა გაღება ხდებოდა მაშინ, როდესაც თევზებს სინათლის გამლიზიანებელი „სიგნალი“ ეძლეოდათ. თუ თევზი სიგნალის მიცემის შემდეგ ხერელით გაძვრებოდა მეორე კორიდორში, ექსპერიმენტატორი ქიაყულით აჯილდოებდა. სინათლის ანთებიდან ლაბირინტში გასვლამდე ხდებოდა დროის აღრიცხვა. თევზები ლაბირინთში გასვლას სწავლობდნენ მარტო ან ჭგუფურად. ჭგუფები შედგენილი იყო წყვილით, ოთხი ან რვა თევზის შემადგენლობით. თითოეულ ჭგუფზე ჩატარდა რამდენიმე სერიის ცდა, სადაც ხდებოდა სხვადასხვა ფაქტორის ვარიაცია. ერთ სერიაში სასიგნალო სინათლის ხარისხი იცვლებოდა, მეორეში თევზები წინასწარ იწვრთნებოდა ლაბირინთი აქვარიუმის გაცნობა-შეგუებაში, რომლის შემდეგ უნდა ესწავლათ სინათლეზე ლაბირინთში გასვლა; მესამეში ხდებოდა ცდების შორის დროითი ინტერვალების ცვლილება და სხვა.


ასეთი ფაქტორების ცვლილებათა მიუხედავად, ყოველთვის დადასტურდა ჭგუფური აქტიობის მნიშვნელოვანი გავლენა სწავლის პროცესზე. პირველი ორი მცდელობის შემდეგ იმ თევზებმა, რომლებიც მარტო სწავლობდნენ ლაბირინტიდან გასვლას, ამას დახლოებით 113 წუთი მოანდომეს, მაშინ როდესაც იმ ჭგუფის თევზებმა, რომლებიც ლაბირინტიდან გასვლას რვა წევრიან ჭგუფში სწავლობდნენ, ამ საქმეს დაახლოებით 20 წუთი მოანდომეს. ამ ექსპერიმენტების შედეგები გრაფიკშია წარმოდგენილი.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ თევზები, რომლებიც უყურებენ სხვისი სწავლის პროცესს, გაცილებით სწრაფად სწავლობენ ლაბირინტში გავლას, ვიდრე იზოლირებულად მოსწავლე თევზები. გარდა ამისა, ისიც ნათელია, რომ, რაც უფრო დიდია ჭგუფი, მით უფრო მეტია თანამშრომლობის დადებითი ეფექტი სწავლაზე.

ეს შედეგები, თუ კარგად არ გავერკვეთ ვითარებაში, ერთი შეხედვით ამსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ შედეგებს, რომლებიც განვიხილეთ თანააქტიობის ეფექტების დახასიათებისას. მაშინ ნათლად ვნახეთ, რომ თანააქტიობისა და სხვისი დასწრების დროს სწავლის ეფექტი საგრძნობლად უარესდებოდა. უფრო ნათელი რომ გახდეს ამ შედეგების ურთიერთობა და შემუშავდეს ერთიანი, განზოგადებული აზრი ამ მოვლენების შესახებ ამისათვის განვიხილოთ ველტის შემდგომი ექსპერიმენტების სერია.

შემდეგი სერიის ცდებში ველტმა იმ ჭგუფში, რომლებიც ერთად სწავლობდნენ ლაბირინთიდან გასვლას, მოათავსა უკვე „ნასწავლი“ თევზი. ეს თევზი უკვე გაწვრთნილი იყო სინათლეზე ლაბირინტში სწრაფად გავლაში. აღმოჩნდა, რომ თევზების იმ ჭგუფის წევრები, რომ-

ლებთანაც გაწვრთნილი თევზი იყო მოთავსებული, გაცილებით სწრაფად სწავლობდნენ ლაბირინტიდან სწორად გასვლას, ვიდრე ის თევზები, რომლებთანაც ასეთი გაწვრთნილი ინდივიდი არ იყო მოთავსებული. ჭგუფის გაწვრთნილი თევზი, როგორც ექსპერიმენტში აღმოჩნდა,



გრაფიკი 4

მოქმედებდა როგორც გიდი, გზის მაჩვენებელი, რომელსაც მისდევდნენ ჭგუფის სხვა წევრები. გაწვრთნილი თევზის მიდევნებით და მიბაძვით სხვა თევზები სწრაფად სწავლობდნენ ლაბირინტიდან გამოსვლას. ველტმა ეს დებულება კიდევ უფრო ნათელი გახადა შემდგომი ექსპერიმენტით, სადაც ჭგუფში გაწვრთნილი თევზის მაგიერ ლითონის თევზი ჩასვა, რომელიც ექსპერიმენტატორის დახმარებით მოძრაობდა მიზნისაკენ.

ეს ლითონის თევზი იქცა ამ ჭგუფის ლიდერად ისევე, როგორც გაწვრთნილი თევზი, რომელსაც მისდევდნენ სხვა გაუწვრთნელი თევზები და ამიტომ სწრაფად სწავლობდნენ ლაბირინტიდან გამოსვლას.

ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული სხვა ექსპერიმენტებშიც. კოლექტიური სწავლის დროს ჭგუფის წევრები ბაძავდნენ „ნასწავლი“.

გაწვრთნილი ადამიანის მოქმედებას და ამ გზით იყენებდნენ იმ გამოცდილებას, რომელიც სხვას ჰქონდა მიღებული. სხვისი მოქმედების საფუძველზე ადამიანები იღებენ ინფორმაციას სწორი მოქმედების შესახებ, რაც აადვილებს სწავლის პროცესს, დადებითად მოქმედებს სწავლაზე. ამ მონაცემთა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანთა ურთიერთქმედების თავისებურებათა სრული გათვალისწინებისათვის საჭიროა მათი აქტიობის ისეთი სახის განხილვა როგორცაა მიბაძვა.

5. 1. 8. მიზანმა, როგორც სოციალური გავლენის მართ-მართ სახე

წაბაძვა ადამიანის ერთ-ერთ ისეთ თვისებას წარმოადგენს, რომლის ბუნება ჭრჭერობით ბოლომდე არაა გარკვეული. დიდხანს მიჩნეული იყო, რომ ცოცხალ ინდივიდებს მიბაძვის ტენდენცია ინსტინქტურად აქვთ მოცემული; ის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს და უნდა მოიძებნოს მისი მექანიზმები. მილერისა და დოლარდის გამოკვლევების შემდეგ ერთხანს ვაბატონდა აზრი იმის შესახებ, რომ მიბაძვა შეძენილი თვისებაა და მისი კანონზომიერება სწავლის მექანიზმებით უნდა იქნეს ახსნილი. მაგრამ ზოგიერთი მკვლევრის მიერ ცხოველებსა და ფრინველებზე დაკვირვებით მოპოვებულ იქნა მიბაძვის თითქმის უტყუარი თანდაყოლილი ფაქტები, რომლებიც არ შეიძლება სწავლის შედეგად აიხსნას.

მილერმა და დოლარდმა ექსპერიმენტულად შეისწავლეს იმიტაციის საკითხები ვირთხებზე, საიდანაც ასკვნიან, რომ მიბაძვა შეძენილ თვისებას წარმოადგენს. მათ გაწვრთნეს ვირთხები T-ს მსგავს ლაბირინთში დისკრიმინაციის ამოცანაზე. ვირთხები საკვებს იღებდნენ ლაბირინთის ერთ-ერთ მხარეზე გავლის შემდეგ, ხოლო ელექტროშოკს — მეორე მხარეზე გავლის შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც ამ ვირთხებმა ისწავლეს ლაბირინთში გავლა, ამ ნასწავლ ლიდერ ვიროხებთან ერთად მოათავსეს გაუწვრთნელი ვირთხები, რომლებიც ლიდერების უკან იყვნენ მოთავსებული. გაუწვრთნელ ვირთხას შეეძლო გაპყოლოდა გაწვრთნილ ვირთხას ან გაეხვია ლაბირინტის მეორე მხარეზე. ავტორების მიერ აღრიცხული იყო ლიდერის გადავლების პირველი შემთხვევები და დადასტურდა, რომ ვირთხები დაახლოებით 50%-ის შემთხვევაში ბაძავდნენ ლიდერს. მათი აზრით, მიბაძვა ამ ცხოველების თანდაყოლილ ტენდენციას რომ წარმოადგენდეს, მაშინ ვირთხები 50%-ზე მეტ შემთხვევაში უნდა ბაძავდნენ გაწვრთნილ თავებს.

ამ საკითხის უფრო დეტალური შესწავლის მიზნით, მათ შემოიტანეს კონტრიმიტაციის ცნება, რომლის ბუნების ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე ისინი ცდილობდნენ იმიტაციის თანდაყოლილობის დებულების უარყოფას. მათი აზრით, იმიტაციის ფაქტს მაშინ აქვს

ადგილი, როდესაც B ინდივიდი ლაბირინთში ყოველთვის მიდის იმ მხარეზე, საითაც A ლიდერმა გაიარა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ B ბაძავს A-ს. იმ შემთხვევაში, როდესაც B ინდივიდი ყოველთვის მიდის A-ს საწინააღმდეგო მიმართულებით, შეიძლება ითქვას, რომ B ახდენს A-ს კონტრიმიტაციას. მილერმა და დოლარდმა ცხოველებსა და ბაშეებზე მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტების საფუძველზე ცხადყვეს, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება მიბაძვისა და კონტრიმიტაციის მიმართულებით. მათი გაწვრთნის საქმეში. ამ ავტორთა აზრით, მიბაძვის თანდაყოლილი ტენდენცია რომ არსებობდეს. მაშინ ბავშვებისა და ცხოველების გაწვრთნა კონტრიმიტაციის მიმართულებით ბევრად უფრო ძნელი უნდა იყოს, ვიდრე იმიტაციის მიმართულებით. მილერისა და დოლარდის აზრით, გაუწვრთნელ ინდივიდებს იმის გამო ექმნებათ მიბაძვის ტენდენცია, რომ გაწვრთნილი, „ნასწავლი“ ინდივიდის მოქმედების მიბაძვის საფუძველზე ისინი წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე დასმულ ამოცანას. გაწვრთნილი ლიდერების მიბაძვით ინდივიდები სარგებლობას იღებენ, რაც თავის მხრივ ამტკიცებს და აძლიერებს მიბაძვას¹.

მილერისა და დოლარდის გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ 50-დან 60-მდე ცდის შემდეგ ვირთხები 100% -ში ბაძავდნენ ლიდერს. ლიდერი ყოველთვის იმიტომ უხვევდა ლაბირინტში გარკვეული მიმართულებით, რომ მან ადრე ისწავლა აღნიშნულ მხარეზე საკვების მიღება, მაგრამ რითაა გამოწვეული მღვერის ქცევის სტერეოტიპიურობა? მეორე ვირთხამ ისწავლა მხოლოდ მიღვენება და ბრმად ბაძავს ლიდერს? თუ მანაც მიბაძვის საფუძველზე, მსგავსად ლიდერისა, საკვების მონახვა ისწავლა? ამ საკითხის გარკვევას ჩარჩის გამოკვლევა ემსახურება¹. ჩარჩმა ეს საკითხი იმავე მეთოდით იკვლია. მან გაწვრთნა 6 ვირთხა ლაბირინტის გარკვეულ მხარეზე გავლაში. ეს ვირთხები შემდგომში გამოყენებულ იქნა, როგორც ლიდერები, რომლებსთვისაც უნდა მიეძაძათ სხვა ვირთხებს.

ლაბირინტის დასაწყისში გამოყოფილი იყო ორი სექტორი. წინა სექტორში მოთავსდა ლიდერი, ხოლო უკანა სექტორში — გაუწვრთნელი ვირთხა. ჰამის შემდეგ მწყურვალე თავგები თავსდებოდნენ ამ სექტორებში. ექსპერიმენტატორი გაუხსნიდა მათ სარკმლებს და ვირთხებს შეეძლოთ ლაბირინტში გასვლა. გაწვრთნილი ვირთხა მიდიოდა და უხვევდა იმ მიმართულებით, რომელ მხარეზე გავლაშიც იყო გაწვრთნილი. მეორე ვირთხას შეეძლო გაპყოლოდა ან გაეხვია მეორე მიმართულებით. როდესაც მეორე ვირთხა მიჰყვებოდა ლიდერს, ლაბირინტის იმ მხარე-

¹ Miller N. E. and Dolard Y. Social learning and imitation. N—Y, 1941, p. 217.

ზე ის მოხვდებოდა მისთვის განკუთვნილ სექტორში, მექანიკურად გაიღებოდა წყლის ქურქელი, საიდანაც მას შეეძლო წყლის დაღვევა. თუ ვირთხა არ გააჰყვებოდა ლიდერს და ლაბირინთის მეორე მხარეს გადაუხვევდა, ის მოხვდებოდა ლაბირინთის საწინააღმდეგო მხარის სიმეტრიულ სექტორში, სადაც ის არ იღებდა წყალს.

აღნიშნული ცდები ტარდებოდა რხუთმეტი დღის განმავლობაში. ყოველდღე ტარდებოდა ათი ცდა, რომელთაგან თითოეული დაახლოებით 3 წუთს გრძელდებოდა. პირველ დღეს მეორე ვირთხები დაახლოებით 40%-ის შემთხვევაში უხვევდნენ ლაბირინტის იმ მხარეს, საითაც ლიდერი მიდიოდა, მეორე დღიდანვე მკვეთრად დაიწყო მიბაძვის შემთხვევათა ზრდა და 14—15 დღის შემდეგ მღვევარი ვირთხები 100% შემთხვევაში ბაძავდნენ ლიდერს. 15 დღის შემდეგ ექსპერიმენტატორების მიერ ცდაში ახალი ფაქტორი, სინათლის გამლიზიანებელი იქნა შეტანილი. ვირთხები, რომლებიც გაწვრთნილი იყვნენ მიბაძვაში, გაყვეს ორ ჯგუფად. ამ ექსპერიმენტში ერთ-ერთ ჯგუფს, რომელიც ლიდერს მისდევდა, ეძლეოდა სინათლის გამლიზიანებელი იმავე მხარეს, საითაც ლაბირინტში მისი ლიდერი ვირთხა გადაუხვევდა ხოლმე. მეორე ჯგუფის ვირთხებს სინათლის გამლიზიანებელი საწინააღმდეგო მხარეს ეძლეოდათ. ასეთი სახის ცდები 10 დღის განმავლობაში ტარდებოდა. ამ ცდებში ერთ-ერთი ჯგუფის ვირთხები სინათლის გამლიზიანებელს ყოველთვის აღიქვამდნენ ლაბირინთის იმ მხარეს, საითაც მისი ლიდერი ვირთხა და თვითონ გადაუხვევდნენ ხოლმე. მეორე ჯგუფის ვირთხები სინათლის გამლიზიანებელს მათი ლიდერებისა და მათ მიერ არჩეული გზის საწინააღმდეგო მხარეს აღიქვამდნენ. 10 დღის განმავლობაში ასეთი ვარჯიშის შემდეგ ვირთხებს ლაბირინტში ლიდერის გარეშე ათავსებდნენ. მათ ამ შემთხვევაში მხოლოდ სინათლის გამლიზიანებლები ეძლეოდათ.

ამ ექსპერიმენტის მიზანი იყო იმის გარკვევა, ვირთხებმა მხოლოდ მიბაძვა ისწავლეს, ლიდერის გამოდევნება, თუ ამავე დროს წყლის მოძებნა სინათლის გამლიზიანებლის მიხედვით. სინათლის გამლიზიანებელთა ცვალებადობის საფუძველზე დადგინდა, რომ ვირთხები საშუალოდ 80%-მდე სინათლის გამლიზიანებლის მიხედვით სწორად ორიენტირებდნენ ლაბირინტში და ახერხებდნენ წყლის მონახვას. ვირთხების ერთი ჯგუფი შესატყვისად სინათლისკენ უხვევდა, ხოლო მეორე უმეტესად საწინააღმდეგო მხარეს, რაც იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ ლიდერის მიდევნების პროცესში მათ ისწავლეს ცდის სიტუაცია; დაეუფლნენ სინათლის გამლიზიანებლის სწორ გამოყენებას წყლის მონახვის პროცესში. გაწვრთნილი ვირთხა, ლიდერი, რომელსაც ისინი ბაძავდნენ ლაბირინტში მოწრაობის დროს, მათთვის ლიდერის გარდა იყო მასწავლებელი, რომელიც თავისი სწორი მოქმედებით მათ „ყურადღებას“

მიაქცევდა სიტუაციის ისეთ გამლიზიანებლებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს გარემოში ორიენტაციისათვის. ჩარჩის აზრით, ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ მიბაძვის პროცესში ხდება არა მხოლოდ სწორი მოქმედების ბრმად მიბაძვა და მისი სწავლა, არამედ ამ მოქმედების შესატყვისი სიტუაციისთვის დაკავშირება. ამ შემთხვევაში აღგილი აქვს ე. წ. თანმხლები სწავლის ფაქტს. თანმხლები სწავლა თან ახლავს მიბაძვის მოქმედებას მიბაძველი ინდივიდის სურვილისა და განზრახვის გარეშე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიბაძვა, როგორც სოციალური გავლენა. გარკვეულ დადებით ზემოქმედებას ახდენს ინდივიდის შეგუებისა და სწავლის პროცესზე. ინდივიდი ამ დროს სწრაფად ეუფლება სიტუაციისათვის შესატყვისს ქცევას, სწავლობს გარემოს სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სიტუაციაში ორიენტირება. მიბაძვის დროს ინდივიდს, მართალია, ხშირად სრული-ხდაც არა აქვს სწავლის ამოცანა, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, სწავლის ეს ფაქტი მიბაძვითი აქტიობის თანმხლებ ეფექტს წარმოადგენს. თანმხლები სწავლა საერთოდ დიდ როლს ასრულებს ინდივიდის გამოცდილების შექმნის პროცესში.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თანმხლები სწავლის ბუნება, საჭიროა მისი განხილვა სწავლის ქცევასთან მიმართებაში.

ცნობილია, რომ ადამიანის ქცევის ფორმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღგილი სწავლის ქცევას უკავია. უზნაძე ადამიანის ქცევის ფორმების განხილვისას ქცევის ორ დიდ კატეგორიას განასხვავებს. ესენია ქცევის ინტეროგენული და ექსტეროგენული ფორმები. ქცევის ინტეროგენულ ფორმებს ადამიანის ფუნქციობის, აქტიობის მოთხოვნილებები ედება საფუძვლად. ფუნქციონალური მოთხოვნილებისა და სათანადო სიტუაციის პირობებში ადამიანს ექმნება გარკვეული ქცევის განწყობა და მის საფუძველზე განხორციელებული აქტიობა შეიძლება ინტეროგენული ქცევის ფორმებს მიეკუთვნოს.

ქცევის ექსტეროგენულ ფორმებს ადამიანის სუბსტანციური მოთხოვნილებები ედება საფუძვლად. სუბსტანციურ მოთხოვნილებას საგანზე, ობიექტურ მოვლენებზე მოთხოვნილება წარმოადგენს. ამგვარი მოთხოვნილებისა და სათანადო სიტუაციის შეზღვედრის შემთხვევაში ადამიანს ექმნება საგნობრივ სინამდვილეზე ორიენტირებული ქცევის განწყობა. ამგვარი განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა ექსტეროგენული ქცევის ფორმებს მიეკუთვნება. ინტეროგენული ქცევის ფორმების ტიპურ სახეს თამაში წარმოადგენს, ექსტეროგენული ქცევის ტიპურ ფორმად კი შრომა უნდა ჩაითვალოს. უზნაძე ადამიანის

ქცევის ფორმების კლასიფიკირების დროს სწავლის ქცევას თამაშისა და შრომის ქცევის ფორმებს შორის ათავსებს¹.

თამაშის პროცესში ადამიანი თავისი ფუნქციონალური ტენდენციების ამოქმედებას ახდენს, აქტიობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. საგნობრივი სინამდვილე მისთვის ერთგვარ ფორმას წარმოადგენს, სადაც ხდება ამ შინაგანი ტენდენციებისა და მოთხოვნილების რეალიზაცია. შრომითი ქცევის დროს კი ადამიანი ძირითადად საგნობრივ სინამდვილეზეა ორიენტირებული. შრომითი ქცევა საგანზე მოთხოვნილებით არის გაპიროვნებული, ამ დროს ადამიანი ისეთი ობიექტური ღირებულების მქონე პროდუქციას ქმნის, რომელიც მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებებისათვის საზოგადოდ არის გამოსადეგი.

სწავლის ქცევა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ინტეროგენული და ექსტეროგენული ქცევის ფორმებს შორის. ეს ქცევა თავის იმპულსებს როგორც ფუნქციობის, ისე საგნობრივი მოთხოვნილებებიდან იღებს. ცნობილია, რომ ასაკობრივი განვითარების პროცესში ბავშვის სწავლის საგნად ძირითადად სხვადასხვა სახის მოქმედება იქცევა ხოლმე. მაგალითად, შვიდ წლამდე ბავშვი ძირითადად საგნობრივი სინამდვილის აღქმად თვისებებს სწავლობს. ამ დროს ის ისეთ მოქმედებებს ეუფლება, რომლებიც სინამდვილის გრძნობადი მონაცემებისადმი არის ორიენტირებული. მომდევნო ასაკში ბავშვი სინამდვილის ზოგადმიმართებით მხარეებს ეუფლება და ისეთ მოქმედებებს სწავლობს, რომელიც სინამდვილის არათვალსაჩინო, მიმართებითი მხარეების გაოვალისწინების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. ეს გარემოება ძირითადად იმითაა გაპირობებული, რომ ბავშვი, როგორც არსებითად სენსომოტორული არსება, ყალიბდება შვიდ წლამდე. ის სენსომოტორული აქტიობისათვის, გრძნობადი შემეცნებისათვის საჭირო ძალების ფუნქციობის ტენდენციით ხასიათდება. ამიტომაც, რომ ამავე დროს ის ამ ძალებისადმი შესატყვისი სინამდვილის, გრძნობადი მონაცემების თავისებურებებს სწავლობს.

შვიდი წლის ასაკიდან ხდება ინტელექტუალური უნართა განვითარება და შესატყვისი ძალების ფუნქციობის ტენდენციის აღმოცენება, რის გამოც ბავშვის სწავლის ობიექტად სინამდვილის მიმართებითი მხარეები იქცევა. ის ამ დროს ინტელექტუალური აქტიობისათვის საჭირო მოქმედებებს ეუფლება. ამ თვალსაზრისით სწავლა ინტეროგენული ქცევის ფორმებს ჰგავს, მაგრამ, ცხადია, სწავლის ქცევა მხოლოდ შინაგანი

¹ დ. უზნაძე, ადამიანის ქცევის ფორმები, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1940, გვ. 1—39.

ძალების ამოქმედების მოთხოვნილებით არ შეიძლება იქნეს გაგებულ-
ლი. სწავლის ამოცანა ცოდნა-ჩვევების შექმნაში მდგომარეობს. სწავ-
ლის ქცევას სუბიექტი იმისათვის განახორციელებს, რომ მას რაიმე
ჩვევის ან ცოდნის დაუფლება სურს. მას ცოდნა-ჩვევის შექმნის მოთ-
ხოვნილება აქვს. სწავლის ქცევა ამ მოთხოვნის საფუძველზე დადგინდება
საშუალებას წარმოადგენს. ადამიანი ამ პროცესში, ისევე როგორც
შრომის დროს, გარკვეულ ღირსებაზე, პროდუქტზე, ცოდნა-ჩვევის მი-
ღებაზე არის ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, სწავლის ქცევა შრო-
მას ენათესავება და ის ექსტეროგენული ქცევის ფორმებში შეიძლება
იყოს შეტანილი.

ამრიგად, როგორც ირკვევა, სწავლის ქცევა, ერთ მხრივ, საგნობრი-
ვი შინაარსით არის განსაზღვრული, რომელიც ადამიანს გარედან ობი-
ექტური მოცემულობის სახით ეძლევა. ამ საგნობრივი სინამდვილი-
სადმი მოთხოვნილება გავლენას ახდენს ადამიანის სწავლის მოქმედება-
ზე. მეორე მხრივ, სწავლის ქცევა გაპირობებულია სუბიექტის ფსიქი-
კური ძალების ამოქმედების ტენდენციებით, მისი ფუნქციონალური
აქტიობით, რის გამოც ხდება ამ ფუნქციების გავარჯიშება-განვითარე-
ბა. სწავლის ქცევა ექსტეროგენული და ინტეროგენული ქცევის ფორ-
მებს შორის გარდამავალ ადგილს იკავებს.

სწავლა აქამდე ჩვენ განვიხილეთ, როგორც ქცევის დამოუკიდებელ-
ი ფორმა, მაგრამ არსებობს ფსიქიკური აქტიობის ერთ-ერთი სახე —
თანმხლები სწავლა, რომელიც უშუალოდ სწავლის ქცევასთან არ არის
დაკავშირებული და ფსიქიკური აქტიობის ზოგად თვისებას წარმო-
ადგენს.

სწავლის ქცევას, როგორც ქცევის თავისებურ დამოუკიდებელ
ფორმას, მხოლოდ სუბიექტი ან პიროვნება მიმართავს. სწავლის ქცევა
ფსიქიკური აქტიობის პირველ დონეზე არ გვხვდება. ინდივიდი ფსიქი-
კური აქტიობის პირველ დონეზე არ ისახავს სწავლის ამოცანას. საგან-
ზე უშუალო მოთხოვნილებათა საფუძველზე ის, ჩვეულებრივ, იმპულ-
სურ, ე. წ. მომსახურების ქცევას ახორციელებს, ან ფუნქციონის მო-
თხოვნილების საფუძველზე და, მაშასადამე, სათანადო განწყობის
შექმნის შემდეგ, თამაშის ქცევას მიმართავს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ
ინდივიდი, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად სწავლის ქცევას არ
მიმართავს, მაინც აგროვებს გამოცდილებას და იძენს ახალ ჩვევებს. ამ
ეფექტს ფსიქოლოგიაში თანმხლებ სწავლას უწოდებენ.

როდესაც ცოცხალი ინდივიდი რომელიმე მოთხოვნილების დაკმა-
ყოფილების მოქმედებას გარკვეული სტერეოტიპული წესით ახდენს, ამ
მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა სწავლობს მოქმედების იმ
მანერას, რომლითაც ეს აქტიობა სრულდება. მაგალითად, როდესაც
თავი T-სებურ ლაბირინთში მარჯვენა მხარეს წასვლისას ელექტრომოც...

იღებს, ხოლო მარცხენა მხარეს გასვლისას — საკვებს, მისი აქტიობიდან არასწორი მიმართულების (მარჯვნივ წასვლა) უკუგდება და სწორ მოქმედებათა განმტკიცება ხდება. ლაბირინთის სიტუაციის დისკრიმინაციადიფერენცირება და სწორ მოქმედებათა განმტკიცება, ე. ი. ლაბირინთის ვავლის სწავლა მისი საერთო აქტიობის თანმხლებ ეფექტს წარმოადგენს. მისი საერთო აქტიობა ქამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება: ემსახურება, მაგრამ ასეთი ქცევის მრავალგზისი განმეორების საფუძველზე ხდება არა მხოლოდ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ იმ მოქმედების სწავლაც, რომელიც შეიძლება აღნიშნული ქცევის თანმხლებ მოვლენად ჩაითვალოს. თანმხლები სწავლის უნარი სათანადო განწყობის ფიქსაციისთვის ეყრდნობა. თავის მიერ ლაბირინთში ვავლის სწავლა შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც სათანადო განწყობის დიფერენციაციისა და ფიქსაციის პროცესი. ასეთი განწყობის ფიქსაციის შემდეგ თავი უკვე ადვილად ახერხებს შექმდომში ამ ქცევის განხორციელებას. გამოცდილება, რომელსაც ცოცხალი ინდივიდი ქცევის თანმხლები სწავლის საშუალებით აგროვებს, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სათანადო განწყობათა ფიქსირებული სისტემა, რომელთა საფუძველზეც ინდივიდი ადვილად ორიენტირებს ჩვეულ სიტუაციაში. თანამხლები სწავლა ცოცხალი ორგანიზმის უნივერსალური თვისებაა.

თანმხლები სწავლის ბუნების გარკვევის შემდეგ ნათელი ხდება, რომ წაბაძვა, როგორც ინდივიდთა ურთიერთქმედების გარკვეული ფორმა, საშუალებას აძლევს ინდივიდს დადებითად გამოიყენოს სხვისი გამოცდილება. მისდაში მიბაძვისა და თანმხლები სწავლის საფუძველზე ის ახდენს გარემოში უკეთეს ორიენტაციას და უკეთ ეგუება მას. გაწვრთნილი ინდივიდის წაბაძვის საფუძველზე ინდივიდის მოქმედება უფრო ნაყოფიერი ხდება, რასაც თანმხლები სწავლა მოსდევს.

თანაარსებობა და თანააქტიობა, როგორც ვნახეთ, უაყოფით გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე, მაგრამ თანააქტიობის ისეთ პროცესში, როდესაც ინდივიდები ხედავენ, აღიქვამენ სხვის მოქმედებას, სარგებლობას იღებენ სხვისი გამოცდილებიდან. უკეთესად გაწვრთნილი „ნასწავლი“ ინდივიდისადმი მიბაძვის საფუძველზე ისინი არა მხოლოდ უკეთ ახორციელებენ კონკრეტულ იმპულსურ მოქმედებას, არამედ ადვილად და წარმატებით სწავლობენ სწორ მოქმედებას. თანააქტიობის ისეთ ვითარებაში, როდესაც ინდივიდები ერთმანეთს განიცდიან ისეთ ინდივიდებად, რომლებიც ერთნაირ ამოცანას ასრულებენ, თანამშრომლობას იწყებენ. თანამშრომლობის ამ უელემენტარულესი ფორმის შემთხვევაში, რაც ინდივიდთა ერთმანეთისადმი წაბაძვის სახით ხორციელდება, ხდება მათი როგორც მოქმედების, ისე სწავლის ნაყოფიერების გაზრდა.

ინდივიდთა სოციალური გავლენის ფორმათა განვითარება-გაძლიერების კვალობაზე, როგორც ამას შემდგომში კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, რაც განსაკუთრებით ჩანს სოციალური ურთიერთქმედების პროცესში, სულ უფრო ძლიერდება ინდივიდთა ურთიერთზე სასარგებლო გავლენა. თანამშრომლობის პირობებში, გარდა იმისა, რომ საქმიანობის შემდგომი ორგანიზებისა და რაციონალური განაწილების გამო ხდება ადამიანთა მოქმედების ნაყოფიერების გაზრდა, ხდება ინდივიდთა ისეთი ურთიერთგავლენა, რაც იწვევს მათი პრაქტიკული და სწავლითი საქმიანობის ნაყოფიერების ზრდას. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანთა სოციალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზე როდი მოქმედებდა მხოლოდ სოციალური ცხოვრების ობიექტური საჭიროება, რომელიც თავისთავად მაინც ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირებაში ადამიანთა სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე დადებითად მოქმედებს ის ფსიქოფიზიკური კანონზომიერებებიც, რომლებიც ინდივიდების ბიოლოგიური აქტიობის დონეზე რეაგირებენ. თანააქტიობისა და თანამშრომლობის პროცესი დადებით გავლენას ახდენს თვით ინდივიდის ფსიქოფიზიკურ აქტიობაზე. ასეთ კანონზომიერებათა არსებობა კოლექტიური აქტიობის განვითარების ერთ-ერთ დამატებით პირობას წარმოადგენს.

ადამიანთა სოციალური ურთიერთობის პროცესში თანამშრომლობა და ურთიერთქმედება ბევრად უფრო ძლიერდება და რთულდება. იზრდება ადამიანთა ურთიერთწაბაძვისა და ურთიერთგავლენის ძალა. ეს ტენდენცია კარგად არის შემჩნეული და მას უკანასკნელ ხანებში კონფორმულობის სახელწოდებით აღნიშნავენ.

5. 1. 4. კონფორმულობა, რომელიც წაბაძვის სოციალური ფორმაა

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სოციალური ცხოვრების პროცესში ადამიანები იმეორებენ სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის აზრებს; ისეც კი, რომ არ სჯერათ ამ აზრების ქვეშაირტება. სხვისი მსჯელობებისადმი წაბაძვას ხშირად მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც ასეთი აზრის გამოთქმის გამო ადამიანები მოცემულ შემთხვევაში არ იღებენ რაიმე სარგებლობას. სოციალური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენლის—აშის გამოკვლევების შემდეგ ცნობილი გახდა სოციალური წაბაძვის ამგვარი ფაქტი. რაც კონფორმულობის სახელწოდებით არის ცნობილი.

აში თავის ექსპერიმენტებში¹ ცდისპირებს სთხოვდა შეედარებინათ სხვადასხვა სიგრძის ხაზები ერთმანეთთან და ეთქვათ, რომელი ხაზებია ერთმანეთის ტოლი. ცდისპირებს აძლევდნენ ორ ფურცელს. ერთ-ერთ ფურცელზე დახაზული იყო გარკვეული სიგრძის, ე. წ. „სტანდარტული“ ხაზი, მეორეზე—სამი სხვადასხვა სიგრძის ხაზი, რომლებსაც აქვთ ნომრები 1, 2 და 3. ცდისპირებს ევალეობდათ გამოენახათ სტანდარტული ხაზის სიგრძე მეორე ხაზი და დაესახელებინათ მისი ნომერი. ხაზები ისე იყო შერჩეული, რომ ცდისპირებისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა მათი სწორი შეფასება. სხვადასხვა ცდაში სტანდარტული ხაზების სიგრძე იცვლებოდა 2, 5 და 25 სმ-მდე. სამი შესადარებელი ხაზიდან, რომლებშიც ცდისპირს უნდა მოენახა სტანდარტულის ტოლი ხაზი, ერთ-ერთი ნამდვილად სტანდარტულის ტოლი იყო. დანარჩენი ორი ხაზი სტანდარტულისაგან განსხვავდებოდა 1-დან 7,5 სანტიმეტრამდე. ცდისპირები, ჩვეულებრივ, სრულიად ადვილად ახერხებენ ამ ამოცანის სწორად გადაწყვეტას, ცდაში გვხვდება შემთხვევითი შეცდომებიც, რომელთა მხედველობაში მიღებით ნათელი ხდება, რომ ცდისპირები 93%-ის შემთხვევაში სწორად ახერხებენ სტანდარტული ხაზის ტოლი შესადარებელი ხაზის დასახელებას.

მაგრამ განსხვავებული შედეგები იქნა მიღებული სპეციალურ კრიტიკულ ცდებში. ცდის ამ სერიაში, ექსპერიმენტში, ერთდროულად 7—9 ცდისპირი მონაწილეობდა. ცდის ხელმძღვანელი, ერთის გარდა, წინასწარ იყო მოლაპარაკებული ყველა ცდისპირთან, რომლებსაც განგებ ყალბი ჩვენება უნდა მიეცათ ტოლი სიგრძის ხაზების შერჩევის დროს. ცდისპირებად სტუდენტები იყვნენ გამოყენებული. ექსპერიმენტატორს ისინი შეჰყავდა აუდიტორიაში და ვითომ შემთხვევით დასვამდა ხოლმე მათ გარკვეული თანმიმდევრობით. ცდისპირები ორ რიგად სხდებოდნენ; ქვემოთ მოცემულია ცდისპირთა განლაგების სქემა. რიცხვებით აღნიშნულია ექსპერიმენტატორთან მოლაპარაკებული ცრუმოპასუხეები. ეს აღნიშნავს კრიტიკულ სუბიექტს, რომელიც საქმის კურსში არ

7	კ ს	6	5	მეორე რიგი
1	2	3	4	პირველი რიგი

სტიმული

იყო ცდის ორგანიზაციის შესახებ და პასუხი უნდა გაეცა იმაზე, თუ შედარებული ხაზებიდან რომელი იყო სტანდარტული ხაზის ტოლი. სტიმული, რომელიც ცდისპირებს კედელზე ეძლეოდათ, სწორედ კრი-

¹ Asch S. E. Studies of independence and conformity. A minority of one against an unanimous majority. Psychol. Monograph. 1958, 70, 9.

ტიკული სუბიექტის პირდაპირ იყო მოთავსებული, რათა სწორედ მას პქონდა კარგი პირობები ხაზების დანახვისათვის.

ექსპერიმენტატორი თანმიმდევრულად ცდის თითოეულ მასალაზე ეკითხებოდა ცრუმოპასუხე ცდისპირებს, როგორც ეს ნუმერაციაშია მოცემული და ისინი პასუხს სცემდნენ კითხვაზე, თუ რომელი ხაზი იყო სტანდარტული ხაზის ტოლი. ისინი შესადარებელი ხაზების ნომერს ასახელებდნენ. კრიტიკულ ცდისპირს კარგად შეეძლო დაენახა, თუ შესადარებელი ხაზებიდან რომელია სტანდარტული ხაზის ტოლი, მაგრამ მის წინ ყველა ცდისპირი სტანდარტული ხაზისაგან განსხვავებულ ხაზს ასახელებდა.

აშის ექსპერიმენტით აღმოჩნდა, რომ 37% ცდისპირებისა უმრავლესობის მიერ ყალბად დასახელებულ ხაზს აცხადებენ სტანდარტული ხაზის ტოლად. სხვა ცდისპირების მიერ გამოთქმული მსჯელობა, აზრი. გავლენას ახდენს კრიტიკული სუბიექტის მსჯელობაზე და ცვლის მას. ამ ფაქტს აში ადამიანის კონფორმულობას უწოდებს. კონფორმულობა გამოხატავს ადამიანის შემთავსებლობის, დამომბლობის, თვისებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი, თუმცა ხედავს საქმის ვითარებას და აქვს საშუალება გამოთქვას სათანადო აზრი ამ ვითარების შესახებ, მაგრამ სხვა ადამიანების, უმრავლესობის აზრის გავლენით, იმეორებს მათ მსჯელობას. ბრძალ მიჰყვება მათ. ამ ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ადამიანები დახასიათდნენ კონფორმულობა-დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. არსებობდნენ მკვეთრად გამონატული კონფორმული და მკვეთრად გამონატული დამოუკიდებელი ადამიანები, რომელთა შორისაც შესაძლებელი ხდება მოთავსდეს ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ დონით ამკლავნებენ კონფორმულობას.

იგივე ფაქტიური მდგომარეობა უფრო გამარტივებული მეთოდიკით დადასტურდა კრაჩფილდის მიერ¹. კრაჩფილდი ამ ცდებს ატარებდა 5 იზოლირებულ კამერაში. ეს კამერები ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული. თითოეულ იზოლირებულ კამერაში მოთავსებულია სასიგნალო მოწყობილობა, რომელზეც არის დანომრილი ღილაკები. მათი საშუალებით ცდისპირს შეუძლია პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რომელი შესადარებელი ხაზია სტანდარტულის ტოლი, ან რომელი შესადარებელი სტიმულები ცდისპირებს ეძლევათ წინ კედელზე და მას ყველა ცდისპირი ხედავს თავისი კამერიდან. ყოველ ჭიბურში, ამავე დროს, არის ნათურათა რიგი, რომელზეც სხვა ცდისპირების პასუხები გამო-

¹ კრაჩფილდის გამოკვლევით შედეგები იხილეთ: Kreeh D. Crutchfield R. S. Ballachy E. L. Individual in Society. N. Y., 1962, p. 505-590.

ახატება. ჯიხურები აღნიშნულია A, B, C, D და E ასოებით. ცდის პროცესში ყოველი ცდისპირი ხედავს, თუ რა პასუხი გასცა სხვა ცდისპირმა დასმულ ამოცანას. ცდის პროცესში ცდისპირები ვალდებულნი არიან ჩუმად იყვნენ და მხოლოდ ნათურების გამოყენებით მოახდინონ მანიპულაციები.

სინამდვილეში ცდისპირები ვერაფერს იგებენ იმის შესახებ, თუ რა აზრისაა სხვა ცდისპირი შესადარებელ სტიმულებზე. გარკვეული მოწყობილობის საშუალებით ექსპერიმენტატორი თვითონ ჩაურთავს ცდისპირებს იმ პასუხებს, რომლებიც თითქოს სხვა ცდისპირებს ეკუთვნის. ყველა სხვა ცდისპირის პასუხი ყოველთვის ურთიერთთან შეთანხმებული და ყალბი გამოდის. ამის გამო, თითოეული ცდისპირი ამ ექსპერიმენტში არის კრიტიკული სუბიექტი და ყალბ შეთანხმებულ პასუხებს სხვა ცდისპირების მაგიერ მას ექსპერიმენტატორი აძლევს. ამის მიერ შექმნილი ექსპერიმენტული სიტუაციის მსგავსად, აქაც ყოველი კრიტიკული ცდისპირი დგება კონფლიქტური მონაცემების წინაშე. ის აღიქვამს ერთ ვითარებას, ხოლო ამავე დროს ეძლევა სხვა ადამიანების. ჩგუფის პასუხები, რომლებიც ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ის აღიქვამს. ასეთ შემთხვევაშიც, კრიტიკული ცდისპირების მიერ გამოთქმული მსჯელობის დაახლოებით მესამედი კონფორმულობით ხასიათდება.

ბოლო ხანებში ფართო მუშაობა გაიშალა კონფორმულობის ფენომენის კანონზომიერებათა შესწავლის მიმართულებით. შესწავლილ იქნა კონფორმულობის მოვლენა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან და სხვ. მაგალითად, ნაჩვენები იქნა, რომ ამერიკელი სამხედრო პირები 74%-ის შემთხვევაში კონფორმულ მსჯელობებს იძლეოდნენ. დადგინდა კონფორმულობის კავშირი გარკვეულ პიროვნულ თვისებებთან, მაგრამ ამ საკითხების განხილვას დიფერენციულ-ფსიქოლოგიური საკითხების სფეროში გადავყავართ. დაახლოებით ამავე მიმართულებით საინტერესო მუშაობა იქნა ჩატარებული სოციალური ფსიქოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლის — შერიფის მიერ. კონფორმულობის საკითხთა საკვლევად შერიფის მიერ ე. წ. ავტოკინეტიკური ეფექტი იქნა გამოყენებული.

ავტოკინეტიკური ეფექტი მოძრაობის ილუზიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ადამიანს სიბნელეში უძრავი ნათელი წერტილის აღქმისას უჩნდება ამ წერტილის მოძრაობის ილუზორული აღქმა. მას ეჩვენება, რომ ეს წერტილი ოდნავ მოძრაობს რომელიმე მიმართულებით და უბრუნდება თავის ადგილს. პირველად ავტოკინეტიკური მოძრაობის ილუზორული ეფექტის შესახებ მიუთითა ასტრონომმა ჰუმბოლდტმა 1799 წელს. ამ ფენომენს პირველად ავტოკინეტიკური ეფექტი სახელი უწოდა აუბერტმა 1858 წელს, ხოლო შარპანტიეს მიერ 1886 წელს ლაბო-

რატორიულ პირობებში ამ ეფექტის შესწავლის შემდეგ ის ცნობილი გახდა ფსიქოლოგიაში.

როდესაც სიბნელეში აღამიანს უჩვენებენ განათებულ უძრავ წერტილს, ის აღიქვამს, რომ ეს წერტილი გარკვეული ამპლიტუდით მოძრაობს. როცა ცდისპირს გარკვეული დროის განმავლობაში სთხოვენ ანგარიშს ავტოკინეტიკური ეფექტის შესახებ, მას უმუშავდება გარკვეული მასშტაბი, მაქსიმალური ზომა, სკალა, რომელშიც ხდება ნათელი წერტილის მოძრაობა. ირკვევა, რომ ეს სკალა მეტისმეტად ინდივიდუალურია და პიროვნების თავისებურებით არის განსაზღვრული. ზოგს დიდი ავტოკინეტიკური ეფექტი აქვს, ზოგს კი — პატარა. ყოველ აღამიანს ავტოკინეტიკური ეფექტის თავისი გარკვეული, ინდივიდუალური ზომა აქვს. შესაძლებელი ხდება მისი ეფექტის საშუალო სიდიდის დადგენა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღამიანი ცოტა განსხვავებული სიდიდის მოძრაობებს აღიქვამს, მაგრამ მოძრაობათა ზომები ერთი გარკვეული საშუალო ზომის ირგვლივ თავსდება. შერიფმა დაადგინა, რომ როდესაც ორი ან სამი ინდივიდი ერთად, კოლექტიურად ახდენს ავტოკინეტიკურ ეფექტზე დაკვირვებას და ხმამაღლა გამოთქვამს მსჯელობებებს ამ ილუზორულ ეფექტის შესახებ, მათ თანდათან უმუშავდებათ ერთმანეთის მსგავსი სკალები. მათ უყალიბდებათ სტანდარტული სკალა, რომელიც განსაზღვრავს მათი ავტოკინეტიკური ეფექტის სიდიდეს.

შერიფმა ამ ფაქტის გათვალისწინების საფუძველზე ჩაატარა ექსპერიმენტული მუშაობა, რომლის დროსაც ის ახდენდა ცდისპირებისათვის სტანდარტული სკალების გამოუმუშავებას¹. ცდისპირის სკალის ჩამოყალიბება ხდებოდა მეორე ინდივიდის გავლენის გზით. ყოველ ექსპერიმენტში ორი ცდისპირი მონაწილეობდა. ამ გზით შეიქმნა ცდისპირთა 7 წყვილი. ორი ცდისპირი ერთად თავსდებოდა ბნელ კამერაში და 5 მეტრის მოშორებით ეკრანიდან მათ უჩვენებდნენ განათებულ წერტილს. ერთ-ერთი ცდისპირი ექსპერიმენტატორთან წინასწარ იყო შეთანხმებული და ის ყოველთვის გარკვეულ პასუხებს იძლეოდა თავისი ავტოკინეტიკური ეფექტის შესახებ. პირველი წყვილი ცდისპირებიდან ერთ-ერთი ყოველთვის ამბობდა, რომ სინათლე 3-დან 7 სმ-მდე მოძრაობდა. ამ ჯგუფისათვის ავტოკინეტიკური ეფექტის საშუალო მაჩვენებელი იყო 5 სმ. მეორე ცდისპირმა არ იცოდა მისი პარტნიორის პასუხთა სიყალბე. გარდა ამისა, მას წარმოადგენდა არა ჰქონდა იმის შესახებ, რომ ავტოკინეტიკური ეფექტი მოძრაობის ილუზორულ განცდას წარმოადგენს. ის დარწმუნებული იყო, რომ ეკრანზე სინათლე მართლა მოძრაობდა.

სხვა ჯგუფებიც შედგენილი იყო ასეთივე „ცრუმოპასუხე“ სუბიექტ-

¹ Sherif M. The Psychology of social norms, N. Y., 1936.

ტებისაგან და გულუბრყვილო ცდისპირებისაგან. აქ ხდებოდა საშუალოდ 7 სმ სიდიდზე მოძრაობის სტანდარტის ჩამოყალიბება. ყოველ შემდგომ ჯგუფში ადგილი ჰქონდა უფრო და უფრო დიდი ზომის სტანდარტის ჩამოყალიბებას. თანმიმდევრულად ხდებოდა 10, 13, 15, 17 და 20 სმ მანძილზე მოძრაობის განცდის ჩამოყალიბება. თითოეული ჯგუფის ცდისპირს 50-ჯერ უხდებოდა მეორე ცდისპირისაგან ზემოქმედების მიღება, მაგრამ „ჩამგონებელი“ სუბიექტი კრიტიკულ ცდისპირს ზოგჯერ საშუალებას აძლევდა მას დაეწყო პასუხების გაცემა, რათა ნათელი არ ყოფილიყო ზემოქმედების ამოცანა. ცდის პროცესში აღმოჩნდა, რომ კრიტიკული ცდისპირი თანდათანობით ეგუებოდა „ჩამგონებას“ და თანდათან ხდებოდა ნაკარნახევი სტანდარტული ნორმის გამომუშავება. შეგუების ეს პროცესი უკონფლიქტოდ, წინააღმდეგობების გარეშე არ ხორციელდებოდა, მაგრამ რადგან კრიტიკულ ცდისპირს არ ჰქონდა მყარი მონაცემები მოძრაობის სიდიდის შესახებ, ის თანდათანობით ეგუებოდა „ჩამგონებას“. მისი სტანდარტი თანდათან ხდებოდა ისეთი, როგორც მას „ჩამგონეს“. ცდის პირველი სერიის შემდეგ იმავე კრიტიკულ ცდისპირებზე ჩატარდა მეორე ცდა „ჩამგონებელი პარტნიორის“ გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ცდისპირები მარტო მოქმედების დროს იძლეოდნენ ჩვენებებს ავტოკინეტიკური ეფექტის შესახებ ამ სტანდარტების მიხედვით, რომლებიც მას ზემოქმედების შედეგად შეუმუშავეს. მაგალითად, იმ ცდისპირმა, რომელსაც შეუმუშავეს 20 სმ მანძილზე მოძრაობის სტანდარტი, ცდის პირველი სერიის განმავლობაში 34%-ის შემთხვევაში დაადასტურა მოცემული სტანდარტის შესატყვისი პასუხი და საშუალოდ 18,5 სმ სიდიდის ავტოკინეტიკურ ეფექტს იძლეოდა. ხოლო ცდის მეორე სერიაში, როდესაც მას უკვე გამომუშავებული ჰქონდა ეს სტანდარტი, და უკვე დამოუკიდებლად, პარტნიორის გარეშე მონაწილეობდა ცდაში, 80%-ის შემთხვევაში, გამომუშავებული სტანდარტის მიხედვით, განიცდიდა ავტოკინეტიკურ ეფექტს და მას საშუალოდ 19,5 სმ სიდიდის ავტოკინეტიკური ეფექტი ჰქონდა.

კონფორმიზმის ეს სახე, რომელიც შერიფის მიერ იყო გამოკვლეული, მართალია, გარკვეული თვალსაზრისით განსხვავდება კონფორმიზმის იმ მოვლენებისაგან, რომლებიც აშშ-ში და კრაჩფილდმა შეისწავლეს, მაგრამ ისინი ერთი და იმავე ფსიქოლოგიური მექანიზმებითაა გამოწვეული. აშშ-ის მიერ გამოკვლეული კონფორმულობის მოვლენაში ცდისპირები უმეტესად იმას არ განიცდიან, რასაც ამბობენ. ზოგჯერ ისინი ეჭვის, გაურკვევლობის მდგომარეობაში ვარდებიან და ისე მისდევენ სხვა ადამიანების, კოლექტივის რეაქციებს. შერიფის მიერ გამოკვლეულ ავტოკინეტიკურ ეფექტში მონაწილე კონფორმულობა ინდივიდის ფსიქიკურ აქტიობაზე უფრო მეტ ზემოქმედებას გულისხმობს. ამ შემ-

თხვევაში კონფორმული ცდისპირი არა მხოლოდ გარეგნულ რეაქციებში ბაძავს ჩამგონებელ ცდისპირს, არამედ არსებით ზემოქმედებას განიცდის მისგან, რის შედეგადაც მას იგივე შეხედულება და მსჯელობები უყალიბდება, რაც სხვა ინდივიდს. ამ შემთხვევაში კონფორმული ღდება მისი შინაგანი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება სხვა ადამიანის რეაქციებისადმი. მას უჩნდება კონფორმული რეაქციების შესატყვისი დარწმუნებულობა და განწყობა, რაც სოციალური ზემოქმედების კიდევ უფრო ინტენსიურ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. ამ განსხვავებულობის მიუხედავად, კონფორმულობის ეს ორივე შემთხვევა სოციალური თვალსაზრისით ერთი და იმავე მიმართულებით მოქმედი ფენომენია; ისინი ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებენ სოციალური ურთიერთობის პროცესში.

კონფორმულობაში ადამიანის სოციალური ტენდენცია მკლავნდება სხვა ადამიანისა და კოლექტივისადმი ანგარიშის გაწევა და დამორჩილება არის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სოციალურ ურთიერთობათა ფორმირებისათვის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ როგორც აბსოლუტური დამოუკიდებლობა სხვა ადამიანებისაგან, ისე მათზე აბსოლუტური დამოკიდებულება უსარგებლოა თვით ინდივიდისთვისაც და სოციალური ჯგუფისთვისაც. სხვა ადამიანებთან თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების პროცესში ხდება სინამდვილისადმი ინდივიდის ადაპტირებული აქტიობის ინტენსიფიკაცია, ხოლო მეორე მხრივ, ყოველი ინდივიდის აქტიური უკუზემოქმედება სოციალურ ჯგუფზე, პასიური დამორჩილებისაგან განსხვავებით, ავითარებს და აძლიერებს სოციალურ გარემოს, ჯგუფის გარემოს, ჯგუფის სტრუქტურას და მთლიანობას. როდესაც ფრენველთა გუნდის ერთ-ერთი წევრი გარკვეული მიზეზის გამო დამფრთხალი მიფრინავს ისეთი მანერით, რომელიც ფრინველებს საშიშ სიტუაციაში უჩნდებათ, ამ დროს ფრინველთა მთელი გუნდი მიფრინავს და ეცლება ამ ადგილს. არც ერთი ინდივიდი გუნდიდან არ იწყებს იმის გამოკვლევას, არსებობს თუ არა ნამდვილად ასეთი ქცევის მიზეზი. ფრინველთა კონფორმული ქცევა და ბრძიდ მიბაძვა სხვებისადმი ხშირად სასარგებლო ქცევას წარმოადგენს.

ადამიანებიც ხშირად მიმართავენ ასეთ კონფორმულ ქცევას. ბევრჯერ, როდესაც არ არსებობს დამოუკიდებელი განსჯის შესაძლებლობა, ჯგუფის მიერ გამომუშავებული სტანდარტებით მოქმედებას ინდივიდისათვის საჭირო და სასარგებლო ეფექტი მოაქვს. მაგრამ ასეთსავე მექანიზმს ეყრდნობა ადამიანთა უკიდურესი პანიკური მოქმედება, რისი მაგნი შედეგიც შესაძლებელია აცილებულ იქნეს მაშინ, თუ ინდივიდი საკუთარი განსჯის მიხედვით იმოქმედებდა. უფრო სავალალო მდგომარეობა გვაქვს იმ უკიდურეს კონფორმულ ქცევაში, როდესაც ინდივიდი იმეორებს ჯგუფის რეაქციებს, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის ამ

რეაქციების უმართებულობა. კონფორმული ქცევის განხილვის დროს ზეიონკი აღნიშნავს: „გაოცებას და ალბათ შეშფოთებასაც იწვევს ის გარემოება, რომ ზრდადასრულებულ ადამიანებს, რომელთაც სრულიად ნორმალური მხედველობა აქვთ, შეუძლიათ განაცხადონ, რომ 8 სმ სიგრძის ხაზი ტოლია 25 სმ სიგრძის ხაზისა მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა 8 ადამიანმა ასე შეაფასა ეს ხაზები“¹.

კონფორმულობაში სხვისადმი სწორედ ეს უკიდურესი დამორჩილებულობის ტენდენცია იგულისხმება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკურად ინდივიდის ჯანსაღ სოციალურ საფუძველზეა აღმოცენებული, თავისი უკიდურესობის გამო უსიამოვნო და მანევრე ეფექტს იძლევა. მრავალი გამოკვლევის მიხედვით არსებობს ისეთი სოციალური სიტუაციები, რომლებიც ადამიანებს კონფორმულ ქცევისაკენ უბიძგებენ და ადამიანები მეტად თუ ნაკლებად ემორჩილებიან ამ ტენდენციას. მაგრამ არსებული გამოკვლევები იმაზედაც ნათლად მიუთითებენ, რომ არსებობენ კონფორმული და დამოუკიდებელი ადამიანები, რაც მათი ფსიქიკური თავისებურებებით არის განსაზღვრული.

სათანადო გამოკვლევების საფუძველზე ვილისი უმართებულოდ თვლის ადამიანების მხოლოდ კონფორმულ და არაკონფორმულ ადამიანებად დაყოფას. მისი აზრით, ამ მდგომარეობის აღწერისათვის სამკუთხედის მოდელი უნდა იქნეს გამოყოფილი. ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდეს კონფორმისტები, ანტიკონფორმისტები და დამოუკიდებლები. ანტიკონფორმისტები უკონფორმიზმის ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს. ანტიკონფორმისტი ცდისპირები ყოველთვის საწინააღმდეგოდ არიან განწყობილი ჯგუფის და სხვა ადამიანების აზრებისადმი. ამ გზით ისინი სრულიად დამოკიდებული ხდებიან სოციალური გარემოსადმი, მაგრამ მათი დამოკიდებულება მინუსი ნიშნით შეიძლება დაგეხასიათებინათ. მათ არა აქვთ დამოუკიდებელი პოზიციები, სხვადასხვა სოციალური სიტუაციის მიმართ ისინი გამოთქვამენ შებრუნებულ შეხედულებებს. საზოგადოდ იძლევიან საწინააღმდეგო, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულ რეაქციებს. ისინი ისევე დამოკიდებული არიან კოლექტივზე, როგორც კონფორმისტები. ისინი ერთმნიშვნელოვნად საწინააღმდეგო დამოკიდებულებას ამქლავებენ სხვა ადამიანების შეხედულებათა მიმართ. კონფორმისტული და ანტიკონფორმისტული ტიპის ადამიანებისაგან არსებითად განსხვავდებიან დამოუკიდებელი ადამიანები. ისინი ნაკლებ ანგარიშს უწევენ სხვის მიერ გამოთქმულ აზრებს, ცდილობენ სიტუაციის ობიექტურ შეფასებას და არასწორი სოციალური შეხედულებების გავლენისაგან თავის დაღწევას.

¹ Zajonc R. B. Social Psychology. An Experimental Approach, Belmont, 1968, p. 89.

ჩატარდა მრავალი გამოკვლევა, რომლის საფუძველზეც ნაცადი იყო კონფორმულობასა და სხვადასხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს შორის კორელაციის დადგენა. კრიჩის, კრაიფილდისა და ბოლახის¹ მიერ ნაჩვენები იქნა, რომ ადამიანის კონფორმულობა კორელაციაში იმყოფება მის შემეცნების, თვითშეფასების ანუ ე. წ. პრეტენზიის დონესთან და სხვა ფსიქიკურ თავისებურებებთან. მათი მონაცემების მიხედვით ის ადამიანები, რომლებიც შემოქმედებით და მეცნიერულ მუშაობას ეწევიან, უფრო ნაკლებ კონფორმულ რეაქციებს იძლევიან და მეტი ტენდენციები აქვთ დამოუკიდებელი მოქმედებისაკენ.

ჩვენი აზრით, კონფორმულობა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის განმსაზღვრელი განწყობის სტრუქტურულ თავისებურებასა და კანონზომიერებაზე არის დამოკიდებული, რომლებიც საერთოდ საფუძვლად ედება ადამიანის როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ აქტიობას.

კონფორმულობა აქამდე დახასიათებული სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებების მსგავსად, სხვა ადამიანის, კოლექტივის ზემოქმედებით გამოწვეულ ფსიქიკურ ეფექტად უნდა ჩაითვალოს, რომლის თავისებურებათა გაგება და ახსნა ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური ბუნების კანონზომიერებათა საფუძველზე უნდა მოხდეს. მისი ბუნების გარკვევის ჩვენ ადამიანთა სოციალური განწყობების კანონზომიერებათა დახასიათების დროს მოვახდენთ, მანამდე კი შევეცდებით კიდევ ერთი სოციალურ-ფსიქიკური ეფექტის დახასიათებას, რომელიც ადამიანს სოციალურ გარემოში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში უჩნდება. ასეთ ეფექტს სოციალური განმტკიცება წარმოადგენს.

5. 1. 5. სოციალური განმტკიცება

ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი ქცევა, როდესაც ის გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, წარმატებით დამთავრების შემთხვევაში განმტკიცებას განიცდის, რაც მის საფუძვლად მდებარე განწყობის გაფიქსირების გამო ხდება. ამგვარი ფიქსირებული განწყობა საჭირო ვითარებაში ადვილად აღმოცენდებოდა და მისი შესატყვისი ქცევა უფრო ადვილად და წარმატებით ხორციელდება. ამ ვითარების აღწერისას, ჩვეულებრივ, დაჯილდოების ეფექტის შესახებ ლაპარაკობენ. ამ ეფექტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. სწავლის თეორიებში.

ამერიკული ბიპევიორისტული ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ჭრიტად მიმართულებას სწავლის თეორია წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, როდესაც რომელიმე მოქმედებას წარმატება მოჰყვება, მოთხოვნილება-

¹ Erich D., Crutchofield R. S., Pallachey E. L. Individual in Society, N. Y., 1952, p. 525-526.

თა დაკმაყოფილებას თან სდევს სიამოვნების განცდა, ხოლო სიამოვნების ეფექტი უკუგავლენას ახდენს ქცევაზე იმ მიმართულებით, რომ ამტკიცებს და აძლიერებს მას. ამ გზით ხდება გარკვეული მოქმედების სწავლა-ჩამოყალიბება. საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდის მოქმედებას თან სდევს არა მიზნის მიღწევა და სიამოვნების განცდა, არამედ მარცხი და უსიამოვნება. უსიამოვნო განცდის უკუმოქმედება ქცევაზე შემკავებლური ხასიათისაა. ასეთი ქცევა არათუ მტკიცდება და ფიქსირდება ინდივიდის აქტიობის არსენალში, არამედ შეკავდება და გამოირიცხება იქიდან. აქ აღწერილი მდგომარეობა ძირითადად შეესატყვისება ფაქტიურ ვითარებას, მაგრამ შემდგომი გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ქცევის თანმხლები ემოციური ეფექტები — სიამოვნება ან უსიამოვნება არაა ის ძირითადი ფენომენები, რომლებსაც შეუძლია ადამიანთა ფსიქოლოგიური აქტიობის რეგულაცია. ისინი მხოლოდ თანმხლებ და დამხმარე ეფექტებს წარმოადგენენ, რომლებიც ვერ გავავებინებენ ადამიანის გამოცდილებას, ორგანიზაციას და სწავლის კანონზომიერებას. გარკვეული ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობის ფიქსაციას და განწყობათა სისტემაში მის შეტანას თავისი კანონზომიერებანი გააჩნია, რომლის რეალიზაციას ხშირად თან სდევს ცნობიერებაში აღმოცენებული სიამოვნება-უსიამოვნების ეფექტები. ამიტომ სწავლის პროცესების გაგება ადამიანის აქტიობის დახასიათებისათვის გამოყენებული უფრო ძირითადი ცნებების საფუძველზე უნდა მოხდეს¹. ამ თვალსაზრისით სრულიად სხვაგვარად ხდება დასაჩუქრება-დასჯის მოვლენების გაგება სწავლის პროცესში. ამ თვალსაზრისის გაგება კიდევ უფრო ადვილად შეიძლება, თუ ჩვენ განვიხილავთ ერთ მეტისმეტად სერიოზულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომელიც ზოგჯერ სოციალური განმტკიცების ტერმინით აღინიშნება.

დადგინდა, რომ გარკვეული ქცევა შესაძლებელია განმტკიცებულ ან უკუგდებულ იქნეს არა მხოლოდ იმის გამო, აკმაყოფილებს თუ არა ის რაიმე მოთხოვნილებას, წარმატებით წყვეტს თუ არა ინდივიდის მიერ დასახულ ამოცანას, არამედ იმიტომაც, თუ რა დამოკიდებულებას იჩენს ამ ქცევის მიმართ სხვა ადამიანები. კოლექტივი. ადამიანის გარკვეული განწყობა და მის საფუძველზე აღმოცენებული მოქმედება შეიძლება გაფიქსირებულ და განმტკიცებულ, ან შესუსტებულ და უკუგდებულ იქნეს სოციალური ზემოქმედების საფუძველზე, ამის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებას იჩენს მის მიმართ სხვა ადამიანები, კოლექტივი. ადამიანის აქტიობის შეცვლა, სოციალური ფორმირება

¹ ი. ფრანგიშვილი, სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბილისი, 1969, გვ. 23—25.

და სწავლა ხშირად ხორციელდება ისეთი ოდნავ შესამჩნევი სოციალური ზემოქმედებით, როგორცაა სხვა ადამიანის მიერ თანხმობის ნიშნად თავის დაქნევა, სიტყვის თქმა: „ღიას“, თანხმობის გამომხატველი ღიმილი, უთანხმოების გამომხატველი ჟესტი და სხვა. ამ მხრივ საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევები იქნა ჩატარებული.

გრინსპუნი თავის ცდისპირებს სთხოვდა წარმოეთქვათ გარკვეული სიტყვები ე. წ. „ჩაქვური რეაქციის“ სახით¹. ცდისპირები ვალდებული იყვნენ ვაბმით წარმოეთქვათ ყოველი სიტყვა, რომელიც მათ მოადგებოდათ ენაზე 50 წუთის განმავლობაში. სიტყვის წარმოთქმის პროცესში ექსპერიმენტატორი შეუძმნევლად ერეოდა გარკვეული შორისდებულების სახით. ყოველი წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, როდესაც სიტყვა მხოლოდით ფორმაში იყო, ექსპერიმენტატორი გამამხნევებელი ტონით ამბობდა „აჰა-აჰა“-ს, ხოლო ცდისპირის მიერ მრავლობით ფორმაში წარმოთქმული სიტყვების შემდეგ ურთავდა უკმაყოფილო ტონით „უჰ-უჰ“-ს. ცდისპირების მეორე ჯგუფთან ექსპერიმენტატორი შებრუნებულად მოქმედებდა: სიტყვების მრავლობით ფორმაში წარმოთქმის დროს ის ურთავდა გამამხნევებელ „აჰა-აჰა“-ს, ხოლო მხოლოდითი ფორმის სიტყვების წარმოთქმისას — პირიქით. ორივე ჯგუფის ცდისპირებმა, რომლებსაც არც უგრძენით და არც გაუცნობიერებიათ ექსპერიმენტატორის გამამხნევებელი და შემადგერბებელი ჩარევა, სიტყვების წარმოთქმის ჩაქვურ რეაქციაში გარკვეული სახის რეაქცია გამოიმუშავეს. მათ შესატყვისად გაუძლიერდათ მრავლობით და მხოლოდით ფორმაში სიტყვების წარმოთქმის ტენდენცია. ცდისპირების იმ ჯგუფმა, რომლებსაც „აჰა-აჰა“-ს წარმოთქმით, დადებითი მიმიკით ხვდებოდა ექსპერიმენტატორი მრავლობითი ფორმის სიტყვების წარმოთქმისას, დაიწყეს მრავლობით ფორმაში სიტყვების რეპროდუქცია და პირიქით, ცდისპირების მეორე ჯგუფს გამოუმუშავდა საწინააღმდეგო მოქმედების, მხოლოდით რიცხვში სიტყვების წარმოთქმის ტენდენცია.

ამ მონაცემთა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ სხვა ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულების გავლენაზე რეაქციები განსაზღვრავს ადამიანის მოქმედების მიმართულებას სტილოს. თუ ამ ექსპერიმენტებში ნაჩვენებნი იქნა სოციალური გავლენის ეფექტი მერყველების ფორმალურ-გრაბატიკულ მხარეზე, ადამისა და ჰომინინის² გამოკვლევებში აქცენტი მერყველი სუბიექტის პოზიციაზე იქნა

¹ Greenspoon T. The reinforcing effect of two spoken sounds on the frequency of two responses Amer. J. Psychol., 1955, 68, p. 400—416.

² Adams Y. S., Hoffman D. The frequency of self reference statements as a function of generalized reinforcement. J. Abnorm. Soc. Psychol. 1960, 61, p. 184—185.

გადატანილი. ეს მკვლევარები თავის ცდისპირებს სთხოვდნენ გამოეთქვათ თავისი აზრები სტუდენტთა შესახებ. როდესაც ცდისპირი გარკვეული აზრის გამოთქმას ახდენდა ისეთი ფრაზებით, როგორცაა „ჩემი აზრით“, „მე მგონია“, „მე“, „ჩემი“ და სხვა, ექსპერიმენტატორები ამ დროს თანხმობის გამოხატველ რეაქციებს ამჟღავნებდნენ. ისინი ეთანხმებოდნენ ცდისპირებს ფრაზით: „ღიახ, ღიახ“. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, ასეთ შემთხვევაში ცდისპირებს უძლიერდებოდათ თავისი პოზიციის გამოხატვისათვის საჭირო სიტყვების და ფრაზების ხმაურების ტენდენცია.

შემდგომ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში ნაჩვენები იქნა, რომ ამგვარი სოციალური განმტკიცების გზით შესაძლებელი ხდება ადამიანის არა მხოლოდ გარკვეული სახის მეტყველების სტილისა და ფორმის აქტივაცია, არამედ შეხედულების ან თვალსაზრისის გამომუშავება და ჩამოყალიბება. პილდუმისა და ბრაუნის ექსპერიმენტულ შრომაში სწორედ გარკვეული თვალსაზრისების გამომუშავების კანონზომიერებანი იქნა შესწავლილი სოციალური განმტკიცების გზით.

პილდუმი და ბრაუნი თავის ცდისპირებს უკითხავდნენ გარკვეულ შეხედულებას აღზრდის საკითხებზე, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტში იქნა შემუშავებული¹. ამ შეხედულების გადაცემის დროს ცდისპირებს საშუალება ეძლეოდათ გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება აღნიშნული თეორიის მიმართ. ცდისპირების ერთ ჯგუფს, როდესაც ისინი გამოხატავდნენ თავის დადებით დამოკიდებულებას მოსმენილი თვალსაზრისის შესახებ, ექსპერიმენტატორი პასუხობდა სიტყვით „კარგია“, ხოლო ცდისპირების მეორე ჯგუფს სიტყვა „კარგიას“ ექსპერიმენტატორი მაშინ ეუბნებოდა, როდესაც ისინი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ აღნიშნული თეორიის მიმართ. შემდეგში შემოწმებულ იქნა ეს ჯგუფები იმის მიხედვით, იზიარებდნენ თუ არა ჰარვარდის ფილოსოფოსების თეორიას აღზრდის საკითხებზე. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების იმ ჯგუფის უდიდესი ნაწილი, რომელსაც განუმტკიცეს დადებითი დამოკიდებულება აღნიშნული თეორიის მიმართ, იზიარებდა გადაცემული თეორიის დებულებებს; ხოლო იმ ჯგუფის წევრები, რომლებსაც უწონებდნენ უარყოფითი დამოკიდებულების რეაქციებს, ამჟღავნებდნენ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამ თეორიისადმი.

მსგავსი გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც ჩაატარეს კენტრილმა, ზინგერმა, ტეფელმა და სხვებმა, დადასტურდა, რომ ადამიანის მიერ გარკვეული ქცევის განხორციელების დროს, სხვა ადა-

¹ Hildum D. C. Prown B. W. Verbal reinforcement and interview bias. Y. Abnorm. Soc. Psychol., 1966, 58, p. 108—111.

მიანისაგან მიღებული თანხმობის გამომხატველი ისეთი რეაქციები როგორცაა გამოთქმები: „სწორია“, „დიახ“, „კარგია“, ან ისეთი რეაქციები, როგორცაა თანხმობის გამომხატველი ღიმილი, თავის დაქნევა და სხვა, ნამდვილად აძლიერებს ინდივიდის მიერ შესრულებული მოქმედების რეპროდუქციის ტენდენციას.

გაირკვა ისიც, რომ ქცევის განმამტკიცებელი ეს სოციალური საშუალებანი უბრალო პირობით სიგნალებს არ წარმოადგენენ იმ ქცევისათვის, რომელსაც ისინი უკავშირდებიან. ისინი ქცევის ნამდვილად განმტკიცებულ ფაქტორთა როლში გამოდიან. ტაფელმა¹ ჩაატარა სინტერესო ექსპერიმენტები, რომლებიც ქცევის სოციალური გაძლიერების სპეციფიკური კანონზომიერების შესახებ მიუთითებენ. მან ზემოაღწერილი ექსპერიმენტების ანალოგიურად სიტყვა „კარგია“-ს საშუალებით შეძლო ცდისპირებში მოეხდინა საკუთარი თავის პოზიციის გამომხატველი სიტყვების „მე“, „ჩემი“, „ჩვენი“ და სხვა ფორმების გამოყენების გაძლიერება. მაგრამ ტაფელმა ვერ მიიღო ამ სიტყვების გამოყენების გახშირების ეფექტი იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა „კარგია“, როგორც სოციალური განმამტკიცებელი რეაქციის მაგიერად, სინათლის გამლიზიანებელს იყენებდა. ექსპერიმენტატორის მიერ გამოყენებული სიტყვა „კარგია“, რომლითაც ის თავის დამოკიდებულებას გადასცემდა ცდისპირს, არ წარმოადგენს უბრალოდ პირობით გამლიზიანებელს, რომელსაც შეუძლია რაიმე რეაქციის გაძლიერება-განმტკიცება. აღნიშნული რეაქციები ინდივიდის ქცევაზე გავლენას ახდენენ იმის გამო, რომ ისინი გამოხატავენ სხვა ადამიანის დამოკიდებულებას ინდივიდის ქცევისადმი. ასეთივე შედეგი დადასტურდა ნუთმანის² ექსპერიმენტულ გამოკვლევაში. მის შრომაშიც დადასტურდა, რომ ადამიანის ის ქცევა, რომლის მიმართ სხვა ადამიანი დადებით დამოკიდებულებას იჩენს, ფიქსირდება და მტკიცდება. ასეთ ეფექტს არ იძლევა ფიზიკური, პირობითი გამლიზიანებელი.

ამრიგად, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ე. წ. სოციალური განმტკიცება წარმოადგენს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტს. რომელიც გვიჩვენებს, რომ ადამიანის ქცევაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა ადამიანის მიერ გამოქვეყნებული დამოკიდებულება ამ ქცევის მიმართ. სხვა ადამიანის დადებით ან უარყოფითი დამოკიდებულება გარკვეულ მიმართულებას აძლევს ინდივიდის ქცევას, აძლიერებს ან ასუსტებს მას.

¹ Taffel C. Anxiety and conditioning of verbal behavior. Y. Abnorm. Soc. Psychol., 1957, 51, p. 496-501.

² Nuthmann A. M. Conditioning of a response class on a personality test. Y. Abnorm. Soc. Psychol., 1957, 54, p. 19-23.

სტივენსონის, კინისა და ნაიტის შეხედულებით, ადამიანთა ჩვევები, შეხედულებები და ღირებულებათა ორიენტაციები არის შშობელთა და სოციალურ ურთიერთობაში მყოფ სხვა ადამიანთა ამგვარი ზემოქმედების შედეგად გამოქმუნებული ფსიქიკური ფენომენები. ადამიანთა ქცევის მიმართ სხვა ადამიანის დამოკიდებულებათა საფუძველზე ხდება მათი შეხედულებებისა და ორიენტაციების ჩამოყალიბება. ამიტომაც, რომ ადამიანების საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალურ კოლექტივში მიღებული ის ნორმები და ორიენტაციები, რომლებსაც ეს საზოგადოება იზიარებს. აღნიშნულ მკვლევართა მიერ ბავშვების თამაშზე დაკვირვების პროცესში შესწავლილ იქნა შშობლების შეფასებითი დამოკიდებულების გავლენა ბავშვების გარკვეული შეხედულებებისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე¹. შშობლების ისეთი გამოთქმები, როგორცაა: „ყოჩად“, „ეს კარგია“, „შენ ამას კარგად თამაშობ“ და სხვა ამტკიცებენ ბავშვების შესატყვის ქცევას და ბავშვები ამ მიმართულებით შემდგომში უფრო კარგად და ადვილად მოქმედებდნენ. ამ მკვლევრებმა ისიც დაადასტურეს, რომ შშობლებისა და შედარებით უცხო პირების მიერ განხორციელებული სოციალური განმტკიცების პროცედურებს სხვადასხვა ღირებულება გააჩნიათ. შედარებით უცხო პირების მიერ განხორციელებულ განმამტკიცებელ რეაქციებს უფრო მეტი ეფექტი აქვს ბავშვების მოქმედებათა განმტკიცების მიმართულებით, ვიდრე შშობლების რეაქციებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ შშობელთა გარდა ის ფართო სოციალური გარემო, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს, რაც დიდ გავლენას ახდენს მის, როგორც სოციალური არსების, ჩამოყალიბებაზე.

5. 1. 6. **დალზიკიანი სოციალური გავლენის ფსიქოლოგიური ხუნდა**

ჩვენ მიერ განხილული იყო საკითხი ადამიანის ქცევაზე სხვა ადამიანის გავლენის შესახებ. ნაჩვენები იყო, რომ: ა) ადამიანები ურთიერთზე გავლენას ახდენენ თანააქტიობისა და თანაარსებობის პროცესში. ამ დროს ისინი ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთის ქცევის შემოზღუდვით იმპულსის, მოტივის ინტენსიობაზე. ეს ფაქტიური მდგომარეობა დადასტურებულ იქნა თანაარსებობისა და თანააქტიობის ექსპერიმენტულ პირობებში განხორციელებულ სიტუაციებში; ბ) ადამიანები ურთიერთზე ზემოქმედებას ახდენენ და გარკვეულ მიმართულებას აძლევენ თავის ქცევით აქტიობას მიბაძვის, თანზნობის სწავლისა

¹ Stevenson H. W., Keen R., Knights E. M. Parents and strangers as reinforcing agents for childrens performance. Y. Abnorm. Soc. Psychol., 1963, 67, p. 169—186.

და კონფორმული დამორჩილების გზით; გ) ვარდა ამისა, ადამიანები აძლიერებენ და ამტკიცებენ ურთიერთის აქტიობას იმით, რომ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას იჩენენ ურთიერთის ქცევის მიმართ, რაც, თავის მხრივ, იწვევს ქცევის გაძლიერებას ან შესუსტება-აკვეთას.

სოციალური ფსიქოლოგიის მრავალი წარმომადგენელი ადამიანთა ურთიერთობაზე გავლენის ამ სახეებს აკავშირებდა ისეთ ზოგად ფსიქოლოგიურ საკითხებთან, როგორცაა მოტივაციის, აღქმისა და სწავლის საკითხები. ადამიანთა მიერ ერთმანეთზე სოციალური გავლენის ამა თუ იმ სახის თავისებურებათა განხილვის დროს ბრაუნი¹, ზეიონკი², კრიჩი, კრაიფილდი და ბოლაჩი³, აგრეთვე სხვები, მოტივაციის, აღქმისა და სწავლის პროცესების კანონზომიერებებზე მიუთითებენ და ცდილობენ ამ ცალკეული პროცესების კანონზომიერებათა მიხედვით გახადონ გასაგები ადამიანთა სოციალური ზემოქმედების ის ემპირიული კანონზომიერებანი, რომლებიც ჩვენ მიერ ზემოთ იყო განხილული. მაგალითად, ზეიონკის მიერ ადამიანთა ურთიერთქმედების კანონზომიერებანი სქემატიზებულია შემდეგი მოდელით: მისი აზრით, ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედება შეიძლება გამოიხატოს სამი სქემით. ესენი შეიძლება იყოს შემდეგი:

$$R_j \rightarrow D_i \rightarrow R_i \quad (1)$$

$$R_j \rightarrow S_i \rightarrow R_i \quad (2)$$

$$R_j \rightarrow K_i \rightarrow R_i \quad (3)$$

ამ სქემებში D_i -ით აღნიშნულია ადამიანის ქცევის მოტივაციური ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს მის ქცევაზე, S_i -ით — პერცეპტული ცვლადი, ის გარეგამოიზიანებელი (ჩვენს შემთხვევაში სოციალური გამოიზიანებელი, სხვისი ქცევის აღქმა), რომელიც მოქმედებს და ცვლის ადამიანის ქცევას. K_i -ით — ის შინაგანი ფსიქოლოგიური ცვლადი, რომელიც ახდენს ადამიანის მიერ განხორციელებული ქცევის განმტკიცება-გაფიქსირებას. ამ სქემებში R_j -ით აღნიშნულია (j) ადამიანის ქცევა, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანის აქტიობაზე. R_i -ით აღნიშნულია (i) ადამიანის ქცევა, რომელიც გავლენას განიცდის სხვა ადამიანის აქტიობის ზემოქმედებით. ისრებით აღნიშნულია „გავლენას ახდენს“. „ზემოქმედებს“, „მიზეზია“ ან „აღძრავს“. (—)

¹ Brown R. social Psychology, N. Y., 1965.

² Zajonc R. B. Social Psychology, Belmont, 1969.

³ Kressch D., Crutchfield R. S., Ballachey E. L. Individual in Society, Nay., 1962.

(1) გამოსახულებაში, ზეიონკის აზრით, შეიძლება გაერთიანდეს ის სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტები, როდესაც მოცემული ინდივიდის ქცევა (R_1) აღიქრება იმის გამო, რომ სხვა ადამიანთა ქცევა (R_2) იწვევს მოცემული ინდივიდის მოტივაციური სფეროს შეცვლას, მოქმედების სტიმულების ინტენსიფიკაციას. მაშასადამე, ამ მოდელის მიხედვით ადამიანის ქცევა გავლენას ახდენს მეორე ადამიანის მოქმედების მოტივზე, მოტივაციის სფეროზე, რის გამოც მეორე ადამიანის ქცევა იცვლება სათანადო მიმართულებით. სოციალური გარემოს ზემოქმედება ადამიანის მოტივაციის სფეროზე იწვევს მისი აქტიობის შეცვლას სოციალური გარემოს შესატყვისად.

(2) გამოსახულებაში შეიძლება გაერთიანდეს ადამიანის სოციალური გავლენის ის ფაქტები, როდესაც ერთი ადამიანი, აღიქვამს რა სხვა ადამიანის ქცევას, ეს აღქმის პროცესი უშუალოდ იწვევს მასში იმიტაციისა და კონფორმული დამორჩილების რეაქციებს. ამ მოდელის მიხედვით, იმიტაცია, კონფორმულობა და სხვა უშუალო გავლენები არის ის სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაქციები, რომლებიც მიღებულია სხვა ინდივიდის ქცევის აღქმის შედეგად. სხვა ინდივიდის რეაქციის აღქმა (ც) არის საფუძველი, რომელიც იწვევს ადამიანის ქცევის შეცვლას სოციალური გარემოს შესატყვისად. ასეთი აქტიობის მაგალითებს წარმოადგენს ლიდერისადმი მიბაძვა, ჩგუფის ნორმებისადმი კონფორმულობა და სხვა.

(3) გამოსახულებაში ზეიონკმა გააერთიანა სოციალური გავლენის ის ფაქტები, რომლებიც ქცევის სოციალური განმტკიცების სახით ვლინდება. ამ სქემაში გამოხატულია ადამიანის ქცევის შეცვლის შემთხვევები, რაც გამოწვეულია სხვა ადამიანების მიერ მოცემული ინდივიდის ქცევის შეწყნარების ან შეუწყნარებლობის გამომქვანების გამო. ზეიონკმა ამ შემთხვევაში ერთი ადამიანის მიერ მეორის ქცევისადმი დამოკიდებულების თავისებურება ფაქტიურად დაიყვანა დაჯილდოება-დასჯის ცნებებზე, რაც სწავლის თეორიის ძირითად ცნებებს წარმოადგენს. ამ შეხედულების მიხედვით მოცემული პიროვნების ქცევისადმი სხვა ადამიანის დადებითი დამოკიდებულება გაგებულია როგორც დადებითი, პირობით-განმამტკიცებელი სიგნალი, დაჯილდოება, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულების გამომქვანება, შეუწყნარებლობა — როგორც დასჯა, რომელიც ახშობს განხორციელებულ ქცევას.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ აქ წარმოდგენილი სქემების ურთიერთისაგან დამოუკიდებელი მოდელების სახით განხილვა ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად მიუღებლად გამოიყურება. ის არ შეეფერება არც თანამედროვე ფსიქოლოგიის ზოგად-ორიენტაციას და არც რაიმე ემპირიული მონაცემებით არის განმტკიცებული. სხვა ინდივიდის ქცევის გავლენით ადამიანს რომ აქ-

ტიობის მოტივაციური სფერო შეეცვალოს, აუცილებელია სხვა ინდივიდის ქცევის, როგორც სოციალური გარემოს, სტიმულის აღქმა. სხვა ადამიანის ქცევის აღქმა და მით გამოწვეული მოტივაციური ცვლილებები მხოლოდ ერთიანი მთლიანი პროცესის მხარეებად, მომენტებად შეიძლება იყოს განხილული. ამიტომ შეუძლებელია სხვისი ქცევის აღქმისა და ადამიანის საკუთარი მოტივაციური სისტემის ცვლილებებით გამოწვეული სოციალური ქცევა ორი სხვადასხვა მოდელის საფუძველზე იქნეს განხილული. სხვისი ქცევის აღქმას უშუალოდ მოტივაციური სისტემის შეცვლის გარეშე პრინციპულად არ შეუძლია რაიმე ეფექტის გამოწვევა ადამიანის აქტიობაში. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური განმტკიცების ფაქტებზე. სოციალური განმტკიცება შეუძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ვერ მოახდენს სხვა ადამიანის დამოკიდებულების აღქმას მისი ქცევის მიმართ. გარდა ამისა, სხვისი დამოკიდებულების აღქმის შემდეგ სოციალური განმტკიცება მხოლოდ იმის გამო ხდება შესაძლებელი, რომ ამ დროს ადგილი აქვს მოტივაციური სფეროს შეცვლას. სხვა ადამიანის დადებითი დამოკიდებულება პიროვნების ქცევის მიმართ პიროვნებაში აღძრავს გარკვეულ ზოგად ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, იწვევს მისი მოტივაციური სისტემის ცვლილებას, რის საფუძველზეც ადამიანს ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი ქცევის მიმართ. მოტივაციის აღქმისა და სწავლის პროცესთა მრავალმხრივი განხილვის საფუძველზე სრულიად ნათლად შეიძლება იმის ჩვენება, რომ ისინი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა კომპონენტებს წარმოადგენენ. მათი როლისა და ადგილის გარკვევის საჭიროების გარდა აუცილებელია ქცევის იმ ზოგადი მთლიანი კანონზომიერების გათვალისწინება, რომლის მოქმედების სფეროშიც შესაძლებელი ხდება მათი შედარებითი დიფერენცირებული განხილვა.

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური გავლენის აღნიშნული სახეების თავისებურებათა ანალიზისას სრულიადაც არაა საკმარისი იმ ფსიქიკურ პროცესებზე მითითება, როგორცაა მოტივაცია, აღქმა და სწავლა. სოციალური ურთიერთქმედების ბევრ თავისებურებათა გარკვევისათვის ამ თვალსაზრისით საჭირო იქნებოდა ისეთ ფსიქიკურ ფენომენებზე მითითება, როგორებიცაა მზროვნება, მოლოდინები, ნებელობის პროცესები, ემოციები და სხვა. ყოველივე ამის გამო ვფიქრობთ, რომ სოციალური გავლენის ბუნების გარკვევის და შემდგომში მისი სახეების კლასიფიკაციისათვის აუცილებელია იმ ზოგადპრინციპულ ფსიქიკურ საფუძველებზე მითითება, რომლებიც საზოგადოდ განსაზღვრავენ ადამიანის ფსიქიკურ აქტიობას. ზემოთ განხილული თვალსაზრისის არადამაჯერებლობას მათი ავტორებიც გრძნობენ, მაგრამ მისი მხოლოდ გაცნობიერება არაა საკმარისი. ეს შეხედულება მაინც რჩება მათ გამოკვლევებში, როგორც სოციალური ზემოქმედების

კანონზომიერების ამხსნელი მეთოდოლოგიური თვალსაზრისი. ზეიონკი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მის მიერ წარმოდგენილი სქემები სოციალური გავლენისა არ იძლევიან ამ საკითხის ამომწურავი განსაზღვრის შესაძლებლობას. სოციალური გავლენა არაა მოტივაციით, აღქმით ან სოციალური განმტკიცებით გაპირობებული მოვლენა, „სოციალური“ გავლენა გულისხმობს ამ სამივე ფორმის აქტიობას, რომელთა ხვედრითი წონა იცვლება სხვადასხვა სიტუაციაში. აქტიობის ეს ფორმები შეიძლება არც არსებობდეს სეპარატულად, ურთიერთისაგან დამოუკიდებლად. ვარდა ამისა. შესაძლებელია არსებობდეს სოციალური გავლენის სხვა ფორმებიც¹. მიუხედავად ამისა, ზეიონკს შესაძლებლად მიაჩნია სოციალური გავლენის ამ ფორმების გამოყოფა და მათი ურთიერთისაგან აბსტრაგირებულად განხილვა.

სამწუხაროდ, ხშირად სხვა ავტორებიც ასეთივე თვალსაზრისით შეისწავლიან სოციალური გავლენის პროცესს, მის თავისებურებებს. ნეკლევერები ხშირად მიუთითებენ ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებზე, როგორც სოციალური გავლენის ფსიქიკურ საფუძველზე. მაგრამ ასეთი კერძო, ცალკეული ფსიქიკური პროცესები ვერ გამოდგება სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენის ბუნების გაგებისათვის.

სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენის კანონზომიერებანი გაგებულ უნდა იქნეს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმის, ძირითადი ფსიქიკური წარმონაქმნის განწყობის საფუძველზე. ადამიანის ქცევა, ქცევის მიმართულება, მისი შესატყვისობა სოციალური და ფიზიკური გარემოსადმი ადამიანის მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობით—განწყობით არის განსაზღვრული².

სანამ ამ ფუნდამენტური ფსიქიკური წარმონაქმნის განწყობის ბუნების დახასიათებას შევუდგებოდეთ, საჭიროა განვიხილოთ ორმხრივი სოციალური ურთიერთქმედების ისეთი ფორმები, რომლებშიც კიდევ უფრო სრულად ვლინდება ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის ბუნება. ურთიერთქმედების ასეთ ფორმებს წარმოადგენს თანამშრომლობა. შეჯიბრი, კონფლიქტი და ჩგუფის სხვა პროცესები.

¹ Zajonc B. N. Social Psychology, Belmont, 1966, P. 83.

² Квачаха В. М., Взаимосвязь форм общественного сознания и проблема эстетической ценности. Автореферат докторской диссертации. Тбилиси, 1965, стр. 8—9.

6. ორმხრივი სოციალური ურთიერთქმედების შორები და მათი ფსიქოლოგიური გუნება

ცალმხრივი სოციალური გავლენისაგან განსხვავებით, სოციალური ურთიერთქმედების დროს ადამიანები სხვაზე გავლენის პროცესში, მის საფუძველზე თვითონ განიცდიან უკუზეგავლენას. სოციალური ურთიერთქმედება სპეციფიკურ ადამიანურ აქტიობას წარმოადგენს. ამგვარი აქტიობის დროს ~~ადამიანის~~ სხვაზე ზემოქმედება თვითონ წარმოადგენს ქცევის ავტორზე ზემოქმედ მოვლენას. ამიტომ ურთიერთქმედების პროცესი ურთიერთობაში მყოფ ორივე პიროვნებაში აღძრავს სხვაზე ზემოქმედების და თავისთავზე უკუზემოქმედების მოვლენას. ეს კომპლექსი ნიშნავს, რომ ურთიერთქმედების პროცესში ყოველი პიროვნება მეორეს განიხილავს, როგორც პიროვნებას, რომელიც, მის მსგავსად, გარკვეულ დამოკიდებულებაშია გარემოსთან და მასთანაც. ასეთი ვითარება ადამიანის წინაშე ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებებისა და ურთიერთქმედებათა გარკვეული რეგულირების ამოცანებს ბადებს.

~~თანამშრომლობა, შეჯიბრი და სხვა ურთიერთობანი~~ სწორედ ასეთი ურთიერთქმედების სახეებს წარმოადგენს.

6. 1. თანამშრომლობა და შეჯიბრი

ინდივიდთა ურთიერთქმედების ძირითად ფსიქოლოგიურ ფორმებს შორის აუცილებლად უნდა დავასახელოთ თანამშრომლობა და შეჯიბრი.

ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში თანამშრომლობა ურთიერთქმედების ერთ-ერთ აუცილებელ და ძირითად ფორმად ითვლება. შრომის დანაწილება და კოლექტიური აქტიობა, რაც ადამიანთა ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელი, აუცილებლობით მოითხოვს თანამშრომლობას. თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია ადამიანთა ორგანიზირებული სოციალური აქტიობა. ადამიანთა სოციალური და წარმოებითი ურთიერთობანი, რასაკვირველია, შეუძლებელია გაგებულ იქნეს ადამიანთა სოციალური გავლენის ისეთი ფორმების საფუძველზე, როგორ-

რაცაა თანაარსებობა, თანააქტიობა, სოციალური განმტკიცება, მიზან-
ვა, თანამშრომლობა და სხვა, მაგრამ ადამიანთა სოციალური აქტიობის
ბუნების გარკვევისათვის მნიშვნელობა აქვს ამ ფენომენთა თავისებუ-
რებების გათვალისწინებასაც.

ჩვენ აღრე განვიხილეთ სოციალური განმტკიცების ემპირიული კა-
ხონზომიერებანი, რომელთა მიხედვითაც ხდება ერთი ადამიანის მიერ
ზეორზე გავლენა. მის საფუძველზე ცოცხალი ორგანიზმების აქტიობა
უფრო ორგანიზებულ და „სოციალიზებულ“ სახეს იღებს. თანამშრომ-
ლობა სოციალური განმტკიცების გვერდით ურთიერთქმედების დამო-
უკიდებელ ფორმას წარმოადგენს, რადგან მას, სოციალური განმტკიცე-
ბისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელი გენეტიკური ფესვები გააჩნია.
სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ცოცხალი ინდივიდის
ძირითად ბიოფსიქიკურ კანონზომიერებათა მიხედვით ცოცხალ ორგა-
ნიზმებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის გარკვეული ობი-
ექტური საფუძველი არსებობს. ამის გამო უფრო დიდი ალბათობა არ-
სებობს იმისათვის, რომ ინდივიდებმა ერთმანეთში ითანამშრომლონ,
ვიდრე დაიშალონ და იზოლირებულ ცხოვრებას შეუდგნენ.

ექსპერიმენტული მონაცემების სათანადო ანალიზის საფუძველზე
ნათელი ხდება, რომ იზოლირებულ აქტიობასთან შედარებით თანამშ-
რომლობა ცოცხალი ორგანიზმებისათვის, მათ ძირითად ბიოფსიქიკურ
კანონზომიერებათა მიხედვით, უფრო სასარგებლოა, იწვევს მათი ფსი-
ქოფიზიკური ძალების უფრო მიზანშეწონილ ორგანიზაციას და სინამდ-
ვილისადმი უკეთესად შეგუებას.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს იძლევა სიდოვსკის,
უიკოფის და ტაბორის ექსპერიმენტული გამოკვლევები¹. ამ ავტორთა
მიერ ორგანიზებული იყო ისეთი ექსპერიმენტული სიტუაცია, რომელ-
შიც ნათლად გამოჩნდა, რომ ცდისპირებისათვის თანამშრომლობა აქტი-
ობის უფრო სასარგებლო ფორმაა, ვიდრე სხვათა იგნორაცია და იზო-
ლირებული მოქმედება. გარდა ამისა, ისიც იქნა ნაჩვენები, რომ ინდი-
ვიდები რეალურადაც უფრო ხშირად შედიან თანამშრომლობით ურ-
თიერთობაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ ხშირად არც იციან არაფერი
მოცემულ სიტუაციაში თანამშრომლობის არსებობის შესახებ.

აღნიშნული ექსპერიმენტული სიტუაცია შემდეგნაირად იყო ორ-
განიზებული: ორ იზოლირებულ A და B ოთახებში მოთავსებული იყო
ორი ცდისპირი. თითოეული მათგანი იჭდა მაგიდასთან, რომელზეც მო-
თავსებული იყო ორი ლილაკი—I და II. A ცდისპირი I ლილაკზე თი-

¹ Sldowski Y. B., Wycxoff I. II., Tabory L. The influence of reinforcement and punishment in a minimal social situation. Y. Abnorm. Soc. Psychology, 1956, 52, p. 115—119.

ათის დაჭერის შემთხვევაში ანთებდა ნათურას B ცდისპირის მაგიდაზე, ხოლო II ლილაკზე თითის დაჭერისას ჩართავდა ელექტროდენს, რომელიც B ცდისპირის მარცხენა ხელზე იყო შეერთებული და იგი იღებდა ელექტროშოკს. ასევე იყო დაკავშირებული B ცდისპირის მაგიდაზე განლაგებული I და II ლილაკი A ცდისპირთან. B ცდისპირიც I ლილაკის ჩართვის შემთხვევაში ელექტრონათურას უნთებდა A ცდისპირს, ხოლო II ლილაკზე თითის დაჭერის შემთხვევაში A ცდისპირს ელექტროშოკს მიაღებინებდა ხოლმე. ამ ექსპერიმენტებში არც ერთმა ცდისპირმა არ იცოდა მეორე ცდისპირის არსებობა. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ ის მარტო მონაწილეობდა ცდაში.


ამ ექსპერიმენტებში ცდისპირს ეუბნებოდნენ, რომ მისი ამოცანა იყო I ან II ლილაკის ჩართვით მიეღწია იმისათვის, რომ რაც შეიძლება იშვიათად მიეღო ელექტროშოკი და რაც შეიძლება ხშირად აენთო ნათურა. ნათურის ანთების შემთხვევები შეჯამდებოდა და ცდისპირი ამის მიხედვით შესატყვისად იღებდა დამატებით გასამრჯელოს ცდებში მონაწილეობისათვის. ცდის პროცესში ცდისპირს უნდა მიეგნო იმ კავშირურთიერთობისათვის, რომელიც არსებობდა ამა თუ იმ ლილაკის ჩართვასა და ქულის (ნათურის ასაყება) ან ელექტროშოკის მიღებას შორის.

ამრიგად, ექსპერიმენტში ცდისპირს ევალეობდა ლილაკების გამოყენებით დაეგროვებინა რაც შეიძლება მეტი მომგებიანი ქულა და რაც შეიძლება ნაკლები დასჯა მიეღო. ცდისპირს შეეძლო თითი დაეჭირა რომელ ლილაკზეც სურდა, რამდენ ხანსაც და რამდენჯერაც უნდოდა. ერთდროულად არ შეიძლებოდა ორივე ლილაკის ჩართვა. ექსპერიმენტი 25 წუთის განმავლობაში ტარდებოდა.

ცდისპირებს რომ სცოდნოდათ ექსპერიმენტული სიტუაციის სტრუქტურა, მათ შეეძლოთ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან და მიეღოთ მაქსიმალური მოგება და მინიმალური დასჯა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ არ იცოდნენ ექსპერიმენტის სტრუქტურა, ობიექტურად მაინც არსებობდა თანამშრომლობის პირობები და თუ ისინი მისწვდებოდნენ თანამშრომლობის ამ პირობებს, შეეძლოთ ფაქტიურად განეხორციელებინათ ამგვარი თანამშრომლობა.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მოვახდინოთ აღნიშნული ვითარების თეორიული ანალიზი, განვიხილოთ ცდისპირთა ქცევის ის შესაძლებელი ვარიანტები, რომლებიც აღნიშნულ სიტუაციაში შეიძლება განხორციელდეს. A ცდისპირს შეუძლია ჩართოს I ან II ლილაკი, ასევე B ცდისპირსაც შეუძლია თავის I ან II ლილაკს დააჭიროს თითი. დასაწყისში შესაძლებელია მივიღოთ A და B ცდისპირების შემდეგი დაწყვილებული 4 ვარიანტის რეაქცია:

1) A რთავს I ლი-
ლაკს




იღებს ქულას (A+)

B რთავს I ლი-
ლაკს

იღებს ქულას (B+)

2) A რთავს I ლი-
ლაკს




იღებს ელექტროშოკს
(A-)

B რთავს II ლი-
ლაკს

იღებს ქულას (B+)

3) A რთავს II ლი-
ლაკს




იღებს ქულას (A+)

B რთავს I ლი-
ლაკს

იღებს ელექტროშოკს
(B-)

4) A რთავს II ლი-
ლაკს



იღებს ელექტროშოკს
(A-)


B რთავს II ლი-
ლაკს

იღებს ელექტროშოკს
(B-).

როგორც ვხედავთ, თავიდან თანაბარი ალბათობა არსებობს იმისათვის, რომ ცდისპირებმა ერთმანეთი „დააჯილდოონ“ ან „დასაჯონ“. მაგრამ საინტერესოა, როგორ გაგრძელდება მათი მოქმედება? ექსპერიმენტული მონაცემებით ირკვევა, რომ პირველი 2 წუთის განმავლობაში ცდისპირები მართლაც ერთსა და იმავე რაოდენობის „დამასაჩუქრებელ“ და „დამსჯელ“ რეაქციებს ახორციელებენ, მაგრამ მესამე წუთიდან ცდისპირები, თუ შეიძლება ასე ითქვას, იწყებენ „თანამშრომლობას“. ისინი თითო აჭერენ იმ ლილაკებს, რომლებიც თავის უცნობ და რეალურად არსებულ პარტნიორს ქულების მოგროვებასა და დასჯის აცილებაში ეხმარება. ასეთ ცდაში 25 წუთის განმავლობაში ცდისპირებმა განახორციელეს 1037 დამასაჩუქრებელი რეაქცია და 558 დამსჯელი მოქმედება. როგორც ვხედავთ, ცდისპირები ორჯერ უფრო მეტად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, რის გამოც მათ უფრო მეტი სარ-

გებლობა მიიღეს ამ ექსპერიმენტული სიტუაციიდან, ვიდრე დასჯა. გრაფიკ № 5-ში მოცემულია თანამშრომლობის მაჩვენებლები დროის მიხედვით.

აღნიშნული გრაფიკიდან ჩანს, რომ თანამშრომლობა ცდისპირებს შორის უკვე მესამე წუთიდან დაიწყო. თუმცა თანამშრომლობის ეფექტურობა ვერ ავიდა მაქსიმალურად მაღალ დონეზე (ბოლოს „თანამშრომლობაში“ მყოფი პარტნიორები დაახლოებით 30%-ის შემთხვევაში




გრაფიკი 5.

მინც „სკიდნენ“ ერთმანეთს), მაგრამ თანამშრომლობის ფაქტი, როგორც ვხედავთ, მინც არსებობს.

საინტერესოა გაირკვეს, თუ რის საფუძველზე აღმოცენდება და ხორციელდება თანამშრომლობა. ამ ექსპერიმენტული გამოკვლევის ავტორთა აზრით, ამგვარი თანამშრომლობა გაპირობებული უნდა იყოს „წარმატებული ქცევის განმტკიცების და წარუმატებელი ქცევის შესუსტების კანონის საფუძველზე“. განწყობის თეორიის მიხედვით, აღნიშნული ემპირული კანონი, რომელიც მართლაც მოქმედებს ცოცხალი ინდივიდის რეალურ აქტიობაში, შემდგენაირად უნდა იქნეს ფორმულირებული: ქცევის განწყობა, რომლის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას იწვევს, ფიქსირდება, ხოლო განწყობა, რომელიც სათანადოდ ვერ რეალიზირდება და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფს, დეაქტუალიზაციას და ლიკვიდაციას განიცდის.

აღნიშნული კანონის მიხედვით ქცევა, რომელიც მიზანშეწონილი და ადაპტირებულია შესატყვისი განწყობის ფიქსირების გამო, მტკიცდება და კვლავ გამეორების ტენდენციით ხასიათდება; ხოლო ქცევა, რომელიც მიზანშეწონილია და დასჯა მოსდევს, შესატყვისი განწყობის დეაქტუალიზაციას იწვევს. ამიტომ ინდივიდს აღარა აქვს ამ ქცევის განმეორების ტენდენცია. ინდივიდში ამ დროს უფრო შესატყვისი განწყობის ორგანიზება ხდება და განსხვავებული ქცევის განხორციელების ტენდენციით ხასიათდება. თუ ეს კანონი მართლა მოქმედებს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ქცევა, რომელიც წარმატების მიღწევასთან არის დაკავშირებული, მტკიცდება; ინდივიდს უფიქსირდება განწყობა მისი გამეორებისა, ხოლო ქცევა, რომელიც დასჯით, ელექტროშოკის მიღებით მთავრდება, ინდივიდში არ აფიქსირებს შესატყვისი განწყობას. ამ დროს ინდივიდს ეცვლება განწყობა და ცვლის თავის ქცევას.

ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი რეაქციის შემდეგ ინდივიდში შემდეგი სახის შინაგან რეორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ადგილი:







როგორც ვხედავთ, როდესაც ცდისპირები თავის მოქმედებას ურთიერთის დაჯილდოებით იწყებენ (ალტერნატივების I ვარიანტი), მათ უნდა ექმნებოდეთ ტენდენცია, რომ ამავე სახით გააგრძელონ აქტიობა. როდესაც ცდისპირები სხვადასხვა ლილაკების გამოყენებით იწყებენ აქტიობას, დასაწყისში ერთი დამსჯელ რეაქციას ახორციელებს. ხოლო

მეორე — დამაჯილდოებელს (შესაძლებელი რეაქციების II და III ვარიანტები). ასეთ შემთხვევაში მესამე ბლოკის დაწყვილებულ რეაქციებამდე ისინი ვერ განახორციელებენ თანამშრომლობას. ამის შემდეგ კი, თუ ისინი იმოქმედებენ აღნიშნული კანონის მიხედვით, მათ შორის თანამშრომლობა უნდა დამყარდეს და გაგრძელდეს. მაშინ როდესაც ცდისპირები ურთიერთის დამსჯელი რეაქციებით იწყებენ აქტიობას, აღნიშნული კანონის საფუძველზე ისინი უკვე მეორე ბლოკის დაწყვილებული რეაქციების შემდეგ ჩაებმებიან თანამშრომლობაში.

აღნიშნული ემპირიული კანონის საფუძველზე, როგორც ჩანს, მართლაც შესაძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რატომ უჩნდებათ ამგვარ სიტუაციაში ინდივიდებს თანამშრომლობის ტენდენცია. მაგრამ ამ მონაცემთა საფუძველზე ისიც ნათლად ირკვევა, რომ აღნიშნული კანონი მოცემულ სიტუაციაში განხორციელებული აქტიობის მთავარ ტენდენციას გამოხატავს და არსებობს დამატებითი ფაქტორებიც, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს ცდისპირების ქცევაზე აღნიშნული ექსპერიმენტის სიტუაციაში.

კელის, ტიბოს, რედლეფის და მანდის ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ ის, თუ როგორ მოხდება თანამშრომლობის სიტუაციის ობიექტური ორგანიზაცია, იწენს თუ არა ინდივიდი ასეთი სიტუაციის მიმართ თანამშრომლობას, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამშრომლობის ეფექტურობას. ირკვევა, რომ თუ ცდისპირებს თანამშრომლობის პროცესში თანმიმდევრულად აქვთ განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში მათ უნდა უპასუხონ სათანადო რეაქციით იმ ზემოქმედებას, რომელსაც უცხო პარტნიორის მოქმედებაზე პასუხობენ, მაშინ შესაძლებელია ცდისპირებს შორის აღნიშნული კანონზომიერების საფუძველზე ვერ მოხერხდეს თანამშრომლობის განხორციელება. ვთქვათ, თითოეულ ცდისპირს ეძლევა ფიქსირებული დრო, რომლის განმავლობაში მან უნდა უპასუხოს გარკვეული ლილაკის ჩართვით და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მეორე ინდივიდს უპასუხოს სათანადო რეაქციით. ასეთ შემთხვევაში დროის ინტერვალები, რომლის დროსაც თითოეული ცდისპირი მოქმედებს, მათ შორის ალტერნატიულად, თანმიმდევრობით იქნება განაწილებული. პირველი ინტერვალის განმავლობაში უნდა უპასუხოს A ინდივიდმა, მეორე ინტერვალში — B-მ, მესამეში ისევ A-მ და ასე შემდეგ. სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თუ ცდისპირები აქტიობას განახორციელებენ იმ ემპირიული კანონის საფუძველზე, რომელიც ცოცხალი ინდივიდებისათვის არის დამახასიათებელი და რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, მათ შორის ხშირად თანამშრომლობა შეუძლებელი აღმოჩნდება. ასეთი სიტუაციის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:



ამ ვარიანტების ანალიზიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ემპირიული კანონის საფუძველზე ინდივიდებს შორის თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს, თუ ცდისპირები თავიანთ აქტიობას შემთხვევით „სწორი“, „რამასაჩუქრებელი“ რეაქციებით დაიწყებენ (შესაძლო რეაქციების I ვარიანტი). სხვა შემთხვევაში ისინი ვერ განახორციელებენ თანამშრომლობას.

აღნიშნული მკვლევარების აზრით, ცდისპირებს შორის თანამშრომლობისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმასაც, იცინ თუ არა მათ მეორე ცდისპირის არსებობის ფაქტი და რეალურად ექმნებათ მათ თუ არა თანამშრომლობა აღნიშნული აქტიობის პროცესში.

ამ ჰიპოთეზების შესამოწმებლად აღნიშნულმა მკვლევარებმა ჩაატარეს ექსპერიმენტული გამოკვლევები¹. მათ შექმნეს ცდისპირების ოთხი ჯგუფი. ისინი ცდისპირთა ერთ ჯგუფს ცდებს ისევე უტარებდნენ, როგორც ეს სიღოვსკი-უიკოფი-ტაბორის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებში ხდებოდა: ცდისპირებმა არაფერი იცოდნენ მეორე პარტნიორის არსებობის შესახებ. მეორე ჯგუფის ცდისპირებს ექსპერიმენტატორები ეუბნებოდნენ, რომ ამ ექსპერიმენტში მეორე ცდისპირიც მონაწილეობდა და მათ ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაზე ბევრად იყო დამოკიდებული, თუ რამდენად მეტ ქულებს დააგროვებენ ისინი და

¹ Kelley H. H. Thibaut Y. W., Radloff R., Mundy D. The development of cooperation in the minimal social situation.. Psychol. Monog., 1962, 76 (19, Whole № 533).

რამდენად მეტად აიცილებენ ელექტროშოკით დასჯას. გარდა ამისა, როგორც პირველი, ისე მეორე ჩგუფი გაიყო ქვეჩგუფებად, რომელთაგანაც ერთს სთხოვდნენ, რომ თავიანთი რეაქციები დროის გარკვეულ ერთეულებში შეესრულებინათ. როდესაც ცდისპირი მიიღებდა დასჯის ან დასაჩუქრების ზემოქმედებას, მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეესრულებინა საპასუხო რეაქცია. მათი მოქმედება ზემოქმედების მიღებისა და რეაქციების თანმიმდევრული რიგისაგან შედგებოდა. მეორე ჩგუფის ცდისპირებს ნება ეძლეოდათ ერთდროულად ეწარმოებინათ ზემოქმედების მიღება და საპასუხო რეაქციები. ამგვარად შედგენილ იქნა ცდისპირთა ოთხი ჩგუფი, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება კლასიფიცირდეს:

I ჩგუფი. ერთდროულად მომუშავე ცდისპირები, რომლებიც არ იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მეორე ცდისპირიც მონაწილეობდა ექსპერიმენტში (ე. ა.).

II ჩგუფი. ერთდროულად მომუშავე ცდისპირები, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ, რომ ცდაში მეორე ცდისპირიც მონაწილეობდა (ე. ა.).

III ჩგუფი. მონაცვლეობით მომუშავე არაინფორმირებულნი ცდისპირები (მ. ა.).

IV ჩგუფი. მონაცვლეობით მომუშავე ინფორმირებულნი ცდისპირები (მ. ი.).


ყველა ამ ჩგუფის ცდისპირებს ეძლეოდათ 100-დან 175-მდე მცდელობის განხორციელების უფლება. მათი რეაქციები, მოპოვებული მომგებიანი ქულების რაოდენობა და ელექტროშოკის მიღების შემთხვევები აღირიცხებოდა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია გრაფიკ 16-ში.

გრაფიკში აბსცისას თითოეულ მონაკვეთზე დალაგებულია ცდისპირების 35 მცდელობის საშუალო მაჩვენებელი, ხოლო ორდინატზე მოცემულია ცდისპირთა მიერ თანამშრომლობის განხორციელების პროცენტული მაჩვენებელი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ცდისპირი, რომელიც არ არის ინფორმირებული, რომ ცდაში სხვა ცდისპირიც მონაწილეობს, მაგრამ დროულად შეზღუდული არაა და უცნობ პარტნიორთან ერთდროულად შეუძლია მოქმედება ექსპერიმენტის პროცესში, ობიექტურად თანდათან აღმოჩენებს თანამშრომლობას მეორე ცდისპირთან და ელექტროშოკის მიღების შემცირების ხარჯზე ზრდის მომგებიანი ქულების რაოდენობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ექსპერიმენტატორებს ამ ჩგუფის ცდისპირებთან ექსპერიმენტი რომ არ შეეზღუდათ 100 მცდელობით, ამ ჩგუფის წევრთა თანამშრომლობის მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდებოდა და გადააჭარბებდა სიდოვსკი-უიკოვ-ტაბორის მაჩვენებ-

ლებს, რომელთა ცდისპირებმა ვერ შეძლეს მცდელობათა 70%-ზე მეტ შემთხვევაში განხორციელებინათ თანამშრომლობა.

გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ, როდესაც ცდისპირები ერთდროულად მოქმედებენ და იციან, რომ სხვა სუბიექტთან უნდა განახორციელონ თანამშრომლობა, ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობის მაჩვენებელი უმაღლესად აღწევს 95%-ს.



ციელონ თანამშრომლობა, ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობა თავიდანვე ადვილად ხორციელდება და საბოლოოდ უმაღლეს დონესაც აღწევს.

აღნიშნული მონაცემები სრულიად შეესატყვისება იმ ჰიპოთეზებს, რომლებიც აღნიშნულ მკვლევარებს ჰქონდათ ცდის დაწყებამდე. ეს ჰიპოთეზები შემდეგში მდგომარეობდა: როდესაც ადამიანმა იცის, რომ მას მეორე გონიერ არსებასთან აქვს ურთიერთობა და მათი თანამშრომლობა ორივესათვის სასარგებლოა, ისინი უკეთესად ახორციელებენ თანამშრომლობას, ვიდრე მაშინ, როდესაც სუბიექტსა და გარემოს შორის იგივე ობიექტური დამოკიდებულება არსებობს, მაგრამ ამ სიტუაციას არ ახლავს იმის ცოდნა, რომ მოცემული აქტიობის მეორე წევრი ადამიანია.

ამ ჰიპოთეზას ადასტურებს მესამე ჯგუფის ცდისპირთა მონაცემებიც, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ცდებში სხვა სუბიექტის მონაწილეობის შესახებ. მაგრამ, გარდა ამისა, ამ ჯგუფის ცდისპირთა მონაცემები იმაზეც მიუთითებენ, რომ არაერთდროული მუშაობის შემთხვევა-

ში თანამშრომლობა მეტისმეტად გაძნელებულია. როგორც გრაფიკიდან ჩანს, „არაინფორმირებული მონაცვლეობით მომუშავე ცდისპირებმა“ აბსოლუტურად ვერ შეძლეს თანამშრომლობის გაუმჯობესება; ისინი იმდენსავე მომგებიან ქულას და დასჯას იღებდნენ ცდების ბოლოს, როგორც დასაწყისში. მათი მაჩვენებლების მიხედვით ირკვევა, რომ ისინი ბოლომდე შემთხვევით და ქაოტურად ახორციელებენ რეაქციებს, ვერავითარ კავშირს ვერ ხედავენ მათ რეაქციებსა და მიღებულ ზემოქმედებას შორის.

ძალიან საინტერესო შედეგები იქნა მიღებული მეოთხე ჯგუფის ცდისპირთა პასუხების საფუძველზე. ეს ცდისპირები ერთიმეორის მიმდევრობით მოქმედებენ, რაც, როგორც ვიცით, ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას ინდივიდებს შორის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად ამისა, უბრალოდ იმ ფაქტის ცოდნა, რომ ამ საქმიანობის მეორე პოლუსებზე მეორე სუბიექტია ჩართული, რომელთანაც შეიძლება თანამშრომლობა, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორი აღმოჩნდა ამ ჯგუფის თითოეული ცდისპირისათვის. ამ განწყობით მომუშავე ცდისპირებმა, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობისათვის საუკეთესო ობიექტური პირობები არ ჰქონდათ, თანამშრომლობის ფრიად მაღალი მაჩვენებლები გამოამჟღავნეს.

აღნიშნულ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ობიექტური პირობების არსებობის შემთხვევაში, როდესაც ადამიანები თანამშრომლობის განწყობით ახდენენ ურთიერთქმედებას, მათ ფრიად ეფექტური თანამშრომლობა შეუძლიათ.

მრავალი სხვა გამოკვლევებიდანაც (რომელთაც შემდგომში განვიხილავთ) ირკვევა, რომ ადამიანთა ჯგუფის ისეთი ნიშნები, როგორიცაა სოლიდარობა, ჯგუფის ძირითადი ნორმებისადმი ერთგულება, ურთიერთისადმი დადებითი დამოკიდებულება და სხვა, რომლებიც თავსებადნი არიან თანამშრომლობის განწყობასთან, ხელს უწყობენ ადამიანთა ჯგუფში ეფექტური თანამშრომლობის განვითარებას.

ჩვენ მიერ გარჩეული ექსპერიმენტული მონაცემები თანამშრომლობის უმარტივეს ფორმებს შეეხება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ცდისპირებმა არც იცოდნენ, რომ თანამშრომლობის სიტუაციაში იყვნენ ჩართული, ფაქტიურად შეიძლება არა გვაქვს თანამშრომლობა. მაგრამ ამ გამოკვლევებიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ადამიანისათვის იმის გაცნობიერება, რომ იგი თანამშრომლობს სხვა ადამიანთან, მის აქტიობას უფრო ადაპტირებულ და მიზანშეწონილს ხდის.

რეალურ სოციალურ ურთიერთობაში თანამშრომლობითი აქტიობა ბევრად უფრო რთული ბუნებისაა. თუ რა სახის ურთიერთობა ჩამოუყალიბდება ადამიანს სხვა ადამიანებთან, ჯგუფთან ან საზოგადოების-

თან, ეს მრავალ სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორზეა დამოკიდებული. ურთიერთობის ამ ფორმის ბუნების შესწავლა შეუძლებელი იქნება, თუ ის ადამიანთა ურთიერთქმედების ისეთ ფორმასთან კავშირში არ იქნება განხილული, როგორცაა შეჯიბრი.

თანამშრომლობის პროცესში, საზოგადოდ, ინდივიდებს ისეთი ქცევის განხორციელებისა და განმტკიცების ტენდენცია ექმნებათ, რომელიც თანამშრომლობაში მონაწილე ყველა წევრისათვის იქნება სასარგებლო და მისაღები. თანამშრომლობის აქტიობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სოციალური გავლენის იმ ფორმისაგან, რომელიც ადრე სოციალური განმტკიცების ტერმინით აღვნიშნეთ. სოციალური განმტკიცება სოციალური გავლენის ისეთ პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც ინდივიდი სხვა ინდივიდებში თავისი მისწრაფებებისა და განწყობების შესატყვისი ქცევის განმტკიცებას ახდენს. ამ დროს სოციალური გავლენის მიმღები ინდივიდის აქტიობაში ისეთი ორიენტაციებისა და ქცევის ფიქსირება ხდება, რომლის მიმართ სხვა ინდივიდები დადებით დამოკიდებულებას, თანხმობას გამოხატავენ.

თანამშრომლობის აქტიობის დროს ინდივიდის გარკვეულ ქცევათა განმტკიცება მხოლოდ პარტნიორის ზემოქმედებით არ არის გააჩივებული. თანამშრომლობით ურთიერთობაში შესვლის დროს, თანამშრომლობის განწყობით აქტიობის სუბიექტს ისეთი ქცევათა სისტემა უყალიბდება, რომელიც პარტნიორის მოთხოვნებსაც ემსახურება. თანამშრომლობაში ქცევათა ისეთი სისტემა იგულისხმება, რომელიც მისი განმხორციელებელი A ინდივიდის ინტერესებთან ერთად პარტნიორ B ინდივიდის ინტერესებსაც ემსახურება. პირიქით, თანამშრომლობაში ჩართული B ინდივიდი თავისი აქტიობით სარგებლობას იღებს A ინდივიდთან ერთად.

ამრიგად, თანამშრომლობაში ჩართული წევრები აქტიობის ერთ მთლიან სისტემად იქცევიან, რომლებსაც ერთი გარკვეული მიზანი გააჩნიათ და გარკვეული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებიან. თანამშრომლობა ცალკეული ინდივიდებისაგან მათი აქტიობის ისეთ ორგანიზაციას მოითხოვს, რომელიც თანამშრომლობის წევრთა საერთო ამოცანის მიმართ ჭკუფის მიზანშეწონილ, ერთიან-მთლიან ქცევის რეალიზაციას უზრუნველყოფს.

თანამშრომლობის განწყობით მოქმედების დროს როგორც საკუთარ, ისე სხვის აქტიობაში ისეთ ქცევათა ფორმირება და განმტკიცება ხდება, რომლებიც თანამშრომლობას უწყობენ ხელს. თანამშრომლობის პროცესში ადამიანთა ურთიერთქმედების ბუნება შეიძლება შემდეგი სქემით გამოიხატოს:

$$\begin{array}{ccccccc}
 P_1 & \overset{+}{-} & R_1 & \overset{+}{-} & P_1 & \overset{+}{-} & R_1 & \overset{+}{-} & P_1 & \overset{+}{-} & R_1 & \dots \\
 | & + & | & + & | & + & | & + & | & + & | & + \\
 P_2 & \overset{+}{-} & R_2 & \overset{+}{-} & P_2 & \overset{+}{-} & R_2 & \overset{+}{-} & P_2 & \dots
 \end{array}$$

ამ სქემაში P_1 -ით თანამშრომლობაში მყოფი ერთ-ერთი პიროვნებაა აღნიშნული, P_2 -ით, — მეორე პიროვნება; R_1 -ით P_1 -ის ქცევაა აღნიშნული, R_2 -თი, P_2 -თი— P_2 -ის ქცევა. ისარი პლუსით ($\overset{+}{-}$) აღნიშნავს „იწვევს და ამტკიცებს“.

თანამშრომლობის განწყობა იწვევს და ამტკიცებს ადამიანთა ისეთ აქტიობას, რომელიც ხელს უწყობს მათ შორის თანამშრომლობას.

ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ გარკვეულ პირობებში ადამიანები მართლაც თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მაგრამ, როგორც ირკვევა, არსებობს პირობების მთელი სისტემა, რომელიც ადამიანებში თანამშრომლობის მაგიერ ურთიერთქმედების სხვაგვარი ფორმის აღმოცენებას იწვევს.

სკოდელის, მინეს, რატუშისა და ლიპეტის გამოკვლევათა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ შესაძლებელია აღწერილ იქნეს ის სიტუაციური ცვლადები, რომელთა გარკვეული ზომით ცვლილების შემდეგ ადამიანთა თანამშრომლობის მაგიერ შეჭიბრის ურთიერთობა ყალიბდება, რომლის დროსაც ადამიანთა ურთიერთქმედება სრულიად განსხვავებულ სახეს იღებს¹.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს ის ექსპერიმენტული სიტუაცია, რომელშიც ზემოაღნიშნული მკვლევარები ატარებდნენ თავის ცდებს, ადრე აღწერილი ექსპერიმენტის მსგავსად, წარმოვიდგინოთ ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული ოთახი, რომლებშიც თავსდებათ A და B სუბიექტები. ორივე ცდისპირს მაგიდაზე აქვს ორ-ორი დილაკი, რომელთა ჩართვა მეორე ცდისპირის მაგიდაზე იწვევს გარკვეული ნათურის ანთებას.

ცდის თითო სერიაში ცდისპირს მხოლოდ ერთი დილაკის ჩართვა შეუძლია, ორივე დილაკი ერთდროულად არ ჩაირთვება. „მარჯვენა“ და „მარცხენა“ დილაკის ჩართვა ცდისპირს სხვადასხვა რაოდენობის მომგებიან ქულას აძლევს. ცდის ბოლოს შეგროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით ყოველი ცდისპირი იღებს გასამარჯვლოს ცდაში მონაწილეობისათვის. მაგრამ ამ ექსპერიმენტული სიტუაციის სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ქულათა რაოდენობა, რომელ-

¹ Seoddel A., Minas Y. S., Ratoosh P., Lipets M. Some descriptive aspects of two-person, non-zero sum games. *Y. Conflict Resolution*, 1959, 8, p. 114—119

საც ცდისპირები ცდის თითოეულ სერიაში იღებენ, მხოლოდ მათ მიერ ჩართული ღილაკის მიხედვით არ განისაზღვრება. ქულათა რაოდენობა, რომელსაც ცდისპირი იღებს, დამოკიდებულია ღილაკების იმ კომბინაციაზე, რომელსაც ორივე ცდისპირი ჩართავს. ყოველი ცდისპირი გარკვეული ღილაკის ჩართვის შემდეგ იგებს, თუ რომელი ღილაკი ჩართა მისმა პარტნიორმა. იმის მიხედვით, თუ როგორი სახის თანამშრომლობას განახორციელებენ ცდისპირები, მათ შეუძლიათ მიიღონ მეტი ან ნაკლები მოგება. ამავე დროს თანამშრომლობის სტილის მიხედვით ერთმა შეიძლება მეტი მოგება მიიღოს, მეორემ ნაკლები. იმისათვის, რომ უფრო გასაგები იყოს ექსპერიმენტული სიტუაციის თავისებურება, განვიხილავთ ერთ-ერთ შესაძლო სქემას, რომლის მიხედვითაც კონკრეტულ შემთხვევაში რეალურად განხორციელდება ექსპერიმენტული პროცედურა.

წარმოდგენილ მატრიცაში მოცემულია ცდისპირთა შესაძლო რეაქციების კომბინაციები და ქულათა რაოდენობანი, რომლებიც მათ შეუძლიათ მიიღონ ამ კომბინაციების განხორციელების შემთხვევაში.

		B ცდისპირის რეაქცია	
		მარცხ.	მარჯვ.
A ცდისპირის რეაქცია	მარცხენა	3,8	5,0
	მარჯვენა	0,5	1,1

მოცემულ მატრიცაში ნაჩვენებია, რომ A ცდისპირს შეუძლია ჩართოს „მარცხენა“ ან „მარჯვენა“ ღილაკი. ასევე B ცდისპირსაც შეუძლია ჩართოს „თავისი“ მარცხენა ან მარჯვენა ღილაკი. მატრიცაში ჩაწერილი რიცხვები უჩვენებენ იმ ქულებს, რომლებსაც ამ დროს მიიღებენ A და B ცდისპირები. პირველად ყოველთვის ჩაწერილია ის რიცხვი, რომლის შესატყვისს ქულას იღებს A ცდისპირი, მეორე რიცხვი B ცდისპირის მიერ მიღებული ქულების რაოდენობას გამოხატავს. ყოველ ცდაში თითოეული ცდისპირის ხვედრი დამოკიდებულია მათი რეაქციების ერთობლიობაზე.

მაგალითად, ვთქვათ, A ცდისპირმა ჩართო მარცხენა ღილაკი. ამ ვარიანტში ის მიიღებს 3 ან 5 ქულას იმის მიხედვით, თუ რომელ ღილაკს ჩართავს B ცდისპირი. თუ A ჩართავს მარჯვენა ღილაკს, მას შეუძლია მიიღოს 0 ან 1 ქულა.

ასეთივე სიმეტრიულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე B ცდისპირის მოქმედების მიხედვითაც. თუ B აირჩევს მარცხენა ღილაკს, მასაც შე-

უძლია 3 ან 5 ქულის მიღება, ხოლო თუ ის მარჯვენა ღილაკს ჩართავს, მიიღებს 0 ან 1 ქულას იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე აირჩია მის-
 ზა პარტნიორმა.

ცხადია, A ცდისპირის საუკეთესო სტრატეგია იქნება „მარცხენა“ ღილაკის ჩართვა, რადგან ყველაზე მცირე ქულა, რაც მას შეუძლია ამ დროს მიიღოს, 3 ქულაა. თუ ის „მარცხენა“ ღილაკს ჩართავს, მისი მაქსიმალური მოგება მხოლოდ 1 ქულა შეიძლება იყოს, გარდა ამისა. მან შეიძლება ვერც ერთი ქულაც ვერ აიღოს.

B ცდისპირის საუკეთესო სტრატეგია ზუსტად იმავე მიზეზების გამო მარცხენა ღილაკის ჩართვაა. ეჭვი არაა, რომ ასეთ შემთხვევაში ორივე ცდისპირი მარცხენა ღილაკს ჩართავს ხოლმე და მათ შორის თანამშრომლობა დამყარდება.

მაგრამ, ცხადია, სინამდვილე ყოველთვის იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ადამიანები პარამონიულად და შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ. ახლა განვიხილავთ ისეთ ვითარებას, რომელიც ადამიანებს აიძულებს თავისი „ოდნავ ბნელი მხარეებიც“ გამოაჩინონ.

B ცდისპირის რეაქციები

		მარცხ.	მარჯვ.
A ცდისპირის რეაქციები	მარცხენა	3,9	0,5
	მარჯვენა	5,0	1,1

თუ ასეთ ექსპერიმენტულ სიტუაციაში A ცდისპირი „მარცხენას“ ამორჩევს, მას შეუძლია 3 ან 0 ქულა მიიღოს, ხოლო თუ „მარჯვენას“ — 5 ან 1 ქულა. როგორც ერთი შეხედვით ჩანს, A ცდისპირისათვის „მარჯვენის“ ამორჩევის სტრატეგია ფშვარად მომგებიანია: 3 ან 0 ქულის მიღებას 5 ან 1 ქულის მიღება სჯობია. თითქოს ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას B ცდისპირის მიმართაც, მისთვისაც საუკეთესო სტრატეგიად „მარჯვენა“ ღილაკის ამორჩევა წარმოადგენს. მაგრამ ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ თუ მთლიანი კონტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადრე გამოთქმული მოსაზრება უსაფუძვლო ხდება. თუ ორივე ცდისპირი „მარჯვენის“ სტრატეგიით იმოქმედებს, ისინი ყოველთვის მხოლოდ 1 ქულას მიიღებენ. მაგრამ თუ აღნიშნული ცდისპირები შეთანხმებულად საწინააღმდეგო სტრატეგიით იმოქმედებენ, „მარცხენა ღილაკის სტრატეგიით“ იმუშავენ, მაშინ ორივე სტაბილურად 3-3 ქულას მიიღებს.

თუ გახანგრძლივებულ ექსპერიმენტულ ვითარებაში ცდისპირებს სურთ, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ თანამშრომლობის პროცესში, მათ ხელი უნდა აიღონ ეგოისტურ ზრახვებზე, უარი თქვან უფრო დიდი მოგების საექვო პერსპექტივაზე, რომელიც რეალურად შეამცირებდა მათ მოგებას.

რასაკვირველია, გამორიცხული არაა, რომ რომელიმე ცდისპირმა შეიძლება მიმართოს მზაკვრობას და მას შემდეგ, რაც პარტნიორთან დაამყარა თანამშრომლობისა და ნდობის ურთიერთობა, უცბათ შეცვალოს სტრატეგია. ასეთ შემთხვევაში ის ცდიდან მაქსიმალურ, 5 ქულას აიღებდა და მისი პარტნიორი 0 ქულით დარჩებოდა, მაგრამ მაშინ სავარაუდოა, რომ მისი პარტნიორიც გამოიყენებდა ზოგჯერ ასეთ ვერაგულ ხერხებს, რაც საბოლოოდ ალბათ ორივე მათგანისათვის საზიანო აღმოჩნდებოდა.

როგორც ვხედავთ, ამგვარი ექსპერიმენტული სიტუაციები შესაძლებლობას იძლევა გაიკვევს ადამიანთა ტენდენციები — დაამყარონ თანამშრომლობის, შეჩიბრის ან ბრძოლის ურთიერთობა, რაც, ალბათ, გარკვეული კანონზომიერებით უნდა იყოს დაკავშირებული ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა გარკვეულ კომპლექსთან.


ამგვარი მეთოდით სკოდელის, მინეს, რატუშისა და ლიპერტზის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში გარკვეული კანონზომიერებანი იქნა დადგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცდისპირებმა იცოდნენ, რომ ამ ცდებში სხვა ცდისპირიც მონაწილეობდა, მათ ყოველი ცალკეული ცდის შემთხვევებშიც იცოდნენ, თუ მათი მოქმედების რომელი ვარიანტი რა მოგებას აძლევდათ, მაგრამ, როგორც წესი, ისინი ცდებში ისე ებმებოდნენ, რომ საშუალება არც ჰქონდათ ზუსტად გამოეთვალათ ცდის ამა თუ იმ ვარიანტში მოქმედების რომელი სტრატეგია იყო მეტი ალბათობით დაკავშირებული მეტ მოგებასთან.

ექსპერიმენტული სიტუაცია ცდისპირებს საშუალებას აძლევდათ ესეთი რეაქციები გამოემყდევინათ, რომლებიც სარგებლობას აძლევდა პარტნიორსაც და უზრუნველყოფდა იმასაც, რომ თვითონაც მიეღო არამაქსიმალური, მაგრამ ხანგრძლივი და სტაბილური მოგება. ამისათვის საჭირო იყო თანამშრომლობის დამყარება.

მაგრამ ძალიან ხშირად, როდესაც მომგებიან ქულათა რაოდენობა ისე იყო განაწილებული, რომ ცდისპირების ეგოისტური ზრახვების იქტივაციას იწვევდნენ, თანამშრომლობის მაგიერ ისინი შეჩიბრის ურთიერთობას ამყარებდნენ ერთმანეთთან. შეჩიბრის დროს ადამიანი ცდილობს გაშოიწვიოს და განამტკიცოს თავისი და პარტნიორის ისეთი რეაქციები, რომლებიც მას სარგებლობას აძლევს, ამასთანავე შეასუსტოს და განდევნოს თავისი და პარტნიორის ისეთი რეაქციები, რომლებიც

პარტნიორს. ასარგებლებენ. გარდა ამისა, ის ცდილობს გამოიწვიოს და განამტკიცოს პარტნიორის წინააღმდეგ მიმართული რეაქციები. შეჯიბრების პროცესში აღმოცენებული ურთიერთქმედებანი შემდეგი სქემით შეიძლება გამოიხატოს:



ამ სქემაში P_1 -ით შეჯიბრებით ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი პიროვნებაა აღნიშნული, R_2 -ით — მეორე პიროვნება; R_1 -ით — P_1 -ის ქცევა, R_2 -ით — P_2 -ის ქცევა. ისარი პლუსით (+) აღნიშნავს „იწვევს და აძლიერებს“, ისარი მინუსით (-) აღნიშნავს „ასუსტებს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრის სახეების კლასიფიკაცია შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რა დონით არის წარმოდგენილი შეჯიბრების პროცესში პარტნიორთან ანტაგონისტური დამოკიდებულება¹.

¹ შეჯიბრების ტიპურ ფორმად უნდა ჩაითვალოს ადამიანთა ქმედება, როდესაც ინდივიდი ცდილობს შეჯიბრების სიტუაციის წესების დაცვით მიიღოს მაქსიმალური მოგება პარტნიორის დაზარალების ხარჯზე. შეჯიბრების ასეთი ფორმა, ჩვეულებრივ, მაშინ რეალიზდება, როდესაც გასანაწილებელი ობიექტების რაოდენობა, რის მოპოვებისათვისაც შეჯიბრება ხდება, განსაზღვრულია და ის ბოლომდე უნდა განაწილდეს. მაგალითად, სპორტული შეჯიბრების დროს ორი მოკიდრაკის მატჩში, როდესაც მატჩში მოგებისათვის სპორტისა მერტალია ვარკვეული რაოდენობის დავრთვება, თითოეული ცდილობს რაც შეიძლება მეტე მიიღოს და ნაკლებე მაიღებინოს მოწინააღმდეგეის. ასევე თითოეულ პარტიაში მოწინააღმდეგეები ცდილობენ ისეთი სვლების გაკეთებას, რაც მის პოზიციას გაძლიერებს და მოწინააღმდეგეისა შეასუსტებს. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ისეთ სპორტულ შეჯიბრებაში, როგორცაა ფეხბურთი, კრივი, კიბობა და სხვა. მაგრამ ცოტა განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სპორტის ისეთ სახეებში შეჯიბრების დროს, როგორცაა სიმაღლეზე ან სიგრძეზე ხტომა, სიმძიმეების აწევა და სხვა, სადაც პარტნიორებს ურთიერთის რეაქციებზე შემასუსტებელი გავლენის მერტისმეტად მცირე შესაძლებლობები აქვთ. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის რეაქციები ინდივიდის რეაქციების მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში შეჯიბრებისათვის მთავარი სტიმული იმაში მდგომარეობს, რომ პარტნიორს აქობოს, მასზე უკეთესი შედეგი აჩვენოს. აქ შეჯიბრების აღმკრეფ ობიექტს ხშირად ის ადგილი წარმოადგენს, რომელიც მან უნდა დაიკავოს. ასეთ ვითარებაში, როდესაც სპორტსმენს უკვე განსაზღვრული აქვს საბრძოლო ადგილი და მიუღწეველია მოწინააღმდეგეებისათვის, ის თანახმაა დებშიაროს მოწინააღმდეგეს, რომ მან მასზე დაბლა რაც შეიძლება უკეთესი ადგილი დაიკავოს. კიდევ უფრო მინიმალურია ანტაგონიზმის ხარისხი შეჯიბრების ისეთ ფორმაში, რომელსაც წარმოების სოციალისტურ შეჯიბრებას ვუწოდებთ. აქ შეჯიბრების პროცესში ჩართული ინდივიდების მიხვეწებელი პარტნიორისათვის სტიმული ხდება. სხვის იმ რეაქციათა ჩასწობისა და შეკავების ტენდენცია, რომელიც მის წარმატებას ენსახურება, თითქმის გამორიცხულია. ამ შემთხვევაში სხვისი რეაქცია ითვლება სტიმულად უფრო მეტ მიხვეწებელია მოპოვებისათვის.

ამგვარ ექსპერიმენტულ სიტუაციებში ჩატარებული ცდების საფუძველზე ზემოაღნიშნული ავტორები გვიჩვენებენ, რომ ცდისპირები უფრო მეტად ეჯიბრებიან, ვიდრე თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ცდისპირები ფაქტიურად უარს ამბობენ უფრო მაღალ მოგებაზე თანამშრომლობის საფუძველზე და ამჯობინებენ, რომ შედარებით მცირე მოიგონ. მაგრამ შეეჯიბრონ პარტნიორს, მასზე მეტი მოგება მიიღონ.

ამავე მეთოდიკით მინიეს, სკოლელის, მარლოუს და რავსონის მიერ ჩატარებული იყო ცდები მოგების სხვადასხვაგვარი განაწილების ვარიანტებით. მათ გამოიყენეს შემდეგი 6 ექსპერიმენტული სიტუაცია:

თანამშრომლობის რეაქციების პროცენტული მაჩვენებლები სხვადასხვა სიტუაციებში

I სიტუაცია B-ს რეაქციები

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	8,8	1,10
	მარჯვენა	10,1	2,2

38 % თანამშრომლობა

II სიტუაცია

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	3,3	0,5
	მარჯვენა	5,0	1,1

36 % თანამშრომლობა

III

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	6,6	4,7
	მარჯვენა	7,4	-1,-1

50 % თანამშრომლობა

IV

B-ს რეაქციები

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	6,6	4,7
	მარჯვენა	7,4	-3,-3

53 % თანამშრომლობა

V B-ს რეაქციები

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	3,3	1,3
	მარჯვენა	3,1	0,0

48 % თანამშრომლობა

VI

B-ს რეაქციები

		მარცხ.	მარჯვ.
A-ს რეაქციები	მარცხენა	4,4	1,3
	მარჯვენა	3,1	0,0

53 % თანამშრომლობა

მატრიცებში ჩაწერილია იმ ქულების შესატყვისი რიცხვები, რომლებსაც ცდისპირები თანამშრომლობის ამა თუ იმ ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში იღებდნენ, ხოლო მატრიცის ქვეშ მიწერილია ცდისპირთა თანამშრომლობის შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებლები.

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, ასეთ სიტუაციებში ადამიანთა თანამშრომლობითი აქტიობა იშვიათად აღემატება 50%-ს. ცდისპირები ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირად თანამშრომლობის მაგივრად ეჭიბრებიან პარტნიორებს და მეტი სარგებლობის მომტან უშუალო ინდივიდუალისტურ რეაქციებს ახორციელებენ.

აღნიშნული სიტუაციებიდან თანამშრომლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები, როგორც ვხედავთ. II სიტუაციაში ხდება. როგორც ჩანს, ის უშუალო შთაბეჭდილება, რომ არათანამშრომლობის ვითარებაში ცდისპირებს თითქოს ორჯერ მეტი მოგების შანსი აქვთ $(5 + 1) : 2 = 3$; $(3 + 0) : 2 = 1,5$, ცდისპირებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, რის გამოც ისინი მხოლოდ 36% შემთხვევაში თანამშრომლობენ ერთმანეთთან. I სიტუაციაში, სადაც ასეთი მოჩვენებითი შთაბეჭდილება თითქმის თანაბარია, ცდისპირები მაინც ნაკლებად მიმართავენ თანამშრომლობას. ამ სიტუაციაში კი თანამშრომლობის შემთხვევაში შეიძლოა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები მიეღოთ. მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ჩანს ის ვარემოება, რომ დანარჩენ ოთხ სიტუაციაში, სადაც ჩანს, რომ თანამშრომლობის ეფექტი მართლაც ყოველთვის დიდი იქნება, ასეთ შემთხვევებშიც კი თანამშრომლობა დაახლოებით 50%-ის შემთხვევებში ხორციელდება. მსგავს ექსპერიმენტულ სიტუაციებში მიღებული მონაცემების საფუძველზე ზეიონკი¹ ასკვნის: ადამიანის აქტიობის დროს იმას უფრო ანგარიშს უწევს, რომ მან უფრო მეტი უნდა მოიგოს, ვიდრე მის პარტნიორმა, და ნაკლებ მისაღებად ეჩვენება ის, რომ მისმა პარტნიორმაც მისოდენა ან მასზე მეტი მოიგოს (თუნდაც ამ შემთხვევაში თითონაც მეტს იგებდეს, ვიდრე პირველ ვარიანტში). როგორც ვხედავთ, ცდისპირები ასეთ ვითარებაში თანახმანი არიან ისეთ აქტიობაზე, რომლის დროსაც ისინი ნაკლებს მოიგებენ, თუკი მათი პარტნიორები მათზე კიდევ უფრო ნაკლებს მიიღებენ. ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში, როგორც ჩანს, თანამშრომლობის გვერდით დიდი ადგილი უკავია შეჭიბრებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ურთიერთქმედების დროს თავისი ქცევის წარმატება-წარუმატებლობას ადამიანი პარტნიორებთან მიმართების თვალსაზრისით აფასებს. ჩვენი აზრით, ამ დებულების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს აღნიშნული შედეგების შედარება იმ ექსპერიმენტის მონაცემებთან, რომლებიც ზემოთ

¹ Zajonc R. B. Social Psychology, Belmont, 1968, p. 72—78.

კელის, ტიბოს, რადლოფის და მანდის შრომის გარჩევისას მოვიტანეთ. მათი გამოკვლევის ერთ-ერთი ექსპერიმენტის სერიაში, როდესაც ცდისპირებმა იცოდნენ, რომ თავიანთი აქტიობის პროცესში ფაქტიურად სხვა ცდისპირთან ამყარებდნენ თანამშრომლობას, საიდანაც ორივე ცდისპირს სარგებლობის მიღება შეეძლო, ისინი აქტიობის თითქმის 100%-ის შემთხვევაში თანამშრომლობის რეაქციებს ახორციელებდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ექსპერიმენტულ სიტუაციაში მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ სარგებლობისა და წარმატების იმ სიდიდის შესახებ, რომელსაც თანამშრომლობიდან მათი პარტნიორები იღებდნენ. ამის გამო, როგორც ჩანს, თავისი აქტიობის წარმატებას ისინი იმით აფასებდნენ, თუ რამდენად მეტ სარგებლობას მიიღებდნენ ცდის სიტუაციიდან, რაც მხოლოდ თანამშრომლობით იყო შესაძლებელი. ბოლო ექსპერიმენტებში კი, სადაც ცდისპირებისათვის ნათელი ხდება, თუ რის მიღება შეუძლია ამ თანამშრომლობით, როცა მისი პარტნიორი ცდილობს საკუთარი მოგების გაზრდას, თანამშრომლობის პროცესში შეჩივრის მომენტი იჭრება. ადამიანთა კოლექტიური, სოციალური ურთიერთქმედების პროცესში თანამშრომლობა და შეჩივრი მათი ურთიერთობის მჭიდროდ და შინაგანად დაკავშირებულ ფორმებს წარმოადგენს.

ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში თანამშრომლობის გვერდით შეჩივრის ესოდენ დიდი ზვედრითი წონა შესაძლებელია სხვა გარემოებებისათვის მიგვეწერა.

აღნიშნულ სიტუაციებში თანამშრომლობისაგან უარისთქმის ესოდენ დიდი შემთხვევები, რის გამოც შეჩივრებაში მყოფი ცდისპირები საკმაოდ ბევრსაც კარგავენ, შესაძლებელია თუ არა იმით აგვეხსნა, რომ ადამიანები ასეთ სიტუაციაში არ ენდობიან ერთმანეთს? როგორც ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ირკვევა, თანამშრომლობის გვერდით შეჩივრების აღმოცენება მხოლოდ უნდობლობით არ შეიძლება აიხსნას.

ბიქსენსტაინის, პოტაშისა და ვილსონის¹ მიერ ზემოგანხილული ექსპერიმენტების II სიტუაციის სქემის გამოყენებით ჩატარებული იყო ცდები, სადაც B-ს პარტნიორად რეალური ცდისპირების მაგიერ ექსპერიმენტატორი მონაწილეობდა. ასე ჩატარდა სამი სერია ცდისა. ცდის პირველ სერიაში სიმულირებული B პარტნიორი 100%-ის შემთხვევაში თანამშრომლობდა ცდისპირებთან, II სერიაში სიმულირებული

¹ Bixenstine V. E., Potash H. M., Wilson K. V. Effect of level of cooperative choice by the other player on choices in a Prisoners Dilemma game. Part I. Y. Abnorm. Soc. Psychology, 1963, № 6, p. 108-113.


პარტნიორი ცდების 83%-ის შემთხვევაში თანამშრომლობდა ცდისპირებთან, ხოლო მესამეში — 17%-ის შემთხვევაში.

მიღებული შედეგების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ცდისპირები სიმულირებულ პარტნიორთან შესატყვისად 38%, 33% და 30%-ის შემთხვევებში თანამშრომლობდნენ.

როგორც ვხედავთ, პარტნიორის სანდოობა ასეთ სიტუაციაში მცირე გავლენას ახდენს ცდისპირების თანამშრომლობის ხარისხზე, მაგრამ ეს გავლენა ისეთი მცირეა, რომ მის საფუძველზე შეუძლებელია აიხსნას ცდისპირთა მიერ თანამშრომლობაზე უარისთქმის ის ხშირი შემთხვევები, რომლებიც ასეთ ექსპერიმენტებში გვხვდება.

100%-ით სანდო პარტნიორთან ექსპერიმენტების II სიტუაციაში ცდისპირების მხოლოდ 38%-იანი თანამშრომლობა თანამშრომლობის მცირე მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

დაახლოებით იგივე შედეგები იქნა მიღებული პოუვერის, ბიქსენტანინისა და უილონის გვიანდელი დროის უფრო სისტემატურ ექსპერიმენტებში. ამ ექსპერიმენტებში შესწავლილ იქნა ცდისპირთა თანამშრომლობის ხარისხი, როდესაც მათი სიმულირებული პარტნიორი სხვადასხვა ხარისხის თანამშრომლობას იჩენდა.



გრაფიკი 7.

ცდები ორ სერიად იქნა ჩატარებული, პირველ სერიაში ცდისპირებს ექსპერიმენტები უტარდებოდათ 5 ეტაპად: ცდის თითოეულ ეტაპ-

ზე სიმულირებული პარტიორი თანამშრომლობის სხვადასხვა ხარისხს ამტკიცებდა. ცდის პირველ ეტაპზე სიმულირებული პარტიორი 5%-ის შემთხვევაში იჩენდა თანამშრომლობას, შემდგომ ეტაპებზე კი 50%, 95%, 50% და 5%-ის შემთხვევაში. გრაფიკზე I მრუდის სახით მოცემულია ცდისპირების საპასუხო თანამშრომლობის შემთხვევები. როგორც გრაფიკიდან ჩანს, როდესაც მეორე პარტიორი ცდისპირებთან 5%-ის შემთხვევაში ახორციელებდა თანამშრომლობას, მაშინ ცდისპირები 20%-ის შემთხვევაში პასუხობდნენ თანამშრომლობით; მაგრამ როდესაც პარტიორი 95%-ის შემთხვევაში იჩენდა თანამშრომლობის რეაქციებს, მაშინ ცდისპირები თავის მხრივ 50%-იან თანამშრომლობასაც კი არ იჩენდნენ. იგივე შედეგები იქნა მიღებული ცდების მეორე სერიაში (დაშტრიხული II მრუდი). ამ შემთხვევაშიც ცდისპირთა თანამშრომლობა პარტიორის სხვადასხვა ხარისხის თანამშრომლობის პასუხად 10%-დან 40%-მდე მერყეობს.

მიღებულ შედეგთა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღწერილ ექსპერიმენტულ სიტუაციებში ცდისპირებისათვის ბუნებრივ ტენდენციას წარმოადგენს თანამშრომლობა სხვა ადამიანებთან. მაგრამ გარკვეული სარგებლობის მიუხედავად, ურთიერთქმედებაში მყოფი ინდივიდების მიმართ სათანადო ნდობის მიუხედავად, ცდისპირებისათვის ბუნებრივ ტენდენციას წარმოადგენს შეჯიბრებითი ურთიერთობაც, რაც ცდისპირთა ერთობლივი მოქმედების შედეგად მიღებული საკუთარი და სხვისი სარგებლობის გარკვეული სახით კორდინირების მოთხოვნილებას ეყრდნობა.

აღწერილ ექსპერიმენტებში თანამშრომლობისა და შეჯიბრის ტენდენციების უფრო თავისუფალი და სპონტანური გამოვლენა ხდება, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. რეალურ ცხოვრებაში შეჯიბრებისა და თანამშრომლობის ქცევები უფრო ორგანიზებული და სოციალიზებულია, რადგან არსებობს სოციალურ მოთხოვნათა მთელი ბაღე, რომელიც ამ ტენდენციების რეგულირებასაც ახდენს. ამიტომ ადამიანთა თანამშრომლობითი და შეჯიბრებითი დამოკიდებულებების არჩევანი ნაკლებად არის დამოკიდებული ადამიანთა ბუნებრივ ტენდენციებზე. როდესაც შევდივართ რომელიმე სოციალურ ჯგუფში, ჩვენ ვიწყებთ თანამშრომლობას ამ ჯგუფთან. ჯგუფს აქვს თავისი კანონები და ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელიც ჩვენი ბუნებრივი ტენდენციების ორგანიზებას ახდენს. როდესაც ადამიანი ირიცხება, მაგალითად ფეხბურთის გუნდში, ფეხბურთის მოედანზე ის თანამშრომლობს კიდევ ამ გუნდთან. სოციალური გარემოსა და ჯგუფების გავლენით, სადაც ხორციელდება ადამიანთა ბუნებრივი და რეალური ურთიერთქმედებანი, თანამშრომლობისა და შეჯიბრის პოლარიზება ხდება. ის რეალური ურთიერთქმედებანი, რასაც ადამიანები თანამშრომლობისა და შეჯიბრის

დროს ახორციელებენ, ჭგუფის პროცესთა კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

ჭგუფის პროცესები ადამიანთა თანამშრომლობის განმტკიცებას აღწევენ, ხოლო როდესაც შეუძლებელი ხდება შეჯიბრების ანტაგონისტური მომენტების ჩატარება თანამშრომლობის ჩარჩოებში, მაშინ შეჯიბრების ისეთ სპეციფიკურ და უკიდურეს სახეს ვიღებთ, რომელიც კონფლიქტის სახით არის ცნობილი. ინდივიდებს შორის არსებული კონფლიქტი შეჯიბრების უკიდურესი, სპეციფიკური ფორმაა, რომლის დროსაც ჭგუფის ნორმების საფუძველზე შეუძლებელი ხდება ინდივიდთა ურთიერთობა და თანამშრომლობა. კონფლიქტიდან გამოსვლა ინდივიდების ურთიერთობის გარკვეული ნორმების შეწყნარების საფუძველზე ხდება შესაძლებელი. შეჯიბრებიდან კონფლიქტურ მდგომარეობაში გადასვლა და ამ უკანასკნელიდან გამოსვლა გარკვეულ კანონზომიერებათა საფუძველზე ხორციელდება. ამ კანონზომიერებათა გარკვევისათვის საჭიროა შეჯიბრისა და კონფლიქტის ურთიერთობის შემდგომი გარკვევა.

6. 2. შეჯიბრისა და კონფლიქტის ურთიერთობის საკითხი

ადამიანთა შორის თანამშრომლობის, შეჯიბრისა და კონფლიქტის საკითხები ურთულეს სოციალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება, მათი გარკვევა წარმოების, სოციალური ურთიერთობის პროცესში უნდა მოხდეს. მაგრამ არის ამ საკითხთა გარკვეული ასპექტები, რომლებიც ჭგუფის პროცესების დონეზე შეიძლება გაირკვეს. მაგრამ სანამ ჭგუფის პროცესთა საკითხების გარკვევაზე გადავიდოდეთ, შესაძლებელი ხდება ამ საკითხების ზოგიერთი მხარის გარკვევა ინდივიდების დამოკიდებულების დონეზეც. ამ თვალსაზრისით ზოგიერთი მომენტის გათვალისწინების საშუალებას იძლევა ვარონისა და მარონის ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც მათ ცხოველების შეჯიბრისა და კონფლიქტის საკითხების შესასწავლად ჩატარეს¹.

ვარონი და მარონი ექვსი თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ მაიმუნების ჭგუფს, რომლებიც ხელოვნურად იყვნენ ჩაყენებული კონფლიქტურ მდგომარეობაში. მათ გალიაში ერთად მოთავსებული ჰყავდათ ექვსი მაიმუნი: სამი დედალი და სამი მამალი. ექსპერიმენტატორები ექვს მაიმუნს სამი მაიმუნის სამყოფ საკმელს აძლევდნენ, ამის გომო მაიმუნები ყოველთვის კონფლიქტში იყვნენ ერთმანეთთან საკმლის მოპოვებისათვის.

¹ Warron Y. M., Marony B. Y. Competitive social interaction between monkeys Y. Soc. Psychol. 1958, 48, p. 224-238.

მაიმუნთა ამ ჭგუფზე დაკვირვების შედეგად ვარონმა და მარონმა დაადგინეს, რომ დასაწყისში მაიმუნებს შორის მეტისმეტად მწვავე ფორმის კონფლიქტური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. შემდგომში კონფლიქტური ურთიერთობა თანდათან შემცირდა და ჩამოყალიბდა გარკვეული იერარქიული სისტემა, რომელშიც ზოგიერთ ინდივიდს პრივილეგიური მდგომარეობა ექირა და ზოგიერთს — დაქვემდებარებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული იერარქიული პრინციპის დაცვის ფონზე ადგილი ჰქონდა ინდივიდთა შორის შეჭიბრებას საჭმლის მეტი რაოდენობით მოპოვებისათვის.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ფაქტი, რომ ის ინდივიდები, რომლებიც დასაწყისში, მწვავე კონფლიქტის დროს, მეტ წარმატებას აღწევდნენ საჭმლის მოპოვებაში და იერარქიულ სისტემაში თავში მოექცნენ, შემდგომში მდგომარეობის სტაბილიზების პროცესში ისევ ამ პოზიციაში დარჩნენ. ის ინდივიდები, რომლებიც ნაკლებ წარმატებას აღწევდნენ თავიდანვე, შემდგომშიც დაჩაგრულები და დაქვემდებარებულები აღმოჩნდნენ. მეტიც, ჩამოყალიბებულ იერარქიულ სისტემაში დომინირებული ინდივიდების გაბატონებული მდგომარეობა კიდევ უფრო სტაბილური გახდა, დაქვემდებარებულ ინდივიდთა მდგომარეობა კი კიდევ უფრო შეიზღუდა. კონფლიქტურ სიტუაციაში ხანგრძლივი აქტიობის პროცესში მოხდა თავიდანვე აღმოცენებული იერარქიული მდგომარეობის კიდევ უფრო დიფერენცირება და გასტაბილურება. ექსპერიმენტულ სიტუაციაში ცხოვრების ბოლო პერიოდისათვის მოისპო კონფლიქტური და აგრესიული ურთიერთობანი, მაგრამ ეს მოხდა არა იმის გამო, რომ ჭგუფში რაიმე სამართლიანი მდგომარეობა ჩამოყალიბდა; პირიქით, ჭგუფში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა უსამართლოდ გაბატონებულ და დაჩაგრულ ინდივიდთა იერარქიული დამოკიდებულება, მაგრამ ჭგუფის წევრები შეეგუენ თავიანთ მდგომარეობას, ისინი შეეგუენ იმ პოზიციებს, რომლებიც ერგოთ ჭგუფში. ჭგუფში, მაგალითად, ყველაზე გაბატონებული მაიმუნი ექსპერიმენტის დასაწყისში დაახლოებით იმდენივე საკვებს შოულობდა, რამდენსაც ექსპერიმენტის ბოლო, მეექვსე თვეს, მაგრამ ამისათვის დასაწყისში დიდი ბრძოლისა და აგრესიის გამოჩენა უხდებოდა, ბოლოს კი მას თითქმის ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე ხედებოდა „დაწესებული ნორმა“. ასეთივე მდგომარეობაში იყო ყველაზე დაჩაგრული მაიმუნი. ისიც ცდის დასაწყისში და ბოლოს თითქმის ერთსა და იმავე რაოდენობის საკვების შოვნას ახერხებდა, მაგრამ დასაწყისში მეტი ბრძოლით, შემდეგ კი უბრძოლველად.

აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის მეხუთე და მეექვსე თვეებში კონფლიქტების იმ იშვიათ შემთხვევებსაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე ინდივიდი შეეცდებოდა მოეპოვებინა აშ-

კარად უფრო მეტი საკვები, ვიდრე დადგენილი იერარქიული ნორმების მიხედვით ერგებოდა. მაიმუნთა ამ ჯგუფში ექსპერიმენტის ბოლო თვეებისათვის მოიხსნა კონფლიქტური ურთიერთობა და ძირითადად შეჯიბრების ურთიერთობა დამყარდა. თითოეული წევრი დადგენილი იერარქიული ნორმებიდან გადახვევის დასაშვებ ფარგლებში ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღებას და სხვისთვის საკვების წაგლეჯას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფლიქტიდან შეჯიბრებაზე გადასვლას არ გამოუწვევია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება საკვების განაწილების პრინციპში. მთავარი ისაა, რომ შემდგომში ძალაში შევიდა შეთანხმება, კონვენცია, რომლის საფუძველზეც განაწილების იმავე პრინციპის რეალიზაცია კონფლიქტური და აგრესიული რეაქციების გარეშე ხორციელდებოდა. როდესაც შეჯიბრების პროცესში ის ინსტრუმენტული ქცევები, რომლებსაც ინდივიდები იყენებენ, კონტროლირებული არაა ჯგუფის კონვენციონალური წესებით, მაშინ ჯგუფში აღგილი აქვს ინდივიდებს შორის კონფლიქტური ურთიერთობის აღმოცენებას. ხოლო როდესაც კონფლიქტური ურთიერთობის დროს ვარკვეული კონვენციურობა შემოდის, როდესაც ინდივიდები ახერხებენ მათთვის მისაღები ნორმების ჩამოყალიბება-შეწყნარებას, ჯგუფში კონფლიქტი ისპობა და გზა ეხსნება შეჯიბრებასა და თანამშრომლობას.

აღამიანთა ჯგუფებში, ცხადია, კონფლიქტის წყაროს მხოლოდ საკვები და საერთოდ ვიტალური მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ობიექტები არ წარმოადგენენ. კონფლიქტის მიზეზად შეიძლება იქცეს აღამიანთა შორის ასევე მაღალ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ობიექტებზე კონკურენცია.

ზეიონკის აზრით, ამგვარ გამოკვლევათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება აღამიანთა არა მხოლოდ კონფლიქტების გამომწვევ მიზეზთა, არამედ იმ საშუალებათა ფორმების ვარკვევაც, რითაც შესაძლებელი ხდება კონფლიქტთა შემობრუნება შეჯიბრების მიმართულებით. საჭირო ხდება იმ პირობების შესწავლა, რომლებშიც ხორციელდება იმ კონვენციური წესების შემუშავება-მიღება, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მაკონფლიქტებელ ქცევათა კონტროლი. როდის ხდება კონვენციური კონტროლის შესუსტება? რა გზით შეიძლება ჯგუფში სამართლიანი კონვენციური წესების განმტკიცება-გაფიქსირება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება თანამშრომლობა და შეჯიბრება? ეს საკითხები სოციალური ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულად შესასწავლი საკითხების რიგს განეკუთვნება. ამ კანონზომიერებათა დადგენით და გამოყენებით, შესაძლებელი გახდება მცირე ჯგუფებში აღამიანთა ურთიერთობის უფრო რაციონალური მართვა. მაგრამ სოციალური ურთიერთქმედების სხვადასხვა სახეთა თავისებურებების

გარკვევისათვის საჭირო ხდება ადამიანთა • ურთიერთგაველების იმ ყველაზე უფრო ზოგადი ფორმის კანონზომიერების გათვალისწინება, რომელიც კომუნიკაციის პროცესის სახით არის ცნობილი.

კომუნიკაცია ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ყველაზე უფრო სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს. ცოცხალ ორგანიზმებს შორის ნამდვილი ურთიერთქმედება მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც მათ შორის კომუნიკაციის პროცესის დამყარება ხდება შესაძლებელი. ის ზოგადი კანონი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება თანამშრომლობა, შეჯიბრი და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, მხოლოდ კომუნიკაციის პროცესის საფუძველზეა შესაძლებელი. ადამიანის სოციალური ბუნების ვაგება კომუნიკაციის პროცესის ფონზეა შესაძლებელი.

ყოველი ორგანიზმის მრავალ სახეს კომუნისტური თავისი საკუთარი საშუალებები აქვს, რომელთა გამოყენებითაც ისინი მარჯანი-ზედელ გავლენას ახდენენ ურთიერთზე. ~~სამაქონლო-მეცნიერება, რომელიც კომუნისტური სისტემის წარმოადგენს — ენას იყენებს, კომუნისტური ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმად ითვლება. მეტყველების პროცესში ადამიანები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ, რაც აზრების გადამცემისაგან და მიმღებისაგან გარკვეულ აქტიობას მოითხოვს. ეს აქტიობა სოციალურ ურთიერთქმედებას წარმოადგენს.~~

კომუნისტური არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი, რომელიც ხორციელდება ადამიანებს (ან სხვადასხვა სისტემებს) შორის. კომუნისტურ ყოველთვის იგულისხმება ოთხი კომპონენტი, რომელთა გარეშეც რაიმე პროცესი კომუნისტური აქტიობად ვერ ჩაითვლება. ეს კომპონენტებია: კომუნისტური გამცემი, კომუნისტური მიმღები, ინფორმაცია, რომლის გაცვლა, გაცემა-მიღება ხდება, და გარკვეული ენა, იარაღი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა.

კომუნისტური პროცესი რთული ბუნებისაა და მისი შესწავლის დროს მკვლევარები დიდ სიძნელეებს აწყდებიან. ალბათ ასე ნათლად არსად შედგება ის შეურიგებელი დაპირისპირება, რომელიც არსებობს ძირითად ფსიქოლოგიურ პოსტულატებს, ე. წ. „მთლიანობის დიფერენციაციისა“ და „ნაწილების ინტეგრაციის“ პოსტულატებს შორის, როგორც ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეს პოსტულატები კომუნისტური პროცესის გაგებისათვის არის გამოყენებული.

„ნაწილების ინტეგრაციის“ პოსტულატის მიხედვით, კომუნისტურის პროცესი, ისევე როგორც ყოველი რთული ფსიქიკური აქტიობა, ცალკეული ფსიქოფიზიკური ელემენტების ურთიერთდაკავშირების, ინტეგრაციის საფუძველზე ყალიბდება. კომუნისტური აქტიობა ამ თვალსაზრისით სხვათა მიერ გამოცემული საკომუნისტური სიგნალების და მისთვის შესატყვისი ფსიქიკური პროცესების დაკავშირების გზით ხდება. კომუნისტური წმინდა ფიზიკური საშუალებებისა და შესატყვისი ფსიქიკური შინაარსთა დაკავშირების შემდეგ ინფორმაციის გაცვლა ინ-

ფორმაციის გამცემსა და მიმღებს შორის ფსიქიკური შინაარსების კო-
ლირება-დეკოლირების სახით უნდა იქნეს გაგებული. საკითხის ამგვარი
გადაწყვეტის დროს გაუგებარი რჩება, თუ როგორ ახერხებენ ადამიან-
ები კომუნიკაციის აქტიობის დაუფლებას. კომუნიკაციის აქტიობის
ჩამოყალიბება ადამიანისაგან მოითხოვს, რომ მან საკომუნიკაციო სტი-
მულების მიღება-გაცემის დროს მათში ისეთივე მნიშვნელობა იგულის-
ხროს, როგორც ამ სიგნალებს ჯგუფის სხვა წევრები ხმარობენ. ეს
ვითარება ადამიანთა მიერ კომუნიკაციის პროცესის ერთნაირ და შე-
თანხმებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს. მაგრამ კომუნიკაციის პრო-
ცესის ჩამოყალიბება თუ იზოლირებული ელემენტების ინტეგრაციის
სახით იქნება გააზრებული, მაშინ შეუძლებელი ხდება იმის გაგება, თუ
რის საფუძველზე გამოიყენება სწორად და შეთანხმებულად საკომუნი-
კაციო საშუალებანი.

საკომუნიკაციო საშუალებათა ერთმნიშვნელოვნად გამოყენებაში
შეთანხმება, ცხადია, თვითონ მოითხოვს კომუნიკაციის პროცესს, რის
გამოც შეთანხმების აქტიობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს კომუნიკა-
ციის ჩამოყალიბების პრინციპულ საფუძველად. ასევე მიუღებელი ჩანს
ის შეხედულებანი, რომელთა მიხედვით კომუნიკაციის ჩასახვა, რო-
გორც სხვადასხვა ელემენტების ინტეგრაციის პროცესი, არაცნობიერი
დასკვნების, გაუცნობიერებელი ანალოგიური ინტერპრეტაციისა და
სხვა მსგავსი აქტიობების საფუძველზე მოხდა. ცნობილია, რომ არა-
ცნობიერი დასკვნის და საერთოდ არაცნობიერი აზროვნების ცნება,
როგორც შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნება, თანდათან განი-
დევნა ფსიქოლოგიიდან, რადგან მას ფაქტიურად არაფერი შეესატყვი-
ება ფსიქიკურ სინამდვილეში. გარდა ამისა, დადგინდა, რომ კომუნი-
კაციის პროცესის ჩასახვისას, არაცნობიერი დასკვნისა და ანალოგი-
ური ინტერპრეტაციებისათვის ადამიანებს არავითარი საფუძველი, მო-
ნაცემი არ გააჩნიათ. სხვისი ფსიქიკის წვდომის საკითხთა გარჩევისას
აღრე აღვნიშნეთ, რომ ადამიანები უფრო აღრე ახერხებენ სხვა პირთა
სულიერი შინაარსის გაგებას (გამომხატველი მოძრაობების საფუძველ-
ზე), ვიდრე თავისი განცდებისა და მათთან დაკავშირებული გამომხატ-
ველი მოძრაობების კავშირურთიერთობის შესახებ გაიგებდნენ რაიმეს.
ბავშვები უფრო აღრე იწყებენ სხვისი განცდების გაგებას და მათ შე-
სატყვის აქტიობას, ვიდრე თვითდაკვირვების უნარი გაუჩნდებოდათ.
არაცნობიერი დასკვნისა და ანალოგიური ინტერპრეტაციის ცნებები,
რომლებსაც ზოგჯერ ინტეგრაციის თეორიის წარმომადგენლები გამო-
იყენებენ, ადამიანის მიერ თავისი განცდებისა და მასთან დაკავშირებუ-
ლი გამომხატველი მოძრაობის კავშირთა ცოდნას გულისხმობს. ამ შე-
ხედულების თანახმად, გამომხატველი მოძრაობის საფუძველზე შესაძ-
ლებელი ხდება დასკვნის გაკეთება სულიერი პროცესების შესახებ. მაგ-

რამ, როგორც ვხედავთ, ამგვარი დისკენსათვის აღამიანს არა აქვს წინასწარი ცოდნა თავისი განცდებისა და გამომხატველი მოძრაობების კავშირურთიერთობის შესახებ.

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციის თეორიის წარმომადგენლებისათვის სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ინდივიდთა ურთიერთობის პროცესში არსებული გავლენის ისეთი ფორმები, როგორცაა თანააქტიობისა და თანაარსებობის ეფექტები. სხვისი მოქმედებიდან სწავლის, სოციალური განმტკიცებისა და სხვა მოვლენები, რომელთა განვითარებისა და შემდგომი დიფერენციაციის საფუძველზე ხდება კომუნიკაციის პროცესთა განვითარება.

„მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულაციის მიხედვით, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიის მრავალი თეორია და მათ შორის განწყობის თეორიაც არის აგებული, კომუნიკაციის ჩამოყალიბება გაგებულ უნდა იქნეს ინდივიდის იმ ერთიანი და ფსიქოფიზიკური მდგომარეობის დიფერენციაციისა და სპეციფიზების გზით, რომელიც ინდივიდებს ურთიერთზე ზემოქმედების დროს მთლიანი რეაქტივების სახით უჩინდებათ. ამ თვალსაზრისით ინდივიდი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, თავიდანვე თავის სასიცოცხლო გარემოშია ჩართული. იგი თავის გარემოსაგან და სხვა ინდივიდებისაგან იზოლირებული და გამზოლოებული არაა. ცოცხალი ინდივიდი თავიდანვე სინამდვილის საგნებსა და სხვა ინდივიდებთან ფიზიკურ და ბიოლოგიურ კავშირურთიერთობებშია ჩართული. ამ ურთიერთქმედებათა ფორმების დახვეწისა და დიფერენციაციის საფუძველზე ხდება იმ სახის კავშირებისა თუ ურთიერთშეთანხმებულობის განვითარება, რაც აღამიანური დონის კომუნიკაციის პროცესების არსებით მომენტებს ქმნის.

ურთიერთზე გავლენის იმ ფორმათა ანალიზის საფუძველზე, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ინდივიდებთან გვხვდება, ნათელი ხდება, რომ კომუნიკაციის პროცესის გაგება ცალკეული ფსიქიკური და ფიზიკური ელემენტების გაერთიანება-ინტეგრაციის სახით მართებული არ უნდა იყოს.

თუ თვალს გადავავლებთ ურთიერთზე გავლენის იმ ფორმებს, რომლებიც ინდივიდების ურთიერთობაში გვხვდება, ადვილად შევამჩნევთ, რომ ასეთი ურთიერთგავლენა მათი განზრახვისა და საერთოდ გაცნობიერების გარეშეც ხორციელდება. ჩვენ ადრე თანაარსებობის ეფექტის დახასიათებისას მოვიტანეთ ჩენის გამოკვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ჭიანჭველები თანააქტიობის პირობებში უფრო სწრაფად იწყებენ ბუდის თხრას; ამავე დროს თანაარსებობის პირობებში მათი შრომისნაყოფიერება გაცილებით მაღალია, ვიდრე მარტო მუშაობის დროს. მაგრამ ამავე გამოკვლევაში ჩენს მოაქვს მეორე საინტერესო მონაცემი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ რო-

მელიმე ჰიანჰველა, გარდა იმისა, რომ სხვისთან ერთად უფრო ნაყოფიერ მუშაობას იწყებს, მისგან სხვაგვარ გავლენასაც განიცდის. თანაარსებობის ეფექტის გარდა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, თუ როგორი იყო თავისთავად მეორე ჰიანჰველა — სწრაფი თუ ნელი, ძლიერი თუ სუსტი. სწრაფი ჰიანჰველის გვერდით საშუალო სისწრაფის ჰიანჰველები ბევრად უფრო სწრაფად მუშაობდნენ, ვიდრე ნელ ჰიანჰველებთან პარტნიორობის დროს¹. ეს მონაცემები აშკარად მიუთითებენ, რომ ცოცხალი ინდივიდები გარკვეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, ცვლიან ერთმანეთის აქტიობას იმის მიხედვით, თუ როგორები არიან თვითონ. მაგრამ ასეთი გავლენა ურთიერთზე ჯერ უიდეგ არაა კომუნიკაცია.

ასევე კომუნიკაციის პროცესის გარეშე შეიძლება მიმდინარეობდეს ცოცხალი ინდივიდების გარკვეული ჯგუფური აქტიობა, რომლის დროსაც ხდება მათი აქტიობის ურთიერთთან ასიმილაცია. ადრე ფ. ოლპორტის მონაცემების საფუძველზე თანააქტიობის ეფექტის განხილვის დროს ვუჩვენეთ, რომ ადამიანები თანააქტიობის პროცესში ბევრად უფრო მაღალ შრომისნაყოფიერებას ამჟღავნებენ, ვიდრე ინდივიდუალურად, მარტო მუშაობის დროს. მაგრამ, გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ სასიამოვნო და უსიამოვნო სუნის ობიექტების შეფასების დროს, ასევე სიმძიმეების გარკვეული წესით მატების ან კლების მიხედვით დალაგების დროს, ცდისპირებს თანააქტიობის პირობებში ტენდენცია აქვთ რაც შეიძლება ნაკლებრადიკალური აზრები გამოთქვან შესაფასებელი ობიექტების მიმართ. ცდისპირები, მაგალითად, ჯგუფური შედარების დროს უსიამოვნო სუნს ნაკლებად უსიამოვნოდ აფასებდნენ, ხოლო სასიამოვნოს ნაკლებად სასიამოვნოდ, ვიდრე მაშინ. როდესაც ასეთი შეფასებები მარტო ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თანააქტიობის სიტუაციაში ცდისპირები საკუთარ შეფასებებს ოქმში ისე წერდნენ, რომ ამას სხვა ცდისპირები ვერ ხედავდნენ.

ამ ფაქტს ფ. ოლპორტი შემდეგნაირად ხსნის: მისი აზრით, ეს ფაქტი არის დაქვემდებარების განწყობის ეფექტი, რომელიც ადამიანს ექმნება ჯგუფში სხვა ადამიანებთან არსებობის და თანააქტიობის დროს. როდესაც ადამიანები დაკავებული არიან ერთნაირი საქმიანობით, დაქვემდებარების განწყობა მოქმედების კონფორმულ მანერაში მქონდება. ინდივიდი უშუალოდ განიცდის, რომ ის ნაკლებ კონფლიქტურ მდგომარეობაში მოხვდება, თუ ნაკლებად უკიდურესი სახის მსჯელობებს გამოთქვამს. ამგვარი განწყობა მას, ჩვეულებრივ, უჩენს ტენდენციას შეარბილოს თავისი შეხედულებები, მიუახლოვოს იგი ჯგუფის

¹ Chen S. C. Social modification of the activity of ants in nest-building. *Physiol. Zool.*, 1947. 10, 420—436.

შეხედულებებს. უნიფორმულობა და თავისი ქცევების ურთიერთდამსგავსების ტენდენცია ადამიანისა და ცოცხალი ინდივიდების საერთო ტენდენციას წარმოადგენს¹.

აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ ხშირად შეცდომით კომუნიკაციის შედეგად არის მიჩნეული უნიფორმების ფაქტები, რომლებიც გამომდინარეობს იქიდან, რომ გარკვეულ სიტუაციას ინდივიდები ერთნაირად პასუხობენ. ასეთ დროს იქმნება ყალბი შთაბეჭდილება, რომ ინდივიდები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და ისინი შეთანხმებულად, ურთიერთის მსგავსად მოქმედებენ². მაგალითად, ის ჯგუფური მოქმედებანი, რომელთაც ფარვანები ახორციელებენ სინათლის მიმართ ან ბუზები შაქრის ნატეხის მიმართ, გამოწვეულია არა მათი ურთიერთშეთანხმებით ან ურთიერთქმედებით, არამედ მათზე შესატყვისი საგნის ზემოქმედებით. პრინციპულად იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც დედალი და მამალი მწერი, მაგალითად, პეპლები, დროის გარკვეულ მონაკვეთში რთულ აქტიობას მიმართავენ იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს მეორე ბიოლოგიურად იზიდავს. ეს რთული აქტიობა, რომელიც გამრავლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებით მთავრდება, სტიმულირების მიმართ გარკვეული რეაქციების მთლიანი სერეებით ამოიწურება. ეს პროცესები არ გულისხმობს კომუნიკაციებს.

ინდივიდებს შორის კომუნიკაციის პროცესი მაშინ ხორციელდება, როდესაც ისინი ისეთ სტიმულებს იყენებენ, რომლებიც სხვა საგნობრივ შინაარსებზე მიუთითებენ და მათ შესახებ შეიცავენ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კომუნიკაციის პროცესები გვხვდება დაბალი განვითარების ცოცხალ ინდივიდებში და ეს პროცესები თავისთავში აერთიანებენ, ერთი მხრივ, ინდივიდისა და საგნობრივი სინამდვილის ურთიერთობის, მეორე მხრივ, ინდივიდების ურთიერთზე ზემოქმედების ფაქტებს. მათი ბუნების დახასიათებას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ადამიანური კომუნიკაციის პროცესთა გაგების საქმეში. ამ მხრივ მეტად საინტერესო მონაცემებია მოპოვებული ქიანჭველებისა და ფუტკრების ურთიერთობათა შესწავლის დროს.

ფართოდ არის ცნობილი ფრიშის გამოკვლევა, რომელშიც ფუტკრებს შორის არსებული კომუნიკაციის პროცესებია აღწერილი³. ამ


¹ Allport F. H. Social Psychology. Boston. Houghton Mifflin, 1924, p. 277-2'8.

² Детьер В., Стеллар Э., Поведение животных, его эволюционные и психологические основы. Ленинград, 1967.

³ Karl von Frish-Bees; Their Vision. Chemical Senses and Language, N. Y., 1957.

შრომიდან ირკვევა, რომ ფუტკრებს შეუძლიათ ერთმანეთს გადასცენ ინფორმაცია იმ ყვავილნარის ადგილმდებარეობის შესახებ, საიდანაც შეიძლება ყვავილის წვენის მოტანა.

ირკვევა, რომ, ჩვეულებრივ, რომელიმე მზვერავი ფუტკარი მიღის და ეძებს ყვავილნარს, რომელიც მოცემულ მომენტში კარგად არის მომწიფებული. ასეთი ყვავილნარის მოძებნის შემდეგ „მზვერავი“ ბრუნდება უკან და იწყებს „საინფორმაციო ცეკვას“. ეს ცეკვა ხასიათდება გარკვეული სისტემით, რომლის მნიშვნელობის უშუალო წვდომის საფუძველზე დანაჩენ ფუტკრებს საშუალება აქვთ გაარკვიონ ყვავილნარის მიმართულება და მანძილი სკიდან. ფრიშმა ობიექტური ანალიზის საფუძველზე დაადგინა ფუტკრების ცეკვის რამდენიმე ინფორმაციული ნიშანი, რომლებიც საშუალებას აძლევენ ფუტკრებს „გააგებინონ“ ერთმანეთს ყვავილნარის ადგილ-სამყოფელი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ორი ტიპის ცეკვა: 1. შედარებით სიმეტრიული ბრუნვითი მოძრაობები, რომლებიც ტანის სწრაფი რხევით სრულდება და შორ მანძილზე მყოფი ყვავილნარის შესახებ იძლევა მონაცემებს; 2. შედარებით ნელი და ასიმეტრიული წრიული მოძრაობები, რომლებიც ახლო მანძილზე არსებული ყვავილნარის შესახებ იძლევიან ცნობებს (იხ. ნახ. 4, 5).



ნახ. 4.



ნახ. 5.

ნახ. № 4. ტანის რხევითი მოძრაობით განხორციელებული „საკომუნიკაციო ცეკვა“. ბრუნვის სისწრაფე გამოხატავს მანძილს ყვავილნარამდე;

ნახ. № 5. წრიული მოძრაობით შესრულებული ცეკვა გამოხატავს, რომ ყვავილნარი ახლოა, მაგრამ რამდენად ახლოა, ეს წრეების გაკეთების სიხშირესთან არის დაკავშირებული.

ფრიშმა დაადგინა, რომ ის ძირითადი პოზიცია, მიმართულება; რომელიც უკავია ფუტკარს ამ ფიგურების შესრულებისას, ქმნის იმავე კუთხეს დედამიწის მიზიდულობის ღერძის მიმართ, რაც უნდა დაიკა-

ვონ სხვა ფუტკრებმა ყვავილნარის მოძებნის დროს შზის მიმართ. ცხადია, რომ გრავიტაციისა და შზის მიმართულებათა აღქმა მათ ინსტინქტურად ეძლევათ, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი კონკრეტული კომბინაცია უნდა გადაცემულ და მიღებულ იქნეს. იგივე შეიძლება ითქვას ყვავილნარამდე არსებული დისტანციის შესახებ ცნობის გადაცემაზე. თუ მიზანი ახლოა, ფუტკარი წრისებრი მოძრაობით და წრეთა სისწირის მიხედვით აქლევს ცნობას სხვა ფუტკრებს ახლო არსებული ყვავილნარის მანძილის შესახებ. თუ ყვავილნარი უფრო შორსაა, მაშინ ინფორმაციის მიმცემი ფუტკარი ბრუნვით ცეკვას მიმართავს და ბრუნვების სიჩქარის მიხედვით ხდება მანძილის შესახებ ცნობის გადაცემა. რაც უფრო სწრაფია ბრუნვითი მოძრაობები, მით უფრო შორს გაფრენის საჭიროებაზე მიუთითებს ინფორმაციის მიმღებს.

ცხადია, ამგვარი აქტიობა ინსტინქტური და თანდაყოლილი მექანიზმების გამოყენებას გულისხმობს, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყვავილნარის მიმართულების და მანძილის გაგება დიფერენცირებულ აქტიობას გულისხმობს. ეს აქტიობა კონკრეტული შინაარსის მქონე კომუნიკაციის პროცესთა სახით უნდა იქნეს გაგებული.

ასეთივე სპეციფიკური სახის კომუნიკაციის პროცესები დადასტურდა სხვადასხვა ცოცხალ ორგანიზმებში. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცოცხალ ინდივიდებს ურთიერთის აქტიობათა გაგებისათვის, რომლის საფუძველზეც ისინი თავის ორგანიზმებზე აქტიობას ახორციელებენ, არ სჭირდებათ ისეთივე აქტიობა, როგორცაა დასვენა ანალოგიის მიხედვით. ინტერპრეტაცია, გააზრება და სხვა. ცხადია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ადამიანთა კომუნიკაციის პროცესი ასეთივე ბუნებისაა და არ საჭიროებს ისეთ ფსიქიკურ აქტიობას, როგორცაა ინტერპრეტაცია, გააზრება, შეთანხმება საკომუნიკაციო საშუალებათა მიმართ და სხვა; მაგრამ არც იმის მტკიცება იქნებოდა სწორი, რომ ადამიანური კომუნიკაცია თითქოს მხოლოდ სუბიექტის და პიროვნების აქტიობის დონეზე აღმოცენებული წარმონაქმნია, რომელსაც არაერთარი ფილოგენეტიკური საფუძველები არა აქვს. უნდა ვიფიქროთ. რომ ადამიანური კომუნიკაცია ურთიერთგავლენის იმ ფორმებს ეყრდნობა, რომლებიც ცოცხალ ინდივიდთა ურთიერთობის პროცესში მკვლევანდება. გაცნობიერებულ სოციალურ ურთიერთობათა პროცესში ადამიანური კომუნიკაცია სპეციფიკურ ახალ თვისებრივ ბუნებას იძენს, რაც, რასაკვირველია. ინდივიდების ურთიერთზე ზემოქმედების ზოგადი ფორმების დიფერენციაციისა და განვითარების შედეგად მიიღება.

ზოოფსიქოლოგთა გამოკვლევების საფუძველზე კარგად არის ცნობილი, რომ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოველები ახერხებენ კომუნიკაციის უფრო რთული სახეების გამოყენებას. ამ

დებულების ნათელ ილუსტრაციას იძლევა მარფის, მილერისა და მინს-კის გამოკვლევები, რომლებშიც მაიმუნებს შორის არსებული კომუნიკაციის შესწავლის მეთოდიკაა შემუშავებული.

აღნიშნული მეთოდით ზილერის, ბენქსის და ოგავას მიერ ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილი იყო მაიმუნების მიერ განხორციელებული კომუნიკაციის პროცესის ბუნება¹.

ექსპერიმენტის პირველ ეტაპზე ექსპერიმენტატორები წვრთნიდნენ მაიმუნებს ბერკეტზე თათის დაჭერით დენის დარტყმის თავიდან აცილებაში. მაიმუნი დაბმული იყო სკამზე, რომელიც აღჭურვილი იყო სხვადასხვა აპარატურით. სკამის წინ, მოშორებით, იყო პატარა ნათურა, რომლის ანთებიდან 6 წამის შემდეგ ჩაირთვებოდა ელექტროდენი და მაიმუნი იღებდა ელექტროშოკს. სკამის სახელურზე მოთავსებულ იყო ლილაკი, რომელზეც თათის დაჭერის შემთხვევაში მაიმუნს შეეძლო ელექტროდენის გამორთვა. თუ მაიმუნი სინათლის ანთებიდან 6 წამის განმავლობაში მოასწრებდა გამომრთველ ლილაკზე თათის დაჭერას. მას შეეძლო თავიდან აეცილებინა ელექტროშოკი.

იმისათვის, რომ მაიმუნი საერთოდ შეგუებოდა ამ ექსპერიმენტულ გარემოს, მას ელექტროშოკის მიცემის გარეშე ხუთი დღის განმავლობაში აბამდნენ სკამზე და აჩვენდნენ გარემოს. ადაპტაციის პერიოდის შემდეგ მათ აძლევდნენ სინათლის გამლიზიანებელს 6 წამის განმავლობაში. ხოლო შემდგომ ელექტროშოკს. ამგვარი ხუთდღიანი ვარჯიშის შემდეგ, რომლის დროსაც მათ 200-ჯერ მიეცათ სინათლის გამლიზიანებელი, მაიმუნებმა ისწავლეს ელექტროშოკის აცდენა: 95%-ის შემთხვევაში სინათლის გამოჩენისთანავე ასწრებდნენ ლილაკზე თათის დაჭერას და ელექტროდენის გამორთვას.

ამის შემდეგ ორი მაიმუნი თავისი სკამებით დასვეს ერთმანეთის პირისპირ, ისე რომ მათ შეეძლოთ დაენახათ ერთმანეთი; მაგრამ რადგან ისინი სკამებზე დაბმულები იყვნენ, რომლებიც საკმარისი მანძილით იყო ერთმანეთთან დაცილებული, მათ არ შეეძლოთ ერთმანეთს შეხებოდნენ. ამავე დროს ერთ-ერთი მაიმუნის სკამიდან მოხსნილი იყო ელექტროდენის გამომრთველი ლილაკი. ამ მაიმუნს შეეძლო დაენახა ელექტროდენის ჩართვის მაუწყებელი სინათლის სიგნალი, ეს სინათლე მის პირდაპირ მჭდომი მაიმუნის უკან და მალა ინთებოდა. მეორე მაიმუნი კი ვერ ხედავდა სინათლის ანთებას, რადგან სინათლის სიგნალი მის უკან იყო მოთავსებული, მას კი საშუალება არ ჰქონდა იმდენად მობრუნებულიყო. რომ დაენახა იგი. საბავიეროდ, სკამის სახელურზე

¹ Miller R. F., Banks J. H. and Ogawa N. Communication of affect in cooperative conditioning of rhesus monkeys. Y. Abnorm. Soc. Psychol., 1962, № 64, p. 843-849.

მოთავსებული იყო ელექტროდენის გამომრთველი ღილაკი. როდესაც სინათლის სიგნალი აინთებოდა, 6 წამის შემდეგ ორივე მაიმუნი იღებდა ელექტროშოკს.

მოცემულ ექსპერიმენტულ სიტუაციაში ერთი მაიმუნი ხედავდა დენის ჩართვის მაუწყებელ სინათლის ანთებას, მეორეს კი შესაძლებლობა ჰქონდა დენი გამოერთო. თუ მაიმუნები კომუნიკაციას დაამყარებდნენ, ის, ვინც ხედავდა სინათლის ანთებას, ამის შესახებ აცნობებდა მეორეს. მეორე მაიმუნს შეეძლო ელექტროდენის გამორთვა. ასეთი თანამშრომლობით ორივე აცილებდა ელექტროშოკს. როგორც ვხედავთ, ასეთი თანამშრომლობისათვის საჭირო იყო კომუნიკაციის დამყარება.

ამგვარ ექსპერიმენტულ-სიტუაციაში ექსპერიმენტატორები ცდებოდა ატარებდნენ 22 დღის განმავლობაში. თითოეულ დღეს ცდა 20 მცდელობისაგან შედგებოდა. ამგვარად დაწყვილებულმა მაიმუნებმა პირველ დღეს ოცი შემთხვევიდან მხოლოდ 3-ჯერ აციდინეს ელექტროშოკი. II და III დღეს უკვე 17-ჯერ შეძლეს ელექტროშოკის თავიდან აცილება, IV დღეს—19-ჯერ. ამის შემდეგ მათ უკვე აღარ მიუღიათ ელექტროშოკი. ისინი ყოველთვის წარმატებით ახერხებდნენ კომუნიკაციის დროულ დამყარებას და ელექტროდენის გამორთვისას. მაგრამ როგორც ავტორები აღნიშნავენ, პირველი რვა დღის განმავლობაში ღილაკიან სკამზე მჯდომი მაიმუნი უფრო ხშირად აჭერდა ხელს ელექტროდენის გამომრთველ ღილაკს, ვიდრე ეს საჭირო იყო. ამის გამო ზოგჯერ შესაძლებელია ელექტროდენის გამორთვა კომუნიკაციის გარეშე მომხდარიყო. რვა დღის შემდეგ კი დენის გამომრთველი მაიმუნი გამოსართავ ღილაკს მხოლოდ მაშინ აჭერდა ხელს, როდესაც მისი პარტნიორი სინათლის ანთებას დაინახავდა და აცნობებდა ამის შესახებ.

ამ ცდის პროცესში მეთექვსმეტე დღეს მაიმუნებს შორის მოათავსეს ისეთი ტიხრები, რომლებიც მათ ერთმანეთის მხოლოდ სახეების დანახვის საშუალებას აძლევდათ. ამ შეზღუდვას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათი კომუნიკაციის პროცესზე. ისინი ისეთივე წარმატებით წყვეტდნენ კომუნიკაციის ამოცანას.

ოცდამესამე დღის შემდეგ ამ მაიმუნებს როლები შეუცვალეს: ის მაიმუნი, რომელიც სინათლის გამლიზიანებელს იღებდა და ცნობას გადასცემდა მეორეს, ელექტროდენის გამომრთველთან დასვეს, ხოლო ელექტროდენის გამომრთველი სინათლის გალიზიანების მიმღების როლში ჩააყენეს. ამგვარ ვითარებაში ცდები 10 დღეს ტარდებოდა, დღეში 20 მცდელობის გამოყენებით. ამ შემთხვევაშიც მაიმუნებმა წარმატებით განაგრძეს კომუნიკაციის პროცესი — 200 მცდელობიდან 190 შემთხვევაში შეძლეს ელექტროშოკის თავიდან აცილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მხოლოდ გარკვეულ მოტორულ რეაქციებზე კი არ

დახელოვნდნენ, არამედ ურთიერთს ნამდვილად ანიშნებდნენ ელექტრო-
დენის გამორთვის საჭიროებას.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ამ ექსპერიმენტების ერთი ვა-
რიანტის გათვალისწინებაც. ერთ ექსპერიმენტში მკვლევარებმა ერთ-
ერთი გაწვრთნილი მაიმუნის მაგიერ შეიყვანეს სხვა გაუწვრთნელი მაი-
მუნი. ამ მაიმუნს არ გაუვლია დენის თავიდან აცილების წინასწარი
5-დღიანი ვარჯიში. ეს გაუწვრთნელი მაიმუნი დასვეს სინათლის სიგ-
ნალის მიმღების, „ინფორმატორის“ ადგილზე. ამ საქმეში განსწავლულ
მაიმუნს უნდა წარემართა გამოუცდელი მაიმუნის ყურადღება სინათ-
ლის გამღიზიანებლისაკენ, რომ მის შესახებ მიეღო ინფორმაცია.

ცდები ტარდებოდა 10 დღის განმავლობაში. 200 მცდელობიდან მა-
იმუნებმა 183 შემთხვევაში წარმატებით მოახერხეს ელექტროშოკის
თავიდან აცილება. აქედან 13 წარუმატებელ შემთხვევას პირველ დღეს
ჰქონდა ადგილი. ამ საქმეში განსწავლულმა მაიმუნმა სათანადო აქტი-
ობის საფუძველზე სწრაფად ჩართო თავისი გამოუცდელი პარტნიორი
კომუნიკაციის პროცესში და ისინი მეორე დღიდანვე წარმატებით ახორ-
ციელებდნენ მიზანშეწონილ კომუნიკაციას.

ამ გამოკვლევაში, მართალია, სათანადოდ არაა გაანალიზებული ის
საშუალებანი, რომლითაც ხდება კომუნიკაციის დამყარება მაიმუნებს
შორის (ასეთ ანალიზს ბევრი ცოდნის მოცემა შეუძლია კომუნიკაციის
იმ ფორმის შესახებ, რომელიც აღწერილ სიტუაციაში ხორციელდე-
ბა), მაგარმ ამ გამოკვლევიდან ნათლად ჩანს, რომ უკიდურესი საჭიროე-
ბის ქამს მაიმუნებს შეუძლიათ ურთიერთზემოქმედების იმ აქტიობიდან,
რომლებსაც, ჩვეულებრივ, ახორციელებენ ერთიმეორის მიმართ, გამო-
ყონ და საკომუნიკაციოდ გამოიყენონ აქტიობათა გარკვეული ერთობ-
ლიობა, როგორც საერთო სიტუაციის არსებითი მომენტების შესახებ
მიმთითებელი და გამზიარებელი საშუალება.

ეს მონაცემებიც იმის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, რომ კომუნიკა-
ციის იმ დახვეწილი რაფინირებული საშუალებების ჩამოყალიბებამდე,
რომლებსაც პიროვნებები ახორციელებენ, ცოცხალ ინდივიდებს აქვთ
კომუნიკაციისა და კონტაქტების ისეთი ფორმების გამოყენების უნარი,
რომელიც ამ პროცესების ცალკეული არსებითი ელემენტების გაცნო-
ბიერებას, ინტერპრეტაციას და ინტეგრაციას არ მოითხოვს. სპეციფი-
კური, ადამიანური კომუნიკაციის პროცესი სწორედ ასეთი პირველადი
მთლიანობით კონტაქტების საფუძველზე განხორციელებულ ურთიერ-
თობათა შემდგომი დიფერენცირებისა და განვითარების პროდუქტად
უნდა ჩაითვალოს.

7. 1. ადამიანური კომუნიკაცია

ადამიანი, როგორც პიროვნება, საზოგადოებაში ყალიბდება. იგი იმ-
თავითვე ერთვება სოციალურ გარემოში და მისი ცხოვრება კონტაქტ-
ბის მუდმივი რიგის სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ბავშვი იმთავით-
ვე მუდმივ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება მშობლებთან. მშობლები
სპეციალურად ქმნიან გარემოს, რომელშიც შესაძლებელი ხდება ბავშ-
ვის ბუნებრივი განვითარება. ამ გარემოს ერთ-ერთ აუცილებელ ას-
პექტს ბავშვისა და მშობლის ურთიერთგაგება. შეთანხმებული ურთი-
ერთქმედება წარმოადგენს. ადრეული ურთიერთგაგება ბავშვისა და მშო-
ბელს შორის სპეციალური ლინგვისტური საშუალებების გარეშე ხდე-
ბა. მაგრამ მოზრდილი ადამიანებისათვის ურთიერთქმედება იმდენად
არსებითად და ბუნებრივად არის დაკავშირებული მეტყველების სა-
შუალების გამოყენებასთან, რომ დედები ძალიან ხშირად ბავშვთან ურ-
თიერთქმედების პროცესს ლინგვისტურ საშუალებათა გამოყენების
ფონზე ახორციელებენ. თუმცა ძუძუს ასაკის ბავშვებს არ ესმით ის
ენა, რომელიც შემდგომში იქცევა მათ მშობლიურ ენად. ეს ბუნებრი-
ვი ტენდენცია, ცხადია, ძლიერდება კომუნიკაციის გაფართოების იმ
მოთხოვნილებითაც, რომლითაც მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა
ხასიათდება. ამ ურთიერთობაში მეტყველება იქცევა უდიდესი ძალის
მქონე იარაღად, რომლითაც შესაძლებელი ხდება სხვისი ქცევის კონტ-
როლი. ლინგვისტური საშუალებების გამოყენებით როგორც მშობელი,
ისე ბავშვი თანდათან უკეთესად ახერხებენ თავისი მოთხოვნების გამო-
ხატვას და ურთიერთობის უკეთეს ორგანიზირებას აღწევენ.

სამეტყველო იარაღი, ენა, რომლითაც მშობელი და ბავშვი ავითა-
რებენ და ამრავალფეროვნებენ თავიანთ თავდაპირველ ბუნებრივ კონ-
ტაქტებს, სოციალური წარმოშობისაა. ენა ადამიანთა სოციალური აქ-
ტიობის პროდუქტს წარმოადგენს და მისი საშუალებით განხორციე-
ლებული კომუნიკაცია ამ ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათე-
ბელი სოციალური სტრუქტურის შესატყვისი ხდება.

ყოველი ენა გარკვეული მნიშვნელობის მქონე ერთეულებისა და
მათი დაკავშირებისათვის საჭირო წესების ერთობლიობას წარმოად-
გენს. ენები ურთიერთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფონეტიკური
შემადგენლობით, მათ ელემენტთა დაკავშირების კანონზომიერებით და
სინამდვილის კლასიფიკაციის წესებით. სხვადასხვა ენების ფონეტიკუ-
რი მასალის და გრამატიკული სისტემის განსხვავება ყველასათვის ნა-
თელია, მაგრამ ხშირად ასევე ნათლად არ ჩანს სხვადასხვა ენებში ლი-
ფერენცირებული სემანტიკური სისტემა¹. ღროის, სივრცის, ნათესაო-

¹ И медадзе Н. В., О лингвистическом детерминанте процесса группирования. Материалы IV Всесоюзного съезда общества психологов. 1971.

ბისა და სხვა მიმართებები სხვადასხვა ენებში ზშირად სხვადასხვაგვარად არის კატეგორიზებული. მეტიც, თითქმის არც ერთი სიტყვის სემანტიკური ველს ენაში ზუსტად არ ემთხვევა შესატყვისი სიტყვის სემანტიკურ ველს მეორე ენაში. მაგალითად, ქართული სიტყვა მაგიდა და რუსული სიტყვა ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ, მაგრამ მათ განსხვავებული სემანტიკური ველი აქვთ. რუსული სიტყვა стол-იდან იწარმოება სიტყვები столовая, столовая ложка, столовое вино მაგრამ იგივე სემანტიკური ველი არ გააჩნია ქართულ სიტყვა მაგიდას. სიტყვა столовая-ს ქართული შესატყვისი სასადილო სიტყვა „სადილიდან“ არის ნაწარმოები, მაგიდიდან კი არ შეიძლება მისი წარმოება. Столовая ложка, ასევე столовое вино ქართულში სიტყვა სუფრიდან იწარმოება: სუფრის კოვზი, სუფრის ღვინო; ისინი რუსული სიტყვა скатерть-იდან არ შეიძლება იქნეს ნაწარმოები. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყოველი სიტყვის შესახებ.

შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ თითქმის არც ერთ სიტყვას არ მოეპოვება აბსოლუტურად ზუსტი სინონიმური სიტყვა მეორე ენაში. სწორედ ამის გამო ლაპარაკობენ, რომ ყოველი ენა სინამდვილის თავისებურ. სპეციფიკურ კლასიფიკირებას ახდენს. ამის გამო ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა მხოლოდ შესატყვისი სიტყვების გამოჩვენებაში და სათანადო გრამატიკული წესებით დალაგებაში არ მდგომარეობს. თარგმნის დროს საჭირო ხდება მოცემული აზრის და მასთან დაკავშირებული აფექტური შინაარსების გამომხატველი ფრაზის ხელმეორედ აგება მეორე ენაზე.

ეს საზოგადოდ ცნობილი დებულებები იმაზე მიუთითებენ, რომ გარკვეული ენის, როგორც დედაენის, დაუფლების დროს ადამიანი სწავლობს სინამდვილის გარკვეული თვალსაზრისით აღქმას და კატეგორიზაციას, ამიტომ ადამიანის მეტყველებისა და აზრების ფორმირების პროცესი გარკვეული სოციალური შაბლონების, სტანდარტების მიხედვით ხდება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის კონტაქტი და კომუნიკაცია. ადექვატური ინტერაქობრივი და ინტერკულტურული კომუნიკაცია მხოლოდ იმის შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც სათანადოდ ხდება ამ სხვაობათა გაცნობიერება. მხოლოდ ამის შემდეგ ხერხდება სხვადასხვა ენაში კომუნიკაციის იზომორფული კონსტრუქციების აღმოჩენა და გამოყენება.

ფსიქოლოგიაში ფართო ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ენის გამოყენებით, მეტყველებით ადამიანი მხოლოდ სხვა ადამიანის ქცევაზე არ ახდენს გავლენას. ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბება, აზროვნება და თვითკონტროლი მეტყველებითი აქტიობის საშუალებით ხდება. ენის გამოყენებით ადამიანი ახდენს

როგორც სხვისთვის გასაზიარებელი აზრის ფორმირებას, ისე აზრების თავისთვის ნათელყოფას.

აღამიანი გარეგანი მეტყველების გარდა შინაგან მეტყველებასაც მიმართავს. შინაგანი მეტყველება არ შეიძლება უბრალოდ აზროვნების, წმინდა ცნობიერების პროცესის სახით იქნეს გაგებული. შინაგანი მეტყველების დროს აღამიანი, მართალია, ხმამაღლა, სხვისთვის გასაგონად არ წარმოთქვამს სიტყვებს, მაგრამ იგი მეტყველებით აქტიობას მაინც მიმართავს. მისი მეტყველებითი აპარატი ამ დროს დიდ და რთულ ელექტრონიზულსაციური აქტიობით ხასიათდება.

ა. სოკოლოვის¹ ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან ჩანს, რომ აზროვნებითი ამოცანის გადაწყვეტისას ყველა ცდისპირთან აღინიშნება მეტყველებითი აქტიობისათვის საჭირო ელექტრონიზულსაცია. აზროვნების ამოცანების გადაწყვეტის დროს ჩაწერილი მეტყველებითი აქტიობის ელექტრომოგრაფები უჩვენებენ, რომ ეს პროცესი ერთნაირი ელექტრომოგრაფიული აქტიობით არ ხორციელდება. აზროვნების პროცესში წარმოდგენილი სიძნელები და შეფერხებანი ყოველთვის იწვევენ ელექტრონიზულსაციის გაძლიერებას.

აღნიშნული მეთოდით შინაგანი მეტყველების საკითხების გენეტიკურ ასპექტში კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ასაკობრივ ზრდასთან ერთად ადგილი აქვს მეტყველების აპარატის ელექტროაქტიობის შემცირებას. აზროვნების განვითარებასთან ერთად შინაგანი მეტყველებით აქტიობის სულ უფრო შემცირების მიუხედავად იგი არასოდეს აღიკვეთება და ყოველთვის გარკვეული სახით მაინც მონაწილეობს აზროვნების პროცესში.

შინაგანი მეტყველების კავშირი აზროვნებასთან კიდევ უფრო ნათლად ჩანს ლ. მაქსის ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ყრუ-მუნჯებზე.

როგორც ვიცით, ყრუ-მუნჯების კომუნიკაციის პროცესი ფესტ-მიმიკით ხორციელდება. მეტყველ აღამიანთა სამეტყველო აპარატის ელექტროაქტიობის ნაცვლად მათი კომუნიკაციის დროს თითებისა და ხელების კუნთების ელექტროაქტიობას აქვს ადგილი. მაქსის მიერ ყრუ-მუნჯი ცდისპირების თითების კუნთებში მოთავსებული იყო ელექტროდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო მათი თითის კუნთებში აღძრული ელექტროაქტიობის რეგისტრაცია, როდესაც ყრუ-მუნჯები თვალთ დასანახ მოძრაობებს არ ახორციელებდნენ. ექსპერიმენტულ სიტუაციაში ასეთ ცდისპირებს მაქსი აძლევდა სააზროვნო ამოცანებს და სთხოვდა მათ გადაწყვეტას. აღმოჩნდა, რომ ცდისპირების 84%-თან აშკარად დასტურდებოდა თითის კუნთების ელექტროაქტიობის აღმოცენება ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ნორ-

¹ Соколов А. М., Внутренняя речь и мышление. Москва, 1968.

მალურად მეტყველ ადამიანებთან ხელის და თითის კუნთების ელექტროიპმულსაცია აზროვნების პროცესებთან დაკავშირებით ცდისპირების მხოლოდ 30%-ს დაუდასტურდა. ამ გამოკვლევით დადგინდა, რომ ყრუ-მუნჯი ცდისპირები, რომლებიც გონებრივი განვითარების მაღალ მაჩვენებლებს იძლეოდნენ, ხელის კუნთების ნაკლებ ელექტროაქტიობას უჩვენებდნენ, ვიდრე გონებრივი განვითარების დაბალი მაჩვენებლების მქონე ცდისპირები¹.

ეს მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ადამიანები მეტყველებით აქტიობას მხოლოდ მაშინ არ მიმართავენ, როდესაც მათ სხვისთვის უნდათ აზრის გაზიარება, როდესაც ისინი სხვასთან ამყარებენ კომუნიკაციას. შექმნილი ვითარების გაცნობიერებას, მდგომარეობის თავისთვის ნათელყოფას ადამიანი იმავე კომუნიკაციის საშუალებით ახდენს. სწორედ ამის გამო განიხილავდნენ ცნობიერებას, როგორც შინაგან კომუნიკაციას. ბუნდოვანი საკითხების გარკვევისას, როცა განსაკუთრებით ძნელდება ვითარების გაცნობიერება, ადგილი აქვს მეტყველების ორგანოების ელექტროაქტიობის გაძლიერებას, კომუნიკაციის საშუალებათა ჭარბ გამოყენებას.

აღნიშნული მდგომარეობა სრულიად გასაგები ჩანს განწყობის თეორიაში უზნაძის მიერ შემოტანილი ობიექტივაციის ცნებით.

როგორც ცნობილია, ადამიანის ჩვეული პრაქტიკული საქმიანობა აზროვნებისა და სპეციალური შემეცნების პროცესების გარეშე სრულდება, მაგრამ როდესაც ასეთი საქმიანობის დროს ადამიანი დაბრკოლებას აწყდება, როდესაც ადამიანის ქცევა შეუსაბამო ხდება სინამდვილის მიმართ და მისი ნაყოფიერი გაგრძელება მდგომარეობის გარკვევის გარეშე შეუძლებელი ხდება, ადამიანი სპეციფიკურ ფსიქიკურ აქტიობას, ობიექტივაციის აქტს ახორციელებს.

ობიექტივაციის აქტი ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის შეჩერებას, შეწყვეტას ახდენს. იმის მაგიერ, რომ ადამიანმა დაიწყოს იმ ქცევის ქაოტიურად, არაორგანიზებულად შესრულების მცდელობები, რომელიც დაბრკოლებას აწყდება, იგი სრულიად წყვეტს, აჩერებს შეფერხებულ პრაქტიკულ ქცევას. მაგრამ ეს შეჩერება ფსიქიკური აქტიობისაგან ხელის აღებას არ ნიშნავს. პრაქტიკული საქმიანობის ამ შეჩერებას ადამიანი იმიტომ ახდენს, რომ თავისი ქცევის მიმართულება შეცვალოს. ამ დროს ადამიანი თავს ანებებს პრაქტიკულ საქმიანობას, სიტუაციის გარკვევას იწყებს, მის უფრო სრულ გაცნობიერებულ ასახვას ახდენს, რათა გამოინახოს შეწყვეტილი პრაქტიკული საქმიანობის გაგრძელების შესაძლებელი გზები. ობიექტივაციის აქტის საფუძველზე ად-

¹ Max L. M. Experimental Study of Motor Theory of Consciousness. V. Compar. and Physiol. Psychology, 24, 1987, p. 301-344.

მიანი, მართალია. პრაქტიკული ხასიათის აქტიობას წყვეტს, მაგრამ ამ დროს იგი სრულიად სხვა, სპეციფიკური ბუნების აქტიობას იწყებს. ადამიანი ამ დროს სინამდვილესთან შემეცნებით დამოკიდებულებას ამყარებს და მის შემეცნებას იწყებს. მაგრამ, გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტივაციის აქტი, რომლითაც იმპულსური, პრაქტიკული ქცევის შეწყვეტა ხდება, თვითონაც სპეციფიკურ აქტიობას წარმოადგენს. იმპულსური პრაქტიკული ქცევა აქტუალიზებული განწყობის იმპულსის საფუძველზე ხორციელდება და მისი შეჩერება თუ აღკვეთა სპეციფიკურ ფსიქიკურ ძალისხმევას და დაძაბულობას მოითხოვს. ობიექტივაციის აქტი სპეციფიკური ადამიანური ფსიქიკური აქტიობის ფორმაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია შემეცნებითი აქტიობისათვის საჭირო პირობების ორგანიზება¹. ადამიანის შემეცნებითი აქტიობისათვის მომზადება იმით იწყება, რომ მას უჩნდება კითხვა „რასია საქმე?“, „რატომ ფერხდება პრაქტიკული ქცევა?“ ამგვარი კითხვის გაჩენა, როგორც უზნაძე აღნიშნავს, იმ მოვლენებსა და საგნებზე შეჩერებას, მათ ახლებურად გაცნობიერებას და გათვალისწინებას იწვევს, რომლებიც ხელს უშლიან ჩვეული პრაქტიკული ქცევის განხორციელებას.


ქცევის დამაბრკოლებელ საგნებზე შეჩერება, მათი გაცნობიერება და გათვალისწინება ადამიანის მიერ მათი კატეგორიზებით, მათი საგნობრივი შინაარსის გაცნობიერებით იწყება. სინამდვილის მოვლენებისა და ობიექტების საგნობრივი შინაარსების კატეგორიზებისათვის კი ადამიანს ენობრივი საშუალებები გააჩნია. ობიექტივაციის დროს ადამიანი ქცევის დამაბრკოლებელი საგნების ვერბალურ დასახელებას ახდენს და მათში იმ საგნობრივ მნიშვნელობას დებს, რომლებიც ადამიანს სიტყვის ზოგად მნიშვნელობათა სახით აქვს ფიქსირებული და შენახული. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ენას ადამიანი მხოლოდ კომუნიკაციის პროცესისათვის როდი იყენებს, თუმცა კომუნიკაცია ენის უძირითადეს და არსებით ფუნქციას წარმოადგენს. ენას ადამიანი სინამდვილის აღნიშვნის, გაცნობიერებისა და კატეგორიზაციისათვის იყენებს. ამიტომ, რომ სინამდვილის გაცნობიერების და გაგების პროცესში სიმწელეთა წამოკრისას მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელემენტარული იმპულსური აქტიობის ინტენსიფიკაცია ხდება.

ამრიგად, ენის გამოყენებით ადამიანი სხვებთან კომუნიკაციის პროცესს ამყარებს და ამავე დროს მას სინამდვილის აღნიშვნისათვის, გაცნობიერებისათვის იყენებს. იმ დებულებით, რომლის მიხედვითაც „ცნობიერება შინაგან კომუნიკაციას წარმოადგენს“, ხდება ენისა და მეტყ-

¹ დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, ტ. VI, თბილისი, 1949. გვ. 112-113.

ველების ფუნქციითა განზოგადება კომუნიკაციის ცნებით. კომუნიკაციის ამგვარი ფართო გაგების დროს კომუნიკაცია ინფორმაციის მიღების პროცესს უთანაბრდება. კომუნიკაციის ცნებათა ამგვარი გაფართოება და განზოგადება ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა შესატყვისი პროცესების შემდგომი კვლევის დროს, მაგრამ ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ კომუნიკაციის ცნების ამგვარი გაფართოების შემთხვევაში შესაძლებელია ყურადღების გარეშე დაგვრჩეს კომუნიკაციის პროცესის სპეციფიკური თავისებურება, რომელიც ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლაში მდგომარეობს.

კომუნიკაციის პროცესის სპეციფიკური თავისებურება სწორედ ადამიანთა შორის ინფორმაციის გაცვლაში ვლინდება და ამ გზით ადამიანები ერთმანეთის ფსიქიკურ აქტიობაზე ახდენენ გავლენას. ეს პროცესი სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:



როგორც ამ სქემიდან ჩანს, A პიროვნება კომუნიკაციის საშუალებით გავლენას ახდენს B პიროვნების ფსიქიკურ აქტიობაზე და, პირიქით. მისი საშუალებით თვით გავლენას განიცდის სხვა ადამიანისაგან. კომუნიკაციის პროცესთან მაშინ გვაქვს ადგილი, როდესაც ერთი (A) პიროვნება ცნობას, შეტყობინებას გადასცემს მეორე (B) პიროვნებას. ერთ-პიროვნების მიერ მეორისათვის ცნობის მიწოდება ნიშნავს მეორე პიროვნების ცნობიერებაში და საერთოდ ფსიქიკაში მიზანდასახული ცვლილებების შეტანას. ამ დროს კომუნიკატორი იკავებს კომუნიკაციის მიმღების ცნობიერებას. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ კომუნიკაციის მიმღებმა არ მიიღოს ზუსტად ის ინფორმაცია, რაც მას კომუნიკატორმა გადასცა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ინფორმაციის დაკარგვას, რაც ხშირად აძნელებს კომუნიკაციის პროცესში მყოფ ადამიანთა თანამშრომლობას. ინფორმაციაში, ჩვეულებრივ მოცემულია არა მხოლოდ ინფორმაცია გარკვეული ობიექტების შესახებ, არამედ დამოკიდებულებაც ამ ობიექტის მიმართ. მაგალითად, კომუნიკატორის გამოთქმა: „ერთ-თვის გვალვის შემდეგ გუშინ ბოლოსდაბოლოს მოწვიმა“, მის სრულიად სხვაგვარ დამოკიდებულებას გამოხატავს ამ ფაქტისადმი, ვანსხვაგვებით მეორე კომუნიკაციისაგან, რომელიც ამავე ფაქტს ასე გადმოგვცემს: „ერთი თვის მზიანი დღეების შემდეგ მაინც-დამაინც გუშინ მოწვიმა“. ამ ფრაზებიდან ვიგებთ არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ გუშინ მოწვიმა, არამედ იმასაც, რომ პირველ კომუნიკატორს გუშინდელი წვიმისადმი დადებითი დამოკიდებულება აქვს. ხო-

ლო მეორეს — უარყოფითი; კომუნიკაციის პროცესის სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანები მეტყველების პროცესში ერთმანეთს არა მხოლოდ გარკვეული მოვლენების და საგნების შესახებ უზიარებენ აზრებს, არამედ გადასცემენ თავიანთ დამოკიდებულებასაც ამ აზრების მიმართ. შესაძლებელია, მაგალითად, მომხსენებელმა კარგად დააღაგა ე. წ. „სწავლის თეორია“, რომლის საშუალებითაც მრავალი ფსიქოლოგი ცდილობს ფსიქიკური განვითარებისა და ადამიანის ქცევის კანონზომიერებათა ახსნას, მაგრამ მის გადმოცემაში ნათლად იგრძნობოდეს, რომ ის არ ეთანხმება, არ იზიარებს იმ თეორიას. მეორე მომხსენებელმა შესაძლებელია ასე კარგად, ზუსტად და ღრმად ვერ დააღაგოს იგივე თეორია, მაგრამ მის მეტყველებაში ნათლად იგრძნობოდეს, რომ მას სწამს ამ თეორიის ვარგისიანობა. იზიარებს ამ თეორიას.

ადამიანებს მეტყველება შეთანხმებული მოქმედების ორგანიზებისათვის სჭირდებათ და ამიტომ კომუნიკაციის პროცესში მათთვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, თუ რა აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, არამედ იმასაც, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ ამ აზრების მიმართ. ადამიანთა შორის ნდობა და ურთიერთგაგება სწორედ მაშინ მყარდება, როდესაც მათ უჩნდებათ გაცდა, რომ ერთნაირი დამოკიდებულებანი აქვთ ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ძირითადი სასიცოცხლო საკითხების მიმართ ერთნაირი განწყობისა და ორიენტაციების შემთხვევაში ჩნდება ადამიანთა შორის თანამშრომლობისა და სოლიდარობის ურთიერთობა, რომლის დროსაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ერთნაირი ღრმა და დეტალური ცოდნა აქვთ მათ ამ მოვლენების შესახებ. ადამიანებს, რომლებსაც დადებითი დამოკიდებულება, დადებითი განწყობა აქვთ ერთიმეორის მიმართ, უკეთესად ესმით ერთმანეთისა, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ ურთიერთის მიმართ უარყოფითი განწყობა აქვთ. ასევე გარკვეული ობიექტების მიმართ ერთნაირი განწყობის შემთხვევაში ადამიანებს უკეთ ესმით ერთმანეთის ნათქვამი ამ ობიექტების შესახებ აზრის გაზიარების: დროს, ვიდრე საწინააღმდეგო ვითარებაში. კომუნიკაციის პროცესში ადამიანები ურთიერთს ცნობებს გადასცემენ და ამ ცნობაში მოცემულია ინფორმაცია არა მხოლოდ ობიექტის, არამედ ამ ობიექტის მიმართ კომუნიკატორის დამოკიდებულების შესახებ. მაგალითად, მარტივ კითხვაში „რომელი საათია?“ ადამიანი სთხოვს მეორე პიროვნებას ცნობას ობიექტის დროის შესახებ, მაგრამ ამავე დროს ის, ჩვეულებრივ, გამოხატავს იმასაც, თუ რა ღირებულება აქვს მისთვის ამ კითხვაზე მიღებულ პასუხს. იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებას ამქაღვინებს კითხვის მომცემი მის კითხვაზე გაცემული მომავალი პასუხისადმი, მოპასუხე, ჩვეულებრივ, სხვაგვარ პასუხს იძლევა. თუ კითხვას — „რომე-

ლი საათია?“ ადამიანი ქუჩაში მეორე საათიან ადამიანს აძლევს, ეს უკანასკნელის მიერ განიცდება, რომ უცხო ადამიანს დროის გაგების მოთხოვნილება აქვს. ასეთ ვითარებაში მან, ბუნებრივია, უნდა დაახლოებით უთხრას, თუ რომელი საათია: „რვა საათია“. მაგრამ სხვა სიტუაციაში ადამიანი ამ შეკითხვით— „რომელი საათია?“—მეტ მომთხოვნელობას გამოხატავს დროის განსაზღვრისას. მაგალითად, კინოთეატრის კარისაკენ სწრაფი ნაბიჯით მიმავალი მოქალაქის კითხვა კარებთან მდგომი ადამიანის მიმართ — „რომელი საათია?“ განიცდება კითხვად: „ხომ არ დამაგვიანდა კინოსეანსზე?“, რაზეც მას ბუნებრივად პასუხობს, რომ „რვას ჯერ ოთხი წუთი აკლია“; მაგრამ ამავე კითხვას — „რომელი საათია?“ შესაძლებელია სრულიად სხვა აზრი ჰქონდეს, თუ არც შეკითხვის მიმცემსა და არც მოპასუხეს არ აინტერესებთ დროის გაგება და მიმდინარეობს მხოლოდ ფორმალური საუბარი. მაგალითად, თუ პროსპექტზე სეირნობის დროს ჰაბუკი აედევნება ქალიშვილს და ეკითხება: „რომელი საათია?“ — ეს კითხვა გოგონას მიერ, წინა შემთხვევებისაგან განსხვავებით, ალბათ გაგებული არ იქნება ისე, თითქოს ჰაბუკს მხოლოდ დროის ამა თუ იმ სიზუსტით გაგების მოთხოვნილება აწუხებს. იმის მიუხედავად, თუ როგორი დამოკიდებულება გაუჩნდება გოგონას ვაჟის მიმართ, მან შესაძლებელია სრულიად სხვადასხვაგვარი პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. გარდა ამისა, მან გამოცდილების მიხედვით შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი სტრატეგია შეიმუშაოს ვაჟისადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას. თუ მას უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდა ვაჟის მიმართ, შესაძლებელია მკაცრად უპასუხოს: „გთხოვთ თავი დამანებოთ“. შესაძლებელია გოგონამ სრულიად არ გასცეს პასუხი ჰაბუკს, ნაბიჯს აუჩქაროს და ამით აგრძობინოს, რომ თავი დაანებოს. შესაძლებელია მდგომარეობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით გოგონამ ისეთი პოზა დაიკავოს, რომ მან სრულიად პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ვაჟის შეკითხვა, ამიტომ უპასუხოს გულუბრყვილო ტონით: „რვა საათია!“ შემდგომში ფეხი ააჩქაროს და განერიდოს ვითარებას, რითაც ვაჟის პატივმოყვარეობა შელახული არ იქნება. ასეთ სიტუაციაში ვაჟმაც შესაძლებელია მიიღოს ისეთი პოზა, რომ მას თითქოს მართლაც დროის გაგების მოთხოვნილება ჰქონდა და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო მადლობის გადახდისთანავე ჩამორჩეს გოგონას. თუ ქალიშვილს დადებითი განწყობა გაუჩნდა ჰაბუკის მიმართ, მან პასუხი „რვა საათია“ იმგვარად შეიძლება გასცეს, რომ ამავე დროს შესაძლებლობა მისცეს ვაჟს შემდგომი საუბრის გაგრძელებისა. ამ პასუხით მან შეიძლება გამოხატოს თავისი დადებითი დამოკიდებულება, აგრძობინოს მოსაუბრეს, რომ წინააღმდეგი არაა საუბრის გაგრძელებისა.

ადამიანთა კომუნიკაციის პროცესები აღსავეს მსგავსი სიტუაციებში, რომელშიც ადამიანები ობიექტების შესახებ ცნობათა გაცვლასთან ერთად არკვევენ თავიანთ დამოკიდებულებებს. განწყობებს ამ ობიექტებისა და ერთმანეთის მიმართ. კომუნიკაციის ყოველ პროცესში სხვადასხვა დონით არის წარმოდგენილი ცნობა ობიექტებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებიც კომუნიკაციის პროცესში იწყობებიან. საყოველთაოდ გავრცელებული პარადოქსული ფრაზა, რომ „ადამიანს ენა იმისათვის გააჩნია, რომ საკუთარი აზრები დამალოს“, იმდენად იმ აზრებს არ ეხება, რომელიც მეტყველების პროცესში გარკვეულ ობიექტების შესახებ გამოითქმის. ეს ფრაზა უფრო ამ აზრებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას და განწყობას ეხება, რომელიც ადამიანს ამ აზრების მიმართ აქვს.


„დიპლომატიური“ საუბრები, რომლებიც ადამიანთა შორის გათამაშდება ხოლმე, აზრების საინტერესოდ გამოთქმას და გაშლას გულისხმობს. მაგრამ აზრების გაშლა ასეთ შემთხვევაში ისე ხდება, რომ იმავე დროს სხვისთვის დაფარული დარჩეს მოლაპარაკის დამოკიდებულება გამოთქმული აზრებისადმი. ასეთ სიტუაციებში კომუნიკაციის პროცესში მყოფი წევრები ცდილობენ მსმენელს შეუქმნან არასწორი შეხედულება მათი განწყობების და პოზიციების მიმართ, განხილულ საკითხებს და აზრების მიმართ.

მეტყველების პროცესი ყოველთვის აზრის გამოხატვას ემსახურება. მაგრამ ეს პროცესი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მეტყველის განწყობის დასაფარავად გამოთქმული აზრების მიმართ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის პროცესში ადამიანები გამოთქვამენ გარკვეულ აზრებს საგნებისა და მოვლენების შესახებ და ამავე დროს გამოხატავენ თავის განწყობებს მათ მიმართ. კომუნიკაციის პროცესში ხდება ობიექტის თავისებურებათა და ადამიანთა დამოკიდებულებების შესახებ ცნობების გაცვლა. მაგრამ კომუნიკაციის პროცესის არსებითი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ცნობათა ეს გაცვლა კომუნიკაციაში მყოფ პიროვნებათა ერთმანეთის, კავშირურობის სახით რეალიზდება. იგი კომუნიკაციის ერთიან ველში ხორციელდება და ამ ველის მთლიან თავისებურებებზე დამოკიდებულია კომუნიკაციის თითოეული წევრის კომუნიკაციის აქტიობა.

ადამიანს კომუნიკაციის თავისებურება, როგორც აღრეც აღვნიშნეთ, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნიშანთა სისტემის საფუძველზე ხორციელდება. ამიტომ კომუნიკაციური ველი კოდირება-დეკოდირების პროცესსაც გულისხმობს. კომუნიკაციის ეს რთული პროცესი შესაძლებელია შემდეგი სქემის სახით წარმოვიდგინოთ:

კომუნიკაციის ველი, კონტექსტი.
ურთიერთგაგების საწყისი მდგომარეობა, რომლის ფონზეც ხდება კომუნიკაცია.



ამ სქემაში წარმოდგენილი ზედა დამაკავშირებელი ხაზი კომუნიკაციის იმ უშუალო არხს წარმოადგენს, რომელიც კომუნიკაციის ველში ადამიანებს ურთიერთის უშუალო აღქმის, ურთიერთის უშუალო გაგებისა და ურთიერთის უშუალო წვდომის სახით ეძლევათ ხოლმე. ურთიერთგაგებისა და ურთიერთგაგებულების ეს ფორმები არავითარ საიდუმლოს არ შეიცავს თავისთავში. ეს ზოგადი მდგომარეობა, რომელიც კომუნიკაციაში მყოფ ინდივიდთა ურთიერთობის პროცესში ჩნდება კომუნიკაციური ველის სახით და რომელსაც თითოეული წევრი ასახავს თავისთავში (თანააქტიობის, თანაარსებობის, მიბაძვის, სოციალური განმტკიცების ეფექტების მსგავსად), ინიციირდება მთლიანობით რეაქციას წარმოადგენს. ის მთლიანი ერთიანობის მდგომარეობა, რომელიც ინდივიდების ყოველი სახის კოლექტიურ აქტიობაშია მოცემული, ადამიანთა კომუნიკაციის პროცესშიც განაგრძობს არსებობას, რომლის ფონზეც მიმდინარეობს მისგან გამოდიფერენცირებული რთული ფსიქიკური კომუნიკაციური აქტიობანი. მეტყველების შემდგომი განვითარებისა და ადამიანთა ფსიქიკური ურთიერთქმედების შემდგომი გაღრმავების პროცესში ადგილი აქვს ერთიანი კომუნიკაციის ველის შემდგომ დიფერენციაციას და კომუნიკაციური კავშირების გართულება-გაღრმავებას.

შიზოტანის მიერ ჩატარებული კომუნიკაციის ველის ფაქიზი ანალიზის საფუძველზე კარგად ჩანს კომუნიკაციის პირველადი ველის როლი კომუნიკაციის პროცესში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიზოტანი, როგორც სწავლის ბიპევიორისტული პოზიციის წარმომადგენელი. საბოლოოდ, მაინც ცდილობს ამ მთლიანი ფენომენის ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებზე დაყვანას და მას სწავლა-ინტეგრაციის პროცესის შე-

დევად აცხადებს¹. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი კარგად უჩვენებს, რომ კომუნიკაციის პროცესი შეიცავს ბევრად მეტს, როგორც ერთი მთლიანი პროცესი, ვიდრე სტიმულების მექანიკური ურთიერთზემოქმედება და მათი ინტერპრეტაცია.

არსებითი ფენომენი, რომელიც, შიბუტანის აზრით, ხორციელდება კომუნიკაციის პროცესში, ეს არის „თანხმობა“. თანხმობა ესაა სინამდვილის მიმართ საერთო სურათის შექმნა მათ მიერ, ვინც გაერთიანებულია ერთიან, კოლექტიურ მოქმედებაში. თანხმობა იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანებისათვის ურთიერთზემოქმედების დროს არსებობს ერთი გარკვეული სიტუაცია, ერთიანი ფსიქოფიზიკური გარემო. შიბუტანი იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ერთნაირად შეიძლება განიცდიდნენ ადამიანები გარემოს ერთიანი საქმიანობის დროს, განიხილავს რენოლდის შრომას, რომელიც ერთი საქმიანობით დაკავებულ ადამიანთა სისხლის შემადგენლობის გამოკვლევას ეხება. შესწავლილ იქნა ნიჩბოსანთა გუნდის წევრების ეოზინოფილების ცირკულაციის დონის ამაღლების საკითხი. ამ თვალსაზრისით გამოიკვლიეს მწვრთნელის, მესაქისა და ნიჩბოსანთა სისხლის ნიმუშები. აღმოჩნდა, რომ შეჯიბრების პროცესში, რომელიც მეტისმეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, მათი სისხლის ნიმუშები ერთსა და იმავე ტიპის სურათს იძლეოდნენ. თუმცა მათი კუნთური მუშაობა სულაც არ იყო ერთნაირი. ერთნაირი დამოკიდებულება სიტუაციისადმი, მისი ერთნაირი განცდა სუბიექტების ერთნაირი ტიპის ზოგად რეაქციას იწვევს, რომლის ფონზე შემდგომ შესაძლებელი ხდება კომუნიკაციის ეფექტური განხორციელება. კომუნიკაციის ველი, ჩვენი აზრით, არის ადამიანთა ურთიერთქმედების ერთიანი ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სხვისი ქესტებისა და საკომუნიკაციო წესების შესატყვისი ინტერპრეტაცია-სიტუაციის ერთგვაროვანი განცდა, სხვისი განცდების საკუთართან იდენტიფიკაცია, საკუთარი განცდების პროექცია სხვაში, შთავგრძობისა და ურთიერთგაგების სხვა პროცესები, რომლებშიც ადამიანები იმყოფებიან, განამტკიცებენ და აღრმავებენ თანხმობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანხმობის განვითარება და გაღრმავება სულაც არ ნიშნავს ადამიანთა შეხედულებების, ინტერესებისა და მისწრაფებების ჰარმონიზებას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს შიბუტანი, კონფლიქტის შემთხვევაშიც კომუნიკაციის პროცესში მყოფნი თანხმობაში არიან ურთიერთგაგების თვალსაზრისით: როდესაც მტრულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანებიდან ერთ-ერთი მეორეს შეურაცხყოფას აყენებს და მეორე ამის გამო აღშფოთებას გამოხატავს, ამით ორივე შინაგანად ადასტურებს თავის შეხედულებას ერთმანეთის მიმართ. ამა-

¹ Т. Шибутани, Социальная психология, Москва, 1969, стр. 119—149.

გე დროს ისინი თანხმდებიან და ურთიერთს უდასტურებენ თავიანთ ახტიპატიურ დამოკიდებულებას. სრულიად გაუგებარი და არაკანონზომიერი ურთიერთქმედება აღმოცენდებოდა ასეთ ადამიანებს შორის და თანხმობის არაბუნებრივ დარღვევას ექნებოდა ადგილი ამ შეთმხვევაში. რომ მათ შორის სხვაგვარი ურთიერთზემოქმედება გათამაშებულიყო. როგორც შიბუტანი აღნიშნავს, მაგალითად, შეურაცხყოფელი ქცევის საპასუხოდ მეორეს რომ ჩვეული კონტრდარტყმის მაგივრად მოულოდნელად „მეორე ლოყა მიეშვირა“ და კეთილი ღიმილი გამოეხატა, ეს მათ შორის არსებულ თანხმობას, ურთიერთგაგებას სრულიად დაარღვევდა. პირველი რეაქცია შეურაცხყოფელი ქცევის განხორციელებელი სუბიექტისა მართლაც გაკვირვება იქნებოდა. მისი ბუნებრივი რეაქცია ასეთ სიტუაციაში იქნებოდა ობიექტივაციის აქტის განხორციელება. რადგან განხორციელებული ქცევიდან მან არ მიიღო ის ჩვეულებრივი შედეგი, რასაც ელოდა. ობიექტივაციის აქტის დროს სუბიექტი წყვეტს მოქმედებას და უჩნდება კითხვა: „რაშია საქმე“? პირველი შთაბეჭდილება ის იქნებოდა, რომ პარტნიორმა მას ვერ გაუგო. ასეთ შემთხვევაში ის ალბათ გაიმეორებდა თავის შეურაცხყოფელ მოქმედებას. თუ ამის შემდეგაც პარტნიორი განაგრძობდა ღიმილს, მას გაუჩნდებოდა ეჭვი, რომ რაღაც არანორმალურ ვითარებას აქვს ადგილი და სერიოზულად შეამოწმებდა პარტნიორის და თავის ქცევას. ასეთ დროს სერიოზულად შეირყეოდა იმ ორიენტაციის მართებულობა და სანდოობა, რომელიც მას მოცემული პარტნიორის მიმართ ჰქონდა. შიბუტანის მიერ აღწერილი ამ რეალისტური სიტუაციის დახასიათება მხოლოდ უზნაძის განწყობისა და ობიექტივაციის ცნებებით არის შესაძლებელი. ის კონფლიქტური დამოკიდებულება და მისდამი შესატყვისი მიზანსწრაფვა — ქცევების განხორციელება იმ განწყობის ნიადაგზეა შესაძლებელი, რომელიც კონფლიქტურ ურთიერთობაში მყოფ ადამიანებში ყალიბდება. როდესაც ადამიანთა ურთიერთობა იმ ჩვეული განწყობისეული ურთიერთობის მიხედვით არ ხორციელდება, როდესაც ადამიანები თავისი ფიქსირებული განწყობის მიხედვით ვერ ახერხებენ ჩვეული მოქმედების განხორციელებას და მოსალოდნელი შედეგების მიღებას, ისინი იძულებული ხდებიან შეწყვიტონ ამგვარი განწყობისეული აქტიობა. მათ წინაშე დგება ამოცანა გაარკვიონ უჩვეულო მდგომარეობათა აღმოცენების მიზეზები, შეცვალონ ჩვეული შეხედულებანი სინამდვილეზე, უფრო ღრმად შეიმეცნონ იგი. ამ ამოცანის შესრულება კი სწორედ ობიექტივაციის აქტით იწყება. ასეთ ვითარებას ადგილი აქვს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის ქცევა შეუსაბამო ხდება სინამდვილის მიმართ, არამედ მაშინაც, როდესაც ირღვევა „თანხმობა“, ჩვეული ურთიერთობა კომუნიკაციის წევრებს შორის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაცია არის გარკვეული

„თანხმობის“ შემდგომი შენარჩუნება-განვითარების პროცესი, სულ ერთია, ეს თანხმობა უარყოფითი ნიშნით ხასიათდება, თუ დადებითით. თანხმობა იმაშიც, რომ ადამიანები ურთიერთისადმი თუნდაც უარყოფით დამოკიდებულებაში არიან, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს კომუნიკაციის ველის ორგანიზებისათვის, რომლის შემდგომი, ამა თუ იმ მიმართულებით განვითარება-გალრმავეება სოციალური ურთიერთქმედებით არის გაპირობებული.

ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ველის ეს თავისებურება აქვთ მხედველობაში ამ საკითხთა მკვლევრებს, როდესაც ემპატიის ცნებაზე ლაპარაკობენ. ემპატიის ცნებაში იგულისხმება სოციალური ბუნების ფსიქიკური პროცესი, რომელიც ადამიანს უჩნდება, როგორც სხვისი შინაგანი ბუნების გაგების განცდა. ხშირად ადამიანები კომუნიკაციის პროცესის განხორციელებამდე უგებენ ერთმანეთს. მათ შორის თითქოს აღგილი აქვს ერთგვარ „თანაგაგების“ პროცესს. კოტრელმა და დამონდმა¹ სცადეს მოეხდინათ ემპატიის უნარის სკალირება-გაზომვა, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის ურთიერთისაგან განსხვავება ამ თვალსაზრისით. ეს საშუალებას მოგვცემდა ემპატია გამოგვეყენებინა, როგორც ტიპოლოგიური პიროვნული ნიშანი, მაგრამ ეს განცდა თავისი მრავალგანზომილებიანობის გამო უფრო რთული გასაზომი აღმოჩნდა. ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ რაც უნდა რთული სტრუქტურისა იყოს ემპატიის განცდა, იგი, ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ველის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც კომუნიკაციური ურთიერთობის განვითარების მაღალ საფეხურზე დამოუკიდებელი და თავისთავადი განცდის სახით გვეძლევა. იგი კომუნიკაციის პროცესის კონვენციური ელემენტების გამოყენებამდე იგულისხმება და კომუნიკაციის მთლიან კონტექსტში ხორციელდება.

ჩვენ აქამდე ყოველთვის საგანგებოდ ვუსვამდით ხაზს კომუნიკაციის პროცესის მთლიანობის, ერთიანობის ელემენტს, რომელიც ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში გვეძლევა როგორც ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი დაუყვანადი ელემენტი. იგი ცალკეულ ინდივიდუალურ ფსიქიკურ ელემენტებზე არ შეიძლება იყოს დაყვანილი და მხოლოდ სოციალური ურთიერთხმომქმედების პროცესში გვხვდება. მაგრამ, რასაკვირველია, იმის დავიწყება არ შეიძლება, რომ ადამიანური კომუნიკაცია ადამიანთა ურთიერთქმედების შედეგსაც წარმოადგენს. მისი განვითარება და დიფერენციაცია კონვენციურობას, შეთანხმებასა და ურთიერთმომქმედების სწავლას გულისხმობს. ადამიანური კომუნიკა-

¹ Cottrel L. S., Dymond R. E. *Emphatic Responses it Neglected Field for Research*. „Psychiatry“, vol. XII, 1949, p. 855—859.

ცოცხლის გამოყენებით ხორციელდება და ეს პროცესი ამიტომ იმთავითვე სოციალური ურთიერთობებით ხდება კონტროლირებული. ენა სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტს წარმოადგენს და თავის მხრივ კომუნიკაციის პროცესს ისეთ სტრუქტურულ ფორმას აძლევს, რითაც ის როგორც სოციალური პროდუქტი ხასიათდება.

კომუნიკაციის პროცესი, მართალია, მთლიანი, ელემენტებზე დაუყვანადი ერთიანი პროცესია, მაგრამ ის გამოდიფერენცირებული ელემენტების მთლიანობას წარმოადგენს და მისი ელემენტების ამ მთლიანობასთან კავშირურთიერთობაში განხილვით შესაძლებლობა გვექნება უფრო ღრმად ჩაეწვდეთ მის რთულ ბუნებას. კომუნიკაციის პროცესის ანალიზის დროს ერთმანეთისაგან ადვილი გამოსარჩევია ინფორმაციის გადაცემი, ინფორმაციის მიმღები, ინფორმაცია, ცნობა, რომლის გაზიარება ხდება ამ პროცესში და ის იარაღი — ენა, რომელიც გამოიყენება როგორც ობიექტური საშუალება ამ პროცესის განსახორციელებლად.

7. 1. 1. ინფორმაცია, რომლის გაზიარება ხდება კომუნიკაციის პროცესში

ინფორმაცია და განუსაზღვრელობა. კომუნიკაციის პროცესში, როგორც დავინახეთ, ადამიანები ერთმანეთს ცნობას გადასცემენ, აზრებს უზიარებენ. ის ცნობები, რომელთა გაცვლაც ხდება კომუნიკაციის პროცესში, ფორმალური და ზოგადი თვალსაზრისით განხილვისას შეიძლება განსხვავებულ იქნეს ერთმანეთისაგან იმ ინფორმაციის რაოდენობით, რომელსაც ისინი შეიცავენ. ინფორმაციის რაოდენობრივი თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე ხერხდება ინფორმაციის გარკვეული ერთეულის დადგენა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა კომუნიკაციის პროცესების მეცნიერული შესწავლა. ადამიანის მეტყველების პროცესთა შესწავლისას, სამწუხაროდ, ტერმინი „ინფორმაცია“ ხშირად ზუსტი მეცნიერული მნიშვნელობით არ იხმარება, რაც კომუნიკაციის ველის სირთულით არის გამოწვეული. კომუნიკაციის ველის მიმართ ინფორმაციის რაოდენობის სისტემის მორგება, ჩვეულებრივ, უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის იმ სიდიდეს განსაზღვრა, რომელსაც ადამიანური კომუნიკაციის პროცესში აქვს ადგილი, ხშირად ვერ ხორციელდება. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, როცა ხერხდება ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაში რეალიზებული ინფორმაციის სიდიდის გაზომვა. შესაძლებელი ხდება საინტერესო კანონზომიერების დადგენა. უნდა ვიფიქროთ, რომ ინფორმაციის თეორიის შემდგომი განვითარების კვალობაზე და კომუნიკაციის პროცესთა შესწავლის პარალელურად თანდათან შესაძლებელი ხდება ინფორმაციის თეორიის მეთოდთა სულ უფრო წარმატებით გამოყენება. ჭერჯერობით კი ინფორმაციის ყოველდღიურ მნიშვნელობასა და ინფორმაციის „ტექნი-

კურ“ მნიშვნელობას შორის მხოლოდ ანალოგიების გაცლება შეიძლება. აღსანიშნავია, რომ, ეტნევის განმარტებით, ინფორმაციის მეცნიერულ ცნებასა და მის ყოველდღიურ მნიშვნელობებს შორის გარკვეული მსგავსება არსებობს. ის იმედს იძლევა, რომ ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი გახდება ზუსტი მეცნიერული მეთოდებით აღწერილ და შესწავლილ იქნეს ინფორმაციის გადაცემის ჩვენ მიერ ნაგულისხმევი პროცესები. ეტნევი, რომელიც ფსიქოლოგიაში ინფორმაციის თეორიის ერთ-ერთ პირველ სერიოზულ გამოყენებლად ითვლება, აღნიშნავს, რომ „ინფორმაციის ტექნიკური მნიშვნელობა, რადიკალურად არ განსხვავდება მისი ყოველდღიური მნიშვნელობისაგან; პირველი უბრალოდ უფრო ზუსტია. ინფორმაცია არის ის რაღაც, რასაც ვიღებთ წყითხვით, მოსმენით ან პირდაპირი დაკვირვებით გარესამყაროზე. მოსმენილი წინადადება ან დაკვირვება გარემოზე ინფორმაციულია, თუ ის რაიმე ისეთს გვეუბნება, რაც აქამდე არ ვიცოდით. თუ მე მესმის ვიღაცის ნათქვამი, რომ „ესკიმოსები ცხოვრობენ უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც მეტისმეტად ცივა“, ამით ჩემი მოკრძალებული ცოდნა ესკიმოსების შესახებ არ შეიცვლება. მაგრამ ამ განცხადებამ, რასაკვირველია, შეუძლია მომცეს ინფორმაცია იმის შესახებ, ვინც ამ ფრაზას ამბობს, ან იმის შესახებ, ვისთვისაც ეს ფრაზაა განკუთვნილი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია იმ მოვლენაზე, რომლის მიმართ ჩვენი ცოდნის ხარისხი დაბალია, რაშიც არა ვართ გარკვეული. ინფორმაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც მოვლენა, რომელიც სპობს ან ამცირებს ჩემს განუსაზღვრელობას, გაურკვეველობას“¹.

თუ იმ ცოდნას, რომელსაც ადამიანი გარესინამდვილიდან იღებს, ამ თვალსაზრისით შევხედავთ, შესაძლებლობა გვექნება გავზომოთ ინფორმაციის ის რაოდენობა, რომელიც ამ ცოდნას მოაქვს სუბიექტისათვის.

ამისათვის საჭირო ხდება გაიზომოს განუსაზღვრელობის ის სიდიდე, რომელსაც სპობს მიღებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული ინფორმაცია მთლიანად არ ხსნის სუბიექტის გაურკვეველობას, მისი ოდენობა შესაძლებელია გაიზომოს განუსაზღვრელობის იმ სიდიდით, რომლითაც მიღებულმა ინფორმაციამ შეამცირა სუბიექტის თავდაპირველი განუსაზღვრელობა. ამგვარი ამოცანის შესრულება კი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მოხერხდებოდა საზოგადოდ განუსაზღვრელობის რიცხობრივი დახასიათება, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამ მიზნით

¹ Attner F. Application of Information theory to Psychology, N Y., 1968, p. 3.

ინფორმაციის თეორიაში შესაძლებლობის ცნება იქნა გამოყენებული.

იმისათვის, რომ ინფორმაციის თეორიის ძირითად ცნებათა გამოყენების მნიშვნელობის შესახებ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ, საჭირო ხდება ეს ცნებები ელემენტარულად დახასიათდეს. ეს საკითხები გარჩეული აქვს ჯ. ყვავილაშვილს¹.

იმისათვის, რომ გაირკვეს, დაახლოებით როგორც ხდება მოვლენის ინფორმაციულობის გაზომვა, განვიხილოთ გარკვეული რეალური სისტემების მდგომარეობანი, რომელთაც ეს სისტემა იღებს დროის გარკვეულ მომენტში. მაგალითად, ლითონის ფული აგდებისას, ჩვეულებრივ, იკავებს ორნაირ მდგომარეობას: ზევითა მხარეზე ხვდება ან ღერბიანი, ან უღერბო მხარე. კამათელი გაგორებისას იკავებს ექვსნაირ მდგომარეობას. როგორც ვხედავთ, კამათლის მომავალი მდგომარეობის გამოსვლა უფრო ძნელია, ვიდრე მონეტისა. მონეტის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის გამოსვლის ალბათობა $1/2$ -ია, კამათლის გაგორებისას კი იგი $1/6$ -ს უდრის.

აღნიშნული სიდიდეები შეიძლება პირდაპირ ჩაგვეთვალო მათი განუსაზღვრელობის ხარისხის საზომად (ცხადია, ამ საკითხების სერიოზული განხილვის დროს მხედველობაშია მიღებული, რომ მოცემული შემთხვევები მხოლოდ იდეალური ფორმის ფულს და კამათელს შეიძლება ეხებოდეს. არსებობს გარკვეული წესები, რომლითაც რეალურ მოვლენებს შეიძლება მიეწეროს მათი რეალური განუსაზღვრელობა და თითოეული მდგომარეობის გაჩენის ალბათობა). თუ სისტემის თითოეული მდგომარეობის გამოსვლის ალბათობა ერთიმეორის ტოლია, მაშინ ამ სისტემის განუსაზღვრელობა შესაძლო მდგომარეობათა რიცხვის ფუნქციაა:

$$N = N(K),$$

სადაც N განუსაზღვრელობას აღნიშნავს, K კი შესაძლებელ მდგომარეობათა რიცხვს. მაგრამ შესაძლებელია, რომ თითოეული მდგომარეობა, რომელსაც სისტემა იღებს, ერთნაირი ალბათობით არ ხორციელდებოდეს. ირკვევა, რომ ასეთ შემთხვევაშიც, როდესაც შესაძლებლობა გვაქვს დაეადგინოთ მათი ალბათობები, შეგვიძლია გავზომოთ სისტემის განუსაზღვრელობა. სათანადო ოპერაციების საფუძველზე ირკვევა, რომ მდგომარეობათა ტოლი ალბათობის მქონე სისტემისათვის განუსაზღვრელობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც

$$N(p) = -\log p,$$

¹ ჯ. ყვავილაშვილი, ინფორმაციის თეორია და ფსიქოლოგიაში მისი გამოყენების შესახებ, მიომზილელო, 4-5, გვ. 31-77.

სადაც N არის განუსაზღვრელობა, p კი — თითოეული მდგომარეობის გამოსვლის ალბათობა.

როდესაც ისეთ სისტემასთან გვაქვს საქმე, რომლის მდგომარეობათა ალბათობანი ტოლი არაა ერთმანეთისა, მაშინ ვიღებთ:

$$N(A) = - \sum_{i=1}^n p(A) \log p(A),$$

სადაც A თითოეული გამოსვლის p -ს ალბათობას აღნიშნავს. ორივე შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა გამოეთვალთ როგორც მთელი ცდის განუსაზღვრელობა, ისე თითოეული კონკრეტული გამოსვლის ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც ცდის განუსაზღვრელობას ამცირებს. თითოეული მოვლენის მიერ მოტანილი ინფორმაციის ოდენობა იზომება იმ სიდიდით, რომლითაც ის ცდის განუსაზღვრელობას ამცირებს. მაგალითად, ლითონის ფულის აგდების განუსაზღვრელობა ინფორმაციის რაოდენობის გარკვეული სისტემის მიხედვით უდრის 1 ბიტს, გამოხატვის იმავე სისტემის მიხედვით, კამათლის გაგორებისათვის განუსაზღვრელობა 2,58 ბიტს უდრის.

ამავე წესით შეიძლება განისაზღვროს ჭადრაკის დაფის (64 უჯრედი) გარკვეულ კვადრატზე რომელიმე ფიგურის არსებობის განუსაზღვრელობა. იგი 6 ბიტს უდრის. იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ შეიძლება მცირდებოდეს რომელიმე ცდის განუსაზღვრელობა, განვიხილოთ ჯ. ყვავილაშვილის მიერ მოტანილი მაგალითი: ჭადრაკის დაფაზე რომელიმე ფიგურის ადგილმდებარეობის განუსაზღვრელობა, როგორც ვთქვით, 6 ბიტს უდრის [$N(p) = \log 64 = 6$]. ვთქვათ, გვეუბნებიან, რომ ეს ფიგურა დევს დაფის მარცხენა მხარეზე, ეს ცნობა შეამცირებს მდგომარეობის განუსაზღვრელობას. ახლა განუსაზღვრელობა იქნება 5 ბიტი: [რადგან $N(p) = \log 32 = 5$]. საკითხავია, რა მოგვიტანა იმ ცნობამ, რომელიც მოგვაწოდეს ფიგურის ადგილსამყოფლის შესახებ? მან ჩვენი განუსაზღვრელობა შეამცირა 1 ბიტით (განუსაზღვრელობა იყო 6 ბიტი, გახდა 5; $6 - 5 = 1$). აღნიშნულ ცნობას მიუტანია ერთი ბიტი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია, რასაკვირველია, არ კმარა დაფაზე ფიგურის ზუსტი ადგილსამყოფლის განსაზღვრისათვის, ამისათვის საჭიროა კიდევ 5 ბიტის შემცველი ინფორმაციის მიღება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ინფორმაცია არის ცოდნის გარკვეული სიდიდე, რომელიც მის მიღებამდე არსებულ გაურკვეველობას ამცირებს. ინფორმაციის ოდენობა განუსაზღვრელობის სიდიდის საზომი ერთეულებით იზომება.

ადამიანთა შორის არსებული კომუნიკაციის პროცესიც სწორედ ასეთ ინფორმაციათა გაცვლის, ურთიერთისათვის გადაცემის პროცესის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. მაგრამ, ცხადია, კომუნიკა-

ციის სიტუაციისადმი ჩვენი ფორმულების მიყენება უდიდეს ტექნიკურ სიძნელეებს აწყდებდა. იმისათვის, რომ გაირკვეს რა ზომის ინფორმაციას აძლევს ერთი ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვა ან ფრაზა მეორეს, საჭიროა პირველი ადამიანის მიერ ყველა შესაძლებელ წარმოთქმულ სიტყვას ან ფრაზას გარკვეული ალბათობა მივაწეროთ. ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა რეალურად განხორციელებული ლინგვისტური აქტიობისათვის ინფორმაციის იმ სიდიდის განსაზღვრა, რომელიც მას აქვს კომუნიკაციის პროცესში. მაგრამ, ცხადია, ერთი ასეთი მაგალითის გარკვევაც კი უდიდესი სიძნელეების დაძლევისათან არის დაკავშირებული. ისიც აღსანიშნავია, რომ უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა ჩაგვეთვალა ცალკეულ ხდომილებად: ის აზრები, რომელთაც მოსაუბრეები წარმოთქვამენ, წინადადებები, სიტყვები, ფრაზები, თუ სხვა ერთეულები?! ფონემებისა და სიტყვების ერთეულებად გამოყენება გარკვეულად გააადვილებდა მდგომარეობას, მაგრამ, ცხადია, ადამიანები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ და არა სიტყვებსა და ფორმებს. ხშირად ადამიანისათვის ერთ სიტყვას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მრავალ წინადადებას. რადგან ის მოცემულ კონტექსტში მეტ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე სხვა შემთხვევაში მრავალი წინადადება. სიტუაციების ცალკეულ მდგომარეობათა, როგორც გარკვეულ აზრით ვითარებათა აღრიცხვის საკითხი, პრინციპულად უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ინფორმაციის თეორიის ძირითად ცნებათა მიყენება ადამიანური კომუნიკაციის პროცესის მიმართ ჯერჯერობით უდიდეს სიძნელეებს აწყდებდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის პროცესის აბსტრაქტულ ელემენტებად დაყოფის შემთხვევაშიც ბევრი საინტერესო შედეგი იქნა მოპოვებული. მაგალითად, ცნობილია, რომ ამა თუ იმ სიტყვის აღქმის სინამდვილე ტაქსტოსკოპიურ ვითარებაში არსებითად არის დამოკიდებული ამ სიტყვის ხმარების სიხშირეზე მოცემულ ენაში¹. იგივე ითქმის ცალკეული ასოების ამოკითხვის სიადვილის შესახებაც². იშვიათად გამოყენებული ასოები ან სიტყვები სუბიექტს მეტ ინფორმაციას აწვდის და მათი ასიმილაციისათვის სუბიექტს მეტი ფსიქიკური აქტიობა სჭირდება³. მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ რა წესით ახდენს სუბიექტი მოსალოდნელი მოვლენების ორგანიზებას, ერთი და იგივე ვერბალური მონაცემები მეტი ან ნაკლები ინფორმაციის მქონე ხდება

¹ Фресс П., Пиаже Ж., Экспериментальная психология, Москва, 1966, стр. 117.

² Кечухашвили Г. Н., Графематическая информация и язык чтения (Автореферат докторской диссертации), Тбилиси, 1970.

³ Nick W. E. On the rate of gain of information. Quar. Journ. of Exper. Psychology, 1952, 4.

და შესაბამისად მეტი ან ნაკლები მნიშვნელობის მქონედ განიცდება მის მიერ¹.

ინფორმაციის თეორიის ძირითად ცნებათა ელემენტარული განხილვის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ინფორმაციის სიდიდის ცნება, რომელიც ამ თეორიაში გამოიყენება, სინამდვილის ფიზიკურ თვისებებთან ცალსახად არაა დაკავშირებული. იგი აბსოლუტური სიდიდე არაა, რომლითაც ესა თუ ის მოვლენა ხასიათდება. იგი იმითაც არის განსაზღვრული, თუ რა აღქმული სისტემა იღებს ინფორმაციას. ერთი და იგივე მოვლენა, იმის მიხედვით, თუ განუსაზღვრელობის რა ხასიათის მქონე სისტემის ელემენტია, სრულიად სხვადასხვა სიდიდის ინფორმაციის მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ინფორმაციის ცნების შინაარსის ამ თავისებურების გამო ეს ცნება შესაძლებელია ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდეს ადამიანის შემეცნებისა და კომუნიკაციის პროცესების შესწავლისას. ამ თვალსაზრისით ადამიანიც შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც ინფორმაციის მიმღები მოლოდინების მქონე სისტემა, რომლის სირთულისა და სტრუქტურის მიხედვით ესა თუ ის გამოიზიანებელი ან ფრაზა სხვადასხვა ინფორმაციის მატარებელი ხდება. როგორც ცნობილია, ესა თუ ის გამოიზიანებელი, სტიმული, იმის მიხედვით. თუ რა მოთხოვნილებები გააჩნია ადამიანს, შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე იყოს ასევე, ესა თუ ის ფრაზა, გამოთქმული აზრი, რომელსაც იღებს ადამიანი, შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობისა და ღირებულებისა აღმოჩნდეს იმის მიხედვით, თუ ცოდნის რა სისტემის მიხედვით ხდება მისი აღქმა და გააზრება. ინფორმაციის სიდიდის ამგვარი რელატიური დახასიათება კარგად შეეფარდება ადამიანთა შემეცნებითი და კომუნიკაციური აქტიობის ბუნებას და შემდგომში ის ალბათ მეტ გამოყენებას პოვებს ფსიქიკური კანონზომიერების შემეცნების საქმეში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ო. ბერეკაშვილის გამოკვლევა, რომელიც არჩევის რეაქციის დროისა და სტიმულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობის ურთიერთობის საკითხს ეძღვნება².

უკანასკნელ ხანებში ფსიქოლოგიაში ფართო გავრცელება პოვა ე. წ. „პიკის კანონმა“. ამ კანონის საშუალებით გამოხატულია გარკვეული კავშირი სუბიექტზე ზემოქმედი სტიმულით მიღებულ ინფორმაციის რაოდენობასა და არჩევის რეაქციას შორის, რომელსაც სუბიექტი ახორციელებს. რაც უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავს მოქმედი

¹ Postman L., Crutchfield B. The interaction of needs, set and stimulus structure in cognitive task. Amer. J. Psychol., 1952, 65, p. 198—217.

² Б е р е к а ш в и л и О. А. Время реакции выбора и установка, Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1969.

სტიმული, მასზე საპასუხო შესატყვისი რეაქციისათვის სუბიექტს უფრო მეტი დრო სჭირდება; მათ შორის დამოკიდებულება ლოგარითმულ ხასიათს ატარებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნათელი გახდა, რომ არსებობს ისეთი ექსპერიმენტული სიტუაციები, სადაც აღნიშნული კანონი თითქოს ძალას კარგავს. ამგვარ ექსპერიმენტულ სიტუაციათა ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ ინფორმაციის მიმღები სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც განწყობის თეორიის საფუძველზე ხდება შესაძლებელი, პიკის აღნიშნული კანონი ძალაში რჩება. ამ გზით ჩვენ შესაძლებლობა გვქვია ვწვდეთ ადამიანის არჩევის რეაქციისა და აღქმის სპეციფიკურ კანონზომიერებას.

სპეციფიკურ ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ზოგიერთ ექსპერიმენტულ სიტუაციაში, ექსპერიმენტატორის ინსტრუქციისაგან განსხვავებით, ცდისპირები თავისი საკუთარ ფიქსირებული განწყობის საფუძველზე, სპეციალური გაცნობიერების გარეშე, შემოსაზღვრავენ შესაძლებელი სტიმულირების კლასს, რომლიდანაც ისინი ელოდებიან რომელიმე სტიმულის გამოჩენას. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც მოაქვს რომელიმე სტიმულს, არსებითად დამოკიდებული ხდება სტიმულთა იმ კლასის სიფართოვეზე, სიდიდეზე, რომელსაც ცდისპირები განწყობისეულად, თავისდაუნებურად მოელოდებიან. ამ შემთხვევაში რომელიმე სტიმულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ უდრის ექსპერიმენტატორის მიერ ნავარაუდევ სიდიდეს, რომელსაც ის ინსტრუქციის საშუალებით შემოსაზღვრული კლასის მიხედვით გამოთვლის. ამგვარად, ზოგჯერ ექსპერიმენტატორის მიერ წარმოდგენილი სტიმული ინფორმაციის სხვა რაოდენობას შეიცავს, ვიდრე ეს ექსპერიმენტატორს ჰქონია. ავიღოთ კონკრეტული შემთხვევა: ფორინისა და მორინის მიერ იმ ექსპერიმენტულ სიტუაციაში, სადაც, მათი აზრით, ადგილი აქვს პიკის კანონის დარღვევას, ცდის მასალად ასოები და ციფრები იყო გამოყენებული. როცა ექსპერიმენტში ცდისპირს ეუბნებოდნენ, რომ მხოლოდ რვა ასო შეიძლება გამოჩნდეს, და უჩვენებდნენ ამ ასოებს, ექსპერიმენტატორი ამ რვა შესაძლებელ ალტერნატიულ სტიმულთა კლასიდან გამოთვლის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თითოეული სტიმულის მიერ მოცემული ინფორმაციის რაოდენობას, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა, რომ ცდისპირი მისდაუნებურად, ცდის ყოველ ცალკეულ ექსპოზიციაში ყველა შესაძლებელი ასოს გამოჩენის მოლოდინით მოქმედებს, მაშინ ინფორმაციის ფაქტობრივი რაოდენობა, რომელიც მოაქვს ცდაში თითოეული ასოს გამოჩენას, სულ სხვა იქნება, ვიდრე ამას ექსპერიმენტატორი ფიქრობს. ამ შემთხვევაში თითოეული ასოს გამოჩენის დროს მოტანილი ინფორმაციის რაოდენობა უნდა გამოითვალოს ასოთა მთელი კლასის საფუძ-

ველზე. ამის გამო ინფორმაციის ის რაოდენობა, რომელსაც ფაქტიურად შეიცავს სტიმული, გამოთვლილ უნდა იქნეს არა აბსტრაქტულად, ექსპერიმენტატორის თვალსაზრისით, არამედ ცდისპირის პოზიციიდან. აღმოჩნდა, რომ ცდისპირებს, თურმე, შეიძლება ექსპერიმენტულად შევუმუშაოთ განწყობისეული „მოლოდინი“ სტიმულების გარკვეული სიფართის მქონე კლასის მიმართ, რომლიდანაც შესაძლოა გამოჩნდეს რომელიმე სტიმული. სათანადო ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ყველა იმ ექსპერიმენტულ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ჰიკის კანონის დარღვევას, ცდაში გამოყენებულია ისეთი მასალა, რომლის მიმართ ადამიანს შეიძლება გაფიქსირებული ჰქონდეს განწყობა.

იმის მიუხედავად, თუ ინსტრუქციის საშუალებით როგორ შემოფარგლავს ექსპერიმენტატორი მოვლენათა გარკვეულ კლასს, ცდისპირი მაინც სტიმულთა ამ კლასიდან ელოდა რომელიმე სტიმულის გამოჩენას. ასეთ ვითარებაში ცდისპირი თითოეული სტიმულის, როგორც ერთი მთლიანი კლასის წარმომადგენლის, მიმართ მოახდენდა არჩევის რეაქციას და ყოველთვის დაახლოებით რეაქციის ერთნაირ დროს გვიჩვენებდა. აღნიშნულ ცდებში მართლაც ასე ხდება. ო. ბერეკაშვილის გამოკვლევაში, მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ასეთივე ხასიათის კლასთა ხელოვნურად გამომუშავება, ხანგრძლივი ექსპერიმენტული წვრთნის საფუძველზე ჰიკის კანონის იმავე სახის „დარღვევები“ იქნა ჩილებული. ამ გამოკვლევაში ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ჰიკის კანონი განხილულ შემთხვევებში ფაქტიურად არ ირღვევა. ამ კანონის მოჩვენებით დარღვევას ადგილი აქვს იმის გამო, რომ ექსპერიმენტატორი ინფორმაციის რაოდენობას, რომელიც ცდისპირისათვის სტიმულს მოაქვს, ითვის არა ცდისპირის „მოლოდინთა სისტემის“, ცდისპირის ფიქსირებული განწყობების პოზიციიდან, არამედ აბსტრაქტულად, იმ ინსტრუქციის საფუძველზე, რომელსაც ექსპერიმენტში ის ცდისპირს აძლევს. როდესაც ცდაში ისეთი მასალაა გამოყენებული, რომლის მიმართაც ცდისპირებს, წარსული გამოცდილების საფუძველზე, სპეციალური ფიქსირებული განწყობები არა აქვთ. იგი ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებს და ჰიკის კანონი ძალაშია; ხოლო ისეთი მასალის გამოყენებისას, რომლის მიმართ ცდისპირებს გარკვეული განწყობისეული დამოკიდებულებანი აქვს გაფიქრებული (ასოები და ციფრები მოვლენათა მთლიან სისტემებზე განიხილება), ასეთ შემთხვევაში, თუ სტიმულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობა გამოითვლება ფიქსირებული კლასების მიხედვით, ჰიკის კანონი ძალაში რჩება. განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აღნიშნულ შრომას მოცემულ შემთხვევაში უნიჭება, იმაში მდგომარეობს. რომ ინფორმაციის რაოდენობის გამოთვლა, იმ შემთხვევაში, როდესაც ცდები ადამიანზე წარმოებს, უნდა მოხდეს სუბიექტის იმ ფსიქიკური მდგომარეობის ფონზე, რომელ-

შიც ის მოცემულ მომენტში იმყოფება. სუბიექტზე ზემოქმედი სტიმულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რაოდენობა არსებითად განსაზღვრულია იმ მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობით, განწყობით, რომელიც მას მოცემული სიტუაციის მიმართ აღმოუყენდება.

ჩვენ მიერ განხილული გამოკვლევა გარემოდან ინფორმაციის აღქმას ეხებოდა. როგორც დავინახეთ, ინფორმაციის აღქმა არსებითად განსაზღვრულია იმ მთლიანი განწყობისეული მდგომარეობით, რომელიც სუბიექტს ყოველ კონკრეტულ ვითარებაში აქვს. ეს დებულება სრული ძალით შეიძლება გავრცელდეს კომუნიკაციის პროცესზე, რომლიც დროსაც ინფორმაციის გაცვლა ადამიანებს შორის ხორციელდება. ინფორმაციის მნიშვნელობა და სიდიდე, რომლის გაცვლაც ხდება კომუნიკაციის პროცესში. არსებითად დამოკიდებულია იმ „მოლოდინების, განწყობათა სისტემაზე, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისა და გასაზიარებელი აზრების მიმართ აქვთ.

7. 1. 2. ინფორმაციის გადაცემა

კომუნიკაცია ყოველთვის ორმხრივ პროცესს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ადამიანი უყვება მეორეს გარკვეულ ამბავს და მეორე მხოლოდ მსმენელის როლში გამოდის, ამ დროსაც მთხრობელი იღებს ინფორმაციას იმის შესახებ, გაიგო თუ არა მისი ნათქვამი მსმენელმა, როგორ გაიგო და სხვა. მაშინაც კი, როდესაც მსმენელი ნამდვილად არ უგდებს ყურს მოსაუბრეს, მან გარკვეულ მომენტებში ისეთი რეაქციები უნდა განახორციელოს, თითქოს მას ნამდვილად ესმის მოსაუბრისა. როდესაც მოსაუბრეს უკუკავშირების საფუძველზე შთაბეჭდილება რჩება, რომ მას უსმენენ, ის ჩვეულებრივ აგრძელებს თხრობას. მაგრამ საკმარისია მან აღმოაჩინოს, რომ მის მსმენელს თურმე ჩაეძინა და აღარ უსმენს, რომ ამბის მთხრობელმა შეწყვიტოს კომუნიკაციური აქტიობა. კომუნიკატორის აქტიობა ყოველთვის გულისხმობს იმის დადასტურებას, რომ კომუნიკაციის პროცესი ხორციელდება.

ინფორმაციის ყოველგვარი გადაცემა კომუნიკაციის პროცესად ვერ ჩაითვლება. მეტყველების საკითხების შესწავლისას ხშირად მიუთითებენ, რომ ადამიანები ზოგჯერ მეტყველებას კომუნიკაციის მიზნით არ იყენებენ. თავის ფიქრებში ჩაძირული ან განარისხებული ადამიანი ზოგჯერ თავისთავს ელაპარაკება, საიდანაც დამკვირვებელმა გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მიიღოს. ასეთი შემთხვევების განხილვის დროს ზოგჯერ ძნელია იმის დადგენა, გვაქვს თუ არა საქმე კომუნიკაციის პროცესთან. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი გარკვეულ წარმოსახულ პიროვნებას ეკამათება და ესაუბრება, ასეთი აქტიობა კომუნიკაციის პროცესის კანონზომიერებით ხასიათდება. მაგრამ თუ ადამიანი ხმამაღლა გა-

მოხატავს თავის განცდებს, ისე რომ ის არც რეალური და არც წარმოსახული პირისავენ არაა მიმართული, ასეთ შემთხვევაში განცდების გამოხატვის ექსპრესიის პროცესთან გვაქვს საქმე, რაც არსებითად განსხვავდება კომუნიკაციური აქტიობისაგან. მეტყველება არსებითად და ძირითადად, რასაკვირველია, კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ მეტყველების ფაქტი ყოველთვის არ მიგვიითითებს იმაზე, რომ ჩვენ აუცილებლად კომუნიკაციის პროცესთან გვაქვს საქმე. მაგრამ არც ის საწინააღმდეგო უკიდურესი აზრია მისაღები, რომელსაც პიაჟე ავითარებს. პიაჟეს აზრით, მეტყველება დასაწყისში, სანამ ბავშვის სოციალიზაცია მოხდებოდეს, არსებითად ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს. ბავშვის ეგრეთ წოდებული „ეგოცენტრული მეტყველება“, პიაჟეს აზრით, კომუნიკაციის ფუნქციას არ ემსახურება. ეგოცენტრული მეტყველების პროცესში ბავშვი თავისთვის ლაპარაკობს; ის არ ითვალისწინებს მსმენელს. ამ თვალსაზრისის მიხედვით მეტყველება თავის ბუნებით არაა სოციალური ხასიათის მქონე აქტიობა. იგი სოციალური უნდა გახდეს განვითარების პროცესში. პიაჟეს აზრით, მეტყველების სოციალიზაცია 7 წლის ასაკში მიიღწევა. მაგრამ ვიგოტსკის და მილერის გამოკვლევათა საფუძველზე ირკვევა, რომ ე. წ. ეგოცენტრული მეტყველება მხოლოდ ექსპრესიის მოთხოვნილებას არ უნდა აკმაყოფილებდეს.

ვიგოტსკის გამოკვლევებით ნათელი ხდება, რომ ბავშვები იზოლაციის შემთხვევაში, როდესაც სხვა ბავშვების გარემოში არ იმყოფებიან, საკმაოდ ამცირებენ ეგოცენტრულ მეტყველებას. ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ბავშვებს ვათავსებთ ძალიან ხმაურიან ოთახებში ან ყრუ-მუნჯ ბავშვებთან. ასეთ სიტუაციაში ბავშვები საგრძნობლად იშვიათად მიმართავენ ე. წ. ეგოცენტრულ მეტყველებას, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ სახის მეტყველების აღმძვრელსა და წარმოებაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მსმენელი¹.

მილერმა შეაჯამა ის გამოკვლევები, რომლებშიც პიეტეს დებულებიან შემოწმება ხდებოდა მისი ექსპერიმენტების გამოკვლების გზით². მისი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ბავშვთა ეგოცენტრული მეტყველების 90% სოციალური ბუნებისაა. ის აღიძვრება სხვათა ზემოქმედებით ან მიმართულია სხვებისადმი, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ ამგვარი ეგოცენტრული მეტყველების გვერდით ადამიანს ხშირად უჩნდება მოთხოვნილება თავისი ემოციური მდგომარეობის ექსპრესიულობისა. პოეტის სამართლიანი თქმით, „ოხვრა არის შვება უბედურისა“.

¹ Выготский Л. С., Мышление и речь. Москва, 1956

² Miller G. A. Language and communication. N. Y., Mc Crow-Hill, 1951.

„ოხვრით“ ხდება განტვირთვა და განთავისუფლება მწვავე უსიამოვნო გრძნობებისგან. მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სევდის გასაქარვებლად ისეთი ექსპრესია უფრო ეფექტურია, როდესაც იგი სხვისთვისაც ხდება გასაგები. სევდისა და მწუხარების გასაქარვებლად უფრო ეფექტურ საშუალებას „სხვისთვის გულის გახსნა“ წარმოადგენს. გრძნობებისაგან განტვირთვა მეტყველების ძირითადი და არსებითი ფუნქციის — კომუნიკაციის პროცესში უფრო ეფექტურად ხდება, ვიდრე უბრალო ექსპრესიის დროს, რადგან ადამიანისათვის, როგორც სოციალური არსებისათვის, მეტი ღირებულება აქვს ექსპრესიას, როდესაც ის ამავე დროს სხვა ადამიანისადმი მიმართული.

მეტყველებითი აქტიობა მაშინ არის კომუნიკაციის პროცესი, როდესაც ის კომუნიკაციის განზრახვით არის შესრულებული, კომუნიკაციის მოთხოვნილებას ემსახურება. თუ ადამიანები ერთიმეორეს ემალებიან, მაგრამ უნებური ჩახველება ან ცხვირის დაცემინება გასცემს მათ და მოწინააღმდეგე იღებს გარკვეულ ინფორმაციას მისი ადგილმდებარეობის შესახებ, ეს რეაქცია კომუნიკაციის პროცესად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემის უნებლიე მოქმედება, ინფორმაციის აღმქმელის მიერ შეიძლება ისევე ეფექტურად იყოს გამოყენებული, როგორც კომუნიკაციიდან მიღებული ინფორმაცია, მაგრამ ეს უნებლიე მოქმედება და კომუნიკაციური აქტიობა, რომელსაც ადამიანი ჩვეულებრივ ახორციელებს კომუნიკაციის საჭიროებისას, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კომუნიკაციის აქტიობა მიზანდასახული მოქმედებაა, რომელიც გარკვეული მოთხოვნილების, მოტივის საფუძველზე სრულდება.

კომუნიკაციის პროცესი კომუნიკაციის საერთო ველის შექმნით იწყება. ამ დროს კომუნიკაციის პროცესში მყოფ ინდივიდებს ექმნებათ გარკვეული პოზა, პოზიცია, განწყობა, მოლოდინები გარკვეული აზრის, ინფორმაციის მისაღებად. მაგალითად, როდესაც ქუჩაში უცნობი ისეთ პოზას იღებს, რომ რალატის შეკითხვა სურს, ჩვენ ვეშაღდებით მისი შეკითხვის გაგებისათვის. თუ უცნობმა შეკითხვა ისეთი აქცენტით მოგვცა, რომლის მოსმენას მისგან ჩვენ სრულიად არ ველოდით, ჩვენი ფსიქოფიზიკური მომზადება, შესაძლებელია, საკმარისი არ აღმოჩნდეს შეკითხვის გასაგებად და შეიძლება მექანიკურად ვკითხოთ: „რა ბრძანეთ?“ ასეთ შემთხვევაში გამეორებულ შეკითხვას ჩვენ მეტი გულისყურით ვხვდებით და უფრო ადვილად მოვახერხებთ მის გაგებას. სხვათა შორის, ასეთ ვითარებაში ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სანამ უცნობი გამეორებდეს თავის შეკითხვას, ჩვენ უკვე ვხვდებით, თუ რა შეკითხვა მოგვცა მან. შეკითხვის ასეთი დაყოვნებული გაგება იმის გამო მოხდა, რომ ჩვენ ფაქტიურად მზად არ ვიყავით ამ შეკითხვის შინაარსის გასაგებად, მაგრამ რადგან ჩვენი მოლოდინის მიხედვით შეკითხვა

მისი მოცემისთანავე უნდა გაგვეგო, ამიტომ ის საერთოდ გაუგებრად იქნა ჩათვლილი. ამიტომ ასეთი სიტუაციისათვის მყისვე გვიჩნდება საპასუხო რეაქცია: „რა ბრძანეთ?“ როდესაც შეკითხვის გამეორებამდე მივხვდებით, თუ რისი თქმა უნდოდა უცნობს, ასეთ მიხედვრას ჩვენ დაგვიანებულ გაგებად იმის გამო ვთვლით, რომ ის არ ჩაეტია შეკითხვის გაგებისათვის გამოყოფილ ჩვეულ დროში. ამდენსავე დროში შესრულებულ გაგების პროცესს ჩვენ სრულიად არ ჩავთვლით გახანგრძლივებულად, თუ თავიდანვე მივხვდებოდით, რომ შემკითხველი უცხოელია, კარგად ვერ ფლობს ენას და ჩვენ განწყობისეულად უფრო მეტ სავარაუდოდ დროს გამოვყოფდით მისი შეკითხვის გასაგებად.

ანალოგიური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაში. როდესაც შემკითხველი სრულიად გასაგებად მეტყველებს, მაგრამ მისი შეკითხვის შინაარსი სრულიად მოულოდნელი და შეუფერებელია მოცემული სიტუაციისათვის.

კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მიღებისათვის ასევე ფსიქოლოგიურად შეიძლება სრულიად მოუშაღებელი აღმოჩნდეს ადამიანი თავის ახლობელთან საუბრის დროს, თუ კომუნიკაციის პროცესში ერთ-ერთმა წევრმა ისეთი რამ თქვა, რაც მეორე წევრისათვის სრულიად მოულოდნელი და წარმოუდგენელია. ასეთი ფაქტები ჩვენ ხშირად გვხვდება საყოფაცხოვრებო ურთიერთობაში. კომუნიკაციის პროცესს ყოველთვის გარკვეული მზაობით, განწყობით ვხვდებით და ვაწარმოებთ. ეს ფაქტი ინტუიტურად იციან კიდევ ადამიანებმა. ამის გამო, რომ მოულოდნელი ინფორმაციის მიწოდების დროს ადამიანები სხვადასხვა ხერხებით ამზადებენ ხოლმე პარტნიორს ამ ინფორმაციის მისაღებად. რასაკვირველია, მეტი მომზადება და ზემოქმედება საჭირო იმისათვის, რომ მოულოდნელი და მისთვის მიუღებელი აზრი პარტნიორისათვის მისაღები გავხადოთ, მაგრამ გარკვეული დრო და პარტნიორის სათანადო მომზადება საჭიროა იმისთვისაც, რომ მან გაიგოს კომუნიკაციის პროცესში გადაცემული მოულოდნელი ინფორმაცია. ამგვარი მომზადების, განწყობის გარეშე არასოდეს ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი. კომუნიკაციის პროცესში ადამიანი რაღაც დონით ყოველთვის არის მომზადებული ინფორმაციის მისაღებად. ამ მომზადებას ის საერთო კომუნიკაციური ველი წარმოშობს, რომელიც კომუნიკაციის წევრებს შორის იქმნება.

კომუნიკაციის პროცესს ადამიანები გარკვეული საჭიროების გამო მიმართავენ. იგი მოტივირებული პროცესია, ადამიანს ის რილაციისათვის სჭირდება. საკითხავია, რისთვის სჭირდებათ ადამიანებს გარკვეული ინფორმაციის გადაცემა და იმის დადასტურება, რომ იგი მიღებულ იქნეს პარტნიორების მიერ? ამისათვის გარკვეული მოტივები არსებობს და ისინი შეიძლება სათანადოდ იქნეს კლასიფიცირებული. ნიუკომბი

ამგვარი მოტივების კლასიფიკაციებისას იყენებს მოტივთა ორიენტირების პრინციპს კომუნიკაციის წევრების მიმართ¹. კომუნიკაცია ყოველთვის იმისათვის სრულდება, რომ კომუნიკაციის წევრებს სჭირდებათ გარკვეული ინფორმაცია თავისი საქმიანობის განსახორციელებლად. მაგრამ კომუნიკაციის თითოეული წევრის თვალსაზრისით, ინფორმაცია, რომელიც კომუნიკაციის პროცესში გაიცემა, შესაძლებელია ძირითადად რომელიმე წევრის საჭიროებისათვის ხორციელდებოდეს. კომუნიკაციის პროცესში სუბიექტი შეიძლება იმისათვის ერთვებოდეს, რომ ძირითადად მას სჭირდება ინფორმაციის გაცემა. შესაძლებელია სუბიექტი კომუნიკაციის პროცესში იმისათვის შედიოდეს, რომ მისი პარტნიორის საქმიანობისათვის არის საჭირო გარკვეული ინფორმაციის გაცემა.

გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ კომუნიკაციის პროცესში უნდა გადაიკეს ინფორმაცია, რომელიც ორივე წევრს სჭირდება. ამ თვალსაზრისით, ნიუკომბი განასხვავებს კომუნიკაციის პროცესის სამ სახეს:

1. კომუნიკაციის პროცესს იმიტომ ახორციელებს ადამიანი, რომ მას თვითონ სჭირდება ინფორმაციის გაცემა, თავისთავზე ორიენტირებული მოტივით განხორციელებული კომუნიკაცია. კომუნიკაციის ასეთ პროცესს. იმისათვის აღძრავს და წარმართავს A სუბიექტი, რომ ამ პროცესიდან მიიღოს გარკვეული სარგებლობა, მისი დახმარებით უკეთესად წარმართოს თავისი საქმიანობა. ამისათვის ზოგჯერ შესაძლებელია თვითონ გადასცეს ინფორმაცია; ზოგჯერ კი სხვისგან, B სუბიექტისაგან იღებდეს საჭირო ინფორმაციას. მაგალითად, ტაქსის მძღოლთან მგზავრი თავიდან იმისათვის მოდის კონტაქტში, რომ უთხრას, თუ სად უნდა წაიყვანოს იგი. ასეთივე ხასიათისაა ყოველგვარი დავალების მიცემა პროცესი, რომლის დროსაც A სუბიექტი ინფორმაციას აძლევს პარტნიორს იმის შესახებ, თუ რა უნდა გაუკეთოს მას პარტნიორმა. ინფორმაციის გაცვლის ეს პროცესი ძირითადად A სუბიექტის საჭიროებისათვისაა განკუთვნილი, იგი თავისთავზე ორიენტირებული მოტივით მოქმედებს. ასეთივე ხასიათს ატარებს კორესპონდენტის, რეპორტიორისა და ტურისტის მიერ განხორციელებული კომუნიკაციის პროცესები, როდესაც ისინი კომუნიკაციას იყენებენ იმათთვის, რომ მათ ინფორმაციას სჭირდებათ. აქაც ინდივიდი კომუნიკაციის თავისთავისადმი ორიენტირებული მოტივის საფუძველზე წარმართავს.

2. კომუნიკაციის პროცესში შეიძლება იმისათვის შედიოდეს ადამიანი, რომ ინფორმაციის გაცემა მეორე, B სუბიექტს სჭირდება, მისი საქმიანობის ნაყოფიერი წარმართვისათვის არის საჭირო. ასეთი აქტიობა სხვისადმი ორიენტირებული მოტივით ხორციელდება. უცხოელს სჭირდება გაერკვიოს ჩვენს ქალაქში და ჩვენც სათანადო ინფორმაციას

¹ Newcomb Th. Social Psychology, London, 1966.

ვაძლევთ მას. ჩვენ ვპასუხობთ დაინტერესებულ ადამიანებს იმის გამო, რომ მათ ეს ინფორმაცია სჭირდებათ. ასევე ძალიან ხშირად ვუსმენთ და ვიღებთ უამრავ ინფორმაციას იმის გამო, რომ ეს სხვას სჭირდება. ამ შემთხვევაში ჩვენი კომუნიკაციური აქტიობა სხვისი საჭიროებით არის გაპირობებული და ადამიანის სოციალური ბუნება მას საშუალებას აძლევს, ზოგჯერ აიძულებს კიდევ კომუნიკაციის პროცესში ჩაებას იმის გამო, რომ ეს სხვას სჭირდება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ სხვაზე ორიენტირებული მოტივით განხორციელებული კომუნიკაციის პროცესზე..

3. კომუნიკაციის პროცესი ძალიან ხშირად იმისათვის ხორციელდება, რომ იგი კომუნიკაციის ორივე წევრის საქმიანობისათვის არის საჭირო. ყოველგვარი კოლექტიური საქმიანობისათვის საჭირო კომუნიკაციის პროცესები ხშირად ორივე, A და B სუბიექტისადმი ორიენტირებულ მოტივებზეა აღმოცენებული. ასეთ საერთო საქმიანობასა და საჭიროებაზე ორიენტირებული მოტივით განხორციელებული კომუნიკაციის პროცესია ის სოციალური აქტიობა, სადაც ყველაზე სრულად და ნათლად შეღავნდება ამ ფენომენის ბუნება. რეალურად ალბათ არასოდეს გვაქვს აბსოლუტურად თავისთავზე ან სხვაზე ორიენტირებული მოტივებით განხორციელებული კომუნიკაციის პროცესი. ამიტომ უნდა ვილაპარაკოთ კომუნიკაციის იმ აქტიობაზე, სადაც დომინირებულია „თავისთავზე“, „სხვაზე“, ან „მე-სა და სხვის ერთიანობაზე“ ორიენტირებული მოტივები.

მოუხედავად იმისა, თუ რა მოტივით ხორციელდება კომუნიკაციის პროცესი, ადამიანმა ამ პროცესში ისეთი ზემოქმედება უნდა მოახდინოს პარტნიორზე, რომ ის თანახმა იყოს კომუნიკაციის გაგრძელებაზე. ამის ფუნქციას მეტყველების პროცესში გამოხატული განწყობები და ორიენტაციები ასრულებენ, რომელთა შესახებაც ზემოთ გაკვირით ვილაპარაკეთ. კომუნიკაციის პროცესში გაზიარებულ ინფორმაციის გადაცემასთან ერთად იმ განწყობებისა და ორიენტაციების გამოხატულებებზე, რომელიც ადამიანებს გასაზიარებელი აზრებისა და ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ. კომუნიკაციის პროცესში გამოხატული განწყობები გარკვეულ კანონზომიერ გავლენას ახდენენ ადამიანებზე და კომუნიკაციის შეწყვეტას ან განმტკიცება-გახანგრძლივებას იწვევენ. ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე კარგად არის ცნობილი, რომ ურთიერთისადმი დადებითი განწყობის შემთხვევაში ადამიანები კომუნიკაციის უფრო მეტ აქტებს ახორციელებენ, ვიდრე ერთიმეორის მიმართ უარყოფითი განწყობის შემთხვევაში. ფესტინგერის და ტიბოს¹ ექსპე-

¹ Festinger L, Thibaut J. Interpersonal communication in small groups. J. Abnor. Soc. Psychology, 1951, 46, p. 92—99.

რიმენტული გამოკვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ჭგუფში გარკვეული საკითხის გადაჭრის დროს, თუ აღამიანებს ერთმანეთისადმი დადებითი განწყობები აქვთ და განსაზღვრული საკითხის მიმართ საპირისპირო თვალსაზრისზე დგანან, ასეთ შემთხვევაში მათ შორის ადგილი აქვს კომუნიკაციის პროცესის გაძლიერებას.


ექსპერიმენტული გამოკვლევები უჩვენებენ, რომ არსებობს გარკვეული სიტუაციები, სოციალური გარემო, რომელიც იწვევს კომუნიკაციის პროცესის გაძლიერებას. არის სიტუაციები, სადაც აღამიანებს ტენდენცია ექმნებათ მიიღონ ინფორმაცია პარტნიორისაგან, არის სიტუაციები, სადაც აღამიანს ინფორმაციის გაცემის ტენდენცია უძლიერდება; ზოგიერთ სოციალურ სიტუაციაში კი აღამიანს საერთოდ კომუნიკაციის აღკვეთის ტენდენცია უჩნდება. კომუნიკაციის პროცესის შემდგომი დახასიათებისათვის საჭირო ხდება კომუნიკაციური მოქმედების შემდგომი ანალიზი. ამ თვალსაზრისით შესაძლებელი ხდება კომუნიკაციაში ინფორმაციის გადამცემის და ინფორმაციის მიმღების ფსიქიკურ აქტიობათა დახასიათება.

7. 1. 8. კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გადამცემის ფსიქიკური აქტიობა

ფესტინჯერისა და ტიბოს ზემოაღნიშნული გამოკვლევა გარკვეულ მონაცემებს იძლევა კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გადამცემის ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. მათ შეადგინეს ცდისპირთა ჭგუფები, რომელთაც გარკვეული ამოცანების გადაწყვეტა ევალებოდათ. შედგა სულ 6 ჭგუფი, თითოეულ მათგანში 14 ცდისპირი იყო გაერთიანებული. თითოეულ ჭგუფს ევალებოდა მიეღო საერთო ერთსულოვანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა სტრატეგია უნდა აერჩია კოლეჯის ფეხბურთის გუნდს. ამ სტრატეგიის ალტერნატივები ექსპერიმენტატორების მიერ იყო შედგენილი. მაგრამ ვიდრე ეს ჭგუფი საერთო ჭგუფურ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მანამ ექსპერიმენტატორებს ინდივიდუალურად თითოეულ ცდისპირზე ჩატარებული ჰქონდათ გარკვეული ცდები. თითოეულ ცდისპირს ადრე ინდივიდუალური წესით აძლევდნენ სკალას, სადაც დალაგებული იყო გუნდის თამაშის შეიღბიერი სტრატეგია, დაწყებული წინასწარი ტაქტიკური სქემის სრულიად უარყოფიდან, დამთავრებული მკაცრი ტაქტიკური სქემით, რომლისთვისაც არ უნდა გადაეხვია გუნდს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, თუ რა სტრატეგიას იზიარებდნენ ცდისპირები, ამის შემდეგ შედგა ექსპერიმენტული ჭგუფები, რომლებშიც შედიოდნენ როგორც უკიდურესი, ისე „ზომიერი“ შეხედულების ცდისპირები. მათ ევალებოდათ ჭგუფში განეხილათ ეს საკითხი. ფეხბურთის სტრატეგიის საკითხი განხილული იყო სამი ჭგუფის მიერ. დანარჩენი სამი ჭგუფი სწავლის პროცესში წი-

ნასწარი გეგმის გამოყენების საკითხს იხილავდა, სადაც ასევე დალაგებული იყო შეხედულებები სწავლის თავისუფლად, გეგმის გარეშე განხორციელების წინადადებიდან ამ პროცესის მკაცრი გეგმით განხორციელების წინადადებამდე. ექსპერიმენტატორები სხვადასხვა ჯგუფზე, სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენენ იმ მიმართულებით, რომ აქძულებინათ ისინი აუცილებლად მიეღოთ რაიმე ჯგუფური გადაწყვეტილება. ორ ჯგუფს (ფეხბურთისა და სწავლის სტრატეგიითა განმხილველ ჯგუფებს) ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა, რომ ექსპერიმენტის მიზანია გაირკვეს, თუ როგორ, რა გზით მიდის ჯგუფი საკითხის ერთსულოვან გადაწყვეტამდე. ეს ჯგუფი ძლიერ ზემოქმედებას იღებდა. შემდგომი ორი ჯგუფი მუშაობდა ინსტრუქციით: ექსპერიმენტის მიზანია გაირკვეს, თუ რაპლენად მეტ ადამიანს შეუძლია მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ეს ჯგუფი საშუალო ძალის ზემოქმედებას, დაძალებას იღებდა იმ მიმართულებით, რომ აუცილებლად მიეღოთ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ბოლო ორი ჯგუფის წევრებს ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ჯგუფში დისკუსია. ეს ჯგუფი შედარებით მცირე დაძალებას იღებდა იმ მიმართულებით, რომ მათ აუცილებლად ერთსულოვნად გადაეწყვიტათ ამოცანა.

ამ ექსპერიმენტული გამოკვლევის მთავარ შედეგს ის წარმოადგენს, რომ ჯგუფის წევრები, რომლებიც უკიდურეს გადაწყვეტას ემხრობოდნენ, ბევრად უფრო ხშირად ერთვებოდნენ კომუნიკაციის პროცესში, ვიდრე ისინი რომლებიც სტრატეგიების საშუალო, არაუკიდურეს ვარიანტს იზიარებდნენ. გრაფიკი № 8-ში ნაჩვენებია, თუ აღნიშნულ ჯგუ-



გრაფიკი 8.

ფებში რომელი წინადადებების მომხრე წევრები რაოდენ ხშირად ერთვებოდნენ კომუნიკაციის პროცესში.

მოცემული გრაფიკიდან ირკვევა, რომ ბევრად უფრო ხშირად ის

ცდისპირები კამათობენ, გამოთქვამენ აზრებს, რომლებიც უკიდურეს შეხედულებებს ემხრობიან. ცდისპირები, რომლებიც უკიდურეს შეხედულებებს იცავენ, თითქმის ხუთჯერ მეტად გამოთქვამენ აზრებს და იღებენ სხვისგან ინფორმაციებს, ვიდრე ის ცდისპირები, რომლებიც თავიდან საშუალო, ნეიტრალურ აზრებზე იდგნენ. ესაა სკალის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ცდისპირის მიერ ისეთი სტრატეგიაა მიღებული, რომელიც არაა მეტისმეტად თავისუფალი წინასწარ აღებული სქემისაგან, მაგრამ ამავე დროს გუნდი უნდა მიმართავდეს იმპროვიზაციას და ადრე აღებულ სქემას უკუაგდებდეს საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა, ისიც აღმოჩნდა, რომ, როდესაც ჩვეუთი იძულებულია აუცილებლად მიიღოს საერთო გადაწყვეტილება, მაშინ უკიდურესი გადაწყვეტილების მომხრეთა კომუნიკაციის სიხშირე კიდევ უფრო მკვეთრად იზრდება.

ამავე მიმართულებით მეტად საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევა აქვს ჩატარებული შეხტერს¹. იგი თავის შრომაში იკვლევდა კომუნიკაციის სიხშირის საკითხს იმ განწყობებთან დაკავშირებით, რომლებიც ერთმანეთის მიმართ აქვთ კომუნიკაციის პროცესში მყოფ ადამიანებს. მან ჩამოაყალიბა ცდისპირთა 32 ჩვეუთი, თითოეულში 5—7 კაცით. რვა ჩვეუთში იხილებოდა დამნაშავე ბავშვის დასჯის საკითხი. სხვა ჩვეუთებში ჟურნალის რედაქტორობის, რადიოპროგრამის შედგენისა და მოძრაობის რეგულირების საკითხები იყო განხილული. ჩვეუთები კარგად, ერთგვაროვნად იყო განაწილებული. მაგრამ ჩვეუთის წევრებისაგან დაფარულად ყოველ ჩვეუთში ექსპერიმენტატორებს ჰყავდათ დამატებით 3 წინასწარმოლაპარაკებული ცდისპირ-ასისტენტები, რომლებსაც ცდაში მონაწილეობისათვის ფულს უხდიდნენ და გარკვეული ქცევა მოეთხოვებოდათ. ერთ-ერთ ასისტენტს ევალებოდა დაეკავებინა ჩვეუთისაგან აშკარად განსხვავებული პოზიცია. მეორე ასისტენტს მერყევი პოზიცია უნდა გამოეჩინა: თავიდან დაეკავებინა ჩვეუთისაგან აშკარად განსხვავებული პოზიცია, შემდეგ კი თანდათან გადახრილიყო უმრავლესობისაკენ. მესამეს ყოველთვის საშუალო პოზიცია უნდა დაეკავებინა. საკითხის ჩვეუთური გარჩევა 40 წუთის განმავლობაში ხდებოდა.

ექსპერიმენტულ შედეგთა ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ყველა ჩვეუთის ცდისპირთა ძირითადი კომუნიკაციური აქტიობა განსხვავებული პოზიციის მქონე ასისტენტისაკენ იყო მიმართული. რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას უწყევდა იგი ჩვეუთს, მით უფრო მტკიცდებოდა და ძლიერდებოდა კომუნიკაცია მის მიმართ.

¹ Schachter S. Deviation, rejection and communication J. Abnorm. Soc. Psychology, 1951, 46, p. 190—206.

შერყევი პოზიციის მქონე წევრის მიმართ სულ უფრო და უფრო ნაკლები კომუნიკაციის პროცესი მყარდებოდა და ექსპერიმენტის მთელი პერიოდის მთელი ნახევარში მის მიმართ თითქმის არავითარ ყურადღებას აღარ იჩენენ ჯგუფის წევრები. შედეგთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მთელი ცდის განმავლობაში თითქმის არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა საშუალო აზრების გამომთქმელ ადამიანებს, მათთან კომუნიკაციის თითქმის არავინ ამყარებდა.

აღნიშნულ გამოკვლევაში საინტერესო მონაცემებია მოტანილი სხვათვალსაზრისითაც. შეხტერის მიერ წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, როდესაც ჯგუფის წევრები ამჩნევდნენ, რომ განსხვავებული პოზიციის მქონე ინდივიდები ფაქტიურად ანგარიშს აღარ უწევდნენ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას, ასეთი „ყრუ“ და ჭიუტი წევრების მიმართ ჯგუფის წევრები უეტრად წყვეტდნენ კომუნიკაციას. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ჯგუფის წევრობიდან მის ფაქტიურ გარიცხვას. ამ ფაქტის ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ვიმსჯელებთ ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში მათი განწყობის როლის საკითხთა გარკვევისას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო განსხვავებულ პოზიციაზე დგანან ადამიანები ვასაზიარებელი ობიექტის მიმართ, მით უფრო ძლიერდება მათ შორის კომუნიკაციის ტენდენცია, უფრო მეტ კომუნიკაციურ აქტიობას ამჟღავნებენ ერთმანეთის მიმართ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: განსხვავებულ პოზიციაზე დგომა ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესს მაშინ, თუ პოზიციის სხვაობა ისე იზრდება, რომ ადამიანებს ურთიერთის მიმართ დადებითი განწყობები რჩებათ. თუ მათ ერთმანეთის მიმართ უარყოფითი განწყობები აქვთ, მათ შორის არსებული პოზიციების სხვაობა კომუნიკაციის აღმძღვრელ სტიმულად აღარ გამოდის. ამ საკითხებს ჩვენ საგანგებოდ შემდგომ განვიხილავთ, მაგრამ აქ შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთის მიმართ დადებითი განწყობის გაძლიერებასთან ერთად ადამიანებს შორის იზრდება კომუნიკაცია და, პირიქით, კომუნიკაციის გაძლიერება, ჩვეულებრივ, აძლიერებს ადამიანთა შორის დადებით დამოკიდებულებას.

კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის გადაცემაზე დიდ გავლენას ახდენს მსმენელის ფსიქოლოგიური შესატყვისობა, „თავსებალობა“ ინფორმაციის გადაცემის მიმართ. პოზიციების სხვაობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა საერთო ინტერესებს და განვითარება-ცოდნის ერთნაირ ღონეს. კომუნიკაციის ველი გარკვეული უწონასწორობის შემთხვევაში აღძრავს ადამიანებს ინფორმაციის გადაცემისაკენ, მაგრამ თუ ეს სხვაობა მეტისმეტად დიდია, ადამიანები ვეღარ ქმნიან კომუნიკაციის ველს, რომლის ფონზეც ისინი განახორციელებდნენ აზრების გაცვლას, ურთიერთზე ზემოქმედებას.

კომუნიკაციის პროცესში მყოფი ინფორმაციის მიმღები წევრი ფსიქოლოგიური მზაობისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით ამ პროცესის ისეთივე აქტიურ წევრს წარმოადგენს, როგორც ინფორმაციის გადამცემი. ისიც გარკვეულ ფსიქიკურ აქტიობას აწარმოებს.

ჩვეულებრივ, სოციალურ გარემოში მცხოვრები ადამიანი ინფორმაციის უდიდესი ნაკადის ზემოქმედებას, დაწოლას განიცდის. იმის გამო, რომ ადამიანი გარკვეულ პიროვნებას წარმოადგენს, ის ყოველ კონკრეტულ მომენტში გარკვეული თვალსაზრისით არის ორგანიზებულნი და ორიენტირებული გარემოს მიმართ. ამიტომ უდიდესი მასა ზემოქმედი ინფორმაციისა უგულვებელყოფილ და იგნორირებულ უნდა იქნეს, რომ ჩვეულებრივ, როგორც წესი, მხოლოდ თვით სინამდვილის ხდომილებანი არ განსაზღვრავენ იმას, თუ რომელი მათგანი იქცევა ჩვენი ორიენტაციის ობიექტად და რომლის იგნორირებაც მოხდება. არსებობს გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ სინამდვილის რა მონაკვეთისადმი იქნება მიმართული ადამიანის ფსიქიკური აქტიობა. ეს კანონზომიერებანი განსაზღვრავენ ჩვენს „მომზადებას“ ამა თუ იმ ინფორმაციის მიღებისათვის. ამგვარი მზაობის საფუძველზე ხდება სინამდვილისადმი სელექციური დამოკიდებულება რომელიც განსაზღვრავს სინამდვილის ზემოქმედების გაფილტვრას. ამ მდგომარეობის საფუძველზე ადამიანი მგრძნობიარე ხდება ზოგიერთი ზემოქმედების მიმართ, ხოლო დანარჩენებისადმი კარგავს მგრძნობელობას. ეს კანონზომიერებანი მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე იქნა დადგენილი და ზოგიერთ მათგანს ჩვენ შეგვხვებოდა კიდევ ოქტომის საკითხთა განხილვისას. მაგრამ აქ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ასეთივე გარკვეული კანონზომიერებით ხასიათდება ინფორმაციის მიღება კომუნიკაციის პროცესში. ამ სფეროს საინტერესო ექსპერიმენტული გამოკვლევა აქვს შესრულებული ზეიონკს¹. ზეიონკმა შეადგინა ორი ექსპერიმენტული ჯგუფი. ერთი ჯგუფის წევრები შეიძლება დახასიათდნენ „ინფორმაციის გადამცემებად“, მეორენი კი „ინფორმაციის მიმღებებად“. შემდგომში ექსპერიმენტულ სიტუაციაში ისინი დაწყვილებულ იქნენ ორ-ორ წევრიან ჯგუფებად, რომელშიც ერთი ინფორმაციის „გადამცემი“ იყო, მეორე კი „მიმღები“. ამ ცდისპირებს ევალებოდათ გადაეწყვიტათ, თუ რომელ კანდიდატს მიიღებდნენ ისინი გარკვეულ თანამდებობაზე, თუ ისინი იხელმძღვანელებდნენ მხოლოდ იმ მონაცემებით, რომლებიც მათ გარკვეულ პიროვ-

¹ Zajonc R. B. The process of cognitive turning in communication. J. Abnorm. Soc. Psychology, 1960, 61. p. 150—163.

ნებათა საბუთების სახით ეძლეოდათ. საბუთები, რომლებიც ცნობებს შეიცავდა კანდიდატების შესახებ, მათ ცალ-ცალკე ეძლეოდათ. ყოველი ჯგუფის ორივე წევრი გაფრთხილებული იყო, რომ ერთ-ერთმა მათგანმა გაცილებით მეტი იცოდა კანდიდატის პიროვნების შესახებ, რადგან მას მეტი მასალები მიეცა მეორესთან შედარებით, ამიტომ იმ ადამიანს, „ინფორმაციის გადამცემს“ შეეძლო ბევრი რამ ახალი ეთქვა მისი პარტნიორისათვის, „ინფორმაციის მიმღებისათვის“ კანდიდატის შერჩევისას. „ინფორმაციის მიმღებებმა“ იცოდნენ, რომ მათმა პარტნიორებმა გაცილებით მეტი იცოდნენ კანდიდატთა შესახებ, რადგან მათ თითქოს არ მისცეს ყველა ის ცნობა, რაც მათ პარტნიორებს ჰქონდათ. ფაქტიურად კი ყოველ ცდისპირს ერთსა და იმავე ინფორმაციას აქლევდნენ. ამით ექსპერიმენტატორს სურდა იმის გარკვევა, თუ რა ინფორმაციას მიიღებდნენ ინფორმაციის „გადამცემები“ და „მიმღებები“ მათთვის წარდგენილი მასალებიდან. „გადამცემები“ იმ განწყობილებით ეცნობოდნენ მასალას, რომ მათ მეტი იციან და იძულებული იქნებიან ამ მასალიდან ბევრი რამ გადასცენ ინფორმაციის სახით პარტნიორს. „მიმღებები“ კი იმავე მასალას იმ განწყობით ეცნობოდნენ, რომ ეს მასალა მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ინფორმაციისა, რაც კანდიდატების შესახებ მისმა პარტნიორმა იცის. ამიტომ ის ორიენტირებული იყო იმაზე, რომ მთავარ ცნობებს ის მისი პარტნიორისაგან საკითხის კოლექტიური გარჩევისას მიიღებდა. მაგრამ შემდგომში კანდიდატების საკითხის გარჩევის ნაცვლად ცდისპირებს წინადადება ეძლეოდათ წერილობითი სახით წარედგინათ მთელი ის ინფორმაცია, რაც მათ მასალების გაცნობის შედეგად მიიღეს.

მიღებულ შედეგთა საფუძველზე აღმოჩნდა, რომ „გადამცემებს“ გაცილებით მეტი ინფორმაცია ჰქონდათ მიღებული, ვიდრე „მიმღებს“.

„მიმღებებს“ თავისი მცირე ინფორმაციაც შენახული ჰქონდათ მეტისმეტად ზოგადი, გაურკვეველი ფორმით, ძალიან ცოტა რამ ახსოვდათ სპეციფიკური მონაცემების შესახებ. „გადამცემები“ კი, პირიქით, გაცილებით მეტ სპეციფიკურ შინაარსს ფლობდნენ. ცოდნა ბევრად უკეთესად იყო ორგანიზებული და დიფერენცირებული. ვიდრე „მიმღებისა“. ამ მონაცემების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ერთი და იმავე ვერბალური მასალიდან შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის ინფორმაცია იქნეს მიღებული იმის მიხედვით, თუ რამდენად საჭიროდ და ღირებულად განიცდება ეს ინფორმაცია კომუნიკაციის პროცესისათვის. ინფორმაციის მიღების ეფექტურობა დამოკიდებულია ინფორმაციის მიმღების აქტიურობის დონეზე.

ზეიონკმა ამავე მეთოდით ჩაატარა სხვა სერიის ცდაც, სადაც გარკვეული იყო ინფორმაციის მიღების ეფექტურობის დამოკიდებულება იმ განწყობებთან, რომლებიც ადამიანებს კომუნიკაციის პროცესში

მყოფი სხვა ადამიანის მიმართ აქვს. ამ ექსპერიმენტშიც ცდისპირებს ევალუბოდათ სამსახურში მისაღები ადამიანების კანდიდატთა საბუთებიდან მიღებული მასალის საფუძველზე სხვა ცდისპირთან ერთად განეხილათ და გადაეწყვიტათ, თუ რომელ კანდიდატს აიყვანდნენ სამსახურში. მასალის ინდივიდუალური წესით გაცნობის შემდეგ ცდისპირი ასახელებდა იმ კანდიდატს, რომელსაც უპირატესობას ანიჭებდა. ამის შემდეგ ექსპერიმენტატორი ცდისპირთა ერთ ჯგუფს ეუბნებოდა, რომ კანდიდატების შერჩევის საკითხს ისეთ პარტნიორებთან განიხილავდნენ, რომელიც მის მსგავსად წყვეტს საკითხს, იმავე კანდიდატის მიღებას ემხრობა, რომელსაც მან შიანიჭა უპირატესობა. ცდისპირთა მეორე ჯგუფს კი განუმარტავდნენ, რომ სამსახურში მისაღები კანდიდატის საკითხს ისინი საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე პარტნიორთან განიხილავდნენ.

ცდის მეორე ნახევარში სამსახურში მისაღები კანდიდატთა საკითხის განხილვის მაგიერ ცდისპირებს დაევალოთ დაეწერათ ის მონაცემები, რაც მათ ახსოვდათ მასალების გაცნობის შედეგად.

ექსპერიმენტული მასალის ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ იმ ცდისპირებს, რომლებსაც საკითხი საწინააღმდეგო პოზიციის მქონე პარტნიორებთან უნდა განეხილათ, ბევრად მეტი ინფორმაცია ჰქონდათ კანდიდატებზე, ვიდრე მეორე ჯგუფის ცდისპირებს, რომლებსაც საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ცდისპირებთან უნდა განეხილათ საკითხი. როგორც ჩანს, იმის მოლოდინი, რომ ადამიანს საწინააღმდეგო პოზიციის მქონე პარტნიორთან ექნება კომუნიკაცია, მისი ინფორმაციის ბევრად უფრო მეტ ორგანიზირებას ახდენს; გარდა ამისა, მას ბევრად უფრო მეტი ინფორმაცია გააჩნია გადასაცემად აქტუალურ მდგომარეობაში.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ცდისპირები არჩევენ და იმახსოვრებენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ პოზიციას შეესატყვისება. მასალის ასეთი ტენდენციური შერჩევა და გამოყენება განსაკუთრებით იმ ცდისპირებისათვის არის დამახასიათებელი, რომლებსაც საკითხის განხილვა საწინააღმდეგო პოზიციის მქონე პარტნიორებთან მოუხდება.

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ინფორმაციის მიღება კომუნიკაციის პროცესში რთული ბუნების ფსიქოლოგიურ აქტიობას წარმოადგენს და იგი არსებითად დამოკიდებულია კომუნიკაციის მთლიანი ველის ზემოქმედებით აღმოცენებულ ზოგად ფსიქიკურ მდგომარეობაზე. რომელიც კომუნიკაციის პროცესში შემავალ ადამიანებს ექმნებათ.

კომუნიკაციის პროცესის სხვადასხვა საკითხთა განხილვის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ეს პროცესი ადამიანთა მოთხოვნების, სურვილებისა და მიზნების დაკმაყოფილებას ემსახურება. ის ადამიანის სა-

ერთო ფსიქიკურ აქტიობაშია ჩართული და მის ზოგად კანონზომიერებათა რეალიზაციის პროცესში მონაწილეობს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის სოციალური საშუალებების — ენის გამოყენებით ხორციელდება, ამიტომ ადამიანური კომუნიკაციის პროცესი სოციალურად კონტროლირებული პროცესია. კომუნიკაციის პროცესში რეალიზებული ფსიქიკური პროცესები მხოლოდ სუბიექტის შინაგან კუთვნილებას აღარ წარმოადგენს. კომუნიკაციის დროს ადამიანები თანამონაწილეობენ ერთმანეთის შინაგან აქტიობაში. ამ თანამონაწილეობის შედეგად ფორმირებული შინაარსები და ღირებულებანი ინდივიდუალური ცნობიერების ფარგლებს გარეთ მნიშვნელობს, სოციალური ველის კუთვნილებას წარმოადგენს. თუ უფრო ზოგადი თვალსაზრისით შევხედავთ ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ჩვენ მიერ განხილულ საკითხებს, შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური ცნობიერება და ფსიქიკური აქტიობა უფრო ზოგადი სოციალურ-ფსიქიკური აქტიობის დიფერენციაციისა და გაინდივიდუალიზების შედეგს წარმოადგენს.

პიროვნების უნიკალური ფსიქოლოგიური თავისებურებანი ადამიანთა ურთიერთობის ინტერიზების, გაშინაგნების და დიფერენცირება-გაკრისტალიზების შედეგად ყალიბდება. პიროვნების შინაგანი ფსიქიკური საშუალო როგორც თავისი შინაარსით, ისე მოქმედების კანონზომიერებით ღრმად სოციალური და ზოგადადადამიანური რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ის ყოველთვის უნიკალური ვარიანტის სახით არსებობს.

ადამიანის ამა თუ იმ ფსიქიკური აქტიობის განხილვისას არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ აქტიობის განმხორციელებელი ადამიანი გარკვეულ სოციალურ ურთიერთობებში იმყოფება და მისი ფსიქიკური აქტიობა სოციალურ პროცესშია ჩართული. თუ ადამიანს მისი რეალური სოციალური სინამდვილიდან ამოგვლეჯთ, შეუძლებელი იქნებოდა მისი ფსიქიკური აქტიობის გაგება. ადამიანის აქტიობა მის მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებთან ერთად სოციალური ტენდენციებით განისაზღვრება. სოციალურ სინამდვილესთან ადამიანის ერთიანობა თანაარსებობის, თანააქტიობის, სწავლის, თანამშრომლობის, შეჯიბრის, კომუნიკაციის და სხვა პროცესების საფუძველზეა დაფუძნებული. ამ პროცესებისა და, საერთოდ, ადამიანის, როგორც სოციალური პიროვნების, ფსიქიკური აქტიობა იმ კანონზომიერების საფუძველზე უნდა იყოს გაგებული, რომელიც ახასიათებს მას, როგორც შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობას.

აღრე უკვე აღინიშნა, რომ თანაარსებობის, თანამშრომლობის, სწავლის, სოციალური განმტკიცების პროცესთა გასაგებად მათი ეფექტების ბუნების გარკვევისას ამხსნელ ცნებებად ისეთები გამოიყენება, როგორცაა აღქმა, სწავლა, კომუნიკაცია და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს ცნე-

ბები, როგორც ამხსნელი ცნებანი, ზშირად მათი მოცულობის სივიწროვის გამო ვერ ფარავენ ასახსნელ მოვლენათა კლასს და, გარდა ამისა, რაც მთავარია, თვითონაც იმავე რანგის ფსიქიკურ პროცესთა ამსახველი ცნებებია, რომელი რანგის მოვლენათა ახსნასაც მათ აკისრებენ. ამიტომ თვითონაც ისევე მოითხოვენ გაგებას და ახსნას, როგორც ის ფსიქიკური პროცესები, რომელთა მიმართაც ისინი ამხსნელ ცნებად გამოიყენებენ.

აღქმისა და კომუნიკაციის ცნებათა შინაარსებს ჩვენ ასე თუ ისე გავეცანით. მათი განხილვის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ისინი კერძო სახის ფსიქიკურ აქტიობას წარმოადგენენ, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის გარკვეულ ქცევაში. ისინი ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობის კერძო მომენტებია და მათი ამა თუ იმ სახით განხორციელება მნიშვნელოვნიდაა გაპირობებული იმ მოტივების, განწყობებისა თუ მოთხოვნილებების თავისებურებით, რომელთა საფუძველზეც მოქმედებს ადამიანი. ამიტომ ისინი არ გამოდგებიან თანაარსებობის, თანააქტობის, სოციალური განმტკიცებისა და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტების ასახსნელად. აღნიშნული ცნებებიდან ასეთი პრეტენზიის უფლებას მოტივის ცნება ინარჩუნებს, ამიტომ ჩვენ ამჟამად მოტივაციის ცნებისა და საერთოდ მოტივაციის პროცესის განხილვას შევეუდგებით.

თანაარსებობისა და თანააქტიობის პროცესში ადამიანის მოქმედების ნაყოფიერების შეცვლა ზოგი ფსიქოლოგის მიერ გაგებულა, როგორც მოტივაციური პროცესის შედეგი. ამ შეხედულების მიხედვით სხვა ადამიანის არსებობა ინდივიდის ქცევის სიტუაციაში გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის აღმძვრელ ფსიქოლოგიურ მიზეზებზე. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქცევის გამომწვევი იმპულსების ინტენსიფიკაციას, გაძლიერებას, რასაც შედეგად მოსდევს წარსული გამოცდილების უკეთესად გამოყენება ქცევაში, ჩვეული ქცევის ნაყოფიერების გაზრდა. ფსიქოლოგიური საფუძვლების ასეთივე ცვლილებების შესახებ ლაპარაკობენ წაბაძვის, კონფორმულობის, სოციალური განმტკიცების. თანამშრომლობის. შეჯიბრისა და სხვა ურთიერთქმედებათა დროს.

როდესაც ფსიქოლოგიაში ქცევის მოტივს განიხილავენ, ამ შემთხვევაში ხშირად ადამიანის აქტიობის მიზეზს ან საფუძველს გულისხმობენ. მოტივის განხილვასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანის აქტიობის მიმართ დგება კითხვები: რატომ იქცევა ინდივიდი ამგვარად? რის გამო ჩაიდინა ადამიანმა ამ სახის ქცევა? ამგვარი კითხვები, ჩვეულებრივ, შემდეგ კონკრეტულ სახეს იღებენ: რატომ ჩაიდინა ადამიანმა გმირობა? რატომ სწავლობს ბავშვი გაყუთილს? რატომ მოიპარა ადამიანმა ფული? რატომ მოკლა კაცმა მეორე ადამიანი? რატომ დგება X პიროვნება სისტემატიურად დილის 6 საათზე? — ყველა ეს კითხვა ადამიანის ქცევის საფუძვლის ან მიზეზის გარკვევისაკენ არის მიმართული. ამ საკითხთა გარკვევის დროს მკვლევრები ქცევის მოტივის საკითხს ეხებიან.

მაშასადამე, ქცევის მოტივის საკითხთა განხილვა ქცევის საფუძვლად ან მიზეზის გარკვევას ნიშნავს.

მაგრამ სანამ ამ საკითხებს შევეხებოდეთ, საჭიროა იმის დაზუსტება, თუ რომელი ცნება უნდა იქნეს გამოყენებული მოტივის საკითხთა გარკვევისას — მიზეზისა თუ საფუძვლისა?

ქცევის მოტივის შესახებ მსჯელობისას ფსიქოლოგებს მხედველო-

ბაში აქეთ ფსიქოფიზიკურ მოვლენათა ის ერთობლიობა, რომლითაც გაპირობებულია ადამიანის მოცემული კონკრეტული ქცევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ქცევის მოტივი ქცევის მიზეზად არის ჩათვლილი, ის განხილულია, როგორც მოვლენა, რომელიც იწვევს ადამიანის ქცევას. იმ შემთხვევაში კი, როცა ქცევის მოტივი ქცევის საფუძვლად არის გამოცხადებული, ის განხილულია როგორც მოვლენა, რომლიდანაც გამომდინარეობს ადამიანის ქცევა. მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულებაში უფრო ხშირად მოვლენათა შორის არსებული ფიზიკური კავშირი იგულისხმება, საფუძვლისა და შედეგის დამოკიდებულებაში კი უფრო მეტად მოვლენათა ლოგიკური კავშირია ნაგულისხმევი. ჩვენ ელაპარაკობთ, რომ სხეულის გათბობა იწვევს მის გაფართოებას, მაგრამ აზრი, რომ „ყველა ადამიანი მოკვდავია და სოკრატე ადამიანია“, არ იწვევს აზრს, რომ „სოკრატე მოკვდავია“. ჩვენ ვამბობთ, რომ წინა აზრიდან გამომდინარეობს მეორე აზრი, ე. ი. საფუძველია მეორე აზრისა.

როგორც ითქვა, როდესაც ქცევის მოტივი ქცევის მიზეზის სახით არის გაგებული, ამ შემთხვევაში ქცევის მოტივი განხილულია ისეთ მოვლენად, რომელიც იწვევს ადამიანის ქცევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხედულების ბოლომდე გატარება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან იგი ფსიქიკური ძალების ცნების შემოტანას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს ფსიქოლოგიას.

ქცევის მოტივი ზოგჯერ ქცევის საფუძვლად არის ჩათვლილი, საიდანაც თითქოს გამომდინარეობს რეალური ქცევა. ეს თვალსაზრისი ადამიანის აქტიობის როლის აღიარებამდე მიდის. ამ შემთხვევაში ადამიანი აღნიშნული გამომდინარეობის გათვალისწინებით ახორციელებს გარკვეულ ქცევას, მაგრამ ეს შეხედულებაც უდიდეს სიძნელეებს ხვდება, რადგან გამომდინარეობის აღიარება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საკმარის პირობას საიმისოდ, რომ ადამიანმა რეალური ქცევა განახორციელოს. ამ თვალსაზრისისთვისაც აუცილებელი ხდება რეალური პროცესების შესახებ ლაპარაკი. ადამიანის მიერ განხილული ქცევა რეალურ პროცესს წარმოადგენს, რომლის მიზეზთა შესახებ მითითება მაინც აუცილებელი ხდება.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქცევის მოტივის, მიზეზის ან საფუძვლის ცნებებზე დაყვანა უმართებულოდ უნდა ჩითვალოს. ამ შეხედულების მიხედვით ქცევის მოტივისა და ფსიქიკური ქცევის ურთიერთობა მიზეზშედეგობრივი და საფუძველ-შედეგობრივი დამოკიდებულებისაგან განსხვავებულია. ის არ შეიძლება დახასიათდეს ტერმინებით — „იწვევს“ ან „გამომდინარეობს“. მათი ურთიერთობისათვის გამოყენებული უნდა იყოს ტერმინი „გაპირობებუ-

ლია“, რომელიც კავშირის სხვაგვარ ფორმას გულისხმობს, ვიდრე ფიზიკური ან ლოგიკური კავშირებია.

ქცევის ფსიქოლოგიური გაპირობებულობა ფიზიკური და ლოგიკური კავშირითიერთობებისაგან განსხვავებული სპეციფიკურობით ხასიათდება, მაგრამ ორივეს ელემენტებს შეიცავს.

ამ თვალსაზრისთა განხილვისას ნათელი ხდება, თუ რა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული მწყობრი ფსიქოლოგიური სისტემის ჩამოყალიბება მოტივისა და ქცევის ურთიერთობის შესახებ. მოტივის ცნების მიზეზის ცნებაზე დაყვანა ფსიქოლოგიას დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „მიზეზ-შედეგის“ კატეგორიის გამოყენება ფსიქიკური მოვლენების მიმართ პრინციპულად შეუძლებელია.

მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირითიერთობის დადგენისათვის საჭიროა ამ მოვლენების გაზომვა. ფსიქიკური მოვლენების რაოდენობრივი დახასიათება, მისი გაზომვა პრინციპულად მიუღწეველი თუ არაა, ყოველ შემთხვევაში, მეტისმეტად გაძნელებულია, რადგან ჭერჯერობით არა ხერხდება ფსიქიკური პროცესების გაზომვა, ამიტომ მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკი უნაყოფო და უაზროა. მიზეზისა და შედეგის ტერმინები თუ მაინც გამოიყენება ფსიქიკური მოვლენების მიმართ, ეს შემთხვევები ამ ტერმინთა არაზუსტი, არამეცნიერული გამოყენების ფაქტებად უნდა ჩაითვალოს.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფსიქიკურ პროცესებს შორის საერთოდ არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება. ამ შეხედულების მიხედვით ერთი ფსიქიკური მოვლენა, როგორც მიზეზი, არ იწვევს მეორე ფსიქიკურ მოვლენას, როგორც შედეგს. ფსიქიკური მოვლენები უბრალოდ მისდევენ ერთიმეორეს ისე, რომ მათ შორის რაიმე ურთიერთზემოქმედებას არა აქვს ადგილი.

ეს თვალსაზრისი თავის საბოლოო საკრდენს ე. წ. ეპიფენომენალისტურ შეხედულებაში პოულობს, რომლის მიხედვითაც ცნობიერება რეალობით, ნამდვილობით არ ხასიათდება. ის სინამდვილისა და რეალობის თანშხლებ აჩრდილს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით ფსიქიკა რეალობის ძირითადი ნიშნებით არ ხასიათდება, ის აბსოლუტურად არის განსაზღვრული სინამდვილის ზემოქმედებით და მას სინამდვილეზე უკუზემოქმედების არავითარი საშუალებები არ გააჩნია. იგი წმინდა ეპიფენომენალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ასეთი ეპიფენომენალისტური თვალსაზრისისაგან თითქმის აღარაფერი რჩება, როდესაც ადამიანის რეალური ქცევის შესწავლა ემპირიული თვალსაზრისით ხდება. ემპირიული დაკვირვების სიფუძველ-

ზე ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ გაბრაზებულ ან ცუდ გუნებაზე მყოფ ადამიანთან ბევრად უფრო ძნელია კონტაქტის დამყარება და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმება, ვიდრე კარგ გუნებაზე მყოფ ადამიანთან. ემპირული დაკვირვების საფუძველზე ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ადამიანთა ქცევის დიდი ნაწილი გარკვეული მოტივების, მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე სრულდება. ცხადია, მხოლოდ ემპირული დაკვირვება არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ადამიანის ფსიქიკური შინაარსები, განცდები და მოტივები ადამიანის ქცევის მიზეზებად ჩაგვეთვალო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი რწმენა აბსოლუტურად უსაფუძვლო არაა.

ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტიობის მეცნიერული თვალსაზრისით შესწავლისას ერთი რამ ნათელი ხდება. ადამიანის ცნობიერების პროცესები შეუძლებელია მხოლოდ ისევე ცნობიერების მოვლენებით აიხსნას. ადამიანის პერსპექტული და საერთოდ შემეცნებითი პროცესები გარესინამდვილის საგანთა თავისებურებების და ამავე დროს შემეცნებითი პროცესებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა ერთობლივი მოქმედებით არის განსაზღვრული. დებულება, რომ ადამიანის ყოველგვარი ფსიქიკური აქტიობა ობიექტური სინამდვილის ზემოქმედებისა და პიროვნების შინაგანი ფსიქოლოგიური კანონზომიერების ერთიანი მოქმედებით არის განსაზღვრული, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის უტყუარ მონაპოვარს წარმოადგენს.

მაგრამ მიუხედავად ამგვარი მონაცემების არსებობისა, ფსიქიკური მოვლენების, მათ შორის მოტივის. ქცევის მიზეზად გამოცხადება მაინც დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

ფიზიკურ მეცნიერებებში კარგად არის ცნობილი, რომ ერთი რეალური საგანი მეორეზე ზემოქმედების დროს კარგავს ენერჯის გარკვეულ ნაწილს. აღნიშნული საგნის მიერ დაკარგული ენერჯის ეს ნაწილი მეორე ზემოქმედებად მოხდენილ საგანს გადაეცემა. ფიზიკური საგნების ურთიერთზე ზემოქმედება ხორციელდება ენერჯის ამგვარი გაცვლის გზით, რომლის დროსაც ენერჯის საერთო რაოდენობა უცვლელი, მუდმივი რჩება. „ენერჯის მუდმივობის“ ამ კანონს ადგილი აქვს ენერჯის ერთი ფორმის მეორე ფორმად გადაქცევის დროსაც. ენერჯისა და მასის მუდმივობის კანონი ფიზიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. მოვლენათა ურთიერთკავშირის ფორმათა ანალიზის დროს დადგინდა, რომ კავშირის სხვა ფორმებისაგან მიზეზშედგობრივი დამოკიდებულების გამორჩევისათვის საჭირო ხდება მიზეზშედგობრიობის კავშირის განხილვა ენერჯისა და მასის მუდმივობის კანონთან კავშირში. გარდა ამისა, მოვლენათა შორის მიზეზშედგობრივი კავშირის დადგენისათვის საჭიროა მიზეზშედგობრივ ურთიერთობაში მყოფი მოვლენების დროითი და

ვრცეული ურთიერთობების გარკვევა. ფიზიკურ მეცნიერებაში, როგორც ცნობილია, ჯერ ნიუტონმა და შემდეგ ეინშტეინმა შექმნეს ზემოქმედ საგანთა გარკვეული გეომეტრია. რომელშიც დროის ფაქტორის შეტანით შესაძლებელი გახდა საგანთა ურთიერთშემოქმედების კანონზომიერების გაგება. ამგვარ კანონზომიერებათა ერთობლიობის ფონზე იგულისხმება, რომ იმ მოვლენებში, რომლებიც მიზეზის სახით განიხილებიან, ენერჯის რაოდენობა ტოლია ენერჯის იმ რაოდენობისა, რომელიც შედეგის სახით განხილულ მოვლენებში გვაქვს. ხოლო შედეგის სახით განხილული მოვლენების ვრცეულ-დროული მდგომარეობანი ზემოქმედი ძალების გარდა დამოკიდებულია დროისა და სივრცის იმ მთლიან გეომეტრიაზე, რომელშიც ეს მოვლენები იმყოფება. მოტივისა და ქცევის ურთიერთობის განხილვის დროს შეუძლებელი ხდება მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულების ამგვარი შინაარსის გამოყენება, როდესაც მოტივში წმინდა სახის ფსიქიკური ფენომენი იგულისხმება, ხოლო ქცევაში—ფიზიკური მოვლენა. ამ კონტექსტში მოტივის ზემოქმედება ქცევაზე უნდა ნიშნავდეს ფსიქიკური მოვლენის მიერ ენერჯის გარკვეული რაოდენობის გაცემას, რასაც იძენს ქცევა, როგორც შედეგი. პირიქით, როდესაც მოტივი გაგებულა. როგორც სინამდვილის ზემოქმედების საფუძველზე წარმოქმნილი შედეგი, იგულისხმება, რომ სინამდვილის მოვლენები უნდა გასცემდნენ ენერჯის გარკვეულ ნაწილს, რომელსაც მოტივი იძენს. ამგვარი ინტერპრეტაციის დროს მოტივისა და ქცევის ურთიერთობის საკითხი ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის საკითხად არის გადაქცეული და ამავე დროს ფსიქიკურის ფიზიკალიზაციას აქვს ადგილი. საკითხის ამგვარი გადაწყვეტისას ენერჯის ფსიქიკური ფორმის დაშვება საჭირო.

როგორც ვხედავთ, მოტივისა და ქცევის ამგვარი ინტერპრეტაცია და მათ შორის მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულების აღიარება, ერთი მხრივ, ფსიქიკური მოვლენების გასაგნობრიობას, ფიზიკალიზებას მოითხოვს, ხოლო მეორე მხრივ, ფსიქიკური მოვლენების წმინდა სახით არსებობის დაშვებას.

ფსიქიკურის ამგვარი გაგება არც ემპირიულ-ფსიქიკური პროცესების ბუნებრივ მდგომარეობას შეესატყვისება და არც იმ ზოგად პრინციპულ შეხედულებებს ეთანხმება, რომელზეც დღევანდელი ფსიქოლოგიური მეცნიერებაა აგებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქცევისა და მოტივის ურთიერთობის საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავთ, ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის ფილოსოფიურ საკითხს არ წარმოადგენს. მოტივიც და მის საფუძველზე გაპირობებული ადამიანის ქცევაც, ორივე ერთი და იმავე ტიპის ფსიქოფიზიკური აქტიობაა; მათში ცალ-ცალკე არაა მოცემული ფიზიკური და ფსიქი-

კური ელემენტები, რომელთა ურთიერთობის საკითხი უნდა გადაწყვიდეს. ადამიანის ის სპეციფიკური აქტიობა, რომელსაც ფსიქოლოგია სწავლობს, ფსიქოფიზიკურ მოვლენათა ერთობლიობაა. მოტივიცა და ქცევაც ამგვარი ერთიანი ფსიქოფიზიკური აქტიობის გარკვეული ერთეულებია და მათ შორის არსებული ურთიერთობის საკითხი ემპირიული მეცნიერული კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

როდესაც ადამიანის აქტიობა ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური და ფსიქიკური სუბსტანციების სახით არის დაყოფილი, ფსიქოლოგია გადაულახავი სიძნელის წინაშე დგება. იმთავითვე ურთიერთისაგან მოწყვეტილი ფიზიკური და ფსიქიკური ელემენტების ურთიერთთან ისევ დაკავშირება მეცნიერული რესურსებით შეუძლებელი ხდება. როდესაც საკითხი ასეა გადაწყვეტილი, ადამიანის ქცევის ფსიქიკური საფუძვლების მოტივთა პრობლემა ფსევდომეცნიერულ, მოჩვენებით მეცნიერულ საკითხად იქცევა.

ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების მიმართ დუალისტურ-სუბსტანციური თვალსაზრისის მქონე მკვლევრები მოტივებისა და ადამიანის ქცევის კავშირურთიერთობის გასაგებად ე. წ. ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პოსტულატს იშველიებენ. ამ პოსტულატის მიხედვით ფსიქიკური მოვლენების რიგი სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობს ფიზიკური მოვლენების რიგიდან, მაგრამ მათ შორის ემპირიულად არსებული შეთანხმებული, პარალელური თანაარსებობაა დაშვებული. მიზნუშედეგობრივი დამოკიდებულება მხოლოდ ფიზიკურ მოვლენებს შორის არსებობს, რომლებიც ერთ მთლიან დახშულ სისტემას ქმნის. ამ დახშულ სისტემას არსად გადაკვეთს ფსიქიკური მოვლენა.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში, რომელიც ადამიანის რეალურ ფსიქიკურ აქტიობაზეა ორიენტირებული, შემოიჭრა და თანდათანობით განმტკიცდა ერთიანობისა და შინაგანი მთლიანობის იდეა, რომლის საფუძველზეც განწყობის ფსიქოლოგიაცაა აგებული. ამგვარად ორიენტირებული ფსიქოლოგია ადამიანის აქტიობის რეალურ ნაწილებს, კომპონენტებს შორის არსებულ რეალურ კავშირურთიერთობებს იკვლევს. „წმინდა ფსიქიკური“ და „წმინდა ფიზიკური“ ადამიანის ფსიქიკური აქტიობის რეალურ ნაწილებს არ წარმოადგენს. ფსიქიკური პროცესის როგორი მცირე მონაკვეთიც არ უნდა ავილოთ, ფსიქიკური პროცესის ყოველი რეალური ნაწილი ყოველთვის შეიცავს ფიზიკური და ფსიქიკური ელემენტების ერთიანობას; მატერიალურისა და მნიშვნელობის მომენტის ერთიანობას. ამიტომ მოტივისა და ქცევის ურთიერთობის საკითხის გარკვევისას უნდა დავადგინოთ კავშირურთიერთობა ისეთ მოვლენებს შორის, რომლებიდანაც ორივე ამ ერთიანობით ხსათაღება.

მოტივისა და ქცევის ურთიერთობის ამ თვალსაზრისით განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება შეუძლებელია მიზეზშედეგობრივი კავშირით ამოიწურებოდეს, რადგან ისინი ამავე დროს ფსიქიკურ ერთეულებს წარმოადგენენ. მათ შორის კავშირურთიერთობის ის ფორმაც უნდა არსებობდეს, რომლებიც აზრობრივი სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი. ფსიქიკური მოვლენების კავშირურთიერთობის ამ მხარეზეა გამახვილებული ყურადღება იმ შეხედულებაში, რომლის მიხედვითაც მოტივისა და ქცევას შორის გამომდინარეობის ურთიერთობა არსებობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისის განვითარება ფსიქოლოგიაში დიდი ხნის მანძილზე იმავე ზოგადი დუალისტური მსოფლმხედველობით ხდებოდა, რომელიც ჩვენ განვიხილეთ. ამ შეხედულებით ფსიქიკური მოვლენების რიგი ფიზიკური მოვლენების რიგისაგან დამოუკიდებელ დაბნულ სისტემას ქმნის, რომლებიც ურთიერთის მიმართ გამომდინარეობის დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ფსიქიკურ პროცესთა ნაკადში ერთი ფენომენი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წინმსწრები ფსიქიკური პროცესიდან გამომდინარე. ფსიქოლოგიის ამოცანას ამ თვალსაზრისით ადამიანის ქცევის გაგება წარმოადგენს, რომელიც გარკვეული წესებით გამომდინარეობს მის წინმსწრები ფსიქიკური პროცესებისაგან. ამ თვალსაზრისით, მოტივები წარმოადგენენ იმ წინამძღვრებს, რომელთაგანაც გამომდინარეობს ფსიქიკური აქტიობა, ქცევა. ადამიანის ქცევა გაგებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ გაირკვევა წინამძღვრების მთელი ის ერთობლიობა და გამომდინარეობის ის კანონზომიერება, რომლის გამოც სწორედ ეს მოცემული ქცევა ხორციელდება. მაგალითად, იმის გასაგებად, თუ „რატომ მოკლა კაცმა მეორე ადამიანი“, ამ თვალსაზრისის მიხედვით საკმარისად უნდა ჩაითვალოს იმ მოტივთა დადგენა და გამომდინარეობის იმ წესებზე მითითება, რომლის საფუძველზეც ქცევა განხორციელდა. მაგალითად, თუ მკვლელობა მოხდა ომის დროს და მეორე ადამიანი მტრის ჭარისკაცი იყო, მისი მოკვლა სრულიად გასაგებად არის მიჩნეული. მაგრამ თუ იგივე ფაქტი მშვიდობიანობის დროს მოხდა, მაშინ ქცევა ჭერ კიდევ გაუგებრად ითვლება და საჭიროა ამ ქცევის მოტივთა დადგენა. თუ კარგად დავაკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ამ თვალსაზრისით მოტივისა და ქცევას შორის ურთიერთობის შესწავლის დროს ფაქტიურად სრულიად სხვა საკითხი განიხილება, ვიდრე მათი მიზეზშედეგობრივი ურთიერთობის საკითხის გარკვევისას, იმ მკვლევართათვის, ვინც მოტივისა და ქცევის ურთიერთობას გამომდინარეობის თვალსაზრისით განიხილავს, ცხადია, მიზეზ-შედეგობრივი პრინციპით ახსნის ამოცანა არა დგას, მათი აზრით, ფსიქოლოგიისათვის სწორედ იმის შესწავლას აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ რა წინამძღვრების, მოტივების საფუძველზე

ხდება ქცევის გამომდინარეობა-აღმოცენება და გამომდინარეობის რაკანონზომიერების სანფუძველზე ხორციელდება იგი.

იმის უარყოფა, რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ფსიქიკური ქცევა, როგორც მნიშვნელობის მომენტის შემცველი აქტიობა, გარკვეულ აზრობრივ სტრუქტურულ ურთიერთობაში იმყოფება წინმსწრებ ფსიქიკურ პროცესებთან, მაგრამ ამ კავშირუროთიერთობის ფორმის გარკვევასთან ერთად, ჩვენი აზრით, აუცილებელი ხდება იმ რეალური ქმედითი ურთიერთობის დადგენა, რომლის საფუძველზეც მოტივი და ქცევა ერთმანეთზე გარკვეულ რეალურ ზემოქმედებას ახდენენ. მოტივისა და ქცევის ურთიერთობის გარკვევა, მათი აზრობრივ-ლოგიკური კავშირის გარდა, ურთიერთზე მიზეზშედეგობრივი გავლენის თავისებურებათა შემეცნებასაც გულისხმობს. მოტივი, რომლის საფუძველზეც მოქმედებს ადამიანი, მის ქცევას გარკვეულ მნიშვნელობას და აზრს ანიჭებს. ამავე დროს მოტივი რეალურად მოქმედებს მის ქცევაზე, სათანადოდ წარმართავს მას. მოტივი, რომლის საფუძველზეც მოქმედებს ადამიანი, ერთიან ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს. იგი ისევეა ჩართული ადამიანის მოქმედებათა მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში, როგორც ადამიანის შეხედულებათა მთლიან სისტემაში.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტის საფუძველზე შესაძლებელი ხდება თავიდან ავიცილოთ პრინციპული სიძნელეების ფსიქოლოგიის ფარგლებში გადაწყვეტის აუცილებლობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი სხვა წმინდა მეცნიერულ სიძნელეთა წინაშე გვაყენებს.

ერთ-ერთი ძირითადი სიძნელე, რომლის წინაშეც ვდგებით, არის ფსიქოფიზიკური აქტიობის მთლიანი ნაკადის შედარებით დამოუკიდებელ ერთეულებად დაყოფა. ეს სიძნელე შეიძლება კონკრეტულ მაგალითზე ნათელვყოთ. ვთქვათ, იმავე მკვლელობის ფაქტთან გვაქვს საქმე და გვინდა გავიგოთ მისი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ წინაშე დგება საკითხი მკვლელობის „ფსიქოლოგიური მიზეზის“ შესახებ. აქვს თუ არა ფსიქოლოგს უფლება მეცნიერულ ცნებათა სისტემის საფუძველზე მკვლელობის ფაქტისა და მისი განმსაზღვრელი ფსიქიკური მოვლენების შესახებ ილაპარაკოს? „სალი აზრის“ მიხედვით, რომელსაც პრაქტიკული საქმიანობის დროს საკმაო ანგარიშს ვუწევთ, ამგვარი ფსიქოლოგიური „მიზეზებისა და საფუძვლების“ შესახებ ლაპარაკი უაზროდ არ უნდა ჩაითვალოს¹.

ეს თვალსაზრისი პრაქტიკით არის გამაგრებული, მას ემყარება ხელოვნების იმ მუშაკთა აქტიობა, რომლებიც თავისი შემოქმედებით ადამიანებს გარკვეულ იდეებს უნერგავენ, შესაბამისი მიმართულებით

¹ ამ საკითხზე იხ. Шибутани Т. Социальная психология, Москва, 1966.

აქტიობის ტენდენციებს უღვივებენ მათ. ამ თვალსაზრისს საფუძველს უმაგრებს განმანათლებელთა და პროპაგანდისტთა საქმიანობა, რომლებიც, როგორც ცნობილია, საკმაო გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობაზე. ამავე პოზიციას იკავებენ ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებიც, გარდა იმისა, რომ სათანადოდ ზემოქმედებენ ადამიანთა აქტიობაზე, ამავე დროს ბევრად უკეთესად ახერხებენ ადამიანის სულიერი სამყაროს და ქცევის თავისებურებათა გაგებას. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ დოსტოევსკის მიერ აღწერილი სცენები, რომლებშიც თეოდორ კარამაზოვის მოკვლის გამოძიების სცენებია ასახული და მათი გამომწვევი ფსიქოლოგიური დეტერმინანტების დადგენაა ნაცადი. ამ მაგალითის გარჩევისას, რასაკვირველია, არსებით მნიშვნელობა არა აქვს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს რეალურ მკვლელობასა და იმ ლიტერატურულ ფაქტს შორის, რომელიც დოსტოევსკის რომანშია აღწერილი: ამ შემთხვევაშიც, გარკვეული მოვლენების გამო მოხდა ადამიანის მკვლელობის ფაქტი და საჭირო გახდა მკვლელობის გარემოებათა და მოტივთა დადგენა. მწერალი ამ ამოცანას დიდი ოსტატობით ასრულებს. ამ შემთხვევაში მწერალი იმავე ამოცანის წინაშე დგას, როგორც ფსიქოლოგი, — გაარკვიოს მკვლელობის ფსიქოლოგიური საფუძვლები და მიზეზები, რომლებმაც მკვლელობა გამოიწვია. ამ კონტექსტში ჩვენი საკითხი ასეთ სახეს მიიღებდა: მამა კარამაზოვის მკვლელობის გამომწვევი პირობების გარკვევისათვის ფსიქოლოგიურ გარემოებაზე მითითებაა აუცილებელი, თუ ამისათვის მხოლოდ ფიზიკური მოვლენებისა და მიზეზების განხილვაა საჭირო?

ნაწარმოების სიუჟეტური ქარგის განვითარების პროცესში მწერალი მკითხველს ფსიქოლოგიურად სწორ და ბუნებრივ პოზიციაში აყენებს. ხომ ცხადია, რომ, მაგალითად, გამომძიებელი, როდესაც თავის პრაქტიკაში მსგავსი რეალური ფაქტის წინაშე დგას, იწყებს, ერთი მხრივ, იმ ფიზიკური გარემოს გამოკვლევას, რომელშიც მკვლელობა მოხდა და, გარდა ამისა, ეძებს ამ სიტუაციებთან დაკავშირებულ მოტივებსა და მისწრაფებებს, საიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს მკვლელობის ქცევა.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პრინციპის მიხედვით მკვლელობის ფაქტის. ახსნისა და ვაგებისათვის მოვლენათა მიზეზზედგობრივი ჯაჭვის გადგენებაა საჭირო, რომელთან დაკავშირებულ ფსიქიკურ აქტიობას, მოტივაციურ პროცესებსაც უბრალოდ თანმხლები პროცესების მნიშვნელობა აქვთ. ამ თვალსაზრისით ის მოტივაციური ფსიქიკური პროცესები, რომლებმაც, მწერლის აზრით, მოამზადეს კარამაზოვის მკვლელობის ფაქტი, არავითარ ენერგეტიკულ მომენტს არ შეიცავს და ამიტომ არ შეიძლება იგულისხმებოდეს იმ მოვლენებში,

რომლებიც მიზეზის ცნებაში შეიძლება გაერთიანდეს. ამ თვალსაზრისის არ ეთანხმება „სალი აზრი“. დოსტოევსკიც სწორედ ამ პოზიციაზე დგას. მის მიხედვით კარამაზოვის სიკვდილის ერთადერთ და ძირითად განმსაზღვრელ მოვლენას ივანე კარამაზოვის შეხედულებანი და მოტივები წარმოადგენენ. დოსტოევსკი ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამომდინარეობის პრინციპს ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. მისი აზრით ადამიანთა ქცევის გაგებისათვის საჭიროა მათ სულიერ სამყაროში ჩახედვა. თედორე კარამაზოვის სიკვდილი ივანე კარამაზოვის შეხედულებების, მოტივთა სისტემის მოქმედების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური აქტიობა ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების ერთიანობის სახით უნდა იქნეს გაგებული. ადამიანის ქცევა მიზეზობრივი ჯაჭვის სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რომელიც ამავე დროს სათანადო მნიშვნელობის მქონე სისტემას წარმოადგენს. ადამიანის ქცევის გაგებისა და ახსნისათვის ფსიქოლოგიაში ფიზიკურისა და ფსიქიკურის ერთიანობის ცნების შემოტანით შესაძლებლობა იქმნება დაძლეულ იქნეს ის სიძნელენი, რომლებიც ხელს უშლიან მკვლევარებს გამოიყენონ ფსიქოლოგიური დეტერმინაციის ცნება.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ფსიქოლოგიურ დეტერმინაციაზე ლაპარაკით ჯერ კიდევ არაა დაძლეული ის სიძნელეები, რომლებიც მოტივისა და ქცევის ურთიერთობის გარკვევის დროს გველობება. აქ ჩვენ წინაშე დიდი „ტექნიკური სიძნელეები“ დგება.

დავუშვათ, რომ გარკვეული ფსიქიკური მოვლენები, რომლებიც მოტივებს წარმოადგენენ, განსაზღვრავენ ადამიანის ქცევის შინაარსს და მიმართულებას. მაგრამ როგორ გამოვყოთ ფსიქიკური აქტიობის ნაკადიდან მოტივაციური აქტიობა და მის საფუძველზე განხორციელებული ფსიქიკური ქცევა? მაგალითად, რა უნდა ჩაითვალოს კარამაზოვის მკვლელობის განმსაზღვრელ მოტივაციურ პროცესებად? მამა კარამაზოვის მკვლელობის განმსაზღვრელ ფსიქიკურ პროცესებად შეიძლება ივანე კარამაზოვის შეხედულებები და შინაგანი იმპულსები ჩაგვეთვალა, რომლებმაც წარმართა სმერდიაკოვის აქტიობა მკვლელობის მიმართულებით (სხვათა შორის; დოსტოევსკი ხომ სწორედ ამ აზრის დამტკიცებას ცდილობს). მკვლელობის განმსაზღვრელ ფსიქიკურ აქტიობად შეიძლება სმერდიაკოვის ანგარებითი მატერიალური ინტერესები ჩაგვეთვალა. სმერდიაკოვი მკვლელობას იმისათვის ახორციელებდა, რომ მიეთვისებინა თედორე კარამაზოვის ფული, რისი განხორციელებაც მხოლოდ მისი მოკვლის შემდეგ იყო შესაძლებელი. ამ მოსაზრებებს ფსიქოანალიზის მომხრეები, რასაკვირველია, სმერდია-

ვთვის არაქნობიერ მტრულ იმპულსებსაც დაუმატებდნენ, რომლებიც მას ჰქონდა თავისი მამისადმი, როგორც არაკანონიერ შვილს. მაგრამ შესაძლებელია ამ ფაქტებზე მითითებით მეტისმეტად ვცილდებოდეთ იმ მოვლენებს, რომლებიც კარამაზოვის მოკვლის მიზეზად შეიძლება ჩაგვეთვალა. შესაძლოა თუ არა მისი მოკვლის მიზეზად სმერდიაკოვის მოტორული აქტიობა — თუჯის პრესაპაიეს დარტყმა მივიჩნიოთ?

ჩვენ აქამდე მკვლელობის ქცევის გამომწვევ ფსიქოლოგიურ აქტიობათა შესახებ ვლაპარაკობდით. მაგრამ მკვლელობის განზრახვით განხორციელებული მოქმედება, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არაა მკვლელობა. ამავე რომანში ხომ ჩანს, რომ დიმიტრი კარამაზოვსაც ჰქონდა მამის მოკვლის სურვილი და განზრახვა, რომლის შესახებ ის საცოლისადმი მიწერილ წერილშიც ლაპარაკობს. მაგრამ მწერალი დიმიტრი კარამაზოვის სულიერი სამყაროს დახასიათებით გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი გადამწყვეტ მომენტში არ ჩაიდენდა ამ ქცევას. მკვლელობის განზრახვა მხოლოდ მაშინ იქცევა მკვლელობის მიზეზად ან საფუძვლად, როდესაც ის ფაქტიურად გამოიწვევს ამ მოვლენას. მაშ რა ჩავთვალოთ მამა კარამაზოვის სიკვდილის გამომწვევ მიზეზად? სმერდიაკოვის ხელის მოქნევა, რამაც სიკვდილი გამოიწვია? მაგრამ შესაძლებელია ეს მოტორული აქტიობა არ გამხდარიყო ასეთი საბედისწერო, რომ კარამაზოვი უფრო ახალგაზრდა ყოფილიყო და უკეთესი ჯანმრთელობა ჰქონოდა? მისი სიკვდილის მიზეზად შეიძლება ბევრი სისხლის დაკარგვა ჩაითვალოს ან, უფრო ზუსტად, „უანგზადით შიშშილი“, რომელიც მისმა ცენტრალურმა ნერვიულმა სისტემამ განიცადა სისხლის დაკარგვის გამო და სხვა.

როგორც ვხედავთ, მოვლენათა ამ მეტისმეტად რთული და გრძელი რიგიდან საკმაოდ ძნელი ხდება ერთი რომელიმე მოვლენის გამოყოფა, ფსიქიკური ხასიათის მოვლენა იქნება ის თუ ფიზიკურისა, რო-
პელიც შეიძლებოდა კარამაზოვის სიკვდილის „ნამდვილ მიზეზად“ ჩაკვეთვალა, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით. კარამაზოვის „მკვლელობის ფაქტში“ და მისი „გამომწვევი მიზეზების ფაქტში“ მოვლენათა მეტისმეტად დიდი და ფართო ველი გვაქვს. იქიდან ცალკეული ელემენტის ამოღება მთლიანი სურათის დამახინჯებას იწვევს. კარამაზოვის მკვლელობა გაგებულ უნდა იყოს, როგორც მოვლენათა მთლიანი ველის შედეგი, რომელშიც გამოიყოფა ადამიანთა ფსიქიკური აქტიობის ძირითადი ხაზები, რის საფუძველზეც ხდება ამ ვითარებაში გარკვევა. მკვლელობის ქცევის განხორციელებელ პიროვნებას ის წარმოადგენს, რომლის აქტიობაშიც ერთიანობის სახით იყო მოცემული მკვლელობის მოტივი და მკვლელობისათვის საჭირო ფიზიკური საქმიანობა. მკვლელობა კონკრეტულად სმერდიაკოვმა განახორციელა, მაგრამ მკვლელობის არსებითი მოტივების ავტორი სხვაა. ლოსტოვეს-

ცი, რასაკვირველია, უფრო ზოგადი საკითხებით არის დაინტერესებულნი, იმ საკითხთან შედარებით, რომელსაც აქ ჩვენ განვიხილავთ. იგი სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ ვინაა პასუხისმგებელი და ვის უნდა დაედოს მსჯავრი იმ სოციალური დეზორგანიზაციისათვის, რაც რომანშია აღწერილი. მისი აზრით, დანაშაულის ძირითადი სიმძიმე უნდა დააწვეს არა იმას, ვინც ფიზიკურად განახორციელა მკვლელობის ცევა, არც მას, რომელიც იმპულსურად გამოთქვამდა ამგვარი ქცევის განზრახვას, სურვილს და რომელიც საზოგადოებამ დასაჯა, არამედ იმას, ვინც ქადაგებდა და ანმტიციტებდა საზოგადოებაში ანტის სოციალურ მოტივთა თავისუფალი რეალიზაციის იდეას, ვინც ფაქტიურად იყო მკვლელობის მოტივის ავტორი. ეს საკითხები, რასაკვირველია, სცილდება ჩვენი საკითხების რიგს, მაგრამ მწერლის მიერ გატარებული „სალი აზრი“, რომ იდამიანის ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებში ერთ-ერთი მთავარი როლი მის ფსიქიკურ მოტივაციურ პროცესებს ეკუთვნის, მეცნიერებაშიც, ცხადია, პრინციპული დებულებების სახით უნდა იქნეს მიღებული.

თუ ზოგიერთი ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენელი თავისი მეცნიერული მუშაობის საფუძველზე საწინააღმდეგო პრინციპამდე მივიდა, ეს უფრო მის საწყის დებულებათა აბსურდულობაზე მიუთითებს, ვიდრე ამ ბუნებრივი პრინციპის წინააღმდეგ, რომ იდამიანის ქცევა განსაზღვრულია როგორც გარემოს (რომელიც მიზეზობრივად განაპირობებს მის შემდგომ აქტიობას), ისე იმ აზრების, მოტივებისა და ორიენტაციების ზემოქმედებით, რომელთა საფუძველზეც იდამიანის ქცევა გარკვეულ მნიშვნელობას იძენს და გამომდინარეობის გარკვეული კანონზომიერებით არის მათთან დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამგვარი ტენდენციების საფუძველზე აღმოცენდა ფსიქოლოგიაში ისეთი მიმდინარეობა, როგორცაა გემტალტესიქოლოგია. ამ თეორიის მიხედვით, რომლის წარმომადგენლები უმეტესად აღქმის ფსიქოლოგიური საკითხების შესწავლით იყვნენ დაკავებულნი, აღქმის პროცესის ძირითადი შედეგი „აღქმის ველის“ მთლიანი აქტიობით არის გაპირობებული და არა იმ ცალკეული ელემენტების მოქმედებებით, რომლებიც ამ მთლიანი ველის შედარებით გადიფერენცირებულ კომპონენტებს წარმოადგენენ.

შემდგომში ლევინმა კიდევ უფრო გააღრმავა და შეავსო ფსიქიკური აქტიობის მთლიანი სურათი „ქცევის ველის“ ცნების შემოტანით. მის მიერ ქცევის ველში, აღქმის ველის გარდა, პიროვნებაც იქნა შეტანილი. მისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებებით, ქვაზიმოთხოვნილებებითა და წარსული გამოცდილებით. ლევინის აზრით, ქცევის ველში სხვადასხვა ფენომენოლოგიური განცდების საფუძველზე წარმოქმნილ ძალთა „ვექტორი“ იდამიანის ქცევის მიმართულებას

გამოხატავს. ადამიანის ქცევა არის სასიცოცხლო და პიროვნული მთლიანი ველის მიერ წარმოებული პროდუქტი. ამ სურათს, რასაკვირველია, უნდა დაემატოს ქცევის განმსაზღვრელი ის არაეცნობიერი იმპულსები და მოტივები, რომელთა მნიშვნელობაზეც საგანგებოდ ფსიქონალიტიკოსებმა მიუთითეს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქონალიტიკოსების მიერ არაეცნობიერი იმპულსებისა და მოტივების მნიშვნელობათა გადაფასების შედეგად, ოდნავ ისევ შესუსტდა მთლიანობის იდეისა და სისტემის ცნების შემდგომი ნაყოფიერი გამოყენების ცდები ფსიქოლოგიაში.

შემდგომი კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ იმ მთლიანი და ერთიანი ფსიქიკური მდგომარეობის ყველაზე უფრო სრულად და კარგად გამოხატვა, რომელიც საფუძველად ედება გარკვეულ ფსიქიკურ ქცევას, განწყობის ცნებით არის შესაძლებელი. განწყობა, როგორც ადამიანის მთლიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, ქცევაზე ზემოქმედების ტენდენციას შეიცავს, ენერგეტიკული მომენტიტ ხასიათდება და ამავე დროს მასში ასახულია მომავალი ქცევისათვის საჭირო წინაპირობები. ის ქცევის ფსიქიკურ საფუძველს წარმოადგენს და ამავე დროს ჩართულია ადამიანის რეალური აქტიობის მთლიან მიზეზშედეგობრივ ჭაქვში. განწყობა რეალურადაც და ლოგიკურადაც წინ უსწრებს და განაპირობებს ფსიქიკურ ქცევას.

განწყობა, როგორც ამას შემდგომში უფრო დეტალური ანალიზის საფუძველზე დავინახავთ, ადამიანის ისეთ რეალურ, აქტუალურ და დინამიკურ ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელიც თავისთავში ასახავს ადამიანის მოთხოვნილებებს, გარემოს შესატყვის ზემოქმედებას და წარსულ გამოცდილებას; იგი ამ ფაქტორთა ერთიანობის შედეგია და, თავის მხრივ, საფუძველად ედება ფსიქიკურ აქტიობას, რომელიც სინამდვილისადმი ადამიანის შეგუების ამოცანებს ემსახურება. ამიტომაც, რომ განწყობის კანონზომიერებათა შესწავლა მკვიდროდ უკავშირდება ქცევის მოტივს. განწყობის თეორიის მიხედვით, გაშინაგნებული მოტივაციის პროცესი, რომლის დროსაც ქცევის მოტივის ჩამოყალიბება ხდება, პრინციპულად ისეთივე სახის ფსიქიკური აქტიობაა, როგორც ობიექტურად გამოვლენილი ფსიქიკური ქცევა, მაგალითად სოციალური ქცევა. სოციალური ქცევის შედეგს ის ცვლილება წარმოადგენს, რაც ადამიანს თავისი აქტიობით შეაქვს სოციალურ გარემოში. მოტივაციის პროცესის შედეგად კი ადამიანი შინაგანი ფსიქოლოგიური გარემოს რეორგანიზაციას ახდენს, ისევე, როგორც ადამიანის მიერ საკუთარ გარემოში შეტანილი ობიექტური ცვლილებები განსაზღვრავენ სინამდვილის მიზეზშედეგობრივ მიმდინარეობას ასევე, მის მიერ მოტივაციის პროცესთა საფუძველზე თავის შინაგან სამყაროში შეტანილი ცვლილებები ედება საფუძველად მისი

შემდგომი ფსიქიკური აქტიობის მიმართულებას. მოტივაციის პროცესები ამ გზით რეალურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ქცევაზე და ამავე დროს მათ შორის აზრიანი გამომდინარეობითი ურთიერთობაც არსებობს.

განწყობის თეორიის მიხედვით, ფსიქიკურ აქტიობებს შორის არსებობს ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამომდინარეობის დამოკიდებულება, ე. ი. სპეციფიკურ-ფსიქიკური კავშირურთიერთობა. ფსიქოლოგიამ უნდა აღმოაჩინოს კავშირურთიერთობანი არა „წმინდა ცნობიერების“ ელემენტებსა და „წმინდა ფიზიკური“ პროცესების ელემენტებს ან ცნობიერების მოვლენებს შორის, არამედ სხვადასხვა ფსიქიკურ ქცევებს შორისაც. მოტივაციის კონკრეტული ქცევა, რომელსაც ადამიანი გარკვეული ქცევის საფუძვლების ორგანიზებისათვის ახორციელებს, მნიშვნელოვნად განაპირობებს შემდგომ სოციალურ ქცევას. ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებათა კვლევის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ფსიქოლოგიური ქცევის ის ნიშნები, რომლებიც უზნაძის მიერ იყო ფორმულირებული. როგორც აღრეც აღვნიშნეთ, ქცევის ფიზიკური ცნების საპირისპიროდ, უზნაძემ წამოაყენა და დაამუშავა ქცევის ფსიქოლოგიური ცნება. ამ ცნების შინაარსის შესახებ ჩვენ აღრე საგანგებოდ ვილაპარაკეთ. განსხვავებული თვალსაზრისით ამ ცნების შინაარსის ანალიზი ჩვენ ასეე მოგვიხდება განწყობის საკითხების განხილვის დროს, ამიტომ აქ მასზე აღარ შევჩერდებით. მოცემულ ვითარებაში იმის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით, რომ ფსიქოლოგიურ ქცევად ადამიანის ის ფსიქოფიზიკური აქტიობა უნდა ჩაითვალოს, რომელიც მისი გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ან მის მიერ ცნობიერად დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება. ამ ორივე შემთხვევაში (ჩვენ მათ შემდგომში საგანგებოდ განვიხილავთ) ადამიანის ქცევა ერთი გარკვეული განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ადამიანის ქცევა, როგორც ფსიქოლოგიური ერთეული, ერთი გარკვეული განწყობის რეალიზაციის პროცესს წარმოადგენს.

ქცევათა შორის კავშირურთიერთობის ფორმათა დახასიათების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ფსიქოლოგიურ კანონთა შემეცნება და ფორმულირება.

განწყობის თეორიის მიხედვით ფსიქოლოგიას უფლებაცა აქვს და საშუალებაც, რომ საკუთარ ცნებათა სისტემის გამოყენებით ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლების, მიზეზებისა და გაპირობებულობის შესახებ ილაპარაკოს. ქცევის მოტივის კანონზომიერებათა შესწავლისას სწორედ ამ საკითხების განხილვა ხდება.

როგორც აღრე აღვნიშნეთ, ქცევის მოტივის შესწავლამ პასუხი უნდა გასცეს კიანხაზე: „რატომ ახორციელებს ადამიანი მოცემულ ქცე-

ვას?" აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქცევის მიმართ დასმული კითხვა — „რატომ“ ხშირად ორგვარ შინაარსს გულისხმობს.

ქცევის მიმართ დასმული კითხვა: „რატომ იქცევა ადამიანი ამგვარად?“ ხშირად ქცევის მიმართულებას ეხება. ადამიანის ყოველი ქცევა როგორც ფსიქიკური აქტიობა, მიუხედავად იმისა, სათანადოდ აცნობიერებს თუ არა მას ადამიანი, ყოველთვის გარკვეული მიმართულე ბით ხასიათდება. როდესაც ადამიანი სათანადოდ აცნობიერებს შესაძლო ალტერნატიული ქცევების შესაძლებლობას, ის იძულებული ხდება ამოირჩიოს განსახორციელებელი ქცევა. მაგალითად, ახალგაზრდა, რომელიც ამთავრებს საშუალო სკოლას, ხშირად დგება ამოცანის წინაშე — ამოირჩიოს უმაღლესი სასწავლებელი და ფაკულტეტი, სადაც მან უნდა განაგრძოს სწავლა. სათანადო არჩევანისა და ქცევის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი ხდება საკითხის დაყენება იმის შესახებ თუ „რატომ ამოირჩია, მაგალითად, X პიროვნებამ ფსიქოლოგია სპეციალობა?“ ამგვარი ქცევის მიმართ დასმული კითხვა — „რატომ“ ცხადია, პიროვნების მეტად სერიოზულ ქცევას ეხება. ასეთივე კითხვები შეიძლება დაისვას ყოველი ჩვეულებრივი ქცევის მიმართ. „რატომ წაიღია X პიროვნება გარკვეული კინოსურათის სანახავად? რატომ ჩააცვა მან დღეს სწორედ ეს ფეხსაცმელები? რატომ ეწვია იგი დღეს სტუმრად X პიროვნებას?“ და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიის წინაშე დგება საკითხი — „რატომ“ ამოირჩია ადამიანმა ან სახის, ამ მიმართულების ქცევა.

ზოგჯერ ქცევის მიმართ დასმულ კითხვას — „რატომ“ განსხვავებული სახის შინაარსი და ელფერი აქვს. ხშირად რომელიმე მიმართულების ერთხელ ამორჩეული აქტიობა ადამიანისათვის მყარი, ჩვეული და სტერეოტიპული ხდება. ასეთ შემთხვევაში ადამიანის ქცევის მიმართ ჩნდება ხოლმე საკითხი — „რატომ“ მიმართავს ადამიანი რომელიმე სახის ქცევას ასე ხშირად და დაჟინებით. „რატომ ხდება გარკვეული ხასიათის ქცევა მოცემული ადამიანისათვის დომინირებულად?“ ასეთ შემთხვევაში ადამიანის ქცევის მიმართ შემდეგი სახის კონკრეტული კითხვები ჩნდება: „რატომ დგება X პიროვნება სისტემატურად დილის 6 საათზე?“ „რატომ აგროვებს X პიროვნება მარკებს?“ „რატომ მუშაობს X მეცნიერი 20 წლის მანძილზე ერთ საკითხზე. მაშინ როდესაც სხვებმა ამავე ხნის მანძილზე უამრავი საკვლევი თემა გამოიცვალეს?“

მაშასადამე, ადამიანის ქცევის მიმართ დასმული კითხვა „რატომ“ ჩვეულებრივ, მისი ქცევის მიმართულებას ან ქცევის სტერეოტიპულობას ეხება. აღსანიშნავია, რომ მოტივაციის საკითხთა გარჩევისას უფრო ხშირად აღნიშნული კითხვის პირველი მნიშვნელობა აქვთ სხედველობაში. მართლაც, სტერეოტიპული, ჩვეული ქცევის განხორციე-

ლებმა, მრავალი შესაძლებელი ქცევიდან რომელიმეს ამორჩევა და შესრულება ერთი და იმავე კანონზომიერებით არ ხორციელდება. ინდივიდის პრაქტიკული საქმიანობა და პიროვნების მცერ საყოყმანო ვითარებაში რომელიმე ქცევის შერჩევა ფსიქოლოგიურად სრულიად სხვადასხვა ბუნებისაა. მოტივაციის საკითხები მეორე სახის ქცევის შესწავლის დროს ჩნდება. მართალია, ზოგჯერ მოტივაციის პირობების რიგშია შეტანილი ისეთი საკითხები, როგორცაა ინდივიდის ქცევის მიზანშეწონილების საფუძვლები და გარკვეული ქცევის განმტკიცება-ფიქსირება, მაგრამ ამგვარი განზოგადების დროსაც საჭირო ხდება მითითება იმ სპეციფიკურ კანონზომიერებაზე, რომლითაც ხასიათდება ინდივიდის განწყობისეული მიზანშეწონილი ქცევა. ამიტომ საკითხებით მისაღებად ჩანს ის თვალსაზრისი, რომელიც პიროვნების მიერ გარკვეული ქცევის შერჩევის, მიღებისა და განხორციელების საკითხებს ინდივიდის აქტიობისაგან გამოყოფილად განიხილავს. სწორედ ამ კონტექსტში დგება მოტივაციის საკითხები. მოტივაციის საკითხთა განხილვისას, ჩვენც, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება, პიროვნების მიერ გარკვეული მიმართულების ქცევის შერჩევისა და მისი განხორციელების კანონზომიერების შესახებ გვექნება საუბარი.

ამ პოზიციას კიდევ ერთი გარემოება ამავრებს. რასაც მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანთა წინაშე ხშირად სხვისი ქცევის განმსაზღვრელ მოტივთა გარკვევის ამოცანა დგება. როდესაც კოლექტივში რომელიმე წევრი უჩვეულო ქცევას ავლენს, სხვები იწყებენ მისი ქცევის მოტივების ძიებას. თუ, მაგალითად, A პიროვნება რომელიმე საკითხის გარჩევის დროს ყოველთვის გარკვეულ პოზიციას იცავდა და შემდგომში საჩაროდ უცბათ საწინააღმდეგო პოზიციის დაცვა დაიწყო, მისი ახლობლები, იმის მიხედვით, თუ რა შეხედულებისანი არიან მის მიმართ, მის ქცევას გარკვეული მოტივებით ახსნიდნენ. ასეთ მოტივად შეიძლება გამოდგეს ის, რომ A პიროვნებამ მართლა შეიცვალა აზრი ამ საკითხზე; შესაძლებელია საწინააღმდეგო პოზიციის დაცვა მას. იმისათვის სჭირდება, რომ ამ პოზიციაზე დგომა მისთვის სასარგებლოა; პოზიციის ამგვარი შეცვლა შესაძლებელია A პიროვნების გარკვეული მანევრი იყოს. ამით მას შეიძლება სურდეს გამოავლინოს ამ შეხედულებათა ისეთი დამცველები, რომლებიც თავს იკავებდნენ და არ ამქლავებდნენ თავის პოზიციას და სხვა. სხვისი ქცევის განმსაზღვრელი მოტივების გამოძებნა, სხვისი ქცევებისადმი გარკვეული მოტივების მიწერა კოლექტიური აქტიობის მუდმივად თანმხლები აქტიობაა. ამგვარი აქტიობა განსაკუთრებით ნათელი და ობიექტივირებული ხდება, როდესაც ადამიანთა ქცევა ჩვეული და სტერეოტიპული აღარაა. სხვათა უჩვეულო ქცევისადმი მოტივის მიწერის მოთხოვნა-

ლება იმითაა გამოწვეული, რომ ასეთ ქცევათა განხორციელება, როგორც ეს ყველამ კარგად იცის, მართლაც გარკვეულ მოტივთა საფუძველზე ხდება. ისეთ სიტუაციებში, სადაც თითქმის ერთადერთი სახის ქცევაა შესაძლებელი და A პიროვნება სწორედ ამგვარ ქცევას ახორციელებს, B ადამიანს არ უჩნდება ტენდენცია ეძებოს A ადამიანის ქცევის მოტივი. ასეთ ვითარებაში თითონ A ინდივიდიც არ მიმართავს მოტივაციას, იგი უშუალოდ განწყობისეულად ასრულებს ბუნებრივ ქცევას. მოტივაციის აუცილებლობის წინაშე ადამიანი მაშინ დგება, როდესაც სიტუაციაში სხვადასხვა ქცევის შესაძლებლობა არსებობს. შესაძლებელი ქცევებიდან რომელიმესადმი უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში სხვა ადამიანებისა (რომლებიც პრაქტიკული ინტერესებით არიან დაკავშირებული ამ ქცევასთან) და ფსიქოლოგების წინაშე (რომლებსაც ასეთი ქცევის მიმართ თეორიული ინტერესები აქვთ) მოტივის საკითხი წამოიჭრება. სხვისი ქცევის მოტივის ძიებისას ადამიანები სრულიად სამართლიანად იმ თვალსაზრისიდან გამოდიან, რომ ალტერნატიულ სიტუაციაში პიროვნების მიერ რომელიმე ქცევის არჩევის დროს რეალურად ადგილი აქვს მოტივაციის პროცესს, მისთვის მისაღები ქცევისათვის მოტივის გამოძებნას. ადამიანებს შორის ერთიმეორის ქცევის მოტივთა დადგენის შემდეგ შესაძლებელი ხდება შეთანხმებული სოციალური აქტიობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული და იმპულსური აქტიობის დროს ადამიანთა ქცევის მიზანშეწონილი მიმდინარეობა იმ პრაქტიკული განწყობის საფუძველზე ხორციელდება, რომელიც მათ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების საფუძველზე, ცნობიერი მონაწილეობის გარეშე უყალიბდებათ. ალტერნატიული სიტუაციის შემთხვევაში კი ადამიანები არჩევანის წინაშე დგებიან, მათ გაცნობიერებული აქვთ ქცევის სხვადასხვაგვარი გაგრძელების შესაძლებლობა. ისინი ეძებენ მოტივს ქცევის ამა თუ იმ მიმართულებით გაგრძელების სასარგებლოდ. გარკვეული მოტივის საფუძველზე მათ გამოაქვთ გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქცევის სასარგებლოდ და სხვა ფაქტორებთან ერთად მათ უყალიბდებათ გარკვეული ქცევის განწყობა. ამგვარი ქცევა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის მესამე დონეზე ხორციელდება. ასეთი ქცევის განწყობა პიროვნების აქტიური და ცნობიერი მონაწილეობით იქმნება. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობა მოტივაციის საფუძველზე შექმნილი განწყობის ფორმირებისა და რეალობაციის კანონზომიერებით არის გაპირობებული. მოტივაციის პროცესები მესამე დონის ფსიქიკური აქტიობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ამიტომ მისი კანონზომიერებანი შეიძლება სოციალურ განწყობათა ფორმირებისა და შეცვლის კონტექსტში იყოს შესწავლილი,

მაგრამ აქ მაინც აუცილებელი ხდება მოტივაციის ზოგიერთი სპეციფიკური ასპექტის გათვალისწინება.

8: 1. იმპულზითი მოქმედებისა და თვითაქტიუზის განცდა

აქამდე ჩვენ ადამიანის ქცევისა და მისი ქცევის მოტივთა შესახებ უმთავრესად „გარედან“, ობიექტური თვალსაზრისით ვლაპარაკობდით, მაგრამ ქცევის მოტივის განხილვისას გვერდს ვერ აუღვლით იმ ფსიქიკური მდგომარეობის ბუნების შესწავლას, რომელსაც პიროვნება თავისი ქცევის აღმძვრელ სულიერ მოვლენად განიცდის. ადამიანს ხშირად სურს ამა თუ იმ მოქმედების შესრულება; მას სწადია გარკვეული საგნის დაუფლება, იგი განიცდის მოთხოვნილებას გარკვეული საგნის მიმართ, მას აქვს გარკვეული მიზნები და სხვ. ადამიანი ხშირად განიცდის, რომ მისი ქცევა გარკვეული მიმართულებით მისი სურვილისა და მოთხოვნილების გამო ხორციელდება. მას მიზნად აქვს დასახული ამ მოქმედების შესრულება. პიროვნების მიერ ასეთივე მნიშვნელობის მქონედ განიცდება ის სულიერი მდგომარეობანი, რომლებიც განრიდების ქცევასთანაა დაკავშირებული. ადამიანებს არა მხოლოდ ისეთი განცდები აქვთ, რომლებიც, მათი აზრით, სასურველი საგნებისა და სიტუაციებისაკენ უბიძგებენ, მათი მიზნების შესრულებას ემსახურებიან; მათ ისეთი განცდებიც გააჩნიათ, რომლებიც მათ გარკვეული საგნებისა და სიტუაციებისაკენ განრიდებისაკენ უბიძგებენ. ისეთი ფსიქიკური მდგომარეობანი, როგორცაა შიში, სიძულვილი, ანტიპათია და სხვა, ადამიანს უბიძგებს განერიდოს გარკვეულ საგნებსა და მდგომარეობებს.

მრავალი ქცევის საფუძვლად და მიზეზად ადამიანი თვითონ ხშირად ისეთ განცდებს ასახელებს, როგორცაა სურვილი, მიზანი, ნდობა, სიმპათია, საჭიროების განცდა, შიში, სიძულვილი, ზიზღი, მიუღებლობა და სხვა.

ისეთი ტიპის ფსიქიკური მდგომარეობანი, რომლებსაც ადამიანი თავისი ქცევის აღმძვრელ სულიერ ფენომენებად განიცდის ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ა) სულიერი მდგომარეობანი, რომლებიც ქცევის აღმძვრელ პოზიტიურ ძალებად განიცდებიან, და ბ) ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც ადამიანის მიერ ნეგატიურ ძალებად განიცდებიან. მათი ნეგატიურობა და პოზიტიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი განიცდებიან ადამიანის ქცევის ან როგორც გარკვეული საგნებისა და სიტუაციისაკენ წარმმართველი ძალები, ანდა როგორც საგნებისა და სიტუაციებისაკენ უკუმგდებნი, ვანმარიდებელნი. ამ განცდების ნეგატიურად და პოზიტიურად დახასიათებისას მხოლოდ ის ემოციური შინაარსები არ უნდა გვქონდეს მხედველობაში,

რომლებიც ამ განცდებს სიამოვნება-უსიამოვნების გარემოებების სა-
ხით ერთიან. მათი ნეგატიურობა თუ პოზიტიურობა იმითაცაა განსაზ-
ღვრული, თუ ქცევის რა მიმართულების მიმცემ ძალებად განიცდებ-
ნიან ისინი, — გარკვეული ობიექტებისაკენ წარმართველ თუ მათგან
განმრიდებელ ძალებად.

პოზიტიური აფექტური შინაარსი, რომელსაც ადამიანი ქცევის აღ-
მკვრელ ძალად განიცდის, შესაძლებელია როგორც სიამოვნებას, ასე-
ვე უსიამოვნებას აყენებდეს ადამიანს. ალკოპოლზე მოთხოვნილება
ადამიანს სასმელის მოპოვების ქცევისაკენ უბიძგებს. მაგრამ შესაძ-
ლებელია, რომ თვით ამ მოთხოვნილებას და მის საფუძველზე აღძრულ
ქცევასაც ადამიანი უსიამოვნოდ განიცდიდეს. ასეთ შემთხვევაში ადამი-
ანები ხშირად სრულიად ნათლად ანსხვავებენ ერთმანეთისაგან თა-
ვისი განცდის იმ ძალისმიერ აფექტურ მხარეს, რომელიც მათ ქცევის
მიმართულების განმსაზღვრელად ევლინება.

მაშასადამე, არსებობს გარკვეული სახის ფსიქიკური შინაარსი, რო-
მელსაც ადამიანი თავისი ქცევის მიზეზად განიცდის. ასეთი განცდებ-
ის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ისინი მხოლოდ ემოციური
განცდები არაა. ადამიანი მხოლოდ ისეთ ქცევას როდი ახორციელებს,
რომელიც დადებით ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული და
უარს როდი ამბობს ისეთ ქცევაზე, რომელსაც უსიამოვნო ემოციებს
უკავშირებს. არსებობს განცდათა მთელი რიგი, რომლებიც ადამიანს
ქცევის განმსაზღვრელად მიაჩნია და მათი წმინდა ემოციურ განცდებ-
ად ჩათვლა არ შეიძლება.

ამ დებულების წინააღმდეგ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ე. წ.
ამბივალენტური ემოციური განცდები.

ამბივალენტური გრძნობები, როგორც ცნობილია, თავისთავში ერთ-
თდროულად სიამოვნებისა და უსიამოვნების ელემენტებს შეიცავენ.
მაგალითად, ეჭვიანობის განცდაში გარკვეული პიროვნების მიმართ
როგორც სიყვარულის, ისე სიძულვილის გრძნობაა ჩართული. ეს
გრძნობები ამ მთლიან განცდაში ერთმანეთს არ ანეიტრალებენ. ასე-
თივე ბუნებისაა, მაგალითად, მორჩილების განცდა, რომელიც ხშირად
ძალმომირეობის გარეშეა აღმოცენებული. ამ განცდაში პატრიისციუმის
დადებით-ემოციური გრძნობის მომენტთან ერთად, უსიამოვნო ემო-
ციური გრძნობის მომენტიცაა მოცემული იმისადმი, ვინც მორჩილების
გრძნობებს იწვევს.

შეიძლება გვეფიქრა, რომ უსიამოვნო ქცევის განხორციელება ამ-
ბივალენტური ემოციების საფუძველზე ხდება. შესაძლებელია ამბივა-
ლენტური ემოციური განცდის დადებითი მომენტი საფუძველად ედებო-
დეს ქცევას, ხოლო უსიამოვნო ემოციური მომენტი მას თან ერთ-
ვოდეს, როგორც მასთან დაკავშირებული ამბივალენტური განცდის

პოლარული კომპონენტი. ადამიანის ქცევისა და ამბივალენტური ემოციური განცდის ამგვარი ვარიანტის თანხვედრა ზოგჯერ რეალურად მართლაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ასეთი შემთხვევა საკითხს მაინც ვერ გადაწყვეტს.

როცა პიროვნება თავისი ქცევის მიზეზად ისეთ განცდებს თვლის, როგორცაა მიზანი, საჭიროება, მისაღებლობა, სამართლიანობის განცდა და სხვა, ხშირად სიამოვნება-უსიამოვნების განზომილებას არც გულისხმობს. გარდა ამისა, ადამიანი ხშირად განიცდის, რომ იგი თავისი ემოციური განცდების შესატყვისად არ მოქმედებს: უფრო მეტიც, ადამიანები ხშირად განიცდიან, რომ ისინი ზოგჯერ თავისი ემოციური განცდების საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან.

მაგრამ ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი ხშირად ვერ აცნობიერებს იმ ემოციურ განცდებს, რომლებიც მის აქტიობას ედება საფუძვლად. როდესაც ის ფიქრობს, რომ იგი საჭიროების, სამართლიანობის, მიზნის, მორალურობისა და სხვა განცდების საფუძველზე მოქმედებს, შესაძლებელია მას გაუცნობიერებლად სიამოვნება-უსიამოვნების ემოციური განცდები ამოძრავებდეს. ასეთი ეჭვი სრულიად სამართლიანად შესაძლებელია გაჩნდეს ქცევის საფუძველად სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპის გამოცხადების დროსაც.

როდესაც ადამიანი განიცდის, რომ იგი გარკვეულ საქმიანობას საკუთარი სიამოვნებისათვის ახორციელებს, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია რეალური ვითარება არ შეესატყვისებოდეს მის ვარაუდს, განცდას. გამორიცხული არაა, რომ ამ დროს მის ქცევას სხვა საფუძველი ჰქონდეს, სხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. ასეთი ეჭვი შესაძლებელია გაჩნდეს ყველა იმ განცდის მიმართ, რომელსაც პიროვნება თავისი ქცევის მიზეზად თვლის. ამიტომ აღნიშნულ საკითხთა განხილვისას ორ საკითხს უნდა შევხვით ურთიერთისაგან იზოლირებულად. ეს საკითხებია: I. რას განიცდის ადამიანი თავისი ქცევის მიზეზად, რის გამოც იგი სწორედ ამგვარად იქცევა და არა სხვაგვარად? ამ კითხვაზე, ჩვეულებრივ, თვით ქცევის ავტორი, განმახორციელებელი იძლევა პასუხს. ეს პასუხი ნათელს ჰდენს საკითხს იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევენ ადამიანები თავისი ქცევის განმსაზღვრელად. II. მეორე კითხვა ამ საკითხის ობიექტური თვალსაზრისით განხილვას გვაძლავს: რა არის რეალურად ადამიანის ქცევის მიზეზი, საფუძველი? რატომ იქცევა ადამიანი ამგვარად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის ფსიქოლოგიას ქცევის განმახორციელებელი პიროვნების განცდების გარდა სხვა მოსაზრებათა დამატებაც სჭირდება.

აღნიშნული საკითხები აშკარად განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათ აღძვრას ხშირად ბევრი გაუგებრობა მოსდევს. ეს საკითხები კანონი-

ერია და მათი გათვალისწინების საფუძველზე უნდა მოხდეს პიროვნების მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლა.

იმისათვის, რომ არც ერთი საკითხი არ დავტოვოთ უყურადღებოდ პიროვნების ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლების განხილვისას, შევხებით ქცევის როგორც გაცნობიერებულ მადეტერმინებელ ფენომენებს, ისე გაუცნობიერებელ ტენდენციებსაც. ცნობიერების ფენომენებში, რომლებიც პიროვნების მიერ ქცევის განმსაზღვრელ დეტერმინანტებად განიცილებიან, ჩვეულებრივ, ცნობიერი მოთხოვნილებები, სურვილები და მიზნები იგულისხმება; ქცევის განმსაზღვრელ არაცნობიერ ტენდენციებში კი არაცნობიერი მოთხოვნილებანი. განდევნილი სურვილები და სხვა გაუცნობიერებელი ტენდენციები ივარაუდება. ამ ტიპის არაცნობიერი ფსიქიკური ფენომენები ხშირად განწყობის ცნებაშია გაერთიანებული.

როდესაც ადამიანს ეკითხებიან, თუ რატომ ჩაიღინა მან ესა თუ ის ქცევა, იგი ყოველთვის ცდილობს გამოძებნოს გარკვეული მოსაზრება განხორციელებული ქცევის გასამართლებლად და ასახსნელად. საკუთარი ქცევის საფუძვლების განსაზღვრისას ადამიანები, ჩვეულებრივ, ორგვარ მოვლენაზე მიუთითებენ: ასახვევ იმ საგნებს, ანდა იმ მოვლენებს, რომელთა შემოქმედების შედეგადაც განხორციელეს ქცევა: პირველ შემთხვევაში იმპულსურ მოქმედებასთან გვაქვს საქმე, მეორეში კი — ნებელობით ქცევასთან. იმპულსური ქცევის განხორციელებისას ადამიანი საგნის შემოქმედებას, იძულებას განიცდის მაგალითად, წყალი ხშირად მისი დაღვევის ისეთ დაუძლეველ იმპულსს იწვევს, რომ ადამიანი ვერ ახერხებს მის შეკავებას და სვამს, მიუხედავად იმისა, რომ იცის ამ ქცევის მავნებლობა. საგნებს ასეთი შემოქმედების უნარი, „გამომწვევი ხასიათი“ ყოველთვის როდი აქვთ, წყალი გამომწვევ ხასიათს მაშინ იღებს, როდესაც ადამიანს სწყურია, საქმელი კი მაშინ — როცა შია. ცეცხლი გათოშოილ ადამიანს იზიდავს. მაგრამ დასიცხულში განრიდების იმპულსს აღძრავს. საგნები გამომწვევი ან განმარიდებელი შემოქმედების უნარს იმის მიხედვით ავლენენ, თუ რა მოთხოვნილების მქონე ინდივიდზე შემოქმედებენ. მიუხედავად იმისა, რომ იმპულსური ქცევის გამოწვევას ინდივიდში. საგნები შესატყვის მოთხოვნილებათა არსებობის დროს ახდენენ, ადამიანის მიერ იმპულსური ქცევა საგნის შემოქმედების შედეგად განიცდება. იმპულსური ქცევის მიზეზებად პიროვნება საგნებს განიცდის, ამ ქცევის სტიმულები „გარედან მოდიან“. ინდივიდის აქტიობა საგნების შემოქმედებით აღძრული იმპულსური ქცევებით ამოიწურება. ადამიანი, ჩვეულებრივ, ემორჩილება საგნების ამგვარ იძულებით შემოქმედებას და იმპულსური ქცევის პასიურ მეთვალყურეს წარმოადგენს. მაგრამ ცნობილია, რომ იმპულსურ ქცევასა და პიროვნებას შორის ხშირად კონფ-

ლიქტი ჩნდება. ეს იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც იმპულსური ქცევა არ შეეფერება პიროვნების შეხედულებებს. ამ დროს ადამიანი, როგორც პიროვნება, ცდილობს არ დაუშვას მისი მორალური და სოციალური ორიენტაციებისადმი შეუთავსებელი იმპულსური ქცევა. პიროვნება ამას ხშირად ახერხებს კიდევ, მაგრამ პიროვნების აქტიობა ასეთი ნეგატიური საქმიანობით არ ამოიწურება. პიროვნება არა მხოლოდ ებრძვის მიუღებელ იმპულსურ ქცევას და ადგილს უთმობს სხვას, არამედ გარკვეულ პოზიტიურ საქმიანობასაც ეწევა. იგი ითვალისწინებს შესაძლო ქცევებს, ირჩევს ისეთს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება მის შეხედულებებსა და ორიენტაციების სისტემას და მთელ ძალებს ამ ქცევის რეალიზაციისაკენ მიმართავს. ასეთ ვითარებაში ადამიანს თვითაქტიობის სრულიად ნათელი განცდა აქვს. ეს აქტიობა ნებელობის პროცესთან მონაწილეობით სრულდება. ამ დროს პიროვნებას შეუძლია დაასახელოს ის მოსაზრებები და განცდები, ის მოტივები, რომელთა საფუძველზეც იგი აებელობით ქცევას ახორციელებს. მოტივაციის საკითხთა გარჩევისას სწორედ ასეთი ქცევა აქვთ მხედველობაში. როცა პიროვნება ქცევის გაგრძელების არჩევანის წინაშე დგას, მას სწორედ მაშინ უჩნდება რომელიმე გზის ამორჩევისა და შესატყვისი ქცევის განხორციელების ამოცანა. მოტივაციის პროცესი რომელიმე შესაძლებელი ქცევისათვის უპირატესობის მინიჭებაში მდგომარეობს.

ამრიგად, ქცევაში პიროვნების მონაწილეობის საკითხის ფენომენოლოგიური თვალსაზრისით განხილვისას შეიძლება აქტიობის ორი კლასი გამოიყოს: 1. ინდივიდის მიერ განხორციელებული იმპულსური ქცევა, რომელიც პიროვნების აქტიური მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს და ადამიანის მიერ საგნის ზემოქმედებით აღძრულ, იმპულსურ ქცევად განიცდება; 2. პიროვნების მიერ არჩეული ქცევა, რომელიც მისი შეხედულებების, მოტივის საფუძველზეა მიღებული და პიროვნების აქტიური მონაწილეობით სრულდება. ორივე სახის ქცევა ადამიანის მიერ სპეციფიკურად და დიფერენცირებულად განიცდება. იმპულსური ქცევის აღმძვრელ სტიმულს ადამიანი „გარეთ არსებულად“ განიცდის. ამ ქცევის იმპულსი „გარედან მოდის“. ნებელობითი ქცევა ადამიანს საკუთარი აქტიობის ნაყოფად მიაჩნია. მისი იმპულსი „შიგნიდან მოდის“, საკუთარი აქტიობიდან მომდინარედ განიცდება. აღნიშნულ აქტიობათა დიფერენცირებულ განცდას თავისი რეალური საფუძველები აქვს და იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის აქტიობის შესწავლისას.

8. 2. იძულებისა და თვითაპტიობის განცდათა საზოგადოებრივი

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანი თავის მოქმედებას ხან „გარედან მოქმედი“ ძალების შედეგად აღძრულ პროცესად განიციდის, ხან კი — „შიგნიდან მომდინარედ“. პირველ შემთხვევაში ადამიანს იმის განცდა აქვს, რომ მისი ქცევა საგნობრივი ვითარების ზემოქმედებით არის განსაზღვრული, იგი იძულებულია ასე მოიქცეს. ამგვარი ქცევა მის ნებაზე ირრად დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში ადამიანი განიციდის, რომ იგი ისეთ ქცევას ახორციელებს, რაც მისი პიროვნების ნებით არის განსაზღვრული. იგი თავისუფალია არჩევანსა და მოქმედებაში, ისეთ ქცევას ირჩევს და ახორციელებს, რომელიც სურს. პირველი სახის მოქმედებათა განხორციელებისას ადამიანი პასიურ მდგომარეობაშია, მეორე სახის მოქმედების დროს ადამიანს თავისუფლებისა და აქტიობის განცდა აქვს. ამ მოქმედებებთან დაკავშირებულ განცდებს თავისი საფუძვლები გააჩნია და ამ საფუძველთა ანალიზი ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს.

8. 2. 1. იძულებითი მდგომარეობის საზოგადოებრივი

იძულებითი ქცევები გარკვეული ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას ადამიანი საგნობრივი გარემოს იძულებას განიციდის. ასეთ იძულებას, ცხადია, ადამიანი მაშინ განიციდის, როდესაც მას ამ საგნების მიმართ მოთხოვნილებანი უჩნდება. იძულება, რომელსაც ადამიანი საგნის ზემოქმედების სახით განიციდის, ფაქტიურად მის მოთხოვნილებებს გამოხატავს. შიმშილის, წყურვილის, სიციხის, დაღლილობისა და სხვა განცდები ცოცხალი ინდივიდის გარკვეული მიმართულებით დანაკლისს, ნორმიდან გადახვევის მდგომარეობას ასახავენ. ამგვარი მოთხოვნილებანი ინდივიდს დაკმაყოფილებისაკენ, დანაკლისის შევსებისაკენ უბიძგებენ. სათანადო სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში ადამიანს დანაკლისის შევსებისათვის საკმარისი ქცევის იმპულსი უჩნდება. ბიოლოგებსა და ფსიქოლოგებს შორის უკვე მიღებულად ითვლება დებულება, რომ ცოცხალი ინდივიდის იმპულსური ქცევა მოთხოვნილებისა და შესატყვისის საგნობრივი სინამდვილის ერთობლივი ზემოქმედების საფუძველზე აღმოცენდება. მაგრამ აქ ორი რამეა ურთიერთისაგან გასარჩევი. ერთია დანაკლისის რეალური მდგომარეობა, მოთხოვნილება, რომელიც ინდივიდს მოცემულ მომენტში აქვს, და მეორეა მისი განცდა-გაცნობიერება. ინდივიდი შესაძლებელია არ აცნობიერებდეს იმას, რომ მას მოცემულ მომენტში გარკვეული მოთხოვნილება აქვს. ადამიანი ხშირად ისე იკმაყოფილებს თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, რომ არ აცნობიერებს

მათ. მაგალითად. მზის სხივების გახანგრძლივებული ზემოქმედების შემთხვევაში ორგანიზმი იწყებს კანის ინტენსიურ პიგმენტაციას. რითაც ბარიერს ქმნის ორგანიზმისათვის მავნე ზედმეტი ულტრაიისფერი სხივებისათვის. რათა მათ ზედმეტი რაოდენობით არ შეაღწიონ ორგანიზმში. ინდივიდი უფრო მაღალი დონის ფსიქიკურ აქტიობას ახორციელებს, როდესაც ჩრდილში აფარებს თავს და ერიდება მზეს; უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი აქტიობაც ხშირად საგანგებო გაცნობიერების გარეშე მიმდინარეობს. ადამიანები ხშირად მიზანშეწონილ მოქმედებას აწარმოებენ ისე, რომ მისი გაცნობიერება არ ხდება. ადამიანი სინამდვილის. თავისი მდგომარეობისა და საკუთარი აქტიობის გაცნობიერებას მაშინ მიმართავს. როდესაც ვითარების გაცნობიერებისა და გააზრების გარეშე შეუძლებელია ქცევის მიზანშეწონილი გაგრძელება. მაგრამ ზოგჯერ ადამიანი აცნობიერებს თავისი იმპულსური ქცევის საფუძვლებსა და მიმდინარეობას. ისე რომ არსებითად არაფერი იცვლება ამ აქტიობაში. ამიტომაცაა, რომ მიზანშეწონილი იმპულსური ქცევის მოდელებსა და თეორიებში ცნობიერების ფაქტს თითქმის არავითარი ყურადღება არ ეთმობა¹. ქცევის თეორიებში მიზანშეწონილი იმპულსური მოქმედების აღმოცენებისა და მიმდინარეობის გაგება ნაცადია იმ რეალური მოთხოვნილებებისა და საგნობრივი ზემოქმედების ერთიანობის საფუძველზე, რომლებიც რეალურად არსებობს ინდივიდისა და სინამდვილის ურთიერთობის პროცესში. ეს მოთხოვნილებანი გაცნობიერების გარეშეც ახდენენ რეალურ გავლენას ინდივიდის ქცევაზე. იმპულსური აქტიობის დონეზე არსებობს განწყობისეული მოქმედების კანონზომიერება. რომელიც განსაზღვრავს აქტიობას: მოუხედავად იმისა. თუ რას განიცდის ადამიანი თავისი ქცევის საფუძვლად.

ამ კანონზომიერების რეალიზაცია ინდივიდის მოთხოვნილებათა და შესატყვისი საგნების თანხვედრის ვითარებაში ხდება. ამიტომ ამ დონის ფსიქიკური აქტიობის შინაარსის დახასიათებისათვის საჭიროა შესწავლილ იქნეს ინდივიდების მოთხოვნილებების, მოთხოვნილებათა სტრუქტურის, მათი ფუნქციებისა და განვითარების თავისებურებანი.

ცოცხალი ინდივიდის არსებობა უკვე თავისთავად გულისხმობს ვარკვეულ მოთხოვნილებებს. სიცოცხლის გააზრება შეუძლებელია მოთხოვნილებათა გარეშე. ძირითად მოთხოვნილებათა დაუქმყოფილებლობის შემთხვევაში ინდივიდი დაიღუპება, როგორც ცოცხალი არსება. ზოგადი ვიტალური მოთხოვნილების დაქმყოფილების პროცესში

¹ დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“. ტ. VI, თბილისი, 1949.

ხდება მოთხოვნილებათა დიფერენცირება-განვითარება. კვებისა და გამრავლების მოთხოვნილებანი დიფერენცირდებიან სხვადასხვა სახელის მოთხოვნილებებად. ადამიანისათვის კვების მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ საკვების მიღებით აღარ ხდება. ადამიანი ამ პროცესში, ცხოველისაგან განსხვავებით, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პროცედურების, მანერებისა და წესების მთელ რიგს, რომლებიც უშუალოდ არაა კვების ელემენტები. ადამიანს შეუძუწავდა სუფრის გაშლის, დანა-ჩანგლის ხმარების, სადილობასთან და სუფრასთან დაცემირებული წესების შესრულების მოთხოვნილებანი. ცხადია, თითქმის აღარაფრით წაიგავს გამრავლების მოთხოვნილება სიყვარულისა და სულიერი ურთიერთობის იმ ურთულეს ფარგლებს. რომლებიც თანამედროვე ქალსა და მამაკაცს შორის არსებობს.

ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები ინდივიდის ბაზისურ ვიტალურ მოთხოვნილებათა დიფერენციაციის საფუძველებზე აღმოცენებული. თავდაპირველად ვიტალური მოთხოვნილებები ყალიბდება იმის საფუძველზე, თუ როგორ ხდება შათი დაკმაყოფილება - ფრუსტრაცია; მაგალითად, იმის მიხედვით. თუ რა სახის საჭმლით კმაყოფილდება კვების მოთხოვნილება. ადამიანს დიფერენცირებული შინაარსის მოთხოვნილებანი უყალიბდება. მას შესაძლებელია ჰქონდეს პურის, ჭადის ან ბრინჯის მოთხოვნილება. ადამიანს ასევე შეიძლება წყურვილის დაკმაყოფილება სურდეს მინერალური წყლით, ლუდით ან ღვინით. მოთხოვნილებათა გარკვეული სპეციფიკური სახეების ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა წარმატება-მარცხს განიცდის ადამიანი მათი დაკმაყოფილების პროცესში. თუ ფიზიკური მონაცემების გამო ადამიანს პრაქტიკულ საქმიანობაში ყოველთვის მეტი წარმატება აქვს ვიდრე. მაგალითად, ინტელექტუალურ საქმიანობაში, ასეთ ვითარებაში, მოსალოდნელია, რომ მას სპორტულ და ფიზიკურ საქმიანობაზე მეტი მოთხოვნილება ექნება, ვიდრე შემეცნებით აქტიობაზე. თუ ადამიანი ხშირად განიცდის ფრუსტრაციას ნატერიალურ ღირებულებათა მოხვედრის საქმიანობაში და მეტი წარმატება აქვს ინტელექტუალურ სფეროში. მეტი აღმათობა არსებობს იმისათვის. მის მეცნიერი გახდეს.

მოთხოვნილებათა უახასიათებლისას ფსიქოლოგიაში. ჩვეულებრივ, მოთხოვნილებათა ორ ძირითად კლასზე მიუთითებენ. მათ სხვადასხვა ტერმინებით ახასიათებენ. მაგრამ არსებითად ერთი და იგივე მოვლენები აქვთ მხედველობაში. ესენია: ბიოლოგიური და სოციალური, მაღალი და დაბალი ან ცხოველური და ადამიანური. მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. ყველა ამ ალტერნატიული ტერმინის საშუალებით მოთხოვნილებათა სხვადასხვა ასპექტია ხაზგასმული. მოთხოვნილებათა ბიოლოგიურ და სოციალურ მოვლენებად დაყოფის

შემთხვევაში მოთხოვნილებანი განსხვავებულია იმის მიხედვით, საი-
ცოცხლო მნიშვნელობის მქონე ქცევის შინაგან იმპულსზეა დაბარაყო,
თუ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ შინა-
გან ტენდენციებზე. მაღალ და დაბალ მოთხოვნილებათა გარიყვისას
ყურადღება გამახვილებულია მათ გენეტიკურ მხარეზე. ზოგიერთი
მოთხოვნილება უფრო აღრინდელი წარმომობისაა და ზოგი მეორა-
დი. მაგრამ მოთხოვნილებათა ამ კლასების შიარის არსებობს კიდევ ერთ
თი თავისებურება. რომელიც მათ სტრუქტურულ ბუნებას ეხება და
რომლის გათვალისწინება აუცილებელია ადამიანის აქტიობის სპეცი-
ფიკურობის გაგებისათვის.

მოთხოვნილებათა ერთ კლასში შეიძლება გაერთიანდეს ის მოთხო-
ვნილებანი, რომლებიც ცოცხალი ინდივიდის თვითშენარჩუნების.
თვითაღვცენის. წონასწორობის ტენდენციიდან მომდინარეობს. მაგა-
ლითად. როცა ინდივიდი ბევრ სითხეს კარგავს, მას უჩნდება დანაკ-
ლისის შეგების მოთხოვნილება. მას წყალს სწყურდება და, თუ არ
დალია, დაიღუპება. ასეთივე ხასიათისაა საქმლის, ტემპერატურის,
დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებანი რომლებიც ცოცხალი ინდივი-
დის სორმალური მდგომარეობიდან გამოსვლას გამოხატავს და დარღ-
ვეული წონასწორობის აღდგენისაკენ უბიძგებს. მაგრამ ადამიანის
ფსიქიკური აქტიობის, მისი განვითარების თავისებურებათა გათვალის-
წინების საფუძველზე ირკვევა, რომ ადამიანს მხოლოდ წონასწორო-
ბის აღდგენის, თავისი სტრუქტურის შენარჩუნების ტენდენცია არ
ახასიათებს. გარდა „იფევედყოფნის“ ტენდენციისა. მას ამავე დროს
აქვს „სხვადაყოფნის“ ტენდენციაც. ეს სხვადაყოფნის ტენდენცია ყო-
ველგვარი სახის სხვადაყოფნის მისწრაფებას არ ნიშნავს. სხვადაყოფ-
ნის ტენდენციას გარკვეული მიმართულება აქვს, რაც გარემოსთან ურ-
თიერთობის პროცესში ხორციელდება. სხვადაყოფნის ტენდენცია ინ-
დივიდს თავისი სტრუქტურის შემდგომი დიფერენცირების მიმართუ-
ლებით უბიძგებს რაც საბოლოო კენი ადამიანთა განვითარების, შემდ-
გომი დიფერენცირება-გართულების საბოლოო გამოიხატება. სხვადაყოფ-
ნის ტენდენციის საფუძველზე ადამიანს აქვს და უყალიბდება მოთხოვ-
ნილებები ახალ. აბსტრაქტულ და სოციალურ ღირებულებათა მიმართ.
ამიტომ სწორი არაა შეხედულება, რომელიც მოთხოვნილებებს მხო-
ლოდ დანაკლისის სახით, დანაკლისის გამოხატულებად განსაზღვრავს.
ადამიანს, ზართლაც აქვს მოთხოვნილებანი, რომლებიც მის დანაკლისს
ცხადყოფენ, მაგრამ მას გააჩნია ტენდენციებიც, რომლებიც გამოხა-
ტავენ მის მისწრაფებას ისეთი ობიექტებისა და მოვლენებისაკენ, რომ-
ლებიც მას არ დაუკარგავს. ესეთიკური და მორალური ღირებულე-
ბების მქონე ობიექტებისაკენ სწრაფვა. ცოდნის დაუფლებისაკენ მისწ-
რაფება ადამიანს დარღვეული წონასწორობის აღდგენისაკენ არ უბიძ-

გებს. პირიქით, ამ მისწრაფებებს ადამიანი განვითარებისა და ცვლილებებისაკენ მიჰყავს, მისი ძველი სტრუქტურის გართულებისა და შემდგომი დიფერენციაციისაკენ უბიძგებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორია არ უნდა იყოს დანაკლისის საფუძველზე აღმოცენებული მოთხოვნისა და ამგვარი მისწრაფებების გაერთიანება მოთხოვნილებების ცნებაში. მათი ურთიერთისაგან განსხვავებულობა ყველასათვის ნათელია, რის გამოც მათი დიფერენცირებისათვის მაღალი და დაბალი მოთხოვნილებების ან ბიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების ცნებებია შემოტანილი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მათ შორის უდიდესი განსხვავება არსებობს და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მათი გამოხატვა მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების ცნებებით.

დანაკლისის საფუძველზე აღმოცენებულ მდგომარეობას, რომელიც ადამიანს გარკვეული საგნების მიმართულებით ან საგნებისაგან განზიდებისაკენ უბიძგებს, რომლის დროსაც დარღვეულია ინდივიდის ნორმალური წონასწორი მდგომარეობა, შეიძლება მოთხოვნილების ტერმინი უწოდოს.

ტენდენციების ის კლასი, რომელიც უჩნდება ადამიანს არა იმის გამო, რომ მოცემულ მომენტში ნივთიერ დანაკლისს განიცდის, არამედ იმიტომ, რომ მას აღრე ურთიერთობა ჰქონდა გარკვეულ საგნებთან და მოვლენებთან, დახასიათდება მისწრაფებების ცნებით.

მოთხოვნილებებიცა და მისწრაფებანიც ადამიანს შესატყვის საგნობრივ სიტუაციებში გარკვეული ქცევის განწყობას უქმნიან, რისაც სათანადო ქცევა მოსდევს. ამგვარი განწყობისეული აქტიობის დროს ადამიანი შინაგანად შედარებით პასიურ მდგომარეობაში იმყოფება, იგი თავის ქცევას მიჰყვება, ქცევის მეთვალყურის როლშია. ასეთთა იძულებითი, იმპულსური ქცევა.

6. 2. 2. თვითაპირიზის სახით განხორციელებული კომპლექსი

სულ სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე პიროვნული, აქტიური ქცევის განხორციელების დროს. მაშინ როდესაც ადამიანს შინაგანი კონფლიქტური მდგომარეობა ექმნება, როდესაც მას ერთდროულად სხვადასხვაგვარი ქცევის ტენდენციები აღმოუცენდება, ადამიანი იჩერებს თავის აქტიობას, ის როგორც პიროვნება არბიტრის როლში გამოდის. ასეთ ვითარებაში, ჩვეულებრივ, იგი რომელიმე ქცევას მიემხრობა ხოლმე და მას თავისი აქტიური მონაწილეობით ახორციელებს. ასეთ სიტუაციაში კითხვაზე: „რატომ იქცევა იგი ასე?“ ადამიანი მხოლოდ საგნობრივ სინამდვილეზე აღარ მიუთითებს, რომელთა მიმართაც მას მოთხოვნილებანი და სურვილები აქვს. იგი ასახე-

ლებს იმ მოსაზრებებსა და მოტივებს, რის გამოც იგი მიემხრო ერთ-ერთ ალტერნატიულ ქცევას.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კითხვაზე: „რატომ მოიქცა ადამიანი ამგვარად?“ შინაარსულად შეიძლება ორგვარი პასუხი გაეცეს: ერთ შემთხვევაში იმ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებზე მიუთითებენ, რომლებიც საფუძვლად დაედო მის იმპულსურ ქცევას, მეორეში კი იმ მოტივებსა და მოსაზრებებზე, რომელთაც ემხრობა პიროვნება და რომლის შესატყვისადაც იგი როგორც საზოგადოებრივი, სოციალური პიროვნება მოქმედებს. უარყოფითი შედეგების მქონე იმპულსური ქცევის განხორციელების შემდეგ ადამიანები ხშირად თავს იმართლებენ იმით, რომ მათ ძლიერი მოთხოვნილებანი და სურვილები ჰქონდათ და ვერ „გაუძლეს ცდუნებას“. ასეთი აღიარება ადამიანებს, რასაკვირველია, არ ათავისუფლებთ სოციალური და მორალური მსჯავრისაგან, მაგრამ ამით ისინი ფსიქოლოგიურად გარკვეულ თვითგამართლებას აღწევენ. საზოგადოება ბევრად უფრო მეტ პასუხისმგებლად თვლის ადამიანს ისეთი ქცევის განხორციელებისას, რამელიც ადამიანის მიერ შინაგანად იყო შეწყნარებული. თვით პიროვნებაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს და მეტად ცდილობს დაიცვას ქცევა, რომელიც მას მიღებული აქვს, რომელსაც ის მიემხრო, რაც მისი პიროვნების შინაარსს გამოხატავს. ის საბუთები და მოსაზრებანი, რომლის საფუძველზეც პიროვნება „იწყნარებს“ ქცევას და ასრულებს მას, მოტივებს წარმოადგენს. მათი გაგება პიროვნების წვდომას ნიშნავს.

ადამიანის შინაგანი სამყაროს გაგების, მისი აქტიობის მიმართულების განსაზღვრის, იმის გარკვევისათვის, თუ რა ქცევაა მოსალოდნელი მისგან გარკვეულ სიტუაციებში, საჭიროა ვიცოდეთ, ერთი მხრივ, მისი მოთხოვნილება-მისწრაფებები და, მეორე მხრივ, მისი შინაგანი პიროვნული სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვიცოდეთ, თუ რას მიემხრობა კონფლიქტურ სიტუაციაში ის, როგორც პიროვნება. და როგორ მოახერხებს შერჩეული ქცევის განხორციელებას.

8. 2. ადამიანთა მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი

ადამიანთა ჩვეული აქტიობანი მათ მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა საფუძველზე მიმდინარეობს.

საყოველთაოდ მიღებულად ითვლება, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები და მისწრაფებანი იერარქიულად შეიძლება დალაგდეს. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მათი იერარქიულად დალაგების დროს პიროვნებისათვის მათი ღირებულებითი და გენეტიკური

პრინციპი ერთმანეთს ემთხვევა. ჯერ კიდევ მარქსიზმის კლასიკოსებმა მიუთითეს ამაზე; მარქსის საფლავზე წარმოქმულ სიტყვაში ენგელსი განიხილავს მარქსის მიერ დასაბუთებულ დებულებას. როგორც იგი აღნიშნავს, მარქსმა დაასაბუთა, რომ ადამიანები ჯერ იკმაყოფილებენ თავის ვიტალურ-ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს და შემდეგ იწყებენ აზროვნებასა და შემეცნებას.

ამ დებულების საფუძველზეა აგებული მასლოვის თეორია მოთხოვნილებათა განვითარების გარკვეული რიგის შესახებ¹. ემპირიული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე იგი უჩვენებს, რომ მოთხოვნილებანი ვითარდებიან „დაბლიდან მაღლა“. გარკვეული თანმიმდევრობით.

ადამიანს მაღალი მოთხოვნილებები და მისწრაფებები მაშინ უვითარდება, როდესაც დაბალი მოთხოვნილებები ასე თუ ისე დაკმაყოფილებული აქვს. ადამიანი, უბირველეს ყოვლისა, ჰამა-სმისა და ვიტალური მოთხოვნილებებისათვის აქტიობს, როცა მას საკმარისი არა აქვს ამ მოთხოვნილებების დამკმაყოფილებელი პროდუქტები. მაგრამ საკმარისია მან იმდენი სარჩო-საბადებელი მოიპოვოს, რაც ხანგრძლივ მანძილზე საკმარისია მისთვის, რომ უფრო მაღალი ახალი მოთხოვნილებანი გაუჩნდეს. შემდეგში ეს მაღალი მოთხოვნილებები დომინანტური ხდება და ბატონდება ადამიანებზე. როდესაც ისინი დაკმაყოფილდება, შემდეგში მას კიდევ უფრო მაღალი მისწრაფებები უჩნდება და ასე შემდეგ. მასლოვი იძლევა მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა შემდეგ იერარქიულ ნუსხას:

I. ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები: შიმშილი, წყურვილი;

II. უშიშროების მოთხოვნილებები: თავდაცვა. უშიშროების წესების დაცვა;

III. კუთვნილების, სიყვარულის, იდენტიფიკაციის მისწრაფებები;

IV. პატივისცემის, პრესტიჟის, წარმატების მისწრაფებები;

V. თვითაქტიობისა და თვითმეყოფილების მისწრაფებები და სხვ.

შესაძლებელია გარკვეული ექვები გამოითქვას მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა ამ თანმიმდევრობისა და სისრულის შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მასლოვის თეორიაში იდეა მოთხოვნილებათა რიგისა და დომინირებული მდგომარეობის შესახებ ნამდვილად სწორად გამოხატავს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას. რაც უფრო სრულად იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, მით უფრო მეტი მაღალი მოთხოვნილებები უჩნდებათ და, ვარდა ამისა, მათთვის ეს

¹ Maslow A. N. A theory of human motivation. Psychol. Rev. 50. 1943, p. 370—395.

შალალი მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი ბევრად მეტი ღირებულებიანი ხდებიან, ვიდრე დაბალი მოთხოვნილებანი.

ქელმბერმა დაკვირვების საფუძველზე დაადგინა, რომ ბოლივიის ინდიელთა ერთ-ერთ ტომს (სირიონის თემი) თითქმის სრულიად არ გააჩნდათ ზღაპრები, ლეგენდები, მითოლოგია და ხელოვნება. მისი აზრით, ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ეს ხალხი ტროპიკულ ზონაში ცხოვრების გამო, ვერ ინახავს საქმელს; სიციხეში ხორცი, რომლითაც ისინი იკვებებიან, ფუჭდება, ამიტომ ისინი მუდმივად დაკავებული არიან საკმლის მოპოვების აქტიობით. ვიტალურ მოთხოვნილებათა მუდმივად დაუკმაყოფილებლობის გამო მათ არა აქვთ მისწრაფებანი ხელოვნებისა და შემოქმედებითი აქტიობისაკენ¹. ეს მონაცემები ეთანხმებიან მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა იერარქიული დიდრენციაციის თეორიას.

8. 4. ადამიანის მიწრაფებანი და მოწინააღმდეგეები

ვიტალურ მოთხოვნილებათა გარდა, ადამიანი გამოცდილების პროცესში იძენს მისწრაფებებს, რომელთა დაკმაყოფილება მის უშუალო სასიცოცხლო ამოცანებს არ ემსახურება. ამ მისწრაფებათა შინაარსი მეტწილად გაპირობებულია იმ სოციალური გარემოთი, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. მისწრაფებანი შექმნილ ტენდენციებს წარმოადგენს. მაგალითად, ადამიანებს იმის გამო, რომ ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული ხალხის გარემოში ცხოვრობს, ექმნებათ ხელოვნებისადმი მისწრაფება. ეს მისწრაფება აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ მოცემული პიროვნება ექმნის ხელოვნების ნაწარმოებს, ეწევა შემოქმედებას. ამგვარი აქტიობა დამატებითი უნარის არსებობას მოითხოვს. ასეთი უნარის გარეშე შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს მძლავრი მისწრაფება ხელოვნებისადმი. ასეთი მისწრაფებანი შეიძლება არსებობდეს მეცნიერებისადმი, ხელოვნებისადმი, საზოგადოებრივი საქმიანობისადმი, გარკვეულ წესების, ტრადიციებისა და ადათების შესრულება-დაცვისადმი და სხვ. ამგვარი მისწრაფებანი ადამიანის აქტიობაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ვიტალური მოთხოვნილებანი: მაგრამ, მათგან განსხვავებით, მისწრაფებანი გამოცდილების პროცესშია შექმნილი და ინდივიდის განვითარების გარკვეული დონის, საფეხურის შესახებ მოუთითებენ. გარდა ამისა, მისწრაფებანი, მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ისე მოქმედებენ. როგორც ფენომენოლოგიურად მოცემული შინაარსები, ცნობიერი განცდები. ისინი ადამიანის ისეთ ტენდენციებს გამოხატა-

¹ Holmberg A. R. *Nomads of the long bow: the Simono of Eastern Bolivia*. Washington, 1950.

ვენ, რომლებსაც ადამიანები განიცდიან როგორც მისწრაფებას. შეუძლებელია, მაგალითად, ვილაპარაკოთ მუსიკისადმი ადამიანის მისწრაფების შესახებ და დავუშვათ, რომ მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს მუსიკის შესახებ, არა გრძნობს ამ მისწრაფებას. იგივე არ ითქმის ვიტალურ მოთხოვნილებათა მიმართ: ადამიანს მოთხოვნილება ხშირად გაუცნობიერებელი აქვს და ხშირად მისი დაკმაყოფილების აქტიობაც გაუცნობიერების გარეშე ხდება. მისწრაფებანი ორგანიზმის დანაკლისს არ გამოხატავენ და ამავე დროს გარკვეული ღირებულებისადმი ტენდენციასზე მიუთითებენ. ამიტომაც, რომ მათ განცდის ფენომენოლოგიური მოცემულობის გარეშე არსებობის ფორმა არ გააჩნიათ.

რადგან ადამიანებმა იციან თავისი მისწრაფებების შესახებ, ამიტომ ეს მისწრაფებანი მხოლოდ აქტუალური საგნობრივი ზემოქმედების დროს არ ამჟღავნებენ საკუთარ თავს. ადამიანები აცნობიერებენ იმას, თუ რა მისწრაფებები აქვთ მათ, ისინი იყალიბებენ გარკვეულ შეხედულებას თავის მისწრაფებებზე. მაგრამ ვერა და ამ ზოგადი ცნობიერებისა, საკუთარ მისწრაფებათა შესახებ ადამიანებს უმუშავდებათ უფრო კონკრეტული შეხედულებები. ამ მიმართულებით ადამიანები ახდენენ არა მხოლოდ ზოგადი მისწრაფებებს გაუცნობიერებას, არამედ წარმოსახავენ კიდევ იმ სიტუაციებს, საგნებსა და მოვლენებს, რომელთა ურთიერთობაშიც შეიძლება ამ მისწრაფების დაკმაყოფილება. ამ გზით ადამიანები ქმნიან მიზნებს და მიზანთა სისტემას, რომლის მიღწევიდაც შესაძლებელი იქნება მათ მისწრაფებათა რეალიზაცია. ადამიანები მიზნად ისახავენ მისწრაფებათა და მისი დამაკმაყოფილებელი საგნების წარმოდგენათა გაერთიანებას. მაგალითად, თუ ადამიანს მუსიკისადმი მისწრაფება აქვს, მან შეიძლება მიზნად დაისახოს მუსიკალურ სასწავლებელში მოხვედრა და თავის მისწრაფებათა რეალიზაცია. მაგრამ ამ მისწრაფებათა საფუძველზე მან შეიძლება მხოლოდ აბონემენტი იყიდოს, რითაც სიმფონიურ კონცერტებზე ივლის; ან შესაძლებელია მან რადიოცენტრი და ფირფიტები იყიდოს, რომლის მოსმენითაც იგი დაკმაყოფილებს თავის მუსიკალურ მისწრაფებებს. ადამიანს ყოველ მომენტში აქვს მოთხოვნილებებისა და მიზნების გარკვეული სისტემები, რომლებიც მისი პიროვნული აქტიობის მიმართულებაზე მოქმედებს. ადამიანის ცხოვრება განსაზღვრულია არა მხოლოდ იმ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, ურომლისოდაც შეუძლებელია სიცოცხლის გაგრძელება. არამედ იმ მიზნების სისტემითაც, რომლის მიღწევა ადამიანს დროის გარკვეულ მონაკვეთში აქვს დაგეგმილი. ზოგი მხოლოდ ისეთ მიზნებს ისახავს, რომლებიც რამდენიმე დღეში ან კვირაში შეიძლება იქნეს მიღწეული, ხოლო ზოგი რამდენიმე წლის ანგარიშით აყალიბებს მიზნებს. თუ რომ-

გორ მიზანთა სისტემას შეიმუშავენ ადამიანი, ეს არსებითად განსაზღვრულია მისი ფიზიკური და სოციალური გარემოთი, მისი ფსიქოფიზიკური უნარებითა და პირადი გამოცდილებით. ახალგაზრდას, რომელიც სკოლას ამთავრებს. შესაძლებელია მიზნად ჰქონდეს დასახული სწავლის გაგრძელება რომელიმე უმაღლეს სსსწავლებელში. ეს მიზანი მას შეიძლება სხვადასხვა დონის სიზუსტით ჰქონდეს დეტალიზებული. მან შესაძლოა წინასწარ აირჩიოს სპეციალობა, რომელსაც იგი უნდა დაეუფლოს და შესატყვისად მოემზადოს კიდევაც კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. შეიძლება მან იზრუნოს კიდევ ისეთ საშუალებათა მოძებნაზე, რომლებიც გაუადვილებდა ამ მიზნის მიღწევას. მისი მიზნები შესაძლებელია ოჯახის შექმნაზე იყოს ორიენტირებული. მას შესაძლებელია შერჩეულიც ჰყავდეს გულის სწორი და გარკვეულ გეგმებსაც აგებდეს თავისი ზრახვების განსახორციელებლად. ზოგი ფანტიკურად არის შეპყრობილი მეცნიერების ან ხელოვნების სამსახურის მიზნით და მეტნაკლებად წარმოდგენილი აქვს თავისი მომავალი საქმიანობის საფეხურები. ის, თუ რამდენად რეალურ მიზნებს ისახავს ადამიანი ცხოვრებაში და რამდენად თანამიმდევრულად ასრულებს მას, ცხადყოფს მისი პიროვნების სიძლიერესა და ორგანიზებას.

მიზნებს, რომელთა მიღწევასაც ადამიანი ლაშობს. საზოგადოებრივი თვალსაზრისით აფასებენ უარყოფითად ან დადებითად, რეალისტურად ან ფანტასტიკურად. მიზნის ამგვარი შეფასება ხდება იმ სოციალური მოთხოვნების ფონზე, სადაც ისინი უნდა შესრულდეს, და იმ უნარის მიხედვით, რომლითაც ამ მიზნების მქონე პიროვნება ხასიათდება. მიზანთა სისტემის ფორმირებისას სოციალური მოთხოვნებისა და საკუთარი შესაძლებლობის რეგულაციას ადამიანი სოციალური როლების მიღებითა და შესრულებით ახერხებს.

სოციალური გარემო ადამიანებს სოციალური როლების გარკვეული სისტემის წინაშე აყენებს, რომელშიც უნდა მოხდეს ადამიანის სოციალური აქტიობის რეალიზაცია. ადამიანი ყოველ მომენტში რამდენიმე სოციალურ როლს „თამაშობს“. იგი შეიძლება იყოს შვილი, მამა, მეუღლე, ინსტიტუტის თანამშრომელი, ბიოლოგია. მეგობარი და სხვა. იგი ასრულებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ამ როლის შემსრულებლისაგან მოელიან პირადი უნარისა და მოთხოვნილება-მისწრაფების მიხედვით. თავის სამოქმედო მიზნებს ადამიანი შესაძლებლობისა და ამ როლების მიხედვით აყალიბებს. იმის მიხედვით, თუ რა მიზნებს იყალიბებს და როგორ ასრულებს მათ, ხდება გარკვეული მდგომარეობისა და პრესტიჟის მოპოვება. მის მიერ ურთიერთობათა ამ სისტემაში ხდება საზოგადოებრივი აზრის შემუშავება მოცემული პიროვნების მიმართ. მაგრამ, რაც მთავარია. ადამიანი ამავე სისტემაში აქტიობის

დროს ქმნის შეხედულებას თავისთავის შესახებ. თავისი მიზნებისა და ამ მიზანთა მიღწევაში წარმატება-მარცხის გაცნობიერების საფუძველზე ადამიანს ექმნება გარკვეული შეხედულება საკუთარი პიროვნების შესახებ. ამგვარი „ფსიქიკური ავტოპორტრეტის“¹ შექმნისას ადამიანები ძირითად მონაცემებს თავისი მიზნებისა და მათი მიღწევის დროს მიღებული წარმატება-მარცხის განცდის საფუძველზე იღებენ.

ამ ძირითადი მონაცემების გარდა, ფსიქიკური ავტოპორტრეტის ფორმირებაში საკუთარი მისწრაფებისა და მოთხოვნილებების შესახებ მიღებული ცნობებიც მონაწილეობს. მიზანთა სისტემა, რომელიც ადამიანს მომავალი აქტიობის გეგმის სახით აქვს დასახული, ზოგჯერ არარეალიზებული რჩება გაუთვალისწინებელ მიზეზთა გამო. სინამდვილე ადამიანებს მოულოდნელობებს სთავაზობს. რის გამოც იმსხვერპვა, მიუღწეველი რჩება კარგი და თითქმის რეალური მიზნები. სტიქიური მოვლენები, სოციალური ძვრები, ომები ადამიანთა მიზნებსა და გეგმებს არარეალურს, მიუღწეველს ხდის. ასეთი გაუთვალისწინებელი მოვლენები ადამიანებს აიძულებენ შეცვალონ საკუთარი მიზნები. ეს ვითარებაა გაცნობიერებული ზალხურ ანდაზაში „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. თავისი მიზნებისა და გეგმების ოდნავ შეცვლა-შესწორებას ადამიანები, ცხადია, ყოველთვის ახდენენ, მაგრამ ისინი სრულიად უვარგისად მაშინ იქცევიან, როდესაც ადგილი აქვს ადამიანის ფსიქოლოგიური გარემოს მკვეთრად, ძირფესვიანად შეცვლას. ასეთ ვითარებაში ადამიანები საკუთარი მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების ამარა რჩებიან. ადამიანმა შეცვლილი გარემოს გათვალისწინების საფუძველზე უნდა ააგოს ახალი მიზნები. მაგრამ, ცხადია, ადამიანები ახალ მიზანთა სისტემის აგებას აბსოლუტურად თავი-

¹ ეფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ტერმინი „ფსიქიკური ავტოპორტრეტი“ კარგად გამოხატავს ადამიანის შეხედულებას საკუთარი თავის შესახებ, რომელიც ნაწარმოებია მისი წარმოდგენებიდან და კოდნადან თავისთავზე, როგორც ადამიანზე. მის შექმნაში მონაწილეობას იღებს გარეგნობის ფსიქოფიზიკური უნარის. ორიენტაციის, მორალური შეხედულებების მონაცემები და ა. შ. იგი ერთერთი სერიოზული დეტერმინანტია ადამიანის ქცევისა. საკუთარი თავის შესახებ ამ ზოგადი ცნობიერი მდგომარეობის გამოსახატავად სოციალურ ფსიქოლოგიაში Self-conception ან Self-image — „მე“-ს კონცეფციის ან „მე“-ს წარმოდგენის ტერმინებია გამოყენებული. თუ პირველ ტერმინში უფრო გვაქვს შეხედულებანი თავისთავის შესახებ. მეორეში საკუთარ თავზე ხატები და გრძნობადი წარმოდგენებია ნაგულისხმევი. ტერმინი „ფსიქიკური ავტოპორტრეტი“ ამ ორივე ასპექტს აერთიანებს და, გარდა ამისა, უფრო მეტად უსვამს ხაზს იმას, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ადამიანის „მე“ იმ შეხედულების მთლიანი სურათისაგან. რომელიც აქვს მას თავისი „მე“-ს შესახებ. ფსიქიკური ავტოპორტრეტი არაა ადამიანის რეალური „მე“; იგი მთლიანი, ზოგადი სურათია. კოდნა „მე“-ს შესახებ, რომლებიც, როგორც წესი, შინაარსეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჩვენ ზუსტად თითქმის არასოდეს ვართ ის, რადაც საკუთარი თავი მიგვაჩნია.

დან არ იწყებენ, ისინი ისევ საკუთარი თავიდან გამოდიან. მათ ისეთი ახალი მიზნები შეუძლიათ ჩამოაყალიბონ, რომლებიც მის პიროვნებასთან რალაცნაირად არიან დაკავშირებული. იგი შეიძლება გამოვლდეს თავისი მოთხოვნილებებიდან, მისწრაფებებიდან და უნარებიდან, ამავდროს, რასაკვირველია, მკვეთრად შეცვლილი სიტუაცია უნდა გაითვალისწინოს. შეხედულებებში თავისთავის შესახებ სწორედ ეს ზოგადი მისწრაფებანი და მოთხოვნილებებია ასახული. მაგალითად, სკოლის დამთავრების შემდეგ თუ ახალგაზრდა ვერ მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, მის წინაშე დგება ცხოვრების გეზის ახლებურად აგების ამოცანა. რა ახალ მიზნებს დაისახავს იგი, ეს მნიშვნელოვნად არის გაპირობებული მისი ზოგადი მისწრაფებებითა და მოთხოვნილებებით. მან შეიძლება საერთოდ ხელი აიღოს სწავლის შემდგომ გარკვეულ საფეხზე: მან შესაძლოა, მიზნად დაისახოს მომავალ წელს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. ამისათვის, შესაძლებელია, იგი ისეთ სამსახურში მოეწყოს, რომელიც შეესატყვისება მის მომავალ სპეციალობას, და ამით გაიადვილოს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა.

გარკვეულ მიზანთა მიღწევის შემთხვევაშიც მსგავს ვითარებასთან ვვაქვს საქმე. ამის შედეგად ახალი მიზნების დასახვაც ზოგად მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა საფუძველზე ხდება. მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში მოწყობის შემდეგ სტუდენტები ერთნაირ მიზნებს არ ისახავენ. ზოგის მიზანთა სისტემაში ღირითადი აქცენტი საზოგადოებრივ საქმიანობაზეა გადატანილი, ზოგი წმინდა მეცნიერულ საქმიანობას აქცევს მეტ ყურადღებას, ზოგი სპორტულს და ასე შემდეგ.

იმავდ ვითარებასთან ვვაქვს საქმე წარმავალი და მცირე ღირებულების მქონე მიზნების შესრულების დროსაც. თუ, მაგალითად, საღამოს თეატრში წასვლა გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ იმედი გავციკრუვდა, რადგან ბილეთის შოვნა ვერ მოვახერხეთ, მაშინ საჭირო ხდება ახალი მიზნების დასახვა. ახალ მიზნებსაც ადამიანი თავისი მისწრაფებისა და მოთხოვნილების საფუძველზე აგებს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ აღნიშნული ფსიქიკური აქტიობანი რეალურად უფრო რთული სტრუქტურით ხასიათდება. ვიდრე ვადმივეცი. ფრუსტრაციის შემდეგ ადამიანები ახალი მიზნის ფორმირებას ყოველთვის თავიდან როდი იწყებენ. მოთხოვნილებისა და მისწრაფების საფუძველზე, ჩვეულებრივ, ადამიანები მიზანთა ალტერნატიულ სისტემებს აგებენ; და როცა მისთვის ნათელი ხდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია, იგი საოდარიგო მიზნების შესრულებას იწყებს. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც საშუალო სკოლას დამთავრებს და მიზნად ისახავს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას. იმასაც ითვალისწინებს, რა უნდა მოიმოქმედოს იმ შემთხვევაში,

თუ წადილს ვერ აისრულებს. ალტერნატიული მიზნის სახით მას ამ შემთხვევისათვის შეიძლება დაგვეგმილი ჰქონდეს მუშაობის დაწყება და წარმოებისაგან მოუწყვეტლად საღამოს სწავლების ფაკულტეტზე მოწყობა. ალტერნატიული მიზნის სისტემათა უორმირება ადამიანის შინაგანი ორგანიზებულობის მაჩვენებელია. ეს მიზნები ადამიანს უსიქიაში იერარქიული სისტემების სახით აქვს დალაგებული. პირველ რიგის მიზანთა შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი შემდგომი დონის მიზანთა სისტემის საფუძველზე იწყებს მოქმედებას და ასე შემდეგ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიზანი და მიზანთა სისტემა ერთ-ერთ შინაგან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც სათანადო ვითარებაში განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ქცევის შინაგანი ფაქტორები—მოთხოვნილებები, მისწრაფებანი და მიზნები განწყობისეულ-იმპულსურ ქცევებს ედება საფუძვლად. როდესაც ადამიანს რაიმე ვიტალური მოთხოვნილება აქვს, მაგალითად სწყურია, სათანადო სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში მას უჩნდება წყლის დაღვევის განწყობა. ადამიანი ამ პრაქტიკული განწყობის საფუძველზე ახდენს ქცევის შესრულებას. იმავე ფუნქციას ასრულებენ ქცევის შინაგანი ფაქტორები, მისწრაფებანი და მიზნები. თუ ადამიანს მუსიკალური მისწრაფებანი გააჩნია, სათანადო სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში, მას ექმნება მუსიკის მოსმენის ან დაკვრის განწყობა და ისიც მიმართავს შესატყვის ქცევას. ასევეა გარკვეული მიზნების შემთხვევაშიც, მაგალითად, თუ ადამიანს მიზნად აქვს დასახული სპორტული თანრიგის მოპოვება ან უცხო ენის დაუფლება. სათანადო სიტუაციებში ექმნება შესატყვისი განწყობა და ახორციელებს ქცევას, რომელიც აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება.

მოთხოვნილებანი, მისწრაფებები და მიზნები ქცევის შინაგან ფაქტორებს წარმოადგენს, რომელთა სათანადო ობიექტურ სიტუაციასთან შეხვედრის შემთხვევაში ადამიანს გარკვეული ქცევის განწყობა ექმნება.

მოთხოვნილება ადამიანის ბიოლოგიურ მდგომარეობას, ინდივიდის ნივთიერ დანაკლისს გამოხატავს. ამგვარი დანაკლისის შევსების ტენდენციისა და სათანადო სიტუაციის შეხვედრის შემთხვევაში ადამიანს ექმნება გარკვეული ქცევის განწყობა, რომლის იმპულსი ადამიანს აიძულებს შეასრულოს ესა თუ ის ქცევა.

მისწრაფებანი ადამიანის ნივთიერ დანაკლისს არ გამოხატავენ, მაგრამ ისინიც მოთხოვნილებათა მსგავსად გარკვეული საგნის მიზნების ტენდენციას შეიცავენ. მისწრაფება მუსიკის მოსმენისა, ლუდის დაღვევისა, მოგზაურობისა, მისწრაფებანი ახარტული თამაშობებისადმი და სხვანი ადამიანის შექმნილი ტენდენციებია და ისინი სათანადო

სიტუაციებში მოხვედრისას ადამიანებს გარეგნული ქცევის განწყობებს უქმნიან.

ადამიანი, როგორც ვიცით, ცნობიერ არსებას წარმოადგენს. იგი მოქმედების გაცნობიერების გარდა თავის მოთხოვნილება-მისწრაფებებსაც აცნობიერებს. ადამიანი თავისი მოთხოვნილებით, მისწრაფებების გაცნობიერების საფუძველზე, ქმნის მიზანთა სისტემას. ადამიანი მიზანთა სისტემის ფორმირების პროცესში ანგარიშს უწევს. ერთი მხრივ, მოთხოვნილება-მისწრაფებას და, მეორე მხრივ, საკუთარ შესაძლებლობას, შესაძლებელი სოციალური და ფიზიკური გარემოს თავისებურებებს. საგანგებოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მიზნის ფორმირების პროცესში, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება-მისწრაფებებისა და საკუთარი უნარის გათვალისწინების გარდა მონაწილეობას იღებს შესაძლებელი სოციალური და ფიზიკური გარემოც. ადამიანი მიზნის ფორმირებისას მხედველობაში იღებს იმ შესაძლებელ გარემოს, რომელშიც შეიძლება მისი მოთხოვნილება-მისწრაფების დაკმაყოფილება. მოთხოვნილება-მისწრაფების რეალურ სოციალურ და ფიზიკურ გარემოსთან შეხების შემთხვევაში ადამიანს ქცევის განწყობა ექმნება. რომლის საფუძველზეც ის რეალურ ქცევას ახორციელებს. მიზნის ფორმირების დროს კი ადამიანი დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილება-მისწრაფებებთან ერთად შესაძლებელ, წარმოსახულ სოციალურ-ფიზიკურ გარემოს ითვალისწინებს.

მიზნები ადამიანის აქტიობის ცნობიერ ტენდენციებს წარმოადგენს. მიზნის არსებობის პირობებში ადამიანმა იცის რა უნდა და რისადმი აქვს ტენდენცია: ამავე დროს ადამიანი ისეთ მიზნებს ისახავს, რისი მიღწევაც მის ძალასა და უნარს არ აღემატება: გარდა ამისა, ადამიანისათვის ზოგადად ცნობილია ის გარემო, რომელშიც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მისი მიზანი. მიზანში ადამიანის ქცევის შინაგანი ფაქტორი შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმალურად არის დაკონკრეტებული. ამიტომ ადამიანისათვის ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილია შესატყვისი გარემოს მოძებნა, ვიდრე მხოლოდ მოთხოვნილებათა მისწრაფებათა არსებობის შემთხვევაში. გარკვეული მიზნებისა და შესატყვისი გარემოს შეხვედრის შემთხვევაში ადამიანს ექმნება სათანადო ქცევის განწყობა და მისი ქცევა ამ განწყობის საფუძველზე ხორციელდება.

გაცნობიერებული მოთხოვნილებანი, მისწრაფებანი და მიზნები ქაოტიურად, ფრაგმენტულად არ არსებობენ, ისინი ადამიანის „მე“-ს ვარშემო ორგანიზდებიან. „მე“-ს ჩამოყალიბება ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე ხდება.

ინდივიდის ქცევა, როგორც ვიცით, ფსიქიკური აქტიობის პირველ დონეზე მიმდინარეობს და ინდივიდი ამ პროცესში გათქვეფილია სი-

ნამდვილესთან. ადამიანი ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე ახდენს საკუთარი თავის გამოდიფერენცირებას სინამდვილისა და ქვევისაგან. ამ დროს სინამდვილე ობიექტივიზდება მისთვის. სინამდვილე მისთვის ისეთ მოვლენად იქცევა, რომლის განხილვა ისეა შესაძლებელი, როგორც მისგან დამოკიდებული მოვლენისა. ამავე პროცესში ადგილი აქვს მისი „შე“-ს გამოყოფას სინამდვილისაგან, მის სუბიექტივიზებას. ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე, მაშასადამე, სინამდვილის შემეცნება-ობიექტივიზებასთან ერთად ხდება საკუთარი თავის გამოყოფა სინამდვილისაგან, მისი სუბიექტივიზება. ეს პროცესი „შე“-ს ფორმირებისა და საკუთარი თავის განცდის, ციციცნობიერების სახით ხორციელდება. როგორც ვენეტიკური ფსიქოლოგიადან არის ცნობილი, ეს პროცესი არსებითად სხვა ადამიანებთან ურთიერთქმედების დროს ხორციელდება და ამიტომ იგი, ჩვეულებრივ, სოციალიზაციის სახით განიხილება. ბავშვი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში ახდენს თავისთავის განვითარებას სინამდვილესაგან. სხვა ადამიანებსა და სინამდვილეზე უეჭოქმედების მსგავსად იგი იწყებს თავისთავზე უეჭოქმედებასაც და ამ პროცესს მოსდევს ციციცნობიერება. გარკვეულ შედეგდულებათა ჩამოყალიბება თავისთავზე, სოციალიზაციის პროცესში ადამიანი ქმნის „ფსიქიკურ ავტოპორტრეტს“, რომლის კონტრასტული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის აქტიობის შინაარსს.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ფორმირებაში, რაც საკუთარი „შე“-ს განცდის სახით ეძლევა ადამიანს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკუთარ მოთხოვნილებათა გაცნობიერებას, მისწრაფებებისა და მიზნების ორგანიზებას. როდესაც ადამიანი მოთხოვნილება-მისწრაფების საფუძველზე მოქმედებს, მას იმის განცდაც აქვს, რომ იგი იმპულსურ ტენდენციებს ემორჩილება, რომლებიც მასზე პატივობენ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი კითხვავს: „რატომ მოქმედებს ეს ამგვარად?“ თუმცა პასუხობს, რომ მას უნდა ასეთი მოქმედება და იმიტომ იქცევა ასე. მაგრამ ამავე დროს იმასაც ნათლად განიცდის, რომ მასზე დამოკიდებული არაა ის, თუ რა უნდა მას და რა არა. ადამიანი განიცდის, რომ საკმელს ვაშს მიწშილის გამო: იმიტომ უსმენს შესივას, რომ სურს მისი მოსმენა და ასე შემდეგ. მაგრამ ადამიანი იმასაც განიცდის, რომ ეს მოთხოვნილებები და მისწრაფებანი მას გარედან ეძლევა, მის ნებაზე არაა დამოკიდებული, თუ რა მოუხდება. საკმელი, მუსიკა და სხვა მოვლენები გარკვეულ ვითარებაში თვითონ აღძრავენ ადამიანში შესატყვის მისწრაფებებს და ადამიანს აიძულებენ იმოქმედონ გარკვეული მიმართულებით.

აღნიშნულ შემთხვევებში კითხვავს: „რატომ იქცევა ადამიანი ამგვარად?“ თვით ინდივიდი პასუხობს, რომ მას უნდა ასეთი მოქმედება. მას უჩნდება ასეთი მოქმედების ტენდენცია და იგი სიამოვნებით მიჰ-

ყვება ამ ქცევის იმპულსურ დინებას. ფსიქოლოგის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე ინდივიდის მიერ თვითდაკვირვების საფუძველზე გაცემული პასუხისაგან იმით განსხვავდება, რომ ის მიუთითებს იმ ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე, რომლებიც მონაწილეობენ ამ ქცევის შესრულების დროს და განაპირობებენ აღნიშნული ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. გარკვეული მოთხოვნებისა და მისწრაფების შემთხვევაში, გარემოს შესატყვისი საგნების ზემოქმედების დროს ადამიანს ექმნება მთლიანი მდგომარეობა, რომელიც მის აქტიობას მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა დაკმაყოფილების მიზარაულებით წარმართავს. ფსიქოლოგის პასუხში კითხვაზე: „რატომ იქცევა ადამიანი ამგვარად?“ ნაცალია იმის გარკვევა, თუ „რატომ უნდა ადამიანს ამგვარი ქცევა“. ამის გაგებისა და ახსნისათვის იგი ინდივიდის მოთხოვნილებებისა და გარესიტუაციის განხილვაზე გადადის. განწყობის თეორიის მიხედვით, როდესაც ინდივიდს გარკვეული მოთხოვნილება აქვს და შესატყვისი საგნის ზემოქმედების ხონაში იმყოფება, მას ექმნება მოქმედების განწყობა, რომელიც აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება. ასეთი განწყობის საფუძველზე აღბრული ქცევა, ემსახურება რა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ნისდაში ინდივიდში დაღებიალ ორიენტირებულ განცდას იწვევს. ინდივიდი ამ დროს განიცდის, რომ მას „უნდა ამგვარი მოქმედება“ და იგი მოაყვება მის იმპულსურ განხორციელებას. განწყობის თეორია, ვანხილავს რა მიზანშეწონილ იმპულსურ ქცევას, ანგარიშს უწევს ქცევის როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიურ, ისე ფენომენოლოგიურ ფაქტორებს.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ადამიანები მხოლოდ მოთხოვნილებისა და სურვილის მიხედვით არ მოქმედებენ. მაგალითად, საზოგადოებაში, რომელშიც ფასობს სერიოზული მუსიკა, ადამიანი, რომელსაც არა აქვს მუსიკისადმი მისწრაფება, განგებ იჭერს ისეთ პოზას, თითქოს სიამოვნებს ასეთი მუსიკის მოსმენა. მუსიკაზე მოთხოვნილების გარეშე ადამიანი ხშირად ახერხებს მუსიკის მოსმენას და ზოგჯერ ამ დროს ფაქტულ უსიამოვნებასაც იღებს. ასევე, ადამიანს საზოგადოებაში ყოფნის დროს შესაძლებელია კიდევ ჰქონდეს ჰამის მოთხოვნილება მაგრამ თავი შეიკავოს და შეწყვიტოს ჰამა თავის მოთხოვნილება-მისწრაფებათა საწინააღმდეგოდ, რაც განაპირობებს. მისი აზრით, საზოგადოებაში ამდენი ჰამა მიღებულად და საჩოთიროდ ითვლება.

პირველ შემთხვევაში ადამიანი გარკვეულ ქცევას, მუსიკის მოსმენის ახორციელებს ისე, რომ მისი შესატყვისი მოთხოვნილება-მისწრაფება არ განიხილოს. მეორე შემთხვევაში კი ისეთ ქცევაზე (ჰამაზე) ამბობს უარს, რომელიც შესატყვისი მოთხოვნილება-მისწრაფებასაც გა-

ნიცდის. ორივე შემთხვევაში პიროვნება ისეთ აქტიობას ავითარებს, რომელიც მოთხოვნილება-მისწრაფებას არ ეყრდნობა.

როდესაც ადამიანი მოთხოვნილება-მისწრაფების გარეშე, მეტიც, მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, იგი ამით ფსიქოლოგიის წინაშე აყენებს პრობლემას: „რას ეყრდნობა ადამიანი ამგვარი მოქმედების დროს?“

როგორც ცნობილია, უშუალო მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გარეშე განხორციელებულ მოქმედებას ნებელობითი ქცევა წარმოადგენს. ამგვარი ქცევის შესრულებისას ადამიანი აკეთებს არა იმას, რისი გაკეთებაც სიამოვნებას ჰგვრის, რის მოთხოვნილებასაც განიცდის, არამედ იმას, რასაც იგი უფრო ღირებულად, საჭიროდ და სოციალურად მისაღებად თვლის.

თავისი ნებელობითი ქცევის სპეციფიკურობას ადამიანი განსაკუთრებით ნათლად მაშინ განიცდის, როდესაც იგი ყოყმანისა და განსჯის ვითარებაში ვარდება, როცა გადასაწყვეტა აქვს, თუ რა გზას დაადგეს, რომელი ქცევა აირჩიოს შესასრულებლად.

ყოველგვარ საყოყმანო სიტუაციას ყოველთვის არ მოჰყვება ნებელობითი ქცევა. ნებელობით ქცევას მაშინ აქვს ადგილი, როცა ადამიანი გარკვეული მოსაზრების გამო შესაძლებელი ქცევებიდან ისეთს ემხრობა, რომელსაც უშუალოდ ნაკლები მიმზიდველობა აქვს. ნებელობის გამოყენებით ადამიანი, პიროვნულად მისაღებად გადააქცევს ნაკლებად მიმზიდველ ქცევას და ასრულებს მას. მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება სიტუეტები, რომლებშიც გამოხატულია ადამიანის „გრძნობისა და გონების კიდილი“. ამ კიდილში ხშირად ურთიერთთან დაპირისპირებულია სწორედ იმპულსურ-აფექტური და სოციალურად ღირებული ნებელობითი ქცევები. ამგვარ ნაწარმოებთა ძირითადი პათოსი, ჩვეულებრივ, იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველში აღძრავს დადებითი დამოკიდებულება სოციალურად ღირებულ ქცევების განმახორციელებელი პიროვნების მიმართ. ამ ნაწარმოებთა მიხედვით ღირებულებათა შემქმნელი ადამიანი „სიკეთის ამაღლებულ საწყისებთან“ დაკავშირებულ პიროვნებად ითვლება. ხოლო იმპულსურ-აფექტური ქცევების განმახორციელებელი ინდივიდი ქვენა გრძნობების მსახურ არსებად, რომელსაც ეშმაკეული ცდუნებისათვის ვერ დაუღწევია თავი. ადამიანის ფსიქიკის ამ მარტივ მოდელში არსებითად სწორად არის მითითებული ადამიანის ქცევის ორგვარი წყარო. როდესაც ზღვის სანაპიროზე, ზაფხულში, მშვენიერ მზიან დღეს გარემოც და შინაგანი მდგომარეობაც ადამიანს ზღვაში ცურვისაკენ უბიძგებს, ამ დროს კი იგი ჯდება დახუთულ ოთახში და იწყებს გონებრივ მუშაობას, ცხადია, მისი ქცევა უშუალო მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა საფუძველზე არა სრულდება. თავისი ქცევის სა-

ფუძვლად ადამიანს ასეთ შემთხვევაში ისეთი ღირებულებებისადმი სამსახურის საჭიროება მიაჩნია, რომელიც უშუალო აფექტური მიმზიდველობით, მართალია, ვერ შეედრება ზღვაში ცურვის ქცევას, მაგრამ პიროვნებისათვის მას მაინც აქვს იმდენი ფასი, რომ იგი ახერხებს ცურვის ცდუნების დაძლევას. ადამიანს რომ არ შეეძლოს თავისი ქცევის შედეგთა გაცნობიერება-გააზრება და ამავე დროს არ ჰქონდეს უნარი საკუთარი ქცევის შედეგებთა შეფასებისა იმის მიხედვით, თუ რამდენად ღირებულია იგი საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ადამიანი არასოდეს იტყოდა უარს მიმზიდველ ქცევაზე.

პიროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ იგი თავისი ქცევის შედეგებს სოციალურ ღირებულებათა თვალსაზრისით აფასებს¹. ადამიანის ნებელობითი აქტიობა უშუალო მიმზიდველობის საწინააღმდეგოდ მეტი ღირებულების მქონე ქცევის შესრულებაში მდგომარეობს. ნებელობის გამოყენებით ადამიანი მაღალი ღირებულების მქონე ქცევას მეტ მიმზიდველობას ანიჭებს ნაკლები ღირებულების მქონე ქცევასთან შედარებით და პიროვნულად უფრო მისაღებად ხდის. ქცევებისათვის სხვადასხვა ხარისხის მიმზიდველობის მინიჭების აქტიობა რთულ პიროვნულ მექანიზმთა გამოყენებით მიიღწევა. ამ მექანიზმების გაგებისათვის საჭირო ხდება ადამიანის ღირებულებათა სისტემის დახასიათება, რომლის საფუძველზეც იგი აფასებს თავის ქცევას.

8. 6. ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემა

ინდივიდის ქცევის წარმატებით თუ წარუმატებლად მიმდინარეობის საზომი თვით იმპულსური ქცევის საფუძველშია მოცემული. როდესაც ინდივიდის ქცევა გარკვეული განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს, იგი მიზანშეწონილობით ხასიათდება. რადგან, როგორც აღვნიშნეთ, განწყობაში როგორც ინდივიდის შინაგანი მდგომარეობა, ისე ვარესიტუაციაა ასახული. განწყობის საფუძველზე შესრულებული ქცევა ანგარიშს უწევს შინაგან და გარეგან მოთხოვნებს, რის გამოც იგი მიზანშეწონილი ხდება. როდესაც პრაქტიკული ქცევა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესს ხელს არაფერი უშლის, ინდივიდის ამ ქცევის და ამ ქცევაში ჩართული საგნებისა თუ მოვლენების მიმართ დადებითი აფექტური დამოკიდებულება აქვს. ინდივიდს სინამდვილისადმი განწყობისეული ურთიერთობის საფუძველზე სელექციური დამოკიდებულება ექმნება. საკუთარი აქტიობა და კონკრეტული საგნები, რომლებიც ხელს უწყობს განწყობის რეალიზაციას, ინდივიდში დადებით აფექტურ განცდებს ბადებს.

¹ შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბილისი, 1958, გვ. 283—311.

განწყობის რეალიზაციის ხელისშემშლელი აქტიობისა და გარესაგნების მიმართ ინდივიდს უარყოფითი დამოკიდებულება ექმნება. როდესაც ინდივიდი მასზე მანერ ზემოქმედების მქონე საგნებისაგან განრიდების მიზანშეწონილ ქცევას ახორციელებს, ასეთი აქტიობის მიმართ მას დადებითი დამოკიდებულება ექმნება. სინანდლილესთან ინდივიდის განწყობისეული ურთიერთობის დროს, როდესაც ამ დამოკიდებულების ობიექტივაცია-გაცნობიერება არ ზდება, ზაგჯერ ზემოქმედი საგნები და საკუთარი აქტიობა მთლიან-ღიფუზიურად განიცდება. იმ განცდების შინაარსი, რომლებიც ინდივიდს გარეგანი და შინაგანი სტიმულების ზემოქმედების შედეგად ექმნება, აქტუალიზებული განწყობით არის გაპირობებული. როგორც უზნაძე აღნიშნავს, განწყობისეული აქტიობის დროს ადამიანის მოქმედებისა და განცდების ერთიანობა იმ განწყობით არის გაპირობებული. რომლის საფუძველზეც ინდივიდი თავის აქტიობას ახორციელებს. განწყობისეული აქტიობის დროს შინაგან და გარეგან ზემოქმედებას ინდივიდი გლობალურად განიცდის. ასეთი განცდა ჯერ კიდევ არ შეიძლება ემოციის, გრძნობის, აღქმის, აზროვნებისა და სხვა სპეციფიურ ფსიქიკურ შინაარსად ჩაითვალოს, მასში ჯერ არაა დიფერენცირებული აღნიშნული ფსიქიკური შინაარსები. ამ განცდაში მოცემულია გრძნობის, ემოციის, აღქმის, განსჯისა და სხვა ფსიქიკურ პროცესთა საწყისები. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ გლობალურ განცდაში ასახულია აქტუალურ განწყობასთან გარკვეულ ურთიერთობაში აყოფი გარესსინანდლის ზემოქმედება და საკუთარი მოქმედება. ამ განცდაში მოცემულია აგრეთვე ინდივიდის დამოკიდებულება თავისი ქცევისა და გარემოსადმი.

ამრიგად, ქცევის განწყობაში, რომელიც ინდივიდს ამჟამად აქვს აქტუალიზებული, ასახულია ინდივიდის შინაგანი მდგომარეობა და შეხატევის საგანთა ზემოქმედება. ამგვარი განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი განიცდის განწყობისეულ დადებით დამოკიდებულებას თავისი ქცევისა და გარესსინანდლის მიმართ. ამგვარ ვითარებას ინდივიდი ზოგადად განიცდის, როგორც „შეწყნარებულს“, „მსადგუნს“. ადამიანი თავის გარემოსა და აქტიობას „შეწყნარებულად“ მს.ლოდ მაშინ განიცდის, როდესაც მისი ქცევა მიზანშეწონილად, ნორმალურად მიმდინარეობს.

განწყობისეული აქტიობის ყველა ეს თავისებურება შემდეგი ზოგადი დებულებით შეიძლება გამოიხატოს: ინდივიდის მოთხოვნების, გარემოს და მათი ერთიანობის საფუძველზე განხორციელებული ქცევის შესატყვის

1 დ. უზნაძე, ურადლების არის პრობლემისათვის, „ფსიქოლოგია“, ტ. IV, 1947.

სობის შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, ადამიანს თავისი ქცევის მიღების, შეწყნარების განცდა ექმნება. მიმდინარე ქცევის შეწყნარების ეს განცდა განწყობისეული აქტიობის შინაგანი შესატყვისობის, თავსებადობის მდგომარეობას გამოხატავს. ამ განცდის შემდგომი გაცნობიერების საფუძველზე ადამიანისათვის ნათელი ხდება, რომ ეს ქცევა სასურველია მისთვის. თავად მას უნდა ამ ქცევის გაგრძელება-განხორციელება.

როდესაც განწყობისეული იმპულსური ქცევა ეწინააღმდეგება პიროვნების სოციალურ-მორალურ ორიენტაციებს, ადამიანი გარკვეულ კონფლიქტურ მდგომარეობაში ვარდება. მაგალითად, ტყვე, რომელიც ვაშლდამბეზულ მიმშლს განიცდის და შემთხვევით წააწყდება სხვის პურის ნატყსს, წესაძღვნილია აუტანელ კონფლიქტურ ვითარებაში აღმოჩნდეს. პურის ნატყსი მას შეკმისავენ უბიძგებს. იგი, ერთი მხრივ, ნათლად განიცდის ამგვარი ქცევის პიროვნულად მიუღებლობას, დეცილობას არ წაადინოს უღირსი საქციელი, ხოლო მეორე მხრივ, აქვს პურის შეკმის დაუძლეველი სურვილი. მას ჰამის ძლიერი მოთხოვნილება გააჩნია, სიტუაციაში ეს არსებობს ამ მოთხოვნილების შესატყვისი, საგანი. მოცემულ სიტუაციაში ადამიანს თითქოს ხელს აღარაფერი უშლის, რომ ამ ფაქტორთა საფუძველზე მას შეეკმნას პურის შეკმის განწყობა და შეკამოს პურის ეს საუბრადვი ნატყარი. თუ რა ქცევას მივიღებთ: მოცემულ სიტუაციაში. ეს არსებითად დამოკიდებულია ადამიანის პიროვნულ თავისებურებებზე. მის მიხედვით, თუ რა ინტენსიობის მოთხოვნილება აქვს ადამიანს და რა საძლიერის სოციალურ-მორალური ორიენტაციები გააჩნია, ეს კონფლიქტი სხვადასხვაგვარად გადაწყდება, ანუ ადამიანს მტკიცე მორალური შეხედულებები არ გააჩნია, იგი ადვილად ენორჩილება თავის იმპულსურ ქცევას. ასეთი ადამიანის შესახებ ლანა ჩაკობენ, რომ იგი ფაქტურად არაა პიროვნება. ამორალური ადამიანები რეალურად არც დგებიან ასეთი შინაგანი კონფლიქტების წინაშე. მათი აქტიობა მხოლოდ უშუალო მოთხოვნილებათა საფუძველზე აიგება და ინტელექტუალური აქტიობისიანი მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რომ უკეთესად წარმართონ თავისი ცხოველურული აქტიობანი.

მტკიცე მორალური შეხედულებების მქონე პიროვნება აქტიურად ეწინააღმდეგება „გვენა გრძობებს“, უშუალო მოთხოვნილებებს. რომლებიც მას ამორალური ქცევისავენ უბიძგებენ. ასეთი პიროვნება კონფლიქტურ სიტუაციაში ობიექტივაციის საგნად აქცევს ქცევის აღმძვრელ ვითარებას და თავის მორალურ ორიენტაციებს. მისი მცდე-

ლობა იქით არის მიმართული, რომ ერთ მთლიან ფსიქიკურ ველში გააერთიანოს ქცევის აღმშრელი აქტუალური სიტუაცია. შესაძლო ქცევის შედეგები და თავისი მორალური ორიენტაციები. პიროვნული აქტიობის საფუძველზე ადამიანი ცდილობს, რომ მისი ქცევა შესრულდეს მთელი პიროვნული ძალებისა და ორიენტაციების საფუძველზე, რომელშიც უშუალო მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გარდა სოციალური და მორალური ორიენტაციებიც იქნება გათვალისწინებული. განწყობის თეორიის მიხედვით ამ ვითარების განხილვასა თავედანვე მოცემული იმ რეალური მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ, რომელიც ადამიანს კონფლიქტურ ვითარებაში ექმნება. ტრადიციულ-ლემენტარისტული ორიენტაციის მიხედვით კი, ასეთ შემთხვევაში, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა ფსიქიკურ ელემენტთა გაერთიანების შედეგად მიიღება.

„ელემენტების ინტეგრაციის პოსტულატის“ მიხედვით, ადამიანის ნებელობითი პროცესი შემდგენაირად უნდა დახასიათდეს: როდესაც ადამიანი მორალურად მიუღებელი იმპულსური ქცევის სტიმულით იწყებს მოქმედებას, ამ დროს ადგილი აქვს ამ ვითარებასთან დაკავშირებული სხვა ფსიქიკური პროცესების აღმოცენებას. აღმოცენებული მორალური განცდები და შეხედულებები იმპულსური ქცევის დეტერმინანტის გვერდით ქმნიან საწინააღმდეგო ქცევის ტენდენციას. ამ დაპირისპირებულ სეპარატულ სისტემებს შორის გამარჯვებულ ფსიქიკურ ფენომენტთა საფუძველზე ადამიანი ახორციელებს ქცევას. იმის მიხედვით, იმპულსური ქცევის დეტერმინანტები გაიმარჯვებენ, თუ მორალური ქცევის შესატყვისი ძალები, ადამიანი იმპულსურ ან ნებელობით აქტიობას განახორციელებს. „მთლიანობის დიფერენციაციის პოსტულატის“ მიხედვით, რომლის საფუძველზეც აგებულია განწყობის თეორია, შებრუნებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მიუღებელი განწყობისეული ქცევის განხორციელების დროს, როდესაც მოქმედება არ შეესატყვისება ადამიანის პიროვნულ ორიენტაციებს, წყდება იმპულსური ქცევა და პიროვნება იძლევა მთლიან. ერთიან რეაქციას მოცემული კონფლიქტური სიტუაციის მიმართ. ამ ვითარებაში, რომლის გათვალისწინებასაც ცდილობს ადამიანი, მოცემულია როგორც იმპულსური, ისე მისი საწინააღმდეგო მორალური ქცევის საფუძველი. ამ კონფლიქტური ფსიქიკური ვითარების, მთლიანი განცდის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გარკვეული მიმართულების მქონე ქცევას არ შეიძლება დაედოს საფუძველად. ადამიანის აქტიობა ამ დროს პრაქტიკული საქმიანობიდან შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობის ორგანიზაციისაკენ არის მიმართული.

როდესაც ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას ობიექტური სიტუაცია ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში ადამიანი ობიექტივაციის საფუძ-

ველზე თეორიულ აქტიობას იწყებს. ეს აქტიობა საქმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქცევის ხელისშემშლელი სიტუაციის შემეცნებით მთავრდება, რაც საქმარისია ქცევის შემდგომი ნაყოფიერი გაგრძელებისათვის.

როდესაც ადამიანი თავისი ქცევისა და საერთო ვითარების ობიექტივაციას იმის გამო მიმართავს, რომ მისი იმპულსური ქცევა კონფლიქტში მოდის საკუთარ პიროვნულ ტენდენციებთან და ორიენტაციებთან, მაშინ იგი შინაგანი კონფლიქტური ვითარების გაცნობიერებასა და რეორგანიზაციის იწყებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გარკვეული ქცევის შესრულება.

ამ კონფლიქტური მდგომარეობის შემდგომი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც არათავსებადი მთლიანი მდგომარეობა, თავისთავში დაშლისა და დიფერენციაციის ტენდენციას შეიცავს. ამ მთლიან მდგომარეობაში არსებული უშუალო მოთხოვნილებათა შესატყვისი ქცევის დეტერმინანტები გამოდიფერენცირებისა და ნებართული ქცევის შესრულების ტენდენციებით ხასიათდება. პიროვნების შინაგანი აქტიობის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ არ დაუშვას ფსიქიკური ძალების იმგვარი რეორგანიზაცია, რომელშიც უშუალო მოთხოვნილების შესატყვისი ქცევის დეტერმინანტები ცენტრალურ ადგილს დაიკავენ. ადამიანი ამ დროს კონფლიქტური მდგომარეობის ისეთ რეორგანიზაციას ცდილობს. როდესაც მისი შინაგანი ძალები პიროვნული სტრუქტურის შესატყვის სახეს იღებს. ნებელობითი ქცევის განხორციელების დროს კონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფი შინაგანი ფსიქიკური ძალების რეორგანიზაცია პიროვნების შესატყვის მთლიან მდგომარეობად არ სრულდება სპონტანურად, მორგანიზირებელი პიროვნების აქტიობის გარეშე. მათ ორგანიზებას პიროვნება ახდენს. პიროვნებას, მართალია, უშუალოდ არ შეუძლია იმპულსური ქცევის შეჩერება და მორალურად სასურველი ქცევების განხორციელება. მაგრამ იგი თავისი აქტიობით ქმნის იმპულსურ ქცევათა აღკვეთისა და მისთვის მისაღები ქცევის განხორციელების პირობებს. საკუთარ შეხედულებათა მიხედვით პიროვნება ახდენს შინაგან და გარეგან ფაქტორთა ისეთ ორგანიზაციას, რომლებიც მის სოციალურ ღირებულებათა ორიენტაციების შესატყვისი ქცევის განწყობის აღმოცენებას განაპირობებს. ამგვარი განწყობის საფუძველზე ახერხებს ადამიანი მისთვის მისაღები ქცევის განხორციელებას. აღნიშნული განწყობის შექმნის შემდეგ მისი შესატყვისი ქცევა ადამიანისათვის „მისაღები“, „შეწყნარებული“ ხდება. საპირო ქცევის მოაზრება, გამონახვა ჭერ კიდევ არ იძლევა გარანტიას, რომ იგი შესრულდება. ამის შემდეგ საჭირო ხდება მისი შესატყვისი

ვანწყობის ფორმირება; რისთვისაც შესატყვის შინაგან და გარეგან ფაქტორთა ერთი მთლიანი სახით რეორგანიზირებაა საჭირო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნებელობითი პროცესების ამოცანა, რომელიც გადაწყვეტილების გამოტანის სახით განიცდება, იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნების თვალსაზრისით საჭირო ქცევას „შეწყნარებულს“ ხდის. გადაწყვეტილების საფუძველზე პიროვნებისათვის სასურველი ქცევა მიღებული, შეწყნარებული ხდება. ამის საფუძველს ქმნის არჩეული ქცევის შინაგან და გარეგან ფაქტორთა გაერთიანება და შესატყვისი ვანწყობის ფორმირება.

როდესაც ადამიანს საკმარისი სოციალური ღირებულებებითი ორიენტაციები არ გააჩნია. მის ამორალურ იმპულსურ ქცევას არაფერი ელოდება წინ და იგი ასე შინაგანი კონფლიქტის გარეშე იქცევა. როდესაც ადამიანის შინაგანი ძალების სტრუქტურაში მორალურ ღირებულებით ორიენტაციებს მცირე ხვედრითი წილი უკავიათ. მაშინ შინაგან კონფლიქტურ მდგომარეობათა აღმოცენების შემდეგ მაინც ხშირად ხდება იმპულსური ქცევების განხორციელება, რომლის ძალისხმევითაც წინაშე პიროვნება უძლური ხდება მოახდინოს სხვაგვარი ქცევისათვის საჭირო პირობების რეორგანიზირება.

ამგვარი ვითარების დახასიათებისას საჭიროა შინაგანი აქტიობის ერთი საინტერესო მხარის გათვალისწინება, რომელიც გვაგებინებს ადამიანის ფსიქიკის ერთ საინტერესო სპეციფიკურ მხარეს.

კონფლიქტურ ვითარებაში ამ მდგომარეობის რეორგანიზაციის დროს ადამიანი ყოველთვის ერთგვარად აჯამებს იმას, თუ რა მიმართულებით და რატომ ხდება რეორგანიზაცია. გადაწყვეტილების მიღება. ამ ზოგად მინაარსს ადამიანი ქცევის მოტივის სახით განიცდის. ქცევის მოტივი ერთგვარად ასაბუთებს და ამართლებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო პიროვნებამ. სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა. რომ მოტივის დამასაბუთებელი და გამამართლებელი ფუნქციები. ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და მნიშვნელოვნადაც განსხვავდებიან ერთმეორისაგან.

ადამიანი ხშირად ხვდება კონფლიქტურ ვითარებაში და უხდება გადაწყვეტილების მიღება — გამოიყენოს თუ არა გარემო-სიტუაცია უშუალო მოთხოვნილება-მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლად. იგი ხშირად უარს ამბობს სხვისი კუთვნილი საგნებით საკუთარ ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ასეთ მდგომარეობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მას სოციალური ღირებულებებისადმი ორიენტაცია, მორალური ნორმებით ცხოვრებისადმი საკმაო მისწრაფებანი გააჩნია. კონფლიქტების წინაშე ადამიანი მხოლოდ მაშინ არ დგება, როდესაც მკვეთრად დაპირისპირებული ქცევების არჩევის წინაშეა. ინტენსიური ნებელობითი აქტის შესრულება მას მაშინაც შეიძლება

მოუხდეს. როდესაც გადაწყვეტს, რომ საღამოთი სახლში დარჩეს, გარკვეული სამუშაო შეასრულოს და არ წავიდეს წვეულებაზე. ასეთ შემთხვევაში იგი პიროვნულად მეტი ღირებულების ქცევას ემხრობა, მას მეტი მიმზიდველობის მქონე აქტიობად აქცევს და ასრულებს დღევანდელ მოტივი. რომელსაც ადამიანი მეტი სოციალური ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებისათვის აფორმებს, სხვადასხვა შემთხვევაში შესაძლებელია სრულიად სხვადასხვა სახეს იღებდეს. ადამიანმა წვეულებაზე შეიძლება იმიტომ თქვას უარი, რომ სოციალური ღირებულების მქონე სამუშაოს შეუსრულებლობის გამო მეორე დღეს უსამოვნებას შეხვდება. რასაც შეიძლება მოჰყვეს ათვალისწინება მისი წრის მიერ. თავისი სოციალური გზების წვერობის სურვილი და პრესტიჟის გაძლიერების ტენდენცია ადამიანს უშუალო მოთხოვნილების შესრულების -- წვეულებაზე წასვლის წინააღმდეგ უბიძგებს. ამ შემთხვევაში ადამიანი შესაძლებელია სახლში დარჩეს სამუშაოს შესასრულებლად და თავის ქცევის მოტივს შემდეგნაირად განიცილებს: „ამ საქმესთან დაკავშირებულ ადამიანთან ურთიერთობის გაფუჭებას და ავტორიტეტის შერყევას სჯობია საქმის ვაკეთება და წვეულებაზე უარის თქმა“. ნებისყოფის დაძაბვით და ამ მოტივში გამონატული აზრისაღმი მიმხრობით ადამიანი მას თავის ქცევის მოტივად აქცევს. ამ პროცესში ადამიანს წვეულებაზე წასვლის აქტუალური სურვილი შინაგანი ფსიქიკური შინაარსებიდან პერიფერიაში გადააქვს და ხვალინდელ მუშაობას მეტი მიმზიდველობის შარავანდელით მოსაეს. გადაწყვეტილების აქტით, რომელსაც საჭირო ქცევის შესატყვისი განწყობის ფორმირება უნდა მოჰყვეს. საჭირო ქცევას „მისაღება“ უნდა მიენიჭოს, რომ იგი შესრულდეს.

ქცევის მოტივი. რომლის საფუძველზეც ადამიანი მოქმედებს (ყოველ შემთხვევაში. იმის ნათელი განცდა აქვს, რომ თავის მიერ ფორმულირებული მოტივის საფუძველზე მოქმედებს), ხშირად სწორად გამოხატავს ადამიანის სოციალურ ტენდენციებს და ღირებულებით ორიენტიციებს. მაგრამ ადამიანი ზოგჯერ თავისი მოტივებისაგან განსხვავებული ტენდენციების საფუძველზე მოქმედებს და ეს ტენდენციები არ აისახება მისი ქცევის მოტივში.

ზემომოტანილ მაგალითში შესაძლებელია ისეთ სიტუაციურ დეტალებს ჰქონდეს მნიშვნელობა ადამიანის ქცევისათვის, რომლებსაც თვით ქცევის ავტორი ვერ აცნობიერებს. ხშირად ადამიანები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ მის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სხვა ადამიანები. რომლებიც მისი ქცევის სიტუაციაში იმყოფებიან. ვთქვათ, პიროვნებას ტელეფონით დაურეკა ნაცნობმა და შეატყობინა, რომ ისიც აპირებს იმ წვეულებაზე წასვლას, სადაც იგი მიდის. თუ პირს ამ ნაცნობთან ყოფნა არ სიამოვნებს, მაშინ ეს ურთიერთობა გარ-

კვეულ გავლენას მოახდენს მის მოტივაციის პროცესზე და იგი სათანადოდ აიხსნება კიდევ მისი ქცევის მოტივში. მაგრამ შესაძლებელია, რომ ამგვარი ყოყმანის პროცესში მას ისეთმა ნაცნობმა დაურეკა და ამცნო, რომ ისიც მიდის წვეულებაზე, რომელთანაც მას საქმიანი ადამიანის პოზა უჭირავს და მის სიტუაციაში ყოველთვის დიდი გულმოდგინებით ასრულებს საზოგადო საქმეს. ასეთ შემთხვევაში მისმა ჩვეულმა პოზამ შეიძლება ისე იმოქმედოს მასზე და განაწყოს იგი სახლში, საშუაოდ დარჩენის მიმართულებით, რომ მან თვითონ ვერც გააცნობიეროს ეს მდგომარეობა. ამიტომ მისი ქცევის მოტივში ეს ვითარება შესაძლებელია სრულიად არ იყოს ასახული.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა ადამიანებთან თანაარსებობის, თანაქტიობის, შეჯიბრის, თანამშრომლობის, კონფლიქტისა და სხვა ურთიერთობის პროცესში ადამიანები ხშირად ისე ახდენენ გავლენას ერთიმეორის ქცევაზე გარკვეული მიმართულებით. რომ ამას სრულიად არ აცნობიერებენ. ამიტომ ნებისმიერი ქცევის მოტივი, რომელსაც ადამიანები სოციალურ სიტუაციებში იმუშავენ, ხშირად ვერ გამოხატავს იმას, რის საფუძველზეც ადამიანები ახდენენ მოცემული მიმართულების ქცევის არჩევას. ნებისმიერი ქცევა ძალიან ხშირად გაცნობიერებული მოტივისა და გაუცნობიერებელი ტენდენციების ერთობლივი მოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ნებისმიერი ქცევის მოტივის განსხვავება ქცევის რეალური ფსიქოლოგიური საფუძვლებისაგან ხშირად უნებლიედ, პიროვნების მონაწილეობის გარეშე როდი ხდება. ქცევის მოტივი, რომელსაც ადამიანი თავისი ნებელობითი ქცევის საფუძვლად განიცდის, ზოგჯერ სულაც არაა არჩეული ქცევის საფუძველი. იგი ხშირად პიროვნებისათვის ისეთი ქცევის გამართლების საშუალებას წარმოადგენს, რომელიც მისგან დაფარული მოთხოვნისა და მისწრაფებების საფუძველზე მიღებული და შეწყნარებული.

ადამიანი ზემომოტანილ მაგალითში, როდესაც წინასწარ შინაგანად განიცდის წვეულებაზე წასვლის დაუძლეველ მისწრაფებას, ამ მოქმედების გასამართლებელ ისეთ მოტივებს ეძებს და აფორმებს, რომლებიც სოლიდურად გამოიყურება და პიროვნებისათვის ასე თუ ისე მისაღებ სახეს აძლევს. მან შეიძლება ნათლად განიცადოს, რომ ძალიან უხერხული, არაეთიკური იქნება მასპინძლისათვის „პურმარილზე ხელის კვრა“. ამიტომაც, რომ ასეთ ვითარებაში ის თითქოს იძულებულია ხელი აიღოს თავისთვის სასარგებლო, საჭირო საქმიანობაზე და სტუმრად წავიდეს მასპინძლის პატარისცემისა და ტრადიციების ანგარიშის გაწევის გამო. ამ მოტივით სტუმრად წასვლის ქცევა ფსიქოლოგიურად, მართლაც, განსხვავდება ქვიფზე წასვლის ქცევისაგან მაგრამ აღნიშნული მოტივი ასეთ დროს სრულიადაც არ გამოხატავს

ადამიანის ქცევის ნამდვილ საფუძველს, თუმცა იგი შესაძლებელია ნამდვილად განიცდიდეს მას თავისი ქცევის საფუძველად. ასეთი მოტივი პიროვნების ქცევის ნამდვილი აზრის შენიღბვას უფრო ემსახურება, ვიდრე მისი რეალური დანიშნულების გამოხატვას.

საკუთარი ზრახვების შენიღბვა და თავისთავის მოტყუება ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს, რაც უდიდეს სიძნელებს უქმნის ფსიქოლოგიას ფსიქიკის შემეცნების საქმეში. ამის გამო ადამიანის თვითდაკვირვების მონაცემები ზოგჯერ არ შეესატყვისება მის რეალურ ზრახვებს და მისი ქცევის ნამდვილ აზრს. ასეთ შემთხვევებში ადამიანები ცნობიერად გულწრფელები არიან. ისინი თვითონ რჩებიან მოტყუებულნი და ამის გამო ცდილობენ ჩვენს შეცდომაში შეყვანას. მაგრამ ასეთი შეცდომები შემთხვევით არ ხდება. მათ გარკვეული ფუნქცია აკისრიათ და მათი გარკვეულ ფარგლებში გამოყენებით ხდება სოციალური შეგუების ამოცანათა გადავილება.

ადამიანი მრავალ სოციალურ ქცევას ახორციელებს. მაგრამ ბევრჯერ მიდის დათმობაზე ძლიერ ასოციალურ მოთხოვნილებათა წინაშე. ზოგჯერ მძლავრი ასოციალური იმპულსების საფუძველზე აღმოცენებულ ქცევას ადამიანი ალაპაზებს და ისეთ სახეს აძლევს. თითქოს ის სოციალური მოთხოვნილების და სტანდარტების მიხედვით იყოს აგებული და შესრულებული. როდესაც ახალგაზრდა ქალი, რომელიც ადრე ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენდა მუსიკისადმი, ახლა კლასიკური მუსიკით დაინტერესების გამო დადის კონცერტებზე. ძალიან ხშირად უსმენს ამგვარ მუსიკას და მსჯელობს მის შესახებ, შესაძლებელია მისი ასეთი ქცევა ძირითადად გაპირობებული იყოს იმით, რომ ამ გზით იგი მუსიკის მოსმენაში კომპანიონობას უწევს და თავს აწონებს ვაეს, რომელსაც, მართლაც, მოსწონს კლასიკური მუსიკა. ახალგაზრდა ქალს შესაძლებელია ან დროს მართლა ეგონოს, რომ მისი ამგვარი ქცევა ნამდვილად მუსიკით გატაცებიდან მოდის და გულწრფელად უარყოფდეს სხვათა ეჭვებს მისი მუსიკით გატაცების შესახებ. ამგვარი ეჭვების გამართლება ხშირად ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც მათი რომანტიკული ურთიერთობა მარცხით მთავრდება და მათ შორის უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება ჩნდება. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობის ამგვარი ფინალის შემდეგ ყოველთვის როდია მოსალოდნელი მუსიკისადმი ადრინდელი ინდიფერენტული დამოკიდებულების აღმოცენება. თუ მუსიკას სიყვარულით თავის მოტყუება საკმაოდ დიდხანს გრძელდება. სათანადო მონაცემების შემთხვევაში, ამას მართლაც მოსდევს მუსიკით გატაცება.

როგორც ვხედავთ, თავის მოტყუების მექანიზმების საშუალებით მხოლოდ მომენტალურად, მოკლემულ სიტუაციაში არ წყდება შეგუ-

ბის ამოცანა. მისი რეზულტატი უფრო არსებითია. ის სოციალური ტენდენციები და სტანდარტები, რომლებიც ადამიანს სასურველად ეჩვენება. მართლაც უმუშავდება და უყალიბდება.

თავის მოტყუების ეს მოვლენა ფსიქოლოგიაში რაციონალიზაციის ფენომენის საბელწოდებით არის ცნობილი. რაციონალიზაციის პროცესი სხვა მსგავს პროცესებთან ერთად პიროვნების შინაგანი აქტიობის კანონზომიერებათა დახასიათების საშუალებას გვაძლევს. მათ შემდეგში უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

ჩვენ ისევ ნებისმიერი ქცევის მოტივის საკითხებს გვინდა დავუბრუნდეთ და აღვნიშნოთ. რომ მოტივაციის პროცესში პიროვნებისაგან დაფარული ფაქტორებისა და მექანიზმების მოხაწვლეობის მიუხედავად ნებელობითი ქცევის პირობების ორგანიზაციას და მის განხორციელებას ადამიანი ძირითადად ცნობიერად, საკუთარი ნაზრახვისა და მოსაზრების საფუძველზე ახორციელებს.

სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანებს უმუშავდებათ სოციალური ღირებულებებისადმი სამსახურის მისწრაფება. რა სოციალური ღირებულებანი გადანიკვევა ადამიანისათვის პიროვნული ცხოვრების მთავარ ორიენტირად, რომელსაც ძირითადად იგი მოემსახურება. ეს სოციალურ გარემოსა და მის ინდივიდუალურ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა. რომ ყოველი ადამიანი თავისებურად განიცდის სოციალურ ღირებულებათა მნიშვნელობას. რის გამოც ყოველ მათგანს თავისი უნიკალური წვლილი და ელფერი შეაქვს მთლიანი სოციალური ცხოვრების პროცესში. ყოველ სოციალურ გარემოში არსებობს ძირითადი ღირებულებანი, რომელთაც ემსახურება ადამიანი. წარმოდგენას ადამიანურ ცხოვრებაზე სწორედ ამგვარი ღირებულებისადმი სამსახური ქმნის. სოციალური ღირებულებანი ერთმანეთთან შინაგანად მკიდრო კავშირში არიან, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება მათ დიფერენცირება და გრძელი სიის წარმოდგენა იმ სოციალური ღირებულებებისა, რომლებსაც არსებითი როლი ენიჭებათ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების საქმეში. აქ ჩვენ გვინდა მივუთითოთ ზოგიერთი ძირითადი ღირებულების შესახებ. რომლებზეც არიან ორიენტირებული ადამიანები, როდესაც თავისი უშუალო მოთხოვნილებების გარეშე. ხშირად მათ საწინააღმდეგოდ, ნებელობით ქცევას ასრულებენ.

ადამიანისათვის ღირებულებად განიცდება სოციალური გარემო, ადამიანთა ჯგუფი (რომელშიც მას უხდება ცხოვრება. ან უნდა, რომ ცხოვრობდეს), მდგომარეობა ჯგუფში (რომლის წევრიც ის არის), თავისთავად ადამიანი, როგორც ასეთი, ქვეყანა, ერი (რომლის წარმომადგენელიც ის არის), ოჯახი, ფული და ქონება, ცოდნა, ხელოვნება და სხვა. მათზე ორიენტირების გამო ადამიანი განიცდის მისწრაფე-

ბას სოციალური ჯგუფის წევრობის, ჯგუფში გავლენის მოპოვების, თავისი სამშობლოს, ოჯახის, სიმდიდრის, ცოდნის, ხელოვნებისა და სხვა ღირებულებებისადმი.

სხვადასხვა საზოგადოებებში და საზოგადოებათა სხვადასხვა ფორმაციების დროს სხვადასხვა ღირებულებას ენიჭებოდა უპირატესი მნიშვნელობა. ერთმანეთისაგან განსხვავდება ფეოდალური, ბურჟუაზიული, ქრისტიანული, კომუნისტური და სხვა მორალური სისტემები, რომლებშიც ადამიანს თავისი სოციალური ღირებულებებით სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭება. კომუნისტური მორალის მიხედვით, თვითონ ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას. რომლის შინაგანი ძალების სრული გაფუჭჩქენა და გამოვლენა თანასწორუფლებიან საზოგადოებაშია შესაძლებელი.

ყოველი საზოგადოება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. მას ამ საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი უქმნის მისწრაფებებს. მაგრამ როდესაც საზოგადოება თავისი ანტიჰუმანური წყობით ისეთ ღირებულებებს ანიჭებს მეტ მნიშვნელობას, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის შინაგან სოციალურ და ჰუმანურ მისწრაფებებს. ეს ყოველთვის იწვევდა ადამიანთა პროტესტს. ასეთ ვითარებაში ხდენა ადამიანთა შინაგანი ბუნების ობიექტივაცია და გაცნობიერება, რომელთა საფუძველზეც კაცობრიობის დიდი ჰუმანისტების მიერ ყალიბდებოდა მორალური შეხედულებანი იმ ღირებულებათა სისტემის შესახებ, რომლებიც უფრო სრულად შეესაბამება ადამიანთა შინაგან სოციალურ ბუნებას.

ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბება ძირითადად ორგანო ფაქტორით არის განსაზღვრული. მისი ფორმირების გარეგან ფაქტორს სოციალური გარემო, სოციალური ჯგუფი წარმოადგენს. რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება.

§ 8. 8. 1. სოციალური გარემო

სოციალურ ღირებულებათა ფორმირება ჯგუფის მოთხოვნებით, მასში გაბატონებული ნორმების შემოქმედების საფუძველზე ხდება.

ყოველი სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება. მის წევრებს, მათი ზოგადი სოციალურ ტენდენციების საფუძველზე, უქმნის მისწრაფებებს გარკვეულ ღირებულებათა მიმართ. ღირებულებანი. რომელთა მიმართ ადამიანს შეუქმუშავდება მისწრაფება. ძალიან დიდად არის დამოკიდებული იმ პირველად ჯგუფებზე, რომლებშიც პიროვნება ყალიბდება. ასეთი პირველადი ჯგუფები ადამიანისათვის ხშირად სანიმუშოდ იქცევა, რომლის ორიენტაციების მიხედვით შეიმუშავებს ადამიანი შეხედულებებს და მათი ნორმების მიხედვით ზომაეს იგი თავის საქმიანობას. ასეთ სანიმუშო ჯგუფს ადამიანისათ-

ვის ხშირად ოჯახი წარმოადგენს. ოჯახში გამეფებული შეხედულებანი და იდეალები ბავშვისათვის უმეტესად ის ძირითადი ორიენტირებია, რომლებიც აყალიბებენ მის შემდგომ მისწრაფებებს და ღირებულებებს, რასაც შემდგომში ადამიანი ემსახურება. ამიტომ ოჯახზე ზრუნვა, მისი კონფლიქტების ობიექტურ ფაქტორთა ლიკვიდაცია საზოგადოების დიდ საქმეს წარმოადგენს. ოჯახის გარდა, გარკვეული ღირებულებებისადმი მისწრაფებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ეზოსა და სკოლის ამხანაგთა ის ჯგუფები, რომლებშიც ბავშვს უხდება ყოფნა. ოჯახი ან ის ჯგუფი, რომელშიც ადამიანს ჩამოუყალიბდა თავისი ძირითადი მისწრაფებანი და ღირებულებათა სისტემა ხშირად ზრდადასრულებულობის შემდეგაც რჩება მისთვის სანიშნო ჯგუფად. ყველა ის სოციალური ჯგუფი, რომელშიც ადამიანს უხდება ცხოვრება მთელი სიცოცხლის მანძილზე, ასე აქვს იაე გავლენას ახდენს მის ღირებულებათა სისტემაზე. ეს გავლენა პირდაპირი და ცალმხრივი არაა. იმ გავლენის კანონებზე, რომლის მიხედვითაც სოციალური ჯგუფები და საერთოდ სხვა ადამიანები მოქმედებენ პიროვნების შეხედულებებსა და ორიენტაციებზე, ჩვენ საგანგებოდ ვილაპარაკებთ სოციალურ განწყობათა ფორმირებისა და ფიქსირების საკითხების განხილვისას. სოციალური ჯგუფის წევრების მიბაძვის, ჯგუფის დაძალებისა და საკუთარი სოციალური ტენდენციების გამო ადამიანი თავისი ვიტალური მოთხოვნილებების გარდა იწყებს ჯგუფის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, ჯგუფის ღირებულებების სამსახურსაც. ჯგუფის მოთხოვნათა შესრულების საფუძველზე ხდება ამ მოთხოვნათა გაშინაგნება საკუთარ მისწრაფებებად.

ადამიანი საკუთარ მიზანთა სისტემის ფორმირებისას, რომლის შესახებაც ადრე ვილაპარაკეთ, ითვალისწინებს სოციალურ მოთხოვნებს, იმ ღირებულებებს, რომლებზეც ჯგუფია ორიენტირებული. ადამიანის მიზანთა სისტემის შესახებ უფრო სრული წარმოდგენა გვექნება, თუ ვაგვიცნობიერებთ იმასაც, რომ მის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს სოციალური ღირებულებანი იმ ჯგუფისა, რომელშიაც ადამიანი ცხოვრობს.

ადამიანის მიზნის ბუნების დახასიათების დროს აღვნიშნეთ, რომ იგი ადამიანის მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გაცნობიერების საფუძველზე იქმნება. ადამიანი გეგმავს ამ შესაძლებელ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მან მომავალში (მომავალი დროის გარკვეულ მონაკვეთში) უნდა დაიკმაყოფილოს. როგორც აღვნიშნული გვექონდა, ამ დროს ადამიანი ითვალისწინებს იმ ობიექტურ გარემოსაც, რომელშიც ეს მიზნები უნდა განხორციელდეს. სოციალური გარემოს გათვალისწინების დროს კი ადამიანს მხედველობაში აქვს ის ღირებულებანიც, რომლის მოპოვება-შექმნას მისი ჯგუფი ცდილობს.

მიზანთა სისტემის შექმნით ადამიანი პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სოციალურ ღირებულებათა შექმნას უკავშირებს, როდესაც ადამიანი გეგმავს თავის მიზნებს, მაგალითად, მოსავლის მოყვანის მომავალ საქმიანობას. ან როდესაც მოსწავლე მიზნად ისახავს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას, ამ დროს ადამიანები პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უკავშირებენ საზოგადოებრივი ღირებულების შექმნის ამოცანებს. გლეხის მიერ მოყვანილი მოსავალი, ისევე როგორც სტუდენტის მიერ მოპოვებული ცოდნა (რომელიც მომავალში ახალ ღირებულებათა შექმნის ფაქტორი გახდება), სოციალურ ღირებულებებს წარმოადგენენ, რითაც ადამიანები საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანებს უზრუნველყოფენ.

მიზნები, რომლებსაც ადამიანები ისახავენ, როგორც ქცევის შინაგანი ფაქტორები, თავისი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან უშუალო მოთხოვნილებებისა და მისწრაფებებისაგან. ეს უკანასკნელნი თავისთავად, ობიექტურად გულისხმობენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც გამოდგებიან მათ დასაკმაყოფილებლად. საგნებთან და მოვლენებთან რეალური შეხვედრის გარეშე მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი ვერ განსაზღვრავენ ადამიანის გარკვეულ მიმართულებას, მიზანშეწონილ ქცევას.

მიზნები, რომელთა მიღწევას ადამიანი ცდილობს, მათ დამაკმაყოფილებელ საგნებსა და მოვლენებს მხოლოდ თავისთავად, ობიექტურად როდი გულისხმობენ. მათში ადამიანის მიერ სუბიექტურადაც, ცოდნის სახით არის გათვალისწინებული მათი დამაკმაყოფილებელი მოვლენები. მიზნებში მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა გარდა ასახულია მათი დაკმაყოფილების შესაძლებელი ობიექტი. მიზნებში როგორც მოთხოვნილება, ისე მისი დამაკმაყოფილებელი ობიექტია ასახული და ამიტომ თითქოს ხელს არაფერი უნდა უშლიდეს, რომ მათ საფუძველზე ადამიანს სათანადო განწყობა შეექმნას. რომლის საფუძველზეც იგი გარკვეულ ქცევას განახორციელებდა. მაგრამ მიზნებში მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგანი მხოლოდ წარმოსახულია, შესაძლებელი. ამიტომ ასეთ ვითარებაში, მოთხოვნილებისა და წარმოსახული საგნის შეხვედრის დროს შეუძლებელია ქცევის ჩვეულებრივი აქტუალური განწყობის ფორმირება. მაგრამ მიზნის ფორმირება მაინც გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის აქტიობაზე. მიზანთა ფორმირების დროს ადამიანს მაინც ექმნება გარკვეული მიმართულების ქცევის მზაობა, გარკვეული განწყობა. მიზანთა ფორმირების დროს გამოცდილების საფუძველზე აღვილი აქვს მოთხოვნილების საგნების ისეთ ვითარებასა და სიტუაციებში წარმოსახვას, სადაც დიდი ალბათობითაა შესაძლებელი მათი არსებობა. ამიტომ მოთხოვნილებებისა და ამგვარად წარმოსახული სიტუაციის ნიადაგზე შექმნილი განწყ-

ყოფის საფუძველზე ადამიანი ხშირად ახერხებს საჭირო საგნების მიღებას და თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მათ გამოყენებას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიზნების ფორმირებისას ადამიანს უყალიბდება გარკვეული ობიექტების ძიების განწყობა.

როდესაც პიროვნება, როგორც სოციალური არსება, აყალიბებს თავის მიზანთა სისტემას, მასში არსებითი ადგილი მისი ჯგუფის სოციალური ღირებულებებისადმი ორიენტაციას უკავია. სოციალური ღირებულებების შემცველ მიზანთა სისტემა ქმნის უშუალო მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებთან ერთად „მე“-ს სისტემას, რომელიც ყველა კონფლიქტურ ვითარებაში ცდილობს იმპულსური ქცევის საპირისპიროდ სოციალური ღირებულების მქონე ქცევა განახორციელოს. ასეთ ვითარებაში თავისი ქცევის გასამართლებლად ადამიანი სოციალური ღირებულებისადმი სამსახურის საჭიროებას იშველიებს, რომლითაც მისი პიროვნული მიზნები ხორციელდება.

ამრიგად, ადამიანი სოციალურ გარემოში ცხოვრების გამო თავისი ჯგუფის ღირებულებათა შექმნას და მიღწევას პიროვნულ მიზნებად აქცევს. თავის წარმატებასაც ადამიანი ცხოვრებაში ამ მიზნების რეალიზაციის მიხედვით ზომავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები მიღწევებს ცხოვრებაში თავისი სოციალური ჯგუფის ღირებულებათა მიხედვით ზომავენ, რომლებიც გაშინაგნებულ იქნა მათ მიერ და რომელთა საფუძველზეც ისინი პიროვნებად იქცნენ.

8. 5. ადამიანის სოციალურ ღირებულებათა ფორმირების განსაზღვრელი ფინანსური ფაქტორები

სოციალურ ღირებულებათა სისტემის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის პირადი ცხოვრება, რომლის პროცესშიც გამოიკვეთება ადამიანის ის ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც არსებითად გავლენას ახდენენ სოციალურ ღირებულებათა გაშინაგნებასა და ქცევის დეტერმინანტებად მათ გადაქცევაზე.

აქტივობის პროცესში ადამიანები არა მხოლოდ ეცნობიან სინამდვილესა და სოციალურ გარემოს. რომელშიც ისინი ცხოვრობენ, არამედ იმეცნებენ თავისთავსაც. სოციალური ურთიერთობის პროცესში ადამიანებისათვის ნათელი ხდება, თუ რა უნარები და შესაძლებლობანი გააჩნიათ მათ. საკუთარი უნარის განსაზღვრას ადამიანები სხვა ადამიანებთან მიმართებაში ახდენენ. თუმცა თავის შეფასებაში ადამიანები ნაკლებად ობიექტურნი არიან, მაგრამ ისინი მაინც იქმნიან ისეთ მიახლოებით წარმოდგენას თავის შესაძლებლობათა შესახებ, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ სინამდვილესთან ურთიერთობის დროს მათ ისეთი მიზნები დაისახონ და ისეთ ღირებულებების შექმნა-მოპოვებაზე

იზრუნონ, რაც მათ შინაგან ძალას და უნარს შეეფერება. თუ თავის უნარს ადამიანი არარეალურად აფასებს, ასეთ შემთხვევაში იგი ზშირად კონფლიქტურ ურთიერთობაში მოდის სინამდვილესთან. სინამდვილესთან შეგუების ტენდენცია ადამიანებს აიძულებს კორექტივები შეიტანონ თავის შეხედულებებში საკუთარ თავზე. საკუთარი უნარის დადგენა ადამიანს ეხმარება სწორად დაისახოს საყოფაცხოვრებო ამოცანები. საკუთარი უნარის სწორად შეფასების შემთხვევაში ადამიანი ისეთ მიზანთა სისტემას იქმნის, რომლის საფუძველზეც იგი მაქსიმალურ ღირებულებათა შექმნას ახერხებს. ეს ვითარება განაპირობებს ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემის კონფიგურაციასა და თავისებურებას, რომელსაც ადამიანი სამოქმედო პროგრამის სახით აყალიბებს. მაგალითად, თუ ადამიანი თავისთავს საშუალო ან უფრო მცირე უნარის მქონე მეცნიერად თვლის, შესაძლებელია მან სხვა სოციალური ღირებულებანი უფრო მეტი მნიშვნელობისად ჩათვალოს და პროფესია გამოიცვალოს. თუ ეს ვერ მოახერხა, შესაძლებელია მას სხვა ვატაცება გაუჩნდეს. შესაძლოა მას შეუშუშავდეს შეხედულება, რომ ცხოვრებაში მთავარია ქონებისა და ფულის დაგროვება. ამ მიმართულებით სათანადო წარმატებათა მოპოვებისა და უნარის გამოჩენის შეუძლებლებაში მისი ღირებულებათა სისტემის სათანადო რეკონსტრუქციაც მიხდება. თუ ამ სწრაფაც ვერ გამოიჩინა ადამიანი ვარკვეული უნარი, შესაძლებელია ნადირობა, დროსტარება, ან სმა აქტიურ თავიანი ცხოვრების ძირითად საქმედ. თუ მან ამ საქმიანობით შეძლო თავის წრეში პრესტიჟისა და ძალაუფლების მოპოვება, მას შეუშუშავდეს შესატყვისი შეხედულებები. ცხოვრებაში იგი ძალაუფლებასა და პრესტიჟს ძირითად ღირებულებებად ჩათვლის; ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მძინულშავებს შეხედულებას, რომ მთავარია ადამიანმა ცხოვრებაში თავისი უშუალო მოთხოვნილებები და მისწრაფებები დიკომპლეთიკოს სვენ დროშიც ცხოვრობენ თანამედროვე ლუარსაბ თათქარიცში, რამდენიც მხოლოდ საკუთარი უშუალო მოთხოვნილებების და საყოფალებას ესწრაფიან. სოციალურ ღირებულებებზე ორიენტაციის ჯარგმა.

ამრიგად, საკუთარი უნარისა და შესაძლებლობის შესახებ შეხედულებების მერეშავება გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემის შემუშავებაზე.

მ. 5. 2. ადამიანის სოციალური ღირებულებების სისტემის დინამიკა
შეხატვის საფუძველი

ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემის ფორმირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური შეფასების უნარის გან-

ვითარება, რაც ადამიანის სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება. როგორც ცნობილია, ყველა ადამიანს აქვს თავისი წარმატება-მარცხის განცდის ისტორია, რომელიც ჩნდება გარკვეული მიზნების შესრულებასთან დაკავშირებით. ამგვარი განცდები ძლიერ უკუზეგავლენას ახდენენ შესატყვისი ღირებულებისადმი მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე. თუ გარკვეულ ღირებულებათა შემცველი მიზნების მიღწევისათვის შესრულებული ქცევის დროს ადამიანი ხშირად განიცდის მარცხს, მას უმუშავდება უარყოფითი დამოკიდებულება ამ ღირებულებათა მიმართ. მას ექნება შეხედულება, რომ ამ ღირებულებებს ნაკლები მნიშვნელობა აქვთ ცხოვრებაში სხვა ღირებულებებთან შედარებით და ამიტომ არც ღირს მათთვის თავის შეწუხება. ასეთ შემთხვევებში ადამიანს უმუშავდება ე. წ. „მკვახე ყურძნის კომპლექსი“. ცნობილი იგავის მელასავით ადამიანს ეჩვენება, რომ მასაც მაინცდამაინც არ უნდა ამ მიზნის მიღწევა, თორემ მცირე ძალის დამძვითაც აღვიღად მიაღწევდა მას.

ცნობიერი და არაცნობიერი მექანიზმების მოქმედების საფუძველზე მიღწევა-მარცხის განცდები სათანადო გავლენას ახდენენ ადამიანის ღირებულებათა სისტემაზე.

ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს არა მხოლოდ მიღწევის განცდასთან დაკავშირებული ქცევის განწყობის ფიქსირებას და მარცხის განცდასთან დაკავშირებული განწყობის დეზაქტუალიზებას. არამედ გარკვეული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას იმ ღირებულებებთან, რომლებისადმიც იყო მიმართული აღნიშნული ქცევები. მიუღწევადი ღირებულებანი ბოლოს და ბოლოს ფასს კარგავენ ადამიანის თვალში. მის სისტემაში სულ უფრო ბოლო ადგილს იკავებენ და ბოლოს გამოირიცხებიან კიდევაც.

მაგრამ მაინც ვასარკვევია, თუ რის საფუძველზე ხდება ადამიანის მიერ თავისი ქცევის წარმატება-წარუმატებლობის ხარისხების დადგენა.

იმპულსურ-განწყობისეული ქცევის წარმატება-წარუმატებლობას ინდივიდი უშუალოდ განიცდის იმის მიხედვით. თუ რა მდგომარეობაშია მისი უშუალო მოთხოვნილება, რა ემართება მას, რომლის დაკმაყოფილებისთვისაც იგი ახორციელებს ქცევას. მაგრამ იმ ღირებულებათა შექმნა-მოპოვების პროცესში, რომელიც მისი ჯგუფისათვის ითვლება ღირებულად, რა წარმატებები აქვს ადამიანს, ამას იგი უშუალოდ, ბიოლოგიური მდგომარეობის სახით და საშუალებებით ვერ გაიგებს. ამისათვის მას სჭირდება შეადაროს თავისი ქცევის შედეგები ჯგუფის სხვა წევრთა ქცევის შედეგებს. ადამიანი სოციალურ ღირებულებათა მოპოვების საქმეში წარმატება-წარუმატებლობას სხვათა მიღწევის ფონზე ზომავს. რამდენი ქონება უნდა დააგროვოს ადამიანმა,

რომ იგი მდიდრად ჩაითვალოს? ამაზე პირდაპირ პასუხის გაცემა შეუძლებელია. თუ გარკვეული ქონების მქონე ადამიანი ერთ საზოგადოებაში ღარიბად ითვლება, მეორეში შეიძლება მდიდარი ყოფილიყო. ადამიანის სოციალური ქცევის ღირებულება სხვა ადამიანების ქცევის ღირებულებათა მიმართებაში შეიძლება განისაზღვროს. ადამიანის მეცნიერული საქმიანობის ღირებულება, სხვათა მეცნიერული წარმატების საფუძველზე ფასდება. კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოების ღირსება იმით ფასდება, თუ რა ადვილს იკავებს იგი სხვა მუსიკალურ ნაწარმოებთა გვერდით. საკუთარ სოციალურ ქცევათა წარმატება-წარუმატებლობასაც ადამიანი ასე თუ ისე სხვათა წარმატებასთან მიმართებაში ზომავეს. ასეთი ვითარება ადამიანებს აიძულებთ შეიმუშაონ გარკვეული საზოგადოებრივი სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ცალკეულ პიროვნებათა სოციალური აქტიობის შეფასება. ადამიანები ერთმანეთს მართლაც ასეთი „გასაშუალებელი ადამიანის“ სტანდარტებით ზომავენ. ასეთ სოციალურად გამომუშავებულ ეტალონებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ქცევის წარმატების გაზომვისთვისაც. მაგრამ საკუთარი აქტიობის შეფასება მაინც უფრო რთული საქმიანობაა და ამ პროცესს ადამიანები იმითაც ართულებენ, რომ ასეთი თვითშეფასების პროცესში მათ დამატებით შემოაქვთ გარკვეული სუბიექტური პიროვნული მნიშვნელობის მქონე ეტალონები და პროცედურები.

ჰიმენის გამოკვლევის მიხედვით ადამიანები საკუთარი ქცევისა და საერთოდ თავისთავის შეფასებისას ერთიანი საზომიდან არ გამოდიან. იგი შეისწავლავდა ადამიანების მიერ საკუთარი თავის შეფასებას, ადგენდა იმას, თუ რას ფიქრობენ ისინი თავისთავის შესახებ, როგორ გავლენას ახდენენ თვით შეფასებაზე ადამიანები, რომლებთანაც ისინი ცხოვრობდნენ.

ექსპერიმენტულ მონაცემთა საფუძველზე ჰიმენი¹ გვიჩვენებს, რომ ადამიანები საკუთარი თავის შეფასებას, ჩვეულებრივ, ორი თვალსაზრისით ახდენენ: ერთი მხრივ, ისინი თავის მდგომარეობას და ღირებულებას აფასებენ იმ ჯგუფის ადამიანების მიხედვით, რომელშიც ისინი რეალურად ცხოვრობენ. ასეთ ჯგუფს სამსახურის, ოჯახისა და ნაცნობების წარმომადგენელი ქმნის. მაგრამ ამავე დროს ადამიანს ჰყავს სანიმუშო ჯგუფის ადამიანები ან ცალკეული სანიმუშო ადამიანები, რომლებთან მიმართებაშიც იგი ზომავს თავისთავს. ადამიანისათვის სანიმუშოდ ისეთი ჯგუფი ითვლება, რომლის წევრობაც სურს მას, რომელთა მსგავსიც უნდა რომ იყოს. სანიმუშო ჯგუფის ნორმებს ადამიანი თავისი

¹ Hyman H. H. The psychology of status. Arch. Psychology, 1942, № 260.

ქცევის ეტალონად განიცილის. ადამიანი საკუთარ თავს ამ ეტალონების მიხედვითაც აფასებს და ამ შეფასების შედეგები, როგორც წესი, მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისთავზე იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც ადამიანს გარემომცველ ადამიანებთან მიმართებაში ექმნება. თავისი სოციალური აქტიობის შეფასებას ადამიანი რთული შინაგანი სისტემის საფუძველზე ახდენს. ეს შეფასება კი თავისთავად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ სოციალურ ღირებულებათა სისტემაზე, რომლის საფუძველზეც ადამიანი მოქმედებს. ღირებულებანი, რომელთა მოპოვებისას ადამიანები წარმატებას აღწევენ, მათთვის მეტი მნიშვნელობისანი ხდება, ღირებულებანი, რომელთა მიღწევისას ადამიანებს ხშირად მოსდით მარცხი, პიროვნების თვალში უფასურდება.

ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბების საფუძველზე ადამიანი პიროვნებად იქცევა. პიროვნების მიერ განხორციელებული ქცევა ამ ღირებულებათა მოპოვებას ემსახურება. ამ ღირებულებათა შექმნა-მოპოვება ამავე დროს საზოგადოების მოთხოვნების შესრულებას ნიშნავს. თავისი ნებელობითი ქცევის საფუძველად გარკვეული მოტივის გამოჩენის დროს ადამიანი იმ ღირებულებაზე მიუთითებს, რომელიც მისი ქცევით უნდა იქნეს მოპოვებული.

პრაქტიკულ-იმპულსური ქცევის განხორციელებისას ინდივიდი თავისი უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. პრაქტიკული ქცევის განწყობა, რომლის საფუძველზეც სრულდება ქცევა, უშუალო მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის საფუძველზე იქმნება.

ადამიანის ნებელობითი ქცევა კი რთული პიროვნული მექანიზმების გამოყენებას გულისხმობს. ობიექტივაციის საფუძველზე, როდესაც ქცევის მოსამზადებელ ფსიქიკურ ველში პიროვნება თავისი ღირებულებითი სისტემით და სხვა უნარით ჩაერთვება, ამ ველის ისეთ ორგანიზირებას ცდილობს, რომელსაც მისთვის მისაღები, მისი მისწრაფებებისადმი შესატყვისი ქცევა მოჰყვება. მოტივაციისა და გადაწყვეტის საფუძველზე ქცევის ფსიქიკურ ველში ქცევის ისეთ ფაქტორთა ცენტრირება ხდება, რომელთა საფუძველზეც შეიძლება აღმოცენდეს პიროვნებისათვის მისაღები სოციალური ქცევის განწყობა. პიროვნების ნებელობითი აქტიობის ერთ-ერთი ამოცანა იმპულსური, ასოციალური ტენდენციების და მისი აღმძვრელი სტიმულების დეცენტრაცი-აში მდგომარეობს. მეორე მხრივ, პიროვნება თავის ღირებულებათა სისტემის შესატყვისი სოციალური ქცევისათვის საჭირო შინაგანი და გარეგანი მონაცემების ცენტრირება-აქტუალიზების საშუალებით სოციალური ქცევის განწყობის აღმოცენებისათვის საჭირო პირობებს ქმნის. ამგვარ პირობათა ორგანიზების აქტიობა და სოციალური ქცე-

ვის განწყობის შექმნა ადამიანის მიერ მოტივაციისა და გადაწყვეტილების მიღების სახით განიცდება.

ადამიანის სოციალური ქცევის მომზადებისა და განხორციელების პროცესში გაუცნობიერებელი ტენდენციებისა და მექანიზმების გარდა უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის აფექტური ასახვითი ცნობიერების პროცესები. ეს პროცესები ობიექტური სინამდვილისა და „მე“-ს განცდის საშუალებას იძლევიან. ამ განცდების საშუალებით სინამდვილე და ჩვენი „მე“ ჩვენთვის „მოცემულობანი“ ხდება. ნებელობითი ქცევის ორგანიზების დროს პიროვნება ამ მონაცემებით ოპერირებს. „მე“-ს შესახებ მონაცემები, რომლებიც ადამიანს გააჩნია, ყოველთვის არ შეესატყვისება იმ შეხედულებებს, რომლებიც მისი „მე“-ს შესახებ სხვა ადამიანებს აქვთ. საკუთარი „მე“-ს შესახებ შეხედულებებს ადამიანი მიკერძოებით ქმნის, ის ტენდენციურ ფსიქოლოგიურ ავტოპორტრეტს წარმოადგენს.

8. 6. ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი

ადამიანი ფსიქოლოგიურ ავტოპორტრეტს ობიექტივაციის აქტების მთელი სერიის საფუძველზე ქმნის. როცა პიროვნება ინდივიდის სახით მოქმედებს, ის ჩართულია და გათქვეფილია სინამდვილეში. ასეთ შემთხვევებში მას ნათელი წარმოდგენები არა აქვს არც სინამდვილისა და არც საკუთარი თავის შესახებ.

სინამდვილესთან დაპირისპირების პროცესში ადამიანი აჩერებს იმპულსურ აქტიობას და აცნობიერებს თავისი აქტიობის კომპონენტებს: ქცევაში ჩართულ საგნებს, თავის „მე“-ს, საკუთარ ქცევას და სხვა ადამიანებს. ობიექტივაციის ყოველი ცალკეული აქტის დროს ადამიანი აცნობიერებს რალაც ობიექტს, მაგრამ ამავე დროს მას თავისი „მე“-ს გარკვეული თვალსაზრისით გაცნობიერებაც უხდება. ამგვარი აქტების საფუძველზე ადამიანი სინამდვილის საგანთა თავისებურებების გარდა აცნობიერებს თავის მოთხოვნილებებს, მისწრაფებებს, შემეცნების უნარს, ხასიათობრივ თავისებურებებს და სხვ. მაგრამ ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის შექმნაში საკუთარი თავის უშუალო განცდის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ადამიანთა რეაქციებს. პიროვნების „მე“-ს მიმართ. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ამ მონაცემების ერთიანობის საფუძველზე იქმნება.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი წარმოადგენს ადამიანის პიროვნულ გარკვეულობას, ერთი მხრივ, დროსა და სივრცეში. ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ ურთიერთობათა პროცესში. ამიტომ მის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის წარმოდგენები საკუთარი პიროვნების შესახებ და ისიც. თუ რა ადგილს იკავებს იგი საზო-

გადოებრივ ურთიერთობებში, როგორია სოციალური გარემოს რეაქცია მის მიმართ. ამ სახით ფორმირებულ შეხედულებას თავისთავის შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნებისათვის, რადგან, როგორც სამართლიანად აღნიშნავს შიბუტანი, რასაც აკეთებს ან არ აკეთებს ადამიანი, მნიშვნელოვნად არის განსაზღვრული იმით, თუ რა შეხედულება აქვს მას საკუთარი თავის შესახებ¹.

ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი არ დაიყვანება და ამოიწურება შეხედულებით საკუთარი სხეულის შესახებ, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის ჩამოყალიბებაში. ამის საუკეთესო დადასტურებას იძლევა მოლტზის მდიდარი პრაქტიკა, რომელიც მან, როგორც ქირურგმა, მიიღო. მოლტზი საბის პლასტიკური ოპერაციების ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტთაგანია. მან თავისი პრაქტიკის პროცესში შეამჩნია, რომ სახის პლასტიკური ოპერაციის შემდეგ მისი ბევრი პაციენტი ფიზიკური ცვლილებების, გარეგნული ესთეტიზების გარდა ღრმა ფსიქოპიროვნულ ცვლილებებს განიცდიდა. შემდგომ სპეციალურ დაკვირვებათა და გამოკვლევათა საფუძველზე მან დაადგინა, რომ საკუთარ გარეგნობაში რადიკალურ ცვლილებებს, თუ იგი გარკვეული პოზიციიდან იქნება განხილული, შეუძლია გარკვეულ ცვლილებათა შეტანა პიროვნებაში. თავის საინტერესო შრომაში მას მოცემული აქვს მეთოდებისა და წესების გარკვეული წყება, რომლებიც ადამიანს თვითკონტროლისა და თავისი ქცევის უკეთ ორგანიზების საშუალებას აძლევს. თვითკონტროლისა და საკუთარი აქტიობის რაციონალური ორგანიზაციის საშუალებებს შორის, მოლტზის აზრით, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს წარმოდგენები თავისი გარეგნობისა და საკუთარი თავის შესახებ².

წარმოდგენებს თავისი გარეგნობის შესახებ ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ იგი მხოლოდ თვალსაჩინო წარმოდგენების ერთობლიობით არ ამოიწურება. ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი ისეთ შინაარსს გულისხმობს, რომელიც მნიშვნელოვნად სცილდება იმ დროულ-ვრცელ საზღვრებს, რომლებიც ადამიანის სხეულს უკავია. თავისი პიროვნების საკუთარი სხეულის ფარგლებს გადაღმა განცდასა და გაფართოებას ადამიანი ე. წ. იდენტიფიკაციის ფენომენის საფუძველზე ასრულებს. ცნობილია, რომ ადამიანები საკუთარი თავის იდენტიფიკირებას ასდენენ თავის წინაპრებთან. ადამიანები სამართლიანად ამაყობენ ხოლმე წინაპრების ღირსებებით, თავისი ხალხის ისტორიითა და კულტურით. მათ მიმართ უდიერ მოპყრობას ადამიანები საკუთარი პიროვნების ხელყოფად გა-

¹ Шибутани, Т. Социальная психология, Москва, 1969, стр. 204.

² Maltz M. Psycho-cybernetics, N. Y., 1981.

ნიცილიან. ასეთ შემთხვევებში მათ ექმნებათ განცდა, რომ მის პიროვნებას შეეხნენ. პატრიოტული გრძნობების, საკუთარი ხალხის წარსულის პატივისცემა, ცხადია, იდენტიფიკაციით არ ამოიწურება, მაგრამ იდენტიფიკაციის ფენომენს აქ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ადამიანი თავის პიროვნებას მომავალზეც ავრცელებს. შეილება სადა ქვეყნის მომავალი თაობის წარმატება-წარუმატებლობას ადამიანი ხშირად ისევე ემოციურად განიცდის, როგორც საკუთარ მდგომარეობას. იდენტიფიკაციის ფენომენი აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის მნიშვნელოვან კომპონენტებს ხშირად ისეთი მოვლენები წარმოადგენენ, რომლებიც ადამიანის დაბადებამდე არსებობდა ან მისი სიკვდილის შემდეგ მოხდება. ადამიანი ხშირად ძნელ და სასახლო საქმიანობას ეწევა იმის გამო, რომ, მისი აზრით, მისი სახელოვანი წინაპრების ჩამომავალს არ შეუფერის სხვაგვარი მოღვაწეობა. ასევე ხშირად ადამიანები დამბულა ფიზიკური და სულიერი აქტიობის ფასად ქმნიან პირობებს, რომლებშიც მათი შვილები — მომავალი თაობა მიიღებს მატერიალურ და სულიერ დაკმაყოფილებას. მომავლისადმი ასეთ ზრუნვას საკუთარი პიროვნების შთამომავლობისადმი იდენტიფიკაცია ეხმარება. ამიტომაც, რომ ადამიანი ხშირად ისეთ საქმიანობას ეწევა, რომლის ნაყოფს იგი პირადად ვერასოდეს მიიღებს. მომავალი თაობებიც, სადამი სამსახური გაფართოებული პიროვნული ინტერესებისადმი სამსახურია. ვინც ასეთ საქმიანობას ეწევა, მისი ფსიქიკური ავტოპორტრეტი მნიშვნელოვნად სცილდება მისივე სხეულის დროულ-ვრცულ საზღვრებს. ასეთი მონაცემები იმაზე მიუთითებენ, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტი არაა მხოლოდ საკუთარი სხეულის ან სულიერი პროცესების შესახებ შემუშავებული წარმოდგენები და აზრები.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი უპირველეს ყოვლისა, პიროვნული ღირებულების მქონე დამოკიდებულებებისა და ქცევების შესახებ არსებული ზოგადი შეხედულებების მთლიან სისტემას წარმოადგენს. ყოველივე იმის საფუძველზე, რასაც დიდი პიროვნული ღირებულება აქვს ადამიანისათვის და რის გამოც იგი გარკვეულ აქტიობას ახორციელებს, ადამიანს ექმნება ფსიქიკური ავტოპორტრეტი. იგი არის შეხედულებათა სისტემა თავისთავის შესახებ.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი მხოლოდ საკუთარი თავის უშუალო განცდისა და თვითდაკვირვების მონაცემების საფუძველზე არ იქმნება. მისი ფორმირებისათვის მონაცემების ერთ-ერთ სერიოზულ წყაროს პიროვნებისადმი სხვა ადამიანების რეაქციები წარმოადგენენ.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო მონაცემებს იძლევა გერმანელი ფსიქოლოგი მეცგერი პელაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხების

განხილვისას. დაწყებით კლასში მიღებული მცირეწლოვანი ბავშვები ასაკობრივი შეუსატყვისობის გამო ძნელად ითვისებდნენ მიწოდებულ მასალას. ისინი იმავე კლასში დატოვების შემდეგაც ცუდ მოსწავლეებად დარჩნენ, თუმცა გარკვეული ცოდნა მაინც შეიძინეს. აღმოჩნდა, რომ თავისთავის შესახებ მათ შეიმუშავეს ცუდი მოსწავლის შეხედულება, რადგან მათ ასე აფასებდნენ. ასეთი თვითშეფასება მეტად უარყოფითი ზემოქმედების მომხდენი აღმოჩნდა მათ შემდგომ სწავლის პროცესზე.

შიზოტანის აზრით¹, საკუთარი თავის შესახებ შეხედულების შემუშავების პროცესში სხვის შეხედულებათა გადამწყვეტი მნიშვნელობის იდეა კულისა და მიდს ეკუთვნით.

კულის აზრით, ადამიანი თავისი „მე“-ს განსაზღვრის დროს საზოგადოებას იყენებს როგორც სარკეს. ისე როგორც სარკე გვაძლევს ჩვენი გარეგნობის სურათს, საზოგადოება, სხვა ადამიანები თავისი რეაქციებით გვაძლევენ „მე“-ს, როგორც მოქმედის სურათს. თუ საზოგადოება მუდმივად და სტერეოტიპულად ადამიანს ეპყრობა, როგორც განსაკუთრებულ. გამორჩეულ პიროვნებას, ასეთ შემთხვევაში ადამიანი ბოლოს და ბოლოს თავისთავს განიცდის როგორც გამორჩეულსა და განსაკუთრებულს.

საზოგადოების, სხვა ადამიანთა დამოკიდებულება მართლაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პიროვნების შეხედულებას თავისთავის შესახებ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სხვა ადამიანთა დამოკიდებულება პიროვნების მიერ ძნელია სარკისებურად და ობიექტურად იქნეს ასახული და გაგებული. სწორედ ეს მომენტია გათვალისწინებული მიდის შეხედულებაში საკუთარი „მე“-ს შესახებ.

მიდი პიროვნების ფსიქიკური ავტოპორტრეტის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ. ადამიანის აზრით, რას ფიქრობენ სხვა ადამიანები მის შესახებ. მიდის ამ იდეის მიხედვით ადამიანის ფსიქიკური ავტოპორტრეტი უშუალოდ სხვა ადამიანთა რეალური ზემოქმედებით არაა განსაზღვრული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ განიცდის ადამიანი სხვა ადამიანთა უკუზემოქმედებას.

მიდის ეს იდეა საკუთარი „მე“-ს შესახებ შეხედულების ფორმირების დროს სხვათა ზემოქმედების სუბიექტური, სელექციური მიღების შესახებ ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე იქნა დადასტურებული. აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტის შექმნისათვის უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ, ადამიანის აზრით,

¹ Шибуташи Т. Социальная психология, Москва, 1960, стр. 197—198.

რას ფიქრობენ სხვები მასზე, ვიდრე იმას, თუ ნამდვილად, რეალურად რას ფიქრობენ მასზე და რა რეაქციებს ამჟღავნებენ მის მიმართ.

საინტერესო ექსპერიმენტული მუშაობა ჩაატარეს მიამოტმა და ღორნბუშმა. ისინი ცდისპირებს ავალუბდნენ, რომ შეეფასებინათ თავისი თავი და სხვები გარკვეული სკალის გამოყენებით. შეფასება ოთხი თვალსაზრისით ხდებოდა. ცდისპირებს მოეთხოვებოდათ ადამიანთა შეფასება¹: 1. გონებრივი უნარის მიხედვით; 2. მის მიხედვით, თუ რამდენად თვითღირსეულობით ხასიათდებიან ისინი; 3. გარეგნული მიზიდველობის მიხედვით და 4. საერთო პიროვნული მომხიბლაობის მიხედვით.

ყოველ ცდისპირს ევალუბოდა: ა) შეეფასებინა თავისთავი, ბ) შეეფასებინა ექსპერიმენტში მონაწილე ყველა ცდისპირი, გ) უნდა მოეცა შეფასება. რომელსაც, მისი აზრით, ყოველი სხვა ცდისპირი მისცემდა მას და დ) მოეცა სხვა ადამიანების მიერ მისი ზოგადი შეფასება.

ამ ექსპერიმენტის მონაცემთა საფუძველზე მკვლევრების მიერ ბევრი საინტერესო შედეგი იყო მოპოვებული, რომელთაგანაც ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი: მათ მიერ ნაჩვენები იქნა, რომ როდესაც ცდისპირები საკუთარი თავის მიღალ შეფასებას იძლევიან, ისინი ფიქრობენ, რომ სხვა ადამიანებიც მას მაღალ შეფასებას აძლევენ. ეს მაშინ, როდესაც საკმაო განსხვავება არსებობს თვითშეფასებასა და იმ შეფასებას შორის, რომელსაც სხვები აძლევენ ადამიანს.

ამ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ, მართალია, სხვათა შეფასება და თვითშეფასება გარკვეულ კავშირში არიან ერთმანეთთან, მაგრამ ადამიანის თვითშეფასებაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს ის, თუ, მისი აზრით, რას ფიქრობენ სხვები მის შესახებ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტის ფორმირებისას თავისი თავისა და თავის ქცევითა უშუალო განცდის გვერდით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა რეაქციებს იღებს ადამიანი საკუთარი სოციალური გარემოდან მისი „მე“-ს შეფასების მიმართულებით. უშუალო განცდებისა და იმ შეფასებათა ერთიანობის საფუძველზე, რომელიც, მისი აზრით, არსებობს საზოგადოებაში მასზე, ადამიანს უყალიბდება ფსიქიკური ავტოპორტრეტი. ფსიქიკური ავტოპორტრეტი წარმოადგენს თვითგანცდისა და ფსიქიკური ურთიერთქმედების აქტიობათა ნაყოფს, რის გამოც ის სოციალურ ფსიქოლოგიურ ფენომენტა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს. მის თავისებურებათა და-

¹ Miyamoto F. S., Dornbush S. A Test of Interactionist Hypotheses of Self-conception. American Journal of Sociology, 39, 1956, p. 399-403.

ხასიათებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ იგი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის აღმძვრელ რეალური ფაქტორების რიცხვს მიეკუთვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის სოციალური ქცევის განხორციელებისათვის საჭირო განწყობის ფორმირებაში მონაწილეობს.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ადამიანები თავისი აქტიობით მხოლოდ ძირითად ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს არ იკმაყოფილებენ. ისინი ცდილობენ ისეთი საქმიანობანი განახორციელონ, რომლებიც მის ფსიქიკურ ავტოპორტრეტთანაა დაკავშირებული. ისინი ცდილობენ აიცდინონ საქმიანობა, რომელიც მის ფსიქიკურ ავტოპორტრეტთან შეუთავსებადია. მეორე მხრივ, ადამიანები ხშირად კმაყოფილი არ არიან საკუთარი ფსიქიკური ავტოპორტრეტით, რის გამოც დაძაბულ აქტიობას მიმართავენ: შურს იძიებენ, იბრძვიან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და სხვა.

იმპულსური აქტიობის დროს ადამიანი, ჩვეულებრივ, არც განიცდის თავის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს. პრაქტიკული ქცევის განწყობას სრულიად საკმარის პირობას წარმოადგენს პრაქტიკული ქცევის განხორციელებისათვის. ფსიქიკური ავტოპორტრეტის აქტუალიზაცია განცდა ადამიანს მაშინ უჩნდება, როდესაც მისი იმპულსური ქცევა გარკვეულ კონფლიქტში მოდის მის პიროვნებასთან. როდესაც ადამიანი ალტერნატივის წინაშე დგას, მაშინ განსაკუთრებით ნათლად განიცდის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს.

ალტერნატიულ და კონფლიქტურ ვითარებაში, როდესაც პიროვნება განიცდის თავის ფსიქიკურ ავტოპორტრეტს, ამ დროს მას მხოლოდ ინტელექტუალური შინაარსები, წარმოდგენები და აზრები არ აღმოუყენდება თავისთავის შესახებ. ფსიქიკური ავტოპორტრეტი მხოლოდ ხატი ან ცოდნა არაა საკუთარ თავზე. იგი იმავე დროს იმ მოტივების, მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების ერთობლიობაა. რომელიც ადამიანს, როგორც მოქმედ პიროვნებას, გააჩნია. მაგრამ. ცხადია, ალტერნატიული მდგომარეობიდან გამოსვლის დროს ადამიანს თავისი ფსიქიკური ავტოპორტრეტის სრული სისაყსით განცდა არ სჭირდება. ასეთ აქტიობას ადამიანები იშვიათად, გამონაკლისის სახით მიმართავენ, როდესაც ისინი თავისი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გადაფასების აუცილებლობის წინაშე დგანან; ჩვეულებრივ კი ადამიანები ფსიქიკური ავტოპორტრეტის ზოგიერთი სეგმენტის, ზოგადი ჩონჩხის ან ზოგიერთი მომენტის გაცნობიერებით კმაყოფილდებიან.

ფსიქიკური ავტოპორტრეტის ძირითად ჩონჩხს ადამიანის მოტივთა სისტემის ის იერარქიული აღფაბეტი ქმნის, რომელიც პიროვნებას სოციალური ურთიერთქმედების პროცესში აქვს შემუშავებული. როდესაც დ. უზნაძე ინდივიდის ვიტალური მოთხოვნილებების სისტე-

მისაგან განსხვავებით „მე“-ს „მოთხოვნილებების“ ან „მე“-ს ფიქსირებულ განწყობათა სისტემის შესახებ ლაბარაკობს, ფაქტიურად ეს ფენომენი აქვს მხედველობაში.

ფსიქიკური ავტოპორტრეტის ამ ძირითად ჩონჩხს თავისი შეგუბებითი და ვიტალური მოთხოვნილებების შესახებ არსებული შეხედულებები ავსებენ. მართალია, ფსიქიკური ავტოპორტრეტი ტენდენციურად, სელექციურად არის შედგენილი, მასში, როგორც წესი, ადამიანისათვის კარგი და მისაღები მხარეებია წინ წამოწეული და გაზვიადებული, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მასში მინც აისახება ადამიანისათვის უსიამოვნო და მიუღებელი მხარეები. ადამიანებს მეტნაკლებად, მაგრამ მინც მიკერძოებული და შელამაზებული ფსიქიკური ავტოპორტრეტი აქვთ, მაგრამ თავისთავს მინც არავენ თვლის ბოლომდე იდეალურ ადამიანად; ჩვენ ფსიქიკური ავტოპორტრეტის ზოგიერთი მხარის მიმართ ჩვენ გვაქვს უარყოფითი დამოკიდებულებანი. ადამიანებმა ბევრი რამ იციან თავისი ნაკლის შესახებ, რომლებსაც ყოველთვის ვერ უმაღავენ სხვებს და საკუთარ თავს. ამის გამო ადამიანებს თავისი ავტორიტეტისადმი ზოგადი დამოკიდებულების გარდა, დიფერენცირებული დამოკიდებულებები აქვთ ფსიქიკური ავტოპორტრეტის სხვადასხვა მონაკვეთის მიმართ. მაგალითად, ალკოპოლიკებს ხშირად, მართალია, სათანადო „იდეოლოგია“ აქვთ შემუშავებული და ამტკიცებენ, რომ ცხოვრების სხვა მისწრაფებანი ფუჭია და თავისმოტყუება: ანდა თითქოს სწორედ ალკოპოლიკებს შეუძლიათ ცხოვრების აზრის განჭვრეტა და პატივმოყვარული სოციალურა მდგომარეობის მოპოვებაზე უარისთქმა და სხვა. მაგრამ მრავალი ალკოპოლიკი ნათლად განიცდის, რომ იგი თავისი მავნე მოთხოვნილების მსხვერპლია. იგი შინაგანად დაპირისპირებულია და ებრძვის ამ მიუღებელ მისავე ტენდენციას, მაგრამ ვერ ახერხებს მის დათრგუნვას. სხვათა შორის, ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ და მნიშვნელოვან ეტაპს სწორედ ეს ფსიქოლოგიური ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს. მის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი საშუალება, მკურნალობა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ ამ პროცესში ალკოპოლიკის პიროვნება თავისი ვიტალური მოთხოვნილებების წინააღმდეგ მკურნალის მხარდამჭერი და მომხრე იქნება.

ადამიანებმა ზოგჯერ იციან თავისი ზოგიერთი უარყოფითი პიროვნული მხარის შესახებ. ამიტომაც, რომ ფსიქიკური ავტოპორტრეტის მიმართ ადამიანებს რთული და დიფერენცირებული განწყობისეული დამოკიდებულებები აქვთ: ზოგიერთი პიროვნული ნიშნით ამაყობენ, მოსწონთ ისინი, ზოგიერთი თვისების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნიათ. ამის გამო ადამიანები მუდმივად ცდილობენ ფსიქიკური ავტოპორტრეტის რეკონსტრუქციას იმ იდეალური პორტრეტის

დასამსგავსებლად, რომლის ხატი მათ სოციალური ურთიერთობის პროცესში აქვთ შექმნილი.

საკუთარი ფსიქიკური ავტობორტრეტის მიმართ ადამიანთა განწყობები შესაძლებელია დალაგდეს სკალაზე, რომელიც მიღება-მიუღებლობის პოლუსებს შორის იქნება აგებული. ასეთ სკალაზე აღნიშნული განწყობის ადგილმდებარეობის მიხედვით, ჩვენი აზრით, შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების „თავისთავისადმი პატივისცემის დონის“ განსაზღვრა. თავისთავისადმი პატივისცემის დონის სრული განსაზღვრა ალბათ მართლაც შეუძლებელი იქნებოდა რომელიმე ერთგანზომილებიანი სკალის საშუალებით, მაგრამ მის განმსაზღვრელ დომინირებულ განზომილებას, ჩვენი აზრით, ამგვარი განწყობების სკალა უნდა წარმოადგენდეს, ეს საკითხი შემდგომ ექსპერიმენტულ კვლევას მოითხოვს. ასეთი კვლევა ბევრ საინტერესო მონაცემს მოგვაწვდიდა ადამიანის ფსიქიკური ავტობორტრეტის შემდგომი გაგებისათვის.

ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ფსიქიკური ავტობორტრეტი ადამიანის ქცევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტს წარმოადგენს. ფსიქიკურ ავტობორტრეტს თავისთავად და დამოუკიდებლად არ შეუძლია ადამიანის ქცევაზე გავლენის მოხდენა. იგი ქცევის მორგანიზებელი მთლიანი ფსიქიკური მდგომარეობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.

ფსიქიკური ავტობორტრეტი ადამიანის სოციალური ქცევის განმსაზღვრელი განწყობის ფორმირებაში მონაწილეობს. იგი სოციალური განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ შინაგან ფაქტორს წარმოადგენს. მისი საშუალებით უნდა ვცადოთ ადამიანის ცნობიერების, პიროვნულ-ფსიქიკური მხარის მნიშვნელობის გაგება ადამიანური აქტიობის პროცესში. იგი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის სოციალური ქცევის შესწავლის, სოციალური ქცევის განწყობათა ფორმირების კვლევის პროცესში.

9. განწყობის ზოგადი და სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი

9. 1. მონაცემები განწყობის ცნების ჩამოყალიბების ისტორიიდან

ბოლო ხანებში მრავალი მკვლევრისათვის ნათელი გახდა, რომ განწყობის ცნების გამოყენების გარეშე შეუძლებელია სოციალური ფსიქოლოგიის საკითხების გადაწყვეტა. ადამიანის ქცევაზე სოციალური გარემოს, ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების გავლენა შეუძლებელია გაგებულ იქნეს ცალკეული ფსიქიკური პროცესების საფუძველზე, როგორებიცაა შეგრძნება, აღქმა, აზროვნება, ემოციები და სხვა. სოციალურ გარემოში ადამიანი მოქმედებს როგორც მთლიანი ორგანიზებული სისტემა, ამიტომ მისი მოქმედების კანონზომიერებათა გაგებისათვის მისი როგორც მთლიანი ადამიანის ზოგადი კანონზომიერების გათვალისწინებაა საჭირო. მთლიანი ადამიანური სისტემისაგან აბსტრაქტირებული ცალკეული ფსიქიკური პროცესების საფუძველზე შეუძლებელი ხდება ადამიანისა და საზოგადოების, პიროვნებისა და სოციალური გარემოს კავშირურთიერთობათა შესწავლა-დახასიათება. ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი ცნება, რომელიც ფსიქოლოგიას მოეპოვება, განწყობის ცნება აღმოჩნდა. სოციალურ ფსიქოლოგიაში დღეს ინტენსიურად და ფართოდ გამოიყენება განწყობის ცნება. გორდონ ოლპორტის აზრით, განწყობის ცნება იქცა ძირითად საშენ მასალად სოციალური ფსიქოლოგიის ნაგებობისათვის. გორდონ ოლპორტმა სრულად და სისტემატურად დააღაგა განწყობის ცნების ისტორია სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში¹. განწყობის ცნების განვითარების შემდგომი ისტორია პროფ. ა. ფრანგი-შვილს აქვს მოცემული².

¹ М. Уахова, N. Warren. Attitudes, London, 1968.

² Франгишвили А. С., Исследования по психологии установок. Тбилиси, 1967, стр. 5—97.

განწყობის ცნების განხილვისას გ. ოლბორტი¹ აღნიშნავს, რომ ის არის ყველაზე კარგად და ოპერაციონალისტურად განსაზღვრული ცნება ფსიქოლოგიაში, ამიტომ იგი ყველაზე ხშირად და ძალდაუტანებლად გამოიყენება ექსპერიმენტულ და თეორიულ სოციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში. ოლბორტის აზრით, ძნელი არაა ამ ცნების ასეთი პოპულარობის ახსნა. ეს ცნება მიმზიდველი და მოსაწონი იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ განწყობის ცნება რომელიმე ფსიქოლოგიური თეორიის საკუთრებას არ წარმოადგენდა. იგი ამავე დროს თავისუფალია იმ წინააღმდეგობისაგან, რომლებიც არსებობს ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე თანშობილი და შექმნილი ფაქტორების გავლენის გაგების საკითხებში. განწყობის ცნებაში შესაძლებელია უმტყვივნეულად გაერთიანდეს ინსტინქტური და შექმნილი ფაქტორები ყოველგვარი პროპორციებით. განწყობის ცნება ათანხმებს იმ ცალმხრივ ტენდენციებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანის სოციალური აქტიობა გავებულ უნდა იქნეს ინსტინქტების ან მხოლოდ გარეგანი მექანიკური გავლენების საფუძველზე. განწყობის ცნება საკმაოდ ელასტიური ცნებაა, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც იზოლირებული ადამიანის მარტივი დისპოზიციების, ისე კულტურის რამელიმე სტერეოტიპული ქცევითი ფორმის დაქსიათებისათვის. ამის გამო შესაძლებელი გახდა, რომ ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს ამ ცნების გამოყენებით გამოეკვლიათ ისეთი ფენომენები, რომლებიც ძალიან ემსავსება ერთმანეთს. ამ მეცნიერებებში განწყობის ცნების თანაბრად ნაყოფიერი გამოყენება მიზეზი გახდა იმისა, რომ იგი გამზდარიყო სოციალური ფსიქოლოგიის შენობის საფუძველი. ამიტომ სოციალურ ფსიქოლოგიას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერებას ადამიანის განწყობების შესახებ.

ოლბორტის აზრით, განწყობის როგორც ტერმინოლოგიურა. ისე ცნებითი შინაარსი მნიშვნელობის ორ კომპონენტს აერთიანებს. ერთი მხრივ, მასში შეგუება. სინამდვილისადმი შესატყვისობა და შესაბამისობა იგულისხმება, ხოლო მეორე მხრივ, ისეთი სუბიექტური, სულიერი მდგომარეობა, რომელიც ადამიანის გარკვეულ მოქმედებისადმი მზაობას გამოხატავს. განწყობის ამ ზოგადი მნიშვნელობის აღსანიშნავად ფსიქოლოგიაში. ჩვეულებრივ, „ფსიქიკური განწყობის“ ტერმინი გამოიყენება.

ფსიქოლოგიაში განწყობა სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა. განწყობის ეს მნიშვნელობა მხატვრობის, საერთოდ შემოქმედების სფეროში შემუშავდა. ის გამოხატავს ნახატის ან ქანდაკების გამოვლენილ,

¹ Allport G. W. Attitude. In C. M. Murchison (Ed.) Handbook of Social Psychology. Worcester, Mass. Clark Univ. Press. p. 798—844.

ვიზუალურ პოზას, სხეულებრივ პოზიციას. ამ შინაარსის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „მოტორული განწყობა“. ფსიქოლოგიაში შემდგომ „ფსიქიკური განწყობისა“ და „მოტორული განწყობის“ ცნებათა შინაარსი დაუახლოვდა ერთმანეთს. შემდეგ განწყობის ცნებაში ამ ცნებათა ზოგად მნიშვნელობას, ქცევისადმი მზაობასა და მოტორულ მდგომარეობას გულისხმობდნენ.

განწყობის ცნება თანდათან პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ უარი თქვა სულის, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციის შესწავლაზე. განწყობის ცნება თანდათან გადაიქცა იმ რეალური ფსიქიკური მდგომარეობის აღსანიშნავ ცნებად, რომელიც სუბიექტის გარკვეული ქცევისადმი მზაობას გამოხატავს და ადამიანის რეალურ აქტიობას განსაზღვრავს. ხოლო მას შემდეგ, რაც დ. უზნაძემ აღმოაჩინა სპეციფიკური მეთოდი ამ ფსიქიკური ფენომენის შესასწავლად, შესაძლებელი გახდა სპეციალური განწყობის თეორიის შექმნაც.

ოლბორტი აღნიშნავს, რომ განწყობის ცნება მეცნიერებაში პირველად იხმარა პერბარტ სპენსერმა 1862 წელს. იგი თავის წიგნში „პირველი პრინციპები“ წერდა: „სწორი მსჯელობის აღმოცენება გარკვეული საკითხის განსჯის დროს ძირითადად დამოკიდებულია სულიერ განწყობაზე (Attitude of mind). რომელსაც ჩვენ ვიკავებთ მოწინააღმდეგის აზრის მოსმენისას. ამ სწორი განწყობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული, რომ ჩვენ ვარკვევთ: თუ რა არის კემშარიტი და რა ყალბი“¹. პერბარტ სპენსერის მიერ ამ ცნებაში სწორედ ეს ფსიქიკური შინაარსი იყო ნაგულისხმევი, რომელიც შემდეგში განწყობის მკვლევართა მიერ იქნა მეცნიერულად შესწავლილი.

პირველი მეცნიერული თეორია განწყობის შესახებ მოტორული განწყობის თეორიის სახით ჩამოაყალიბა ლანგემ 1888 წელს. ლანგემ აღქმის პროცესი განიხილა, როგორც კუნთური მომზადებით, ე. ი. კუნთური განწყობით გაპირობებული პროცესი, რომლის თავისებურება. სრულიად ნაწილად, რეაქციის დროის ცვალებადობაში ვლინდება. ლანგემ ექსპერიმენტური გამოკვლევების საფუძველზე უჩვენა, რომ ადამიანს რეაქციისათვის უფრო მცირე დრო მაშინ ესაჭიროება, როდესაც მისი ყურადღება ძირითადად მიმართულია არა სტიმულის არამედ თავისი რეაქციისაკენ. ამ დროს ადამიანს უმუშავდება სათანადო მოტორული განწყობა, რის გამოც სტიმულის გამოჩენისთანავე ადამიანი იძლევა მოტორული განწყობის შესატყვის რეაქციას.

იმავე ხანებში, 1889 წელს, მიუნსტენბერმა ჩამოაყალიბა ყურადღების მოქმედების თეორია, რომლის საფუძველდაც იგი განწყობას მიიჩნევდა; ამავე პერიოდში შეიქმნა ფერეს მოტორული აქტიობის

¹ იხ. ოლბორტის მითითებული შრომა, გვ. 43.

თეორია, რომლის საფუძვლადაც ისიც სელექციურ ცნობიერ მდგომარეობას — განწყობას გულსხმობდა.

უფრო გვიან, როდესაც ფსიქოლოგიიდან თანდათან განიღვენა სულისა და სხეულის დაპირისპირების იდეა, ოლპორტის აზრით, გაქრა მოტორული და ფსიქიკური განწყობის ცნებათა ურთიერთდაპირისპირება. მისი აზრით, განწყობაში იგულისხმება როგორც პერცეპტული, ისე მოტორული მზაობა, რომლებიც ერთად განაპირობებენ პიროვნების აქტიობას. ოლპორტი განწყობას განსაზღვრავს, როგორც „ფიზიკური და სულიერი აქტიობისათვის მზაობის ნეიროფსიქიკურ მდგომარეობას“¹.

შემდგომ ექსპერიმენტულ გამოკვლევებში, ლანგეს შეხედულებებისაგან განსხვავებით, განწყობა შესწავლილ იქნა არა როგორც მხოლოდ მოტორული აქტიობისათვის არსებული მზაობა, არამედ საზოგადოდ ფსიქოფიზიკური მზაობა.

ვირცხურგის სკოლის ფსიქოლოგთა ექსპერიმენტულ გამოკვლევებში (ახი, მესერი, კულპე, ვატი და სხვა) ნაჩვენებია იქნა, რომ განწყობა; რომელიც სუბიექტს ექსპერიმენტულ პირობებში შეიძლება შევუქმნათ, განსაზღვრავს არა მხოლოდ რეაქციის დროს, არამედ ყოველგვარი ამოცანის შესრულებას, რომელსაც ექსპერიმენტატორი ცდისპირს ავალებს. ვირცხურგის სკოლის წარმომადგენლების მიერ თვითონ ამოცანის მიღება, რომელსაც ექსპერიმენტატორი ცდისპირს აძლევს, განხილულ იქნა, როგორც გარკვეული განწყობის შექმნა, რითაც მნიშვნელოვნად არის გაპირობებული ამოცანის გადაწყვეტა. დადგინდა, რომ ამოცანის მიღება არის ცდისპირის გარკვეული განწყობა, რომელიც დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტორს წარმოადგენს ყოველი სახის ექსპერიმენტში. არა მხოლოდ რეაქციის ცდებში, არამედ ყოველგვარ ექსპერიმენტში, რომელიც ტარდება აღქმის, მეხსიერების, მსჯელობის, აზროვნების, ნებისყოფისა და სხვა სფეროში, უდიდესი როლი ენიჭება სუბიექტის მომზადების თავისებურებას, რომლის საფუძველზეც ის წყვეტს ამა თუ იმ ამოცანას. ოლპორტის აზრით, გერმანიაში განწყობის საკითხების კვლევას თან სდევდა ერთგვარი მეთოდოლოგიური ნაკლი, რამაც გარკვეული დიდი დააჩნია მეცნიერული ცოდნის განვითარებას. განწყობის შესახებ აღნიშნული კვლევის საფუძველზე დადგინდა განწყობის სხვადასხვა სახე, რასაც თან მოჰყვა საერთო ზოგადი განწყობის ცნების დაშლა-დაკარგვა. გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა „დეტერმინაციის ტენდენცია“, „სქემა“ და სხვა, რომლებიც განხილული იყო ზოგადი გამაერთიანებელი განწყობის ცნების გარეშე. ამ ცნებათა შინაარსის განზოგადებისა და მის შესახებ საერთო თე-

¹ იხ. ოლპორტის მითითებული შრომა, გვ. 43.

ორიის შექმნის საქმეში, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი წვლილი დ. უზნაძემ შეიტანა.

ერთხანს ფსიქოლოგიაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო განწყობის ადგილი ფსიქიკურის მთლიან სისტემაში: განწყობა ცნობიერებაშია მოცემული, თუ მის გარეთ? ვირცბურგის სკოლის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ განწყობა არ იყო არც შეგრძნება, არც ხატი, არც წარმოდგენა, არც აფექტი და არც მათი კომბინაცია. ამავე დროს ინტროსპექციის მეთოდით, საკუთარ განცდებზე დაკვირვებით შეუძლებელი აღმოჩნდა მისი შესწავლა. ვირცბურგის სკოლის წარმომადგენელთათვის ის დარჩა როგორც ცნობიერების დასახასიათებლად გამოსადეგი, მაგრამ მაინც ინტროსპექციული ანალიზის გარეშე მდგომი განცდა. ასეთი განცდის მაგალითია დარწმუნებულობა და სხვა. ვირცბურგელთა გამოკვლევების შემდეგ მიღებულად ითვლებოდა, რომ განწყობა ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსია, მაგრამ მისი ცნობიერება-არაცნობიერების საკითხი ბოლომდე არ იყო ნათელი. მათი აზრით, განწყობა ცნობიერების მთლიან ფსიქიკურ მდგომარეობად უნდა ჩათვლილიყო, რაც ცნობიერების მანამდე ნაცნობ რომელიმე ელემენტზე არ შეიძლება იქნეს დაყვანილი. ამ თვალსაზრისით, განწყობის ფენომენები ცნობიერებისა და არაცნობიერების ზღვარზე მდებარე მდგომარეობაა, რომელშიც ბევრი რამ არაა გაცნობიერებული, მაგრამ ზოგიერთი ელემენტი მოცემულია ცნობიერებაში; ამ ელემენტებით კი არ შეიძლება დახასიათდეს და ამოიწუროს განწყობის ფენომენი.

ფროიდმა განწყობის ფენომენები სრულიად ნათლად მიაკუთვნა არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენების სფეროს და ამავე დროს ფსიქოლოგიაში ამ ცნებას მოქალაქეობრივი მნიშვნელობა მიანიჭა. ოლპორტის აზრით. სკრუპულოზური ექსპერიმენტული მუშაობის გარეშე ფსიქოლოგიის სფეროში განწყობის ცნება ვერ იქნებოდა შემოტანილი. მაგრამ ფსიქოანალიზის გავლენის გარეშე ამ ცნებას ფსიქოლოგიაში არ ექნებოდა სიცოცხლისუნარიანობა და ნაყოფიერება, ის ვერ გაიღებოდა სოციალური ფსიქოლოგიის უპირითადესი ცნება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დ. უზნაძის განწყობის თეორიაში დაძლეულ იქნა ეს ცალმხრივი ტენდენციები. განწყობა ამ თეორიაში იქცა ექსპერიმენტული შესწავლის საგნად და ამავე დროს ცოცხალი ინდივიდის, პიროვნების აქტიობის ამხსნელად.

როგორც აღნიშნული იყო, სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ ინსტინქტის ცალმხრივი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ადამიანის ქცევის ძირითადი თავისებურებანი თანდაყოლილი ფსიქიკური თვისებებით უნდა ახსნილიყო. მათ შეხედულებებში ნათლად ჩანდა ტენდენცია, რომ უფრო ბუნებრივად

აგხსნათ გარემოს, ტრადიციებისა და ჩვეულებების გავლენა ინდივიდის ქცევაზე. ინსტიქტის ცნებაში კი სწორედ ამ ტენდენციის საწინააღმდეგო პრინციპია მოცემული. სოციალური ფსიქოლოგიის მეკლერებს სჭირდებოდათ ისეთი ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც, ერთი მხრივ, თავისუფალი იქნებოდა უპიროვნო იმპერსონალური „ჩვეულებებისა“ და „სოციალური ძალის“ აბსტრაქტული მინაარსისაგან, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფალი იქნებოდა თანდაყოლილობის იდეისაგან, რომლის მიხედვითაც თანდაყოლილი ფსიქიკური უნარი აითქოს გარემოს ზემოქმედების არსებითი გავლენის გარეშე განსაზღვრავს ადამიანის აქტიობას. ასეთ მოთხოვნებს სწორედ განწყობის ცნება აკმაყოფილებს.

სოციალურ მეცნიერებებში განწყობის ცნების დაფუძნებას და სერიოზულ მოხმარებას. ოლპორტის აზრით, თომასსა და ზნანიეცკის უნდა ვუმაღლოდეთ. მათ თავის შესანიშნავ სოციოლოგიურ ნაშრომში, რომელიც ამერიკისა და ევროპაში მცხოვრები პოლონელი გლეხების მდგომარეობას ეხებოდა, ბრწყინვალედ გამოიყენეს განწყობის ცნება¹. მათი აზრით, განწყობა არის ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების როგორც რეალურ, ისე პოტენციურ ქცევას. სოციალურ გარემოში, განწყობა, როგორც ფსიქიკური მდგომარეობა, ყოველთვის რაიმე ობიექტისადმი მიმართული და ამიტომ ის შეიძლება განისაზღვროს. „როგორც ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ღირებულებისადმი მიმართული“²; განწყობის ამ განსაზღვრებაში, როგორც ვხედავთ, ღირებულებას ცნება გამოყენებული: ღირებულება, თომასის და ზნანიეცკის აზრით, სოციალური ბუნების მოვლენას წარმოადგენს. ის ზოგადი ფორმით მოცემული ობიექტია, რომელიც საერთოა სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანებისათვის. განწყობის ტიპურ მავალითებად. მათი აზრით, უნდა ჩაითვალოს საბელოვან ადამიანად ყოფნის სურვილი, ფულის სიყვარული, უცხოელისადმი ანტიპარტიული დამოკიდებულება, მეცნიერული თეორიის პატივისცემა და სხვა. ასევე დროს იგულისხმება, რომ ამ განწყობაში ნაგარაუდღევი ობიექტებია: დილემა, ფული, უცხოელობა და მეცნიერული თეორია ღირებულებებია. სოციალური ღირებულება კი მათ მიერ განმარტებულია, როგორც ნაცემულობა, რომელსაც აქვს მნიშვნელობა, რომელიც მისაწვდომია გარკვეული სოციალური ჯგუფისათვის და რომლისადმიც შეიძლება ადამიანმა მიმართოს აქტიობა. ყოველი სოციალური ღირებულება შესაძლებელია იყოს

¹ Thomas W. J., Znaniecki F. The Polish Peasant in Europe and America, vol. I, Boston. Bader, 1918.

² იხ. ოლპორტის მოთხოვნილი შრომა, გვ. 45.

განწყობის საგანი. სოციალურ სინამდვილეში, რომელსაც სოციოლოგი სწავლობს, ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც ღირებულებებს, ისე მათ მიმართ არსებულ განწყობებს. ოლბორტის აზრით, განწყობის ცნების ჩამოყალიბებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი სოციალური ასპექტიც.

ოლბორტი ასევე იზიარებს პერკის მიერ ჩამოყალიბებულ 4 წინააღმდეგობის განწყობის სპეციფიკის განსაზღვრებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი. ესენია: 1. განწყობა უნდა განისაზღვროს როგორც ადამიანის ორიენტაცია სინამდვილის ობიექტზე ან ღირებულებაზე, რითაც ის უნდა განსხვავდეს მარტივი და პირობითი რეფლექსისაგან; 2. განწყობა არაა ქცევის ავტომატური. სტერეოტიპული ბუნების დეტერმინანტი, მაგრამ შეიცავს გარკვეულ ძალას, ენერგეტიკულ აგენტს, რომელიც შესაძლებელია ზოგჯერ ლატენტურადაც არსებობდეს; 3. განწყობის ენერგეტიკული ძალა განიცდის ცვალებადობას ინტენსიობის თვალსაზრისით, ის ხან აქტიუალურ მდგომარეობაშია, ხან კი შედარებით ინაფექტურში. 4. განწყობა გამოცდილების პროცესში იქმნება და არაა ინსტინქტის, თანდაყოლილი თვისების სახით მოცემული მოვლენა.

აღნიშნულ საკითხთა განხილვის შემდეგ ოლბორტი იძლევა განწყობის საკუთარ განსაზღვრებას. მისი აზრით, „განწყობა უნდა განისაზღვროს, როგორც სულიერი და ნერვული მზაობის მდგომარეობა, რომელიც ორგანიზირებულია გამოცდილების გამო. ეს ახდენს დინამიკური და მიმართულებითი ხასიათის გავლენას ინდივიდის ქცევაზე, რომელიც ხორციელდება განწყობასთან დაკავშირებული საგნებისა და სიტუაციების მიმართ“.

ოლბორტის მიერ, როგორც ვხედავთ, განწყობა გაგებულია გამოცდილების პროცესში ორგანიზებულ მდგომარეობად, მაგრამ ის, გამოცდილებისა და ჩვევის მსგავსად, ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ეფექტად, მეორად მოვლენად არის მიჩნეული. ოლბორტის შეხედულებათა სისტემაში განწყობას ფსიქიკური აქტიობის პირველადი, მარეგულირებელი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ფსიქიკური აქტიობის მიმართ განწყობის პირველადი ღირებულების აღიარების საფუძველზე იქნა აგებული უზნაძისეული თეორია, რომლის სპეციფიკის დახასიათებაზე ჩვენ შემდგომში კიდევ შევეჩერდებით¹.

განწყობის ცნება, მართალია, სოციალური ფსიქოლოგიის უძირი-

¹ განწყობის ცნების განვითარების დეტალური დახასიათება მოცემულია: Прангшвили А. С., Исследования по психологии установки, Тбилиси, 1967, стр. 5—51.

თადეს ცნებად იქცა, მაგრამ მის მაინც მრავალი კრიტიკოსი ჰყავს. უკანასკნელ ხანებამდე სწავლის თეორიის, ველის თეორიის და ფენომენოლოგიის თეორიების მრავალი წარმომადგენელი ცდილობდა ამოეგდო განწყობის ცნება ფსიქოლოგიის ცნებათა სისტემიდან. მის შემცვლას ცდილობენ ისეთი ცნებებით, როგორცაა: ქცევის განმტკიცება, ველის ეფექტები, განზრახვა და სხვა. მაგრამ ამ კრიტიკის პროცესში განწყობის ცნება კიდევ უფრო დაიხვეწა და დაზუსტდა. ამ ცნების გარეშე სოციალურ ფსიქოლოგიაში უკვე შეუძლებელი ხდება განხილულ იქნეს ისეთი საკითხები, როგორცაა: „საზოგადოებრივი აზრი“, „ინსტიტუციური ქცევა“, „სოციალური გავლენა“, „ჩვეულების ფსიქოლოგიური პროცესები“ და სხვა. როგორც ოლპორტი აღნიშნავდა, განწყობის ცნება დიდხანს არც ერთი გარკვეული ფსიქოლოგიური თეორიის კუთვნილებას არ წარმოადგენდა. ამის გამო სხვადასხვა თეორიის წარმომადგენელთა მიერ ამ ცნების წინააღმდეგ გამართული ბრძოლა ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, უპასუხოდ რჩებოდა. ზოგადი თეორიის გარეშე ამ ცნების ნაყოფიერება მისი შემდგომი განვითარების გარანტია იყო, მაგრამ ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. უზნაძის მიერ განწყობის ზოგადი თეორიის შექმნის შემდეგ განწყობის ფსიქოლოგია დიდი სისწრაფით ვითარდება. უზნაძის მიერ ჩამოყალიბებული განწყობის ცნებისა და მისი ზოგადი თეორიის სწრაფი გავრცელება იმიტომ გამოწვეული, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა მიგნებული იქნეს ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ქცევის ზოგადი კანონზომიერებანი, რომელთა შესახებაც ქვევით გვექნება ლაპარაკი¹.

უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით განწყობა არ წარმოადგენს თანდაყოლილ ფსიქიკურ ფენომენს, მაგრამ ის არც ინდივიდის აქტიობის საფუძველზე აღმოცენებულ მეორად ფსიქიკურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ თეორიის თანახმად განწყობა ინდივიდის ქცევის განმსაზღვრელი პირველადი ფსიქიკური მდგომარეობაა. ის პირველადი ფსიქიკური ფენომენია ინდივიდის აქტიობის მიმართ, მაგრამ თანდაყოლილი მოვლენა არაა. განწყობა თავის მხრივ განსაზღვრულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა გარემო და მოთხოვნილება.

ამრიგად, განწყობა ინსტიტუტური, თანდაყოლილი მოვლენა არაა, ის რეალურ აქტუალურ ურთიერთობაში ყალიბდება, მაგრამ ცალკეული ფსიქიკური აქტიობისა და ქცევის საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენას არ წარმოადგენს. განწყობა არაა გამოცდილების საფუძველზე შექმნილი ჩვევის მსგავსი ფენომენი. სინამდვილესთან ურთიერთ-

¹ Надиршвили Ш. А., Установки в отношении. В сб. «Понятие установки и отношения в медицинской психологии», Тбилиси, 1970, стр. 151—164.

ბის პროცესში განწყობა ინდივიდის პირველადი ფსიქიკური რეაქციაა. რომელიც საფუძველად ედება ყოველგვარ შემდგომ ფსიქიკურ აქტიობას. ის წარმოადგენს ერთგვარ ხიდს, დამაკავშირებელ რგოლს ინდივიდის აქტიობასა და ინდივიდზე ზემოქმედ თბიექტურ სიტუაციას შორის. ამიტომ არის განწყობა ყველაზე პირველადი და ძირეული ფსიქიკური ფენომენი ყველა სხვა ფსიქიკურ პროცესებს შორის. ყველა სხვა ფსიქიკური პროცესი განწყობის საფუძველზე აღმოცენდება და ამა თუ იმ სახით მისგან არის განსაზღვრული. ეს თვალსაზრისი, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგება იმ იდეას, რომ მრავალ მძალადი დონის ფსიქიკურ პროცესს, რომელიც განწყობის მოქმედებით არის გაპირობებული, შეუძლია უკუზემოქმედების მოხდენა პიროვნების ქცევაზე ანალი განწყობის ფორმირების გზით. მაგრამ განწყობის თეორიის ერთ-ერთ ძირითად დებულებას წარმოადგენს ის, რომ ყოველი სახის კონკრეტული ქცევის ფარგალში განწყობა პრინციპულად ყოველთვის პირველადი სახის ფსიქიკურ მოვლენას წარმოადგენს. ყველა სხვა ფსიქიკური პროცესები მის შემდეგ. მის საფუძველზე ხორციელდება.

გარდა იმისა, რომ განწყობა დამაკავშირებელი რგოლია ცოცხალ ინდივიდსა და თბიექტურ სინამდვილეს შორის, იგი ამავე დროს არის ადამიანის ფსიქიკური აქტიობის მრავალფეროვნებაში ზოგადი, ინვარიანტული მომენტი, რომელიც ფსიქიკური აქტიობის მიმართულებასა და მნიშვნელობას გამოხატავს.

რადგან განწყობა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის განმსაზღვრელი მდგომარეობაა, ამიტომ მისი დახასიათებისათვის გამოყენებული უნდა იყოს როგორც განცდითი მონაცემები (რომლებიც განწყობის მოქმედების თავისებურებაზე მიუთითებენ). ისე განწყობის მოქმედების საფუძველზე აღმოცენებული ქცევის თბიექტური ნახევრებობები.

როგორც უკვე აღინიშნა, თლპორტის აზრით, სოციალურ ფსიქოლოგიაში განწყობის ცნების ფართოდ გავრცელებას ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ეს ცნება არ წარმოადგენდა რომელიმე ერთი მეცნიერების თეორიის საკუთრებას. განწყობის ცნებით ადრე აღნიშნული იყო ფსიქიკური აქტიობის ერთ-ერთი რეალური სფერო, რომლის შესწავლის აუცილებლობის წინაშე დგებოდა ყოველგვარი ფსიქოლოგიური თეორია, მაგრამ შემდგომში თანდათან ნათელი ხდება, რომ განწყობის ცნებაში აისახება ფსიქიკური აქტიობის ისეთ პრინციპები, რომლებიც ფსიქოლოგიაში გარკვეულ თეორიულ ორიენტაციას ედება საფუძველად. ამიტომ იყო, რომ სხვადასხვა თეორიის წარმომადგენლებმა სცადეს ამ ცნების ამოგდება ფსიქოლოგიის ცნებათა სისტემიდან და მისი შინაარსის დაყვანა მათი თეორიების ძირითადი ცნების შინაარსებზე. მაგალითად, სწავლის თეორიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც უმეტესად ბიპევიორისტულ თვალსაზრისს

იკავუნ ფსიქოლოგიაში. განწყობა არის გამოცდილების პროცესში ისეთივე სახის შემდგომში შექმნილი ფსიქიკური ფენომენი, როგორცაა ჩვევა და ცოდნა. ამ თეორიის თვალსაზრისით, ინდივიდის ქოლტური ელემენტარული აქტებიდან სწავლის კანონების მიხედვით ხდება გარკვეული მოქმედებისა და ქცევის ჩამოყალიბება. მაორგანიზებელი სწავლის კანონების საფუძველზე ადამიანი ისე ეუფლება გარკვეულ განწყობებს, როგორც რომელიმე ცალკეულ ჩვევას. ყოველგვარი ფსიქიკური ფენომენი და მათ შორის განწყობაც ცალკეულ ელემენტარულ აქტიობათა შეკავშირების გზით არის მიღებული, მაგრამ მრავალი ემპირიული მონაცემის საფუძველზე, რომლებიც დაკვირვებისა და ექსპერიმენტის გზით იყო მოპოვებული, ნათელი ხდება, რომ ფსიქიკური განვითარება ხორციელდება არა იზოლირებული ელემენტების გაერთიანების, არამედ ინდივიდის თავიდანვე მოცემული მთლიანი რეაქციების დიფერენციაციისა და შინაგანი დასტრუქტურების გზით. სწავლის თეორიის წარმომადგენლებისათვის განწყობის ცნება იქცა კრიტიკის ობიექტად, რადგან განწყობის ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ გარკვეული კონკრეტული სახის განწყობა, რომლის საფუძველზეც ხდება ინდივიდის აქტიობის განხორციელება, არ წარმოადგენს სწავლის კანონებით ფორმირებულ ფენომენს. პირიქით, სწავლის კანონები და ის შინაარსი, რისი სწავლაც უნდა მოხდეს, განსაზღვრულია იმ განწყობით და განწყობის მოქმედების კანონზომიერებით, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს როგორც სწავლა, ისე ყოველგვარი ფსიქიკური აქტიობა.

უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ განწყობის ფსიქიკური ფენომენი და განწყობის ცნება ნეიტრალური არაა ყოველგვარი ფსიქოლოგიური თეორიის მიმართ. განწყობის ცნება ეწინააღმდეგება ან ეთანხმება ამა თუ იმ ფსიქოლოგიური თეორიის ძირითად ტენდენციებსა და პრინციპებს.

სწავლის თეორიის თვალსაზრისზე რჩებიან განწყობის საკითხების ისეთი გამოჩენილი მკვლევრები, როგორებიც არიან გ. ოლპორტი, მარფი, კრიჩი და კრაჩფილდი, ლაჩინსი, ნუტკომბი და სხვები. ეს მკვლევრები შეტნაკლებად ებრძვიან ინტეგრაციის ელემენტარისტულ, ატომისტურ გაგებას ფსიქოლოგიაში, მაგრამ განწყობას განიხილავენ. როგორც გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ მეორად ფსიქიკურ ფენომენს. განწყობის ცნება მათ დაპყავთ ფიქსირებული განწყობის ცნებაზე, რითაც აკნინებენ განწყობის, როგორც ადამიანის ქცევის ძირითადი ფსიქიკური მაორგანიზებელი მოვლენის როლს.

განწყობის ცნების გამოყენებას ეწინააღმდეგებოდნენ „ველის თეორიის“ წარმომადგენლები. განწყობის როლი, მისი ეფექტები ადამიანის ქცევაში მათ დაპყავთ ფსიქიკური ველის კანონთა მოქმედებაზე,

რომელიც აღქმის ველის მოდელით არის გაგებული. ინდივიდის, პიროვნების ფაქტორი, რომელიც განწყობის მოქმედებაშია მოცემული. ველის თეორიის წარმომადგენლების მიერ უგულვებლყოფილია: კელერისა¹ და ვერტჰაიმერის² მიერ აღქმისა და აზროვნების პროცესებში გამოვლენილი განწყობის კანონზომიერებანი განხილულია, როგორც ველის მოქმედების ეფექტი, რომელშიც სუბიექტს, პიროვნებას არავითარი სპეციფიკური როლი არ უნდა მიენიჭოს. შემდგომი ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მხოლოდ ფსიქიკური ველის გადასტრუქტურების ცნებით, პიროვნების იმ სპეციფიკური კანონზომიერების გათვალისწინების გარეშე, რომელიც განწყობის ცნებაში იგულისხმება, შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკური აქტიობის გაგება. ველის თეორიის ყველაზე დიდი წარმომადგენლის—ლეინის მიერ, ველში, როგორც ერთ-ერთი განზომილება, პიროვნება იქნა შეყვანილი, თავისი წარსული გამოცდილებითა და მოთხოვნილებებით. ამით ის ფაქტიურად განწყობის კანონზომიერების როლის აღიარებამდე მივიდა. ლეინი მანც ფსიქიკური ველის ცნებით ფიქრობდა ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ახსნას და ცდილობდა განწყობის ცნების გამოდევნას ფსიქოლოგიის სფეროდან. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მისმა გამოკვლევებმა ფაქტიურად ხელი შეუწყო განწყობის ცნების დამკვიდრებას და გამოყენებას სოციალურ ფსიქოლოგიაში.

ასევე ვერ გამოიღო ნაყოფი სხვადასხვა ფენომენოლოგისტურმა ტენდენციამ, რომ განწყობის ცნება დაეყვანათ ისეთ ინტენციონალურ ცნობიერების შინაარსზე, რომელიც გარკვეული სახის მოქმედების განზრახვასთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით განწყობის შინაარსეული მხარე ცნობიერ-ფსიქიკურ შოვლენად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ის მექანიზმი, რომელშიც ამ შინაარსის რეალიზაცია ხდება და სათანადო ქცევას აღძრავს, ფიზიოლოგიურ პროცესებად უნდა იქნეს გაგებული. ეს თვალსაზრისი ადამიანის ქცევას ცნობიერ ფსიქიკურ და არაცნობიერ ფიზიოლოგიურ პროცესებად ყოფს, რომელთა გაერთიანება დიდი სიძნელეების წინაშე აყენებს ფსიქოლოგიას.

აღსანიშნავია, რომ ასეთი თვალსაზრისის მიღების აუცილებლობამდე მიდიან ერთმანეთისაგან ისე მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები. როგორცაა ბიპევიორიზმი და ფენომენოლოგისტური შეხედულება ფსიქიკაზე. აღნიშნულ თვალსაზრისს იცავენ, მაგალითად,

¹ Köhler W., Wallach H. Figural after-effects in investigation of visual processes. Proc. Amer. Phil. Soc. vol. 88 № 4, 1944.

² Wertheimer M. Productive Thinking, N. Y., 1945.

ერთი მხრივ, მიღერი, გალანტური და პრიბრამი¹, რომლებიც ნეობიჰევიორიზმის პოზიციასზე დგანან, ხოლო მეორე მხრივ, ა. ბოკორი-შეილი², რომელიც ცდილობს ჩვენში ფენომენოლოგიისტური შეხედულების დაცვას ფსიქიკის გაგების საკითხში. ამ ორივე თვალსაზრისის მიხედვით, ვანწყობის ცნებაში ნაჯულისხმევი ფსიქიკური რეალობა დაყოფილი უნდა იყოს ცნობიერი განცდისა და ფიზიოლოგიური აქტიობის სახით. მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანის ფსიქიკური აქტიობა როგორც რეალობა, მათი ერთიანობის სახით არის მოცემული და ამ რეალობის შესწავლა იმ სახით, როგორც არსებობს, ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს. ვანწყობის ფსიქოლოგიის სწრაფი განვითარება და ამ მიმართულებით მუშაობის ინტენსიური გაშლა სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ რეალურად არსებობს ვანწყობის ცნების შესატყვისი ერთიანი ფსიქიკური სინამდვილე და ფსიქოლოგიას მოეპოვება ამ რეალობის შესწავლისათვის გამოსადეგი მეთოდები.

უზნაძის მიერ ვანწყობის ერთიანი ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ შესაძლებელი ხდება, რომ ვანწყობის კანონზომიერებათა კვლევის ის შედეგები, რომლებიც ფსიქოლოგიაშია მოპოვებული (მიუხედავად იმისა, თუ როგორი ზოგადი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო ეს ვაგებული). გაერთიანებულ და სისტემატიზებულ იქნეს ვანწყობის ერთიან ფსიქოლოგიურ თეორიად. უზნაძის მიერ, იმდროისათვის ცნობილი ვანწყობის და საერთოდ ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი ვანწყობის თეორიის თვალსაზრისით იქნა განხილული³. ეს მდგომარეობა მყარ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ შემდგომდროინდელი გამოკვლევები ვანწყობის კანონზომიერებისა განხილული იქნეს უზნაძის ვანწყობის ზოგადი თეორიის საფუძველზე.

მას შემდეგ, რაც ვანწყობის ცნების კრიტიკას არ მოჰყვა სერიოზული ნეგატიური შედეგები, მოხდა ფსიქოლოგთა პოზიციის მკვეთრი შემობრუნება ამ ცნების მიმართ. 40-იანი წლებიდან ჩვენშიც და საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაშიც დაიწყო ვანწყობის თეორიის შემდგომი განვითარება. საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში მის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა გ. ოლზორტის თეორიულმა შრომებმა და ტურსტონის მიერ შემოტანილმა ვანწყობის ვაზომების მეთოდმა. მაგრამ ვანწყობის თეორია საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში ჯერ კიდევ ვერ ავიდა იმ სიმაღლეზე, რომ იგი გვერდში ამოსდგო-

¹ Миллер Д., Галантер Ю., Прибрам К., Планы и структура поведения. Москва, 1965.

² ა. ბოკორი-შეილი, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თბილისი, 1965.

³ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1941; მისივე, ვანწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველები. ფსიქოლოგია, ტ. VI, თბილისი, 1949.

მოდა და გასტოლებოდა ისეთ თეორიებს, როგორცაა „სწავლის ბიპე-ვიორისტული“ და „შემეცნების ინტეგრაციის“ თეორიები¹.

განწყობის საზღვარგარეთული თეორიები ძირითად პრინციპებს ან სწავლის თეორიიდან იღებენ, ან შემეცნების ინტეგრაციის თეორიი-დან. სწავლის თეორიის მიხედვით, ფსიქიკის ძირითადი კანონზომიერე-ბანი ცხოველისა და ადამიანის მიერ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ახალი ქცევის სწავლის პროცესში მულავენდება. ქცევის მო-დელად ამ თეორიას გამოყენებული აქვს S—R მოდელი, რომლის მი-ხედვითაც ფსიქიკური განვითარება გარკვეულ სიტუაციებთან და სტი-მულებთან (S) ინდივიდის მიერ გარკვეული რეაქციების (R) დაკავში-რებაში მდგომარეობს. კავშირურთიერთობის უორმები, რომლითაც ხდება დაკავშირებანი, ფსიქოლოგიის კანონზომიერებებს წარმოადგე-ნენ. შემეცნების ინტეგრაციის თეორია წარმოადგენს ერთგვარ შემრი-გებლურ თეორიას, რომელიც იღებს S—R მოდელს და მასში სვამს მოტივაციის, შემეცნების ელემენტების ინტეგრაციის, კონსისტენტო-ბის და სხვა პრინციპებს.

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობის თეორია ჯერ კიდევ ეერ იქცა ისეთ მოძღვრებად, რომელიც სხვა თეორიებისაგან დამოუ-კიდებლად და მათ საპირისპიროდ ჩამოაყალიბებდა ფსიქოლოგიის ძი-რითად პრინციპებს. ამიტომაც, რომ ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის სერიოზულ სახელმძღვანელოებში განწყობის თეორია წარმოდგენილი არაა დამოუკიდებელ თეორიად. მაგალითად, ლინდზის ეუნდამენტური სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში, რო-მელიც აერთიანებს საზღვარგარეთული სოციალური ფსიქოლოგიის პითქმის ყველა მონაცემს, განხილულია კანმტიციების, კოკნიტური, ფსიქონალიტიკური, ველისა და როლის თეორიები, განწყობის თეო-რია კი დამოუკიდებელი თეორიის სახით არაა წარმოდგენილი. გან-წყობის ასეთი დამოუკიდებელი თეორიის ჩამოყალიბების საჭიროებას დღეს ბევრი საზღვარგარეთელი სოციალური ფსიქოლოგიის წარმო-მადგენელი გრძნობს². ამითაა გამოწვეული ინტერესის გაძლიერება უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის მიმართ როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

გ. ოლპორტისა და ტურსტონის შრომების გავლენით ინტენსიური მუშაობა გაიშალა განწყობის შინაარსისა და შინაგან კანონზომიერე-

¹ Ostrom Th. M. The Emergence of Attitude Theory: 1930—50 წიგნიდან; Greenwald A. G., Brok T. C. and Ostrom T. M. Psychological Foundation of Attitudes, 1968, N. Y. and London, p. 1—82.

² Greenwald A. G., Brok T. C., Ostrom T. M. Psychological Foundation of Attitudes. N. Y. and London; Insko C. A. Theories of Attitude Change. N. Y., 1987.

ბათა შესწავლის მიმართულებით. ამ კვლევით თანდათან გაფართოვდა განწყობის ცნების შინაარსი. განწყობის ცნებამ სხვადასხვა მკვლევართან მნიშვნელოვნად იცვალა სახე.

როგორც აღნიშნული გვექონდა, გ. ოლპორტისათვის განწყობა არის ფსიქონერვული მზაობის მდგომარეობა, რომელიც ორგანიზებულა გამოცდილების მიერ და ახდენს დინამიკური ხასიათის გავლენას ინდივიდის ქცევაზე, რომელიც ხორციელდება განწყობასთან დაკავშირებული საგნებისა და სიტუაციების მიმართ. ოლპორტმა პიუთითა იმ ოთხ პირობაზე, როლებიც განაპირობებენ განწყობის ჩამოყალიბებას. ესენია: ა) განწყობის ობიექტის მიმართ გამოცდილების ინტეგრაცია, რომლის საფუძველზეც ხდება ერთი მთლიანი განწყობის ჩამოყალიბება; ბ) დიფერენციაციის პროცესი, რომლითაც ხორციელდება ინდივიდის დიფუზური მდგომარეობის ორგანიზება განწყობის სახით; გ) მრავალგზის გამეორების გამო განწყობა ხდება ტრავმატული, იგი შესატყვის ვითარებაში სწრაჟად აღმოცენდება და მეტი ძალით მოქმედებს, რაც მის ფორმირებაზე მიუთითებს; დ) მიბაძვა არის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური პირობა, რომელიც ამზადებს ადამიანს გარკვეული განწყობისათვის. გარკვეული განწყობებისათვის მომზადებაში ადამიანებს ეხმარებათ შზობლებისადმი, ამხანაგებისა და ნაცნობებისადმი მიბაძვა. ობიექტთა გარკვეული კლასისადმი განწყობის ჩამოყალიბებაზე გავლენას არ ახდენს მოტრევატისა და აზროვნების პროცესები. პირიქით, ისინი გამოცდილების საფუძველზე ორგანიზებული განწყობის ზემოქმედებას განიცდიან. განწყობის საფუძველზე ფსიქიკაში ორგანიზებისა და ეკონომიურობის პრინციპები ხორციელდება.

ტურსტონმა განწყობის მდგომარეობაში მთავარი ყურადღება მის აფექტურ მხარეს მიაქცია. მისი აზრით, განწყობა ამ ასპექტით უნდა განისაზღვროს: „განწყობა არის ფსიქოლოგიური ობიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიმართული აფექტი“¹ — აღნიშნავს ტურსტონი. ამ პიროვნულ აფექტურ დამოკიდებულებაში მას ობიექტის მიმართ დარწმუნებულობისა და ემოციური დამოკიდებულების ელემენტების ერთობლიობა აქვს ნაგულისხმევი. ამ თვალსაზრისით განწყობა გაგებულია, როგორც პიროვნების აფექტური დამოკიდებულება ობიექტთა კლასის მიმართ თავისი დადებით-უარყოფითი ნიშნით, და როგორც რწმენა, რომელსაც აქვს დარწმუნებულობის გარკვეული ხარისხი. ტურსტონის აზრით, დარწმუნებულობის ეს ხარისხები შეიძლება გაიზომოს დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების განზომი-

¹ Thurstone L. L. The measurement of social attitudes. Journ. of Abnorm. and Soc. Psychology, 1931, 26, p. 249—269.

ლებებში, გარკვეული ლერძზე მათი დალაგების გზით. რიგის სკალას გამოყენებით ტურსტონმა შეძლო რელიგიისადმი ადამიანთა დამოკიდებულების განწყობის გაზომვა და ამით დასაბამი მისცა სოციალური განწყობების გაზომვის გამოკვლევებს.

ოლპორტისა და ტურსტონის ამ შეხედულებათა ფონზე ხდებოდა ძირითადად სოციალური განწყობების კანონზომიერებათა შესწავლა. ამ გამოკვლევებში შესწავლილი იყო აღნიშნულ შეხედულებათა ცალკეული ასპექტები. ბევრელები ხშირად ამ ასპექტების გაერთიანებას და ერთიანი განწყობის თეორიის შექმნას ცდილობდნენ.

განწყობის ცალკეული ასპექტების შესწავლის მიმართულებით, მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ შესრულებული სმიტსა და ბრუნერს, ოსგუდს, სუსსა და ტენენბაუმს, სანფორდს, ნიუკომბს, პეიდერს, სკოტს, კინგს და სხვებს.

სმიტისა და ბრუნერის მიერ განწყობის ფორმირებაში ყურადღება მიექცა მოტივაციის პროცესს. ისინი სოციალური განწყობების ფორმირების კანონზომიერებებს სწავლობდნენ და ამიტომ მათ დაინახეს პიროვნების მოტივაციის როლი განწყობის ფორმირების პროცესში. მათ განწყობა განსაზღვრეს, როგორც მოქმედების მოტივირებული მზაობა, რომელიც განაპირობებს მოვლენების ამა თუ იმ კლასის მიმართ გარკვეული მიმართულების აქტიობას¹. ოსგუდის, სუსისა და ტენენბაუმის მიერ ხაზგასმული იყო განწყობის პიროვნული შეფასებითი დამოკიდებულების ასპექტი. მათი აზრით, სხვაგვარი მზაობები-
-ისაგან განსხვავებით, განწყობა არის ობიექტების მიმართ შეფასებითი რეაქციების მზაობა². იმავე პოზიციის განმტკიცებას ცდილობს სარნოფი, რომელიც განწყობას განსაზღვრავს როგორც ობიექტების კლასის მიმართ მიღების ან უარყოფის რეაქციის დისპოზიციას³. ნიუკომბმა ხაზი გაუსვა ადამიანთა ინტერპერსონალური კონტექსტის მნიშვნელობას განწყობათა შემუშავებისა და შეცვლის პროცესში. იგი განწყობის ცნებაში მხოლოდ სოციალურ პირობებში შექმნილ ქცევის მზაობებს გულისხმობს და მათი კანონზომიერების შესწავლას ადამიანისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთობის საფუძველზე ცდილობს.

ნიუკომბის აზრით, ადამიანს სოციალურ გარემოში ცხოვრების გამო ექმნება ისეთივე დამოკიდებულება ობიექტთა კლასების მიმართ,

¹ Smith M. B., Bruner Y. S. In whit R. W. Opinions and personality, N. Y., Wiley, 1956.

² Osgood C. E., Cuci C. Y., Tenenbaum P. H. The measurement of meaning. Urbana. University of Illinois Press, 1957.

³ Sarnoff Y. Psychoanalytic theory and social attitudes. Public Opinion Quarterly. 1960, 24, p. 251-279.

როგორც ეს მის შრომებში, ამხანაგებსა და ნაცნობთა წრეს აქვთ. ამგვარი განწყობის ფორმირების შემდეგ ახალ ინფორმაციას აღიარებენ არსებითი მნიშვნელობა სინამდვილისადმი ადამიანის განწყობისეული დამოკიდებულებისათვის. მას უკვე ვერ ამჩნევს ადამიანი და მცირე გავლენის მოხდენა თუ შეუძლია მის განწყობებზე.

მაგრამ თუ ადამიანი უახლოვდება ადამიანთა სხვა ჯგუფებს, შედის ახალ სოციალურ გარემოში, სადაც ადამიანებს მისგან განსხვავებული განწყობები აქვთ, ასეთ შემთხვევაში ის ინფორმაცია, რომელიც არ შეესატყვისება მის განწყობებს და რომლის მიმართაც ადამიანს ადრე ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა. ახლა მნიშვნელობის მატარებელი ხდება. ახალი ჯგუფის განწყობათა შესატყვისი ინფორმაციული სტიმულები ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე გავლენის ძალას იჩენენ, აყალიბებენ და აძლიერებენ მის ახალ განწყობებს. მაგალითად, როდესაც სტუდენტები ახალ სტუდენტურ ატმოსფეროში შედიან, ებმებიან სტუდენტურ ცხოვრებაში, კავშირთიერთობებში, იცვლიან იმ განწყობებს და შეხედულებებს, რომლებიც მათ ადრე ჰქონდათ.

როდესაც ადამიანები ახალ ჯგუფებში შედიან, ადამიანთა სხვა ჯგუფის წევრებთან იწყებენ ურთიერთქმედებას. მათი განწყობები ახალ, მათთვის აქამდე ნაკლები მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ზემოქმედებას განიცდიან. ამიერიდან იწყება მათი განწყობების შეცვლა, ახალი განწყობების ფორმირება. ნიუკომბისათვის ადამიანის ფორმირების მთავარ ფაქტორს მეგობართა და ახლობელთა სანიმუშო ჯგუფი წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც გარესსამსახურე, კონკრეტული სიტუაციები მოქმედებს ადამიანის განწყობებზე, მის პიროვნებაზე¹.

შერიფმა და კენტრილმა განწყობის კანონზომიერებათა შესწავლისას ძირითადი ყურადღება გადართანეს პერსონალურ პროცესთა კანონზომიერებაზე, რომლებიც, მათი აზრით, გადაწყვეტ როლს ასრულებს განწყობის შემუშავებაში².

ისინი განწყობას განსაზღვრავენ, როგორც მზაობას ადამიანის შეფასებითი დამოკიდებულებისა გარესტიმულებისადმი. მათი აზრით, განწყობის ჩამოყალიბებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანის შემეცნებითი პროცესები, ინფორმაცია, რომელსაც ის იღებს გარემოდან, მაგრამ შემეცნების პროცესის მთავარი ფაზა, რომელიც არსებით გავლენას ახდენს განწყობის შემუშავება-შეცვლაზე, პერსონალის პროცე-

¹ Newcomb T. M. Personality and social change. N. Y., Holt, 1964.

² Sherif M., Cantril H. The Psychology of attitudes. Psychol Review, 1945, 52, p. 295-319.

სია. გარესტიმულები და აღქმის ველი ქმნის გარკვეულ განწყობებს, რომლებიც შემდგომში აყალიბებენ საზღვრებს აღქმისათვის.

შერიფი და კენტრილი იყენებდნენ ჰელსონის ადაპტაციის თეორიასა და კოორდინატთა სისტემის ეფექტის მონაპოვრებს, ისინი განწყობის ფორმირებას განიხილავენ როგორც ოთხი ფაქტორის მოქმედების შედეგს:

ა) განწყობის შექმნის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სტიმულთა დროსა ან სივრცეში განლაგების თავისებურებას, რომლის მიმართაც ექმნება ადამიანს განწყობა; ბ) რა ადგილი უკავიათ სტიმულთა სერიაში იმ სტიმულებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანი ახდენს დანარჩენ სტიმულთა შეფასებას; გ) რა სტიმული აქვს ამქაშად აქტუალურად მოცემული შესაფასებლად; დ) საერთოდ ამ მოვლენების მიმართ როგორი კოორდინატების სისტემა აქვს შემუშავებული ადამიანს. ამ ფაქტორთა ზემოქმედებით ადამიანს ექმნება გარკვეული განწყობა ობიექტთა ამა თუ იმ კლასის მიმართ. ამ განწყობის საფუძველზე ის ახდენს მსგავსი ობიექტების ასიმილაციას და მკვეთრად განსხვავებული ობიექტების კონტრასტულ შეფასებას.

მათ ჩამოაყალიბეს „მე-ჩართულობის“ თეორია, რომლის მიხედვითაც არსებობს გარკვეულ განწყობათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანის „მე“-ს ნაწილს წარმოადგენს. ამ განწყობებზე სტიმულები ვერ ახდენენ გავლენას, ისინი შედარებით უცვლელნი არიან. ამას ვაშო „მე“-ს და გარემოს შორის მსგავსების ან განსხვავების გაზრდის შემთხვევაში. როდესაც გარემო „მე“-სათვის მნიშვნელოვან განწყობათა მიხედვით ფასდება. ცვლილებას ვარემო განიცდის და არა „მე“. გარემოს შეცვლა ამ დროს რეალურად არ ხდება, ადამიანს იგი ილუზორულად შეცვლილი სახით წარმოუდგება. ეს ილუზორულობა ამ შემთხვევაში „მე“-ს განწყობათა მსგავსი სტიმულების ასიმილაციასა და მისგან განსხვავებულ სტიმულთა კონტრასტულ განცდაში გამოიხატება. შერიფისა და კენტრილისათვის განწყობის ფორმირების ძირითადი თავისებურებანა სინამდვილის პერცეპციის კანონზომიერებასთან არის დაკავშირებული.

ჰეიდერმა განწყობის ფენომენის ემოციურ-აფექტურ მხარეს მიაქცია ყურადღება. ადამიანის ქცევის გაგებისას ჰეიდერი გეშტალტთეორიის პოზიციებიდან გამოდიოდა. ლევანის მსგავსად, იგი ცდილობს ადამიანის სასიცოცხლო ველის გაგებას. ადამიანის სასიცოცხლო ველის ძირითად ძალას მიკუთვნების პრინციპი წარმოადგენს, სასიცოცხლო ველში ქცევის ძალების მიკუთვნების პრინციპით განლაგების შედეგად ადამიანს ექმნება გარკვეული ორიენტაცია, რომელიც მისი ქცევის მიმართულებაზე ახდენს გავლენას. ქცევის განსაზღვრელ ძალებს, რომელთა ორგანიზება ხდება სისტემის სახით, ადამიანის აფექ-

ტები, ობიექტებისადმი ემოციური დამოკიდებულებები წარმოადგენენ.

თუ ადამიანს დადებითი დამოკიდებულება აქვს მეორე ადამიანთან, მაშინ იმ ობიექტებისადმი, რომლებთანაც მეორე ადამიანს დადებითი ურთიერთობა აქვს, ადამიანს დადებითი ემოციური დამოკიდებულების ტენდენცია უჩნდება. მაგრამ იმ ობიექტების მიმართ, რომლებთანაც მეორე სიმპათიური ადამიანი უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, სუბიექტსაც უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია ექმნება. უარყოფითი აფექტური ურთიერთობის მქონე მეორე სუბიექტი საწინააღმდეგო აფექტების აღძვრას იწვევს სხვა ობიექტების მიმართ. ამგვარად, იქმნება ადამიანთა და სინამდვილის ობიექტებს შორის აფექტური დამოკიდებულების მთელი სისტემა, რომელშიაც ხშირად გაწონასწორებული მდგომარეობაა. ხშირად ადამიანსა და გარემოს შორის, რომელშიც სხვა ადამიანები და ობიექტები იგულისხმება, არაბალანსური დამოკიდებულება იქმნება, რაც ადამიანებს თავის დამოკიდებულებათა შეცვლისაკენ უბიძგებს¹.

პეიდერის გავლენით სოციალურ განწყობებში ხშირად მხოლოდ ადამიანთა ურთიერთაფექტური, ემოციური დამოკიდებულებანი იგულისხმება, რაც განწყობის ცნების ცალმხრივ გაგებას იწვევს.

როგორც ვხედავთ, განწყობის შინაარსის დახასიათებისას სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვა ასპექტები იქნა წინ წამოწეული და ხშირად განწყობის რომელიმე ამ ასპექტზე დაყვანის ტენდენციაც ვვაქვს.

მაგრამ, გარდა ამ პარტიკულარული მიდგომისა, განწყობის საკითხებისადმი ინტეგრალური თვალსაზრისით განხილვის შემთხვევებთანაც ვვაქვს საქმე. ასეთი ინტეგრალური მიდგომის მაგალითად ჩაითვლება განწყობის განხილვა კრიჩის, კრაჩფილდისა და ბოლჩის მიერ.

კრიჩმა, კრაჩფილდმა და ბოლჩიმ სისტემურად განიხილეს განწყობების სტრუქტურის, ფორმირებისა და შეცვლის კანონზომიერებანი. მათ განწყობის ცნებაში გააერთიანეს განწყობის ყველა ის ასპექტი, რომლებიც სხვადასხვა მკვლევრებმა შეისწავლეს ფრაგმენტულად, ხშირად ერთიმეორისაგან იზოლირებულად. ისინი ძირითადად ყურადღებას სოციალური განწყობების შესწავლაზე ამახვილებდნენ, მაგრამ მათი განწყობის ცნებაში საერთოდ განწყობის ფენომენი იგულისხმება.

კრიჩის, კრაჩფილდისა და ბოლჩის მიხედვით სოციალური განწყობა იზოლირებული მოვლენა როდია. იგი განწყობათა მთელი სისტემის სახით არსებობს და მოქმედებს. „განწყობა არის ადამიანის მიერ

¹ Heider F. The Psychology of Interpersonal Behavior. N. Y. Wiley, 1958.

ობიექტის პოზიტიური და ნეგატიური შეფასების, მისი განცდის, მისადმი სასიკეთო ან მტრული მოქმედების ტენდენციის მყარი სისტემა¹. ყოველი ქცევის განხორციელების შემდეგ ხდება მასში მონაწილე განწყობის გაძლიერება, შესუსტება ან შეცვლა. თუ გვინდა ადამიანების მართვა, მათზე გავლენის მოხდენა, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ მათი განწყობები, აგრეთვე განწყობათა გაძლიერების, შესუსტებისა და შეცვლის კანონები.

განწყობა, აღნიშნულ ავტორთა მიხედვით, როგორც დავინახეთ, სოციალური ობიექტის ინტელექტუალური და ემოციური შეფასებების, აგრეთვე მისადმი სასიკეთო ან მტრული მოქმედების ტენდენციათა სისტემას წარმოადგენს. განწყობის ამ განსაზღვრებაში გაერთიანებულია ყველა ის ასპექტი, რომლებიც სხვა მკვლევართა შრომებში აზოლირებულად იყო მოცემული. განწყობის ყველა ეს ასპექტი (რომ ის ინტელექტუალურ და ემოციურ შეფასებათა საფუძველია, რომ ობიექტისადმი დადებითი ან უარყოფითი მოქმედების აღმძვრელი ტენდენციას) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არაა განხილული. ეს კომპონენტები, როგორც განწყობის ანალიზი უჩვენებს, ურთიერთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და ერთიმეორეზე არსებით გავლენას ახდენენ. ადამიანის მიერ ობიექტის შემეცნებითი შეფასება არსებით გავლენას განიცდის იმ ემოციური დამოკიდებულებისა და მოქმედების ტენდენციებისაგან, რომლებიც ამავე ობიექტთან დაკავშირებით უჩნდება ადამიანს. თუ სუბიექტში მეორე ადამიანი უარყოფით ემოციებს იწვევს და მისდამი მტრული მოქმედების ტენდენციას განიცდის, ასეთ ვითარებაში სუბიექტი მეორე ადამიანში მრავალ უარყოფით მხარეს ამჩნევს და ხედავს. ასევე პირიქითაც, როდესაც შემეცნებით შეფასებაში ხდება გარკვეული ცვლილებები ობიექტის მიმართ, ამას თან სდევს შესატყვისი ცვლილებები ემოციური შეფასებისა და მისდამი მოქმედების ტენდენციებში.

მაგალითად, თუ ადამიანმა დაინახა, რომ მეორე პიროვნება, რომელსაც ადრე არასიმპათიურად უყურებდა, კრიტიკულ შემთხვევებში სამართლიანად და პრინციპულად იქცევა, ასეთ შემთხვევაში მას მეორე პიროვნებისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულებისა და სასიკეთო მოქმედების ტენდენციები უჩნდება. ასევე, თუ ადამიანი გარკვეულ ობიექტური მონაცემების საფუძველზე დარწმუნდა ამა თუ იმ თეორიის მართებულობაში, მაშინ მას ამ თეორიისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულებებისა და მისი დაცვის ტენდენციები უჩნდება.

ობიექტის მიმართ გარკვეული განწყობის ფორმირება აღნიშნული

¹ Krech D., Crutchfield B., Ballachey F. Individual in Society. N. Y., 1962.

ასპექტების მიხედვით ამ ობიექტისადმი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამიტომ, კრაჩის, კრაჩფილდის და ბოლაჩის აზრით, განწყობა შემეცნების, ემოციისა და მოქმედების კომპონენტების გარკვეული ერთი მიმართულებით ჩამოყალიბების ტენდენციას წარმოადგენს. რიგის სკალის გამოყენებით შესაძლებელია დადგინდეს, მოცემულ ობიექტს ადამიანი ინტელექტუალურად რამდენად მისაღებად ან მიუღებლად აფასებს, ემოციურად რამდენად სასიამოვნოდ ან უსიამოვნოდ განიცდის და მისადმი რამდენად მტრული ან სასიკეთო მოქმედების ტენდენციით ხასიათდება. ამ მონაცემების საფუძველზე, ზოგადად შესაძლებელია გაირკვეს ადამიანის განწყობისეული დამოკიდებულება მოცემული ობიექტის მიმართ.

აღნიშნულ ავტორთა მიხედვით, განწყობათა დახასიათებისათვის ძირითადად ორი ასპექტი უნდა იყოს გამოყენებული, ესენია განწყობის ვალენტობა და მისი კომპონენტების სირთულე.

ვალენტობას განწყობის პოლარული ხასიათი ქმნის, ის დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური ნიშნით ხასიათდება. ვალენტობა ყველა განწყობის კომპონენტებში მქლავდება. ინტელექტუალური კომპონენტი მიღება-მიუღებლობით ხასიათდება, ემოციური კომპონენტი — სიამოვნება-უსიამოვნებით, მოქმედების კომპონენტი — მტრულ-მოყვარული მოქმედების ტენდენციით. გარკვეული სოციალური ობიექტის მიმართ ადამიანის განწყობის გაზომვისათვის ხშირად საჭირო ხდება იმის დადგენა, თუ რა ხარისხით ხასიათდება მოცემული განწყობა ყველა ამ კომპონენტის თვალსაზრისით. ზოგჯერ მხოლოდ რომელიმე კომპონენტის მიხედვით ხერხდება განწყობის ვალენტობის გაზომვა.

განწყობის მეორე თვისებად მისი სირთულე უნდა ჩაითვალოს. განწყობის ყოველი კომპონენტი შეიძლება ხასიათდებოდეს სირთულის სხვადასხვა ხარისხით. განწყობის შემეცნების კომპონენტი, მაგალითად გარკვეული თეორიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, მისი მიუღებლობა, შეიძლება იყოს მარტივი და რთული. პირველ შემთხვევაში მისი მიუღებლობა შეიძლება ეყრდნობოდეს ამ თეორიის დეტალურ გარჩევას, მრავალი საწინააღმდეგო ფაქტის ცოდნას, მეორე შემთხვევაში მისი უარყოფა, მისდამი უარყოფითი განწყობა შესაძლოა ამოიწურებოდეს იმის ცოდნით, რომ ნაცნობი გონიერი ადამიანები მას უარყოფითად ეკიდებიან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა კომპონენტების შესახებაც. დადებითი ემოციური დამოკიდებულება სხვა ადამიანისადმი შეიძლება გამოიხატებოდეს სიყვარულით, მეგობრობით, სიმპათიით, უბრალო მოწონებით და სხვ. ასევე მტრული მოქმედების ტენდენცია სხვა ადამიანის მიმართ შესაძლოა ხასიათდებოდეს ფიზიკური შეურაცხყოფის, სიკვდილის, დამცირების, დასახიჩრებისა და სხვაგვარი მოქმედების სურვილით.

აღსანიშნავია, რომ სირთულის ნიშნის თვალსაზრისით განწყობა ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი. განწყობის შესწავლა-გაზომვა ძირითადად ვალენტობის თვალსაზრისით ხდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს, ავტორთა აზრით, თვით განწყობათა ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს. ირკვევა, რომ არსებობს გარკვეული განწყობების ურთიერთთან დაკავშირებისა და მათი სისტემის ჩამოყალიბების ტენდენცია. პიროვნების ამ თვისებას კონსისტენტობის ტენდენცია ეწოდება. პიროვნებას ტენდენცია აქვს მიიღოს ერთნაირი შემაღდგენლობის განწყობები და თავის პიროვნულ კუთვნილებად აქციოს, მისი განწყობის სისტემისათვის უცხო განწყობა არ მიიღოს. პიროვნება გარკვეულ განწყობათა ერთობლიობას, მთლიანობას წარმოადგენს.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ფერგუსონის¹ გამოკვლევა (1939 წ.); მან სცადა გამოეყო ადამიანთა ძირითადი განწყობები, რომლებიც ქმნიან პიროვნების ჩარჩოს. მან შეადგინა ტურსტონის 10 სკალა 10 ძირითადი განწყობის გასაზომად. ამ გზით გაზომილ იქნა ადამიანთა განწყობები ომის, პატრიოტიზმის, ღმერთის, დანაშაულის პატიების, სრკვედლით დასჯის, სენსორული მგრძობელობის, ინტენსიობების შეფასების, დაბადებისადმი კონტროლის, კანონისა და კომუნიზმის მიმართ. ყველა ამ ობიექტის მიმართ ადამიანთა დიდ მასას გაეზონა განწყობა. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე ამ მონაცემთა დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია გამოიყოს სამი ძირითადი განწყობა, რომელთა გარკვევის (გაზომვის) შემდეგ აიხსნება, თუ რა განწყობები ექნება ადამიანს სხვა დანარჩენი ობიექტების მიმართ. ამ სამ ძირითად განწყობას ფერგუსონმა უწოდა რელიგიისადმი, პუმანურობისა და საკუთარი ერისადმი განწყობები.

ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეული განწყობები ერთმანეთთან კავშირში არიან და ქმნიან განწყობათა კრებადობას, რომლებიც ერთიანი სისტემის სახით ერთიანდებიან. მაგალითად, ადამიანებს დაახლოებით ერთნაირი განწყობები აქვთ ომისადმი, სიკვდილით დასჯისა და დანაშაულის პატიებისადმი.

ეს მონაცემები პიროვნებაში განწყობის ორგანიზებულ ურთიერთდამოკიდებულობაზე მიუთითებენ. როგორც ჩანს, შესაძლებელი უნდა იყოს ადამიანის შინაგანი ორგანიზებულობის გაზომვა. ემპირული დაკვირვებიდან ცნობილია, რომ არსებობენ შინაგანად ორგანიზებული და კონფლიქტური ადამიანები. პიროვნების ამ თვისების დადგენა, მისი ძირითადი განწყობების ორგანიზებულობის თვალსაზრისით, ფსიქოლო-

¹ Ferguson I. W. Primary social attitudes. Journ. Psychol., 1939 p. 68.

ვიის დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით კონფლიქტურობის საზომის დადგენა, ბევრი ფსიქოლოგის შეხედულებით, ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს¹.

კრიჩის, კრაჩფილდისა და ბოლანის გარდა, განწყობის გაგებაში ინტეგრალურ თვალსაზრისს ბევრი სხვა ფსიქოლოგიც იცავს. მათი აზრით, საჭიროა განწყობის სხვადასხვა ასპექტი, რომლებიც ხშირად დამოუკიდებლად შეისწავლება, განწყობის ერთიან ცნებაში გაერთიანდეს. ასეთ თვალსაზრისს იცავენ გრინვალდი, ბროკი და ოსტრომი ზემომითითებულ შრომაში, აგრეთვე ფიშბეინი², ინსკო³ და სხვები.

უდავოა, რომ განწყობის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სოციალური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები დიდ ყურადღებას უთმობენ მას. გვაქვს ცდები განწყობის თეორიის შექმნის მიმართულებითაც, მაგრამ საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობა ჯერ კიდევ ვერ იქცა ფსიქოლოგიის უძირითადეს ამხსნელ ცნებად, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ფსიქოლოგიის ზოგად თეორიას. ასეთი პოზიცია მხოლოდ უზნაძის განწყობის თეორიაშია გატარებული და ამიტომ მხოლოდ ეს თეორია შეიძლება დაედოს საფუძვლად კონკრეტულ მთლიან ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, რომელიც შეიძლება რეალური ადამიანის ქცევის შესწავლას. განწყობის მხოლოდ ის ფსიქოლოგიური თეორია შეასრულებს ამ მისიას, რომელსაც ფსიქოლოგიური ამოცანების მთელი რიგის გადაწყვეტა ძალუძს. ეს ამოცანები ფორმულირებულია ა. ფრანგიშვილის შრომაში⁴, რომელიც განწყობის ძირითადი დისკუსიული საკითხების განხილვისადმი მიძღვნილი. ამ ამოცანათა გადაწყვეტა უზნაძის განწყობის თეორიის საფუძვლზე ხდება შესაძლებელი.

განწყობის ინტეგრირებულ თეორიებში განწყობას ქცევის აღმკვრელი თითქმის ყველა ფაქტორის გაერთიანების ფუნქცია აქვს მინიჭებული, მაგრამ საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობის ცნება ბაინც ვერ იქცა ადამიანის ქცევის ძირითად ამხსნელ პრინციპად, რადგან განწყობა ისევ მეორად, ნაწარმოებ ფენომენად დარჩა, სხვა ფსიქოფიზიკურ მოვლენების გვერდით. ამ ვითარების კარგ ილუსტრაციას იძლევა გრინვალდის⁵ მიერ წარმოდგენილი სქემა ადამიანის აქტიო-


¹ Hovland and Com. Attitudes formation and change, N. Y., 1960.

² Fishbein N. Readings in Attitude Theory and Measurement, N. Y., 1967.

³ Insko C. A. Theories of Attitude Change, N. Y., 1967.

⁴ Франгшвиан А. С., Исследования по психологии установки, Тбилиси, 1968.

⁵ Greenwald A. G. On defining attitude and attitude theory in psychological foundations of attitude. By Greenwald A. G., Brock T., Ostrom Th. N. Y., 1968.



ბისა, სადაც თავისებურად არის დახასიათებული განწყობის ადგილო ქცევის განმსაზღვრელ სხვა დეტერმინანტებთან მიმართებაში. ამ სქემის მიხედვით, განწყობა არსებით ვავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, მაგრამ იგი თვითონ არის განსაზღვრული და გაპირობებული სხვა ფსიქიკურ პროცესთა მოქმედებით. ამიტომ ის განსაზღვრავს ადამიანის ობიექტურ ქცევას, მაგრამ არა მის შინაგან ფსიქიკურ პროცესებს.

მოცემულ სქემაში გამოხატულია ის პროცესები და არეები, რომლებიც სხვადასხვა თეორიების მიერ უნდა იქნეს შესწავლილი. A არე არის შემეცნების ინფორმაციული პროცესების თეორიის არე; B — სწავლის თეორიის არე; C — განწყობის კომპონენტების ურთიერთქმედების, განწყობის თეორიის არე; D — ბიპვეორისტული თეორიის არე.

ეს სქემა ქცევის S—R მოდელის მიხედვით არის აგებული, რომელიც გამდიდრებულია შუალედური პროცესებით. თეორიული პოზიციის მიხედვით, რომელიც ამ სქემაშია გამოხატული, განწყობის თეორიის არე შეიძლება გამოიყოს სხვა თეორიათა არეებისაგან, რაც განწყობის დამოუკიდებელი თეორიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ ამ პოზიციაში ბევრი რამ არის მიუღებელი, რაც განწყობის სრულფასოვანი ზოგადი ფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებას შეუძლებელს ხდის. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ პოზიციით ნაგულისხმევი ისეთი თეორეტიზებული შუალედური პროცესები, როგორცაა ინსტრუმენტული შესწავლა, კლასიკური პირობითი რეფლექსების დაუფლება და შემეცნების პროცესების სწავლა განწყობის გარეშე, განწყობისეული დამოკიდებულების ფორმირებამდე ხორციელდებოდეს. ამგვარად გაგებული განწყობა და მის საფუძველზე ფორმირებული განწყობის თეორია, ცხადია, ვერ გახდება ქცევის ზოგადი ფსიქოლოგიური თეორია. გრინვალდის აზრით, განწყობის თეორია სწავლის თეორიას უნდა ეფუძნებოდეს, რადგან განწყობა სწავლის პროცესებისა და გამოცდილების საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი საზღვარგარეთული ფსიქოლოგიის ჩვეულებრივი, ზოგადი პოზიციაა. მასში განწყობა არ ითვლება ობიექტურად გამოვლენილი ქცევის და ყოველგვარი შინაგანი ფსიქიკური აქტიობის საფუძვლადმდებარე მოვლენად. როგორც განწყობის ცალკეული სახეების დახასიათებისას გაიჩვენა, ზოგჯერ რომელიმე სახის განწყობა შეიძლება გულისხმობდეს ერთგვარ გამოცდილებას, მაგრამ თვით ეს გამოცდილებაც და საერთოდ ყოველგვარი შინაგანი თუ გარეგანი ფსიქიკური აქტიობა განწყობისეული დამოკიდებულების საფუძველზეა ნაწარმოები.

სწავლისა და ქცევის ბიპვეორისტული თეორიების გვერდით შეუძლებელია განწყობის თეორიის, როგორც მათი დამატების შექმნა-

განწყობის თეორია უნდა შეიქმნას ამ თეორიების საპირისპიროდ. მათ მაგიერ, როგორც სტიმულსა და რეაქციას შორის არსებული ყოველგვარი შუალედური პროცესების საფუძველი. ამ უკანასკნელის საფუძველზე ხდება თვით სტიმულის მიღება და საპასუხო რეაქციის გაცემა. სწორედ ამ თვალსაზრისზეა აგებული უზნაძის განწყობის თეორია, ამიტომ მთელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის და თვით განწყობის საკითხების დალაგებას ჩვენ ამ პოზიციის საფუძველზე მოვახდენთ.

9. 2. განწყობის კანონზომიერებათა შესწავლის ძირითადი ასპექტები

აღრე ჩვენ განვიხილეთ განწყობის ფორმირების თავისებურებანი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა დონეზე.

პრაქტიკული, თეორიული და სოციალური ქცევის განხორციელებისათვის საჭირო განწყობები, როგორც დავინახეთ, სხვადასხვა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების მონაწილეობით ყალიბდება. პრაქტიკულ-იმპულსური ქცევის განწყობა ვიტალური მოთხოვნილებებისა და სინამდვილის გრძნობადი მონაცემების ერთიანობის საფუძველზე ჩნდება. თეორიული ქცევის განწყობა შემეცნების მოთხოვნილების, შემეცნების გარკვეული ფუნქციური სისტემისა და პრობლემური სიტუაციის ერთიანობის საფუძველზე იქმნება. სოციალური ქცევის საფუძველადმდებარე განწყობის ფორმირება კი სოციალური მოთხოვნილებების, სოციალურად მისაღები ქცევის შერჩევისა და წარმოსახული სიტუაციის ერთიანობას გულისხმობს.

ადამიანის მიერ განხორციელებული ფსიქიკური აქტიობის მთლიანი ნაკადი, მდგომარეობათა მიხედვით, სხვადასხვა დონის ფსიქიკური აქტიობის სახით ხორციელდება, მაგრამ რა დონეზეც არ უნდა მიმდინარეობდეს ეს პროცესი, იგი ყოველთვის რომელიმე სახის განწყობის საფუძველზეა ორგანიზებული. ამის გამო ადამიანის ფსიქიკური აქტიობის მთელი ნაკადი შეგვიძლია წარმოვადგინოთ, როგორც გარკვეულ განწყობათა აღმოცენებისა და რეალიზაციის უწყვეტი პროცესი, რომლის ცალკეულ ქვეებად დანაწილება ცალკეულ განწყობათა აღმოცენებისა და რეალიზაციის მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ. ამიტომ, რომ ფსიქოლოგიის ერთ-ერთ უძირითადეს ამოცანად ადამიანის განწყობის აღმოცენებისა და მოქმედების კანონზომიერებათა შესწავლა იქცა.

განწყობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ დონეზე იქმნება და რომელი დონის ფსიქიკურ აქტიობას ედება საფუძველად, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ასპექტში განიხილება. ესენია: ა) განწყობის სახეები და მათი აღმოცენება-ჩამოყალიბება; ბ) განწყობის ზოგადი თვისებები; გ) განწყობის ფუნქციობა და დ) განწყობის შეცვლა.

განწყობის ცნებაში ასახულია რეალური ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის მიზანშეწონილ აქტიობას განსაზღვრავს. ამ რეალური ფსიქიკური მოვლენის დახასიათებას ემსახურება განწყობის თეორია. განწყობა აქტუალურად არსებული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც გარკვეულ მომენტში აღმოცენდება, არსებით გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე და თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ წყვეტს მოქმედებას. შემდგომში აღმოცენდება და ამოქმედდება მეორე განწყობა, რომელიც ასევე თავისი ამოცანის შესრულების შემდეგ სხვა განწყობას უთმობს ადგილს და ასე შემდეგ.

განწყობის აღმოცენება გარკვეული ფაქტორების მოქმედებით არის გაპირობებული. იგი ადამიანურ და საგნობრივ-ობიექტურ ფაქტორთა ერთიანობის საფუძველზე იქმნება.

ქართველმა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ცხადყვეს, რომ ადამიანს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, არ ექმნება გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა, თუ მასზე ერთდროულად არ მოქმედებს შინაგანი ფაქტორი, გარკვეული მოთხოვნილება და ამ მოთხოვნილების შესატყვისი საგნობრივი, გარეგანი გარემო. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე იგივე ზოგადი დებულება დადგინდა ადამიანის, როგორც სუბიექტის, მოქმედების დროს. სუბიექტს არ ექმნება აზროვნების, შემეცნებითი ქცევის განწყობა, თუ მასზე არ მოქმედებს გაურკვეველი, პრობლემური სიტუაცია და არ გააჩნია მისი გარკვევის, შემეცნების მოთხოვნილება¹. სოციალური ქცევის განწყობაც შინაგანი და გარეგანი ფაქტორების რაული ურთიერთქმედების, ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება. რადიან გარკვეული ქცევის განწყობა თავისთავში ასახავს ადამიანის მოთხოვნილებებს, საერთოდ შინაგან ფაქტორებს და მისი შესატყვისი გარემოს თავისებურებებს, ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილებით ხასიათდება. ამგვარი განწყობის საფუძველზე აღმოცენებულ ქცევაში გათვალისწინებულია ადამიანის მოთხოვნილებები და შინაგანი ტენდენციები, რის დაქმყოფილებასაც ის ემსახურება. მაგრამ განწყობაში შესატყვისი სიტუაციაც არის ასახული; ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა აღნიშნულ სიტუაციასაც უწყევს ანგარიშს, მისდამიც მიზანშეწონილია.

განწყობის გამომწვევ შინაგან და გარეგან ფაქტორთა ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ განწყობა საკმაოდ რთული ბუნების ფსიქოლოგიური წარმონაქმნია და სხვადასხვა სახის ამოცანათა შესრულებას

¹ იხ. ნ. ელიავა, განწყობის პრობლემა აზროვნების ფსიქოლოგიაში, თბილისი, 1964, გვ. 103—107.

ემსახურება¹. მათი დიფერენცირება იმ მოთხოვნილებათა კლასიფიკაციის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელთა დაკმაყოფილებასაც ისინი ემსახურებიან.

განწყობის შინაგანი ფაქტორები უზნაძემ მოთხოვნილების ცნებაში გააერთიანა. სათანადო ანალიზის საფუძველზე უზნაძემ გაარკვია, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სუბსტანციური და ფუნქციური მოთხოვნილებები.

სუბსტანციურ მოთხოვნილებათა კლასს ის მოთხოვნილებები შეადგენს, რომლებიც ადამიანს ობიექტურად არსებულ საგანთა მიმართ აქვს. ასეთ მოთხოვნილებათა მაგალითებს ჰყავს, სმისა და სხვა ბიოლოგიური მოთხოვნილებები წარმოადგენენ. ამგვარი მოთხოვნილებებისა და შესატყვისი სიტუაციის ზემოქმედების შემთხვევაში ადამიანს ე. წ. ექსტეროგენული ქცევის განწყობა ექმნება. ექსტეროგენული ქცევის საშუალებით ადამიანი ობიექტურად არსებულ საგნებთან ამყარებს ურთიერთობას და მათ თავის ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის იყენებს.

ადამიანის აქტიობის ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მისი ქცევის შინაარსი სუბსტანციურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით არ ამოიწურება. სუბსტანციური მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, უზნაძე საგანგებოდ მიუთითებს ფუნქციურ მოთხოვნილებაზეც. ფუნქციურ მოთხოვნილებათა კლასს ის მოთხოვნილებები შეადგენენ, რომლებიც ადამიანს თავისი შინაგანი ძალების სპონტანური გამოვლინებისა და რეალიზაციის ტენდენციის სახით ეძლევა.

ორგანიზმის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება თვით აქტიობის მოთხოვნილებაში მდგომარეობს. ადამიანს ყოველთვის აქვს ამა თუ იმ სახის მოქმედებისათვის საკირო ძალები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში უმოქმედო მდგომარეობაში იმყოფებიან. ადამიანის ის ფსიქოფიზიკური უნარი, რომელიც სათანადოდაა მომზადებული ფუნქციობისათვის, მაგრამ მონაწილეობას არ ღებულლობს მის სერიოზულ სასიცოცხლო აქტიობაში, ფუნქციობის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, გარკვეული ფსიქოფიზიკური ძალების მომწიფებისა და მათი უმოქმედობის გამო, ბავშვებს გარკვეულ ასაკში სხედასხვა სახის თამაშის მოთხოვნილება უჩნდებათ. ზრდადასრულებული ადამიანის საქმიანობაში არანაკლებ როლს ასრულებს იმ ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციობის ტენდენცია, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ვერ კმაყოფილდებიან. უზნაძემ საგანგებო ყურადღება მიაქცია „ფუნქციური ტენდენციის“ ფაქტს და უჩვენა, რომ

¹ შ. ნადირაშვილი, განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის ბავშვებში, თბილისი, 1963, გვ. 274—278.

ადამიანის ქცევის ისეთ ფორმებზე, როგორცაა თამაში, სპორტი, გართობა და შემოქმედება, უდიდეს გავლენას ახდენს შესატყვისი ფუნქციური მოთხოვნილებანი. ცხადია, ამ შემთხვევებშიც ქცევის აღნიშნული ფორმების ქცევათა გამოწვევა მხოლოდ ფუნქციურ მოთხოვნილებათა საფუძველზე არ შეიძლება იქნეს გაგებული. ქცევის ამ ფორმების შესატყვისი განწყობები ადამიანს ფუნქციური მოთხოვნილებებისა და სათანადო სიტუაციის საფუძველზე ექმნებათ. ქცევის ამ ფორმებს უზნაძე ინტეროგენული ქცევის ცნებაში აერთიანებს.

როგორც ვხედავთ, ქცევის ფორმების დაყოფა ინტეროგენულად და ექსტრაგენულად ქცევის შინაგან ფაქტორთა დიფერენცირების საფუძველზე ხდება.

სუბსტანციური მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენებული განწყობით ექსტეროგენული ქცევის ფორმები სრულდება. ამგვარი აქტიობის დროს ადამიანი გარემო საგნებზეა ორიენტირებული, მათ მიმართ არსებული მოთხოვნილებების საფუძველზე მოქმედებს.

ფუნქციურ მოთხოვნილებათა ზემოქმედებით აღმოცენებული განწყობით ინტეროგენული ქცევა ხორციელდება. ქცევის ამგვარი ფორმების განხორციელების დროს ადამიანის აქტიობა შინაგანი ტენდენციების ზემოქმედებით არის გაპირობებული¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების გარკვეულ სისტემაში გაერთიანებისათვის ბოლო დროს ე. წ. „წონასწორობის მოდელი“ იქნა გამოყენებული. ეშბი ადამიანის მიზანშეწონილი ქცევის გაგებას და ახსნას „ჰომეოსტაზის მოდელის“ საფუძველზე ცდილობს². ბოლო პიაჟემ შემოიტანა „ფსიქოლოგიური წონასწორობის“ ცნება, რომლითაც ის მიზანშეწონილი ცნობიერი პროცესების აღმოცენებისა და საერთოდ ფსიქიკური განვითარების ახსნას ცდილობს³.

ეშბის ჰომეოსტაზის მოდელის მიხედვით ორგანიზმი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გარკვეულ მდგომარეობებში მყოფი მთლიანი სისტემა. ასეთი მდგომარეობანი ძირითადად შეიძლება ორ კლასად გაიყოს; ესენია ორგანიზმის წონასწორობისა და უწონასწორობის მდგომარეობანი. ორგანიზმის უწონასწორო მდგომარეობად ის ვითარება უნდა ჩაითვალოს, რომლის დროსაც იგი გამოსულია ჩვეულებრივი მდგომარეობიდან და მისი, როგორც გარკვეული სისტემის, დაშლანადგურება იწყება. ორგანიზმი წონასწორობის მდგომარეობაშია

¹ დ. უზნაძე, ადამიანის ქცევის ფორმები, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1940, გვ. 1—39.

² Эшби, Росс, Конструкция мозга, Москва, 1962.

³ Inhelder B., Piaget Y. The growth of logical thinking from childhood to adolescence, N. Y., 1958.

მაშინ, როდესაც იგი თავის დამახასიათებელ, ბუნებრივ ვითარებაში იმყოფება, როდესაც მას შენარჩუნებული აქვს ის სტრუქტურა, რომელიც მის, როგორც გარკვეული სისტემის არსებობაზე მიუთითებს.

ორგანიზმის ამ მოდელით განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ მას, მართლაც, გააჩნია გარკვეული სპეციფიკური თვისებები. სინამდვილესთან ურთიერთობის დროს, როდესაც საგანთა ზემოქმედება არღვევს ორგანიზმის ბუნებრივ სტრუქტურას, წონასწორობის მდგომარეობას, ორგანიზმში აღიძვრება აქტიობა, რაც მანამ არ წყდება, სანამ არ აღდგება ამ სისტემის ნორმალური მდგომარეობა, წონასწორობა.

ორგანიზმის, როგორც მთლიანი სისტემის, დარღვევა ორი გზით შეიძლება ხორციელდებოდეს. იგი თავის ფუნქციონირების პროცესში ხარჯავს გარკვეულ ენერჯიას და კარგავს გარკვეულ ნივთიერებებს. დახარჯულ ენერჯიას იგი კვების პროდუქტებიდან იღებს. მაგალითად, ენერჯიისა და სითხის დანაკლისმა თუ ორგანიზმისათვის ზღვრულ მდგომარეობას მიადწია და დროულად არ შეივსო, იგი აუცილებლად დაიღუპება. ამგვარი დანაკლისის დროს ორგანიზმი იძულებით აქტიობას იწყებს. სწორედ ამგვარი მდგომარეობის აღწერას ემსახურება სუბსტანციური მოთხოვნების ცნება. ამ დროს ორგანიზმი განიცდის გარკვეული საგნებისა და ნივთიერებების დანაკლისს. ამ კონტექსტში ისეთ ტერმინებს, როგორიცაა წონასწორობის დარღვევა, გარკვეული ნივთიერების დანაკლისი და სუბსტანციური მოთხოვნილება, სინონიმური მნიშვნელობით ვიხმართ. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ორგანიზმისა და შესატყვისი საგნობრივი სინამდვილის შეხვედრისას ხდება მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ორგანიზმის წონასწორობის აღდგენა.

ორგანიზმის წონასწორობის დარღვევა აქტიობის პროცესში მხოლოდ გარკვეულ ნივთიერებათა დაკარგვის გზით არ ხდება. ორგანიზმის წონასწორობის მდგომარეობის დარღვევას ხშირად ე. წ. მავნე საგნების ზემოქმედებაც ახდენს. ინდივიდის წონასწორობიდან გამოყვანა და დარღვევა შეუძლია, მაგალითად, მანქანის დაჯახებას, ცეცხლს, საწამლავს და სხვა მავნე საგნების ზემოქმედებას. საგანთა „ნორმის ფარგლებიდან გადახრილი“ ზემოქმედების მიმართ ორგანიზმს „უარყოფითი დამოკიდებულება“ აქვს. მავნე საგნობრივი ზემოქმედებისაგან განრიდებას ხშირად თავდაცვის მოთხოვნილებასაც უწოდებენ. ცნობილია, რომ „თავდაცვის ეს მოთხოვნილება“ მაღალი დონის ფსიქიკური აქტიობაშიც იჩენს თავს. შეიძლება ითქვას, რომ „თავდაცვის მოთხოვნილებით“ სუბიექტიც და პიროვნებაც ხასიათდება. ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ფსიქონაწარმოლოგიკოსებმა მიაქციეს. ჩვენთვის თუმცა მიუღებელია ფსიქონაწარმოლოგიკური თეორიული კონსტრუქცია ადამიანის ფსიქიკური აქტიობის შესახებ, მაგრამ ფსიქონაწარმოლოგიკოსებმა მიგვიითითეს ფსიქიკური აქტიობის ბევრ ფაქტზე, რომლებიც აუცი-

ლებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქცევის ფსიქოლოგიური თეორიის აგებისას. ადამიანის მსოფლმხედველობისა და სოციალური ორიენტაციების სისტემების დამრღვევი ფაქტების ზემოქმედებისაგან ადამიანები ხშირად თავს იცავენ. მათ აქვთ შინაგანი ტენდენცია, როგორმე თავი აარიდონ ასეთ ფაქტებს. არსებობს ე. წ. „ფსიქიკური დაცვის“ მექანიზმები, რომელთა მოქმედების გამო ადამიანები ხშირად ვერ ამჩნევენ მათ შეხედულებათა საწინააღმდეგო ფაქტებს. ასეთი ფაქტების გათვალისწინებისას ადამიანი იძულებული იქნებოდა შეეცვალა შეხედულება, მათი შემჩნევის შემთხვევაში კი ადამიანს ტენდენცია უჩნდება როგორმე გვერდი აუაროს ასეთ ფაქტებს. მათი ზემოქმედების თავიდან აცილების მოთხოვნის გამო ადამიანები ხშირად სინამდვილის რეორგანიზაციას, ასიმილაციას ახდენენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს აქვს ამ მდგომარეობის დაძლევის მექანიზმები, რომლებიც მან, როგორც სოციალურმა არსებამ, შეიძინა. ამ მექანიზმების მოქმედების კანონზომიერებას განწყობის შეცვლის საკითხების გარკვევისას განვიხილავთ.

წონასწორობის პრინციპის საფუძველზე აგებული ქცევის თეორიებში სინამდვილისადმი ადამიანის შეგუების პროცესების ახსნას ცდილობენ. ჰომეოსტაზის მოდელის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დადგინდეს შეგუების ორგანიზაციული პროცესის კანონზომიერებანი, რომელსაც ორგანიზმი ახორციელებს. შეგუების პროცესს სინამდვილის მიმართ ინდივიდი ე. წ. ასიმილაციის და აკომოდაციის საშუალებით ახორციელებს.

სინამდვილის ასიმილაცია ინდივიდის ისეთ აქტიობას გულისხმობს, რომელსაც შედეგად სინამდვილის შეცვლა, რეკონსტრუქცია მოჰყვება (ინდივიდისადმი შესატყვისობაში მისი მოყვანის მიმართულებით). ამ დროს ინდივიდი ცვლის და იმსგავსებს სინამდვილეს. სინამდვილის ასიმილაცია შესაძლებელია განხორციელდეს მასზე ფიზიკური ზემოქმედების გზით, ობიექტური სიტუაციის რეალური გარდაქმნით და, გარდა ამისა, იმითიც, რომ პიროვნებამ მოახდინოს მისი ფსიქიკური რეორგანიზაცია. ამ შემთხვევაში ადამიანი სინამდვილეს ილუზორულად, თავისი მოთხოვნის შემთხვევისად აღიქვამს.

სინამდვილისადმი აკომოდაცია თვითონ ადამიანის შეცვლას გულისხმობს. ადამიანის ფიზიკური ორგანიზაციის და ფსიქიკური ორიენტაციების შეცვლა სინამდვილის შესატყვისად აკომოდაციის პროცესს წარმოადგენს.

ჰომეოსტაზის კანონზომიერებათა საფუძველზე შესაძლებელი ხდება აიხსნას ინდივიდის როგორც სინამდვილისადმი შეგუების, ისე სინამდვილის შეცვლისათვის საჭირო ქცევის ბუნება. მაგრამ ადამიანის ქცევის სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მისი ფსიქიკური აქტიობის დაყვანა შეუძლებელია ასიმილაციისა და აკომოდა-

ციის პროცესებზე. სუბსტანციური და თავდაცვის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება არ წარმოადგენს ადამიანის უმოქმედო მდგომარეობაში გადასვლის გარანტიას. ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტიობა არ ამოიწურება აღნიშნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესით. ადამიანის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას, როგორც აღნიშნული იყო, აქტიობის მოთხოვნილება წარმოადგენს. ადამიანს მოთხოვნილება აქვს ისეთი ქცევებისა, როგორცაა თამაში, სპორტი და შემოქმედება. ქცევის ამ ფორმებზე უდიდეს გავლენას ახდენს აქტიობის ტენდენცია სათანადო მიმართულებით. ამას უნდა დაემატოს თავის შეხედულებათა, ღირებულებათა და შინაგანი ბუნების გამოხატვის, გამოთქმის მოთხოვნილება, რომელიც არის ადამიანის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება.

ფუნქციობის ტენდენცია ფსიქიკური აქტიობის პირველ დონეზე ფიზიკურ მოქმედებათა შესრულების მოთხოვნილების სახით მკლავდება. ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე იგი შემეცნების წყურვილის სახით გვეძლევა. ფსიქიკური აქტიობის მესამე დონეზე პიროვნების ფუნქციობის ტენდენცია განიცდება მორალურ მოთხოვნილებათა გამომკლავებისა და შინაგან, მაღალ ღირებულებათა თვითრეალიზაციის სახით.

ამრიგად, განწყობის შინაგანი ფაქტორის სათანადო ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ერთმანეთისაგან გამოიყოს ადამიანური აქტიობის ორი ძირითადი ტიპი: ექსტეროგენული და ინტეროგენული ქცევა¹.

ექსტეროგენული ქცევა სინამდვილესთან ადამიანის ურთიერთობის პროცესში თავდაცვის ამოცანების შესრულებას ემსახურება. ამ ტიპის ქცევის განწყობა ადამიანებს იმ მოთხოვნილებათა საფუძველზე უყალიბდებათ, რომლებიც მას სინამდვილის საგნების მიმართ აქვს. ეს მოთხოვნილებანი საგანთა მიმართ მისწრაფების ან მათგან განრიდების ტენდენციაში გამოიხატება. ასეთ მოთხოვნილებათა და შესატყვის საგანთა ერთდროული შემოქმედების საფუძველზე ადამიანს ექსტეროგენული ქცევის განწყობა უჩნდება. ექსტეროგენული ქცევის განხორციელების დროს ადამიანი საგნობრივ სინამდვილეზეა ორიენტირებული, მის მიმართ არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახდენს.

ინტეროგენული ქცევა ადამიანის შინაგანი ძალების გამომკლავების, შინაგანის ბუნების რეალიზაციის ამოცანებს ემსახურება. ამ ტიპის ქცევის განწყობა იმ მოთხოვნილების საფუძველზე აღმოცენდება, რო-

¹ უზნაძე, ადამიანის ქცევის ფორმები, სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVII, 1940, გვ. 1—39.

მელიც ადამიანს შინაგანი ძალების ფუნქციობის, გამომჟღავნების ტენდენციის სახით აქვს მოცემული. ადამიანი თავისი შინაგანი ძალებისა და ბუნების გამოხატვის საშუალებად იმავე საგნობრივ სინამდვილეს იყენებს, რადგან მას გამოხატვის სხვა საშუალებანი არ გააჩნია. გარდა ამისა, საგნობრივი გარემოს მოვლენები იმიტომ შეიძლება გამოდგეს ადამიანის შინაგანი ძალებისა და ბუნების გამოსახატავად, რომ ისინი ერთი და იმავე სუბსტანციური ბუნების მოვლენებს წარმოადგენენ. ადამიანის შინაგანი ძალები, მისი შინაგანი ბუნება იმავე საგნობრივი სინამდვილის ღრმა ფენების სტრუქტურითა და კანონზომიერებით ხასიათდება, რითაც ის სინამდვილე, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. საგნობრივ სინამდვილესთან კონტაქტის გარეშე, მისი გამოხატვის საშუალებად გამოყენების გარეშე ისევე შეუძლებელია ფუნქციური ტენდენციების დაკმაყოფილება, ინტეროგენული ქცევის შესრულება, როგორც ექსტეროგენული ქცევისა. ინტეროგენული ქცევის განწყობაც ფუნქციობის, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი საგნობრივი სინამდვილის ერთიანობის საფუძველზე აღმოცენდება.

ექსტეროგენული და ინტეროგენული ქცევა შესაძლებელი ხდება ერთიმეორისაგან განვასხვავოთ იმის მიხედვით, თუ რა სახის შინაგანი ფაქტორის საფუძველზე აღმოცენდება ამ ქცევათა შესატყვისი განწყობანი: სუბსტანციურ თუ ფუნქციურ მოთხოვნილებათა საფუძველზე. მაგრამ რადგან აღნიშნული ქცევების საფუძვლადმდებარე განწყობის ფორმირება შინაგანი ფაქტორის გარდა საგნობრივი ფაქტორის მოქმედებასაც გულისხმობს, ამიტომ შესაძლებელი ხდება განწყობათა ურთიერთისაგან დიფერენცირება საგნობრივი ფაქტორის თავისებურებათა მიხედვითაც.

სინამდვილის საგნები და მოვლენები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანზე და სათანადო აქტიობისაკენ უბიძგებენ მას, შესაძლებელია პირობითად სამი კატეგორიის ობიექტების სახით დაიყოს. ესენია: ა) გრძნობად ფორმებში მოცემული კონკრეტული საგნები, რომლებიც სათანადო მოთხოვნილებებთან ერთიანობის საფუძველზე ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობას ედება საფუძვლად. ბ) ზოგადი ობიექტები, საგანთა მიმართებანი, რომლებიც გრძნობად-სენსორული ობიექტების სახით არაა მოცემული. მათზე მოთხოვნილება ადამიანს პრობლემური, გაურკვეველი სიტუაციის წინაშე დგომის შემთხვევაში აღმოუცენდება. მათი წვდომა ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეს, შემეცნების აქტიობას გულისხმობს. გ) სოციალური ობიექტები, ღირებულებანი, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობის პროცესშია რეალიზებული. ისინი სხვა ადამიანთა მოთხოვნების, ჯგუფის წესების, საზოგადოებრივი ნორმების, სოციალური მოლოდინების,

ზოგადსაკაცობრიო და საერთოდ მორალური პრინციპების და სხვა ღირებულებათა სახით არსებობენ.

ადამიანის განწყობის საგნობრივი ფაქტორის ამგვარი კლასიფიკაცია ექსტეროგენული ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობის სამი ფორმის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა. ესენია: 1. კონკრეტულ-გრძნობად საგანზე ორიენტირებული ქცევის განწყობა, პრაქტიკული ქცევის განწყობა. 2. აბსტრაქტულ-ზოგად ობიექტებზე ორიენტირებული ქცევის განწყობა, თეორიული, შემეცნებითი ქცევის განწყობა და 3. სოციალურ ობიექტებზე ორიენტირებული ქცევის განწყობა, სოციალური ქცევის განწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე აუცილებელი ხდება ინტეროგენულ ქცევათა ტიპების ურთიერთისაგან დიფერენცირება. ინტეროგენული ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობები ურთიერთისაგან შესაძლებელია განვასხვაოთ იმით, თუ რა ფსიქიკურ-ფიზიკური ძალების ამოქმედების ტენდენციის საფუძველზე ყალიბდებიან ისინი.

ამ თვალსაზრისით ინტეროგენული ქცევის საფუძვლადმდებარე განწყობები ორი ძირითადი ტიპის განწყობად გაიყოფა: ა) შეგრძნებათა და შემეცნების ორგანოების თვითაქტიობის ტენდენციის იმპულსით აღძრული განწყობები, რომლებიც სხვადასხვა სახის თამაშობების ან ფიზიკური და გონებრივი სპორტული ქცევების სახით ხორციელდება. ასეთი განწყობისათვის შეიძლება პირობითად ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის განწყობა გვეწოდებინა. ბ) ამგვარი განწყობების გვერდით შესაძლებელია ვილაპარაკოთ პიროვნულ ღირებულებათა გამოხატვის ტენდენციების საფუძველზე აღმოცენებულ განწყობათა შესახებ. ადამიანს, როგორც ცნობილია, საკუთარი ღრმა პიროვნული ღირებულებების გამოხატვის ტენდენციები გააჩნია. ასეთი ტენდენციების საფუძველზე ფორმირებული განწყობითი მოქმედების დროს ადამიანი შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, რომლის დროსაც ის რეალური სინამდვილისაგან განსხვავებულ იდეალურ სინამდვილეს ქმნის. ამგვარად კონსტრუირებული გაადამიანებული სინამდვილე, ყოველთვის „მეტსა და სპეციფიკურობას“ შეიცავს ფიზიკური სინამდვილისაგან განსხვავებით. ამგვარი განწყობებისათვის შესაძლებელია შინაგან ღირებულებათა ექსტერიორიზაციის, ან შემოქმედების განწყობა გვეწოდებინა.

ამრიგად, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თავისებურებათა მიხედვით, რომელთა საფუძველზეც ხდება განწყობის აღმოცენება-ფორმირება, შესაძლებელია პირობითად ხუთი ძირითადი ტიპის განწყობის შესახებ ლაპარაკი. ესენია: I. პრაქტიკული ქცევის განწყობა; II. თეორიული ქცევის, შემეცნების განწყობა; III. სოციალური ქცევის განწყობა.

ყოფა; IV. ფსიქოფიზიკური ძალების რეალიზაციის განწყობა და V. შემოქმედების განწყობა.

აღნიშნულ ტიპთა განწყობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადამიანობის არსებითი ასპექტების გამოვლენა და დახასიათება. განწყობის ყოველი აღნიშნული სახე გარკვეულ ფუნქციას ასრულებს, მათი საშუალებით სხვადასხვა ტიპის მოთხოვნილებები კმაყოფილდება და შესაძლებელი ხდება ადამიანური აქტიობის თავისებურებათა შესახებ ლაპარაკი.

9. 2. 2. პრაქტიკული ქცევის განწყობა

პრაქტიკული ქცევის განწყობა, როგორც აღნიშნული იყო, სასიცოცხლო მოთხოვნილებების და მისი დააკმაყოფილებელი გრძნობად-საგნობრივი გარემოს ერთიანობის საფუძველზე იქმნება. ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის არსებობის შენარჩუნება. ასეთ განწყობათა საფუძველზე ადამიანი სელექციურ დამოკიდებულებას იჩენს გრძნობად-საგნობრივი სინამდვილის მიმართ. ცოცხალ ინდივიდს განვითარების პროცესში გამუდმებით უხდება სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ერთი და იმავე სახის განწყობათა მრავალგზის რეალიზაციას გულისხმობს. მის ცხოვრებაში ადვილი აქვს ერთი და იმავე შინაარსის მქონე განწყობების აღმოცენება-რეალიზაციას. ამის გამო მას უფიქსირდება გარკვეული განწყობები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მსგავსი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გამეორების შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილად ხდება შესატყვისი განწყობისა და ქცევის აღმოცენება. ინდივიდის აქტიობაზე დაკვირვების დროს თვალში საცემი ხდება, თუ ძირითადად როგორი სახის გრძნობად-საგნობრივ შინაარსებზეა ორიენტირებული იგი, რა მანერებითა და თავისებურებებით ხასიათდება მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესები. ადამიანის შერჩევითი დამოკიდებულება საკმელ-სასმელისადმი, რაც, ჩვეულებრივ, გემოვნებაში მქლავდება, ადამიანის ფიქსირებულ დამოკიდებულებას გამოხატავს სასმელ-საკმელის მიმართ. ასეთივე ფიქსირებულ დამოკიდებულებათა სისტემა უყალიბდება ადამიანს თავის მოვლის დროს; მას უმუშავდება ჰიგიენის წესების დაცვის თავისებური ჩვევები. იგი იძენს ე. წ. ცოდნა-ჩვევათა სისტემებს, რომლებიც სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შინაარსსა და მანერას გამოხატავს. ამავე დროს მას უვითარდება რთული დიფერენცირებული დამოკიდებულება გრძნობად-საგნობრივი სინამდვილის მიმართ. ამის გამო ზოგიერთი საგნისა და მოვლენისადმი მას უმუშავდება ფიქსირებული დადებითი დამოკიდებულებანი, ზოგიერთი საგნებისა და მოვლენების მიმართ კი უარყო-

ფიქტიური, განრიდების ტენდენციები. ამგვარ საგნებთან ურთიერთობის დროს ის შესატყვისად სასიამოვნო ან უსიამოვნო ემოციურ განცდებსაც იღებს. ფიქსირებულ პრაქტიკულ განწყობათა სისტემის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადამიანის, როგორც ცოცხალი ინდივიდის, გარკვეული სისტემის შესახებ ლაპარაკი.

აღზრდის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა იმაშიც მდგომარეობს, რომ ადამიანს შევუძლებოთ დადებითი დამოკიდებულება მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებებისათვის საჭირო ობიექტების მიმართ და ვაუფიქსიროთ მათთან ურთიერთობისათვის საჭირო სწორი, სასარგებლო ცოდნა-ჩვევები. ამ ამოცანის შესრულება საჭირო ქცევების საფუძვლადმდებარე ცალკეულ განწყობათა ფიქსირებით და ამგვარ განწყობათა მთელი სისტემის ფორმირებით მიიღწევა.

2. 2. 3. თეორიული ძიების, უმეცნობის განუყოფლობა

როგორც აღნიშნული გვექონდა, ადამიანისაბოვის, სინამდვილისადმი პრაქტიკული დამოკიდებულების გარდა, შემეცნებითი კავშირიცაა დამახასიათებელი.

დ. უზნაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ადამიანის შემეცნებითი დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ მეორადია. იგი სინამდვილისადმი პრაქტიკული, სასიცოცხლო კავშირის საფუძველზე ნაწარმოები მოვლენაა. დ. უზნაძის აზრით, ადამიანის პირველადი და ძირითადი ურთიერთობა სინამდვილის მიმართ პრაქტიკულია. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკულ-სასიცოცხლო მოთხოვნილების მქონე არსებია. მაგრამ კოლექტიურ-სოციალურ ურთიერთობებში ცხოვრების გამო, მაშინ როდესაც ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდებოდა. მისი სინამდვილესთან პრაქტიკული ურთიერთობის საფუძველზე. ადამიანს გაუჩნდა სინამდვილის შემეცნების უნარი, რომლის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების გამოყენებით ის უკეთესად ეგუება სინამდვილეს. ამ ასპექტში უზნაძე ეყრდნობა მარქსისტულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სასიცოცხლო მოთხოვნილებების მქონე ინდივიდია და ამ მოთხოვნილებათა ბაზაზე, მის სამსახურში უყალიბდება თეორიული მოთხოვნილებანი და საერთოდ შემეცნებითი აქტიობა.

სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა შემეცნების მოთხოვნილება ადამიანის შემდგომი განვითარების პროცესში მისი ძირითადი და ვიტალური მოთხოვნილებებისაგან დამოუკიდებელ მოთხოვნილებად იქცა, მაგრამ მისი აღმოცენება და დაკმაყოფილება, ე. ი. შემეცნების პროცესების განხორციელება დღესაც ძირითადად პრაქტიკული ამოცანების მოგვარებასთან დაკავშირებით ხდება. როგორც უზნაძე აღნიშნავს, როცა ადამიანი ჩვეული საშუალებებით ვერ

ახერხებს პრაქტიკული ამოცანების შესრულებას (პრაქტიკული ქცევის განწყობათა დონეზე), სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იგი წყვეტს საქმიანობას და სინამდვილის საგანგებო გაცნობიერებას, ობიექტივაციას, სათანადო შემეცნებით აქტიობას ახორციელებს. შემეცნების მოთხოვნილების აქტივაცია სწორედ ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ხდება.

შემეცნების განწყობა ადამიანს შემეცნების მოთხოვნილებისა და გაურკვეველი, პრობლემური სიტუაციის ერთიანობის, თანხვედრის საფუძველზე უჩნდება. ამგვარი განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი ორიენტირებულია სინამდვილის ისეთ ზოგად ობიექტებზე, მიმართებით მხარეებზე, რომელთა წვდომის შემდეგ შესაძლებელი იქნება სიტუაციის პრობლემურობის მოხსნა და შემეცნების მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

შემეცნების მოთხოვნილების მრავალგზის დაკმაყოფილების საფუძველზე ადამიანს უყალიბდება გარკვეული დამოკიდებულება სააზროვნო საკითხების გარკვეულ სფეროთა მიმართ და, გარდა ამისა, ხდება ამოცანის გადაწყვეტის გარკვეული მანერების, სტრატეგიებისა და სტრუქტურების ფიქსაცია. ინტელექტუალური განვითარების გარკვეულ პროცესში ადამიანს უყალიბდება და უფიქსირდება კოორდინირების გარკვეული სისტემა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სინამდვილის მონაცემთა გაგება-შემეცნება. შემეცნების განწყობის საფუძველზე, რომელიც ადამიანს შემეცნების მოთხოვნილებისა და პრობლემური სიტუაციის მოცემულობის დროს უჩნდება, ადამიანი წყვეტს პრობლემურ ამოცანებს და მასში აზროვნების ფიქსირებულ საშუალებათა განწყობისეული გამოყენება ხდება. თეორიული ქცევის ყოველი ცალკეული განწყობა შემეცნების მოთხოვნილების, პრობლემური სიტუაციისა და აზროვნების სათანადო საშუალებათა ერთიანობის საფუძველზე იქმნება და ხორციელდება.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანს შემეცნების მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ კი არ უჩნდება, როდესაც მისი რომელიმე კონკრეტული ქცევა შეუსაბამობაში მოდის სიტუაციის დანარჩენ საგნებთან და მოვლენებთან, არამედ ყოველთვის, როდესაც ადგილი აქვს საერთოდ შეუთანხმებელი მონაცემების არსებობას მის ფსიქიკურ აქტიობასა და ცნობიერებაში. ადამიანს საზოგადოდ შემეცნების მოთხოვნილება უყალიბდება, როგორც ზოგადი ტენდენცია — მოხსნას შეუსაბამო, პრობლემური ურთიერთობა მოვლენებს შორის, შესატყვისობაში მოიყვანოს ყოველგვარი მონაცემები სინამდვილის შესახებ (ერთიანი ინტელექტუალური საკოორდინაციო სისტემის საფუძველზე). ამ გზით ადამიანი აგებს მთლიან, თანმიმდევრულ სურათს სინამდვილის შესახებ, რომელშიც სინამდვილიდან მიღებული ზეგავლენები იმდენად აღეკვა-

ტურადაა ორგანიზებული, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მისი პირადი და საზოგადოებრივი პრაქტიკა. იგი ზუსტად და ამომწურავად ვერასოდეს ასახავს სინამდვილეს, მაგრამ მისი მუდმივი სრულყოფის საჭიროება და მოთხოვნილება ადამიანს აიძულებს სულ უფრო მიუახლოვდეს და ადეკვატური სურათი შექმნას სინამდვილის შესახებ, რომელთანაც მას, როგორც პრაქტიკული და თეორიული მოთხოვნილებების მქონე არსებას, აქვს საქმე. ყოველი ცალკეული თეორიული ქცევის განწყობა უჩნდება ფიქსირებული ორიენტაციების ამგვარი მთლიანი სისტემის მქონე სუბიექტს. ამის გამო, თეორიული ქცევის ყოველი განწყობა და მის საფუძველზე განხორციელებული შემეცნებითი აქტიობა ადამიანის, როგორც სუბიექტის, მოთხოვნილებათა და სინამდვილისადმი შემეცნებითი ორიენტაციების თავისებურებებით არის გაპირობებული.

9. 2. 4. სოციალური განწყობა

ადამიანი სოციალურ გარემოში ცხოვრობს. სოციალური პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც ადამიანის სოციალიზაციის პროცესი. ამ პროცესში ადამიანს სოციალური ობიექტების მიმართ უყალიბდება დაახლოებით ისეთივე სახის დამოკიდებულებანი, რაც სოციალურ ჯგუფს აქვს ამ ობიექტების მიმართ. სოციალიზაციის ეს პროცესი რთული ფსიქოლოგიური შინაარსით ხასიათდება.

საზოგადოების გავლენა ცალკეულ ადამიანებზე მხოლოდ სტიქიური გზით არ ხდება. საზოგადოება, როგორც წესი, ქმნის გარკვეულ სოციალურ ინსტიტუტებს, რომელთა საშუალებითაც ის ორგანიზებულ და შეგნებულ აღმზრდელობით ღონისძიებებს მიმართავს. ამ გზით საზოგადოება ესწრაფვის და ძირითადად ახერხებს კიდევ ადამიანთა იმგვარ აღზრდას, რომ ისინი მის სოციალურ სტრუქტურას შეესატყვისებოდნენ. საზოგადოების სტიქიური და ორგანიზებული გავლენის საფუძველზე ინდივიდები პიროვნებებად იქცევიან და გარკვეულ ადგილს იკავებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოციალურ პიროვნებად ჩამოყალიბებული ადამიანი ძირითადი სოციალური ობიექტების მიმართ გარკვეული სახის დამოკიდებულებებით ხასიათდება. ასეთ ობიექტებს ოჯახი, სამშობლო, კულტურის ტრადიციები, კაცობრიობა, ფული, ეროვნება და სხვა ობიექტები წარმოადგენენ. პიროვნების გარკვეულ დამოკიდებულებებს ამ ობიექტების მიმართ, სოციალურ ფსიქოლოგიაში, ჩვეულებრივ, სოციალური ატიტუდების (Social attitudes) ცნებით აღნიშნავენ. ამ ცნებით აღინიშნება ადამიანის პიროვნების რეალური ფსიქიკური მდგომარეობა. ეს ცნება ქართულად შეიძლება სოციალური განწყობის სახით გვეთარგმნა, მაგ-

რამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ შეიძლება ავეუროთ სოციალური ქცევის განწყობასთან, რომელიც ადამიანს სოციალური ქცევის განზორციელების წინ ექმნება (როგორც აქტუალური ფსიქიკური მდგომარეობა) და რომლის საფუძველზეც იგი ახორციელებს სოციალურ ქცევას. სოციალური განწყობისა და სოციალური ატიტუდების ცნებებით ურთიერთისაგან განსხვავებული ფსიქიკური მდგომარეობანი აღინიშნება. ისინი ერთმანეთში არ უნდა იქნეს არეული. ატიტუდები ფიქსირებული სოციალური განწყობებია.

სოციალური ატიტუდები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური ობიექტების მიმართ პიროვნების გარკვეული სახის დამოკიდებულებებს წარმოადგენენ. ეს დამოკიდებულებანი გამოიხატება სოციალური ობიექტის ნეგატიური ან პოზიტიური შეფასებით. ამ ობიექტების ზემოქმედებას პიროვნება სასიამოვნოდ ან უსიამოვნოდ განიცდის და, გარდა ამისა, პიროვნებას მისდამი უჩნდება მიზიდულობის ან განრიდების რეაქციები. სოციალური ატიტუდები პიროვნების ზოგად ორიენტაციებს წარმოადგენენ სოციალური ობიექტების მიმართ და მათ შესახებ არა მხოლოდ ადამიანის ქცევაზე დაკვირვების გზით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია, არამედ თვითონ პიროვნების დამოკიდებულების გზითაც. ადამიანს თავისი სოციალური ატიტუდები უმეტესად გაცნობიერებული აქვს კიდევ. მან ასე თუ ისე იცის თავისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ თავისი სოციალური ჯგუფის, სამშობლოს, სხვა ეროვნების, ფულის, ტრადიციების და სხვათა მიმართ. სოციალური ატიტუდები ადამიანს უმუშავდება, ექმნება სოციალური ცხოვრების პროცესში, სოციალური ქცევების საფუძველზე, რომლებიც, თავის მხრივ, ყოველთვის ეყრდნობიან გარკვეულ სოციალურ განწყობას. ამიტომ სოციალური ატიტუდები საბოლოოდ შეიძლება აიხსნას სოციალურ განწყობათა კანონზომიერებების საფუძველზე.

სოციალური განწყობა, ისევე როგორც ყოველი სახის ქცევის განწყობა, გარკვეული შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება და, თავის მხრივ, საფუძველად ედება კონკრეტულ სოციალურ ქცევას.

სოციალური ქცევის განწყობათა აღმოცენებისათვის შინაგან ფაქტორად, ცხადია, ცოცხალი ინდივიდის სასიცოცხლო, ბიოლოგიური მოთხოვნილებანი არ გამოდგება. სოციალური ქცევის განწყობის შინაგანი ფაქტორების დადგენისათვის საჭირო ხდება ადამიანის, როგორც სოციალური პიროვნების, ბუნებრივ სოციალურ ურთიერთობებში განხილვა.

ადამიანი, როგორც სოციალური პიროვნება, მრავალფეროვან სოციალურ ურთიერთობებში ცხოვრობს, იგი არის წევრი ოჯახის, მეგობართა წრის, დაწესებულების, გარკვეული სოციალური კლასის, ქვეყ-

ნის, გარკვეული პარტიის და სხვა ორგანიზაციებისა. ყველა ამ სოციალურ გაერთიანებაში იგი გარკვეულ ადგილს იკავებს, გარკვეულ როლს ასრულებს. ყოველი როლი, რომელიც ადამიანს ეძლევა ამა თუ იმ ჯგუფში, გარკვეული სახით გამოხატავს მის პიროვნულ თავისებურებებს, მის უნარს, მისწრაფებებს და სხვა. ამავე დროს როლი, რომელსაც ადამიანი იღებს და, მაშასადამე, თანხმდება მის შესრულებაზე, ადამიანს გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს, რომლებიც მან უნდა დააკმაყოფილოს. ბავშვობაში ადამიანს, რასაკვირველია, გარედან თავს ახვევენ იმ როლებს, რომლებიც უნდა შეასრულოს. ოჯახში, მავალითად, ასეთია შვილის როლი, რომელსაც გარკვეული მოთხოვნები წაეყენება. თუ ბავშვს ძმა ან და ჰყავს, მას უხდება „უფროსი ძმის“ ან „უმცროსი ძმის“ როლის შესრულება. თუ ის გოგონაა, მაშინ „უფროსი დის“ ან „უმცროსი დის“ როლის შესრულება. ყოველი ეს როლი სხვადასხვა სახის მოთხოვნებს უყენებს ბავშვს და მის სხვადასხვა პიროვნული უნარისა და ძალების განვითარება-ჩამოყალიბებას იწვევს. როდესაც ბავშვი წამოიზრდება, მას მოწაფის როლის შესრულება უხდება; თანდათანობით ფართოვდება მისი სოციალური ურთიერთობათა სფერო. ის გარკვეულ ჯგუფებში ერთიანდება და მას უხდება ამხანაგის, გარკვეული ორგანიზაციების წევრის როლის შესრულება. მისი პიროვნების ჩამოყალიბებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესვლის პროცესში ფსიქოფიზიკური უნარისა და საზოგადოების სტრუქტურულ თავისებურებათა მიხედვით ადამიანს გარკვეული სოციალური როლების აღება და შესრულება უხდება. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, რომლებშიც ადამიანი ჩართული, მას გარკვეული პოზიციები უკავია და მისი სამსახური საზოგადოების მიმართ მასზე დაკისრებული როლების შესრულებით ხორციელდება. ამ გზით ახერხებენ ადამიანები საზოგადოებრივი მიზნების და ამოცანების შესრულებას, რომელთა აღმოცენება და დაკმაყოფილება, მართალია, ცალკეული ადამიანების მონაწილეობით ხორციელდება, მაგრამ თავისი კანონზომიერებით ხასიათდება. სოციალური პროცესები თავის ობიექტურ კანონზომიერებათა საფუძველზე ხორციელდება, მაგრამ ისინი ადამიანთა აქტიობის გარეშე არ მიმდინარეობს. ამ პროცესებში ადამიანები თავისი საკუთარი ინდივიდუალური, სუბიექტური და პიროვნული ინტერესებით არიან ჩართული. მათი დაკმაყოფილება რთული, ერთიანი და მთლიანი სოციალური პროცესის სახით ხორციელდება, რომელსაც თავისი ზოგადი კანონზომიერება აქვს. ამიტომ ფაქტიურად ყოველი ცალკეული პიროვნების რეალური აქტიობა საბოლოო ჯამში იმ სოციალურ კანონზომიერებათა მოქმედებითაც არის გაპირობებული, რომლის რეალიზაციაშიც მონაწილეობს.

თუ ადამიანის ფსიქოფიზიკური აქტიობის ამ რეალური მდგომარე-

ობიდან გამოვალთ, მაშინ იძულებული ვიქნებით, რომ მისი პიროვნების აქტიობაში ანგარიში გავუწიოთ იმ რეალურ ძალებსა და ფაქტორებს, რომლებიც მის ფსიქიკურ აქტიობაზე ახდენენ გავლენას. ეს სოციალური ძალები ადამიანის პიროვნებაზე ახდენენ გავლენას და საჭირო ხდება იმ ფსიქოლოგიური მექანიზმების გარკვევა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ამ ზემოქმედების შესატყვისი სახით მიღება დამის მიმართ მიზანშეწონილი, სწორი რეაქციები.

ამ საკითხის განხილვისას ფაქტიურად იმავე პრობლემების წინაშე ვდგებით, რომლის გადაჭრაც მოგვიხდა ადამიანის პრაქტიკული ხასიათის მიზანშეწონილი ქცევის საფუძველთა ანალიზისას. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, ცოცხალი ინდივიდის საგნობრივ სინამდვილესთან შეგუება ძირითადად მიზანშეწონილი განწყობისეული აქტიობის საფუძველზე ხდება. მიზანშეწონილი პრაქტიკული ქცევის განწყობა ადამიანს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების, მოთხოვნილებებისა და შესატყვისი გარემოს ერთიანი ზემოქმედების საფუძველზე უყალიბდება. ამ კანონზომიერების დადასტურების შემდეგ ნათელი ხდება, რომ ადამიანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მისი მოთხოვნილებები და ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი რეალური გარემო შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ერთიანი რეალური სინამდვილე, რომლის კომპონენტებს შორის გარკვეული წონასწორობა არსებობს. ამ წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში მისი აღდგენის პროცესი, ე. ი. ცოცხალი ორგანიზმის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილება, განწყობისეული აქტიობის საფუძველზე ხორციელდება.

იმავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ადამიანის, როგორც სოციალური პიროვნების განხილვის დროს. სოციალური სინამდვილის მთლიან სისტემაში ადამიანი ისევე არსებითად არის ჩართული, როგორც გრძნობად-საგნობრივ სინამდვილეში. ადამიანი როგორც სოციალური პიროვნება, სოციალური სინამდვილის არსებით კომპონენტებს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას მეტიც, სოციალურ სინამდვილესა და პიროვნებას შორის ურთიერთქმედება უფრო რთულია, ვიდრე ცოცხალი ინდივიდისა და მისი საგნობრივი სინამდვილის არსებული ურთიერთობა, სოციალური პიროვნების აქტიობის საკითხები სოციალურ სინამდვილესთან ურთიერთობის ფონზე უნდა გადაწყდეს.

ამ პრობლემების განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაიჭრას საკითხი: პიროვნების სოციალური ქცევის აღმოცენება მხოლოდ გარეგან, სოციალურ ფაქტორთა ზემოქმედებითაა გაპირობებული, თუ, როგორც ყოველგვარი ქცევა, სოციალურიც შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება?

ამ საკითხზე პასუხის ვაცემისათვის საჭიროა ორი ურთიერთისაგან დიფერენცირებული საკითხი განვიხილოთ.

გააჩნია თუ არა გარკვეული სახით ფორმირებულ სოციალურ პიროვნებას სოციალური ტენდენციები და მისწრაფებანი, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში უჩნდება ინდივიდს და რომელთა დაკმაყოფილებისთვისაც იგი აქტიობს? წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას აქვს სოციალური მისწრაფებანი, რომლებიც მისი სოციალური ქცევის შინაგან ფაქტორებს წარმოადგენს.

როგორც აღნიშნული იყო, ადამიანს სოციალურ გარემოში გარკვეული როლის შესრულება უხდება. ამ დროს იგი შესატყვისობაში მოდის იმ სოციალურ მოთხოვნებთან, რომლებსაც მას სოციალური გარემო უყენებს. როდესაც ადამიანი არ ასრულებს სოციალურ მოთხოვნებს, როდესაც არღვევს საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, მისი სოციალური აქტიობა არ შეესაბამება იმ მოლოდინებს, რომლებიც მისი როლის მიმართ არსებობს. ასეთ ვითარებაში ადამიანსა და სოციალურ გარემოს შორის აღგილი აქვს უწონასწორო, კონფლიქტურ ურთიერთობას. ადამიანს ტენდენცია უჩნდება თავიდან აიცილოს ეს კონფლიქტური, არაბუნებრივი, შემაწუხებელი მდგომარეობა. ამ დროს მას სწორედ ისეთი ქცევის ტენდენცია უჩნდება და ისეთ სოციალურ აქტიობას ახორციელებს, რომლებიც მისი სოციალური წონასწორობის აღდგენას განაპირობებს. თანამშრომელს, რომელმაც სამსახურში დაიგვიანა, ტენდენცია უჩნდება ინტენსიური მუშაობისა, რადგან ამ გზით ცდილობს იმ კონფლიქტური მდგომარეობის მოხსნას, რაც მის მიერ როლის შესრულების დარღვევით მოხდა. მაგალითად, მშობელს, თუ მან გააცნობიერა, რომ თურმე უსამართლოდ დაუსჯია ბავშვი, მოთხოვნილება უჩნდება მიუთითოს ბავშვს სხვა დანაშაულზე, აღმოუჩინოს მას სხვა მიუღებელი მოქმედებანი და დაარწმუნოს იმაში, რომ მას მაინც ეკუთვნოდა დასჯა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ასეთი რამ ვერ ხერხდება, მას ისეთი ქცევის ტენდენცია უჩნდება, რომელიც აღადგენდა წონასწორობის მდგომარეობას, ნორმალურ ურთიერთობას ბავშვთან. კონფლიქტური მდგომარეობის ლიკვიდაციას მშობელი ხშირად მოფერების, დაჯილდოებისა და სხვა მსგავსი საკომპენსაციო ქცევით ცდილობს.

სოციალური მოთხოვნების მკვეთრი დარღვევისას ადამიანი ზოგჯერ სინდისის ქენჯნას განიცდის და ისეთი ქცევის შესრულების ტენდენცია უჩნდება, რაც სოციალურ გარემოსთან მის კონფლიქტურ ურთიერთობას მოაწესრიგებდა. ზოგჯერ კი, როგორც აღრე აღვნიშნეთ, დაცვის მექანიზმების გამოყენებით სიტუაციის ისეთ რეორგანიზაციას ახდენს, ან თავის ქცევის მოტივს ისე გადაასხვადერებს, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კონფლიქტი მოგვარებული ჩანს.

ადამიანის აქტიობის ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მისი მრავალი ქცევა სოციალურ მისწრაფებათა საფუძველზე ჩნდება.

მის სოციალურ მისწრაფებათა ობიექტებს ისეთი ღირებულებანი წარმოადგენენ, როგორცაა სოციალური ჯგუფი, სამშობლო, ოჯახი, ქონება, ფული, ცოდნა, ხელოვნება და სხვა. ამ ღირებულებათა მოპოვების, შექმნის, მათზე ზრუნვის ტენდენცია ადამიანის სოციალური ქცევის შინაგანი ფაქტორებია.

თუ კარგად დავეუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ადამიანი, ერთი მხრივ, მატერიალურ სინამდვილესთან იმყოფება წონასწორობაში, რაც ვიტალურ, სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით ხორციელდება, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ სინამდვილესთან მოდის წონასწორობაში, რაც სოციალური მისწრაფებებისა და ტენდენციების დაკმაყოფილებით ხორციელდება. სოციალურ სინამდვილესთან წონასწორობის დამყარება უფრო რთულ კანონზომიერებათა რეალიზაციის საფუძველზე ხორციელდება. იგი ხშირად ამ სფეროთა შორის არსებული ურთიერთობის მოგვარებასაც გულისხმობს, რაც ინდივიდის სასიცოცხლო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ქცევათა და პიროვნების სოციალურ ქცევათა შორის კონფლიქტის სახით ვანიცდება. ამ დროს პიროვნება სპეციფიკური მექანიზმების გამოყენებით ამზადებს პირობებს გარკვეული, მისთვის მისაღები ქცევის სასარგებლოდ, რომლის უპირატესობას იგი ინტელექტუალურ პროცესთა საფუძველზე ადგენს. უპირატესობამინიჭებული ქცევის განხორციელებისათვის პიროვნება თვითონ ახდენს შინაგან და გარეგან ფაქტორთა ორგანიზირებას, რასაც შესატყვისი ქცევის განწყობის აღმოცენება მოსდევს.

სოციალური განწყობები, ისევე როგორც ყოველი სახის განწყობები, ფიქსირდება და ამგვარად იქმნება ფიქსირებულ სოციალურ განწყობათა სისტემა, რომელიც შესატყვის ვითარებაში აქტუალიზდება. ფიქსირებული სოციალური განწყობების სისტემას ატიტუდების სისტემა ეწოდება და ისინი ინტენსიურად შეისწავლებიან სოციალურ დისქილოგიაში. სოციალური ატიტუდები, განწყობის თეორიისაგან განსხვავებით, სხვა ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენლების მიერ განიხილება არა როგორც პირველად სოციალურ განწყობათა ფიქსაციის შედეგად მიღებული ორიენტაციები, არამედ როგორც სხვა ფსიქიკური პროცესებიდან ნაწარმოები რთული ფსიქიკური წარმონაქმნები.

სოციალური ფიქსირებული განწყობები ანუ სოციალური ატიტუდები სინამდვილეში სოციალურ განწყობათა ფიქსაციით და სხვა ფიქსირებულ განწყობათა სისტემაში შეტანით ყალიბდება. მათი ფიქსაციისა და მთლიანი სისტემის სახით ფორმირების კანონზომიერებებს შემდგომში კიდევ შევეხებით.

ადამიანის საქმიანობაში ყველა ფსიქოფიზიკური ძალა ერთნაირი ინტენსივობით როდი მონაწილეობს. დაძაბული მუშაობის დროსაც ადამიანის ზოგიერთი მისწრაფება მთელმარე მდგომარეობაშია. ამიტომ ზოგჯერ შრომის შემდეგ დაღლილობისას, როდესაც ადამიანი თითქოს უმოძრაობითა და უმოქმედობით უნდა ისვენებდეს, იგი დასვენების მიზნით სხვაგვარ აქტიობას მიმართავს. შრომის შემდეგ ადამიანებს ჰადრაციის, შაშის თამაშის, გასეირნების ან სხვა მოძრავი თამაშობების სურვილი უჩნდებათ. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ დასვენებაში მხოლოდ დახარჯული ძალების აღდგენა არ იგულისხმება. დასვენებისა და ორგანიზმის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭირო ხდება ზოგიერთი იმპულსის რეალიზაცია. დაძაბული გონებრივი მუშაობის შემდეგ ზოგჯერ ადამიანს „მოსწყურდება“ ხტომა, სირბილი, გასეირნება, ანდა „სურვილი მოუვლის“ ერთი-ორი ხელი ნარდი ან ჰადრაკი „წითათამაშოს“. ასეთი სურვილები, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ადამიანს იმის გამო უჩნდება, რომ მას თავისი ძალებისა და უნარის „ფუნქციების ტენდენციები“ აქვს.

ბავშვობის ასაკში ფუნქციების ტენდენციის საფუძველზე მკვეთრად გამოხატული ქცევის ფორმას თამაში წარმოადგენს. მოზარდი დაეინებით და ინტენსიურად იმიტომ კი არ თამაშობს, რომ ზედმეტი ენერჯისაგან თავისუფლდება; იგი მაშინაც თამაშობს, როცა საკმაოდ დაღლილია. მას თამაშისაკენ ისეთ უნართა ფუნქციების ტენდენციები უბიძგებს, რომლებიც ჩამოყალიბების პროცესშია და ჯერ ვერ მონაწილეობენ მის საქმიანობაში.

უზნაქმ შეიმუშავა თამაშის სპეციალური ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ფუნქციების ტენდენციის თეორიის სახით არის ცნობილი. ამ თეორიის საფუძველზე ნათელი გახდა, თუ რატომ წარმოადგენს ბავშვისათვის თამაში ქცევის ძირითად ფორმას და რატომ მიმართავენ მოზარდები თამაშის გარკვეულ სახეებს. ირკვევა, რომ ბავშვებს თამაშის განწყობა ექმნებათ იმ ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციების მოთხოვნილების საფუძველზე, რომლებიც მომწიფება-ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ ბავშვის ასაკობრივი გარემო ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას მათი გამოყენებისათვის და იმ სიტუაციის საფუძველზე, რომელსაც დიდები უქმნიან ბავშვებს, ცხოვრებისათვის ჯერჯერობით მოუმწიფებელი ბავშვის ფსიქოფიზიკური ძალები უკვე შეიცავენ ფუნქციების ტენდენციას. ფუნქციების მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის საფუძველზე ბავშვს თამაშის განწყობა უჩნდება. თუ უფროსები არ ჩაერევიან ამ განწყობის რეალიზაციაში, ბავშვს ხელს არაფერი უშლის, რომ დაეინწყებთ მიეცეს თამაშს. თამაში, გარდა იმი-

სა, რომ ბედნიერებას ანიჭებს მას, სერიოზულ ფუნქციას ასრულებს ბავშვის ცხოვრებაში, რადგან ამ პროცესში ხდება მისი შინაგანი ძალების თავისუფალი გაშლა-ამოქმედება, თამაშის პროცესში ხდება ბავშვის ფსიქოფიზიკური ძალების გავარჯიშება-განვითარება და მათი მომზადება ცხოვრებისათვის.

ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის განწყობა ადამიანს მხოლოდ ბავშვობის ასაკში არ უჩნდება. პიროვნების ყველა ფსიქოფიზიკური ძალა თანაბრად არ მონაწილეობს და არ ხორციელდება იმ ძირითადი საქმიანობის პროცესში, რომელსაც ადამიანი თავისი სოციალური მდგომარეობის მიხედვით ემსახურება. ფიზიკური, ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარი, რომელიც საკმაოდ ვერ იტვირთება ადამიანის ჩვეულებრივ სოციალურ საქმიანობაში, რეალიზაციას მოითხოვს. ადამიანს ტენდენცია უჩნდება რეალიზაციის საშუალება მისცეს ფიზიკურ, ინტელექტუალურ და შემოქმედებით ძალებს. ამ ძალების რეალიზაციას ადამიანი ახდენს ფიზიკური და ინტელექტუალური თამაშობებით, კინოფილმის ყურებით, მხატვრული ნაწარმოების კითხვით, მუსიკის მოსმენით, საუბრებითა და დისკუსიებით მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ და ა. შ. ამგვარი საქმიანობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადამიანის ფსიქოფიზიკურ ძალთა შინაგანი ორგანიზება, პარმონიულ მდგომარეობაში მოყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს ფსიქოფიზიკურ ძალთა შინაგანი კონფლიქტური მდგომარეობების აღმოცენებას. ადამიანები ასეთ დროს შინაგან დაძაბულობას, დაუკმაყოფილებლობას განიცდიან, თავისთავს უბედურად თვლიან, ცხოვრებაზე „აღრენილნი“ არიან და ამ მიზეზით შექმნილ უკმაყოფილების ფონზე ატარებენ თავის ცხოვრებას. ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, თუ როგორ განიცდება ადამიანის მიერ მისი ცხოვრება. ზოგისათვის პირადი მდგომარეობის მიუხედავად თვით ცხოვრებაა სიკეთე და მშვენიერება, ზოგისთვის კი ცალკეული ბედნიერი და სასიამოვნო მომენტისაგან დამოუკიდებლად ცხოვრება განიცდება ბოროტებისა და უსიამოვნების მომტან მძიმე პროცესად.

ამგვარ დამოკიდებულებათა შემუშავებაში ცხოვრების მიმართ დიდ როლს ასრულებს ადამიანის შინაგანი ფსიქოფიზიკური ძალების პარმონიული რეალიზაცია, რის საშუალებასაც გართობა, თამაშობანი და აქტიური დასვენება იძლევა. ადამიანთა გართობისა და აქტიური დასვენების ორგანიზება საზოგადოებრივ საქმეს წარმოადგენს, რადგან იგი დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა მდგომარეობაზე, მათ დამოკიდებულებაზე საზოგადოებასა და ცხოვრებასთან.

ფსიქოფიზიკურ ძალთა რეალიზაციის განწყობა ადამიანებს თავისი ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციობის მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციების ერთობლიობის საფუძველზე უჩნდება. ფსიქოფიზი-

კურ ძალთა ფუნქციონის მოთხოვნილება ადამიანების ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილებაა, როგორც სხვა ვიტალური მოთხოვნილებანი, მაგრამ სოციალურ ურთიერთობებში მყოფი ადამიანები ასეთ მოთხოვნილებებს განსაკუთრებით ინტენსიურად მაშინ ამუშავებენ, როდესაც სოციალური აქტიობის საშუალებით შეუძლებელი ხდება მათი დაკმაყოფილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადამიანები თავის ძირითად საქმიანობათა შემდეგ ახდენენ. ამგვარ განწყობათა ფიქსირების შედეგად ადამიანებს ექმნებათ ფიქსირებული განწყობის სისტემა, რომელიც განაპირობებს სამსახურის შემდეგ, ცხოვრებაში მცხი პიროვნული ყოფა-ცხოვრების სტილს, სახეს.

3. 2. 6. შინამშენებლის განწყობა

ადამიანის აქტიობის ტენდენცია ფსიქოფიზიკურ ძალთა ამოქმედებით არ ამოიწურება. მას აქვს აგრეთვე მისწრაფება გამოხატოს შინაგანი სამყარო, რომელიც მას საგნობრივ და სოციალურ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ჩამოუყალიბდა.

ადამიანის შინაგანი სამყაროს ფორმირება ურთულეს პროცესს წარმოადგენს. იგი ხორციელდება სინამდვილესთან შეგუების დროს გარემოსა და თავისთავის ასახვის ფონზე.

სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ადამიანი იკმაყოფილებს შრავალფეროვან მოთხოვნილებებსა და მისწრაფებას, ისახავს და ახორციელებს სანუკვარ მიზნებს, ქმნის და იბოვებს ღირებულებებს, რომელიც საზოგადოებას სჭირდება და მას, როგორც სოციალურ არსებას, აქვს მოთხოვნილება. ამ პროცესში ადამიანს უყალიბდება ფსიქოფიზიკური ძალები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას ასახოს სინამდვილე, შეეგუოს მას და გარდაქმნას იგი. ამ პროცესში ადამიანს ექმნება გარკვეული შეხედულება ბუნების, საზოგადოებისა და თავისთავის შესახებ, რაც მის შემდგომ აქტიობას უფრო მიზანშეწონილს, რთულს, დახვეწილსა და შინაარსიანს ხდის. თავის მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა დაკმაყოფილების პროცესში ადამიანი იღებს სიამოვნებას და უსიამოვნებას, აფექტურად განიცდის თავის წარმატებასა და მარცხს სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული აქტიობის დროს. მას უმუშავდება დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულება სინამდვილის მოვლენების მიმართ. იგი გამოიმუშავებს წარმატების მომტან ქცევის სტრატეგიებს. თავდაცვის მექანიზმების გამოყენებით ადამიანი მიზიდველ და წარმატაც ელფერს აძლევს იმ მოვლენებს, ღირებულებებსა და საკუთარ ქცევებს, რომლებიც წარმატებასთან არიან დაკავშირებული. მარცხის გამომწვევი მოვლენების მიმართ (იქნებთან ისინი ობიექტური საგნები, საკუთარი შეხედულებები თუ უნარები), ადამიანები იმუშა-

ვებენ უარყოფით დამოკიდებულებას, ახდენენ მათი მიმზიდველობისა და ღირებულების დაკნინებას.

სინამდვილისა და საკუთარი თავის მიმართ ამგვარი პოლარული დამოკიდებულების გამო ადამიანებს უმუშავდებოდათ წარმოდგენები „იდეალური სინამდვილისა“ და „იდეალური მეს“ შესახებ. ამგვარი ორიენტაციის საფუძველზე ადამიანები ცდილობენ გამოირიცხოთ თავისი გარემოდან და საკუთარი „მე“-დან ამ შეხედულებებისაღმი შეუსაბამო გამოვლინებანი. როდესაც ამგვარ მიუღებელ მოვლენათა განდევნა ვერ ხერხდება საკუთარი გარემოდან და „მე“-დან, ადამიანი ხშირად მათ „ფსიქოლოგიურ განდევნას“ ახდენს. ადამიანი მათგან ხშირად თავს იმით იცავს, რომ „ვერ ამჩნევს“ მათ.

პიროვნების შინაგანი სამყარო იმ შინაარსის ვარდა, რომელსაც მისი რეალურად მიღწევადი მიზნები და მისწრაფებანი ქმნიან, არარეალიზებული, იდეალური და განდევნილი, მიუღებელი შინაარსებისაგან შედგება. ისინი პიროვნების აქტიობის ცნობიერი და არაცნობიერი ტენდენციების ერთობლიობას ქმნიან. ეს პიროვნული შინაარსი ადამიანის ქცევის ტენდენციებს იმის გამო ქმნის, რომ ადამიანი, ფსიქოფიზიკური ძალების ფუნქციობის ტენდენციასთან ერთად, თავისი შინაგან სამყაროს რეალიზაციის ტენდენციით ხასიათდება. ადამიანის ერთერთი არსებითი თავისებურება ისაა, რომ მას თავისი შინაგანი სამყაროს (პიროვნულად ღირებული შინაარსის) გამოხატვის მოთხოვნილება გააჩნია. შინაგანი სამყაროს გამოხატვის საფუძველზე ადამიანი თავის ფსიქიკური სისტემის შემდგომ ორგანიზებას, რეპარმონიზაციას ახდენს. შინაგანი დაძაბულობა, კონფლიქტური დაჭიმულობა აძლევს ადამიანს შემოქმედების სტიმულს. ამ დროს ადამიანს მოთხოვნილება ექმნება მოახდინოს განდევნილი შინაარსის რეალიზება, თავისი შინაგანი „იდეალური სამყაროსა“ და „მე“-ს ექსტერიორიზება, ობიექტივირება, რაც შემოქმედებითი აქტიობის დასაბამს იძლევა.

შინაგანი სამყაროს გამოხატვის ტენდენცია, რომლითაც სოციალური ადამიანი ხასიათდება, საკუთარი შინაგანი მდგომარეობის უბრალოდ რეალიზაციის, გამოზრუნობის მოთხოვნილება არაა. იგი სოციალური ბუნების ტენდენციაა და მასში „სხვისთვის ჩვენების“, სხვისთვის გამოხატვის მისწრაფებაც იგულისხმება. ამიტომ თავისი შინაგან სამყაროს გამოხატვას ადამიანი ისეთი ფორმით ცდილობს, რომელიც გასაგები იქნება სხვისთვისაც. ვარდა ამისა, როგორც ცნობილია, ადამიანს თავისი შინაგანი სამყაროს გაგება მაშინ შეუძლია, თუ იგი „საერთოდ ადამიანისათვის გასაგები ფორმითაა მოცემული“. ამის გამო საკუთარი შინაგანი სამყაროს გაგება და გამოხატვა სპონტანურ აქტიობად ვერ ჩაითვლება. იგი დაძაბულ, რთულ აქტიობას წარმოადგენს და პიროვნების მთელი ძალების მობილიზებას და მოხმარებას თხოვლობს.

შემოქმედებითი აქტიობა ამგვარი შინაგანი იმპულსის საფუძველზე აღმოცენდება, მაგრამ დაძაბული შრომითი აქტიობის გარეშე ამ იმპულსის საფუძველზე შეუძლებელია სოციალური და მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნა. შემოქმედებითი განწყობის აღმოცენებისათვის ადამიანს აღნიშნულ შინაგან ფაქტორთა გარდა გარკვეული პირობები, შემოქმედებითი სიტუაცია სჭირდება. ამ შინაგან და გარეგან ფაქტორთა შეხვედრის საფუძველზე ადამიანს უყალიბდება შემოქმედებითი განწყობა, რომლის საფუძველზეც იგი იკმაყოფილებს შინაგან ტენდენციას — რეალიზაცია მოახდინოს საკუთარი შინაგანი სამყარო, გააოზიექტუროს იგი. ამ პროცესში ადამიანები ქმნიან სინამდვილის თავისებურ, უნიკალურ სურათებს, რომლებიც ადამიანებს საშუალებას აძლევენ დაინახონ და განიცადონ სამყარო ამოუწურავად, მრავალფეროვანი თვალთახედვითა და თვალსაზრისით. სინამდვილის სურათი, ხატი, რომელსაც ადამიანი ამ დროს იძლევა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისაგან, რასაც ადამიანი შემეცნების განწყობის საფუძველზე ქმნის.

შემეცნების განწყობა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ადამიანს მაშინ უჩნდება, როდესაც მისი ქცევა სინამდვილის სათანადოდ გაუთვალისწინებლობის გამო ფერხდება. ადამიანს ამ დროს სინამდვილის ასახვის მოთხოვნილება უჩნდება და სიტუაციის უფრო ადექვატურ შემეცნებას იწყებს. თეორიული განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი უკვალოდ გათქვეფილი აღარ არის თავის ქცევაში, იგი გამოდიფერენცირებული და დაპირისპირებულია სინამდვილესთან. სინამდვილე მან ისე უნდა ასახოს, როგორც ნამდვილად, თავისთავად არის. სინამდვილის შესახებ ადექვატური ცოდნა ადამიანს ეხმარება გარემოსადმი უკეთესად შეგუებაში. თეორიული განწყობის საფუძველზე აგებული ქცევის მიზანს სინამდვილის ობიექტური სურათის შექმნა წარმოადგენს. ადამიანის თეორიული ქცევა ძირითადად დამაკმაყოფილებლად ასრულებს ამოცანას.

შემოქმედების განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანის მიერ დახატული სინამდვილე ობიექტური გარემოს ასახვის ამოცანას უშუალოდ არ ემსახურება. ადამიანი ამ დროს არ უპირისპირდება მის მიერ გამოხატულ სინამდვილეს, როგორც ასახვის ობიექტს. პირიქით, ამ დროს ადამიანი თავის შინაგან სამყაროში გარდატეხილ სინამდვილეს, მის „მე“-სთან მიმართებაში მყოფი სამყაროს გამოხატვას ცდილობს, რომელშიც შენარჩუნებულია მისი პიროვნული დადებითი და უარყოფითი განწყობისეული დამოკიდებულება ამ სინამდვილესთან. შემოქმედებითი განწყობის საფუძველზე დახატული სურათი ობიექტივირებულია ადამიანის ფსიქიკური აქტიობიდან, მაგრამ ობიექტივაცია ამ სურათში „მე“-სა და სინამდვილის ურთიერთობას არ

უხედა, მათ არ აცალკევებს ერთმანეთისაგან. „მე“-სა და სინამდვილის პირველადი ფსიქოლოგიური მთლიანობა აქ შენარჩუნებულია, მასში „გაადამიანებული სინამდვილეა“ დახატული. თუ შემოქმედებითი განწყობის საფუძველზე მოქმედებისას ადამიანი სოციალურ მოთხოვნებსაც („საზოგადოების დაკვეთას“) ითვალისწინებს, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება გარკვეული ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნა.

შემოქმედების განწყობის საფუძველზე ადამიანმა დიდი მხატვრული და სოციალური ღირებულების მქონე ნაწარმოები რომ შექმნას, ამისათვის თავისი შინაგანი იმპულსების გარდა, შემოქმედებით აქტიობაში უნდა გაითვალისწინოს ის საზოგადოებრივი მოთხოვნებიც („სოციალური დაკვეთა“), რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ხელოვნების ნაწარმოები.

ყოველივე ამის გამო მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ სიღრმით ხდება იმ კანონზომიერებათა ასახვა, რითაც ხასიათდება სინამდვილე, ზოგადადადამიანური ბუნება, ის სოციალური ურთიერთობანი, რომელშიც შემოქმედი ცხოვრობს და წარმოადგენს მის ინდივიდუალურ-პიროვნულ სპეციფიკას.

შემოქმედების განწყობა სინამდვილის მიმართ ადამიანის მთლიან-პიროვნულ ორიენტაციას წარმოადგენს. იგი პიროვნების შინაგანი სამყაროს გამოხატვის, თვითრეალიზაციის ტენდენციას ეყრდნობა. ამ განწყობის საფუძველზე მოქმედების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა პიროვნების შინაგანი სინამდვილის პარმონიზებასა და განმტკიცებაში მდგომარეობს.



ამრიგად, განწყობის აღმოცენების საკითხთა განხილვის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ განწყობა ყოველთვის ქცევის შინაგან და გარეგან ფაქტორთა ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება. განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ქცევა სწორედ იმის გამო იქნეს მიზანშეწონილებას, რომ მასში გათვალისწინებულია როგორც ადამიანის საპიროვნური, ისე გარემოს თავისებურებანი.

განწყობები ერთმანეთისაგან შესაძლებელია განსხვავდეს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორების თავისებურებათა მიხედვით. შინაგან ფაქტორთა მიხედვით განწყობები შეიძლება დავყოთ ექსტეროგენულ და ინტეროგენულ ქცევის განწყობებად. ექსტეროგენული განწყობები საგნებსა და მოვლენებზე არსებული მოთხოვნილების, მათდამი მისწრაფების საფუძველზე იქმნება. ინტეროგენული ქცევის განწყობები კი ადამიანის შინაგანი ძალების ფუნქციონის, თვითაქტიობის მოთხოვნილებათა საფუძველზე ყალიბდება.

ინტეროგენული და ექსტეროგენული ქცევის განწყობები შესაძლებელია შემდგომ დიფერენცირებულ იქნენ ერთმანეთისაგან საგნობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ინტეროგენული ქცევის განწყობები შეიძლება დაიყოს პრაქტიკული, თეორიული და სოციალური ქცევის განწყობებად.

პრაქტიკული განწყობები სინამდვილის კონკრეტულ საგნებზეა ორიენტირებული და ადამიანის ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანას ემსახურება. ეს განწყობები ფიზიკურ გარემოში ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედებისა და ორიენტაციის საშუალებას იძლევა. კონკრეტულ-საგნობრივ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ადამიანს ექმნება პრაქტიკულ განწყობათა ფიქსირებული სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება ისეთ მოქმედებებს, რომლებიც პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებისა და ჩვეულებების სახით ხორციელდება.

თეორიული ქცევის ანუ შემეცირების განწყობები სინამდვილის ზოგად-აბსტრაქტულ ობიექტებზეა მიმართული. ისინი სუბიექტის შემეცნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. ეს განწყობები ადამიანის შემეცნებით პროცესებს მიზანშეწონილ მიმართულებას აძლევენ, მათ საჭირო მიმართულების დეტერმინირებას ახდენენ. ისინი ადამიანს საშუალებას აძლევენ განიხილონ სინამდვილე, როგორც საგანთა და მოვლენათა მცნარებების სისტემა. ამგვარ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ადამიანს ექმნება შემეცნების განწყობათა ფიქსირებული სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანის შემეცნების სტრატეგიებს და რომლის საფუძველზეც ხდება ადამიანის მთლიანი ცოდნის სისტემის ორგანიზება.

სოციალური ქცევის განწყობები სოციალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ისინი ადამიანის სოციალური ურთიერთქმედების მისწრაფებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან. სოციალური განწყობები სოციალურ ურთიერთობებში ადამიანს ადექვატური ჩართვის საშუალებას აძლევენ. მათი საშუალებით ადამიანი სოციალურ გარემოში სწორ ორიენტაციას ახდენს, თავის პიროვნულ საჭიროებებს უთანხმებს სოციალურ მოთხოვნებს და აქტიობას სოციალური გარემოსადმი მიზანშეწონილს ხდის. სოციალურ გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესში ადამიანს უყალიბდება სოციალური განწყობების ფიქსირებული სისტემა, რომელიც საფუძვლად ედება საზოგადოებრივი მოთხოვნებისადმი შესატყვის სოციალურ აქტიობას.

ექსტეროგენული განწყობები, საგნობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, შესაძლებელია დაიყოს ფსიქოფიზიკური ძალების რეალიზაციის განწყობად და პიროვნული სინამდვილის გამოხატვად, ანუ შემოქმედების განწყობად.

ფსიქოფიზიკური ძალების რეალიზაციის განწყობა შეგრძნებისა და

შემეცნების უნარის ფუნქციობაზეა ორიენტირებული. მათი საშუალებით ადამიანის ისეთი ძირითადი ფსიქოფიზიკური უნარის ფუნქციობის მოთხოვნილება კმაყოფილდება, რომლებიც სათანადო რეალიზაციას ვერ პოვენ ადამიანის პროფესიულ-სასიცოცხლო საქმიანობაში. ამ განწყობათა ფიქსირებული სისტემის საფუძველზე ადამიანი ერთობა, აქტიურად ისვენებს, თამაშობს, რაც მისი არასამუშაო პერიოდის უდიდეს ნაწილს ავსებს.

შემოქმედების განწყობა კი ადამიანის პიროვნული სინამდვილის გამოხატვაზეა ორიენტირებული. ადამიანის შინაგანი სინამდვილე იქმნება ობიექტური სამყაროს პიროვნულ მოთხოვნილებათა და ღირებულებათა შესატყვისად ვადამუშაოების შედეგად. ადამიანის შინაგან სამყაროში სინამდვილე პიროვნული თვალსაზრისით არის ინტერპრეტირებული. თუ შინაგანი სამყაროს გამოხატვას ადამიანი სოციალური გარემოს მოთხოვნის მიხედვით მოახდენს და მას ობიექტურად გასაგები ფორმით წარმოადგენს, სინამდვილის ამგვარად გამოხატულ სურათს შეიძლება მხატვრული და სოციალური ღირებულება აღმოაჩნდეს. მაშინ იგი ხელოვნების ნაწარმოებად იქცევა.

აღნიშნული სახის განწყობების მრავალი თავისებურების შესწავლა უნდა მოხდეს შემდგომი ექსპერიმენტული და თეორიული მუშაობის საფუძველზე.

9. 8. განწყობის ზოგადი თვისებები

9. 8. 1. განწყობის ფიქსირებულობა

ფსიქიკური აქტიობის განსხვავებული დონეების დახასიათებისას ნათლად დავინახეთ, რომ ისინი გარკვეული განწყობების საფუძველზე ხორციელდება. ადამიანის ფსიქიკური აქტიობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეულ განწყობათა აღმოცენებისა და რეალიზაციის უწყვეტი პროცესი, რომელიც მდგომარეობათა მიხედვით სხვადასხვა დონის ფსიქიკურ აქტიობას გულისხმობს.

მაგრამ ფსიქიკური აქტიობის ამ მდინარებაში თავს იჩენს ერთი თავისებურება, რომელიც ფსიქიკური აქტიობისათვის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავისებურება გარკვეულ განწყობათა ფიქსირებაში გამოიხატება. ჩვეულებრივ, რეალიზაციის შემდეგ განწყობა ადგილს უთმობს სხვა, მეორე განწყობას და წარსულის წიაღში თითქმის უკვალოდ იკარგება. მაგრამ ირკვევა, რომ ერთი და იმავე შინაარსის განწყობა მრავალჯერ რეალიზაციის დროს ფიქსირებას, გავარჯიშებას განიცდის. ფიქსირებული განწყობა ზოგჯერ დიდხანს რჩება აქტუალიზებულ მდგომარეობაში და შემდგომშიც ადვილად აღმოცენდება მსგავსი სიტუაციის მოქმედების დროს. ამ დებულებას კარგად

ასაბუთებს უზნაძის ექსპერიმენტული გამოკვლევები ფიქსირებული განწყობის შესახებ. ამ საკითხის საკვლევი მეთოდი განწყობის თავისებურებათა შესწავლის კლასიკურ მეთოდად გადაიქცა. ეს ექსპერიმენტი, როგორც ცნობილია, შემდეგში მდგომარეობს: ექსპერიმენტატორი თვალდახუჭულ ცდისპირს ორ სხვადასხვა სიდიდის ბურთს აწოდებს და სთხოვს შეადაროს ისინი ერთმანეთს ზომის მიხედვით. ამ ცდის თხუთნეტჯერ განმეორების შემდეგ ექსპერიმენტატორი ცდისპირს ტოლ ბურთებს აწოდებს და მათ შედარებას სთხოვს. ირკვევა, რომ თითქმის ყველა ცდისპირი ტოლ ბურთებს არატოლად განიცდის, რადგან, როგორც გამოირკვა, ამ ტოლ ბურთებს ის არატოლი ბურთების აღქმის გაფიქსირებული განწყობით აფასებს. ცდისპირები ტოლი ბურთების მრავალგზისი ილუზორული აღქმის შემდეგ ახერხებენ ტოლობის განწყობაზე გადასვლას, ბურთების ტოლად აღქმას. ამ ფაქტისა და სხვა ანალოგიური ფაქტების შემდეგ განწყობის ფსიქოლოგიაში მომენტალური განწყობის გვერდით აუცილებელი გახდა ფიქსირებულ განწყობაზე ლაპარაკი.

მომენტალური განწყობა აქტუალური მოთხოვნილებებისა და შესატყვისის სიტუაციის შეხვედრის საფუძველზე ჩნდება. ქცევის შესრულების პროცესში ეს განწყობა აქტუალურ მდგომარეობაშია, იგი ქცევას სათანადო ძალას და მიმართულებას აძლევს. ამ განწყობის რეალიზაცია სათანადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად ხდება. მომენტალური განწყობა რეალიზაციის შემდეგ აქტუალობას კარგავს და სხვა აქტუალურ განწყობას უთმობს ადგილს. მაგრამ, როგორც უზნაძის ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე გამოირკვა, ერთი და იმავე ქცევის მრავალგზისი განმეორების შემდეგ ხდება მისი საფუძველმდებარე მომენტალური განწყობის გაფიქსირება.

ფ. შ. შ. განწყობის აგზნებადობა

განწყობის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ფიქსირების პროცესში მკლავნდება და შესაძლებელია გაიზომოს, განწყობის აგზნებადობა წარმოადგენს.

განწყობისეულ ცდებში ზოგიერთ ადამიანს საკმარისია 2—3-ჯერ მივარდოთ არატოლი ბურთები, რომ სათანადო განწყობა გაუფიქსირდეს და კრიტიკულ ცდებში ტოლი წრეების ილუზორული აღქმა მოგვეცეს. ზოგიერთი ადამიანისათვის კი ასეთი განწყობის ფიქსირებისათვის 10—12 საგანწყობო ცდაა საჭირო. პირველ შემთხვევაში განწყობის აღვილად აგზნებად ადამიანებში ვვაქვს საქმე, მეორეში — ძნელად აგზნებადი განწყობის მქონე ადამიანებთან. აღმოჩნდა, რომ ადამიანები შეიძლება ერთმანეთთან შედარებულ იქნენ განწყობის აგზნებადობის

მიხედვით. არსებობენ ადვილად და ძნელად აგზნებადი განწყობის მქონე ადამიანები.

განწყობის აგზნებადობის დონის დადგენის საფუძველზე, როგორც გამოირკვა, შესაძლებელია ვილაპარაკოთ ადამიანის პიროვნულ თავისებურებათა შესახებ. წარსული გამოცდილების შენახვა და სათანადო ვითარებაში მიზანშეწონილად გამოყენება ფიქსირებული განწყობის საფუძველზე ხდება. ამიტომ რაც უფრო ადვილია ადამიანის განწყობის გაფიქსირება, რაც უფრო ადვილად აგზნებადია მისი განწყობა, საფიქრებელია, რომ უფრო ადვილად უნდა ხდებოდეს მის მიერ წარსული გამოცდილების შენახვა და, მაშასადამე, მისი გამოყენებაც.

ცნობილია, რომ წარსულ გამოცდილებას ადამიანი ფიქსირებული განწყობების სახით ინახავს, მაგრამ ეს განწყობები ერთმანეთისაგან იზოლირებული. განცალკევებული არაა. ადამიანის წარსული გამოცდილება ფიქსირებული განწყობის სისტემების სახითაც აქვს ჩამოყალიბებული. განწყობათა ამ სისტემების ჩამოყალიბების პროცესი მნიშვნელოვნად არის გაპირობებული მისი განწყობის აგზნებადობის თავისებურებით. ეს დებულება დადასტურდა პროფ. ე. ნორაკიძის ექსპერიმენტული გამოკვლევებით. განწყობის სხვა ძირითად თვისებებთან ერთად განწყობის აგზნებადობა პიროვნების ხასიათისა და ტემპერამენტის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი აღმოჩნდა¹.

როგორც ცნობილია, ადამიანის, როგორც პიროვნების სოციალურაქტიობა მისი სოციალური განწყობის სისტემების თავისებურებით არის გაპირობებული. ის მორალური შეხედულებები, სოციალური ღირებულებებისადმი ორიენტაციები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ ადამიანის კონკრეტული აქტუალურ-სოციალური განწყობის ჩამოყალიბებაში და, მაშასადამე, სოციალური ქცევის განხორციელებაში, ადამიანს ფიქსირებული განწყობის სისტემის სახითაც აქვს შემონახული. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს დ. უზნაძე, როდესაც სპეციფიკური ადამიანური ქცევის განხორციელების დროს მაღალ მოთხოვნილებებზე ლაპარაკობს, რომლებიც გარკვეული ქცევისადმი ფიქსირებულ განწყობების სახით აქვს პიროვნებას შემონახული: „რასაკვირველია აქ გადაწყვეტი მნიშვნელობა თვითთვის წარჩულს აქვს—იმ სიტუაციას, რომელშიც მისი ცხოვრება მიმდინარეობდა და რომელშიც იგი აღიზარდა, იმ შთაბეჭდილებებსა და გაცდებს, რომლებსაც განსაკუთრებული წონა ჰქონდათ მისთვის. უეჭველია, ყოველივე ამის გამო, თითოეულს თავისი განსხვავებული ფიქსირებული განწყობები

¹ ე. ნორაკიძე, პიროვნების ტემპერამენტი და ფიქსირებული განწყობა, 1963, თბილისი მისივე, პიროვნების ხასიათის ცვლილების დინამიკა ნორმალურ და პათოლოგიურ შემთხვევებში, თბილისი, 1961.

აქვს შექმნილი, რომელიც ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს და შესაფერის პირობებში და განსაზღვრული მიმართულებით მოქმედების მზაობას ედება საფუძვლად. ადამიანის პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან: ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგისათვის მოთხოვნისადაც ერთი ლისტემაა ენერჯის მთავარი წყარო და ზოგისათვის მეორე¹.

ადამიანის ის ფიქსირებული განწყობები, რომლებიც აგზნებადობის მაღალი დონით ხასიათდება, უფრო ადვილად გადადის აქტუალურ მდგომარეობაში; მათ გამოწვევას, აქტუალიზაციას მოვლენათა უფრო ფართო წრე ახდენს. განწყობის აგზნებადობის ხარისხის დადგენით შესაძლებელი ხდება ადამიანის პიროვნების მრავალ თავისებურებაზე ლაპარაკი.

მ. მ. მ. განწყობის მომხდომის ეფექტის სიღრმე

ფიქსირების პროცესში შესაძლებელი ხდება არა მარტო განწყობის აგზნებადობის ხარისხის დადგენა, არამედ განწყობის მოქმედების ეფექტის გაზომვაც. განწყობის მოქმედების ეფექტის გაზომვა სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. შესაძლებელია გარკვეული წესების გამოყენებით გაიზომოს სინამდვილის მოვლენათა ის არე, რომელზეც ვრცელდება ფიქსირებული განწყობის გავლენა. გარდა ამისა, შესაძლებელია გაიზომოს ფიქსირებული განწყობის ზემოქმედების ეფექტი ამა თუ იმ მოვლენის განცდაზე ან შეფასებაზე. როდესაც ადამიანს უფიქსირდება გარკვეული განწყობა, ამ დროს ფართოვდება მოვლენათა ის წრე, რომლებზეც ვრცელდება ფიქსირებული განწყობის მოქმედება. ეს მოვლენა კარგად ჩანს ზ. ხოჯავას ექსპერიმენტულ გამოკვლევებში². ზ. ხოჯავა თავის ცდისპირებს ტანისტოსკოპით აწოდებდა ორ არატოლ წრეს ალსაქმელად. საგანწყობო ცდების შემდეგ ცდის პირებს ტოლი წრეების მაგივრად კრიტიკულ ცდაში ტოლი სამკუთხედები, კვადრატები, რომები და სხვა ფიგურები ეძლეოდათ. აღმოჩნდა, რომ სათანადო ფიქსაციის შემდეგ არატოლი წრეების აღქმის განწყობას შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ ობიექტებთან ნაკლებად მსგავს ფიგურების აღქმაზე, რომლებზეც მოხდა განწყობის ფიქსირება. დ. უზნაძე ფიქსირებული განწყობის ამ თვისებას განწყობის გენერალიზაციის თვისებას უწოდებს³. რაც უფრო ფიქსირებულია მოცემული განწყობა, მით უფრო ადვილად

¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 172.

² ზ. ხოჯავა, ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში, თსუ შრომები, ტ. 17, გვ. 40—100.

³ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949, გვ. 32.

ვრცელდება მისი მოქმედება განსხვავებული შინაარსების მქონე ობიექტებზე, მით უფრო დიდია მისი მოქმედების ეფექტი.

აღსანიშნავია, რომ განწყობის მოქმედების ეფექტი ფიქსაციის კვალობაზე იზრდება როგორც მოვლენათა იმ წრის გაფართოების მიმართულებით, რომელზეც ხდება ფიქსირებული განწყობის გამოვლენა, ასევე ე. წ. კონტრასტული ილუზორული ეფექტის გაზრდის მიმართულებითაც.

როგორც ცნობილია, ფიქსირებული განწყობის მოქმედება ძალიან ხშირად კონტრასტულ-ილუზორული ეფექტის სახით ვლინდება. განწყობის კლასიკურ ცდებში მკვეთრად განსხვავებული არატოლი ბურთების აღქმის განწყობის ფიქსაციის შემდეგ, როდესაც ცდისპირებს ფიქსირებული განწყობისაგან აშკარად განსხვავებული ტოლი ბურთები ეძლევათ, როგორც ცნობილია, ცდისპირები ამ განწყობის საფუძველზე ვერ ახერხებენ შინაარსეულად მსგავს, მაგრამ სიდიდეების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ობიექტების ასიმილაციას. მაგალითად, მკვეთრად განსხვავებული დიდ-პატარა ბურთების აღქმის განწყობის საფუძველზე შეუძლებელი ხდება მისგან აშკარად განსხვავებული ტოლი ბურთების დიდ-პატარად აღქმა. მაგრამ ამ სიტუაციაში, როდესაც ვერ ხერხდება კრიტიკული ობიექტის ასიმილაცია, განწყობის მოქმედების ეფექტი უკვალოდ მაინც არ იკარგება. ცდისპირები ამ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებულ ობიექტებს კონტრასტულ-ილუზორულად, დიდ-პატარად აღიქვამენ. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ფიქსირებული განწყობა მოვლენათა იმ სფეროს ობიექტებზე, რომელზეც მას შეუძლია მოქმედება, ორგვარ ზეგავლენას ახდენს: იმ მოვლენებზე, რომლებიც შედარებით ახლო დგანან მასთან, ასიმილაციურ გავლენას ახდენენ. იმსგავსებენ მას, ხოლო იმ მოვლენებზე, რომლებიც შედარებით შორს არიან, განსხვავდებიან მისგან, კონტრასტულ გავლენას ახდენენ, განიმსგავსებენ მას. ფიქსირების წარისხის მიხედვით იზრდება არა მხოლოდ მოვლენათა ის სფერო, რომელზეც გავლენას ახდენს ფიქსირებული განწყობა, არამედ ფიქსირებული განწყობის კონტრასტულ-ილუზორული ეფექტის სიდიდეც. მაგალითად, საგანწყობო ცდებში მკვეთრად განსხვავებული ბურთების აღქმის შესატყვისი განწყობის 14—15-ჯერ განმეორებით გაფიქსირების შემდეგ ტოლი წრეები ბევრად უფრო მეტად კონტრასტულ-ილუზორულად აღიქმება, ვიდრე 5—6-ჯერ გაფიქსირების შემდეგ.

ჩვეულებრივ, როგორც ამას შემდეგ დავინახავთ, ფსიქოფიზიკურ ცდებშიც და სოციალური განწყობების შესწავლის დროსაც ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური და კონტრასტულ-ილუზორული ეფექტის სიდიდე განწყობის ძალის დასახასიათებლად არის გამოყენებული.

შერიფისა და ჰოვლენდის გამოკვლევაშიც ნათლად ჩანს ამ დებულების მართებულობა სოციალური განწყობების მიმართ¹. მაგალითად, ალკოჰოლისადმი დამოკიდებულების განწყობის კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება: რაც უფრო უკიდურესად ფიქსირებული დადებითი განწყობა აქვს ალკოჰოლისადმი ადამიანს, დადებითი დამოკიდებულების გამომხატველი შინაარსის, მათ უფრო ფართო სფეროს ასიმილაციას ახდენს იგი. ამავე დროს ყველა ის მსჯელობა, რომელიც ალკოჰოლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამს, მას კიდევ უფრო მიუღებელი და მკაცრი ეჩვენება, ვიდრე ის სინამდვილეშია.

განწყობის ასიმილაციური და კონტრასტული ილუზორული ეფექტის სიდიდე გამოხატავს განწყობის მოქმედების ძალას, რომელსაც განწყობა ძირითადად ფიქსირების პროცესში იძენს.

ბ. ბ. ბ. განწყობის სიმბოლო ანუ ჩივილი

განწყობის მოქმედების ეფექტის სიდიდე განსხვავდება განწყობის სიმბოლოსაგან, რიგიდობისაგან. განწყობის რიგიდობა ანუ სიმბოლო იმაში გამოიხატება, თუ რაოდენ დიდხანს ინარჩუნებს გარკვეული განწყობა მოქმედებას, რაოდენ დიდხანს ვერ ახერხებს ადამიანი გარკვეული ფიქსირებული განწყობის მოქმედებიდან გამოსვლას. ფიქსირების გამო, გარკვეული განწყობა შესაძლებელია დიდხანს გაბატონებულ, აქტუალურ მდგომარეობაში დარჩეს და ადამიანს გაუჭირდეს მოცემული სიტუაციისადმი შეგუება. ასეთ ვითარებაში ადამიანი გაფიქსირებული განწყობის საფუძველზე ინერციით განაგრძობს მოქმედებას და დიდხანს ვეღარ ახერხებს სიტუაციისადმი შესატყვისი განწყობის შემუშავებას. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე უზნაძის კლასიკურ ცდებში. ამ ექსპერიმენტის კრიტიკულ ცდებში ცდისპირები ტოლი ბურთების შეფასებას არატოლი ბურთების აღქმის განწყობით ახდენენ. რაც მათ საგანწყობო ცდებში გაუფიქსირდათ. ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება დახასიათდეს ცდისპირთა ფიქსირებული განწყობის სიმბოლო. იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერად განმტკიცდა ფიქსირების გამო არატოლი წრეების აღქმის განწყობა, იმდენად დიდხანს განაგრძობს ეს განწყობა შეუსაბამო ვითარების დროს აქტუალურ მდგომარეობაში ყოფნას და საფუძველად ედება რიგიდულ, შეუსაბამო მოქმედებას.

ადრე ჩვენ ფსიქიკური აქტიობის სამი დონე დავახასიათეთ, რომლებიც შესატყვისი დონეების განწყობათა მოქმედების საფუძველზე ხორ-

¹ Sherif M., Hovland C. Social Judgment: Assimilation and Contrast Effects in Communication and Attitude Change, N. Y., 1961.

ციელდება. ირკვევა, რომ სამივე დონის განწყობის ფიქსირებაა შესაძლებელი. შეიძლება ფიქსირებულ იქნეს პრაქტიკული, თეორიული და სოციალური განწყობები.

ექსპერიმენტული სიტუაციის სათანადო ორგანიზაციის საფუძველზე უზნაძემ ცხადყო, რომ შესაძლებელია გაფიქსირდეს პირველი დონის განწყობა. უზნაძე თავის ცდისპირებს ჰიპნოზურ მდგომარეობას უქმნიდა და უფიქსირებდა არატოლი წრეების აღქმის განწყობას¹. ჰიპნოზურ მდგომარეობაში ცდისპირებს გამოთიშული ჰქონდათ მეორე, ობიექტივაციის დონის ფსიქიკური აქტიობა. განწყობის ფიქსირების შემდეგ, ექსპერიმენტატორს ცდისპირები გამოჰყავდა ჰიპნოზური მდგომარეობიდან და მათ ტოლი ბურთების შედარებას ავალებდა. გამოირკვა, რომ შესაძლებელი ხდება არატოლი ბურთების აღქმის განწყობის გაფიქსირება ფსიქიკური აქტიობის პირველ დონეზე, სადაც ჭერ კიდევ არა აქვს ადგილი სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულებას. ამ ექსპერიმენტულ სიტუაციაში არ ხდება საგანთა ობიექტივაცია და მათთან ცნობიერი დამოკიდებულების დამყარება. ეს ექსპერიმენტული მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ შესაძლებელი ხდება პირველი დონის პრაქტიკული მოქმედების საფუძვლადმდებარე განწყობის ფიქსირება.

ამავე დებულებას ასაბუთებს ნ. ჰრელაშვილის² და ნ. ადამაშვილის³ გამოკვლევები, რომლებშიც განწყობის მეთოდის გამოყენებით ნაჩვენებია, რომ ფრინველებსა და ცხოველებში შესაძლებელია გაფიქსირდეს არატოლი ობიექტების აღქმის განწყობა, რომელიც შემდგომში გავლენას ახდენს ტოლი ობიექტის აღქმაზე. ფიქსირებული განწყობის მოქმედების საფუძველზე ფრინველები და ცხოველები ტოლ ობიექტებზე განწყობისეულად, კონტრასტულ-ილუზორულად აღიქვამენ.

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დამტკიცდა, რომ შესაძლებელია ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შემუშავებული განწყობის ფიქსირება. ამ საკითხისადრე მიძღვნილ პროფ. რ. ნათაძის სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ობიექტივაციის დონეზე წარმოსახული ობიექტის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გარკვეული განწყობის ფიქსაცია, რომელსაც შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს რეალური ობიექტების აღქმაზე.

პროფ. რ. ნათაძე თავის ცდისპირებს ავალებდა წარმოესახათ დიდ--

¹ დ. უზნაძე, ჰოსტ-ჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის, ფუნქც. ნერვ. დაავად. ინსტ. შრ., ტ. 1, 1936.

² ნ. ჰრელაშვილი, განწყობის ილუზიები ქათმებთან, „ფსიქოლოგია“, ტ. IV, 1947, გვ. 245—260.

³ ნ. ადამაშვილი, დაბალი მიმუნების ფიქსირებული განწყობა, „ფსიქოლოგია“, ტ. V, 1948, გვ. 149—182.

პატარა სიდიდის ბურთები. დიდ-პატარა სიდიდის ბურთების მრავალ-გზისი წარმოსახვის აქტის შემდეგ ცდისპირებს კრიტიკულ ცდაში შესა-დარებელი ტოლი სიდიდის რეალური ბურთები ეძლეოდათ. ექსპერა-მენტის შედეგებიდან ირკვევა, რომ „წარმოსახვის საფუძველზე ფიქსი-რებული განწყობის შემუშავება ექსპერიმენტულად დადგენილ ფაქტს წარმოადგენს“¹.

პროფ. რ. ნათაძის მიერ, ექსპერიმენტების სხვადასხვა ვარიანტის სა-ფუძველზე ნაჩვენები იქნა, რომ ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე შესაძლებელია შემუშავებულ და ფიქსირებულ იქნეს გარკვეული გან-წყობა, რომელიც, მრავალი სპეციფიკურობის მიუხედავად, განწყობის ზოგადი და ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება.

ფსიქიკური აქტიობის ასევე მეორე დონეზე აღმოცენებული განწყო-ბის ფიქსაციის თავისებურებების შესწავლას ახდენს ლაჩინსი თავის გა-მოკვლევებში².

ლაჩინსი თავის ცდისპირებს გარკვეული საზროვნო ამოცანების გა-დაწყვეტას სთხოვდა. ცდისპირებს რამდენიმე სხვადასხვა ზომის კურკ-ლის გამოყენებით ერთ-ერთ კურკელში უნდა ჩაესხათ გარკვეული რა-ოდენობის წყალი. აღნიშნული ამოცანები ისეა შედგენილი, რომ ცდის-პირისაგან ამოცანის გადაწყვეტის ერთი გარკვეული წესის გამოყენებას მოითხოვს. ამოცანების სერიაში, რომლებიც ერთი გარკვეული წესით წყდება, შერეულია ისეთებიც, რომლებიც ბევრად უფრო მარტივად შეიძლება გადაწყდეს, ვიდრე იმ წესით, რომლითაც ცდისპირებს უხ-დებოდათ ამოცანების გადაწყვეტა. ექსპერიმენტში აღმოჩნდა, რომ ცდისპირები, იმის გამო, რომ ამოცანებს აღრე უფრო რთული წესით წყვეტდნენ, ახლაც უფრო მარტივ სიტუაციაში განაგრძობენ ამოცანის რთული წესით გადაწყვეტას და ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ, რომ ამო-ცანა ბევრად უფრო მარტივი წესით შეიძლება ამოიხსნას. ლაჩინსი დამატებითი ცდებით უჩვენებს, რომ ის ცდისპირები, რომლებსაც წი-ნასწარ არ შეუმუშავეს რთული წესით ამოცანის გადაწყვეტის განწყო-ბა, მარტივ ამოცანებს მარტივი წესით წყვეტენ. ლაჩინსი უჩვენებს, რომ მის ცდებში ცდისპირებს ფსიქიკური აქტიობის მეორე დონეზე, აზ-როვნების პროცესში უფიქსირდებათ გარკვეული მიმართულებით მოქ-მედების განწყობა, რომლის სიმტკიცისა და რიგიდობის გამო ხშირად შეუძლებელი ხდება ამოცანის უფრო მიზანშეწონილი ამოხსნის წესის მოგონება და გამოყენება. ასეც შემთხვევაში, ცდისპირები ფაქტიურად

¹ რ. ნათაძე, წარმოსახვის განმარტობელი მოქმედება, თბილისი, 1958 წ. გვ. 185.

² Luchins A. S., Luchins E. H., Rigidity of Behavior. A va-riational approach to the effect of einstellung. Eugen, Oregon. University of Oregon. Books, 1959, XXV, p. 623,

ერთხანს ველარ ახერხებენ აქტიობას, ადეკვატური განწყობის შემუშავებას და ფიქსირებული განწყობის ტყვეობაში რჩებიან.

ჩვენ შემდგომში განწყობის კანონზომიერებათა განხილვასთან დაკავშირებით შესაძლებლობა გვექნება ვუჩვენოთ, რომ შესაძლებელია ხდება ფსიქიკური აქტიობის მესამე დონეზე აღმოცენებულ განწყობათა ფიქსაცია.

შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია ყოველი დონის განწყობის ფიქსირება, რომლის გამოც ეს ფიქსირებული განწყობა იძენს აქტუალური არსებობის ტენდენციას, სიმტკიცეს და გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე.

განწყობის ფიქსირების ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე ქართველმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს ფიქსირებული განწყობის ჩამოყალიბებისა და აღკვეთის კანონზომიერებათა მთელი რიგი. ფიქსირებული განწყობის აგზნებადობის, მისი ეფექტის სიდიდისა და ჩაქრობის თვალსაზრისით დადგენილი კანონზომიერებანი საშუალებას იძლევა შესწავლილ და ახსნილ იქნეს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის მრავალი თავისებურება, რადგან სწორედ განწყობის ეს კანონზომიერებანი იმყოფება კარულაციაში და განსაზღვრავს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის თავისებურებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში ხშირად არ ხდება მომენტალური და ფიქსირებული განწყობების ურთიერთისაგან დიფერენცირება. განწყობის შესახებ მსჯელობისას უმეტესად ფიქსირებულ განწყობას გულისხმობენ და მომენტალური განწყობის ცნების უგულვებელყოფას ახდენენ. ზოგიერთი ფსიქოლოგი აშკარად იბრძვის პირველადი მომენტალური განწყობის ცნების წინააღმდეგ და ცდილობს იგი დაახასიათოს, როგორც უფრო ძირითად ფსიქიკურ პროცესთა საფუძველზე ნაწარმოები ფენომენი. ასეთი თვალსაზრისის მიღების შემდეგ შეუძლებელი ხდება ფსიქიკურ პროცესთა განხილვა ერთიანი ფსიქოლოგიური მექანიზმების საფუძველზე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს თვალსაზრისი თანდათან კარგავს მომხრეებს. უზნადის განწყობის თეორია, როგორც მოძღვრება ფსიქიკური აქტიობის ძირითადი კანონზომიერების შესახებ, სერიოზული ღირებულებების მქონე ექსპერიმენტული და თეორიული შედეგების მოპოვების გამო, სულ უფრო მეტ გავრცელებას და აღიარებას პოუვს.

მ. მ. მ. ბანუშვილის ფიქსირება-ფიქსირებადობა, როგორც მისი უინაგანი ბაქათალური ნიშანი

ექსპერიმენტულ სიტუაციაში განწყობის ფიქსირების დროს საგანწყობო ცდები, როგორც დ. უზნაძე ამტკიცებს, ყოველთვის არ ჩაითვლება განწყობის ფიქსაციის ცდებად. ასეთი ცდები ხშირად განწყობის

ფიქსაციას კი არ ემსახურება, არამედ მის გარკვევას, დიფერენციაციას ახდენს. აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ საგანწყობო ობიექტების ექსპოზიციის დროს ადგილი აქვს განწყობისეული მთლიანი დიფუზური მდგომარეობის განაწივრებას, დიფერენცირებას, რის საფუძველზეც ადამიანის ეს დიფუზური მდგომარეობა გარკვეული, დიფერენცირებული განწყობის სახით ყალიბდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით უზნაძე წერს: „...ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისი პირველი ჩასახვისას, განწყობა ჩვეულებრივ, შედარებით ჯერ კიდევ არადიფერენცირებული, არა ინდივიდუალიზირებული მდგომარეობაა. და აი, იმისათვის, რომ იგი დიფერენცირდეს, როგორც განსაზღვრული, ამ პირობებისათვის ადეკვატური განწყობა. შესაფერაისი გამღიზიანებლების განმეორებითი მიწოდება ხდება აუცილებელი. ამ შემთხვევაში საგანწყობო ცდების განმეორებას სრულიად გარკვეული, საფიქსაციოსაგან განსხვავებული მიზანი ესაბება, სახელდობრ, არა ფიქსაცია განწყობისა არამედ ჯერმხოლოდ მისი დიფერენციაცია“¹.

ამ თვალსაზრისით შესაძლებელი ხდება მსჯელობა ორგვარი განწყობის — დიფუზური და დიფერენცირებული განწყობის შესახებ. დიფუზური განწყობა ადამიანს მაშინ გააჩნია, როდესაც ის უცნობ სიტუაციაში პირველად აბორციელებს გარკვეული სახის ქცევას. სრულიად ახალი, უცნობი ობიექტის მოქმედება ადამიანში ხშირად სრულიად გაურკვეველ დიფუზურ განწყობისეულ ეფექტს იწვევს. ამიტომ ადამიანი დასაწყისშივე ხშირად ვერ ახდენს ასეთი განწყობის საფუძველზე საგნის გარკვეული სახით კატეგორიზებას, ზუსტ დიფერენციაციას. მაგალითად, როდესაც ცდისპირებს ტაქტილტოსკოპურად, მცირე ექსპოზიციით აწვდიან სურათს აღსაქმელად, მან შეიძლება ის აღიქვას, როგორც „რალაც ცხოველის მსგავსი ფიგურა“. შემდგომი ექსპოზიციების მანძილზე შესაძლებელია იმ განწყობის დიფერენცირება, რომლითაც უნდა მოხდეს სურათის აღქმა შესაძლოა მრავალგზისი განმეორების შემდეგ მაინც ვერ მოხერხდეს შესატყვისი განწყობის დიფერენცირება. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს შესაძლებელია ჰქონდეს როგორც დიფუზური მომენტალური განწყობა, ასევე მრავალგზისი რეალიზებული და განმეორებული დიფუზური განწყობა.

განწყობის დიფუზურობა-დიფერენცირების თვალსაზრისით გარჩევა-დახასიათებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ფსიქოლოგიაში, რადგან სოციალურ-ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებიც ადამიანს ფიქსირებულ განწყობათა სახით აქვს მოცემულა,

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. 6, 1949, გვ. 54.

ხშირად დიფერენცირებული და ნათლად კატეგორიზებული არაა. ადამიანებს ხშირად აქვთ დიფუზური, არასისტემატიზებული და გამოუკვეთავი განწყობისეული სოციალური ღირებულებებითი ორიენტაციები, რომლებიც საფუძვლად ედება მის სოციალურ ქცევას. ადამიანთა სოციალური ადაპტაციის თავისებურებათა გაგების, პიროვნების სოციალიზაციის შემდგომი ფორმირების გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება განწყობის დიფერენციაციის კანონზომიერებათა გარკვევას. დიფუზურობა-დიფერენციაციის ნიშანი განწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვალიტატურ თვისებას წარმოადგენს, რომლითაც მისი შინაგანი გარკვეულობის დონე განისაზღვრა.

განწყობის დიფუზურობა-დიფერენცირების ნიშანი მისი შინაარსეული მხარის მახასიათებელს წარმოადგენს. სოციალური განწყობების შემდგომი დიფერენციაცია, ჩვეულებრივ, ცნობიერების დახმარებით ხორციელდება.

ბ. ზ. ც. განწყობის ბიოლოგიური ხასიათი

განწყობა, რომლითაც ადამიანი დამოკიდებულებას ამყარებს სინამდვილესთან, ორგვარი ზოგადშინაარსობრივი ნიშნით შეიძლება დახასიათდეს.

ადამიანი ფსიქიკური აქტიობის პროცესში იმ ობიექტების მიმართ, რომელთანაც ის ამყარებს ურთიერთობას, დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს. ეს დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება სამოქმედო სიტუაციის მიმართ, რომელიც ადამიანს უჩნდება, განსაზღვრულია იმ განწყობით, რომლის საფუძველზეც იგი მოქმედებს. გარკვეული აქტიობის განწყობა, რომელიც ადამიანს ექმნება სინამდვილის მიმართ, თვითონ შეიცავს შეწყენარებით ან უკუგდებით დამოკიდებულებას თავისი სიტუაციის მიმართ.

განწყობის საფუძველზე, როგორც ეს ადრეც აღვნიშნეთ, ცოცხალი ინდივიდი ფსიქიკური აქტიობის პირველსავე დონეზე შერჩევით, სელექციურ დამოკიდებულებას იჩენს სინამდვილის ზემოქმედების მიმართ. როგორც ვიცით, ყოველი საგნის ზემოქმედება არ ხდება მისი ფსიქიკური აქტიობის სტიმული. ინდივიდის ქცევას ისეთი საგნები აღძრავენ, რომლებიც გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფება მის მოთხოვნილებებთან. ის საგნები, რომლებიც ამ თვალსაზრისით ღირებულებას მოკლებულია ინდივიდისათვის, როგორც წესი, შეუმჩნეველი რჩება, მათდამი ინდივიდი ინდიფერენტულ მდგომარეობაში იმყოფება. ასეთი საგნები ინდივიდისათვის, როგორც ქცევის აღმძვრელი სტიმულები, არც არსებობენ. მაგრამ სინამდვილიდან შერჩეულ, სიტუაციის სახით გამოყოფილ სტიმულებს ინდივიდისათვის სრულიად სხვადა-

სხვაგვარი ღირებულება აქვთ. ზოგიერთი სახის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგალითად, კვების, გამრავლებისა და სხვა, შესატყვისი საგნის მოპოვებით არის შესაძლებელი; ზოგი სახის თვითდაცვის მოთხოვნებანი მაენე საგნების ზემოქმედების თავიდან აცილების, საშიში სიტუაციებიდან განრიდების გზით არის შესაძლებელი. თუ ზოგი მოთხოვნილება გარკვეული საგნებისაგან განრიდებით კმაყოფილდება, ზოგიერთის დაკმაყოფილება, პირიქით, გარკვეული საგნების მოპოვებით, დაუფლებით არის შესაძლებელი. ამიტომ ამგვარი მოთხოვნებებისა და მათი შესატყვისი საგნების შეხვედრის საფუძველზე აღმოცენებული განწყობებით სხვადასხვა მიმართულების ქცევა ხორციელდება. ზოგიერთი განწყობის საფუძველზე გარკვეული საგნებისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომხატველი ფსიქიკური აქტიობა ხორციელდება, ზოგიერთზე კი გარკვეული საგნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი ქცევა. განწყობის ეს ზოგადშინაარსობრივი მომენტი, რომლის მიხედვითაც ინდივიდი განხსავებულ დამოკიდებულებას ამყარებს სინამდვილის საგნების მიმართ, განწყობის მნიშვნელოვან ქვალიტატურ ნიშანს წარმოადგენს. ამ გზით ხდება ინდივიდის მიერ სინამდვილის უმარტივესი და პირველადი ფსიქოლოგიური კლასიფიკაცირება. მოცემული სინამდვილე ინდივიდისათვის დადებით და უარყოფით მოვლენებად წგუფდება, რომელთა მიმართ მას ექმნება შეწყყნარებისა და უკუგდების დამოკიდებულება.

განწყობის ეს პოლარული ზოგადშინაარსობრივი ნიშანი აქტიობის პირველი დონის განწყობისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგრამ განწყობის ამ ქვალიტატურ თვისებას, მოვლენებისადმი შეწყყნარებით-უკუგდებით დამოკიდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქტიობის მესამე დონის ფიქსირებული სოციალური განწყობების დახასიათებისათვის განწყობის ამ ნიშნის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების თავისებურებათა გაგებისათვის. პიროვნების, როგორც სოციალური არსების, დახასიათებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სახის დამოკიდებულება, როგორი განწყობები აქვს მას ძირითად სოციალურ ობიექტთა მიმართ. დადებითად თუ უარყოფითად აფასებს პიროვნება ძირითად სოციალურ ღირებულებებს?! შეწყყნარების დამოკიდებულება აქვს მას, თუ უკუგდებისა იმ ღირებულების მიმართ, რომლებიც არსებით როლს თამაშობს მის სოციალურ გარემოში? ესაა ის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ადამიანის სოციალური პროფილის, პიროვნული სახის დახასიათება. იწყნარებს ადამიანი სოციალურ გარემოში ღირებულებებს, თუ უკუაგდებს და კონფლიქტში მოდის გაბატონებულ სოციალურ შეხედულებებთან? ადამიანის კონფლიქტური და კონფორმისტული ტენდენციები სოციალურად მიღებული შეხედულებების მი-

მართ შეიძლება დადებით ან უარყოფით განწყობისეულ დამოკიდებულ-
ლებათა საფუძველზე გაირკვეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა იმ კანონზომიერებათა
შესწავლას, რომლის მიხედვითაც ხდება ადამიანის სოციალური განწყობების
შეცვლა მიღება-უკუგდების ნიშნის მიხედვით. ჰეიდერის, ოზ-
გულის, ტანენბაუმის, ფესტინჯერის, ჰოვლენდის, შერიფისა და სხვათა
გამოკვლევების საფუძველზე, რომლებსაც ჩვენ შემდგომში საგანგებოდ
განვიხილავთ, ცნობილი გახდა გარკვეულ მოვლენათა მიმართ განწყობის
შეცვლის ზოგიერთი კანონზომიერებანი სწორედ შეწყნარება-
უკუგდების განზომილების თვალსაზრისით. პიროვნების სოციალური
განწყობების შეცვლის ამ კანონზომიერებათა გათვალისწინების სა-
ფუძველზე შესაძლებელი ხდება ადამიანთა სოციალური ურთიერთობის
სხვადასხვა ასპექტების რეგულაცია.

ადამიანს ისეთი სოციალური მოვლენების მიმართ, როგორებიცაა
ალკოჰოლიზმი, რელიგია, სამშობლო, კინო, ჰუმანიტარული მეცნიერე-
ბანი, საზოგადოებაში ქალის ადგილი და ა. შ., სხვადასხვაგვარი განწყობები
აქვს. ადამიანს, მაგალითად, კინოს მიმართ შესაძლებელია ძალიან
დადებითი ან ძალიან უარყოფითი განწყობა ჰქონდეს. მაგრამ ასეთი
უკიდურესი შეწყნარების ან უკუგდების გარდა, მას შეიძლება შეწყნარების
ან უკუგდების სხვადასხვა ხარისხის განწყობა გააჩნდეს.

ტურსტონის ზიერ დამუშავებული განწყობის სკალის საფუძველზე
შესაძლებელი ხდება განწყობის შეწყნარება-უკუგდების ხარისხების
გაზომვა¹. ასეთი ტიპის სკალის საშუალებით, შესაძლებელია გაირკვეს
ადამიანის განწყობა კინოს მიმართ. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა,
საჭირო იქნება კინოსადმი განწყობის სკალის შედგენა.

ამგვარი სკალის შექმნისათვის საჭირო მუშაობა რამდენიმე ეტაპისა-
გან შედგება. პირველ ეტაპზე საჭიროა მოიძებნოს რამდენიმე ასეთი
დებულეობა, რომლებშიც გამოთქმული იქნება კინოსადმი შეფასებითი
დამოკიდებულება. ასეთი დებულეობების დაგროვებისათვის შესაძლებელია
მიემართოს ადამიანთა გამოკითხვას, ანდა ამოვწეროთ ისინი
წიგნებიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან. ასეთი დებულეობების დაგროვების
შემდეგ საჭირო ხდება მათი კლასიფიკირება იმის მიხედვით, თუ
რამდენად დადებითი ან უარყოფითი აზრია მათში გამოთქმული კინოს
შესახებ. ასეთი კლასიფიკაციისათვის უნდა გამოიყენოთ ცდისპირთა
დიდი ჯგუფი, რომელთაც, შესაძლებელია, ექსპერტები ვუწოდოთ.
ექსპერტებს ეძლევათ ამოცანა დაალაგონ ეს დებულეობები, რომლებიც
ცალკეულ ბარათებზე გვაქვს დაწერილი თერთმეტ ჯგუფად. პირველ

¹ Thurstone L. Chave E. The measurement of attitudes, Chicago, 1929.

ჩვეულებაში შეტანილი უნდა იყოს ის დებულებები, რომლებშიც უკიდურესად უარყოფითი აზრებია გამოთქმული კინოს შესახებ. მეთერთმეტე ჩვეულება კი ისეთი დებულებები უნდა გაერთიანდნენ, რომლებშიც უკიდურესად დადებითი დამოკიდებულებაა გამოთქმული კინოს მიმართ. მეექვსე ჩვეულებაში, რომელიც შუაში მდებარეობს, ისეთი დებულებები უნდა გაერთიანდეს, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავენ კინოს მიმართ. პირველიდან მეექვსემდე და მეექვსედან მეთერთმეტე ჩვეულებამდე უნდა განლაგდეს დებულებები, რომლებშიც გამოხატულია დამოკიდებულებათა სხვადასხვა გრადაციები. ეს გრადაციები ასეც შეიძლება დახასიათდეს: 1. უკიდურესად უარყოფითი, 2. ძალიან უარყოფითი, 3. უარყოფითი, 4. საშუალოდ უარყოფითი, 5. ოდნავ უარყოფითი, 6. ნეიტრალური, 7. ოდნავ დადებითი, 8. საშუალოდ დადებითი, 9. დადებითი, 10. ძალიან დადებითი და 11. უკიდურესად დადებითი დამოკიდებულება კინოს მიმართ. სხვაგვარად ეს სკალა შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც —5-დან ნოლზე გავლით +5-მდე განლაგებული რიცხვითა ლერძის მონაკვეთი. ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ თერთმეტპუნქტიანი სკალა განწყობის ობტიალურ საზომ მეთოდს იძლევა. მეტ კატეგორიებში ცდისპირებს უჭირთ დებულებების კლასიფიცირება, როგორც ჩანს, ეს ადამიანთა განსხვავების ზღურძლს აღემატება ხოლო ნაკლებ კატეგორიებში განლაგება მიზანშეწონილი არაა, რადგან იგი ნაკლებად ზუსტი იქნება განწყობების გასაზომად. თუმცა შესატყვისი მიზნების შემთხვევაში ზოგჯერ ქმნიან 3, 5, 7 ან 9-პუნქტიან სკალებსაც.

ექსპერტების მიერ დებულებათა კლასიფიკაციის შემდეგ ხდება თითოეული დებულების ვარგისიანობის დადგენა გარკვეული სტატისტიკური წესებით. სკალიდან ამოიყრება ორაზროვანი დებულებები, რომლებიც რომელიმე ზუსტ პოზიციას ვერ გამოხატავენ. შემდეგში თანაბარი სიდიდეებით დაშორებული დებულებების შერჩევით შედგება თერთმეტიდან დაახლოებით ოცდაათამდე დებულება, რომლითაც ხდება სკალის საბოლოო ჩამოყალიბება.

ამგვარი სკალის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ადამიანთა დაჯგუფება მათი განწყობების მიხედვით, რაც მათ აქვთ კინოს მიმართ. ასევე შესაძლებელი ხდება ყოველგვარი სოციალური მოვლენის მიმართ არსებული განწყობის გასაზომი სკალის შექმნა. ეს სკალები საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ განწყობათა ფორმირებისა და შეცვლის კანონზომიერებანი, რომლებიც ადამიანს აქტიობის დაწყებამდე უყალიბდება, როგორც გარკვეული ქცევისადმი მზაობა. ადამიანის სოციალური, უმადლესი დონის ფსიქიკური აქტიობა გაპირობებულია იმ ფიქსირებული განწყობების და უშუალოდ ქცევის დაწყებამდე ორგანიზებული სოციალური განწყობით, რომლის საფუძველზეც ის ახორციე-

ლებს თავის მოქმედებას. სოციალური განწყობის ფორმირება ხდება იმ ურთიერთქმედების სიტუაციაში, რომელშიც პიროვნება იმყოფება და იმ მაღალ სოციალურ მოთხოვნილებათა საფუძველზე, რომლებიც მას სოციალურ ურთიერთობებში შეუძუშავდა. ჩვენი შემდგომი ამოცანა სწორედ იმ ურთიერთქმედების კანონზომიერებათა დახასიათებაში მდგომარეობს. რომლებიც გარკვეულ სოციალურ მოთხოვნილებებთან ერთად ქმნის პიროვნების სოციალურ განწყობებს, სოციალური ქცევისადმი მზაობას, რომლებიც საფუძვლად ედება პიროვნების სპეციფიკურ სოციალურ აქტიობას.

**9. 2. 7. პირველად და შემდგომად განსწავლეთა ურთიერთობის
საპირობო სოციალური განწყობის ფორმირებისა და სოციალური
ქცევის განსწავლვის კოორდინატი**

საზოგადოებრივი ურთიერთობის პროცესში ადამიანი სოციალურ ქცევას ახორციელებს. პიროვნების სოციალური ქცევა ითვალისწინებს ადამიანის პირად მოთხოვნილებებს, საზოგადოებრივ მოთხოვნებს და სოციალურ სიტუაციას, სადაც ეს ქცევა სრულდება. ამ ფაქტორთა გათვალისწინება სოციალურ ქცევაში იმის გამო ხერხდება, რომ მის საფუძვლადმდებარე განწყობაში სათანადოდ არის ასახული ეს ფაქტორები.

სოციალური ურთიერთობის პროცესში პიროვნებას მრავალი სხვადასხვა სახის სოციალური განწყობა უყალიბდება, რომელთაგან ზოგიერთი ხშირი განმეორების გამო ფიქსირდება და სათანადო ზემოქმედებას ახდენს პიროვნების შემდგომ სოციალურ აქტიობაზე. სათანადო ექსპერიმენტულ გამოკვლევათა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ფიქსირებული განწყობა ყოველთვის პირდაპირ და ერთმნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ადამიანის ქცევაზე. ლაპერის¹ გამოკვლევის („განწყობების საწინააღმდეგოდ მოქმედება“) საფუძველზე ჩანს, რომ თუმცა, მაგალითად, ამერიკული სასტუმროს პატრონები აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ამქდავებდნენ ჩინელი სტუმრების მიმართ უარყოფით განწყობას და იქაღნიდნენ, რომ თავის სასტუმროში არ მიიღებდნენ ჩინელებს საცხოვრებლად, რეალურად ჩინელ სტუმარს არც ერთხელ არ უთხრეს უარი სასტუმროში მიღებაზე. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სოციალური განწყობის ფორმირების დროს, მართალია, დიდ და ხშირად არსებით როლს ასრულებს ის ფიქსირებული განწყობები, რომლებიც სუბიექტს აქვს, მაგრამ ისინი მაინც ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავენ მას. ყოველ მოცემულ მომენტში იქმნება გარ-

¹ La Piere R. T. Attitudes Versus Actions. Soc. Forc. 1934, № 13, p. 230—237.

კვეული აქტუალურ-მომენტალური სოციალური განწყობა პიროვნების მოთხოვნილებების, ფიქსირებული სოციალური განწყობებისა და იმ სოციალური სიტუაციის ერთობლიობის საფუძველზე, რომლებიც პიროვნებას მოცემულ მომენტში აქვს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ ფიქსირებულ განწყობებსა (რასაც ამერიკულ ფსიქოლოგიაში სოციალურ ატიტუდებს — Attitude უწოდებენ) და აქტუალურ-მომენტალურ განწყობას შორის (რასაც საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში Set-ის ტერმინით აღნიშნავენ) გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით ეს ცნებები ერთი და იმავე სინამდვილის სხვადასხვა მხარის დახასიათებისათვის უნდა იყოს გამოყენებული. ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს განმტკიცებულ და შენახულ აქტუალურ-მომენტალურ განწყობას, რომელიც შესაძლებელი ხდება ხელშეორედ აღმოცენდეს სათანადო ვითარებაში. ფიქსირებული განწყობა, როგორც გარკვეული ქცევისადმი განმტკიცებული და შენახული მზაობა, სათანადო ვითარებაში ასევე აღმოცენდება და გარკვეული წვლილი შეაქვს ამჟამად ფორმირებადი აქტუალურ-მომენტალური განწყობის ჩამოყალიბებაში. ფიქსირებულმა განწყობამ ზოგჯერ, შესაძლებელია, თვითონ უცვლელად დაიკავოს აქტუალურ-მომენტალური განწყობის ადგილი, გადაიქცეს აქტუალურ განწყობად. ხელახლა აქტუალიზებული განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს, როცა მოცემული სიტუაცია ზუსტად არ შეესატყვისება აქტუალიზებულ-ფიქსირებულ განწყობას, ადამიანი ამ დროს სიტუაციის ილუზორულ, მცდარ შეფასებას ახდენს. აქვთ შემთხვევაში ადგილი აქვს სიტუაციის ასიმილაციურ ან კონტრასტულ შეფასებას. მაგრამ ხშირად მოცემული მომენტისათვის შესატყვისი აქტუალური განწყობის ფორმირების პროცესში ხდება ფიქსირებული განწყობის მოცემული სიტუაციებისათვის შესატყვისად ორგანიზება. განწყობის კანონზომიერებათა დახასიათებისას, შემდგომში, ვილაპარაკებთ იმ მონაცემებზე, რომლებიც ნათლად მიუთითებენ, რომ ადამიანის მიერ მხოლოდ სტერეოტიპულად, რიგიდულად არ ხდება წარსული გამოცდილების გამოყენება, რომელიც მას ფიქსირებული განწყობის სახით აქვთ შემონახული.

დაბოლოს, აქტუალური მომენტალურ-პირველადი განწყობის ფორმირების პროცესში ზოგჯერ ფიქსირებული განწყობა სპეციფიკურ როლს ასრულებს, რომლის შესახებ საგანგებოდ მიუთითებდა უზნაძე.

ადამიანი ხშირად მოქმედებს მაღალი მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური მოთხოვნილებების საფუძველზე და უარს ამბობს უშუალო ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, პირად სარგებლიანობაზე. აღნიშნული მაღალი მოთხოვნილებები, მართალია, ადამიანის შექნილ თვისებებს წარმოადგენენ, ინდივიდის ვიტალური

თანდაყოლილი მოთხოვნილებებისაგან არსებითად განსხვავდებიან და მის სასიცოცხლო პროცესთან უშუალო კავშირში არ იმყოფებიან, მაგრამ ეს მაღალი მოთხოვნილებები არსებით გავლენას ახდენენ პიროვნების სოციალურ ქცევაზე. ცხადია, გასარკვევი ხდება, თუ რას წარმოადგენენ ეს მაღალი მოთხოვნილებები და როგორ ახერხებენ ისინი ვიტალური მოთხოვნილებების მსგავს ფუნქციობას.

ინდივიდის ვიტალური მოთხოვნილებები, რომლებიც გარკვეულ საგნებზე ან ნივთიერებებზე ინდივიდის დანაკლისს გამოხატავენ, ინდივიდში ამ დანაკლისის აღდგენის ტენდენციას, დარღვეული წონასწორობის აღდგენისადმი სწრაფვას შეიცავენ. სათანადო საგნობრივ სიტუაციაში მოხვედრის შემთხვევაში საგნის და ამ მოთხოვნილების ერთიანობის საფუძველზე ინდივიდს უყალიბდება გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა. ამა თუ იმ მოქმედების განწყობას რეალური, ქმედითი იმპულსები გააჩნია და მის საფუძველზე ინდივიდი გარკვეულ ქცევას ახორციელებს. ასეთ მოთხოვნილებებს აუბსტანციურს, ანუ საგანზე მოთხოვნილებებს უწოდებენ. არსებობს ე. წ. ფუნქციონალური მოთხოვნილებები, რომლებითაც ინდივიდის გარკვეული ორგანოების ფუნქციონის ტენდენციის დახასიათება ხდება. ფუნქციონალური მოთხოვნილება ინდივიდის რეალური ტენდენციაა, რომლის შესატყვის საგნობრივ სინამდვილესთან შეხვედრის დროს ინდივიდს ექმნება გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა. რის საფუძველზეც იგი ახორციელებს ქცევას.

დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული მაღალი მოთხოვნილების ბუნების გაგება, რადგან ის ინდივიდის სასიცოცხლო პროცესებთან დაკავშირებულ მდგომარეობას არ წარმოადგენს და, გარდა ამისა, მისი დამაკმაყოფილებელი ობიექტი ისეთივე სახის ფიზიკური არსებობით არ ხასიათდება, როგორც ვიტალურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საგანი.

დ. უზნაძის აზრით, მაღალი მოთხოვნილებანი პიროვნებას ფიქსირებული განწყობების სისტემის სახით აქვს ჩამოყალიბებული და გარკვეულ სიტუაციებში, შესატყვის ობიექტებთან შეხვედრის დროს, ხდება მათი დაკონკრეტება აქტუალური მომენტალური განწყობის სახით. მაგრამ რადგან მათი შესატყვისი საგნები, მორალური, ესთეტიკური თუ სოციალური ობიექტები ზოგად ღირებულებათა სახით არსებობენ, ამიტომ მათი წვდომა, მათთან ურთიერთობა პიროვნებისაგან ცნობიერ დამოკიდებულებას გულისხმობს. ამიტომაც, რომ აქტიობის შესაძებ დონეზე სოციალური განწყობის ფორმირების პროცესში პიროვნების ცნობიერება არსებით მონაწილეობას იღებს.

მაღალ სოციალურ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბება, რომლებიც პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ხორციელდება, ფიქსირებულ

განწყობების გარკვეული სისტემის ჩამოყალიბების გზით მიიღწევა. ამასთან დაკავშირებით უზნაძე წერს: „ზოგი ადამიანისათვის უმაღლეს მოთხოვნილებებს მეტი მნიშვნელობა აქვთ და მეტი ძალა, ხოლო ზოგისათვის ვიტალური მოთხოვნილებაა ცხოვრების განმსაზღვრელი და სტიმულის მომცემი. ზოგისათვის ესთეტიკური მოთხოვნილება დაუმრეტელი ენერჯის წყაროა, ზოგისთვის კიდევ მორალური და ინტელექტუალური მოთხოვნილება. ერთი სიტყვით, ადამიანთა შორის საკმაოდ მრავალმხრივი განსხვავება არსებობს იმის მიხედვით თუ რა მოთხოვნილებებია უფრო დამახასიათებელი მათი „მე“-სათვის.

რასაკვირველია, აქ გადაამწყვეტი მნიშვნელობა თითოეულის წარსულს აქვს. იმ სიტუაციას, რომელშიც მისი ცხოვრება მიმდინარეობდა და რომელშიც იგი აღიზარდა, იმ შთაბეჭდილებებსა და განცდებს, რომლებსაც განსაკუთრებული წონა ჰქონდა: მისთვის. უეჭველია, ყოველივე ამის გამო თითოეულს თავისი განსხვავებული ფიქსირებული განწყობები აქვს შექმნილი, რომლებიც ან თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინოდ, ყოველთვის იჩენს თავს და შესაფერ პირობებში, განსაზღვრული ჰიმნოტულებით მოქმედებს მზაობას ედება საფუძვლად. ადამიანის პიროვნებას, სხვათა შორის, განსაკუთრებით ეს განწყობები ქმნიან: ისინი არიან მიზეზი, რომ ზოგიერთისათვის მოთხოვნილებათა ერთის სისტემა ან ერთის წყარო და ზოგისათვის მეორე“ (ხაზვასმა ჩვენია — შ. ნ.)¹.

როგორც ვხედავთ, უზნაძემ სრულიად ორიგინალურად და საინტერესოდ გადაჭრა ფიქსირებული და აქტუალურ-მომენტალური განწყობების ურთიერთობის საკითხი. მისი აზრით, ფიქსირებულ სოციალურ განწყობათა სისტემა ასრულებს მოთხოვნილებების როლს სოციალური აქტუალურ-მომენტალური განწყობის ფორმირების პროცესში, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პიროვნების კონკრეტული სოციალური აქტიობა.

8. 4. განწყობის ფუნქციონირება და შეცვლის კანონზომიერებანი

ჩვენ განვიხილეთ განწყობის ფორმირების თავისებურებანი ადამიანის ფსიქიკური აქტიობის დონეზე.

იმპულსური, თეორიული და სოციალური განწყობები როგორც ფორმირების, ისე სტრუქტურის თვალსაზრისით, სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ჩვენ ჯერ არსებითად არაფერი გვითქვამს განწყობის ფუნქციონირების სპეციფიკურ თავისებურებათა შესახებ. აქამ-


¹ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 172.

დე მხოლოდ იმის აღნიშვნით ვკმაყოფილდებით, რომ იმპულსურ, თეორიულ და სოციალურ განწყობათა საფუძველზე შესატყვისად იმპულსური, თეორიული და სოციალური ქცევა ხორციელდება. ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ირკვევა, რომ განწყობის საფუძველზე ქცევის განხორციელების პროცესი რთული თავისებურებებით ხასიათდება. განწყობა რთულ, დიფერენცირებულ გავლენას ახდენს ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებზე და ასევე სპეციფიკურ უკუზემოქმედებას განიცდის მათგან. განწყობისა და ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა ურთიერთქმედების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ადამიანის ფსიქიკის კანონზომიერების შესწავლა.

ადამიანის ქცევა, რომელიც გარესინამდვილის ზემოქმედების შედეგად ჩნდება და გარკვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, რთული აქტიობის სახით ვლინდება. მას გარკვეული ღირებულება აქვს, რადგან ის სინამდვილესთან ინდივიდის შეგუების ამოცანას ემსახურება. ამ ამოცანის შესრულება ქცევის საფუძველზე იმის გამო ხდება შესაძლებელი, რომ ქცევაში მოტორული კომპონენტების გარდა, სენსორული, აზრითი, ემოციური და საერთოდ მნიშვნელობითი მომენტებიც გაერთიანებული. ქცევაში ეს კომპონენტები გარკვეულ სტრუქტურულ ერთიანობაში იმყოფებიან. მათი ერთიანობა გაპირობებულია იმ განწყობით, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ქცევა. ქცევის ყველა ეს მომენტი იმ განწყობით არის ორგანიზებული, რომელიც მოცემულ მომენტში ინდივიდს აქტუალურ მდგომარეობაში აქვს. ასეთი განწყობა ინდივიდის წინასწარ ორგანიზირებული მზაობაა. რის საფუძველზეც ის სინამდვილის მოვლენათა გარკვეული კლასის ზემოქმედებას გარკვეული სახის უკუზემოქმედებით, ქცევით პასუხობს.

ადამიანის ქცევაში განწყობის რეალიზაციის კანონზომიერებათა საკითხების გამოკვლევა საერთოდ დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. განწყობის თავისებურებათა შესწავლა, როგორც ცნობილია, განწყობის საფუძველზე განხორციელებული ქცევიდანაა შესაძლებელი. ქცევაზე დაკვირვების გზით კი ძნელი ხდება განწყობის ფორმირებისაგან დიფერენცირებულად განწყობის ფუნქციონირების კანონზომიერებათა დახასიათება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული გზები, რომლებიც ქცევაზე განწყობის გავლენის კანონზომიერების შესწავლის საშუალებას გვაძლევენ. ეს ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელი ხდება განხორციელდეს იმის გამო, რომ განწყობის ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა მხარეზე ხშირად დიფერენცირებულია.

განწყობის ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე ზოგადად შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:



ჩვეულებრივ, ადამიანის ფსიქიკური აქტიობა, რომელიც სენსომოტორულ და შემეცნების პროცესებს, ასევე ემოციურ და ნებელობით რეაქციებს გულისხმობს, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. მაგრამ ამ ერთიანობის მიუხედავად იგი გარკვეული შინაგანი დიფერენცირებით ხასიათდება. ტრადიციულ ფსიქოლოგიაში დაკანონდა შემეცნების, ემოციისა და ნებელობის ურთიერთისაგან განსხვავება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოვლენები ამავე დროს ურთიერთისაგან მოწყვეტილად, დამოუკიდებლად იყო გაგებული. მაგალითად, ტრადიციულ ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიაში შეგრძნება და ემოცია, ზოგჯერ კი ნებელობის განცდაც, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ელემენტარულ ფსიქიკურ პროცესებად იყო განხილული, რომლებიც ურთიერთთან თითქოს ასოციაციის კანონებითაა დაკავშირებული. შემდგომი გამოკვლევების საფუძველზე დადასტურდა, რომ ფსიქიკური აქტიობის გაგება, ურთიერთისაგან გენეტიკურად იზოლირებული ელემენტების გაერთიანება შემდგომში „შემთხვევითი დაკავშირების პრინციპით“ შეუძლებელია. ეს პოსტულატი არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ ირკვევა, რომ ამ პოსტულატის უკუგდების შემდეგ ჩვენ თურმე მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ფსიქიკური აქტიობის აფექტური, შემეცნებითი და ნებელობითი კომპონენტების შესახებ, თუ მხედველობაში გვაქვს, რომ აღნიშნული კომპონენტები მთლიანი ფსიქიკური აქტიობის დიფერენცირების შედეგად მიღებული წარმონაქმნებია. მხოლოდ „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატის საფუძველზეა შესაძლებელი გაგებულ იქნეს განწყობის დიფერენცირებული ზემოქმედების ფაქტი ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა კომპონენტებზე. ზემოთ წარმოდგენილი სქემატურად სწორედ „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატის საფუძველზე უნდა იქნეს გაგებული. ამ სქემის მიხედვით, მაგალითად მწყურვალე ადამიანის მიერ წყლის დაღვვის მარტივი ქცევა, შემდეგნაირად:

უნდა დახასიათდეს: როდესაც ადამიანს აქვს წყლის დაღვევის მოთხოვნა და ხედავს სავეტ გრაფინს, მას ექმნება წყლის დაღვევის განწყობა. ამ განწყობის საფუძველზე ის ახდენს წყლიან გრაფინთან მისასვლელი გარემოს აღქმას და მიდის გრაფინთან. მას ახსენდება, რომ ჭიქაღვეს მეორე ოთახში, მოაქვს იგი და ისხამს წყალს. წყლის სმის პროცესში ის იღებს სიამოვნებისა და დაკმაყოფილების ემოციურ განცდებს. მაშასადამე, წყლის დაღვევის აქტუალიზებული განწყობა მოცემულ შემთხვევაში იწვევს სათანადო პრაქტიკული ქცევის აღძვრას, მოტორული რეაქტიების გარკვეულ კომპლექსს, შესატყვისის საქმიანობისათვის საჭირო შემეცნებით პროცესებს (წყლიანი გრაფინის და მანძილის აღქმას, მებხიერების პროცესებს, საკუთარი მოქმედების აღქმას და სხვ.). მაგრამ, ცხადია, გარკვეული ქცევის განწყობა ფსიქიკური აქტიობის ყველა სფეროში ყოველთვის ასე უკონფლიქტოდ არ ვლინდება. მაგალითად, მწარე წამლის დაღვევა შესაძლებელია ასევე პარამონიული ფსიქიკური აქტიობის სახით არ მიმდინარეობდეს. როდესაც ადამიანს აქტუალიზებული აქვს წამლის დაღვევის განწყობა, ამ შემთხვევაშიც ზემოგანხილული მაგალითის მსგავსად ადამიანმა შეიძლება ისევე აღიქვას წამლიანი ბოთლი, განახორციელოს წამლის დაღვევისათვის საჭირო მოტორული აქტივობანი, მაგრამ, განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, ამ განწყობის შესატყვისი ქცევის შესრულების დროს მან შესაძლებელია მიიღოს უსიამოვნო ემოციური განცდები. ეს უსიამოვნება ზოგჯერ ისეთი ინტენსიური შეიძლება იყოს, რომ შესაძლებელია ადამიანმა ხელი აიღოს ამ ქცევის შემდგომ შესრულებაზე. ამ შემთხვევაში წამლის დაღვევის აქტუალური განწყობა არარეალიზებული დარჩება.

აღნიშნული მაგალითები უჩვენებენ, რომ განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს, ადამიანს შესაძლებელია როგორც სისიამოვნო, ისე უსიამოვნო ემოციური განცდები გაუჩნდეს. ირკვევა, რომ ეს ემოციურ-აფექტური განცდები ზოგჯერ ხელს უწყობს განწყობის რეალიზაციას, ხან კი ეწინააღმდეგება მას. ზოგჯერ შესაძლებელია უსიამოვნო ემოციურმა განცდებმა განწყობა არააქტუალურ მდგომარეობაში გადაიყვანოს.

განწყობას არა მხოლოდ ემოციურ განცდებზე შეუძლია ღიფერენციურებული გავლენის მოხდენა; მან სხვადასხვაგვარ სიტუაციაში შეიძლება ასევე განსხვავებული ქცევითი ფუნქტი გამოიწვიოს. კრებაზე, რომელსაც მხოლოდ საწარმოს თანამშრომლები ესწრებიან, წყლიანი გრაფინის დანახვაზე აღმოცენებულმა განწყობამ მწყურვალ ადამიანს შესაძლებელია წყლის დაღვევის ქცევა აღუძრას; მაგრამ შესაძლოა ეს დაწყებული ქცევა შეწყდეს და დაუმთავრებელი დარჩეს, თუ ამ განზრახვის შესრულების პროცესში კრებაზე ისეთი პიროვნება შემოვიდა, რომლის მიმართ ეს ადამიანი დიდ მორიდებას განიცდის. ან კიდევ: შესაძლებელია რომელიმე საკითხის შესახებ ადამიანს თავისი აზრი იმ-

დენად მომწიფებული და ჩამოყალიბებული მოჩვენოს, რომ მისი დაწერის განწყობა გაუჩნდეს. ამ განწყობის ზემოქმედებით შესაძლებელია ის მაგიდასაც მიუჭდეს და მოეზადოს დასაწერად. იმის მიხედვით, თუ როგორია მისი განწყობის ინტენსიურობა და სიტუაციის თავისებურებანი, მან შეიძლება ეს ამოცანა შეასრულოს კიდეც, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ საკითხთა დალაგების დროს ის დიდ სიძნელეებს შეხვდეს და დაწყებული ქცევა ვეღარ გააგრძელოს. ასეთ შემთხვევაში შექმნილი სიძნელეები უკუზემოქმედებას ახდენს აქტუალიზებულ განწყობაზე, არააქტუალურს ხდის და ცვლის მას.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იმის მიხედვით, თუ რა ინტენსიობის განწყობით ხდება ქცევის შესრულება და როგორ სიტუაციაში ხორციელდება იგი, განწყობის ზემოქმედებას ქცევაზე შეიძლება სხვადასხვაგვარი ეფექტი ჰქონდეს. ადამიანები, ჩვეულებრივ, თავისი განწყობების შესატყვის აზრებს გამოთქვამენ და იცავენ მათ, მაგრამ ზოგჯერ ზღვებიან ისეთ სიტუაციებშიც, სადაც ვერ მისდევენ და ვერ იცავენ ამ აზრებს.

ასეთივე რთული და მრავალსახოვანია განწყობის გავლენა ადამიანის შემეცნების პროცესებზე.

განწყობის გავლენა შემეცნებით პროცესებზე, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი განურჩევლად, სარკისებურად არ ასახავს ყველა იმ ზემოქმედებას, რომელსაც ის თავისი გარემოდან იღებს. ადამიანი შერჩევით ასახავს იმ საგნების ზემოქმედებას, რომლებიც მის მოთხოვნილებებთან, მისწრაფებებსა და საქმიანობასთანაა დაკავშირებული. შემეცნების პროცესები, როგორც ცნობილია, გენეტიკურად ყოველთვის ადამიანის პრაქტიკული ამოცანის გადაჭრას ემსახურება. ფსიქიკური განვითარების შემდგომ საფეხურებზე ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობასა და შემეცნების პროცესებს შორის, მართალია, დიდი დიფერენციაცია ხდება, მაგრამ ყოველთვის რჩება ის შინაგანი, პირველადი კავშირი, რომელიც ფსიქიკური აქტიობის ერთიანობასა და მთლიანობას უზრუნველყოფს. ფსიქიკის ეს ერთიანობა, როგორც ცნობილია, აქტიობის განწყობის საფუძველზე ხორციელდება. ექსპერიმენტული გამოკვლევები უჩვენებს, რომ განწყობა არსებით გავლენას ახდენს შემეცნების პროცესებზე.

8. 4. 1. მომღონათა და საგანთა ახიზილადითუაი და აონხაახტული განილა

განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი სინამდვილეს გარკვეული თვალსაზრისით ასახავს. ეს ასახვა, ჩვეულებრივ, არ ამახინჯებს სინამდვილეს, რადგან იგი ადამიანს სინამდვილესთან შეჯუებისათვის სჭირდება. მაგრამ განწყობისეული ასახვა სინამდვილის სარკისებუ-

რო აღბეჭდვაც არაა. იგი სელექციური, შერჩევითი ასახვაა. მასში სინამდვილის ისეთი მხარეებია წარმოდგენილი, რომლებსაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ ინდივიდის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

განწყობის გავლენა ასახვაზე სხედასხეაგვარია. აქტუალური და ინტენსიური განწყობის გავლენით ადამიანმა საგანი შეიძლება არაადექვატურად, განწყობისეულ-ილუზორულად აღიქვას. ამ დამახინჯებას არავითარი ცუდი შედეგი არ მოსდევს, მაგრამ თუ სინამდვილესა და მის ასახვას შორის სხვაობა ძალიან გაიზარდა, ამას შეიძლება არაადაპტირებული ქცევა მოჰყვეს.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი მარბეს მიერ განხილული განწყობისეულ-ილუზორული აღქმის ტრაგიკული მაგალითი. ერთმა მონადირემ, რომელიც ტყეში ტახებზე ნადირობდა, ნადირობისათვის შესატყვისი განწყობის საფუძველზე, ტყეში შემთხვევით გამოჩენილი გოგონაც ტახად აღიქვა და თოფის გასროლით მოკლა იგი. ეს მაგალითი განწყობის ასიმილაციური მოქმედების შემთხვევას წარმოადგენს. ადამიანი განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ასიმილაციურად აღიქვამს საგნებს, განწყობისეულად „ასწორებს და აწესრიგებს“ სინამდვილეს.

სინამდვილის ასიმილაციური განცდის გარდა, ცნობილია საგნების კონტრასტულ-ილუზორული აღქმაც. კონტრასტულ-ილუზორული აღქმის ნათელ მაგალითებს წარმოადგენს შარპანტიეს ილუზია და ე. წ. მასალის ილუზია.

როდესაც ადამიანს ორი ერთნაირი წონის, მაგრამ მოცულობით მკვეთრად განსხვავებულ დიდ-პატარა ობიექტებს ვაძლევეთ, რათა მან ეს ობიექტები შეადარონ ერთმანეთს სიმძიმის მიხედვით, ადამიანები მათ ერთნაირი სიმძიმის ობიექტებად არ აღიქვამენ. პატარა ობიექტი მათ მძიმედ ეჩვენებათ, დიდი კი მსუბუქად. სათანადო ანალიზის საფუძველზე უზნაქმ უჩვენა, რომ შარპანტიეს ილუზია განწყობისეულ კონტრასტულ ილუზიას წარმოადგენს. ადამიანი პატარა სხეულს იმ განწყობით აფასებს, რომ ის მსუბუქი უნდა იყოს. როდესაც საგნის სიმძიმე შეუდარებლად მეტია მის განწყობისეულად მოსალოდნელ სიმძიმეზე, ადამიანს იგი კონტრასტულად კიდევ უფრო მძიმე ეჩვენება. იგივე კონტრასტულ-ილუზორული აღქმის ეფექტი შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაშიც, თუ, მაგალითად, რკინის საგანს ისე შევლებავთ. ისეთ სხეეს მიეცემთ, რომ გარეგნულად იგი ხის საგნის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. ასეთი საგნის აწევისას ადამიანს უჩნდება განცდა, რომ ეს საგანი მეტისმეტად მძიმეა. იგი ადამიანს კიდევ უფრო მძიმედ ეჩვენება. ვიდრე სინამდვილეშია. ამ შემთხვევაშიც იმ განწყობის შეფასების დროს, რომ ეს საგანი ხისაა, იგი კონტრასტულად კიდევ უფრო მძიმე გვეჩვენება, ვიდრე ის სინამდვილეშია. ასე კონტრასტულ-ილუზორულად ხდება ამა

თუ იმ მოვლენის შეფასება წინასწარ აღებული თვალსაზრისის, მოლოდინების გამო. მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებები — რომანი ან კინოსურათი თუ მეტისმეტად გვიქვს და აღმოჩნდა, რომ იგი არც ისე კარგი ყოფილა, ასეთ შემთხვევაშიც, როგორც წესი, იგი უფრო ცუდი გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია, ასევე, პირიქით, თუ რომელიმე ადამიანი წინასწარ გვიძაგეს, როგორც უშნო და მახინჯი, მაგრამ ის არც ისე უშნოა როგორც გვიხასიათებდნენ, მაშინ ამ ორიენტაციის ფონზე იგი შეიძლება უფრო კარგადაც მოგვეჩვენოს, ვიდრე სინამდვილეშია.

წინასწარ შემუშავებული განწყობა, როგორც წესი. ღიდ გავლენას ახდენს მოვლენათა აღქმასა და შეფასებაზე.

როდესაც წინასწარ შემუშავებული განწყობა შეესატყვისება საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მის ფონზე უნდა აღიქვას, ასეთ შემთხვევაში საგნების აღქმა და აღქმებურად შეფასება გაადვილებულია, იგი თითქმის იმპულსურად, თავისთავად ხორციელდება. ჩვენი განწყობების შესატყვისი საგნები და მოვლენები ადვილად შეიმჩნევა გარემოში. ისინი ადვილად გამოეყოფა გარემოს. როგორც ზოგად ფონს და მათ მიმართ შესატყვისი აქტიობა ბუნებრივად, ადვილად მიმდინარეობს.

მდგომარეობა უფრო გართულებულია მაშინ, როდესაც განწყობასა და მის საფუძველზე აღქმულ საგნებს შორის გარკვეული შეუსატყვისობა არსებობს. ასეთ შემთხვევაში საგნების განცდა, ამ საგნების შეფასება ორი მიმართულებით იცვლება: იგი ან დაემსგავსება განწყობას — მისი ასიმილაციური-ილუზორული აღქმა ხდება ან, პირიქით, კიდევ უფრო განემსგავსება განწყობას, მის კონტრასტული-ილუზორულ აღქმას აქვს ადგილი. ეს შემთხვევები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ განწყობის ზემოქმედება ასახვის პროცესზე ყოველთვის არ უწყობს ხელს სინამდვილის სწორ ასახვას. ამ მონაცემების საფუძველზე, ერთი შეხედვით შეიძლება გვეფიქროს, რომ განწყობა თავისი ასიმილაციური და კონტრასტული აფექტებით ხელს უნდა უშლიდეს ადამიანს სინამდვილის ასახვასა და სინამდვილისადმი შეგუებაში. მაგრამ თუ უფრო დეტალურად გავერკვევით საქმის ვითარებაში, ეს დასკვნა ნაჩქარევი და მცდარი აღმოჩნდება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა, შემეცნების განწყობა სწორედ სინამდვილის ობიექტური, კემპარიტი შემეცნების ამოცანას ემსახურება. როგორც მკვლევარის გვაქვს აღნიშნული, როდესაც ადამიანის ურთიერთობა სინამდვილესთან არააღქმებური ხდება, სინამდვილის არასაკმარისი ასახვის გამო, ადამიანი წყვეტს საქმიანობას და სპეციალურ შემეცნებით აქტიობას იწყებს, რაც შემეცნების განწყობის საფუძველზე ხორციელდება. შემეცნების განწყობა ადამიანის ფსიქოფიზიკური ძალების ისეთ ორ-

განიზაცის ახდენს, გარემოსადმი ისეთი ორიენტაციის გამომუშავება ხდება, რაც უზრუნველყოფს სინამდვილის სწორ, ადეკვატურ შემეცნებას. ამგვარი აქტიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ განწყობა, როგორც სუბიექტის მთლიანი ორიენტაცია, კარემოსადმი შემეცნების ამოცანებს ემსახურება. მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს დებულება მხოლოდ შემეცნების განწყობის მიმართ ითქვას და არა განწყობის ყველა სხვა ფორმის მიმართ? საგანთა ასიმილაციური და კონტრასტული ჯანცდა, როგორც ცნობილია, მათი არაობიექტური ასახვის მაგალითებს წარმოადგენს.

აღნიშნული საკითხის ნათელსაყოფად განწყობის ძირითადი ფუნქციის დახასიათებიდან უნდა გამოვიდეთ. განწყობა, როგორც უკვე ვიცით, სინამდვილესთან ადამიანის შეგუების ამოცანას ემსახურება. მაგრამ ამისათვის ყოველთვის აუცილებელი არაა სინამდვილის სწორი და სრული ასახვა. ზოგჯერ ამისათვის სინამდვილის დაახლოებითი ასახვაა საჭირო, ზოგჯერ კი ბევრი რამ სრულიად არ უნდა იქნეს შემჩნეული და ასახული. სინამდვილესთან პრაქტიკული ურთიერთობის დროს სინამდვილე ისე უნდა აისახოს, რომ მან ხელი შეუწყოს ინდივიდის სინამდვილესთან შეგუებას. რეალურად ეს ასეც არის. ჩვეულებრივ, რომელიმე კონკრეტული განწყობის რეალიზაციის პროცესში განწყობის გავლენით სინამდვილის ისეთი ასახვა ხდება, რომელიც ამ განწყობის შესატყვისი ქცევის განზორციელებისათვის არის საჭირო და საკმარისი. ამ დროს სინამდვილის არც საჩივრებური და არც არსებითი ასახვა არ ხდება. ასახვის ადეკვატურობის საკითხი აქ მეორე პლანზეა გადატანილი. სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ განწყობისეული ასახვა, თავისი ასიმილაციური და კონტრასტული ილუზიებით, ინდივიდს ეხმარება სინამდვილესთან შეგუებაში.

სინამდვილესთან ინდივიდის შეგუების პროცესში განწყობის ასიმილაციურ-ილუზორული შეფასებითი მოქმედების სარგებლობის დანახვა ძნელი არაა. ამ ამოცანის შესრულება ადვილია ინდივიდისა და სინამდვილის ურთიერთობის ზოგიერთი არსებითი მხარის გათვალისწინების შემდეგ.

როგორც ცნობილია, ცოცხალ ორგანიზმს სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ურიცხვფეროვან საგნებსა და მოვლენებთან უხდება კავშირის დამყარება. ყველა ეს საგანი და მოვლენა, ცხადია, უნიკალური და განუმეორებელია, მაგრამ მათ ურთიერთისაგან განმასხვავებელი თვისებების გარდა გარკვეული, საერთო და მსგავსი თვისებებიც გააჩნიათ. ცოცხალი ინდივიდი ამ ნიშნების განზოგადების-საფუძველზე ახდენს საგანთა და მოვლენათა გარკვეულ კლასებში გაერთიანებას. სინამდვილის მოვლენათა ეს კლასიფიკაცია მის ეხმარება გარემოს გამარტივებასა და მისდამი შეგუებაში. მსგავსი მოვლენების ერთ-

სა და იმავე საგნებად განცდა ასიმილაციის მექანიზმის მოქმედებით ხდება. მაგალითად, როდესაც წიწილა სწავლობს პურის მარცვლის აენკვას, შემდგომში მას სათანადო მოთხოვნებისა და მარცვლის დანახვისთანავე უჩნდება მარცვლის შექმნის განწყობა. მარცვლის კენკვის პროცესში წიწილა, რასაკვირველია, ვერ ამჩნევს იმ უნიკალურ ნიშნებს, რომლებიც თითოეულ მარცვალს გააჩნია. ამ უნიკალური ნიშნების ასახვა მას არც სჭირდება. ამიტომია, რომ ფორმის მიხედვით პურის მარცვლის მსგავსი ქვა წიწილამ ზოგჯერ შეიძლება აენკვას კიდევ. მაგრამ ამ ასიმილაციურ-ილუზორული აღქმით მიღებული მარცხი მაინც ბევრად უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე ის სარგებლობა, რომელსაც ინდივიდი ერთმანეთისაგან განსხვავებული მარცვლების ერთ ზოგად კლასში გაერთიანების გზით იღებს.

ასიმილაციის განწყობისეული მექანიზმის დახმარებით რომელიმე კონკრეტულ მაგალითთან დაკავშირებულ რეაქციას ინდივიდი მოვლენათა ბოთელი კლასის მიმართ აზოგალებს და ავრცელებს. ამის გამო უსასრულოდ მრავალფეროვან გარე გამოიზიანებლებს ის გამარტივებულად რამდენიმე კლასის მოვლენათა სახით განიცდის. იგი ახდენს სინამდვილის რედუქციას და იდვილად ახერხებს გარემოში ორიენტირებას. ინდივიდი მსგავს მოვლენებს შორის არსებულ ყველა განსხვავებულობას რომ ამჩნევდეს, გარესინამდვილე მისთვის ურთიერთისაგან განსხვავებული ურაცხვი გამოიზიანებლების სახით იქნებოდა წარმოდგენილი, რომლებშიც მას ძალიან გაუჭირდებოდა გარკვევა და შეგუებითი რეაქციების განხორციელება.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით შესწავლილ იქნა ადამიანთა ამგვარი განწყობისეული მოქმედების კანონზომიერებანი. გარკვეულ საგანთა აღქმისათვის საჭირო განწყობის ფიქსირების შემდეგ, მსგავსი საგნების შემოქმედების დროს ადამიანი მათ განწყობისეულად ასიმილაციურ-ილუზორულად აღიქვამს¹. ადამიანი ასიმილაციურ-ილუზორული აღქმის დროს ვერ ამჩნევს იმ მკირე სხვაობას, რომლებიც საგანთა შორის არსებობს. ამიტომ მოვლენათა ფართო კლასს იგი იდენტურ ან მსგავს მოვლენებად განიცდის და მათზე თავის გამოკდილებას ავრცელებს. გარემოს ამგვარი რეორგანიზება ადამიანს სინამდვილესთან შეგუებაში ეხმარება².

განწყობის საფუძველზე სინამდვილის მოვლენების ამგვარი იდენტიფიკაცია ან ურთიერთთან დამგავსება მხოლოდ მაშინ შეიძლება აღ-

¹ იხ. ნ. ელიაშვილი — განწყობის ფიქსაცია წარმოდგენის რომელობის მასალაზე, «ფსიქოლოგია», ტ. VII, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, 1950, გვ. 81—97.

² Ч х а р т я ш в и л я Ш. Н., О природе иллюзии предмета. Экспер. исследование по психологии установок, Тбилиси, 1958, стр. 329—345.

მოჩნდეს უსარგებლო და მიზანშეუწონელი, როდესაც ადამიანი თავისი განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებული საგნების ასიმილაციას მოახდენს. მაგრამ როგორც ექსპერიმენტული გამოკვლევები გვიჩვენებენ, ჩვეულებრივ, განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებული საგნების ასიმილაცია არა ხდება. პირიქით, ამის საწინააღმდეგოდ განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებული ობიექტების ზემოქმედების დროს ადგილი აქვს მის კონტრასტულ-ილუზორულ განცდას, ე. ი. განწყობისა და ზემოქმედ საგანს შორის არსებული სხვაობის კიდევ უფრო გაზრდა-გამძივრებას. ექსპერიმენტული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანს თავისი განწყობისათვის შეუფერებელი ობიექტი კიდევ უფრო განსხვავებულად ეჩვენება, ვიდრე იგი სინამდვილეშია. ეს მოვლენა საგნის კონტრასტულ-ილუზორული განცდის მაგალითს წარმოადგენს.

განწყობის კანონზომიერების საკვლევი კლასიკური მეთოდი, რომელიც დ. უზნაძის მიერ იყო შემუშავებული, როგორც ცნობილია, ამ ფაქტის საფუძველზეა აგებული. ცდისპირებს მკვეთრად განსხვავებული დიდ-პატარა ბურთების აღქმის შემდეგ, როდესაც ტოლი ბურთების აღქმას ვეალებთ, მათ ისინი კონტრასტულად პატარა-დიდად ეჩვენებათ. ძალიან მძიმე ობიექტის აწევის შემდეგ, მისგან მკვეთრად განსხვავებული მსუბუქი ობიექტი კონტრასტულად კიდევ უფრო მსუბუქად აღიქმება.

ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე იგივე შედეგები იქნა დადასტურებული სოციალური ობიექტების შეფასების დროსაც¹. აღმოჩნდა, რომ როდესაც ცდისპირებს მორალური თვალსაზრისით ოდნავ მიუღებელი დებულებების შეფასებას ვთხოვთ 10-ბალიანი სისტემით, ასეთი დებულებების მრავალგზისი შეფასების შემდეგ მკვეთრად განსხვავებული, მორალურად ძალიან მიუღებელი დებულებების შეფასებას ისინი კონტრასტულად კიდევ უფრო მიუღებლად აფასებენ. იგივე მდგომარეობა დადასტურდა შებრუნებული პროცედურის შემთხვევაშიც. როდესაც ცდისპირებს წინასწარ ბევრჯერ ძალიან მიუღებელი დებულებების შეფასება უხდებოდათ და გარკვეული პოზიცია, განწყობა გამოუმუშავდებათ, ოდნავ მიუღებელი დებულებები მათ კონტრასტულად კიდევ უფრო ნაკლებად მიუღებელ დებულებებად ეჩვენებათ. ასეთივე კანონზომიერება მუდამდებდა ესთეტიკურ, სოციალურ და სხვა ღირებულებათა შეფასების დროსაც². როდესაც ადა-

¹ Небисеридзе А. Д., Действие установок в различных сферах психической активности. Сб. «Экспериментальные исследования по психологии установок», т. 5, Тбилиси, 1971.

² Hovland C. Y., Rosenberg M. Y. Attitude Organization and Change, N. Y., 1960.

მიანი საგნებსა და მოვლენებს მათდამი მკვეთრად შეუფერებელი განწყობის საფუძველზე აღიქვამს ან აფასებს, ამ დროს ადგილი აქვს მათ კონტრასტულ-ილუზორულ განცდას. კონტრასტულ-ილუზორული განცდა კიდევ უფრო ზრდის იმ სხვაობას, რომელიც არსებობს განწყობასა და ინდივიდზე მოქმედ საგნებს შორის.

სათანადო ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ შეუფერებელი განწყობის საფუძველზე სინამდვილის საგანთა კონტრასტულ-ილუზორული განცდა თავისებურად (სხვაგვარად, ვიდრე ეს განწყობის ასიმულაციური მოქმედების დროს ხდება) ხელს უწყობს გარემოსთან ინდივიდის შეგუებას¹.

ცნობილია, რომ ორი პირობა მაინც უნდა არსებობდეს აუცილებლად, რათა კონტრასტულ-ილუზორული განცდა აღმოცენდეს: ა) როცა ადამიანს რაიმე განწყობა ისე აქვს ვაფიქრებელი და აქტუალიზებული, რომ იგი თავს იჩენს და იწყებს მოქმედებას განსხვავებულ სიტუაციაშიც და ბ) როდესაც ამ განწყობით მკვეთრად განსხვავებული ობიექტის აღქმა ან შეფასება ხდება. ასეთ ვითარებაში ადამიანი გარემოსთან ადექვატურ ურთიერთობას მაშინ დაამყარებს. თუ თავის შეუსაბამო განწყობის დეზაქტუალიზაციას მოახდენს. მოიცელებს მას და გარემოსადმი ადექვატურ განწყობას შეიძულებს.

ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ კონტრასტულ ილუზიებს, მაშინ ნათელი გახდება მათი მნიშვნელობა სინამდვილესთან შეგუების საქმეში. კონტრასტულად განცდილი საგანი, როგორც განწყობისათვის მკვეთრად შეუფერებელი, საწინააღმდეგო გამღიზიანებელი (კიდევ უფრო საწინააღმდეგოდ განცდილი, ვიდრე ის სინამდვილეშია), ეხმარება ადამიანს, რომ გარემოსადმი შეუფერებელი მისი განწყობა არააქტუალურ მდგომარეობაში გადაიყვანოს, დაარღვიოს იგი და შექმნას საფუძველი შესატყვისი განწყობის ფორმირებისათვის.

ამ გზით კონტრასტულ-ილუზორული განცდები ეხმარებიან ინდივიდს გარემოსადმი შეუფერებელი განწყობისაგან განთავისუფლებაში და სინამდვილისადმი შესატყვისი განწყობების ჩამოყალიბება-ფორმირებაში.

ამრიგად, განწყობის ზემოქმედება შემეცნების ფსიქიკურ აქტიობაზე ძირითადად სამი გზით ხორციელდება:

ა) გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა საფუძველად ედება გარემოს საგნებისა და მოვლენების სწორ ასახვას, მაგრამ ეს ასახვა სინამდვილის სარკისებურ, ზუსტ სურათს მაინც არ იძლევა. განწყობის ზემოქმედების გამო გარემოს მთლიანი სურათის ერთგვარ დარღვევას მაინც აქვს ადგილი. ამ დროს ინდივიდი სინამდვილის ზო-

¹ ამ საკითხს ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე ჩვენ შემდგომ კიდევ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გიერთ მხარეს გამოყოფს და ასახავს მათ. განწყობისეულ-პრაქტიკული აქტიობის დონეზე ინდივიდის დამოკიდებულება სინამდვილისადმი პრაგმატულია. იგი ისეთ საგნებსა და მოვლენებს ასახავს, რომლებიც მის მოთხოვნილებებთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამგვარი ასახვა შესაძლებელია არ შეესატყვისებოდეს სინამდვილის ზოგად სურათს, მაგრამ თვით ცალკეული საგნები და მოვლენები ძირითადად სწორადაა ასახული. სინამდვილის იმ სურათში, რომელიც ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის დონეზე იქმნება, ჭეშმარიტების მხოლოდ მარცვლია მოცემული. ამ მონაცემების საფუძველზე სინამდვილის სინტეზური ხასიათის ჭეშმარიტი სურათის შექმნა ადამიანის შემეცნებით აქტიობას მოითხოვს, რაც შემეცნების განწყობით მოქმედების საფუძველზეა შესაძლებელი.

განწყობის ზემოქმედებით ხდება სინამდვილის ცალკეული საგნებისა და მოვლენების შერჩევითი ასახვა. ეს საშუალებას აძლევს ინდივიდს, რომ მან სინამდვილისადმი შესატყვისი, ადაპტირებული ქცევები განახორციელოს.

ბ) გარკვეული მიმართულებით მოქმედების განწყობა ხშირად საფუძვლად ედება საგნების ასიმილაციურ-ილუზორულ განცდას. ამგვარი განცდები მაშინ აღმოცენდება, როდესაც განსხვავება ინდივიდის განწყობასა და გარესსაგნებს შორის უმნიშვნელოა. ასახვის პროცესში განწყობის ასიმილაციურ-ილუზორული ეფექტი იმით ემსახურება ადამიანს სინამდვილესთან შეგუებაში, რომ იწვევს ოდნავ განსხვავებული სინამდვილის დამსგავსებას ინდივიდის განწყობებთან, რის შედეგადაც ინდივიდს შესაძლებლობა ეძლევა გამოიყენოს თავისი გამოცდილება ოდნავ განსხვავებული სინამდვილის მიმართ. ეს ფსიქიკური ფენომენი უდიდეს როლს ასრულებს სინამდვილესთან ინდივიდის შეგუების პროცესში.

გ) როდესაც მოქმედების განწყობა შინაარსობრივად უკავშირდება, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოქმედი ობიექტებისაგან, ამ დროს ადგილი აქვს ამ საგანთა კონტრასტულ-ილუზორულ განცდას. საგნის კონტრასტულ-ილუზორული აღქმის დროს ხდება ინდივიდის განწყობასა და სინამდვილის საგნებს შორის არსებული სხვაობის გაზრდა-გაძლიერება. კონტრასტულად ასახული, განწყობასთან კიდევ უფრო მკვეთრად შეუსაბამო საგნის უკუზემოქმედების გამო ხდება სიტუაციისათვის შეუსაბამო განწყობის დარღვევა. ამ გზით იქმნება პირობები თვით ინდივიდის შეცვლისათვის. განწყობის კონტრასტული მოქმედება ეხმარება ინდივიდს შეუსაბამო განწყობის მოცილებასა და სინამდვილისადმი შესატყვისი განწყობის ფორმირებაში¹.

¹ ქ. ციხაძე, ზოგიერთი ილუზორული აღქმის განწყობისეული მოქმედების შესახებ, თბილისი, 1968, გვ. 52—66.

ასიმილაციის მექანიზმის გამოყენებით ინდივიდი იმსგავსებს გარემოს, ხოლო კონტრასტის მექანიზმის მეშვეობით თვითონ იცვლება, ახდენს თავისი შეუსაბამო მოღიფიკაციების ლიკვიდაციას და ემსგავსება გარემოს. ამ მექანიზმის საშუალებით ხდება ფსიქოლოგიური აკომოდაცია სინამდვილის მიმართ. ორივე გზით ხდება შესატყვისობის გაძლიერება, თავსებადობის გაზრდა გარემოსა და ინდივიდს შორის.

განწყობის ასიმილაციურ-ილუზორული და კონტრასტულ-ილუზორული ზემოქმედება სხვადასხვაგვარად, სპეციფიკური გზებით ხელს უწყობს ინდივიდს სინამდვილესთან შეგუებაში.

განწყობის ასიმილაციური მოქმედების შედეგებითი მნიშვნელობის საკითხები შედარებით კარგად არის შესწავლილი და გადმოცემულია განწყობის საკითხებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, მაგრამ ადაპტირებული ქცევის ფორმირებაში განწყობის კონტრასტულ-ილუზორული მოქმედების ღირებულების საკითხები აქამდენ სათანადოდ არ იყო გამოკვლეული.

განწყობის კონტრასტულ-ილუზორული მოქმედების შედეგებითი მნიშვნელობის საკითხის შესწავლა ჩვენ ვცადეთ ფსიქოფიზიკური აქტიობის სფეროში განწყობის კანონზომიერებათა კვლევის დროს. ეს საკითხი სრულიად ნათელი შეიძლება გახდეს, თუ იგი განწყობისეული მოქმედების დროს სხვადასხვა პროცესების თავსებადობის საკითხთან აკვირში იქნება განხილული.

§ 4. 2. განწყობის სფეროებზე აღმოცენებულ სხვადასხვა პროცესთა თავსებადობის საკითხი

დ. უზნაძის მიერ საგანგებოდ იყო ხაზგასმული, რომ გარკვეული ქცევის განწყობაში ყოველთვის „კონსოლიდირებულია“, თავსებად მდგომარეობაშია მოყვანილი ქცევის გარეგანი და შინაგანი, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ამ დებულებას თანამედროვე ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ფსიქიკური აქტიობა, როგორც ცნობილია, რთული, უამრავი კომპონენტების შემცველი ერთიანი პროცესია. განწყობის ერთ-ერთ ფუნქციას ამ კომპონენტების ურთიერთთან თავსებად მდგომარეობაში მოყვანა, კონსოლიდაცია წარმოადგენს.

ფსიქიკური აქტიობის გართულების, შემდგომი დიფერენციაციის გზაზე ზოგჯერ ადგილი აქვს მის კომპონენტებს შორის არათავსებადი, კონფლიქტური მდგომარეობის აღმოცენებას. მაგრამ განწყობის ფუნქციობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება არათავსებადი, კონფლიქტური კომპონენტების რეპარმონიზებაში, ხელახლა შეთანხმება-გაერთიანებაში მდგომარეობს.

ადრე ცნობიერების პროცესებზე განწყობის გავლენის განხილვისას

აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ, გარკვეული განწყობით მოქმედების დროს, შესაძლებელია ამ განწყობამ დიფერენცირებული გავლენა მოახდინოს ცნობიერების პროცესების სხვადასხვა ასპექტებზე. მაგალითად, სიგარეტის წვეის ქცევა ადამიანში შესაძლებელია ორგვარი სახის განცდას ბადებდეს: ერთი მხრივ, შესაძლოა ადამიანს ჰქონდეს სრულიად დადებითი ემოციური განცდა—სიამოვნებას იღებს სიგარეტის წვეისაგან. სოლო ამავე დროს შესაძლებელია მას უჩნდებოდეს უარყოფითი ემოციური-ინტელექტუალური განცდა, უსიამოვნებას განიცდიდეს, რომ სისუსტის გამო უარს ვერ ამბობს წვეის მავნე ჩვევაზე. სიგარეტის წვეის განწყობის ამგვარი რეალიზაციის დროს, როდესაც იგი ადამიანის ფსიქიკაში არათავსებად კონფლიქტურ პროცესებს აღძრავს, ადამიანი კონფლიქტურ მდგომარეობაში იმყოფება. ამ კონფლიქტს ადამიანისათვის შეიძლება დიდი პიროვნული ღირებულება არ ჰქონდეს, მაგრამ, ცნობილია, რომ ამგვარ კონფლიქტურ ვითარებაში ადამიანს დიდხანს ყოფნა. გაძლება მინც ძალუძს. ასეა, საკითხებს დიდხანს არავინ ტოვებს შინაგან კონფლიქტურ მდგომარეობაში. მას მალე ყველა რალაცნაირად წყვეტს. ყველამ, ვინც სიგარეტს ეწევა, დააჩერა თავი, რომ წევა არც ისე მავნებელია, როგორც ამას ამტკიცებენ, ან მეტიც. ადამიანი ზოგჯერ ირწმუნებს თავს, რომ წევა ხელს უწყობს მუშაობაში, საქმიანობასა და სხვა: თუ იგი, მართლაც, მავნებელი აღმოჩნდება მისთვის და საჭირო იქნება მისი გადაღება, ამას მომავალში გააკეთებს და ა. შ.

ადამიანის პიროვნების ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მის ფსიქიკაში აღმოცენებულ არათავსებად პროცესებში, გარკვეული განწყობის ზემოქმედების გამო, იმთავითვე ჩნდება ამ პროცესთა ურთიერთთან შეთანხმების, თავსებად მდგომარეობაში მოსვლის ტენდენცია. მაგალითად, როცა განგრენით დაავადებულმა პიროვნებამ გაიგო, რომ ვერ მორჩებოდა, თუ სიგარეტს თავს არ დაანებებდა, მაშინვე მიატოვა იგი და შემდეგში გაოცებულიც კი იყო, რომ მას სრულიად აღარ ჰქონდა მისი მოთხოვნილება. განწყობის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას მის საფუძველზე აღმოცენებული კონფლიქტური შინაარსების (მაგალითად, ემოციებისა და აზრების) თანხმობაში მოყვანა, თავსებად მდგომარეობაში გადაყვანის ტენდენცია წარმოადგენს. მაგალითად, თუ წვეის დროს ძლიერია მისი მოთხოვნილება და მისგან მიღებული ემოცია, მაშინ ადგილი აქვს სიგარეტის მავნებლობის შესახებ აზრის შეცვლას და შერბილებას. პირიქით, თუ ძალიან ძლიერია და ინტენსიური აზრი სიგარეტის მავნებლობის შესახებ, მაშინ ხდება პაპიროსის მოთხოვნილებისა და მასთან დაკავშირებული ემოციების შესუსტება. ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა ასპექტებზე განწყობის დიფერენცირებული ზემოქმედების კანონზომიერებანი და ფსიქიკური პროცესების თავსებად მდგომარეობაში მოყვანის,

რეპარმონიზაციის საკითხები ჩვენ ფსიქოფიზიკური აქტიობის სფეროში ვიკვლიეთ¹.

აღნიშნული საკითხი სპეციალური ხელსაწყოთა — ილუზიომეტრის გამოყენებით იყო შესწავლილი. მისი დახმარებით ხდებოდა გარკვეული მოტორული აქტიობის შესატყვისი განწყობის ფიქსაციისა და ჩაქრობის კანონზომიერების გამოკვლევა.

ილუზიომეტრის ძირითად ნაწილებს ორი რკინის მილი წარმოადგენს. ეს მილები საყრდენზეა დამაგრებული, რომელიც იატაკზე დგას. ამ მილაკებში რკინის ჯოხებია მოთავსებული და შესაძლებელია ამ ჯოხების ვერტიკალურად სხვადასხვა სიმაღლეებზე ამოწევა. მათზე ამოტვიფრული სანტიმეტრიანი დანაყოფების საშუალებით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა სიმაღლეებზეა ჯოხები საყრდენიდან ამოღებული. რკინის ჯოხებს თანაბარი საწყისი სიმაღლეები აქვთ და შესაძლებელია მათი დაახლოებით 70 სმ სიმაღლეზე ამოწევა.

ამ ხელსაწყოთი ჩატარებულ ცდებში თვალდახუჭულ ცდისპირებს ჯოხების სხვადასხვა სიმაღლეზე ამოღების განწყობას ვუფიქსირებდით. ცდის ერთ ვარიანტში, მაგალითად, თვალდახუჭული ცდისპირები ცალი ხელით ჯოხს 25 სმ სიმაღლეზე იღებდნენ, მეორე ხელით კი 50 სმ სიმაღლეზე. ამ პროცედურის 15-ჯერ გამეორების შემდეგ ცდისპირები თითქმის შეუცდომლად ახერხებდნენ ჯოხების 25—50 სმ სიმაღლეებზე ამოღებას. კრიტიკულ ცდებში კი მათ ჯოხების ტოლ სიმაღლეებზე ამოღება ევალებოდათ.

ამ ექსპერიმენტებიდან ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მიგველო დამატებითი მონაცემები განწყობის მოქმედების შესახებ, რასაც ვერ ვიღებთ განწყობის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენების დროს. განწყობის შესწავლისას კლასიკური მეთოდის გამოყენებისას განწყობის მოქმედების კანონზომიერებაზე დასკვნებს ვაკეთებთ ცდისპირის ფენომენოლოგიური განცდითი მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, როდესაც ცდისპირს უფიქსირებენ დიდ-პატარა ობიექტების აღქმის განწყობას და შემდეგში მას ობიექტურად ტოლი საგნების აღქმას ავალებენ. იმის მიხედვით, თუ როგორ განიცდის ცდისპირი ამ ობიექტების სიდიდეს, როგორ აფასებს მათ, შესაძლებელი ხდება დადგინდეს მისი ფიქსირებული განწყობის მოქმედების თავისებურებანი. უზნაქემ, როგორც ცნობილია, დაადგინა, რომ, როდესაც ცდისპირს განწყობას მცირედ განსხვავებული ობიექტების აღქმაზე უფიქსირებენ, ამ გაფიქსირებული განწყობის საფუძველზე ცდისპირი ტოლ წრეებსაც ასიმბალაციურ-ილუზორულად, დიდ-პატარად აღიქვამს.

¹ Надирашвили Ш. А., Фиксированная установка и перцептивно-моторная активность. Сб. «Экспер. исслед. по психологии установки», т. V, 1970.

უზნაძემ იხილავს, რომ განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებულ ობიექტებს ცდისპირები კონსტრასტულ-ილუზორულად განიცდიან. ყველა ამ შემთხვევაში განწყობის მოქმედების კანონზომიერებანი დ. უზნაძის მიერ ცდისპირების ფონომენოლოგიურ-განცდითი მონაცემების საფუძველზე იქნა დადგენილი, ჩვენს ექსპერიმენტში კი ცდისპირების განწყობის მოქმედების თავისებურებათა გარკვევა ფენომენოლოგიური განცდების გარდა, მათი მოტორული აქტიობის საფუძველზეც არის შესაძლებელი.

ექსპერიმენტული მონაცემები უჩვენებს, რომ ფიქსირებული განწყობა შესაძლებელია მართლაც სრულიად სხვადასხვა სახის გავლენას ახდენდეს ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ამა თუ იმ სფეროზე. როდესაც ცდისპირებს გარკვეული მოქმედების განწყობა გავუფიქსირეთ და შემდგომში მკვეთრად განსხვავებული მოქმედება დავავალეთ, მათ, მართალია, მიიღეს ეს ამოცანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავი ვერ დააღწიეს იმავე სახის მოქმედებას, რისი შესატყვისი განწყობაც ჰქონდათ გაფიქსირებული. ეს ვითარება ექსპერიმენტებში შემდეგი სახით იქნა რეალიზებული: ცდისპირებს საგანწყობო ცდებში ევალუბოდათ სხვადასხვა ხელით ჯოხების 25 და 50 სმ სიმაღლეზე ამოღება. ამ მოქმედების შესატყვისი განწყობის გაფიქსირების შემდეგ კრიტიკულ ცდებში ცდისპირებს ევალუბოდათ ჯოხების თანაბარ, 25—25 სმ სიმაღლეზე ამოწევა. აღმოჩნდა, რომ ვერცერთმა ცდისპირმა ვერ შეძლო ჯოხების თანაბარ სიმაღლეზე ამოღება. ყველა ცდისპირი ფიქსირებული განწყობის გავლენით განაგრძობდა ჯოხების იმავე მიმართულებით მეტ-ნაკლებ სიმაღლეზე ამოღებას. ამრიგად, ჩვენი ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ გარკვეული მოქმედებისადმი ფიქსირებული განწყობის საფუძველზე მკვეთრად განსხვავებული მოქმედების შესრულების დროს ცდისპირები თავს ვერ აღწევენ განწყობის ზემოქმედებას და ასიმილაციურ მცდარ მოქმედებას ახორციელებენ.

ეს დებულება ცდისპირების მიერ განხორციელებული მოტორული აქტიობის ობიექტური აღრიცხვის საფუძველზე იქნა დადგენილი. მაგრამ განწყობის მოქმედების სულ სხვაგვარ სურათს ვიღებთ ფენომენოლოგიური მონაცემების, განცდების საფუძველზე, როდესაც ცდისპირებს ობიექტების შეფასება ევალუბათ. ამავე ექსპერიმენტში აღმოჩნდა, რომ ცდისპირები თავის ასიმილაციურ მცდარ მოქმედებას კონსტრასტულ-ილუზორულად აფასებენ.

საგანწყობო ცდებში, როგორც აღვნიშნეთ, ცდისპირებს ჯოხების 25 და 50 სმ სიმაღლეზე ამოწევის განწყობა გავუფიქსირეთ. კრიტიკულ ცდებში მათ ჯოხების ტოლ სიმაღლეზე, 25-25 სმ-ზე ამოღება დავავალეთ. პირველ ჯოხს ისინი ადექვატურად 25 სმ სიმაღლეზე სწევდნენ, მეორეს კი იმავე 25 სმ. სიმაღლეზე ვერ იღებდნენ, რაც იმით იყო გამო-

წვეული, რომ ამ მხარეს მათ ჯოხის 50 სმ. სიმაღლეზე ამოღების განწყობა გაუფიქსირდათ. ამ განწყობის გამო მათ არა მხოლოდ იმის ტენდენცია გაუჩნდათ, რომ ჯოხი 25 სმ-ზე მაღლა ამოიღონ, არამედ დაერღვათ ამ ხელით მკვეთრად განსხვავებული სიმაღლის ადექვატური შეფასების უნარიც. მათი ფიქსირებული განწყობისაგან მკვეთრად განსხვავებულ სიმაღლეს ისინი კონტრასტულ-ილუზორულად აფასებენ. ცდისპირებმა ამ ხელით დაახლოებით 30 სმ სიმაღლეზე უნდა ამოსწიონ ჯოხი, რომ ის 25 სმ სიმაღლედ განიცადონ.

ექსპერიმენტის სხვადასხვა ვარიანტის ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამგვარ სიტუაციებში ცდისპირები მცდარ ასიმილაციურ მოქმედებას და ამავე დროს ამ მოქმედების კონტრასტულ-ილუზორულ შეფასებას ახდენენ. ეს ორივე ფენომენი — ასიმილაციური მოტორული მოქმედება და კონტრასტული შეფასება — ფიქსირებული განწყობის მოქმედების შედეგებს წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ ექსპერიმენტულად დავადგინეთ ფიქსირებული განწყობის დიფერენცირებული ზემოქმედების ფაქტი მისგან მკვეთრად განსხვავებულ მოქმედებასა და მის შეფასებაზე. ამ მონაცემთა საფუძველზე ჩვენ ორი კანონი ჩამოვყალიბეთ: I. გარკვეული მოტორული ქცევის ფიქსირებული განწყობა იმავე ტიპის, მაგრამ მისგან ინტენსიობით მკვეთრად განსხვავებულ მოტორულ ქცევაზე ასიმილაციურად მოქმედებს. II. გარკვეული მოქმედების ფიქსირებული განწყობა იმავე ტიპის, მაგრამ მისგან ინტენსიობით მკვეთრად განსხვავებული მოტორული ქცევის შეფასებაზე კონტრასტულ-ილუზორულად მოქმედებს. შენიშვნების მიზნით მათ „ასიმილაციურ მოქმედებას“ და „კონტრასტულ შეფასებას“ ვუწოდებთ.

შეუფერებელი განწყობის საფუძველზე საგანთა კონტრასტულად შეფასების კანონის შინაარსი აქამდე კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ფიქსირებული განწყობის მკვეთრად შეუფერებელ მოქმედებაზე ასიმილაციური გავლენის კანონი აქამდე შედარებით უცნობი იყო. აღქმის სფეროში ბოლო დროს მნიშვნელოვანი გამოკვლევები იქნა შესრულებული. რომელთა ფონზეც ასიმილაციური მოქმედებისა და კონტრასტული შეფასების კანონის ფსიქოლოგიაში დიდი ღირებულება შეიძლება მიენიჭოს.

საზღვარგარეთელი ფსიქოლოგების — გიბსონის, ჰების, ჰაინის, ჰელდის, პოლსტის და სხვათა, ასევე საბჭოთა მკვლევარების ზაპოროჟეცისა და ვ. ზინჩენკოს გამოკვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ საგნობრივი სინამდვილის აღქმის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღქმასთან დაკავშირებულ იმ მოტორულ აქტიობას, რომელსაც

აღმქმელი ინდივიდი ახორციელებს. გამოირკვა, რომ აღქმის საგნის სხვადასხვა ინვარიანტული თვისება გრძნობის ორგანოების მოძრაობით და ძიებით მოქმედებათა საფუძველზე აისახება. ამგვარი პერცეპტული აქტიობის გარეშე შეუძლებელი ხდება კონსტანტური საგნობრივი თვისებების განცდა-ასიმილაციის კანონი აღქმის სფეროში სწორედ ამ მოტორულ აქტიობაზე მოქმედებს. ფიქსირებული განწყობისაგან ჰყვეთრად განსხვავებული საგნის აღქმისას ინდივიდი ასიმილაციურ პერცეპტულ-მოტორულ აქტიობას აგრძელებს, ხოლო საკუთარ მოქმედებას და აღქმის საგანს კონტრასტულ-ილუზორულად აფასებს.

ამრიგად, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ფიქსირებული განწყობის საფუძველზე შეუსაბამო მოქმედების შესრულებისას ადგილი აქვს განწყობის დიფერენცირებულ გავლენას ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა სფეროზე. მოტორულ აქტიობაზე განწყობა, როგორც ყოველთვის, ასიმილაციურ გავლენას ახდენს. ამავე დროს იგი აღქმის საგნისა და საკუთარი მოქმედების კონტრასტულილუზორულ შეფასებასაც იწვევს. ასეთი ვითარება, როდესაც განწყობა ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა სფეროზე დიფერენცირებულად და კონფლიქტურად მოქმედებს, ინდივიდისათვის არაბუნებრივი და გარდამავალი მდგომარეობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლის ტენდენცია და გზები თვით განწყობის მოქმედებაშია მოცემული.

ჩვენს ცდებში, ისევე როგორც განწყობის კლასიკურ ცდებში, კონფლიქტური ფსიქიკური მდგომარეობის რეპარმონიზება და ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნება განწყობის ერთ-ერთი მეტად საინტერესო კანონზომიერების საფუძველზე ხორციელდება.

ჩვენი ექსპერიმენტების კრიტიკულ ცდებში 10-12 მცდელობის შემდეგ ცდისპირები ახერხებენ შეუსაბამო ფიქსირებული განწყობის დესპეტულიზებას და მის შეცვლას აღქმეატური განწყობით.

კრიტიკულ ცდებში თავდაპირველად ცდისპირები ფიქსირებული განწყობის გავლენით მოქმედებდნენ და ამიტომ ფაქტიურად ვერც ახერხებდნენ ამოცანის წარმატებით შესრულებას მეორე ჯონის იმავე, 25-30 სიმაღლეზე ამოღებას. კრიტიკულ ცდებში მათ არც იცინან, რომ მცდარ ასიმილაციურ მოქმედებას ახორციელებენ, მაგრამ საკვირველი სწორედ ისაა, რომ ისინი თანდათან მაინც ასწორებენ თავის მცდარ მოქმედებას. მცდარი ასიმილაციური მოქმედების გასწორება რაიმე ცნობიერი ჩარევის გარეშე განწყობისეული მოქმედების რესურსებით ხდება.

ცდისპირები კრიტიკულ ცდებში მცდარი მოქმედების გასწორებას იმის გამო ახერხებენ, რომ მათზე ფიქსირებული განწყობის გარდა უკ-

ვე კონტრასტულად შეფასებული საკუთარი აქტიობაც ახდენს უკუგაგ-
ლენას. კონტრასტულად შეუფასებელი საკუთარი მოქმედების უკუზე-
მოქმედების შედეგად, რაც ფიქსირებული განწყობის საწინააღმდეგოდ
მიმართულ ფენომენს წარმოადგენს, ხდება ფიქსირებული განწყობის
დათრგუნვა და ჩაქრობა.

ცდისპირები, როგორც ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებს,
ასე თანდათან გამოდიან შეუსაბამო ფიქსირებული განწყობის გავლენი-
დან და ადექვატურ განწყობას იმუშავენ.

განწყობის მოქმედების ამ მოდელში, რომელიც აღქმის სფეროშია
რეალიზებული, განწყობისეული თვითორგანიზაციის ერთ-ერთი სახის
სტრუქტურა არის წარმოდგენილი.

განწყობისეული თვითორგანიზაციის ამ მექანიზმის მოქმედებაზე
მიუთითებს მრავალი ექსპერიმენტული გამოკვლევა როგორც ჩვენში,
ისე საზღვარგარეთ. მაგალითად, ექსპერიმენტული გამოკვლევით და-
დასტურდა, რომ სხვადასხვა გეონეტრიული ილუზიის (მიულერ-ლაიე-
რი, ზანდერის და სხვა) და შარპანტიეს ილუზიის საფუძველზე შესაძ-
ლებელი ხდება მათი შესატყვისი განწყობის ფიქსაცია, რაც იმაში
მტკიცდება, რომ ისინი შემდგომში სხვა ობიექტების განწყობისეულ
კონტრასტულ-ილუზორულ აღქმას იწვევენ¹. ამავე დროს, თუ გავიხსე-
ნებთ, რომ ეს ილუზიები, მაგალითად შარპანტიეს ილუზია, როგორც
უზნაძემ უჩვენა, თვითონ წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის
კონტრასტულ-ილუზორულ გამოვლენას²; აშკარად საინტერესო ვითა-
რება იქნება, ამ მონაცემებს მიხედვით, შარპანტიეს და სხვა ილუზიე-
ბი თვით არიან გარკვეული განწყობის კონტრასტულ-ილუზორული
ეფექტები, ხოლო ზანდერის გეონეტრიებისა და ფიქსაციის შემდეგ
ისინი იწვევენ თავის საწინააღმდეგო კონტრასტულ ილუზორულ
ეფექტს. ამგვარი მოქმედებით ხდება საერთოდ ილუზიის აღმოცენების
საფუძველების წინააღმდეგ მოქმედება და ილუზიების შესუსტება-ჩაქ-
რობა. ყოველ შემთხვევაში, საგანგებოდ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ
ილუზორული განცდები, მიუხედავად თავისი ილუზორულობისა, სათა-
ნდო რეალურ უკუგაგლენას ახდენენ განწყობაზე. ისინი ებიფენომე-
ნური მოვლენები არ არიან ეს ქმედით მონაწილეობას იღებენ ადამიან-
ის განწყობათა ჩამოყალიბება-ფიქსირების პროცესში.

სხვა ექსპერიმენტული მონაცემებიც ადასტურებს ამ დებულებას.
გაიკვია, რომ განწყობის ფიქსაცია შესაძლებელი ხდება წარმოსახვის

¹ ქ. ცინცაძე, ზოგიერთი ილუზორული აღქმის განმარტებული მოქმედებას
შესახებ, თბილისი, 1968, გვ. 52—66.

² დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქო-
ლოგია“, ტ. 6, 1949, გვ. 10—12.

საფუძველზე. ამ გზით გაფიქსირებული განწყობა რეალურ გავლენას ახდენს ობიექტების აღქმაზე. დიდ-პატარა ობიექტების მრავალგზისი წარმოსახვის შემდეგ ცდისპირები ტოლ ობიექტებს განწყობისეულ-ილუზორულად აღიქვამენ¹.

ამ ტიპის გამოკვლევათა საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ობიექტების გარკვეული სახით აღქმაზე დიდ გავლენას ახდენს ის განწყობა. რომლითაც ინდივიდი მათ აღიქვამს. მაგრამ, ამასთანავე, იმის მიხედვით. თუ რა მიმართება არსებობს განწყობასა და აღსაქმელ ობიექტებს შორის და როგორ განიცდებიან ისინი (ადექვატურად, ასიმულაციურად თუ კონტრასტულ-ილუზორულად), ეს ფაქტი დიდ უკუზეგავლენას ახდენს არსებული განწყობის გაფიქსირება-განმტკიცებაზე.

გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, მოქმედი განწყობის განმტკიცება-ჩაქრობაზე დიდ გავლენას ახდენს ისიც, განწყობა ერთმნიშვნელოვან ეფექტს იწვევს ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა სფეროში, თუ დიფერენცირებულ ეფექტს. თუ განწყობა ასიმულაციურ გავლენას ახდენს მოტორულ აქტიობაზე და ამავე დროს კონტრასტულ-ილუზორულ განცდასაც იძლევა. ეს განწყობა მალე დეზაქტუალიზდება და შეიცვლება სხვა განწყობით. იგივე ემართებათ სოციალურ განწყობებს, როდესაც ისინი აზრისეულად მისაღებნი არიან, მაგრამ უსიამოვნო ემოციებს იწვევენ ან მორალურად მიუღებლად განიცდებიან.

აღნიშნული დებულება დადასტურდა სხვადასხვა ექსპერიმენტული გამოკვლევებით: ერთ-ერთ ასეთ ექსპერიმენტულ გამოკვლევაში ნაჩვენები იქნა, რომ როდესაც ცდისპირებს ევალებათ მოძებნონ და საჯაროდ დაიკვან გარკვეული დებულებები, რომლებსადაშიც მათ (როგორც აღრე იქნა გაზომილი) უარყოფითი განწყობისეული დამოკიდებულება ჰქონდათ, აღმოჩნდა, რომ ცდისპირების 83%-ს ეცვლება პირვანდელი განწყობები და უმუშავდებათ ისეთები, რომელთა შესატყვისი აზრების. დაცვაც მათ იკისრეს და საჯაროდ აწარმოეს². ძირითადი ფსიქიკური ორიენტაციებისა და განწყობების მიხედვით ყველა დანარჩენი ფსიქიკური პროცესის ორგანიზება და რეპარმონიზაცია განწყობისეულ ფსიქიკურ ტენდენციას წარმოადგენს. ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა სფეროზე განწყობის დიფერენცირებული გავლენის შემდეგ ყოველთვის აღიძვრება განწყობისეული თვითორგანიზაციისა და უკუკორექციის პროცესები.

განწყობის მოქმედების ეს კანონზომიერება შეიძლება დახასიათდეს

¹ რ. ნათაძე, წარმოსახვის გამაწყობელი მოქმედება, თბილისი, 1958.

² Б а л а ш а ш в и л я М. С., Влияние порученного действия на социальные установки. Материалы IV всесоюзного съезда общества психологов, Тбилиси, 1971, стр. 153—154.

ფსიქიკის დიფერენცირებულ კომპონენტთა რეპარმონიზაციის კანონის სახით. ამ კანონის ზოგიერთ ასპექტზე მოუთითებდა უზნაძე, როდესაც აყალიბებდა ასაკობრივი გარემოსა და მისი შინაარსის კონსოლიდაციის ცნებას. ამ თეორიის ჩამოყალიბებისას უზნაძემ ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, პრინციპულ საკითხს — გარემოსა და ინდივიდის პარმონიზაციას, კონსოლიდაციას მიაქცია¹. ეს კანონი მთელ ფსიქიკურ აქტიობაზე ვრცელდება, იგი ადამიანისა და გარემოს ურთიერთობით არ ამოიწურება. ადამიანის ფსიქიკური აქტიობის სხვადასხვა სფეროში კონფლიქტური მდგომარეობის აღმოცენებისთანავე ჩნდება ამგვარი რეპარმონიზაციისა და კონსოლიდაციის ტენდენცია.

ბევრი ფსიქოლოგიური გამოკვლევა და ზოგიერთი ფსიქოლოგიური მიმდინარეობაც ამ კანონის ცალკეული ასპექტის შესწავლას ემსახურება. ამ კანონზომიერების სხვადასხვა ასპექტს ასახავენ ლევინის „ველის თეორია“, ჰეიდერის „ფსიქიკური ბალანსის ცნება“, ოსგუდისა და ტენენბაუმის „კონგრუიტობის“ ცნება, ნიუკომბის „სიმეტრიისადმი სწრაფვის ცნება“ და ფესტინჯერის „კოგნიტური დისონანსის თეორია“.

ყოველ ამ თეორიასა და ცნებაში განწყობის ზოგადი თეორიის ესა თუ ის ასპექტია ხაზგასმული. უზნაძის განწყობის ზოგად თეორიაში ყველა ამ თეორიის ცნების საწყისი ტენდენციაა მოცემული და ამიტომ უზნაძის განწყობის თეორია ყოველი მათგანის გაერთიანება-გამთლიანების შესაძლებლობას შეიცავს. უზნაძის განწყობის თეორია არის ადამიანის აქტიობის არა ცალკეული ასპექტების, არამედ მთლიანად ფსიქოფიზიკური აქტიობის ზოგადი თეორია.

ლევინის „ველის თეორია“ ადამიანის ქცევის მიმართულების ასახსნელადაა მოწოდებული. ქცევის ველის ლევინისეულ ცნებაში აღქმის ველის გარდა ადამიანის წარსული გამოცდილება იგულისხმება. მის ქცევის ველში პიროვნება თავისი აქტუალური და ქვაზი მოთხოვნილებებით არის წარმოდგენილი. ყოველ ცალკეულ მომენტში ადამიანის ქცევას ველის თეორიის მიხედვით ძალთა ურთიერთქმედების შედეგად წარმოებული ვექტორი განსაზღვრავს. ლევინის „ველის თეორიისათვის“ უდიდეს პრინციპულ და ტექნიკურ სიძნელედ იქცა ფსიქიკური ობიექტების ქცევის ველში განლაგების საკითხი. მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა, რომლებიც ამ თეორიას ახასიათებს, მისაღებია მისი ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც პიროვნების ქცევა ფსიქიკური ძალების კონსოლიდაციის საფუძველზე ნაწარმოებ ფენომენად მიჩნევა.

¹ დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, თბილისი, 1947, გვ 24—28.

ადამიანის ფსიქიკურ აქტიობაზე დაკვირვების საფუძველზე ფსიქოლოგები გრძნობდნენ, რომ ფსიქიკურ ძალთა ურთიერთქმედება მექანიკის კანონების საფუძველზე არ შეიძლება იქნეს გაგებული. ადამიანის ფსიქიკური ძალებისა და ტენდენციების ურთიერთქმედება რთული შინაგანი ლოგიკით ხასიათდება, რომლის წვდომა დიდ ექსპერიმენტულ და თეორიულ მუშაობას მოითხოვს. ჩვეულებრივი დაკვირვების მიხედვითაც ცნობილია, რომ, მაგალითად, ის აზრი ან დებულება, რომელიც მოცემული ადამიანისათვის უფრო სასარგებლოა, მას უფრო სამართლიანადაც ეჩვენება, ვიდრე მისთვის საზიანო დებულება. ადამიანს აქვს სხვა ფსიქიკური ძალებიც, რომელთა დახმარებითაც ხშირად ახერხებს ამ ტენდენციების დაძლევას. მაგრამ ამ ტენდენციების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პიროვნების ფსიქიკური აქტიობის კანონზომიერებათა გაგება.

ადამიანის ფსიქიკურ აქტიობას აქვს თავისი საკუთარი შინაგანი ერთიანი კანონზომიერება, რომლის დადგენა ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ადამიანის ფსიქიკური აქტიობა ამ კანონზომიერების საფუძველზე ორგანიზდება. ამ კანონზომიერების ზოგიერთი თავისებურებანი ჩვეულებრივ დაკვირვებაშიც მკლავდება. ადვილად შესამჩნევია, რომ, მაგალითად, ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არაპატიოსანი გზით აქვთ შემოსავალი, მილიცია არ უყვართ. ადამიანები, რომლებიც მაღალი მორალური პრინციპებით ცხოვრობენ, პატივს სცემენ იმ პიროვნებას, ვინც ასეთ მაღალ მორალურ პრინციპებს იცავს, შემჩნეულია, რომ გარკვეული შეხედულების მიღება-უარყოფაზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის, თუ როგორია ეს შეხედულება თავისთავად, არამედ ისიც, თუ როგორი ადამიანები იცავენ ან ებრძვიან მას. სიმპათიური ადამიანის აზრებს პიროვნება ნაკლებად კრიტიკულად უდგება და ადვილად იღებს. ასევე, ადამიანები ძალიან ხშირად თავისდაუნებურად თავიდანვე უარყოფით დამოკიდებულებას ამკლავებს ისეთი აზრებისა და შეხედულებების მიმართ, რომლებსაც, მისი შეხედულებით, უარყოფითი ადამიანები იცავენ. პიროვნების შეხედულებებისა და ორიენტაციების ჩამოყალიბებაზე სხვა ობიექტური პირობების გარდა ისეთი ფაქტორებიც მოქმედებენ, რომელთაც, ჩვეულებრივ, ადამიანის მოქმედების „სუბიექტურ ფაქტორებს“ უწოდებენ. ადამიანის მოღვაწეობის ზოგადი, ფილოსოფიური თვალსაზრისით განხილვისას ასეთ „სუბიექტურ ფაქტორებს“, სამწუხაროდ, ხშირად განიხილავენ, როგორც უარყოფით ძალებს.

ადამიანის ფსიქიკური აქტიობის ასეთი შინაგანი მარჯანიზებული კანონზომიერება ზოგჯერ მართლაც საფუძველად ედება არამორალურ და საზოგადოებრივად მიუღებელ ქცევას, მაგრამ აღნიშნული კანონ-

ზომიერების ზემოქმედებას არა მხოლოდ ასეთი ქცევა, ადამიანთა ყოველგვარი აქტიობა განიცდის.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ განწყობის საფუძველზე აღმოცენებული ცნობიერების შინაარსი და პიროვნების ქცევა არა მხოლოდ სინამდვილისადმი თანხმობაში მოყვანილი, არამედ თვით, როგორც ფსიქიკური აქტიობა, ორგანიზებულაა, შინაგან თანხმობაში იმყოფება და ერთიანი შინაგანი სტრუქტურით ხასიათდება. აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ ფსიქიკურ პროცესებში შინაგანი შეთანხმებულობა და გარკვეული სტრუქტურული კავშირურთიერთობა ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. ამ მდგომარეობის საწინააღმდეგო, კონფლიქტური ვითარების აღმოცენების დროს ფსიქიკური სისტემა გაურბის მას, ცდილობს ამ შეუთანხმებულობის შემციირებას, რაც თვითორგანიზაციის აქტიობაში გამოიხატება.

ამჟამად ჩვენს ამოცანას იმ გზებისა და კანონზომიერებების დახასიათება წარმოადგენს, რომლითაც ხდება ადამიანის ფსიქიკური პროცესების რეორგანიზაცია, „რეპარმონიზაციის პროცესი“.

აღსანიშნავია, რომ ის გზები, რომლითაც ხდება რეპარმონიზაციის პროცესები, ხშირად არალოგიკური, გაუგებარი ჩანს. ზოგჯერ ადამიანის დიდი მონდომება — ლოგიკური და აზრიანი ვახადოს თავისი პოზიცია, მიზანს ვერ აღწევს. ეს მდგომარეობა კარგად არის გამოხატული კრილოვის არაკში „მგელი და კრავი“, სადაც მგელი გულმოდგინედ ცდილობს დასაბუთებული და მისაღები სახე მისცეს თავის აზრს კრავის შექმნის სამართლიანობის შესახებ. ასეთი სიტუაციები ხშირად გვხვდება ადამიანებთან განწყობისეულ-იმპულსური მოქმედების დროს, როდესაც სასურველ ქცევას სამართლიანი და მისაღები სახე გვიხდა მივცეთ. ადამიანი ხშირად ასევე ექცევა თავისთავს. ანალოგიური მეთოდების გამოყენებით ადამიანები ხშირად ცდილობენ ლოგიკური და მისაღები სახე მისცენ გარკვეულად სასარგებლო, მაგრამ სოციალურად მიუღებელ ქცევას. ადამიანები ხშირად გარკვეულ „თეორიებს“ აყალიბებენ, რომლებითაც ცდილობენ გაამართლონ თავისი ამორალური და ასოციალური ქცევები ქურდობა, მექრთამეობა, ალკოჰოლიზმი და სხვა. ამგვარი ლოგიკური ხერხები და რაციონალიზაციის მეთოდები მეორად საშუალებებს წარმოადგენენ, რომლითაც ცდილობენ განწყობისეული, სოციალურად მიუღებელი და მავნე იმპულსების დაფარვას. ასოციალური ქცევების „რაციონალიზაციისა და თეორეტიზირების“ ამ ტენდენციას ფსიქოლოგიური კანონების გაუთვალისწინებლობის გამო ხშირად „ირაციონალურ ტენდენციებს“ უწოდებენ. მაგრამ ადამიანის ფსიქიკის ბუნების წვდომის შემდეგ შესაძლებელი ხდება იმ კანონთა

დადგენა, რომლის მოქმედების ბუნებრივ შედეგსაც აღნიშნული ფსიქიკური აქტიობა წარმოადგენს.

ადამიანის ფსიქიკური აქტიობა სპეციფიკური კანონზომიერებით ხასიათდება, რომლის „სტრუქტურისა და ლოგიკის“ წვდომა სოციალური ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანია ფსიქიკური რეპარმონიზაციის კანონი.

ამ თვალსაზრისით საინტერესო შედეგებია მოპოვებული ჰეიდერის გამოკვლევაში, რომელიც ადამიანთა აფექტური ურთიერთდამოკიდებულების ფორმირების საკითხებს ეხება¹. ამ გამოკვლევაში ფაქტურად განწყობისეული რეპარმონიზაციის ტენდენციის შესწავლაა ნა-
ცადი.

ჰეიდერის მიხედვით ადამიანი, როგორც შემშენებელი სისტემა, სინამდვილესთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში გარკვეული აფექტური ლოგიკის ტენდენციებს ემორჩილება. თუ ადამიანს გაზიარებული აქვს გარკვეული დებულება, მის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გააჩნია, მას ამის გამო სხვა ადამიანებთან გარკვეული სახის დადებითი ან უარყოფითი ემოციური დამოკიდებულების ტენდენცია უჩნდება. იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც მოსწონთ მის მიერ მიღებული დებულებები, მას დადებითი დამოკიდებულება უყალიბდება, ხოლო მათ მიმართ, რომლებსაც მისი შეხედულებები არ მოსწონთ, პირიქით, უარყოფითი დამოკიდებულება ექმნება. ეს აფექტური ტენდენციები სხვა ადამიანების მიმართ ადამიანთა ურთიერთობის მორგანიზებელი ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის ამოცანას წარმოადგენს.

ჰეიდერმა ანალიზის სფერო ექსპერიმენტულად ორი ადამიანით p -თი და o -თი, ხოლო ობიექტი x -ით შემოფარგლა. ობიექტი x შეიძლება ყოფილიყო საგანი, იდეა, რაიმე მოვლენა ან მესამე ადამიანი.

ჰეიდერის გამოკვლევის ობიექტი იყო p -ის ცნობიერებაში მოცემული პროცესების სტრუქტურის რეორგანიზაციის კანონზომიერებანი. p -ს, o -ისა და x -ის სხვადასხვაგვარი ურთიერთობის დროს, p და o ადამიანების ურთიერთობების დახასიათებისათვის პიროვნების ორგვარი მდგომარეობა იქნა გამოყენებული: მოწონება-არმოწონება. p პიროვნებას შეიძლება მოსწონდეს ან არ მოსწონდეს მეორე o პიროვნება და x ობიექტი. ასეთივე მდგომარეობაში შეიძლება იყოს o პიროვნება p პიროვნებისა და x ობიექტის მიმართ. მოცემული ელემენტების და მათი დამოკიდებულების ამ სახეთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება


¹ Heider F. The Psychology of Interpersonal Relations. N. V. Wiley, 1958.

სხვადასხვა სახის ტრიალული სისტემების შექმნა. მაგალითად, როდესაც p და o პიროვნებას მოსწონთ ერთმანეთი, ამავე დროს p პიროვნებას მოსწონს x ობიექტი და o პიროვნებას მოსწონს x ობიექტი, ასეთ შემთხვევაში p პიროვნების ცნობიერებაში (ასევე o პიროვნების ცნობიერებაში) ბალანსური კოგნიტური სისტემა იქმნება. მართლაც, თუ ადამიანი დადებით დამოკიდებულებაშია მეორე ადამიანთან და ამავე დროს ორივე დადებითად უყურებს გარკვეულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ცხადია, მათ ბალანსური მდგომარეობა აქვთ და მათ შორის არაერთარ კონფლიქტს არა აქვს ადგილი. მაგრამ როდესაც ადამიანები დადებით დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და ამავე დროს ერთი დადებით, ხოლო მეორე უარყოფით დამოკიდებულებაშია გარკვეულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, ასეთ შემთხვევაში ამ ადამიანებს შორის არაბალანსური მდგომარეობა იქმნება. ეს არაბალანსური მდგომარეობა ერთგვარ კონფლიქტს იწვევს მათ შორის და, როგორც გამოირკვეა, ადამიანებს ტენდენცია უჩნდებათ რაიმე გზით თავი დააღწიონ ამ არაბალანსურ მდგომარეობას.

ორი ადამიანის ურთიერთობის კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ მათ შორის შესაძლებელია ოთხი სახის ბალანსური და ოთხი სახის არაბალანსური მდგომარეობა არსებობდეს. ეს მდგომარეობანი სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება გამოიხატოს:

ბ ა ლ ა ნ ს უ რ ი
მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ე ბ ი

ა რ ა ბ ა ლ ა ნ ს უ რ ი
მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ე ბ ი



აღნიშნულ სქემებში p წერტილი მოცემულ პიროვნებას გამოხატავს, რომლის ცნობიერების კოგნიტური, სისტემის განხილვა ხდება. o წერტილი მეორე ადამიანს გამოხატავს, ისარი—ადამიანის მეორე პირის ან ობიექტის მოწონებას, პუნქტირებიანი ისარი კი უარყოფითი დამოკიდებულების აღმნიშვნელია. ამ შემთხვევათა სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, თუ რა ლოგიკით ხასიათდება ადამიანთა

ურთიერთობის პროცესში აღმოცენებული პიროვნების ცნობიერების ბალანსური მდგომარეობა. როდესაც პიროვნებას დადებითი დამოკიდებულება აქვს მეორე ადამიანთან, მაშინ მათი ერთნაირი დამოკიდებულება (დადებითი ან უარყოფითი) მესამე ობიექტის მიმართ საკმარისია იმისათვის, რომ პიროვნების ცნობიერების ბალანსური მდგომარეობა გამოიწვიოს. პიროვნების ცნობიერების ბალანსური მდგომარეობა იმ შემთხვევაშიც მიიღება, როდესაც პიროვნებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მეორე ადამიანის მიმართ და ისინი ამავე დროს განსხვავებულ დამოკიდებულებაში არიან მესამე ობიექტისადმი. ყველა სხვა ვითარებაში პიროვნების ფსიქიკაში არაბალანსური მდგომარეობა იქმნება.

ბალანსის თეორიის ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერების არაბალანსური ვითარება პიროვნებაში გარკვეული მიმართულების აფექტურ ტენდენციას ბადებს. არაბალანსური ვითარება პიროვნებას, როგორც კოგნიტურ სისტემას, უბიძგებს ფსიქიკის ჰარმონიული არაკონფლიქტური მდგომარეობისაკენ.

ჰეიდერის ეს დებულება შემდგომშიც იქნა დადასტურებული ექსპერიმენტული გამოკვლევებით. ოორდანის ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე დასაბუთდა, რომ ცდისპირები, რომლებიც ექსპერიმენტულ სიტუაციაში არაბალანსური მდგომარეობის გამოიწვევ ვითარებაში იყვნენ ჩაყენებული, უსიამოვნო ემოციურ განცდებს იღებდნენ ექსპერიმენტებიდან, განსხვავებით იმ ცდისპირებისაგან, რომლებიც ბალანსური მდგომარეობის აღმძვრელ სიტუაციაში იმყოფებოდნენ¹.

ჰეიდერის ბალანსის ცნება, როგორც ვხედავთ, ისეთი ფსიქიკური პროცესების ჰარმონიზებას ეხება, რომელშიც ადამიანთა ურთიერთობის ემოციურ-აფექტური ასპექტის, მოწონება-არმოწონების განცდების რეგულაციის საკითხებს განიხილავდა. მაგრამ ნიუკომბის გამოკვლევების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ბალანსირების ტენდენციას ადგილი აქვს ადამიანთა არა მხოლოდ ემოციურ ფსიქიკურ სფეროში, არამედ საერთოდ ადამიანების განწყობათა ურთიერთობისა და ორგანიზაციის პროცესში. ნიუკომბიც ჰეიდერის შსგავსად იკვლევდა A და B პიროვნებათა ურთიერთობის, მათი დამოკიდებულების საკითხს X ობიექტთან.

ნიუკომბმა გამოიკვლია მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი სტუდენტების დამოკიდებულება ტრუმენისადმი. გამოკითხული 48 პროტრუმენისტი სტუდენტიდან ყველამ განაცხადა, რომ მათი ახლო მეგობ-

¹ Jordan N., Behavioral forces that are the function of attitudes and of cognitive organization. Human Relations, vol. 6, 1956, p. 275-298.

რებიც დადებით დამოკიდებულებაში იმყოფებიან ტრუმენისადმი, ხოლო ტრუმენისადმი ოპოზიციასში მყოფი სტუდენტები მათი მეგობრების წრიდან არ იყვნენ. ანტიტრუმენისტული განწყობის მქონე 36 სტუდენტიდან მხოლოდ 2 სტუდენტს ჰყავდა ტრუმენისადმი დადებითი განწყობის მქონე ამხანაგი, დანარჩენი 34 სტუდენტის უახლოესი მეგობარი, ისევე როგორც თვითონ, ანტიტრუმენისტი იყო. ნიუკომბის აზრით, ფსიქიკაში არსებული „სიმეტრიისადმი სწრაფვის ტენდენცია“ გავლენას ახდენს ადამიანთა განწყობებზე და დადებით დამოკიდებულებაში მყოფი ადამიანების განწყობებს ერთნაირს ხდის¹. ნიუკომბის „სიმეტრიისადმი სწრაფვის ტენდენცია“, ჩვენი აზრით, იგივე ბალანსისადმი სწრაფვის ტენდენციას წარმოადგენს. ბალანსის თეორიის გადმოცემისას ამ მკვლევართა გარდა ასევე ხშირად ოსგულისა და ტენენბაუმის შრომებზეც მიუთითებენ². ოსგულმა და ტენენბაუმმა ბალანსის თეორია შემდგომ დაამუშავეს იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულიყო, თუ რა მიმართულებით უნდა ვეძიოთ ადამიანის განწყობების ცვლილებები, როდესაც ის არაბალანსურ ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფება.

ოსგული და ტენენბაუმი ფიქრობენ, რომ ფსიქიკის ის ტენდენცია, რომელზეც ჰეიდერი მიუთითებდა, როგორც არაბალანსურ მდგომარეობაში აღმოცენებული ფსიქიკის მარჯვნივებულ შინაგან სტიმულზე, ადამიანთა რეალური ურთიერთობის არსებობას არ მოითხოვს. ეს ტენდენცია თვით პიროვნების ფსიქიკის შინაგანი სტიმულია, რომელიც ცნობიერების გარკვეული ორგანიზაციისაკენ, როგორც ისინი უწოდებენ — კონგრუიტობისაკენ, სწრაფვაში გამოიხატება.

როდესაც ადამიანის ფსიქიკაში ამ ორგანიზებული მდგომარეობის საწინააღმდეგო, ინკოგრუიტული მდგომარეობა იქმნება, ჩვენ შეგვიძლია იმის გარკვევა, თუ რა მიმართულებით უნდა შეიცვალოს ადამიანის განწყობები და ორიენტაციები.

ადამიანს ყოველთვის აქვს განწყობების გარკვეული სისტემა. მათ საფუძველზე იგი გამოთქვამს გარკვეულ მსჯელობებს, რომლებიც შესაძლებელია გარკვეული სისტემის სახით დალაგდეს. ოსგულისა და ტენენბაუმის აზრით, ადამიანის ფსიქიკას აქვს ტენდენცია კონგრუიტობისადმი, რომელიც მასში მოცემულ მსჯელობებსა და შეხედულებებს უკეთესად ორგანიზებული და მარტივი სისტემის სახით ჩამოყალიბებისაკენ უბიძგებს. ამგვარი შინაგანი ორგანიზაციის საფუძველზე პიროვნება მოვლენათა და საგანთა ზემოქმედების დროს ისეთ

¹ Newcomb T. M. Individual systems of orientation. In S. Koeh (Ed.) Psychology a study of a science vol 3, Formulation of the person and the social context, N. Y. McCreaw-Hill, 1954.

² Krech D., Crutchfield R., Ballachey E. Individual in Society. N Y. Mc Craw-Hill book Co.. 1962. p. 41—48.

ცვლილებებს განიცდის, რაც საბოლოო ჯამში ზრდის მის შეთანხმებას, პარამონიზებას გარემოსადმი. ამ ვითარების ლემონსტრიკებას ოსკულდი და ტენენბაუმი შემდეგი მაგალითების საფუძველზე ახდენენ: ვთქვათ, პიროვნება რომელიმე მოღვაწეს მისი საქმიანობის საფუძველზე დადებითად აფასებს; თუ პიროვნება ამავე დროს პრესის თავისუფლებას დადებითად უყურებს და, როგორც გამოირკვა, x მოღვაწეც დადებითად აფასებს მას, მაშინ ჩვენ პიროვნების ფსიქიკაში კონგრუიტული მდგომარეობა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში პიროვნების განწყობებს არაფერი ეწინააღმდეგება, ისინი პიროვნებაში ფიქსირებული განწყობების სახით ინახებიან და საჭირო შემთხვევაში იწყებენ სათანადო მოქმედებას. მაგრამ, ვთქვათ, პიროვნება რომელიმე გაზეთს უარყოფითად აფასებს, მის მიმართ უარყოფითი განწყობა აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს გაზეთი კამპანიას ატარებს ხელოვნების გარკვეული მიმართულების დასაცავად, რომელსაც პიროვნება სავსებით ეთანხმება და აქტიურად იცავს კიდევ. ამ შემთხვევაში პიროვნებას ფსიქიკაში ინკოგრუიტული, კონფლიქტური მდგომარეობა უყალიბდება. ფსიქიკის ასეთი ინკონგრუიტობა თავის მხრივ პიროვნებაში ამ დისპარმონიული მდგომარეობის ლიკვიდაციის ტენდენციას აღძრავს. პიროვნების განწყობები ასეთ ვითარებაში ორი მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს: 1. მან შეიძლება შეიცვალოს უარყოფითი განწყობა გაზეთის მიმართ და დადებითი განწყობა გაუჩნდეს; 2. შეიძლება შეიცვალოს დადებითი განწყობა ხელოვნების აღნიშნული მიმდინარეობის მიმართ საწინააღმდეგეთი. რა მიმართულებით შეიცვლება აღნიშნული პიროვნული ორიენტაციები — ძირითადად იმზეა დამოკიდებული, თუ რომელი განწყობა იქნება უფრო სუსტი, ნაკლებფიქსირებული და აქტიუალური.

ასეთი კონფლიქტური, ინკონგრუიტული ფსიქიკური მდგომარეობა პიროვნებას, შესაძლებელია, საკუთარ შეხედულებაშიც გაუჩნდეს. მაგალითად, შეიძლება ასეთი მდგომარეობა განვიხილოთ: x პიროვნება იცავს ყველასათვის სიტყვის თავისუფლების იდეას, მას სწამს, რომ სიტყვის თავისუფლება არის საზოგადოების რაციონალური ორგანიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ამავე დროს, ვთქვათ, პიროვნება ილაშქრებს სიტყვის საყოველთაო თავისუფლების წინააღმდეგ. თუ ასეთ სიტუაციაში x პიროვნება ემხრობა იმას, რომ y პიროვნებას უნდა აეკრძალოს ამ მიუღებელი აზრების პროპაგანდა, მაშინ მას ადრე თუ გვიან ინკოგრუიტული ფსიქიკური მდგომარეობა გაუჩნდება.

თუ x პიროვნება ემხრობა იმ შეხედულებას, რომ y პიროვნებას უნდა აეკრძალოს მიუღებელი აზრების პროპაგანდა, მაშინ ის ფაქტიურად დგება y პიროვნების შეხედულებაზე, რომლის მიხედვითაც ყვე-

ლა არ უნდა სარგებლობდეს სიტყვის თავისუფლებით და ზოგს აეკრძალოს გარკვეული შეხედულებების გავრცელება. ხოლო მეორე მხრივ, თუ x პიროვნება დადებითად ეკიდება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ყველა უნდა სარგებლობდეს სიტყვის თავისუფლებით, მაშინ ის უარყოფითად უნდა განეწყოს y პიროვნებისათვის მიუღებელი აზრების პროპაგანდის აკრძალვას. იგი უნდა ემზრობოდეს იმას, რომ y პიროვნებამ თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც ეს აზრი x პიროვნებისათვის სრულიად მიუღებელი იყოს.

პიროვნებას ინკონგრუიტიული, არაბალანსური მდგომარეობა ექმნება მაშინ, როდესაც იგი ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგაომორიციხავ შეხედულებებს იღებს, როდესაც მათ მიმართ დადებითი განწყობები აქვს. შექმნილი ინკონგრუიტიული ფსიქიკური მდგომარეობა კი მას უბიძგებს მისი აღმოფხვრისაკენ, ბალანსური მდგომარეობის დამყარებისაკენ. ამ შემთხვევაში x პიროვნების განწყობის შეცვლა შეიძლება ორი მიმართულებით მოხდეს: ა) შესაძლებელია x პიროვნებამ შეიცვალოს აზრი ყველასათვის სიტყვის თავისუფლების მინიჭების შესახებ და გაიზიაროს შეხედულება, რომ სიტყვის თავისუფლება უნდა მიეცეს მხოლოდ იმას, ვინც დემოკრატიულ და მისაღებ იდეებს ქადაგებს. ბ) შესაძლებელია მან შეიცვალოს შეხედულება პიროვნებისათვის სიტყვის თავისუფლების მინიჭების შესახებ და მისაღებად ჩათვალოს y პიროვნებისათვის სიტყვის თავისუფლების მინიჭება, მიუხედავად იმისა, თუ რა აზრების პროპაგანდას გასწევს იგი.

კონგრუიტიობის ამგვარი თეორიის მიხედვით, როგორც ვხედავთ, გარკვეული ბალანსური ორგანიზაციით ხასიათდება არა მარტო ადამიანის ურთიერთობის პროცესი გარემოსთან და სხვა ადამიანებთან, არამედ ადამიანის შეხედულებების სისტემაც, მისი ცნობიერების სტრუქტურა. ამ თვალსაზრისით ლოგიკური გამომდინარეობა, როგორც ადამიანის ცნობიერების მიმდინარეობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, თავის ენერგეტიულ საფუძველს ადამიანის ფსიქიკური ორგანიზაციიდან იღებს. მაგრამ, ცხადია, ეს აზრი ისე არ შეიძლება გავიგოთ, თითქოს ადამიანის ფსიქიკური ორგანიზაცია თავისთავად თვით არის განმსაზღვრელი ლოგიკური გამომდინარეობისა და საერთოდ საგნობრივი ლოგიკისა. პირაქით, საგნობრივი სინამდვილის ზოგადი სტრუქტურული კანონზომიერება ასახულია და ჩაქსოვილი ცოცხალი ინდივიდის აქტიობაში. ადამიანის ფსიქიკური განვითარების კვალობაზე ხდება ამ სტრუქტურის სხვადასხვა მხარის გამოდიფერენცირება და გაცნობიერება.


ოსგულმა და ტენზიუნაუმმა ექსპერიმენტულად შეისწავლეს ადამიანის ფსიქიკის დინამიკის საკითხები და ინკონგრუიტიობის შემთხვევა-

ში განწყობის შეცვლის მიმართულების კანონზომიერებანი¹. მათ სცადეს გაერკვიათ განწყობათა ურთიერთგავლენის კანონზომიერებანი, როდესაც მათ შორის შეთანხმებულობა ან შეუთანხმებლობა არსებობს. მათ საკვლევად გამოიყენეს ადამიანის დამოკიდებულება გარკვეული გაზეთებისა და მათ მიერ განხილული საკითხების მიმართ.


აღმოჩნდა, რომ განწყობები გაზეთისა და მასში განხილული რომელიმე საკითხის მიმართ მტკიცდება ან სუსტდება და იცვლება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებას იჩენს გაზეთი მასში განხილული საკითხისადმი.

ვთქვათ, პიროვნებას (პ) დადებითი დამოკიდებულება აქვს გარკვეული გაზეთის (გ) და რომელიმე საკითხის (ს) მიმართ. თუ ეს გაზეთი დადებით დამოკიდებულებას ამქვლევანებს აღნიშნული საკითხისადმი, ასეთ შემთხვევაში ირკვევა, რომ პიროვნების ცნობიერებაში თურმე კონგრუენტული, ბალანსური მდგომარეობა წარმოიშობა. სხვაგვარ ვითარებაში პიროვნების ცნობიერებაში განსხვავებული მდგომარეობანი წარმოიქმნება, რომლებიც შესატყვის გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკურ აქტიობაზე. კონგრუენტობის თეორიის მიხედვით, შესაძლებელი ხდება ორგვარი ზოგადი მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი. ესენია ცნობიერების კონგრუენტული და ინკონგრუენტული მდგომარეობანი. ეს ვითარება, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

პირობები, რომლებიც ცნობიერების კონგრუენტულ მდგომარეობას ქმნიან



პირობები, რომელშიც ცნობიერების ინკონგრუენტული მდგომარეობა აღმოცენდება



სქემაში სამკუთხედის წვეროებზე მოთავსებული მსხვილი წერტილები პიროვნებას, გაზეთსა და საკითხს გამოხატავენ, მთლიანი ხაზები-

¹ Osgood C. E., Tannenbaum P. H. The principle of congruity in the prediction of attitude change Psychol. Rev., 1965, 62, p. 42-55.

საგან შემდგარი ისრები დადებით დამოკიდებულებას, პუნქტირიანი ხაზებისაგან შედგენილი ისრები კი — უარყოფით განწყობებს.

ოსგულისა და ტენენბაუმის აზრით, კონგრუიტობის თეორიის საფუძველზე შესაძლებელია პიროვნების განწყობათა შეცვლის მიმართულების წინასწარმეტყველება. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ თუ ვიცით რა დამოკიდებულება ატიტუდი აქვს პიროვნებას გაზეთის მიმართ, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა დამოკიდებულება შეექმნება მას გაზეთის მიერ პროპაგანდირებული საკითხებისადმი. ასევე, პირიქით, თუ ვიცით რა ატიტუდები აქვს პიროვნებას გაზეთში პროპაგანდირებული საკითხების მიმართ, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ რა ატიტუდები შეუძმუშავდება და განუმტკიცდება მას გაზეთისადმი. როდესაც პიროვნებას გარკვეული განწყობა აქვს როგორც გაზეთის, ისე მასში პროპაგანდირებული საკითხების მიმართ, მაშინ უთანხმოების სიტუაციის გაჩენის შემთხვევაში მას ინკონგრუიტული მდგომარეობა აღმოუცენდება. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ტენდენცია პიროვნებას აიძულებს შეიცვალოს ატიტუდები გაზეთის ან საკითხის მიმართ. თუ რისადმი შეეცვლება ატიტუდები პიროვნებას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ობიექტის მიმართ გააჩნია მას უფრო ძლიერი და უკიდურესი ატიტუდები.

აღნიშნული მოდელის გამოყენებით ოსგულმა და ტენენბაუმმა ცდები ჩატარეს 405 სტუდენტზე. აღმოჩნდა, რომ კონგრუიტობის თეორია განწყობის განმტკიცებისა და შეცვლის კარგ წინასწარმეტყველებას ახდენს. როდესაც სხვადასხვა ატიტუდები კონგრუიტულ მდგომარეობაში იმყოფება, ფუნქციონის შემთხვევაში განმტკიცებას განიცდის, ხოლო როდესაც პიროვნების ფსიქიკაში ინკონგრუიტული მდგომარეობა ყალიბდება, ცდისპირებს ატიტუდები თეორიის მიერ ნაქარნახევი მიმართულებით ეცვლებით.

კონგრუიტობის პრინციპის მოქმედებისას თავი იჩინა კიდევ ერთმა მაინტერესო ტენდენციამ, რომელსაც აღნიშნულმა ავტორებმა საგანგებოდ გაუსვეს ხაზი. ოსგული და ტენენბაუმი უჩვენებს, რომ ინკონგრუიტობის მდგომარეობის აღმოცენებისას ყოველთვის არ ხდება კონფლიქტური ატიტუდების შეცვლა. ასეთ სიტუაციებში ცდისპირებს ზოგჯერ უჩნდებათ ექვის ან უნდობლობის განცდა, რომელიც ასევე გამოსავალს წარმოადგენს შექმნილი არაბალანსური მდგომარეობიდან. ეს შედეგები არ ეწინააღმდეგება ბალანსისა და კონგრუიტობის თეორიის ძირითად პრინციპებს, მაგრამ ამ თეორიის შემდგომ დეტალიზებას და დაზუსტებას მოითხოვს. ზემოგანხილული ექსპერიმენტული გამოკვლევები იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეული აქტიობისას სხვადასხვა ფსიქიკურ კომპონენტებს შორის უთავსებადი, კონფლიქტური მდგომარეობის აღმოცენების დროს პიროვნების ფსიქიკაში ჩნდება რეპარმო-

ნიზაციის, შინაგანი თანხმობის მდგომარეობაში მოყვანის ტენდენცია. ჩვენ განვიხილეთ რეპარმონიზების პროცესთა მაჩვენებელი ექსპერიმენტული მონაცემები. ვნახეთ, როდესაც ცდისპირები ერთმანეთთან შეუთავსებელ მოტორულ აქტიობას და შეფასებას ახდენენ, შემდგომში ხდება ამ შეუთავსებლობის აღკვეთა, ასევე, როდესაც ადამიანებს უჩნდებათ შეუთავსებადი ემოციურ-აფექტური დამოკიდებულება სხვა ადამიანებისა და ობიექტების მიმართ, აქაც განწყობისეული რეპარმონიზაციის ტენდენცია იჩენს თავს. იგივე ვითარება ჩუო დადასტურებული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ადამიანს კონფლიქტური ატიტუდები გააჩნია სხვა ადამიანებისა და ობიექტების გარკვეული კომპლექსის, სისტემის მიმართ.

მაგრამ საგანგებოდ გვინდა გაუუსეთ ხაზი იმას, რომ მკვლევრები აღნიშნულ კანონზომიერებას მიაწერენ პიროვნებას ან ადამიანის ფსიქიკას ზოგადად, განწყობის ისეთი ცნების აღიარების გარეშე, რომელიც პიროვნების ფსიქიკური ძალების გარკვეული ქცევისათვის გაერთიანების და მომზადების მდგომარეობას გამოხატავს. ნამდვილად კი ადამიანს გარკვეულ ფსიქიკურ მონაცემთა რეპარმონიზების, თავსებად მდგომარეობაში მოყვანის ტენდენცია მაშინ უჩნდება, როდესაც იგი გარკვეული განწყობის საფუძველზე იწყებს მოქმედებას, გარკვეული მიმართულებით ახორციელებს აქტიობას. უთავსებად, კონფლიქტურ მდგომარეობაში არსებულ ფსიქიკურ მონაცემთა რეპარმონიზების ტენდენცია ადამიანს მხოლოდ მაშინ უჩნდება, როდესაც იგი გარკვეული განწყობით მოქმედებს. როცა გარკვეული განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს ადამიანი ახდენს თავისი ფსიქიკური ძალებისა და შინაარსების ფოკუსირებას ერთი მიმართულებით, სწორედ მაშინ ჩნდება უთავსებად მდგომარეობაში მყოფ ფსიქიკურ მონაცემთა რეპარმონიზების ტენდენცია.

ადამიანს თავისთავად შესაძლებელია ჰქონდეს ერთმანეთის საწინააღმდეგო წარმოდგენები, აზრები, შეხედულებანი, ატიტუდები და სხვა, მაგრამ მათი შეუთავსებლობა და კონფლიქტურობა მაშინ შეიძლება განიცადოს ადამიანმა, როდესაც გარკვეულ ქცევაში იყრიან თავს, როცა ადამიანი გარკვეული განწყობის საფუძველზე მოქმედებისას მოახდენს მათ აქტივაციას. მხოლოდ ასეთ ვითარებაში ერთიან ფსიქიკურ სიტუაციაში შეხვედრის დროს ხდება ქმედითი მათი შეუთავსებლობა; ადამიანს გარკვეული განწყობის საფუძველზე მოქმედების დროს უჩნდება მათი რეპარმონიზების ტენდენცია.

შინაგანი რეპარმონიზებისაგინ შეცვლის კანონზომიერება ფსიქიკურ პროცესებზე განწყობის ზემოქმედების შედეგად ხორციელდება. იგი განწყობის მოქმედების კანონზომიერებაა. მისი ზემოქმედების ნი-

დაგზე ხდება თვით განწყობის აქტუალიზაცია-დეზაქტუალიზაცია, ფიქსირება და შეცვლა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ მოტანილი ექსპერიმენტული მასალა იმაზე მიუთითებს, რომ განწყობა, როგორც ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი მთლიანი მდგომარეობა, ადამიანის ცალკეულ ფსიქიკურ პროცესთა რეჰარმონიზაციასავე, ურთიერთთან შეთანხმებისაკენ უბიძგებს. ეს ზოგადი განწყობისეული ტენდენცია, რაც განწყობის ბუნებიდან გამოდის, შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ რა მიმართულებით შეიძლება მოხდეს ადამიანის აზრების, ემოციების, ნებელობის, შეხედულებების, ორიენტაციებისა და სხვა ფენომენების ფორმირება-ჩამოყალიბება. ეს განწყობისეული ტენდენცია ადამიანის ფსიქიკის ზოგადი დინამიკის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს გამოხატავს.

10. პიროვნების უორამირების ზოგიერთი შინაგანო სტრუქტურული დებამინანტის შესახებ

რეალური პიროვნება, რომელიც სხვა ადამიანთა შორის, სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სხვადასხვა ასპექტით შეიძლება იქნეს განხილული. ადამიანი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ბიოლოგიური მომწიფების გარკვეულ გზას გაივლის, რის გარეშეც შეუძლებელია სოციალურ ურთიერთქმედებაში მისი ჩართვა. მაგრამ ადამიანის მომწიფება სპონტანური, თავისთავადი პროცესი არაა. იგი ფიზიკური და სოციალური გარემოს ინტენსიური ზემოქმედების ფონზე ხდება, რასაც ფიზიკური და სოციალური გამოცდილების მიღება სდევს თან. ამ თვალსაზრისით პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი მომწიფებისა და განვითარების სახით უნდა იქნას განხილული.

ამ პროცესის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მომწიფება-განვითარების პროცესი, რომელიც ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების ვითარებაში ხორციელდება, შეუძლებელია გაგებულ იქნეს იმ სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინების გარეშე, რითაც ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, ხასიათდება.

ადამიანი თავისი ცხოვრების ყოველ ცალკეულ მომენტში გარკვეული მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ინდივიდის მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა დაკმაყოფილება გარემოს ზემოქმედების შედეგად დარღვეული ნორმალური მდგომარეობის აღდგენას ემსახურება. ადამიანის ამგვარი საქმიანობა სასიცოცხლო პროცესების, მთლიანობითი ფსიქოფიზიკური აქტიობის სახით უნდა იყოს განხილული..

ადამიანის მომწიფება-განვითარება ამგვარი სასიცოცხლო ამოცანების შესრულებასთანაა დაკავშირებული, გრძნობადი პრაქტიკის პროცესში ხდება. პიროვნების ჩამოყალიბება ადამიანის მოთხოვნილება-მისწრაფებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საშუალებათა გარკვეულ სისტემაში გაერთიანებას გულისხმობს. ეს ვითარება ადამიანის ფსიქო-ფიზიკური ძალების განვითარების გარკვეულ დონეზე

იქმნება. ამ დროს ადამიანი აცნობიერებს გარემოს და მას განიხილავს როგორც ორგანიზებულ მოვლენათა ერთობლიობას, რომელშიც თვითონაც არის ჩართული. სინამდვილის მოვლენათაგან ადამიანი, როგორც პიროვნება, თავისთავს გამოდიფერენცირებულად განიცდის. მისი „მე“ მოვლენათა გვერდით მის მიერ განსაკუთრებულ მოვლენად განიცდება. სინამდვილისაგან ამგვარ დიფერენცირებასთან ერთად ადამიანი განიცდის თავის სპეციფიკურ დამოკიდებულებას სინამდვილის სხვა მოვლენების მიმართ. მას უყალიბდება დამოკიდებულებათა გარკვეული სისტემა სინამდვილის მიმართ, რომლებიც განაპირობებენ მის აქტიობას გარემოში. პიროვნების ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას თვითაქტიურობის განცდა წარმოადგენს. პიროვნება განიცდის, რომ მისი მოქმედება, გარემოზე ზემოქმედება მისი მოთხოვნილებებით, სურვილებით, მისწრაფებებითა და შეხედულებებით არის გაპირობებული. ამის გამო პიროვნება საკუთარ თავს გარკვეული ქცევის ავტორად თვლის და მორალურ პასუხისმგებლობას განიცდის მათი შედეგების მიმართ. პიროვნება თავის „მე“-ს გარემოსა და თავისთავის მარგანიზებულ ინსტანციად თვლის. ასეთი თვითგანცდა უსაფუძვლო არაა, რადგან მას, როგორც წესი, რეალური შედეგები მოსდევს. პიროვნება სათანადოდ ცვლის გარემოს, იგუბნს მას და ასევე, მეორე მხრივ, მიზანდასახულად იცვლება, ეგუბება სინამდვილეს. აქტიურობის პროცესში ადამიანს, როგორც პიროვნებას, უყალიბდება გარკვეული პიროვნული ნიშნები, უჩნდება ფსიქიკური მდგომარეობანი და პროცესები.

განვითარების გარკვეულ დონეზე ადამიანი ფსიქოფიზიკური თვისებები, ძალებისა და შესაძლებლობების მთელი სტრუქტურული სისტემა შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც მისი პიროვნება.

სხვადასხვა ფსიქოლოგიურ თეორიაში ყურადღება მიქცეულია პიროვნების სტრუქტურის სხვადასხვა მხარეზე და შესატყვისად ადამიანის განვითარების პროცესში პიროვნების ფორმირების რომელიმე ფაქტორს აქვს მინიჭებული გადამწყვეტი მნიშვნელობა.

1. პიროვნების სტრუქტურის შესწავლისათვის, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ორგვარი მიდგომა გამოიყენება: ფუნდამენტალური და ობიექტური. ადამიანი თავისი პიროვნების შესახებ მონაცემებს საკუთარ თავში „ჩახედვის“, გზითაც იღებს. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენს შესახებ ძალიან ბევრ რამეს სხვებისგანაც ვიგებთ. სხვები ჩვენს პიროვნებაზე შეხედულებებს ჩვენი ქცევების საფუძველზე იყალიბებენ.

ბიპევიორისტულმა ფსიქოლოგიამ, რომელსაც ზოგჯერ „რეველუციასაც“ უწოდებენ ფსიქოლოგიაში¹, დასაწყისში საერთოდ უარი თქვა

¹ П. Фресс, Ж. Пиаже, Экспериментальная психология, Москва, 1966, стр. 65.

თავისი ფსიქიკის „შინაგანი ხედვის“ მეთოდზე და, ყველა სხვა მეცნიერების მსგავსად, ადამიანის პიროვნების შესწავლა მხოლოდ ობიექტური მეთოდების გამოყენებით სცადა. მართალია, უფრო მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ინტროსპექციულ მონაცემებზე აბსოლუტურად უარის თქმის შემდეგ შეუძლებელია ხდება პიროვნების სპეციფიკურობის შესწავლა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ობიექტური ორიენტაციის გაძლიერების საფუძველზე ფსიქოლოგიური მეცნიერების წინსვლა საგრძნობი გახდა.

ბიპევიორისტული თვალსაზრისი პიროვნების მიმართ, რაც მარტივად სტიმულ-რეაქციის (S—R) მოდელით გამოიხატება, პიროვნებას განიხილავს როგორც ღია სისტემას, რომელიც გარემოსთან მატერიისა და ენერჯიის გაცვლას აწარმოებს.

ამ თვალსაზრისით პიროვნება შესწავლილ უნდა იქნეს, როგორც გარკვეული სტრუქტურის მქონე ღია სისტემა, რომელიც ყოველ ზემოქმედებას, სტიმულს გარკვეული რეაქციებით პასუხობს. სტიმულიც და რეაქციაც ობიექტურად დაკვირვებად ცვლადებს წარმოადგენს, შესაძლებელია მათი აღრიცხვა და ობიექტური შესწავლა. სხვადასხვა ღია სისტემის გვერდით პიროვნება შეიძლება ერთ-ერთი სისტემის სახით იყოს განხილული. ასეთი მდგომარეობა პიროვნებას ცნების საქიროებისაგან ათავისუფლებს. მაგრამ ვითარების გამარტივების შედეგად მოპოვებული უპირატესობა მეტისმეტად ძვირად დაუჯდა ბიპევიორისტულ ფსიქოლოგიას. ბიპევიორისტულმა ფსიქოლოგიამ ფსიქიკა დაკარგა. სტიმულებისა და რეაქციების გაზომვათა რთული და ზუსტი მანიპულაციები არავითარ კაეშირში არ აღმოჩნდა პიროვნების ქცევასთან. ეს სრულიად ნათელი გაქდა ფსიქოლოგებისათვის, რასაც უკანასკნელ ხანებში ფენომენოლოგიზმის გაძლიერება მოჰყვა.

პიროვნების ისეთი ღია სისტემის სახით განხილვა, რომლის აქტიობა სინამდვილესთან მატერიისა და ენერჯიის გაცვლით ამოიწურება, სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი პიროვნების დასახასიათებლად.

პიროვნების თეორიების უმრავლესობაში ნაცადია დაძლევა სტიმულ-რეაქციის თეორიის ფიზიკალუზმისა. ფიზიკალისტური თვალსაზრისის დაძლევა პიროვნების ფსიქოლოგიურ თეორიებში ხშირად ისეთი პრინციპების შემოტანით არის ნაცადი, რომლებიც პიროვნების, როგორც სისტემის სასიცოცხლო პროცესების, თავისებურებაზე მიუთითებენ.

II. პიროვნების ბევრი ფსიქოლოგიური თეორია პიროვნების თავისებურებათა გაგებას ადამიანის მოთხოვნილებების გათვალისწინებით ცდილობს. ცნობილია, რომ ადამიანს მოთხოვნილებათა გარკვეული სისტემა გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილებისათვის იგი ქცევითა გარკვეულ სერიებს ასრულებს. ის თეორიები, რომლებიც მოთხოვნილე-

ბათა სისტემების საფუძველზე ცდილობენ პიროვნების ბუნების გაგებას, ბიოლოგიური თეორიების სახელითაა ცნობილი. ასეთ თეორიებში მითითებულია ადამიანის სასიცოცხლო პროცესებსა და მის ძირითად ბიოლოგიურ ტენდენციებზე. ადამიანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მართლაც ხასიათდება საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასათვის საჭირო ქცევის ტენდენციებით. მაგრამ ის პრინციპი და ფსიქოფიზიკური კონზომიერებანი, რომლებიც სფუძვლად ედება ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტიობას, სრულებით არაა საკმარისი ადამიანის სოციალური ბუნების გაგებისათვის.

არსებითად არ იცვლება სურათი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამგვარ თეორიებში სოციალური მოთხოვნილებებიც არის გათვალისწინებული. სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესის გაგება ასეთ თეორიებში იმავე ფსიქოლოგიური მექანიზმით არის ნაცადი, რომლითაც ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ქცევებიც ახსნილი. ამ შემთხვევაში ე. წ. გამაწონასწორებელი მექანიზმები იგულისხმება, რომლებიც მართლაც გააჩნია ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას. მაგრამ სოციალურ აქტიობაში ადამიანის ორგანიზმის წონასწორობის მდგომარეობაში მოყვანა არ იგულისხმება. ფსიქიკური სინამდვილის საფუძველად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, ე. ი. დანაკლისის შეესებასათვის წარმართული აქტიობის გამოცხადება ნიშნავს პიროვნების დაყვანას ჰომეოსტაზის კანონზომიერებაზე. ადამიანის ფსიქიკის არსის ასეთი გაგება პიროვნების ბიოლოგიური კანონზომიერებისადმი დაქვემდებარებას ნიშნავს.

პიროვნების ფსიქიკური აქტიობის სოციალური ბუნება მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ იგი, როგორც ჰომეოსტაზური სისტემა, რომელიც თავისი ძირითადი ბიოლოგიური ტენდენციების გამო გაწონასწორებისაკენ ისწრაფვის, თავის სისტემაში სოციალური გარემოს ობიექტებსაც ჩართავს. ადამიანი სოციალურ ობიექტებთან ურთიერთქმედებაში არსებული ცხოველი არაა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ფრაზა, რომ ადამიანი სოციალური ცხოველია, მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით არის ქვეშაირი. სოციალურ ურთიერთობებში ჩართვის გამო ადამიანს სოციალურ ობიექტებთან ურთიერთობა და მათზე რეაგირება როდი უხდება მხოლოდ. მასში ხდება ისეთი არსებითი ფსიქოლოგიური ცვლილებები, რომლებიც მისი აქტიობის ძირითად პრინციპებსა და კანონზომიერებებს ეხება. ადამიანური აქტიობა სპეციფიკური პიროვნული კანონზომიერებით არის განსაზღვრული, რომელშიც ჰომეოსტაზური, გამაწონასწორებელი მექანიზმებიცაა ჩართული; ამ უკანასკნელებზე ბიოლოგიური თეორიები ამახვილებენ ყურადღებას.

ასეთივე ბიოლოგიური ბუნებისაა ფსიქოლოგიური დაძაბულობის

(მაურერი) კოგნიტური დისონანსისა (ფესტინჯერი) და სხვა კონფლიქტური ვითარების რედუქციის თეორიები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მომრავლდა სოციალურ ფსიქოლოგიაში. ეს თეორიები დასაბამს იღებენ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიიდან. გორდონ ოლპორტის სამართლიანი განცხადებით, ფსიქოანალიზის მიხედვით ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური აქტიობა ძირითადად გამოიხატება „მე“-ს მისწრაფებაში — მიაღწიოს ბალანსურ მდგომარეობას სამ „ტირანს“ შორის: არაცნობიერ „მე“-ს, „ზე-მე“-სა და ცნობიერებას შორის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე და მესამე დონის ფსიქიკურ აქტიობას, ფუნქციობის, შემეცნების, შემოწმებისა და თვითრეალიზაციის ტენდენციებს, რომელთა საფუძველზეც ჩნდება ადამიანის სოციალურ-ფსიქიკური პროცესები და რომელთაც დიდ ღირებულებას ანიჭებს განწყობის თეორია, მაშინ განწყობის ფსიქოლოგიაც შეიძლება ბიოლოგისტურ თეორიად მოგვჩვენებოდეს.

სწორედ ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს ლ. ბოეოვიჩი განწყობის თეორიის მიმართ. მისი აზრით, განწყობის თეორია პიროვნებაში, როგორც სოციალურ მოვლენაში, ხედავს ისეთ ზოგად. ცოცხალი ინდივიდისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც სპეციფიკური არაა პიროვნებისათვის¹. მაგრამ, ცხადია, ეს ასე არაა. მეორე და განსაკუთრებით მესამე დონეზე ფორმირებული განწყობის საფუძველზე ადამიანი სწორედ ისეთ აქტიობას ახორციელებს, ისეთ ფსიქიკურ პროცესებსა და მექანიზმებს იყენებს, რომლებიც, თვითონ ბოეოვიჩის აზრით, სწორედ პიროვნების სპეციფიკურ და არსებით მომენტებად უნდა ჩაითვალოს.

ბიოლოგისტური თეორიები პიროვნების ცნებაში ხაზს უსვამენ სისტემის ისეთ მხარეს, როგორცაა მისი სპეციფიკური მყარი მდგომარეობის მიღწევა-შენარჩუნების ტენდენცია.

ადამიანი, როგორც ღია სისტემა, ცხადია, გარკვეულ გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს გარემოსთან, მაგრამ იგი ცოცხალ ორგანიზმს იმდენად წარმოადგენს, რამდენადაც არ ითქვიფება გარემოში. იგი შეიცავს ტენდენციას, რომ საგნებიდან ზემოქმედების მიღებისა და მათზე უკუ-ზემოქმედების დროს შეინარჩუნოს თავისი სტრუქტურა, დაიცვას შინაგანი ფორმა და წესრიგი.

აღნიშნული თვისება ადამიანს, როგორც ღია სისტემას, რასაკვირველია, ახასიათებს, მაგრამ მასზე მითითება სრულიადაც არაა საკმარისი მისი პიროვნების დახასიათებისათვის. ადამიანი, როგორც პიროვნე-

¹ Л. Н. Божович, Личность и ее формирование в детском возрасте, М., 1966, стр. 138—140.

ბა, გარდა აღნიშნული თვისებებისა, უფრო არსებითი ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც მის სოციალობას უსვავენ ხაზს.

III. პიროვნების ერთ-ერთ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ მისი ქცევა სინამდვილესთან არც მხოლოდ მატერიალურ და ენერჯის გაცვლა-გამოცვლას ემსახურება და არც მხოლოდ თავისი სტრუქტურის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. პიროვნებისათვის ბევრი ისეთი საქმიანობაა დამახასიათებელი, რომლებიც შეუძლებელია ამგვარი ტენდენციების საფუძველზე სრულდებოდეს. დიმიტრი თავდადებულის, ჯორდანო ბრუნოს და მაღალი მიზნებისათვის მებრძოლი სხვა მრავალი ადამიანის ქცევა, რასაკვირველია, შეუძლებელია გაგებულ იქნეს „წონასწორობის ტენდენციის“ ან „შინაგანი დაძაბულობის შემცირების“ მისწრაფებათა საფუძველზე.

მოვალეობის შესრულების ტენდენცია და ადამიანური ცხოვრების აზრის ძიება ადამიანის პიროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს. ასეთი ტენდენციები სულაც არ აწუხებს ცოცხალ ორგანიზმებს. ადამიანის გარდა, ასეთი ტენდენციები ადამიანის აქტიუზის ძალზე დიდ ნაწილს განსაზღვრავს, მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია პიროვნების თავისებურებათა გაგება.

სოციალური ცხოვრების პრაქტისში ადამიანები იღებენ ბევრ ვალდებულებას, რომელთა შესრულება მათ ხშირად შინაგანი უწონასწორო მდგომარეობის გაძლიერების ფასად უკლებათ. სხვადასხვა ვალდებულებათა აღება, საერთოდ ცხოვრების აზრის ძიება, რაც არ უნდა მიუღებელი და ფანატიკური სახით იყოს გამოხატული, ადამიანის ისეთ თავისებურებაზე მუშაობს, რაც მას ბიოლოგიური სამყაროდან გამორჩეულ, სოციალურ ადამიანად აქცევს.

ადამიანი სოციალურ ურთიერთქმედებათა პროცესში იძენს და ამჟღავნებს ღირებულებათა ძიებისა და ვალდებულებებისადმი სამსახურის ტენდენციებს. ადამიანობის ეს ასპექტი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ახალი უწონასწორო მდგომარეობისაკენ სწრაფვაში გამოიხატება და იგი პიროვნების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი შინაგანი ფაქტორის სახით შეიძლება იყოს განხილული.

ადამიანის შინაგანი სამყაროს განვითარება შემდგომი შინაგანი დიფერენციაციისა და გართულების გზით (მარტივი წონასწორობის მდგომარეობათა გადაღაზვის, გარკვეული უწონასწორო მდგომარეობათა ძიების) მიიღწევა. ადამიანის განვითარებაში გარემო გადაშეყუეტ მნიშვნელობას ამგვარი შინაგანი ტენდენციის არსებობის შემთხვევაში იძენს.

ლუარსაბ თათქარიძისებური გაწონასწორებული, მყარი მდგომარეობისადმი ადამიანებს შინაგანი ანტაგონისტური ტენდენციები უჩნდებათ. აღნიშნულ შემთხვევაში, ცხადია, მკვეთრად არის წარმოდგენი-

ლი სტაბილობისა და წონასწორობის უარყოფითი მხარეები, რის გამოც ადამიანები ასევე მკვეთრად განიცდიან მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას. მაგრამ ირკვევა, რომ ყოველგვარი მიღწეული ვითარება, თუ ის მეტისმეტად დიდი ხნის მანძილზე იქცევა სტაბილურ მდგომარეობად, ადამიანებში აღძრავს მის მიმართ ანტაგონიზმს. მიღწეული მდგომარეობისადმი ინტერესის დაკარგვა ადამიანის ახალ მოთხოვნილებათა ძიებისა და ფორმირებისაკენ არის მიმართული. ეს ვითარება ჩვენ უკვე მივეუთითეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის თეორიაში.

ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანის ბუნებრივ ტენდენციებს ხშირად ახალი უწონასწორო მდგომარეობისაკენ და ახალი ღირებულებებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს. ადამიანის პიროვნების ეს თავისებური ტენდენციები სოციალური ურთიერთობის პროცესში ხორციელდება. სოციალური ურთიერთმოქმედების პროცესში ადამიანს უშუშავდება და ექმნება ტენდენციები, რომლებიც დროისა და სივრცის თვალსაზრისითაც შორს სცილდება მისი ბიოლოგიური ყოფის საზღვრებს. სოციალურ გარემოში მოქმედი ძალები და ტენდენციები რეალური და ქმედითი მოვლენები ხდება პიროვნებისათვის.

ვალდებულებებისადმი საშსახურო, სიცოცხლის აზრის ძიება, ღირებულებათა შექმნისადმი სწრაფვა სოციალური ადამიანის ტენდენციებს წარმოადგენს. „ფუნქციონის ტენდენციის“, „თვითრეალიზაციის“, „მთლიანობის დიფერენციაციისა და რეპარმონიზების“, „მნიშვნელობის ძიებისა“ და „როლის“ თეორიებში პიროვნების სწორედ ეს ასპექტებია წინ წამოწეული და განხილული. ამ თეორიების ძირითად დებულებათა მიხედვით ადამიანის ურთიერთობა გარესინამდვილესთან, სათანადო რეაქციები გარემოს მიმართ განსაზღვრულია არა მხოლოდ მისი კანის ქვეშ მდებარე სხეულის მდგომარეობით, ბიოლოგიური ტენდენციებით, არამედ იმ მთლიანი სოციალური ველით, რომელშიც იგი ცხოვრობს. პიროვნების ამ თავისებურებათა გაგება სოციალურ ველში გასვლას, მისი კანონზომიერების გათვალისწინებას მოითხოვს. პიროვნების ფსიქოლოგიური შინაარსის უკეთ გაგებას მაშინ მოვახერხებთ, როდესაც პიროვნებას მისი სოციალური გარემოდან გამოსულ, გამოდიფერენცირებულ მოვლენად განვიხილავთ. შემდგომ, II წიგნში, სადაც ძირითადად ჯგუფის ფსიქოლოგიის საკითხები იქნება წარმოდგენილი, ადამიანის ფსიქოლოგიას სოციალური კავშირურთიერთობების მატრიცის ფონზე შევისწავლით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების, როგორც მთლიანი ღია სისტემის ერთ-ერთი თავისებურება, სინამდვილესთან გაცვლით ურთიერთობაში ყოფნისა და თავისი მდგომარეობის სტაბილიზების ტენდენციების გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს განვითარ-

რების, თვითრელიგიაციის შინაგან ტენდენციას, რაც შემდგომში შინაგანი დიფერენცირებისა და ახალი სახის კანონზომიერებათა გამოვლენის გზით ხორციელდება. ამ ვითარების გამო პიროვნება უფრო დიდი სინამდვილის დიფერენცირებული ერთეული ხდება, რის გამოც მისი ვაგება უფრო ფართო სინამდვილის კანონზომიერებათა ქარგაზე უნდა მოხდეს.

IV. აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანის პიროვნების ერთი თავისებურების შესახებ, რომელიც ხშირად დიდი კამათის საგნად იქცევა ხოლმე ფსიქოლოგიის სხვადასხვა თეორიებს შორის.

პიროვნების თეორიული საკითხების განხილვისას ფსიქოლოგიაში ხშირად მიუთითებენ უნიკალობაზე, როგორც პიროვნების ძირითად თავისებურებაზე. პიროვნება უნიკალური მოვლენაა სინამდვილეში. ამიტომ საჭირო ხდება მისი ვაგება მის უნიკალობაში. პიროვნების გარკვეულ ზოგად კანონზომიერებაზე დაყვანა მისი სპეციფიკურობის უგულვებელყოფა იქნებოდა. ეს საკითხი საკმაოდ რთულია და დახლართული. ა. ფრანგიშვილმა ამ საკითხის განხილვისას განწყობის თეორიის თვალსაზრისით ცხადყო, რომ პიროვნების უნიკალობა სულაც არ გამორიცხავს პიროვნების ზოგად კანონზომიერებაზე მითითების შესაძლებლობას. მან დამაჯერებლად გვიჩვენა პიროვნების ზოგადფსიქოლოგიური ცნების საჭიროება ფსიქოლოგიისათვის და სცადა ამგვარი ცნების ჩამოყალიბება განწყობის თეორიის საფუძველზე.

საზოგადოდ, პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შემსწავლელ მეცნიერთა შორის გაჩნდა ტენდენცია, რომ პიროვნება განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ სოციალური ურთიერთქმედების პროცესში მოცემული ფენომენი, ისინი წინ აღუდგნენ ადამიანის სასიცოცხლო გარემოდან მეტისმეტად გამოყოფილად განხილვის ტენდენციას. ეს თვალსაზრისი ზოგად ფსიქოლოგიაშიც ვავრცელდა და გამოხატულება პოვა ლევის ველის თეორიაში. სოციალური ურთიერთქმედების, როლისა და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორიების მიხედვით ადამიანი შერწყმულია გარემოში და მისი თავისებურება იმ ურთიერთქმედებებში უნდა ამოვიკითხოთ, რომელშიც იგი იმყოფება. ამ თვალსაზრისის დამცველ მკვლევართა მიხედვით, სინამდვილისაგან პიროვნების მეტისმეტად გამოყოფის ტენდენცია დასავლეთის აზროვნებაში ქრისტიანული სულის და სხეულის დაპირისპირების, იგრეთვე იდეალისტური სულის სუბსტანციური ფილოსოფიის ზეგავლენით დამკვიდრდა. პიროვნება საზოგადოებისა და ბუნებისაგან მკვეთრად არაა გამოყოფილი. მისი არსის ვაგება მხოლოდ პიროვნების ჩარჩოში, საზოგადოებისა და ბუნებისაგან მოწყვეტილად შეუძლებელია.

აღნიშნული თვალსაზრისი პიროვნების შესახებ სოციალურ ფსიქო-

ლოგიას საშუალებას აძლევს ადამიანი შეისწავლოს როგორც „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა“, როგორც სოციალური ობიექტი. მაგრამ ამ ქეშმარიტების გათვალისწინებასთან ერთად შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩეს დიალექტიკური მატერიალიზმის მითითება პიროვნების ფსიქიკის სპეციფიკურობის შესახებ, რომლის დაყვანა უფრო დაბალი რანგის კანონზომიერებაზე მექანიცისტურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ამ თვალსაზრისით სოციალური ფსიქოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ სოციალურ ჯგუფებს და მათში მიმდინარე ურთიერთქმედებებს, არამედ იმასაც, — იღებს თუ არა პიროვნება შინაგანად როლს, როგორია მისი განწყობისეული დამოკიდებულება იმ რეალურ კავშირურთიერთობებთან, რომლებშიც იგია ჩართული. როგორც გ. ოლპორტი აღნიშნავს: „ის ფაქტი, რომ ვინმე თამაშობს, ვთქვათ, მასწავლებლის, გამყიდველის ან მამის როლს, მისი პიროვნების შესწავლისათვის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია“, ვიდრე იმის ცოდნა, მოსწონს თუ არა, ან როგორ განსაზღვრავს იგი ამ როლს“¹.

პიროვნების ზოგადი კანონზომიერების დადგენასთან ერთად, რაც სოციალური ფსიქოლოგიის ამოცანას წარმოადგენს, არ უნდა დავივიწყოთ პიროვნების სპეციფიკურობა და უნიკალობა. ამ უნიკალობის წვდომაც სოციალური ფსიქოლოგიის მიზანია. რადგან იგი სოციალური ურთიერთქმედების პროცესში ჩნდება.

¹ Gordon W. Allport. The open system in personality theory. Journal of Abnormal and Social Psychology, 1960, 61, p. 301—311.

ს ა რ ჩ ე ზ ი

1. სოციალური ფსიქოლოგიის საგნის დადგენისათვის საჭირო საკითხების განხილვა.	5
1. 1. ფსიქოლოგიის საგანი	6
1. 1. 1. სინამდვილის მოკლებების ურთიერთობის ფორმები	6
1. 1. 2. მოელენაშვილის ფიზიკური ურთიერთობის ფორმა	7
1. 1. 3. ცოცხალი ინდივიდისა და სინამდვილის ურთიერთობა: როგორც ბიოლოგიური ურთიერთობის ფორმა	9
1. 1. 4. ინდივიდისა და საგნის დამოკიდებულება როგორც არაცნობიერი ფსიქიკური ურთიერთობის ფორმა	13
1. 1. 5. ადამიანის ცნობიერი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, როგორც ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა	16
1. 1. 6. პიროვნული ურთიერთქმედება როგორც ადამიანთა სოციალური ურთიერთობის ფორმა	18
1. 2. სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების საკითხთა სფერო	26
1. 3. შეცნობის საგნის განსაზღვრის ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპები	28
1. 4. სოციალური ფსიქოლოგიის საგანი	30
2. სოციალური ფსიქოლოგიის შეხასწაველი მეთოდები	34
2. 1. თვითდაკვირვება	34
2. 2. სხვის ფსიქიკაზე დაკვირვების მეთოდი	40
2. 3. ექსპერიმენტი	45
2. 4. ექსპერიმენტული სიტუაციის ორგანიზაცია	55
3. სოციალური ფსიქოლოგიის როგორც ფსიქოლოგიის დარგის განვითარება	57
4. გარემო და ფსიქიკური აქტიობის ორგანიზაცია	61
4. 1. ადამიანი როგორც ცოცხალი ინდივიდი	62
4. 1. 1. პირობითი კუშირუბითი გამოლიანების პოსტულატი	63
4. 1. 2. „მთლიანობის დიფერენციაციის“ პოსტულატი	66
4. 1. 3. სინამდვილესთან ინდივიდის ურთიერთობის პროცესში აღმოცენებული საგნობრივი განცდების თავისებურებანი	69
4. 1. 4. ინდივიდის ფსიქიკური აქტიობის ზოგადი სქემა	79
4. 2. ადამიანი როგორც სუბიექტი	81
4. 2. 1. სუბიექტის ფსიქიკური აქტიობის სქემა	103
4. 3. ადამიანი როგორც პიროვნება	105
4. 3. 1. პიროვნების ფსიქიკური აქტიობის სქემა	110
5. ადამიანთა ურთიერთქმედება	123
5. 1. ცალმხრივი სოციალური გავლენის ფორმები და მათი ფსიქოლოგიური ბუნება	124

5. 1. 1. ადამიანთა თანაარსებობისა და თანაქტიობის გავლენა მათ ქვეყნზე	124
5. 1. 2. სწავლა და სოციალური გარემო	148
5. 1. 3. მიზანდა როგორც სოციალური გავლენის ერთ-ერთი სახე	153
5. 1. 4. კონფორმულია როგორც წაბძმებს სოციალური ფორმა	160
5. 1. 5. სოციალური განმტყილება	163
5. 1. 6. ცალმხრივი სოციალური გავლენის ფსიქოლოგიური ბუნება	173
6. იარმარზე ხოციალური ურთიერთქმედების ფორმები და მათი ფსიქოლოგიური ბუნება	178
6. 1. თანამშრომლობა და შეჯიბრი	178
6. 2. შეჯიბრისა და კონფლიქტის ზოგიერთი საყითხი	200
7. კომუნეაცია	204
7. 1. ადამიანური კომუნეაცია	214
7. 1. 1. ინფორმაცია, რომლის გაზიარება ხდება კომუნეაციის პროცესში	227
7. 1. 2. ინფორმაციის გადაცემა	225
7. 1. 3. კომუნეაციის პროცესში ინფორმაციის გადაცემის ფსიქიკური აქტიობა	241
7. 1. 4. კომუნეაციის პროცესში ინფორმაციის მიმღების ფსიქიკური აქტიობა	245
8. მოტეაცია	250
8. 1. იძულებითი მოქმედებისა და თვითაქტიობის განცდა	267
8. 2. იძულებისა და თვითაქტიობის განცდათა საფუძვლები	272
8. 2. 1. იძულებითი ქცევის საფუძვლები	272
8. 2. 2. თვითაქტიობის სახით განცდილი ქცევის საფუძვლები	276
8. 3. ადამიანთა მოთხოვნილებანი და მისწრაფებანი	277
8. 4. ადამიანის მისწრაფებანი და მიზნები	279
8. 5. ადამიანის სოციალურ ღირებულებათა სისტემა	289
8. 5. 1. სოციალური გარემო	288
8. 5. 2. ადამიანის სოციალურ ღირებულებათა ფორმირების განმსაზღვრელი შინაგანი ფაქტორები	302
8. 5. 3. გასაშუალებული ეტალონი როგორც ქცევის ღირებულების შეფასების საფუძვლი	302
8. 6. ადამიანის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი	307
9. განწყობის ზოგადი და ხოციალური ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი	315
9. 1. მონაცემები განწყობის ცნების ჩამოყალიბების ისტორიიდან	315
9. 2. განწყობის კანონზომიერებათა შესწავლის ძირითადი ასპექტები	339
9. 2. 1. განწყობის სახეები და მათი აღმოცენება-ჩამოყალიბება	340
9. 2. 2. პრაქტიკული ქცევის განწყობა	348
9. 2. 3. თეორიული ქცევის, შემეცნების განწყობა	349
9. 2. 4. სოციალური განწყობა	351
9. 2. 5. ფსიქოფიზიკური ძალთა რეალიზაციის განწყობა	357
9. 2. 6. შემოქმედების განწყობა	359
9. 3. განწყობის ზოგადი თვისებები	364
9. 3. 1. განწყობის ფიქსირებულობა	364
9. 3. 2. განწყობის ავზნებადობა	365
9. 3. 3. განწყობის მოქმედების ეფექტის სიდიდე	367
9. 3. 4. განწყობის სიმტყიე ანუ რიგიდობა	369
9. 3. 5. განწყობის დიფუზურობა-დიფერენციაცია, როგორც მისი შინაგანი გარკვეულობის ნიშანი	372

9. 3. 6. განწყობის ბიბლარული ხასიათი	374
9. 3. 7. პირველად და ფიქსირებულ განწყობათა ურთიერთობის საკითხი სოციალური განწყობის ფორმირების და სოციალური ქცევის გენზორციელების პროცესში	378
9. 4. განწყობის ფუნქციონისა და შეცვლის კანონზომიერებანი	391
9. 4. 1. მოელენათა და საგინთა ისიმილაციური და კონტრასტული განცდა	389
9. 4. 2. განწყობის საფუძველზე აღმოცენებულ სხვადასხვა პროცესთა თავსებადობის საკითხი	393
10. პარაფენების ფორმირების ზოგიერთი შინაგანი სტრუქტურული დეტერმინანტის შესახებ	414

გამომცემლობის რედაქტორი გ. ს ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი
ტექნოლოგიური ო. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/111-75
ქალაქის ფორმატი 60X90/16
ნაბეჭდი თაბახი 26,75
საადრინტხო-საგამომცემლო თაბახი 25,15

შეკეთა 887

უფ 00105

ტირაჟი 2000

ფასი 1 მან. 30 კაბ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი 380028, ო. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 1

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი 380028, ო. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1
Типография Тбилисского университета,
Тбилиси 380028, пр. И. Чавчавадзе, 1